

6. ჰინზარაული

მიწის კალასტრი

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების
წამინისტროს მიერ დამტკიცებულია სახელმძღვანელოდ სასოფლო-სამეურნეო
ინსტიტუტის სტუდენტებისათვის

ნაშრომში განხილულია მიწის, როგორც სოფლის მეურნეობაში წარმოების ძირითადი და შეუნაცვლებელი საშუალების, ბუნებრივი, სამეურნეო და სამართლებრივი მდგომარეობის ძირითადი საკითხები.

წიგნი განკუთვნილია სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მიწათმოწყობის, აგრონომიული და ეკონომიკა-ორგანიზაციის სპეციალობების სტუდენტებისათვის.

რ ე ც ე ნ ზ ე ნ ტ ე ბ ი: ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი
ტ. ტურაბელოძე.
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვ. ბურაკაძე.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

თანამედროვე ეტაპზე ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების ყველაზე აქტუალური და მწვავე პრობლემაა სასურსათო პროგრამის ოპტიმალური გადაჭრა, რომლის განხორციელების საფუძვლად მიჩნეულია სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობა მისი ყველა დარგის დინამიკური განვითარებისა და პროდუქციის წარმოების ზრდით. ეს გულისხმობს მიწის, შრომითი და სხვა მატერიალური რესურსების ეფექტიანად გამოყენებას.

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარებას 1981—1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებებში მითითებულია, რომ: „ძირითადად უმნიშვნელოა ანალოცანა ნიადაგისა და მოსავლანობის ყოველი ღონისძიებით გადოდება, მარცვლეულის, საკვებ-სა და სხვა პროდუქტების წარმოების შემდგომი ზრდა მეურნეობის გაძღოლის ზონალური, მეცნიერულად დასაბუთებული სისტემის გამოყენების საფუძველზე“.¹

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარების ძირითად პრობლემად კვლავ რჩება მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებისა და მიწის რაციონალურად გამოყენების გზებისა და ხერხების შემუშავება. ამ საკითხის აქტუალობას განსაზღვრავს სახალხო მეურნეობის დაჩქარებული ტემპებით განვითარება, რის შედეგადაც ყოველწლიურად მცირდება სასოფლო-სამეურნეო სავარგულების და, მათ შორის, სახნავის ფართობები. კერძოდ, სსრ კავშირში 1960—1979 წლების მანძილზე ერთ სულ მოსახლეზე სასოფლო-სამეურნეო სავარგული შემცირდა 2.34-დან 2.09 ჰა-მდე, საქართველოში კი, შესაბამისად, 0.64-დან 0.61 ჰა-მდე, საგრძნობლად მცირდება ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო სავარგულის, სახნავის ფართობებიც. სახნავი ფართობებისა და, საერთოდ, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შემცირების ძირითადი მიზეზებია: ქვეყნის მოსახლეობის ზრდა, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის სწრაფი ტემ-

¹ სკკპ XXVI ყრილობის მასალები. თბ., 1981, გვ. 247.

პება, ურბანიზაცია და უარყოფითი ბუნებრივი მოვლენები. ამიტომ დღის წესრიგში დგას ახალი მიწების ათვისებისა და ეკრეთოროდებული „მიტოვებული“ ან „ჩამონაჰრების“ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სამსახურში ჩაყენების ამოცანა. მიუხედავად ასეთი ფართობების არსებობისა, ეს გზა, ძირითადად, შეზღუდულია.

ამდენად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს წარმოების ინტენსიურობის ამაღლებას, რამაც უნდა განაპირობოს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და ყოველი ჰექტარი მიწის უკუგების მკვეთრი გადიდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თანამედროვე ეტაპზე მიწის რაციონალურად გამოყენების აქტუალური საკითხებია: ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლება, მისი მოვლა-პატრონობის გაუმჯობესება, სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან ამოღებული მიწების კომპენსაცია, ახალი მიწების ათვისება, ბუნებრივი საკვები სავარგულებს ძირეული გაუმჯობესება. ნიადაგების დაცვა ეროზიული მოვლენებისაგან, დარღვეული ფართობების რეკულტივაცია, მიწების მელიორაცია, ტექნიკური აღჭურვა და ა. შ.

ქვეყნის მასშტაბით მიწის რაციონალურად გამოყენებისა და მისი მწარმოებლურობის განუზრელი ზრდისათვის თანმიმდევრულად დიდი სამუშაოები ტარდება წარმოების კომპლექსური მექანიზაციის, ქიმიზაციისა და მიწათმოქმედების კულტურის ამაღლების ხაზით. ზონალური თავისებურების გათვალისწინებით ჩატარებულია ტერიტორიის ბუნებრივი და საწარმოო დარაიონება, იგი, თავის მხრივ, განსაზღვრავს მიწის გამოყენების თავისებურებებს, წარმოების სპეციალიზაციას, მისი გაძლოლისა და, საერთოდ, მიწათმოქმედების სისტემებს.

რაციონალური მიწათსარგებლობის კომპლექსური პროგრამა მოცემულია ნიადაგების, გეობოტანიკური და სხვა სახის გამოკვლევების მასალების საფუძველზე შედგენილ მიწათმოწყობის მსხვილმასშტაბიან პროექტებში, რომლებშიც მთლიანადაა გათვალისწინებული საწარმოთა სპეციალიზაცია-გაადგილება და ბუნებრივ-ეკონომიკური პირობები.

მიუხედავად იმისა, რომ შესამჩნევად უმჯობესდება მიწის რესურსების გამოყენების საერთო დონე, ყველა რეზერვი მთლიანად გამოვლენილი არაა და რიგი საკითხებისა სწრაფ გადაჭრას მოითხოვს. მაგან ყველაზე მნიშვნელოვანია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ხარისხობრივი გაუმჯობესება, მიწის რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება, მათი დაცვა კაპიტალური მშენებლობისათვის მიწების გამოყენების ნორმატივების სრულყოფა-შემცირების გზით.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულეების სარისხობრივი მდგომარეობის მახვენებელია ნაადაგის ნაყოფიერება, რომელიც მეფარდებით ცნებაა და მკვეთრად უმჯობესდება მიწის უკეთ დამუშავების, კულტურათა სწორი გაადგილების, ნათესი ფართობების სტრუქტურის სრულყოფის, რაციონალური თესლბრუნვების შემოღების, ეროზიის საწინააღმდეგო და, საერთოდ, მელიორაციული ღონისძიებების გატარების შედეგად. მიუხედავად იმისა, რომ სავარგულების ხარისხობრივი გაუმჯობესება დაკავშირებულია საკმაოდ დიდ ხარჯებთან, მათი გაწევა ეკონომიურად მაინც გამართლებულია, რადგან 2—2.5-ჯერ უფრო იაფა ჯდება, ვიდრე ამჟამე ნაყოფიერების სახალი მიწების ათვისება.

დადგენილია, რომ ნაადაგის ნაყოფიერების ამაღლების ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი არის ნაადაგის დაცვა უარყოფითი ბუნებრივი მოვლენებისაგან. ჩვენი რესპუბლიკისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეროზიული მოვლენებისაგან ნაადაგის დაცვის ღონისძიებების შემუშავება-დანერგვა. ამ ფაქტორს განაპირობებს ის გარემოება, რომ ეროზიული მანეჟ პროცესების შედეგად სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა 40—70 % -ით მცირდება. ხოლო საქართველოს ტერიტორიის 87% მოებსა და მთისწინებს უკავია. ეს კი ეროზიული პროცესების ფართოდ განვითარების პირობებს ქმნის. უფრო მეტიც, გამოკვლეული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების (2 მლნ. ჰა-მდე) 30,8 % 10°-ზე მეტი დაქანების ფერდობებზეა გაადგილებული, ხოლო სახნავის 49.4 % კი 2°-ზე მეტი დაქანების ფართობებზე მდებარეობს. უკანასკნელი პერიოდის მეცნიერული გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ 1°-ზე ზევით დაქანებული ფართობები ეროზიას განიცდის, ამიტომ ზოგიერთ ქვეყანაში (იტალია და სხვ.) ეროზიის საწინააღმდეგო ტერასებს 2°-ზე ზევით დაქანებულ ფართობებზე აწყობენ. მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების გამოცდილებას გათვალისწინებით ჩვენს ქვეყანაშიც ატარებენ შესაბამის ღონისძიებებს და ცვლიან დაქანების მაჩვენებელ გრადაციებს.

ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა კომპლექსში განსაკუთრებით მაღალეფექტიანია ეროზიის საწინააღმდეგო ტერიტორიის ორგანიზაცია, ნათესი ფართობებისა და თესლბრუნვების მეცნიერულად დასაბუთებული სტრუქტურა, ბელტის გადაუბრუნებლად ხვნა და სხვ. რომლებიც დიდ დანახარჯებთან არაა დაკავშირებული. ძვირადღირებულია ღონისძიებები, რომლებიც დიდ დროს საჭიროებს, უნდა გატარდეს მაღალინტენსიური, მიწათმოქმედების მაღალი კულტურის მქონე საწარმოებს.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მელიორაციას და მელიორირებული მიწების მაღალეფექტიანად გამოყენებას. მელიორაცია გულისხმობს ნიადაგის ბუნებრივი თვისებების გარდაქმნას წყლის, ჰაერის, საკვებისა და სითბოს რეჟიმის ხელოვნურად შეცვლის საფუძველზე, რის შედეგადაც ყოველი ჰექტარის უკუგება 2-3-ჯერ იზრდება.

სასოფლო-სამეურნეო კულტურებს ნიადაგიდან ყოველწლიურად დიდი რაოდენობით ჰუმუსი და საკვები ნივთიერებანი გამოაქვს, რომელთა აღსადგენად აუცილებელია სასუქების შეტანა. მათი სისტემატური, ხანგრძლივი და დასაბუთებული გამოყენებით ნიადაგის ფიზიკურ-ქიმიური თვისებები უმჯობესდება და, შესაბამისად, ნაყოფიერებაც იზრდება.

მიწის ეფექტიანად გამოყენების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ბრუნვიდან ინტენსიური სავარგულების ამოღების შეზღუდვა. გამოანგარიშებულია, რომ ჩვენს ქვეყანაში მარტო წიაღისეულის მოპოვებით სოფლის მეურნეობის ბრუნვიდან გამოყვანილია 2 მლნ/ჰა და ეს ფართობი ყოველწლიურად სულ უფრო იზრდება სამთო-მოპოვებით მრეწველობაში წიაღისეულის ღია წესით ამოღების ფართოდ დანერგვასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ყოველწლიურად იზრდება სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მიერ დაკავებული ინტენსიური სავარგულების ფართობები. გასაგებია, რომ ამ უარყოფითი ტენდენციის აღმოფხვრა და ინტენსიური სავარგულების სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მიერ გამოყენების შემცირება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდის უმნიშვნელოვანეს პირობად რჩება.

არანაკლებ მნიშვნელოვანია დაზიანებული მიწების აღდგენა ანუ რეკულტივაცია, რასაც უკანასკნელ პერიოდში დიდი ყურადღება ექცევა მსოფლიოს ყველა მოწინავე ქვეყანაში. ეს განსაკუთრებით საჭიროა იმ ქვეყნებში, სადაც განვითარებულია სამთო-მოპოვებითი მრეწველობა. ამ მიმართებით ჩვენს რესპუბლიკაშიც აუცილებლად სწრაფი ტემპებით უნდა დაიწყო ჩვენს ქვეყანაში დაგროვილი გამოცდილება მიწის აღდგენის კონსტრუქციული ტექნოლოგიის სახით. როგორც მსოფლიოს ბევრი მეცნიერი მიუთითებს, თუ შესაძლებელი არაა დაზიანებული მიწების სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ათვისება, მაშინ გათვალისწინებული უნდა იქნეს გარემო პირობების სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა და სხვა ბუნებრივი პირობები, რაც გულისხმობს დაზიანებულ ფართობებზე სატყეო-მეურნეობრივი რე-

კულტივაციის გატარებას და რეკრიაციული ზონების შექმნას, ეს, თავის მხრივ, ადამიანთა ჯანმრთელობის განმტკიცების ხელაყრელი პირობა და ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებაცაა.

რესპუბლიკის ინტენსიური სავარგულების ზრდის მნიშვნელოვანი რეზერვებია მიტოვებული ან ახლად ასათვისებელი ფართობები. გასულ წლებში მიწათმოწყობის საპროექტო ინსტიტუტის სპეციალისტებმა მარტო სამხრეთ ოსეთის რიგ რაიონში გამოავლინეს 1000 ჰა-ზე მეტი სახნავად ასათვისებელი მიწა. ანალოგიური სამუშაოების ჩატარება აუცილებელია ყველა რაიონში, რაც უდავოდ დიდი რაოდენობით დასამუშავებელი მიწის ფართობებს გამოავლენს. ამ საკითხის გადაჭრა დიდ სიფრთხილესა და ნიადაგების დეტალურად შესწავლას მოითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მივაყენოთ სოფლის მეურნეობას და დიდი რაოდენობით მიწა გამოვიყენოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ბრუნვიდან.

მიწის რაციონალურად გამოყენების უმნიშვნელოვანესი აგროტექნიკური და ორგანიზაციულ-სამეურნეო ღონისძიებებია რაციონალური თესლობრუნვების პროექტების შედგენა და დანერგვა. ეს უკანასკნელი მნიშვნელოვნად ამძლავრებს ნიადაგის ნაყოფიერებას და ზრდის სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობას. თესლობრუნვების საფუძველია სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა განვითარების პერსპექტიული გეგმები, რომლებიც დგება მათი ბუნებრივი, ეკონომიკური და სხვა პირობების გათვალისწინებით. ეს პირობები განსაზღვრავს თესლობრუნვის მინდვრის რაოდენობასაც და მათ სიდიდესაც. თესლობრუნვის ეკონომიკური და ორგანიზაციულ-სამეურნეო მოთხოვნა კულტურათა სწორი მორიგეობის დაწესება, ხოლო ეკონომიკური დასაბუთება კულტურათა ისეთი სტრუქტურაა, რომელიც უმცირესი დანახარჯებით მაქსიმალური რაოდენობის პროდუქციის მიღებას უზრუნველყოფს.

ინტენსიური სავარგულების ზრდის მნიშვნელოვანი რეზერვია დამლაშებული და ბიცობიანი ნიადაგების სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში ჩაყენება. მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხი თავისი აქტუალობით ყოველთვის იქცევა ყურადღებას, ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. საქართველოს ნიადაგთმოდუნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გამოკვლევებით დადგენილია, რომ მარტო ალაზნის ველის მარჯვენა მხარისა და შუა ივრის მლაშობ-ბიცობი ნიადაგების 15000 ჰა საჭიროებს მელიორაციულ ღონისძიებებს. გაითვალისწინა რა ამ საკითხის მნიშვნელობა ინტენსიური სავარგულების ზრდის საქმეში, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 1981 წლის 25 ივნისის ბრძანებით მიწათმო-

წყობის საპროექტო ინსტიტუტს დაავალა 1982—1989 წლებში ჩაატაროს 83 ათასი ჰა დამლაშებული და ბიცობი ნიადაგების მსხვილმასშტაბიანი გამოკვლევა მათი გაკულტურებისა და სასოფლო-სამეურნეობრუნვაში ჩაყენების მიზნით.

ნიადაგების დაცვისა და მათი ნაყოფიერების ამაღლების მნიშვნელოვანი პირობაა მიწის სწორი დამუშავება, რაც საჭირო ტენოლოგიური პროცესების ოპტიმალურ აგროვალებში ჩატარებას გულისხმობს. ამ ფაქტორს, სხვა ფაქტორებთან ერთად, განსაზღვრავს სამექანიზაციო საშუალებათა სტრუქტურა და გამოყენების სისტემები.

სოფლის მეურნეობაში ტექნიკისადმი წაყენებულ პირობებსა და მანქანა-ტრაქტორთა პარკის გამოყენების ეფექტიანობაზე გავლენას ახდენს რელიეფი, კლიმატი, დასამუშავებელი ნაკვეთების სიმაღლე ზღვის დონიდან, წვრილკონტურიანობა და მრავალნაკვეთიანობა. იმის გამო, რომ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა ამ უარყოფითი ფაქტორებით ხასიათდება, რთულია საერთო დანიშნულების სერიული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენება, დაბალია მექანიზატორთა შრომის ნაყოფიერება და მანქანა-ტრაქტორთა პარკის გამოყენების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების დონე. სათანადო გაანგარიშებით გამოვლინდა, რომ უკანასკნელ წლებში დასავლეთ საქართველოს ბარის ზონის სასოფლო საწარმოებში ერთი პირობითი ეტალონური ტრაქტორის წლიური გამომუშავება 1,5-ჯერ მაღალია, ვიდრე მთიან ზონაში, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში ანალოგიური ფარდობითი მაჩვენებელი შეადგენს 1:1,7. შესაბამისად, მაღალია საექსპლუატაციო დანახარჯებიც, რომელთა სხვაობა 5—10 %-ს აღემატება. რადგან სერიული მანქანების მწარმოებლურობა (მოღების განიდა სხვა ტექნიკური მაჩვენებლები) იზრდება, არაეფექტიანია ან შეუძლებელია მათი გამოყენება მთის მცირეძალოვანი საწარმოების წვრილკონტურიან ნაკვეთებში. სამამულო მრეწველობა კი ძალზე მცირე რაოდენობით ან, საერთოდ, არ უშვებს შესაბამის სამთო მექანიზაციის საშუალებებს, ამიტომ ათასობით ჰექტარი სახნავი მიტოვებულია ან გადასულია ნაკლებად ინტენსიურ სავარგულში. გარდა ამისა, მძიმე მანქანები აზიანებს ნიადაგის სტრუქტურას, რაც ხელს უწყობს ეროზიული პროცესების განვითარებას. მცირე მექანიზაციის საშუალებებით ნიადაგის დამუშავება კი დამატებითი ფართობების სასოფლო-სამეურნეო წარმოების ბრუნვაში ჩაყენებასთან ერთად უარყოფითი ბუნებრივი მოვლენების მინიმუმამდე დაყვანის საუკეთესო წინამძღვარსაც ქმნის.

მიწის რესურსებისა და ტექნიკის მაღალეფექტიანად გამოყენებას მნიშვნელოვნად განაპირობებს გზების მდგომარეობა. გაანგარიშებულია, რომ ჩვენს ქვეყანაში უგზობობის ან კეთილმოუწყობელი გზების მიზეზებით ყოველწლიურად იკარგება 5—7 მლრდ/მან. სოფლის მეურნეობის პროდუქცია, სახნავსა და სათიბებზე თვითნებური გზების გაყვანილთ. ყოველწლიურად იღუპება მარცვლეული კულტურების 5 და სათიბების მოსავლის 10—15%. ამრიგად, მიწის არარაციონალურად გამოყენებისა და სავარგულების შემცირებით გამოწვეული ზარალის კომპენსაციის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება სოფლის მეურნეობის მყარი საფარის მქონე ვეზებით უზრუნველყოფაცაა. ამის გარეშე ჰიანსტრდება აგროტექნიკური სამუშაოების ოპტიმალურ ვადებში ჩატარება, იმტვრევა ნანტანები სოფურ აულებელი რჩება ნათესი ფართობები და ყველაფერი ეს იწვევს პროდუქციის ერთეულის დანახარჯებას ზრდას.

რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების უდიდესი ნაწილი ბუნებრივ სათიბ-საძოვრებია, რომელთა პროდუქტიულობა და რაციონალურად გამოყენება მეცხოველეობის მყარი საკვები ბაზით უზრუნველყოფის პრობლემის გადაწყვეტის აუცილებელი პირობაა.

ბუნებრივი საკვები სავარგულების პროდუქტიულობის ამაღლებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მათ გაუმჯობესებას. დადგენილია, რომ გაუმჯობესებულ ფართობებზე წარმოებული პროდუქცია 2-ჯერ და მეტად იზრდება დანარჩენ სავარგულებთან შედარებით, მიუხედავად აღნიშნულისა. საქართველოს სათიბ-საძოვრების 1920 ათასი ჰა-დან გაკულტურებულია დაახლოებით 42 ათასი ჰა.

აღნიშნულ ღონისძიებებთან ერთად, აუცილებელია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გამოყენების გაუმჯობესება მიწათმოწყობის პროექტების დანერგვით. თავის მხრივ, ეს პროექტები მოითხოვს დახვეწას, სრულყოფას, ამასთან, მათი შედგენა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შემოქმედებით მიდგომას ტერიტორიის ორგანიზაციის პროგრესული ფორმების გამოყენებისათვის, რამაც ხელი უნდა შეუწყოს სოფლის მეურნეობის გადაყვანას ინდუსტრიულ საფუძვლებზე. გარდა აღნიშნულისა, მაღალმეცნიერულ დონეზე შედგენილმა მიწათმოწყობის პროექტებმა ხელი უნდა შეუწყოს წვრილკონტურიანობისა და მიწათსარგებლობაში გაუპიროვნების ლიკვიდაციას. ეს კი მძლავრი ტექნიკის გამოყენების ეფექტიანობისა და მიღებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირების მნიშვნელოვანი პირობაა.

სოფლის მეურნეობის მრავალდარგიანობა და მისი ორგანული კავშირი ბუნებრივ ფაქტორებთან განსაზღვრავს წარმოების პროცესების მრავალფეროვნებას. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია მცლიორ-

აცია, ნიადაგის დამუშავება და აგროტექნიკური ღონისძიებანი, რომლებიც ხშირად გამოსახვას სპეციალური დანიშნულების რუკებში პოულობს. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაცია-დაგეგმვა, ოპერატიული ხელმძღვანელობა, ახალი ტექნიკისა და აგროტექნიკის დანერგვა, აგრეთვე აუცილებელს ხდის საცნობარო რუკების შედგენას, რომლებშიც გამოსახული იქნება მიწის ფართობის განლაგება და ტერიტორიის ბუნებრივ-პირობების ღიაასიათება. ასეთი რუკები საწარმოთა ხელმძღვანელებს სამეურნეო საქმიანობაში წამოჭრილი საკითხების (ცალკეული ოპერაციის პერსპექტიული დაგეგმვა და ნორმირება, აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარებისადმი კონტროლი) გადაწყვეტის საშუალებას აძლევს. ამრიგად, მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენების ერთიან სისტემაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ტიპობრივ საწარმოთა სასოფლო-სამეურნეო რუკებს, როგორც ხელმძღვანელობისა და გამოყენებისადმი კონტროლის გრაფიკულ მასალას.

მიწის ფონდის მაღალეფექტიანად გამოყენების რეალური შესაძლებლობებია წარმოების რაციონალურ ორგანიზაციასა და მეცნიერულ დაგეგმვაში. მათი ოპტიმალურად გადაწყვეტა მოითხოვს მიწის ბუნებრივ, სამეურნეო და სამართლებრივ შესწავლა-აღრიცხვას, რასაც მიწის კადასტრის შედგენით აღწევენ. მიწის კადასტრის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია მიწის ეკონომიკური შეფასება, რაც გულისხმობს მიწის მწარმოებლურობის (ნაყოფიერების) შეფარდებით შეფასებას, მიღებული შედეგების საფუძველზე მიწის საჯარგულების გადაყვანას პირობით ჰექტრებში. აღნიშნული ცალკეულ რეგიონა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოში დაგეგმვის საფუძველად უნდა გამოვიყენოთ, როგორც მათი თანაბარ ეკონომიკურ პირობებში ჩაყენებისა და განსხვავებული ნაყოფიერების მქონე მიწებზე მიწათმოქმედის შრომის ანაზღაურების საფუძველი.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძველების (1968 წ.) შესაბამისად მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენების მიზნით აღგენენ სახელმწიფო მიწის კადასტრს, რომელიც მოიცავს აუცილებელ და საიმედო ცნობების ერთობლიობას მიწების ბუნებრივი, სამეურნეო და სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ. მიწის კადასტრი შედგება ოთხი ძირითადი ელემენტისაგან, რომლებიც ურთიერთდაკავშირებულია და ერთმანეთისაგან გამომდინარეობს. მიწათსარგებლობის რეგისტრაცია, მიწების რაოდენობრივი და ხარისხობრივი აღრიცხვა, ნიადაგების ბონიტირება და და მიწის ეკონომიკური შეფასება.

მიწის კადასტრის, როგორც სახელმწიფო მნიშვნელობის ღონისძიებას და დოკუმენტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს პარტიის აგრარული პოლიტიკის განხორციელებისა და კომუნისტური მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის საქმეში. იგი აუცილებელია ისეთი სახალხო მეურნეობრივი საკითხების გადასაჭრელად, როგორცაა მიწების ეფექტიანად გამოყენება, მათი დაცვა, სახალხო მეურნეობის წარმოების დაგეგმვისა და ორგანიზაციის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაადგილება-სპეციალიზაციის, მეურნეობათაშორისი კოოპერირებისა და აგრო-სამრეწველო ინტეგრაციის, მიწების მელორაციის, პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფო შესყიდვის გეგმების განსაზღვრის, ფასების დიფერენცირების, მიწის რესურსების გამოყენების გენერალური სქემების შედგენის, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოწარმების დიფერენცირებისა და მიწის რაციონალურად გამოყენებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების გადასაჭრელად.

ამრიგად, მიწის კადასტრი ღონისძიებათა სისტემაა, მიმართული მისი ბუნებრივი, სამეურნეო და სამართლებრივი მდგომარეობის ყოველმხრივ შესწავლისა და რაციონალურად გამოყენების ორგანიზაციულ-სამეურნეო საკითხების გადასაჭრელად მიწის აღრიცხვისა და შეფასების საფუძველზე. მიწის კადასტრის წარმოების წესი და სისტემა განსაზღვრულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 19 ივლისის № 501 დადგენილებით: „სახელმწიფო მიწის კადასტრის წარმოების შესახებ“, ამ დადგენილებით მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროებს დაევალია პირველი ეტაპის სამუშაოების დამთავრება 1980 წლის ბოლოსათვის, ხოლო ყოველ მომდევნო ხუთწლეულში მიღებული მასალების კორექტურა-დაზუსტება სრულყოფილი მასალების მიღების მიზნით. ამავე დადგენილებითაა განსაზღვრული მიწის კადასტრის მონაცემების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების მიზანდასახულობა და სფეროები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს აღნიშნული დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1977 წლის 20 სექტემბერს მიიღო № 649 დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში სახელმწიფო მიწის კადასტრის წარმოების ღონისძიებათა შესახებ“, რომლის შესაბამისად რესპუბლიკის ძირითად მიწათმოქმედების რაიონებში შეფასდა სახნავი და მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწები.

მიწის კადასტრის შედგენის საფუძველი, ქვეყნის მასშტაბით, წლების განმავლობაში იქმნებოდა მსხვილმასშტაბიანი ნიადაგობრივი, გეობოტანიკური, მელორაციული და სხვა სპეციალური გამოკვლევების

სახით. ამ მასალებზე დაყრდნობით მიწის კადასტრის შედგენა მიწათ-
მოწყობის საპროექტო ინსტიტუტებსა და მიწათმოწყობის სამსახურებს
ევალება.

სოციალისტური წარმოების პირობებში მეცნიერულ-ტექნიკური
პროგრესი გულისხმობს საწარმოო ძალთა ყოველმხრივ განვითარებას,
მანქანა-იარაღებისა და ტექნოლოგიის პროცესის სრულყოფას, შრომის-
ორგანიზაციის გაუმჯობესებას და მისი ნაყოფიერების განუხრეღ
ზრდას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას და ა. შ.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი მთელი სახალხო მეურნეობის,
მათ შორის, სოფლის მეურნეობის მყარი მატერიალური ბაზის შექ-
მნის შესაძლებლობას იძლევა. მოუხედავად იმისა, რომ სოფლის მეუ-
რნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მთელი სახალხო მეურნეობის
ტექნიკური ბაზის შემადგენელი ნაწილია, იგი ამ დარგის თავისებურე-
ბების გამო განსხვავებულია. კერძოდ, მისთვის დამახასიათებელია:
ა) წარმოების მჭიდრო კავშირი ბუნებრივ ფაქტორებთან; ბ) სეზონუ-
რობა; გ) მიწის, როგორც წარმოების ძირითადი საშუალების, თავისე-
ბურებანი და სხვ. ყოველივე ეს აუცილებელს ხდის მიწის აღრიცხვა-
შესწავლას ბუნებრივ ფაქტორებთან მჭიდრო კავშირში. მიწის შეს-
წავლა და მისი ნაყოფიერების ამალლების ღონისძიებათა გატარება სა-
ხალხო დოვლათის ზრდის აუცილებელი ფაქტორებია. რაც განსაზ-
ღვრავს მიწის კადასტრის როლს კომუნისზმის მატერიალურ-ტექნიკ-
ური ბაზის შექმნის საქმეში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სოციალისტური სოფლის მეურნე-
ობის წინაშე მდგარი ამოცანების თეორიულად და პრაქტიკულად გა-
დაჭრაში მნიშვნელოვანი მოვალეობა აკისრია მიწის კადასტრს და იგი
ემყარება მარქსისტულ-ლენინური დიალექტიკის მეთოდიდან გამომდი-
ნარე, სოციალისტურ საადგილმამულო ურთიერთობათა და დიალექტი-
კური მატერიალიზმის ცნებას, რომელიც ხსნის როგორც ბუნების, ისე
საზოგადოების განვითარების საერთო კანონებს. ამდენად, მიწის კადა-
სტრი, როგორც მეცნიერული დისციპლინა, დაკავშირებულია პოლი-
ტიკურ ეკონომიასთან, სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ეკონომიკასა
და ორგანიზაციასთან, ნიადაგთმცოდნეობასთან, მიწათმოწყობასთან,
მემკვიდრეობასთან, ეკონომიკურ გეოგრაფიასთან, კარტოგრაფიასთან,
ბიოლოგიასთან, სტატისტიკურ და საბუღალტრო აღრიცხვასთან და ა. შ.

ამდენად, მიწის კადასტრის მონაცემების აღება-დამუშავებისა და
ანალიზის დროს იყენებენ: სტატისტიკის, გეოდეზიისა და კარტოგრა-
ფიის მეთოდებს. კერძოდ, სტატისტიკიდან: ანალიტიკური, კორელაცი-
ური, რეგრესულ, საინდექსო, ეკონომიკურ-მათემატიკურ, გეოგრაფიულ-

და ექსპერიმენტულ-სტატისტიკურს; გეოდეზიიდან: მეთოდოლოგიით და ნიველირით გაღებების; ტექნომეტრიულ, მენზურულ, თვალზედვით და ფოტოგრამომეტრიული გაღებების; კარტოგრაფიიდან: მოელენათა აღწერის, ანალიზისა და შეცნობისათვის რუკათშედგენის, რედაქტირების, რუკათგაფორმების, მათემატიკური კარტოგრაფიისა და კარტომეტრიის მეთოდებსა და ხერხებს.

მიწის კადასტრი, როგორც მეცნიერული დისციპლინა, ეყრდნობა მარქსიზმ-ლენინიზმის სწავლებას მიწის, როგორც წარმოების ძირითადი საშუალების შესახებ და სოციალურ-ეკონომიკურ, აგრარომიულ და ტექნიკურ დისციპლინებს. აქედან გამომდინარეობს მიწის კადასტრის, როგორც სასწავლო დისციპლინის ადგილი სხვა სამეცნიერო დისციპლინათა შორის.

სნებჲ მიშის კჲჲსტრის შესსნებ ჲა მისი შინაჲრსი მიშჲჲჲ კირძო სჲჲშთრჲჲის კირობჲჲში

საზოგადოებრივი წარმოების მიზანდასახული ფუნქციონირება და მისი შემდგომი გაფართოება აუცილებლად გულისხმობს სამუშაო ძალის, წარმოების საშუალებების, მიწის ნედლეულის, მასალებისა და მიღებული პროდუქციის ზუსტ აღრიცხვას. ამრიგად, აღრიცხვა წარმოიშვა ადამიანთა საზოგადოების განვითარების უძველეს საფეხურზე და მისი განვითარების პარალელურად იხვეწებოდა. იცვლებოდა მისი შინაარსი, დანიშნულება, ამოცანები და აღრიცხვის მეთოდები.

პირველყოფილ საზოგადოებაში აღრიცხვა პრიმიტიულ ხასიათს ატარებდა და თემის ინტერესებიდან გამომდინარეობდა. უფრო დეტალური აღრიცხვა აუცილებელი გახდა იარაღების წარმოების, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის განვითარების, შრომის დანაწილებისა და აღებ-მიცემობის წარმოქმნის შემდეგ. ამ პროცესებს მოყვა საზოგადოების სოციალურ ფენებად დაყოფა, ანუ ქონებრივი უთანასწორობა, რომლის ლოგიკური დასასრული მონათმფლობელური საზოგადოების ჩამოყალიბება იყო. მის დროს კი მთელი ქონება და, პირველ რიგში, მიწა მონათმფლობელთა ხელში გადავიდა.

როგორც მონათმფლობელური სახელმწიფო, ისე მონათმფლობელი უმიწაწყლო ადამიანებს უზარმაზარ ბეგარას ახდევინებდა მიწით სარგებლობისათვის, რისთვისაც საჭირო იყო მიწის, მოსახლეობისა და სხვა ქონებზე ზუსტი აღრიცხვა. რადგან დაბეგვრა მიწათმოსარგებლეთა მიხედვით წარმოებდა, ამიტომ საჭირო გახდა სპეციალური სააღრიცხვო დოკუმენტაციის შემოღება მათ მიხედვით.

პირველ ხანებში აღრიცხვა მიწის რაოდენობრივ აღწერას გულისხმობდა და მოიცავდა. შემდგომ კი მასში შეიტანეს მიწის ხარისხობრივი მონაცემების ელემენტები და ბოლოს მისი შეფარდებითი ღირებულების მიხედვით შეფასება. ამრიგად, იგი ჩამოყალიბდა როგორც

მიწის საკადასტრო დოკუმენტი, რომლის მიზანი იყო მიწის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მდგომარეობის შესახებ უტყუარი ცნობების მიწოდება. განსაკუთრებულ პერიოდს შემდეგ მას მიეცა სამართლებრივი ხასიათი და მას მიმართავდნენ მიწაზე საკუთრების უფლების განმტკიცებისა და მიწათსარგებლობის საზღვრების სამოქალაქო გარეგნის დროს.

ამრიგად, ფეოდალიზმის დროს განვითარდა შიგასამეურნეო აღრიცხვა, რაც დაბეგვრასა და გადასახადის აკრეფას ემსახურებოდა. იგი ფეოდალთა ინტერესების დაცვის საშუალება იყო. სახელმწიფოს ჩამოყალიბებამ მიწის რესურსების რაოდენობრივ და ხარისხობრივ აღრიცხვასთან ერთად მისი შეფასებაც მოითხოვა შემოსავლიანობის გათვალისწინებით. სრულყოფილი აღრიცხვა კი გულისხმობდა მიწის კადასტრის შედგენას, რომელიც ისტორიულად აუცილებელი იყო მიწაზე ყოველგვარი ცნობების მიღებისათვის. საზოგადოების განვითარების ადრეულ ეტაპებზე ცნობები სავარგულების რაოდენობასა და ხარისხს მოიცავდა. შემდგომ კი მისი შეფასების და ნაყოფიერების ამაღლების ღონისძიებათა გატარების მიზნით ნიადაგების გამოკვლევაც დაიწყო, აღნიშნული სამუშაოების ჩატარების შედეგად დგებოდა ტექსტობრივი და გრაფიკული (საგეგმო-კარტოგრაფიული) მასალები.

სიტყვა კადასტრი ლათინური წარმოშობისაა „Capitulum“ და ნიშნავს რაიმეს აღწერას, დაეთარს. ამრიგად მიწის კადასტრი მიწის აღწერის, აღრიცხვისა და შეფასების სისტემა იყო, რომელსაც სახელმწიფო აწარმოებდა მიწათ დაბეგვრის მიზნით.

მიწის კადასტრი განსაკუთრებული სახის რთული დოკუმენტი, რამდენადაც აქ საქმე გვაქვს ამოუწურავ სახალხო სიმდიდრესთან-მიწასთან. ეს უკანასკნელი რიგი თავისებურებით ხასიათდება და მათ გათვალისწინებას სახალხო მეურნეობრივი მნიშვნელობა აქვს.

მიწა ადამიანის საზოგადოებრივ ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი მატერიალური პირობა და ამოუწურავი სახალხო სიმდიდრეა. იგი არა მარტო მცენარეთა და ცხოველთა გავრცელების, არსებობისა და სიცოცხლის აუცილებელი პირობაა, არამედ თვით ადამიანთა საზოგადოების წარმოშობისა და განვითარების ობიექტური საფუძველიცაა, რამდენადაც ადამიანის ყოველგვარი საქმიანობა მიწასთანაა დაკავშირებული. როგორც კ. მარქსი მიუთითებს: „შრომა არ არის ერთადერთი წყარო მის მიერ წარმოქმნილი სახმარი ღირებულებისა, ნივთიერი სიმდიდრისა, როგორც ვილიამ პეტი ამბობს, შრომა სიმდიდრის მამა

და მიწა მისი დედა¹. მიწაზე გაადგილებულია ქალაქები და სოფლები, ფაბრიკები და ქარხნები, გზები და სარწყავი ქსელი. მიწის წიაღიდან ადამიანი იღებს ისეთ ბუნებრივ სიმდიდრეს, როგორცაა ოქრო, ქვანახშირი, ნავთობი, მანგანუმი, ვაზი და სხვა, რომელთა გარეშე შეუძლებელია ადამიანთა საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. მიწის ნიადაგური, მცენარეული და პიროგრაფიული საფარი კი წამყვან როლს ასრულებს არა მარტო ადამიანის ცხოვრებაში, არამედ თვით სოცოცხლის არსებობაშიც. აკად. ს. უდაჩინი აღნიშნავდა, რომ ყველაფერი, რასაც ვხედავთ ჩვენს გარშემო, არის მიწის ნაყოფი.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მიწა ადამიანის შრომის შედეგად გვაძლევს საკვებს, ტანსაცმელს, ცხოვრებისათვის აუცილებელ სხვადასხვა საშუალებას, ამასთან, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა სფეროში მიწის, როგორც წარმოების საშუალების როლი და დანიშნულება, განსხვავებულია.

გადამუშავებელი მრეწველობის დარგებში, ტრანსპორტსა და მშენებლობის ობიექტების გაადგილებისათვის იგი საყრდენი საოპერაციო ბაზისია, ამიტომ მათა გაადგილებისათვის საჭირო არ არის ნაყოფიერი ნიადაგი.

მოპოვებით მრეწველობაში მიწის როლი იზრდება, რადგან აქ იგი გვევლინება როგორც საზოგადოებრივი სიმდიდრის თავისებური საწყობი, ადამიანთა შრომის პირველდაწყებითი არსენალი.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მიწას სოფლის მეურნეობაში, სადაც იგი გამოდის არა მარტო როგორც წარმოების არსებობის მატერიალური პირობა, არამედ საწარმოო პროცესების ძირითადი და შეუცვლელი საშუალება, რომლის გარეშე შეუძლებელია პროდუქციის წარმოება.

სოფლის მეურნეობა სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგია, რომელსაც ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. მის განვითარებაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხალხის კეთილდღეობის დონე, რამდენადაც ეს დარგი იძლევა ადამიანის კვებისათვის აუცილებელ პროდუქტებს, ხოლო მრეწველობისათვის-ნედლეულს. ამ პროდუქტებს იძლევა მიწა ადამიანის შრომის შედეგად და ისინი მით უფრო ბევრი და იაფია, რაც უფრო ნაყოფიერია დედამიწის ზედაპირული ფენა-ნიადაგი.

არჩევნ ნიადაგის ნაყოფიერების სამ სახეს: ბუნებრივს, ხელოვნურს და ეკონომიკურს ანუ ეფექტიანს. ნიადაგის ბუნებრივი ნაყოფი-

¹ კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 1, თბ., 1954, გვ. 60.

ერება ნიადაგთწარმოქმნის ხანგრძლივი პერიოდის ნაყოფია, რაც პა-
ერის, წყლისა და ტემპერატურის ზემოქმედებით მიმდინარეობს, ბუნ-
ებრივ ნაყოფიერებას განსაზღვრავს ნიადაგის ფიზიკური, ქიმიური და
ბიოლოგიური თვისებები, ზოგჯერ საკვები ნაუთიერებებით მდიდარი
ნიადაგი დაბალნაყოფიერებით ხასიათდება, რაც გამოწვეულია საკვე-
ბი ნივთიერებების ნაკლებად შესათვისებელ ფორმაში არსებობით,
სწორედ ეს არის მიწათმოქმედის ძირითადი მიზანი, რომ ისინი მოი-
ყვანოს შესათვისებელ ფორმაში, ხოლო ნაკლებობის შემთხვევაში კი
გამდიდროს ნიადაგი. ამ პროცესით, რაც ადამიანის ზემოქმედებით
მიმდინარეობს, იქმნება ნიადაგის ხელოვნური ნაყოფიერება, ე. ი. ხე-
ლოვნური ნაყოფიერება ადამიანის შრომით იქმნება. ბუნებრივი და
ხელოვნური ნაყოფიერების ერთიანობა კი ეკონომიკური ანუ ეფექტი-
ანი ნაყოფიერებაა.

ამდენად, ნიადაგი შეიძლება ბუნებრივად ნაყოფიერი იყოს. მა-
გრამ ისეთი ფორმით, რომლის შეთვისება მცენარეს არ შეუძლია ან
ნაკლებ ხერხდება. ამ მიმართებით დიდმნიშვნელოვანია ბუნებრი-
ვი ნაყოფიერების ეკონომიკურ ან ეფექტიან ნაყოფიერებად გადაქცე-
ვა. ამ მიზნით ადამიანი მიწას ხნავს, ფარცხავს, რწყავს, აშრობს და
ა. შ. ამ შემთხვევაში მიწა გამოდის არა მარტო შრომის საგანი, არამ-
ედ როგორც შრომის საშუალება, შუამავალი მცენარესა და ადამიანს
შორის, მამსადამე, სოფლის მეურნეობაში მიწა შრომის პროცესის
მატერიალური პირობა და შრომის საშუალებაა. იგი სოფლის მეურნე-
ობაში წარმოების ძირითადი საშუალებაა, რომელიც წარმოების სხვა
საშუალებებისაგან განსხვავებით, რიგი თავისებურებებით ხასიათდება,
რაც მისი გამოყენების დაგეგმვისა და ორგანიზაციის დროს უნდა მი-
ვიღოთ მხედველობაში. ეს თავისებურებანი შემდეგია:

1. წარმოების ყველა ძირითადი საშუალება (მანქანა-იარაღები,
დაზგები და ა. შ.) გარდა მიწისა, ადამიანის შრომითაა შექმნილი, ხო-
ლო მიწა ბუნების პროდუქტია და ობიექტურად არსებობს ადამიანის
ბუნების გარეშე;

2. მიწის, როგორც წარმოების ძირითადი საშუალების, ერთი აღ-
გილიდან მეორეზე გადატანა შეუძლებელია, რადგან მისი გამოყენება
დაკავშირებულია მუდმივ ადგილთან, მხოლოდ იქ, სადაც ის არის, მა-
შინ, როდესაც დანარჩენი საშუალებების გადატანა და გამოყენება
ხდება საჭიროების მიხედვით, მიწის გადატანა კი მისი გამოყენების
თვალსაზრისით პრაქტიკულად შეუძლებელია;

3. მიწას ახასიათებს განსაზღვრულობა განუფენილობის მიხედვით.
იგი ზედაპირული განუფენილობის თვალსაზრისით არის სამეურნეო სფ.

2. 5. კინვარაული

ქმიანობის ობიექტი განსაზღვრულ სივრცეში, მაგრამ ეს არ ნიშნავს მის საწარმოო შესაძლებლობათა განსაზღვრულობას, რაც ვ. ი. ლენინმა დაასაბუთა თავის შრომებში, როდესაც ე. წ. „ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების“ მქადაგებლებს აკრიტიკებდა. მარქსიზმის კლასიკოსთა თეორიული დებულებები ნათლად დაადსტურა სოციალისტური სოფლის მეურნეობის პრაქტიკამ, როდესაც ფართობის გადიდების გარეშე რამდენიმეჯერ იზრდება წარმოებული პროდუქციის მოცულობა;

4. წარმოების პროცესში ყველა ძირითადი საშუალება ცვდება ფიზიკურად ან მორალურად და იგი ახლით შეეცვლას საჭიროებს, მათგან განსხვავებით, მიწა არა თუ ცვდება, არამედ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა გონივრული გამოყენებით კიდევ უმჯობესდება, მიწა წარმოების მუდმივი და შეუნაცვლებელი საშუალებაა, რაზედაც კ. მარქსი მიუთითებდა-კაპიტალის, შრომის და ცოდნის გამოყენებით ნიადაგის ნაყოფიერება უსასრულოდ იზრდება იგი როგორც წარმოების შეუნაცვლებელი საშუალება, აღამიანთა მოდგმის, თაობათა დაუსრულებელი არსებობისა და კვლავწარმოების აუცილებელი პირობაა. მანქანა-იარაღები შეიძლება შეიცვალოს გაუმჯობესებული, მაღალმწარმოებლური საშუალებებით, ცხოველები უფრო ჯიშინით, ხოლო მიწის შეცვლა არ შეიძლება, იგი მუდმივი და შეუცვლელია, რაც მისი გამოყენების დროს განსაკუთრებულ მიდგომას საჭიროებს.

აღნიშნული თავისებურებანი და სოფლის მეურნეობის სპეციფიკა განსაზღვრავდნენ მიწის კადასტრის წარმოების არსსა და დანიშნულებას საზოგადოების განვითარების ცალკეულ ეტაპზე. განსხვავებული მნიშვნელობით ვლინდება მისი ცალკეული ელემენტი: მიწების აღრიცხვა, ბუნებრივ-ისტორიული აღწერა და შეფასება, იმის შესაბამისად თუ როგორი იყო წარმოების განზოგადების დონე.

მიწათმოქმედების განვითარების პირველ ხანებში მიწების აღრიცხვა მარტივი ფორმით წარმოებდა და მის შედეგებს იყენებდნენ სამეურნეო ხასიათის ამოცანების გადასაჭრელად. შემდგომ ეტაპებზე საწარმოო ძალთა განვითარების შესაბამისად, დაიწყეს სპეციალური სიების, რეესტრების და წიგნების შედგენა, რომლებშიც მიწების აღრიცხვას აწარმოებდნენ სავარგულების სახეებისა და ნაყოფიერების მიხედვით. წიგნები შედგებოდა ტექსტობრივი და კარტოგრაფიული სახის მასალებისგან. ნიადაგის ნაყოფიერების და ხარისხობრივი მდგომარეობის მიხედვით მიწებს ყოფდნენ ჯგუფებად (კლასებად).

მიწის კადასტრის ისტორია კი უხსოვარი დროიდან, კაცობრიობის განვითარების გარიჟრაჟიდან იწყება. არქეოლოგიური გათხრებით მესოპოტამიასა და ეგვიპტეში აღმოჩენილია მიწის კადასტრის ნიშნები, რომლებიც დათარიღებულია 4000 წლით ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ეგვიპტეში მიწის კადასტრის არსებობას ადასტურებს ჩვენს ერამდე 300-იანი წლების პაპირუსები. მიწებს ხარისხის მიხედვით ყოფდნენ ორ ჯგუფად: ნორმალური შემოსავლის მომცემ და ბიწებად, რომლებიც ნორმალურ შემოსავალს არ იძლეოდა.

უძველესი კადასტრული რუკა, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, ინახება თურქეთში, სტამბულის მუზეუმში და შედგენილია 2200 წლის წინათ. იგი თიხისაგან დამზადებული ტაბულაა, რომელზედაც გამოკვეთილია სავარგულების სახეები და მათი ხარისხობრივი მდგომარეობა.

ძველი ბერძნული ფილოსოფიისა და პოეზიის წყაროები მოწმობს, რომ მიწის კადასტრს უძველესა დროიდან აწარმოებენ. ჩვენს ერამდე XII—VIII საუკუნეებში ბერძნები არჩევდნენ მიწისა და ნიადაგის ცნებებს. არისტოტელეს მოწაფე თეოფრასტე თავის თხზულებებში (372—287 წწ. ჩვენს ერამდე) ხაზს უსვამდა ნიადაგის ხარისხის აღრიცხვის აუცილებლობას, რაც ითვალისწინებდა ჰაერ და წყალგამტარობას, ქიმიურ შედგენილობას, სითბოშემცველობას, ნაყოფიერი ფენის სისქეს, მის სტრუქტურასა და შეფერილობას.

ძველ რომში მიწის კადასტრი (VI საუკუნე ჩვენს ერამდე) იყო მიწის მფლობელობის აღწერა, რომელშიც თავს იყრიდა ცნობები ნაკვეთის სიდიდის, მისი დამუშავების ხერხების, ხარისხისა და შემოსავლის შესახებ. ბრინჯაოს ფირფიტებზე დატანილი იყო მამულის გეგმადასახელება, საზღვრები და ფართობის სიდიდე; რომაელთა მიწის კადასტრის იმდროინდელი პრინციპები ფართოდ გავრცელდა მსოფლიოში ბევრ ქვეყანაში, განსაკუთრებით კი რომაელთა კოლონიებში.

შედარებით გვიან შეუდგნენ მიწის კადასტრის შედგენას ეგროპში ქვეყნები, რაც VII—VIII საუკუნეებით თარიღდება. კერძოდ, ცნობილია კარლოს დიდისა (768—814 წწ.) და ვილჰელმ დამპყრობლის (1066—1087 წწ.) მიწის კადასტრები, რომლებშიც მოცემული იყო მიწის რაოდენობისა და ხარისხის დაწვრილებითი ცნობები.

საუკუნეების განმავლობაში მრავალ ქვეყანაში იხვეწებოდა მიწის კადასტრის სახეები და ფორმები, შედგენის ხერხები, მაჩვენებლები, ორგანიზაცია და მეთოდები. ამაზე მიუთითებდა ე. პალიუტა, როდესაც წერდა, რომ: „ითვალისწინებთ რა კადასტრის შინაარსის სირთულესა და მრავალფეროვნებას, ჩვენ შესაძლოდ მიგვაჩნია, გავაკეთოთ შემდეგი განსაზღვრება კადასტრის მეცნიერების შესახებ—მოდერნობა

კადასტრზე წარმოადგენს საადგილმამულო ურთიერთობათა გაფორმების სისტემას მიწების აღრიცხვის აღწერისა და შეფასების მეშვეობით“.¹

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკადასტრო სამუშაოების წარმოება მეთოდოლოგიურად დაიხვეწა და ჩამოყალიბდა XVIII საუკუნის დასაწყისში. ამ პერიოდის მიწის კადასტრი ორი სახით იწარმოებოდა — მიწის შემოსავლიანობისა და ღირებულების მიხედვით. ამასთან, მიწის შემოსავლიანობის მიხედვით შედგენილი კადასტრი იყოფოდა პარცელარულ და მამულეების მიწის კადასტრად. პირველის დროს შეფასების საფუძველი იყო ცალკეული ნაკვეთი გაერთიანებული რაიონი ნიშნებით, ხოლო მეორის-ცალკეული მამული.

XVIII საუკუნის დასაწყისში ლომბარდიაში შემოღებული მიწის კადასტრი. ე. წ. მილანის მიწის კადასტრის სახელწოდებით ევროპაში მიიღეს როგორც სანიმუშო.

შემდგომ ეტაპზე ფრანგული მიწის კადასტრის წარმოებაში ძირითად კრიტერიუმად შემოიღეს წმინდა შემოსავალი და მიწების შეფასებას აწარმოებდნენ პარცელების მიხედვით. ფრანგული მიწის კადასტრის მეთოდებით შეადგინეს მიწის კადასტრები ავსტრიისა და პრუსიის ქვეყნებში.

შედარებით გვიან შეუდგნენ მიწის კადასტრის შედგენას მეფის რუსეთში. პირველი ასეთი აღწერა XII საუკუნით თარიღდება, რაც ხარკის ასაკრეფად შედგენილი „სახარკე დაეთარების“ სახელწოდებით შედგენილი წიგნების სახითაა ცნობილი. შემდეგ მათ აღსაწერ დაეთარ წიგნებსაც უწოდებდნენ.

მეფის რუსეთში მიწის კადასტრის წარმოების ამოცანა იყო სამღვდელთაობისათვის მიწების გადასაწილებისა და დაპყრობილი ხალხების დაბეგვრა. აღწერა მარტივი ხასიათის იყო და მათი ხარისხის გაუთვალისწინებლად მიწის სავარგულებად დაყოფას გულისხმობდა ხარისხობრივი ელემენტები კი XII საუკუნეში თავად სეიატოსლაგმა შეიტანა ნოვგოროდის მიწების აღრიცხვის დროს. დღემდე მოაღწია დოკუმენტაციამ, რაც შედგენილია თათართა ბატონობის დროს კიევისა და სუზდალის მიწების აღწერისას 1245 და 1257 წლებში. ამ პერიოდიდან დაწყებული ინტენსიურად დაიწყო მიწის საკადასტრო სამუშაოები ევროპული ნაწილის უმეტესში გუბერნიებში.

ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთიანი ცენტრალური სახელმწიფოს შექმნის შემდეგ ჩატარებული მუშაობა. ოჟანე IV მე-

¹ Е. Полюта Основы земельного кадастра, Воронеж, 1926, ст. 12.

ფობის დროს აღწერეს თითქმის მთელი რუსეთის მიწები, ხოლო XVI საუკუნიდან შეიქმნა მიწების აღწერა-შეფასების სპეციალური სამსახური. მის მოვალეობას შეადგენდა ერთიანი მიწის ფონდის დაყოფა სავარგულებად და მათი აღრიცხვა რაოდენობის, ხარისხისა და სამართლებრივი მდგომარეობის მიხედვით. ე. წ. ჩამწერლები ადგენდნენ დაუთარ წიგნებს, რომლებშიც მოცემული იყო მოსახლეობის აღწერის, ქონების რაოდენობის, მიწათსარგებლობის, კულტურის, გადასახადის სიდიდისა და საერთო ფინანსური საკითხები. სავარგულები დაყოფილი იყო ოთხ კატეგორიად: კარგი, საშუალო, ცუდი და უცუდესი.

XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთში საკადასტრო დოკუმენტაციის შედგენა-გაუმჯობესების ახალი ეტაპი დაიწყო. მთელს სახელმწიფოში ერთიანი საკადასტრო სამუშაოები მიმდინარეობდა, რაც 20 წელზე მეტს გაგრძელდა.

ამრიგად, კაცობრიობის ისტორიის განვითარებისა და საზოგადოების სოციალურ ფენებად დაყოფის შესაბამისად ვითარდება მიწის აღრიცხვა მიწათმფლობელთა დაბეგვრის მიზნით, რაც მიწის კადასტრის სახით ჩამოყალიბდა. ამასთან, ატარებდა რა კლასობრივ ხასიათს, იგი, თავის მხრივ, განსაზღვრავდა მიწის საკადასტრო სამუშაოებისა და დოკუმენტაციის განვითარებისა და სრულყოფის კანონზომიერებას.

მონათმფლობელურ სახელმწიფოში მიწის კადასტრს მარტივი სახით ადგენდნენ და მიწათმოსარგებლეთა დაბეგვრის იარაღი იყო. ფეოდალური საზოგადოების დროს გაიზარდა მიწის აღრიცხვის დოკუმენტაციაზე მოთხოვნა და ამან მოითხოვა აგრეთვე მათი ხარისხის გაუმჯობესება. ფეოდალიზმის დროს მიწის კადასტრის ერთიან სისტემაში ჩამოყალიბდა მიწების რეგისტრაცია, რომელმაც დააქანონა მიწაზე კერძო საკუთრება. ამ პერიოდში შედგენილი მიწის კადასტრები თავისი კლასობრივი ხასიათის გამო მსხვილ მიწათმფლობელთა გადასახადების შემცირების საშუალებას იძლეოდა. კაპიტალიზმის განვითარებამ ახალი, გაზრდილი მოთხოვნები წაუყენა მიწის აღრიცხვასა და შესაბამისად, მიწის კადასტრის წარმოებას, თუმცა ხერხები და მეთოდები კაპიტალისტური წარმოების წესის დროსაც არ შეცვლილა. უცვლელი დარჩა მისი წარმოების მიზანი—მშრომელთა დაბეგვრა და ქაპიტალიზაცია, რაც დღევანდელ კაპიტალისტურ სამყაროშიც გრძელდება. მიწის კადასტრი კაპიტალისტურ ქვეყნებში გაბატონებული კლასის გამდიდრებისა და ექსპლოატირებულთა სულ უფრო დამონების ძლიერი იარაღია. ყოველივე ამას ხელს უწყობს თვით სახელმწიფო, რომელმაც მოსპო მიწათსარგებლობის ფეოდალური გამონაშთები და

აწარმოებს მიწების სრულყოფილ აღრიცხვა-შეფასებას. იმის გამო, რომ კაპიტალისტური სისტემის დროს გაღრმავებულია საზოგადოების სოციალურ ფენებად დაყოფა, მიწის კადასტრის შედგენა კლასობრივი ბრძოლის ხასიათს ატარებს. მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს კაპიტალისტური მიწის კადასტრის სიზუსტე, რომელსაც ატარებს მიწის კადასტრის სპეციალური სამსახური. მიწის კადასტრთან ერთად წარმოებს მიწის რეგისტრაციის იურიდიულად გაფორმება, რაც მიწაზე კერძო საკუთრების დაცვის მიზნით ხორციელდება, როგორც წესი, მიწის კადასტრსა და მიწის რეგისტრაციას შორის მჭიდრო კავშირია და ისინი დაბეგვრის გარდა გამოიყენება მიწების ყიდვა-გაყიდვის, არენდით ვაცემის, მიწის რაციონალურად გამოყენებისა და მისი დაცვის ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელებისათვის.

ამდენად, მიწაზე კერძო საკუთრების პირობებში მიწის კადასტრი კლასობრივი ხასიათის მატარებელი დოკუმენტია, რომელიც იცვლებოდა და იხვეწებოდა საზოგადოებრივი ფორმაციების ყველა საფეხურზე. მასთან ერთად იცვლებოდა აგრეთვე მიწის კადასტრის ფორმა და შინაარსი. უცვლელი რჩებოდა მხოლოდ მიზანი და დანიშნულება-მშრომელი კლასის დაბეგვრის სახით. თუმცა კაპიტალიზმის პერიოდში, სხვა ფუნქციებთან ერთად, მიწის კადასტრის მონაცემები რენტის გაანგარიშებისა და, ამრიგად, მიწის ყიდვა-გაყიდვის ფუნქციებსაც ასრულებს.

II თ ა ვ ი

მიწის კადასტრის ხასიათი, ამოცანები და დანიშნულება სოციალიზმის პირობებში

სოციალისტური წარმოების პირობებში მიწის კადასტრის როლი და ამოცანები ძირითადად განსხვავდება მანამდე არსებული ფორმაციების დროს შედგენილი ანალოგიური დოკუმენტებისაგან. სოციალიზმის დროს მიწის კადასტრის ძირითადი ამოცანა არ არის მიწათმფლობელთა დაბეგვრა, გაბატონებული კლასის ინტერესების დაცვა და მიწის ყიდვა-გაყიდვის რეგულირება, არამედ იგი მიზნად ისახავს მიწის ფონდების რაციონალურად გამოყენების უზრუნველყოფას. ამრიგად მას საწარმოო მიზნები და ამოცანები უკისრია და აქვს უდიდესი სა

ხალხმეურნეობრივი მნიშვნელობა. კერძოდ, მისი ძირითადი ამოცანაა პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფო შესყიდვის დასახლებული გეგმების განსაზღვრა, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისათვის მიწების გამოყოფა, განსხვავებული ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების მქონე საწარმოებისათვის მეურნეობრიობის თანაბარი პირობების შექმნა, პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის ფასების დიფერენცირება და სხვ.

ცნობილია, რომ სოციალისტური წარმოების წესისათვის დამახასიათებელია სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი, პროპორციული განვითარების კანონი, რითაც იგი პრინციპულად განსხვავდება კაპიტალიზმისაგან. ეს პირობა ქმნის წარმოების რაციონალური ორგანიზაციის, შრომისა და წარმოების სხვა ძირითადი საშუალებების ეფექტიანად გამოყენების მინიმალური დანახარჯების დროს პროდუქციის მაქსიმალური რაოდენობის მიღების წანამძღვრებს. ამიტომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მეცნიერებისა და პრაქტიკის ამოცანაა წარმოების რაციონალური მართვის ფორმების დამუშავება და გამოყენება. ყველაზე მეტად ეს ეხება სახელმწიფოსა და საწარმოთა ეკონომიკური ურთიერთობის სრულყოფილი ფორმების დამუშავებას, რამდენადაც ისინი განსაზღვრავს სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობას. ეს უკანასკნელი კი ზონალური თავისებურებებიდან გამომდინარე ეკონომიკის თითქმის ყველა მხარეზე მოქმედებს.

ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ სოციალიზმი, უპირველეს ყოვლისა, აღრიცხვას, აღრიცხვა და კონტროლი სოციალისტური წარმოებრივი ურთიერთობის საფუძველია. ვ. ი. ლენინის ამ დებულებას დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა, როგორც საზოგადოებრივი წარმოების განვითარების, სოფლის მეურნეობის აღმავლობის, პროდუქციის წარმოების ზრდისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების მნიშვნელოვან ბერკეტს.

მიწის კადასტრი, ერთი მხრივ, ეყრდნობა სახალხო მეურნეობის სტატისტიკური და საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემებს, ხოლო მეორეს მხრივ, აღრიცხვის ერთიანი სისტემის შემადგენელი აუცილებელი ელემენტია. კერძოდ, მიწის კადასტრში გამოიყენება ოპერატიულტექნიკური და საბუღალტრო აღრიცხვის დოკუმენტაციის მონაცემები მიწის ფართობების, მათი ათვისების, ბალ-ვენახების და ქარსაფარების გაშენების, გასარწყავება-დაშრობის, ბუჩქნარებისაგან გაწმენდის, სათიბ-საძოვრების გაუმჯობესების, შრომისა და წარმოების სხვა საშუალებების ხარჯვის, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის, მთლიანი პროდუქციის სიდიდის, დანახარჯების უკუგების,

პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვისა და ა. შ. თავის მხრივ მიწის კადასტრი იძლევა ყოველგვარ მონაცემებს მიწათსარგებლობის შესახებ, როგორც საწარმოოს, ისე რაიონის ჭრილში. მათში შედის მიწათსარგებლობის რეგისტრაციის, მიწების რაოდენობრივი და ხარისხობრივი აღრიცხვის, ნიადაგების ბონიტირებისა და მიწების ეკონომიკური შეფასების მაჩვენებლები, რომლებიც მიღებულია მრავალმხრივი (ნიდაგური, გეობოტანიკური და მელიორაციული) გამოკვლევების დამუშავებისა და ანალიზის საფუძველზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიწის კადასტრი, როგორც სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ერთიანი სისტემის შემადგენელი ელემენტოვდიდესი სახალხო მეურნეობრივი მნიშვნელობის დოკუმენტია მიწების რაციონალურად გამოყენების ორგანიზაციისა და ქვეყნის მიწის ფონდის მართვის საქმეში. მიწის ფონდის მართვა და მისი რაციონალურად გამოყენება სოციალისტური გეგმიანი წარმოების წესის აუცილებელი პირობაა. მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მიმდინარე პერიოდში, რასაც ხაზი გაესვა სკკპ ცკ 1978 წლის ივლისის პლენუმზე და XXVI ყრილობაზე, როდესაც შემუშავდა პარტიის აგრარული პოლიტიკის სტრატეგია და ტაქტიკა სასურსათო პროგრამის სახით.

თანამედროვე ეტაპზე პარტიის აგრარული პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგრარულ-სამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შემდგომი განვითარება ქვეყნის სურსათითა და ნედლეულით საიმედოდ უზრუნველყოფისათვის. სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალისტური განვითარების 1981—1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებებში მითითებულია, რომ ამ ამოცანის გადაწყვეტა მოითხოვს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის დინამიკურ განვითარებას და ეფექტიანობის ამაღლებას. ამ მიზნით უნდა მნიშვნელოვნად აემაღლოთ მიწის, საწარმოო ფონდებს, მატერიალური ფინანსური და შრომითი რესურსების გამოყენების ეფექტიანობა. სოფლის მეურნეობის ძირითად პრობლემად კვლავ მიჩნეულია წარმოების განსაკუთრებული საშუალების—მიწის ნაყოფიერების ამაღლება და მისი მაღალეფექტიანად გამოყენება. აღნიშნულის კონკრეტული გამოხატულებაა მიწების მელიორაციის, სოფლის მეურნეობის ქიმიზაციისა და მექანიზაციის ფართო პროგრამა. მისი განხორციელებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მეცნიერულად დასაბუთებული გეგმების შედგენისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება მიწის კადასტრის შედგენას.

ეს უკანასკნელი ნიადაგის ნაყოფიერებიდან გამომდინარე დიფერენ-
ციული რენტა I და II გამოყოფის საშუალებასაც იძლევა, რითაც
ხელს უწყობს საწარმოთა თანაბარ ეკონომიკურ პირობებში ჩაყენებას.

ნიადაგის ნაყოფიერების ცნება მის ბუნებრივ ნიშან-თვისებებთან
ერთად გულისხმობს მიწაზე ადამიანის ზემოქმედებას, ანუ ეკონომი-
კურ პირობებსაც. ისიც დადგენილია, რომ სოფლის მეურნეობაში წა-
რმოების საბოლოო შედეგს მარტო მუშაკის კვალიფიკაცია არ განსა-
ზღვრავს. დიდ როლს ასრულებს ნიადაგის ნაყოფიერება და ნაკვეთის
ადგილმდებარეობა, ამიტომ ნიადაგის ნაყოფიერების ამალებისა და
მისი ეფექტიანად გამოყენების ღონისძიებანი ყველა კონკრეტულ შე-
მთხვევაში უნდა განხორციელდეს ადგილობრივი პირობებისა და ინ-
ტენსიფიკაციის შედეგად საწარმოო ძალებში მომხდარი ცვლილებე-
რის გათვალისწინებით. ამ უკანასკნელს განსაკუთრებული მნიშვნელ-
ობა აქვს ჩვენი რესპუბლიკისათვის, რაც რესპუბლიკის პარტიული
პროგრამისა და მთავრობის ყოველდღიური საქმიანობის ძირითად
საკითხად იქცა.

სსრ კავშირის 1990 წლამდე პერიოდის სასურსათო პროგრამა,
რომელიც მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის მაისის
პლენუმმა, სოფლის მეურნეობისა და სხვა აგროსამრეწველო დარგებ-
ის მართვის გაუმჯობესების, ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფისა
და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ეკონომიკის აღმავლობის ერთი-
ანი, მწყობრი კომპლექსური სისტემაა. პროგრამაში ხაზგასმითაა მით-
ითებული, რომ მნიშვნელოვანი ერთ-ერთი ძირითადი მიმართულე-
ბაა სასოფლო-სამეურნეო წარმოების სწრაფი ტემპები, მიწის მალალ-
ეფექტიანად გამოყენება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ყოველმხრი-
ვი განმტკიცება მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების დაჩქარე-
ბული დანერგვით. თანამედროვე პერიოდში კი ამ საკითხების გადაჭ-
რა წარმოუდგენელია ეკონომიკური და სოციალური ასპექტების ურ-
თიერთკავშირის გარეშე, რასაც განსაკუთრებით აქვს ხაზი გასმული
სკკპ პროგრამაში, სკკპ XXVI ყრილობის და სკკპ ცენტრალური კომი-
ტეტის შემდგომი პლენუმების ისტორიულ დოკუმენტებსა და დად-
გენილებებში.

სასურსათო პროგრამის ოპტიმალურად გადაჭრისათვის დიდი მნი-
შვნელობა აქვს ცალკეული რეგიონისა და რაიონის მიხედვით სოციალ-
ეკონომიკური განვითარების გეგმების შედგენას, რომლებშიც არსე-
ბული რეზერვების სრულად გამოყენების მიზნით გათვალისწინებული
იქნება ბუნებრივ-ეკონომიკური და ნიადაგობრივი პირობები. ეს პრო-
ცესი გულისხმობს დაგეგმვის საფუძვლებისა და მეთოდების სრულ-

ყოფასა და შემდგომ დამუშავებას დღევანდელ მოთხოვნათა შესაბამისად.

წარმოების ყოველმხრივი ინტენსიფიკაციის, სამეურნეობათაშორისო კოოპერირებისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციის გაღრმავების პროცესში სულ უფრო რთული ხდება სახალხო მეურნეობის დარგთაშორისი კავშირები. აღნიშნული დღის წესრიგში აყენებს დაგეგმვაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა გამოყენების აუცილებლობას, რაც ხელს შეუწყობს მატერიალური და სხვა საშუალებების რაციონალურად გამოყენებას. რამდენადაც სოფლის მეურნეობაში ყოველგვარი წარმოების საფუძველი მიწაა, ამდენად დაგეგმვა მიწის შესაძლებლობათა გათვალისწინებითა და მისი მალაღებეტიანად გამოყენების ღონისძიებათა დასახვით უნდა დაიწყოს. ეს უკანასკნელი თავის მხრივ მოითხოვს მიწის ყოველმხრივ შესწავლა-აღრიცხვას. ანუ მისი სამეურნეო ღირსებების შეფარდებითი სიდიდის დადგენას. შემდგომ ეტაპზე კი მიწის შეფასებაში გამოხატული ნიადაგის ნაყოფიერება უნდა დაედოს საფუძვლად სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის, პროდუქციის წარმოების, სახელმწიფო შესყიდვის გეგმების გადანაწილებისა და სხვა მნიშვნელოვანი მაჩვენებლების დაგეგმვას.

სოფლის მეურნეობაში პროდუქციის წარმოების სიდიდეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა განსაზღვრავს, ამასთან, მისი სიდიდე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მიწათმოქმედების კულტურის დონეზე, ჭიმინაობაზე, თესლის ხარისხზე, თესვის ვადებსა და სხვა ფაქტორებზე, მიუხედავად ამისა მოსავლიანობას მართო წარმოების დონე არ განსაზღვრავს და მასზე უდიდეს გავლენას ახდენს ნიადაგის ხარისხი, რაც თავისთავად წარმოებაში მის გათვალისწინებას მოითხოვს. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის დაგეგმვა მიწის ხარისხის გათვალისწინებით სხვა კეთილმოყოფელ ფაქტორებთან ერთად გამოუყენებელი რეზერვების გამოვლინების საშუალებას იძლევა.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ამოსავალი მაჩვენებელი მეცნიერულად დასაბუთებული, მყარი სახელმწიფო შესყიდვის გეგმებია, სახელმწიფო შესყიდვის დაგეგმვის კონკრეტული ამოცანაა წარმოებაში მიღწეული შედეგებისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის გათვალისწინებით განსაზღვროს ყველაზე ოპტიმალური სიდიდე რაიონებისა და საწარმოებისათვის. ასეთმა მეთოდმა უნდა უზრუნველყოს პროდუქციის წარმოების ზრდა და შექმნას გაფართოებული კვლავ-

წარმოების საუკეთესო პირობები. ეს კი მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ მთლიანადაა გათვალისწინებული ნიადაგის ნაყოფიერება და ნაკვეთის ადგილმდებარეობა. ამის საშუალებას კი მიწის კადასტრის შემადგენელი ელემენტების შეფასების შედეგები იძლევა; მიწის ნაყოფიერების პროპორციულად გადანაწილებული სახელმწიფო გეგმების დიდ მნიშვნელობას განსაზღვრავს ისიც, რომ ისინი სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს აყენებს თანაბარ ეკონომიკურ პირობებში. ამ ფაქტორს დიდი როლის შესრულება შეუძლია ჩამორჩენილი და ზარალიანი საწარმოების თანდათანობით ლიკვიდაციის საქმეში.

მუშასადამე, ადმინისტრაციული რაიონის შიგნით ცალკეული საწარმოს მიხედვით შესყიდვის გეგმების დიფერენცირების აუცილებლობა განპირობებულია საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის გაუმჯობესების, მათი თანაბარ ეკონომიკურ პირობებში ჩაყენების, არსებული რეზერვების გამოვლენის, ზარალიან მეურნეობათა ლიკვიდაციისა და მიწის რენტის გადანაწილების რეგულირებისათვის.

თავის მხრივ, მიწის ბუნებრივი ნიშან-თვისებების სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაგეგმვასა და ორგანიზაციაში გათვალისწინება მიწასთან დაკავშირებული რიგი საკითხის გადაჭრას მოითხოვს.

ამრიგად, თანამედროვე ეტაპზე სოფლის მეურნეობის სწრაფი ტემპით განვითარებისა და სასურსათო პროგრამის ოპტიმალურად გადაჭრის აუცილებელი პირობაა მიწის ფონდის სტრუქტურის გაუმჯობესება (მალალინტენსიური სავარგულების ზედრითი წილის ზრდა), მათი რაციონალურად გამოყენებისა და უარყოფითი ბუნებრივი პირობებისაგან დაცვის ღონისძიებათა განხორციელება. ეს მოთხოვნები, უპირველეს ყოვლისა, დღის წესრიგში აყენებს მიწის ბუნებრივი, სამეურნეო და სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ სარწმუნო მონაცემების მოპოვებას, მისი მოვლა-პატრონობის გაუმჯობესებას, მეცნიერულად დასაბუთებული თესლბრუნვების დანერგვას, ახალი მიწების ათვისებას, ბუნებრივი საკვები სავარგულების გაუმჯობესებას, მელიორაციული ღონისძიებების გატარებას და ა. შ.

მიწის ფონდების აღრიცხვა და სათანადო ეფექტიანად გამოყენების დაგეგმვა სოფლის მეურნეობის პროდუქციის დიდი რაოდენობით მიღებასთან ერთად ხელს უწყობს მიწის ხარისხის ამაღლებას და მისი ნაყოფიერების გაუმჯობესებას. ცნობილია, რომ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ნაყოფიერებას განსაზღვრავს მცენარისათვის შესათვისებელ ფორმაში საკვები ნივთიერებებისა და ტენის არსებობა, რაც ნიადაგის ობიექტური, მაგრამ აღაშინის ზემოქმედებით მუდმივად ცვალებადი თვისებაა, კ. მარქსი, არჩევდა რა ნიადაგის ბუნე-

ბრივ და ეკონომიკურ, ანუ ეფექტიან ნაყოფიერებას, მიუთითებდა, რომ იგი იცვლება აგრონომიის და ბუნებათმცოდნეობის მეცნიერებების განვითარებასთან ერთად, რამდენადაც ისინი ცვლიან წარმოების იმ საშუალებებს, რომელთაც ნიადაგის საკვები ერთეულები შესათვისებელ ფორმაში მოჰყავს. თანამედროვე ეტაპზე ქიმიის გამოყენება ცვლის ნიადაგის ბუნებას, ხოლო წარმოების სხვა საშუალებების ცვლა ხელს უწყობს ნიადაგის შეფარდებითი ნაყოფიერების ზრდას: სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის განვითარების შედეგად სულ უფრო მეტი შესაძლებლობა იქმნება ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებისა და ფართობის ერთეულიდან ნაკლები დანახარჯებით მეტი პროდუქციის მიღებისა.

სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარების ისტორია გვიჩვენებს, რომ ნიადაგის ნაყოფიერების ზრდის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა მიწების მელიორაცია ამ სიტყვის ფართო გაგებით. მელიორაცია გულისხმობს სამუშაოთა მთელ კომპლექსს, რომლის შედეგად მიიღწევა მიწის რაციონალურად გამოყენება და იზრდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობა. სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981—1985 და 1990 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებებში ხაზგასმითაა მითითებული, რომ აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების ძირითადი პირობაა მელიორაციის შემდგომი განვითარება და უნდა „მივაღწიოთ სარწყავი და დაშრობილი მიწების გამოყენების ეფექტიანობის ყოველმხრივ ამაღლებას. ავამდილოთ წყალსამეურნეო მშენებლობის ტექნიკური დონე და ხარისხი, უზრუნველვყოთ მიწების მელიორაციისა და სასოფლო-სამეურნეო ათვისების სამუშაოთა კომპლექსური მოწყობა“.¹

აქედან მიწის კადასტრი სახელმწიფო ხასიათის დოკუმენტია და მისმა შედგენამ ხელი უნდა შეუწყოს რიგი საკითხის გადაწყვეტას, რომელთაგან ძირითადია შემდეგი:

რესპუბლიკაში ფაროდაა გაშლილი სამეურნეობათაშორისო კოპერირებისა და აგრარულ-სამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის გაღრმავების სამუშაოები. ამ პროცესში სულ უფრო რთული და მრავალმხრივი ხდება სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგის კავშირები, ამდენად, საჭიროა საიმედო ეკონომიკური მექანიზმის შემუშავება, რომელიც საშუალებას მოგვცემს შევარჩიოთ ყველაზე ეფექტიანი ვა-

¹ სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981—1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი თბ., 1981, გვ. 64.

რიანტი. მანვე უნდა უზრუნველყოს სოფლის მეურნეობის საჭირო ტემპებით განვითარება, მიღებული შემოსავლის სწორი განაწილება დარგებსა და კომპლექსში შემავალ საწარმოებს შორის და, რაც მთავარია, მიწის რაციონალურად გამოყენება. თავის მხრივ, მიწის ყოველმხრივმა აღრიცხვა-შეფასებამ უნდა განსაზღვროს მეურნეობის კონკრეტული სახის სავარგული როგორი ნაყოფიერებისაა, რისი მოცემა შეუძლია და რომელი კულტურა უფრო მაღალ ეფექტს იძლევა;

კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება-დამზადების გეგმების შედგენისას მთლიანად ვერ ითვალისწინებენ მათ ბუნებრივ-ეკონომიკურ პირობებს, კერძოდ, მიწის ნაყოფიერებასა და მისი რეალური ასახვა-შეფასების მაჩვენებლებს. გეგმებს, ძირითადად, ადგენენ მიღწეული შედეგების მიხედვით, ეს მაშინ, როდესაც ცნობილია, რომ წარმოების დონესა და მის ეფექტიანობას განსაზღვრავს ობიექტური (ნიადაგის ნაყოფიერება, შრომითი რესურსებით უზრუნველყოფა, სპეციალიზაცია) და სუბიექტური (მიწის, შრომითი რესურსებისა და წარმოების საშუალებათა მწარმოებლურად გამოყენების უნარი) ფაქტორები. ამდენად დაგეგმვის დროს ირღვევა მისი ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი—ყველა მეურნეობის შესაძლებლობათა გამოვლენებისა და ერთნაირად დაძაბული გეგმების განსაზღვრის, რთულდება ცალკეული რეგიონის საწარმოთა პოტენციურ შესაძლებლობათა გამოვლენის, მთლიანად გამოყენებისა და მათი ეკონომიკის განმტკიცების პროცესები;

საბჭოთა კავშირში და საქართველოშიც ყოველწლიურად მცირდება სახნაის ფართობები (როგორც აბსოლუტურად, ისე ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით), სახალხო მეურნეობის გეგმზომიერი, პროპორციული განვითარების კანონის შესაბამისად ეს პროცესი შემდეგშიც გაგრძელდება, ამასთან, ამ საქმეში სულ უფრო მეტი ადგილი უნდა დაეთმოს ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებას, რაც აუცილებლად გულისხმობს დაბალნაყოფიერი სავარგულების გამოყოფას;

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მთავრობა უკანასკნელ წლებში ქმედით ღონისძიებებს ახორციელებდნენ რესპუბლიკის რეგიონების სოციალ-ეკონომიკური განვითარებისათვის. ეს პროცესი სხვა კეთილმყოფელ პირობებთან ერთად, ხელს უწყობს მთიანი რაიონების საწარმოო ძალთა განვითარებას და წარმოების კონცენტრაციას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, უკანასკნელ პერიოდში მაინც მიმდინარეობს მთის შრომისუნარიანი მოსახლეობის შემცირების უარყოფითი პროცესი. ამ მომენტს, სხვა ფაქტორებთან ერთად, იცი იწვევს, რომ დაგეგმვის სისტემაში, კერძოდ, სასოფლო-სამეურ-

ნეო პროლუქციის შესყიდვის ფასების დიფერენცირებაში გვაქვს ნაკლოვანებები. მათი დადგენის დროს არ ითვალისწინებენ ნიადაგის ნაყოფიერებას, ადგილმდებარეობას და წარმოების სხვა უარყოფით მოვლენებს.

საქართველოს ყამირია კოლხეთი, რომლის ათვისებამ ასეული მილიონობით დამატებითი პროდუქცია უნდა მოგვცეს, იგი უნდა აითვისონ დაჭაობებული ფართობების ნაყოფიერების გათვალისწინებით. ეს ფაქტორი მეტად მნიშვნელოვანია კაპიტალდაბანდებათა უკუგების განსაზღვრა-გაანგარიშებისა და ამ ეტაპზე დაბალნაყოფიერი ფართობების ათვისების თავიდან აცილებისათვის.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება კოლმეურნეობებიდან მიწის გადასახადის სიდიდის სწორად დადგენას, რაც მიწის ხარისხის მიხედვით უნდა იქნეს დიფერენცირებული მიწის კადასტრის მონაცემების ფართოდ გამოყენების საფუძველზე.

მიწის კადასტრს, სამეურნეო მნიშვნელობასთან ერთად, აქვს უდიდესი სახელმწიფოებრივი დანიშნულება, როგორც მიწის ნაციონალიზაციის, მასზე სახელმწიფო საკუთრების დაცვის, მიწათმოსარგებლეთა უფლებების განმტკიცებისა და მიწის რესურსების მიზნობრივი დანიშნულებისამებრ გამოყენების ძირითად დოკუმენტს. მისი მონაცემების საშუალებით აღდგენილი იქნება მიწათსარგებლობის კანონიერი წესრიგი მისი დარღვევის შემთხვევაში და ა. შ.

საკადასტრო მონაცემებით უნდა ვიხელმძღვანელოთ მიწის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყოფის დროს, როდესაც მიზანშეწონილია პირველ რიგში სოფლის მეურნეობაში გამოუყენებელი ან დაბალნაყოფიერი მიწების გამოყოფა. ამიტომ, მთავარია მიწის ფონდის სავარგულებად დაყოფისა და მათი ნაყოფიერების ამსახველი მაჩვენებლები, რომელთა მიღების ძირითადი წყაროა მიწის კადასტრი.

საზოგადოებრივი წარმოების განვითარებისა და დარგთაშორისი კავშირების გაფართოების შედეგად წარმოების სფეროში ირთვება ბუნებრივი რესურსების სულ უფრო ფართო სფერო და ამით იზრდება სოციალური, ეკონომიკური, ტექნიკური და ტექნოლოგიური პროცესების ურთიერთკავშირი. ამიტომაც თანამედროვე ეტაპზე წარმოების ნორმალური ფუნქციონირება ბიოეკონომიკური სისტემის შესწავლასა და მართვას მოითხოვს. ეს, თავის მხრივ, გულისხმობს არა მარტო წარმოების პროცესის ზრდას, არამედ ბუნებრივი პირობების გაუმჯობესებასაც, რაც ადამიანთა მოდგმის შემდგომი არსებობის აუცილებელი პირობაა. გარემო პირობების დაცვის ღონისძიებათა სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მიწის ნაყოფიერების ამაღლებისა და მისი დაცვის ღონისძიებებს.

ამრიგად, სოციალისტურ საზოგადოებაში მიწის კადასტრის ამო-
ცანები საკმაოდ მრავალმხრივი და მნიშვნელოვანია, რაც მას უდიდეს
სახალხომეურნეობრივ მნიშვნელობას ანიჭებს.

მიწის კადასტრის მიზანი და დანიშნულება განსაზღვრავს მის
შინაარსსა და ამოცანებს. მიწის კადასტრმა უნდა უზრუნველყოს სო-
ციალისტური გეგმიანი წარმოება ამ მიზნებისათვის საჭირო ყოველ-
გვარი მონაცემებით, საზოგადოების მოთხოვნილებათბ სრულად დაკ-
მაყოფილების ინტერესებიდან გამომდინარე. სოციალისტური წარმო-
ების გეგმიანობა განსაზღვრავს მიწის კადასტრის ერთიანი სისტემით
შედგენის ხასიათს ქვეყნის მასშტაბით.

როგორც სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის
კანონმდებლობის ძირითად საფუძვლებშია მითითებული მიწის კა-
დასტრი უზრუნველყოფს მიწის რესურსების რაციონალურად გამო-
ყენებას, იძლევა რა სარწმუნო მონაცემებს მიწის ბუნებრივი, სამეუ-
რნეო და სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ.

მიწის კადასტრის წარმოების სისტემა, მოცულობა, შინაარსი, მი-
ზნები და შემადგენელი ელემენტები განსაზღვრულია სსრ კავშირის
მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 19 ივნისის № 501 დადგენილებით
„სახელმწიფო მიწის კადასტრის წარმოების წესის შესახებ“. ამ დად-
გენილების შესაბამისად მთელი ქვეყნის მასშტაბით მიწის შეფასების
პირველი ეტაპი 1980 წლის ბოლოს დამთავრდა. მიღებული შედეგების
დაზუსტება და კორექტურა კი ყოველ მომდევნო ხუთწლედის მეოთხე
წლის ბოლოსათვის უნდა განხორციელდეს იმ ვარაუდით, რომ ისინი
გამოყენებულ იქნას ხუთწლედის გეგმების შედგენაში. აღნიშნული
დადგენილებისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის
20 სექტემბრის № 649 დადგენილების „საქართველოს სს რესპუბლი-
კაში სახელმწიფო მიწის კადასტრის წარმოების ღონისძიებათა შესახ-
ებ“ მოთხოვნათა სრული გათვალისწინებით უნდა ჩატარდეს ყველა
ეტაპზე რესპუბლიკის მიწის კადასტრის სამუშაოები.

სახელმწიფო მიწის კადასტრის წარმოების
წესის შესაბამისად დადგენილია საკადასტრო დოკუმენტაციის ფორმები და ინსტრუქციები.
ი უ მ ე ბ ი: აგრეთვე განსაზღვრულია მიწის საკადასტრო დოკუმენტა-
ციის შედგენისა და მიღებული შედეგების მიხედვით მიწის რაციონა-
ლურად გამოყენების დაგეგმვისა და ორგანიზაციის საკითხები. როგ-
ორც კადასტრის შედგენის წესი და მეთოდები, ისე დოკუმენტაცია
ერთიანი-საკავშირო და სავალდებულოა ყველა სამეცნიერო თუ საწა-
რმოო ორგანიზაცია-დაწესებულებებისათვის.

სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონიდან გამომდინარე

ჩვენს ქვეყანაში ჩამოყალიბებულია მეურნეობრიობის აღრიცხვის ერთიანი სისტემა, რადგან მისი ობიექტია მთლიანი სოციალისტური სახალხო მეურნეობა თავისი დარგებითა და საწარმოებით, აღრიცხვას ხელმძღვანელობს სახელმწიფო და, კერძოდ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო, რომელსაც რესპუბლიკებში აქვს სამმართველოები.

აღრიცხვის ასეთი სისტემა უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის მართვის და დაგეგმვის სრულყოფილ ციკლს, რადგან აღრიცხვა ქვეყნის მასშტაბით ერთიან მეთოდოლოგიურ საფუძვლებს ემყარება, მათ შორის მჭიდრო კავშირია დამყარებული და ერთიან მწყობრ, უწყვეტ სისტემას ქმნის.

მიწის კადასტრი, როგორც სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ერთიანი სისტემის შემადგენელი ნაწილი, რიგი სპეციფიკურობით ხასიათდება, რასაც მიწის თავისებურებანი განსაზღვრავს. სოციალისტური წარმოების პირობებში მიწის კადასტრი გამოდის როგორც სახელმწიფო ღონისძიება მიმართული წარმოების დაგეგმვის, მიწაზე სახელმწიფო საკუთრების დაცვის, ერთიანი მიწის ფონდის მართვა-გამოყენებისა და კონტროლის საშუალება. ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებული მნიშვნელობა სამართლებრივი თვალსაზრისით ენიჭება მიწაზე სახელმწიფო საკუთრების დაცვასა და მის გამოყენებაზე კონტროლს. რამდენადაც საბჭოთა სახელმწიფო მიწის ერთადერთი მესაკუთრე და განმკარგულებელია, ამიტომ მიწასთან დაკავშირებული ყოველგვარი საკითხის ოპტიმალურად გადაჭრა საჭირო კონტროლს მოითხოვს. იგი უნდა ეყრდნობოდეს მისი შესწავლის, აღრიცხვისა და შეფასების უტყუარ მასალებს, რასაც მიწის კადასტრი იძლევა. მიწის კადასტრმა განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულოს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისათვის მიწების გამოყოფაში, რამდენადაც ამ მიზნით სოფლის მეურნეობაში გამოყენებული მაღალნაყოფიერი მიწების გამოყოფა კანონითაა აკრძალული იშვიათი გამონაკლისების გარდა.

ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სხვა დარგების მსგავსად მიწის კადასტრში გამოიყენებიან აღრიცხვის აბსოლუტური და შედარებითი სიდიდეები. აბსოლუტური სიდიდეები, თავის მხრივ, იყოფა ნატურალურ, შრომით და ღირებულებით მაჩვენებლებად. ნატურალური მაჩვენებლები კონკრეტული პროდუქციისა და გაწეული დანახარჯების აღრიცხვის საშუალებას იძლევა, კერძოდ, მიწა ჭერჯერობით მხოლოდ ჰექტრებით აღირიცხება. ის შეიძლება, გამოყენებული იქნას აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის,

საწვავ-საცხების დანახარჯების და სხვათა აღრიცხვის დროსაც. შრომითი მაჩვენებლები გამოიყენება ფართობის ერთეულზე ან მიღებულ პროდუქტიაზე გაწეული შრომის დანახარჯების აღრიცხვის დროს. სტატისტიკური აღრიცხვის სისტემაში უფრო გავრცელებულია ღირებულებითი მაჩვენებლები, რომლებიც გამოიყენება როგორც აბსოლუტური, ისე შეფარდებითი სინთეზური სიდიდეების სახით თითქმის ყველა დარგსა და სფეროში.

აქედან, მიწის კადასტრს მჭიდრო კავშირი აქვს სტატისტიკურ, საბუღალტრო და ოპერატიული აღრიცხვის სახეებთან.

სტატისტიკური აღრიცხვა მოვლენის ყოველმხრივ შესწავლის საშუალებას იძლევა. კერძოდ, იგი ადგენს მისი სიდიდის ზრდის ტემპებსა და სტრუქტურის მაჩვენებლებს, ამ მეთოდის დროს ფართოდ გამოიყენება დაჯგუფების, საშუალო სიდიდეების, ინდექსებისა და სხვა მეთოდები.

საბუღალტრო აღრიცხვა ასრულებს გეგმების შესრულებისა და ფულად-მატერიალური საშუალებების ხარჯვის კონტროლის ფუნქციას. აღრიცხვის ეს სახე წმინდა დოკუმენტური ხასიათისაა და მისთვის დამახასიათებელია რიგი სპეციფიკური ხერხები და მეთოდები. კერძოდ, ბალანსის მეთოდი, რომელშიც ფართოდ გამოიყენება ღირებულებითი მაჩვენებლები.

ოპერატიული აღრიცხვა წარმოების პროცესში ცალკეული სამეურნეო ან სხვა სახის ოპერაციის ოპერატიული ხელმძღვანელობის საშუალებაა. აღრიცხვის ეს სახე მჭიდროდაა დაკავშირებული ოპერატიულ დაგეგმვასთან და გამოიყენება როგორც ნატურალური, ისე შრომითი და ღირებულებითი მაჩვენებლები.

მიწის კადასტრში აღრიცხვის ამ სახეების მონაცემები მეტ-ნაკლები სიდიდით გამოიყენება. უფრო ფართოდ სტატისტიკური და საბუღალტრო, ხოლო შედარებით მცირე მასშტაბით-ოპერატიული აღრიცხვის მასალები.

გარდა ამისა, მიწის კადასტრში გამოიყენება მიწათმოწყობის მასალები, სადაც მიწა განხილულია როგორც წარმოების ძირითადი საშუალება და ამით მიწათმოწყობა მიწის კადასტრის წინა პირობაა. ამასთან, მიწის საკადასტრო დოკუმენტაციას მომდევნო ეტაპებზე შიგასამეურნეო და მეურნეობათაშორისო მიწათმოწყობის საფუძვლად იღებენ, როგორც მიწის რაციონალურად გამოყენების ღონისძიებათა დასახვისა და მისი დაცვის მნიშვნელოვან ღონისძიებას.

მიწის კადასტრის შემადგენელი ელემენტები, სასეუბნი და კრინსიკები

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მიწის კოდექსის 128-ე მუხლში მითითებულია, რომ «სახელმწიფო მიწის კადასტრი შეიცავს მიწათსარგებლობის რეგისტრაციას, მიწების რაოდენობისა და ხარისხის აღრიცხვის, ნიადაგის ბონიტირებისა და მიწების ეკონომიკური შეფასების მონაცემებს».¹ აქედან, მიწის კადასტრი მიწის ბუნებრივი, სამეურნეო და სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ყოველგვარი ცნობებისა და მონაცემების ერთიანი, მწყობრი, კომპლექსური სისტემაა. მიწის კადასტრის შემადგენელი ელემენტები განყენებულად არ არის, არამედ მათ შორის გარკვეული კავშირია და განხორციელების ლოგიკური თანმიმდევრობა. ყოველი მომდევნო ელემენტი პირველიდან გამომდინარეობს და მისი გაგრძელებაა.

ჩვენს ქვეყანაში მიწა სახელმწიფო საკუთრებაა და იგი მოსარგებლებს მიზნობრივი დანიშნულებისათვის გადაეცემა, ამიტომ საჭიროა მისი იურიდიული გაფორმება. ამ ფუნქციას, ანუ მიწათსარგებლობის გაფორმებას ახორციელებს მიწათსარგებლობის სახელმწიფო რეგისტრაცია. მიწათსარგებლობის რეგისტრაცია ეს არის სახელმწიფო დონისძიება მიმართული მიწების აღრიცხვის, მათი დანიშნულებისამებრ გამოყენების, მიწაზე სახელმწიფო საკუთრების უფლების დაცვისა და სოციალისტური საადგილმამულო ურთიერთობათა განვითარებისათვის. მიწების რეგისტრაციის ძირითადი დოკუმენტებია: სახელმწიფო აქტი მიწათსარგებლობის უფლებაზე, აგრეთვე მიწათმოსარგებლებზე მიწების მიმაგრების სპეციალური ჩანაწერები, მიწების აღრიცხვა-რეგისტრაციის დოკუმენტებში მიწით სარგებლობის უფლების დასაბუთებისა და სარგებლობის ვადის განსაზღვრასთან ერთად.

მიწათსარგებლობის რეგისტრაცია მოიცავს ერთიან სახელმწიფო მიწის ფონდს და მიწის ფაქტობრივი მდგომარეობის აღრიცხვის დროს შეისწავლიან მის სიდიდეს, ხარისხობრივი მდგომარეობისა და გამოყენების მიხედვით, ამიტომ მიწის რაოდენობრივი და ხარისხობრივი აღრიცხვა გულისხმობს მიწის, როგორც მეურნეობრიობის ობიექტისა და წარმოების ძირითადი საშუალების ბუნებრივი მდგომარეობისა

¹ საქ. სსრ მიწის კოდექსი, თბ., 1973, გვ. 78.

და გამოყენების შესახებ ყოველგვარი ცნობის მოპოვებისა და სისტემატიზაციის ღონისძიებას. ამრიგად, აღრიცხვა გულისხმობს მიწის განუწილობის, მისი ფართობის, ხარისხობრივი მდგომარეობისა და გამოყენების შესახებ სარწმუნო მონაცემებს.

მიწის გამოყენების ხასიათი განსაზღვრავს სავარგულების შედგენილობასა და განლაგებას. ამიტომ, აღრიცხვის დროს აუცილებელია მიწის, როგორც ბუნებრივი რესურსის, ხარისხობრივი მდგომარეობის გათვალისწინება, რაც ნიადაგის ბუნებრივი ნიშან-თვისებების საშუალებით გამოვლინდება. ამასთან, მიწის ბუნებრივ ნიშან-თვისებას განსხვავებული მნიშვნელობა აქვს მიწის ნაყოფიერებისათვის. გამომდინარე, აუცილებელია მიწის ბუნებრივი ნიშან-თვისების შეფასება, რასაც ნიადაგების ბონიტირება აწარმოებს, ნიადაგების ბონიტირება მიწების რაოდენობრივი აღრიცხვის ლოგიკური გაგრძელებაა და მისი მონაცემები, ძირითადად, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის დასაგეგმად გამოიყენება.

აღამიანთა საზოგადოების განვითარების შესაბამისად მიწის ხარისხობრივ მდგომარეობას თანდათან უფრო მეტად განსაზღვრავს არა ბუნებრივი, არამედ ეკონომიკური ფაქტორები, ამიტომ საჭირო ხდება მიწების ეკონომიკური შეფასება, რაც ეყრდნობა მიწების რეგისტრაციისა და ნიადაგების ბონიტირების მონაცემებს. მიწების ეკონომიკური შეფასება მიწების აღრიცხვა-შეფასების უმაღლესი სტადიაა და გვაჩვენებს, თუ რამდენად უკეთესია ესა თუ ის მიწის ნაკვეთი მეორეზე.

მიუხედავად იმისა, რომ კადასტრის ელემენტებო ერთიმეორისაგან გამომდინარეობს და მკიდრო კავშირშია, ყოველ მათგანს აქვს დამოუკიდებელი შინაარსი და წარმოების წესი. ამდენად, თითოეული მათგანი შეიძლება ცალკე ვაწარმოოთ, ამის დადასტურებაა მიწის კადასტრის წარმოების ისტორია. კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე საკადასტრო დოკუმენტაცია იხვეწებოდა და სრულყოფილი ხდებოდა იმ სისტემამდე, რაც ახლა კადასტრის ცნებაში იგულისხმება.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ განვითარების განსაზღვრული საფეხურები გაიარა საბჭოთა მიწის კადასტრმაც. პირველ წლებში მიწათმოსარგებლეთა რეგისტრაცია და მიწების აღრიცხვა ტარდებოდა როგორც სპეციალური ღონისძიება, რომელთა შორის მკიდრო კავშირის მიუხედავად ხან ერთს ეძლეოდა უპირატესობა, ხან მეორეს. განვითარებული სოციალიზმის პირობებში კი აუცილებელი გახდა ნიადაგების ბონიტირებისა და მიწის ეკონომიკური შეფასების დამატება.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა მიწის კადასტრი ერთიანი კომპლექსური სისტემაა, საჭიროების მიხედვით შეიძლება მისი ცალკეული ელემენტის გამოყოფა და მხოლოდ მათი შესრულება. ამ უკანასკნელს განსაზღვრავს სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებანი და ცალკეულ რეგიონსა და რესპუბლიკაში სამუშაოების შესრულების შესაძლებლობანი.

შესასრულებელი სამუშაოების მოცულობისა და ხასიათის მიხედვით მიწის კადასტრი ორი სახისაა: ძირითადი (პირველადი) და მიმდინარე. როგორც წესი, მეორე გამომდინარეობს პირველიდან და თვით კადასტრის შედგენის პროცესი ორგანულად დაკავშირებული მიწის საკადასტრო სამუშაოების შესრულების ცალკეული სტადიაა.

როგორც თვით ტერმინი გვიჩვენებს, ძირითადი კადასტრის ამოცანაა მიწის ბუნებრივი, სამეურნეო და სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ყოველგვარი მონაცემის თავმოყრა. ანალოზი და სისტემატიზაცია. ამ მიზნით გამოიყენება არსებული მონაცემები მიწათსარგებლობის ფართობებზე მიწის საჯარგულების შედგენილობასა და ხარისხობრივ მდგომარეობაზე, მიწების გამოყენებაზე. სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსაუღიანობაზე, წარმოების დანახარჯებზე და სხვ. შეკრებილი ყოველგვარი მასალა და დოკუმენტი მათი განხილვა-დამტკიცების შემდეგ გამოიყენება, როგორც მიწის კადასტრის შედგენის ამოსავალი მაჩვენებლები. მათ საფუძვლზე ადგენენ საკადასტრო წიგნებს, რომლებშიც ასახულია მიწის ფონდი, მისი განაწილება მიწების ძირითადი კატეგორიების, მიწათმოსარგებლებისა და საჯარგულების მიხედვით, მიწების ხარისხობრივი დახასიათება და შეფასება. აღნიშნულიდან გამომდინარე ძირითადი მიწის კადასტრის შედგენა, ეყრდნობა რა ჩამოთვლილ მონაცემებს, საჭიროებს აგეგმვით, კვლევით, აღწერასა და შეფასების დიდი მოცულობის სამუშაოების ჩატარებას. ამიტომ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 10 ივლისის დადგენილებაში ხაზგასმითაა მითითებული, რომ ყოველგვარი ნიადაგური და გეობოტანიკური გამოკვლევა უნდა ტარდებოდეს მიწის კადასტრის მოთხოვნილების სრული გათვალისწინებით.

რამდენადაც სამეურნეო საქმიანობის შედეგად ცვლილებებს განიცდის როგორც მიწათსარგებლობა, ისე ფართობები და შემადგენლობა, ეს უკანასკნელი ობიექტურად აუცილებელს ხდის მიწის საკადასტრო დოკუმენტაციაშიც შესაბამისი ცვლილებების შეტანას, რაც მი-

მდინარე მიწის კადასტრის შედგენით ხორციელდება, მისი მიზანია აგრეთვე ძირითადი კადასტრის მონაცემების დაზუსტება და კორექტურა; დებულებას შესაბამისად მიმდინარე კადასტრის საფუძველზე ცვლილებები მხოლოდ მაშინ შეიტანება. თუ ისინი კანონიერია, ხოლო ყოველგვარი უკანონო ქმედების (მიწების მიტაცება, დაბალნაყოფიერ სავარგულში გადაყვანა, სხვა მოსარგებლეზე გადაცემა) აღმოსაფხვრელად კი მიიღება საჭირო ზომები.

ძილებული მასალების პრაქტიკულად გამოყენებასა და თვალსაჩინოებისათვის მიწის კადასტრს აფორმებენ დოკუმენტის სახით, რომელიც იყოფა ტექსტობრივ და საგეგმო-კარტოგრაფიულ სახეებად ტექსტობრივი ნაწილი წიგნების, უწყისების, განმარტებითი ბარათებისა და სხვა სახის დოკუმენტებია. საგეგმო-კარტოგრაფიული დოკუმენტები მიწების გრაფიკულად ასახვის მასალებია. მასში შედის გეგმები რუკები, კარტოგრამები და სხვ. ტექსტობრივი და საგეგმო-კარტოგრაფიული დოკუმენტები ავსებს ერთმანეთს და ქმნის ერთიან სისტემას.

დანიშნულების მიხედვით საკადასტრო დოკუმენტებს ყოფენ ძირითადად და დამხმარედ. ძირითადი დოკუმენტების ფორმებსა და შინაარსს განსაზღვრავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, ხოლო მონაცემების ხასიათსა და შემადგენლობას—სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები; სსრ კავშირის საგეგმო კომიტეტისა და ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოების მონაწილეობით. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის დადგენილებით — „მიწის კადასტრის წარმოების წესის შესახებ“ ძირითადი საკადასტრო დოკუმენტებია: საწარმოოს, ორგანიზაციისა და დაწესებულების მიწის საკადასტრო წიგნი, რაიონის (ქალაქის) სახელმწიფო მიწის საკადასტრო წიგნი, ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქების მოკავშირე რესპუბლიკებისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო მიწის საკადასტრო წიგნები.

ამრიგად, მიწის კადასტრის შემადგენელი ელემენტები განსაზღვრულ ფუნქციას ასრულებს და გარკვეულ მიზანს ემსახურება. მიწათსარგებლობის რეგისტრაცია განსაზღვრავს მიწით სარგებლობის უფლებას. მიწების აღრიცხვა ასახავს ნაკვეთების სიდიდეს, მათ ხარისხობრივ მდგომარეობასა და გამოყენებას. ხოლო ნიადაგების ბონიტირება და ეკონომიკური შეფასება ბუნებრივი და ეკონომიკური მაჩვენებლების საშუალებით მიწის შეფარდებით ღირებულებას განსაზღვრავს.

მიწის კადასტრის შედგენა მოითხოვს მიწის შესახებ ყოველგვარი მონაცემისა და მასალის მოპოვებას. მათში შედის საგეგმო-კარტოგრა-

ფიული მასალების კორექტურის, გადაღებებისა და გამოკვლევების, მიწების პასპორტიზაციის, მიწათმოწყობისა და სხვა მონაცემები. მათთან ერთად პირველადი ინფორმაციისათვის გამოიყენება სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სხვა სახეების დოკუმენტაცია.

ცნობილია, რომ ჩვენს ქვეყანაში მოქმედებს აღრიცხვის ერთიანი სოციალისტური სისტემა, რომელიც მოიცავს ოპერატიულ, საბუღალტრო და სტატისტიკური აღრიცხვის სახეებს. მისი ობიექტია მთლიანი სოციალისტური სახალხო მეურნეობა ცალკეული დარგითა და ობიექტით. გამოიყენებს რა აღრიცხვის ყველა სახის მონაცემს. მიწის კადასტრი თვითონ არის სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სისტემის ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტი, რომელსაც სოციალისტური წარმოების დაგეგმვა განსაზღვრულ მოთხოვნებს უყენებს. თავის მხრივ, სოციალისტური წარმოების წესი და მისი დაგეგმვა განსაზღვრავს მიწის კადასტრის წარმოების ძირითად პრინციპებს, რომლებიც შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: სისტემათა ერთიანობა. ყველა მიწის თავმოყრა ერთიან სახელმწიფო მიწის ფონდში, ინფორმაციის სისრულე და სიზუსტე, მუდმივობა, მონაცემების თვალსაჩინოება და ეკონომიურობა, ცენტრალიზებული ხელმძღვანელობა.

მიწის კადასტრის მონაცემების ერთიანობა გულისხმობს მისი მთელი ქვეყნის მასშტაბით მიწის საშემფასებლო სამუშაოების ერთიანი მეთოდოლოგიით წარმოებას. მიმდინარე ეტაპზე მიწის კადასტრის სამუშაოებს ატარებს სოფლის მეურნეობის სამინისტრო 1976 წელს დამტკიცებული „ერთიანი საკავშირო მეთოდოლოგიის (დროებითი)“ საფუძველზე, რომელიც თანდათან ზუსტდება და იხვეწება. აღნიშნული მეთოდოლოგიით განსაზღვრულია მიწის კადასტრის შესადგენად საჭირო მეცნიერულად დასაბუთებულ მაჩვენებელთა სისტემა, მათი მოპოვების ხერხები, კადასტრის შემადგენელი ელემენტების შინაარსი, თანმიმდევრობა-ურთიერთკავშირი.

მიუხედავად იმისა, რომ მიწის საკადასტრო დოკუმენტაციის შედგენა და მასთან დაკავშირებული სამუშაოები ერთიანი საკავშირო მეთოდოლოგიით ტარდება, ეს არ გამორიცხავს ზონალური თავისებურებების გათვალისწინებას. უფრო მეტიც, ეს უკანასკნელი ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნადაა მიჩნეული საშემოსავლო მონაცემების საქმიანობაში წარმატებით გამოყენების მიზნით.

ჩვენს ქვეყანაში მიწის მესაკუთრეთა სოციალისტური სახელმწიფო, რომლის უფლებამოსილებანი განსაზღვრა ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებამ. მხოლოდ სახელმწიფოს აქვს უფლება, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, განსაზღვროს მიწის გამოყენება და ამ მიზნე-

ბისათვის შექმნას საჭირო ყოველგვარი პირობა და დოკუმენტაცია მიწის კადასტრის ჩათვლით. აქედან გამომდინარე, მიწის კადასტრის ობიექტია ერთიანი სახელმწიფო მიწის ფონდი. სრულყოფილი დოკუმენტაციის შესაქმნელად აუცილებელია მონაცემები მთლიანი მიწის ფონდის შესახებ იმის მიუხედავად, თუ ვის ეკუთვნის იგი და სად გამოიყენება.

ყოველგვარი საქმიანობის და, მათ შორის, ზუსტი მიწის კადასტრის დოკუმენტაციის შექმნის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა საჭირო ინფორმაციის სისრულე და სიზუსტე. ეს გულისხმობს, რომ მონაცემები ზუსტად სრულყოფილად და ობიექტურად უნდა ასახავდეს მიწის რესურსებს ფართობების, გამოყენებისა და ხარისხობრივი მდგომარეობის მიხედვით. ამ მიზნით უნდა გამოვიყენოთ ყველა ის მაჩვენებელი, რომელიც ზუსტად ახასიათებს მიწას, როგორც ბუნებრივ-ისტორიულ სხეულს. აღრიცხვის და შეფასების საფუძველად იღებენ ნიადაგის მხოლოდ იმ ნიშან-თვისებებს, რომლებიც მიწის განლაგებას, ხარისხობრივ მდგომარეობას, პროდუქტიულობასა და გამოყენებას ასახავს.

მიწას, როგორც ბუნებრივ-ისტორიულ სხეულს, ახასიათებს მუდმივობა მიუხედავად იმისა, რომ იგი სტატიკური არაა და ადამიანის სამეურნეო საქმიანობის შედეგად იცვლება. მიწის გადანაწილებისა და ხარისხობრივი მდგომარეობის ცვლილებების ნაწილი ასახვას პოვნებს მიწაზე შედგენილ ყოველდღიურ დოკუმენტაციაში, ხოლო რიგი მომენტის დაფიქსირებისათვის საჭიროა მიწათსარგებლობისა და მიწის კადასტრის დოკუმენტაციის განახლება, ეს მომენტი განსაზღვრავს მიწის კადასტრული დოკუმენტაციის უწყვეტობას.

მიწის საკადასტრო დოკუმენტაციის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა მათი პრაქტიკულად გამოყენების შესაძლებლობა და სიმარტივე. ისინი ხელმისაწვდომი და თვალსაჩინო უნდა იყოს წარმოების მუშაკთათვის, რაც გულისხმობს კადასტრული დოკუმენტების მოხერხებულად განლაგებას. ეს ეხება როგორც ტექსტობრივ, ისე გრაფიკულ ნაწილს. როგორც წესი, თვალსაჩინოების დოკუმენტებად, ძირითადად, გამოიყენება მრავალმხრივი მნიშვნელობის და სახის რუკები, გეგმები, სქემები და კარტოგრაფები.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარების დღევანდელ ეტაპზე მიწის კადასტრის შესადგენად გამოიყენება ისეთი რთული ტექნიკაც კი, როგორც ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანებია. მასალების მოსამზადებლად დიდ დახმარებას გვიწევს საპაერო, ფოტო და კოსმოსური გადაღებები, რაც დროის მცირე მონაკვეთში საგეგმო-კარტოგრაფიული მასალების თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე მოყ-

ვანის შესაძლებლობებს ქმნის. ეს მომენტები განსაზღვრავს მიწის კადასტრის ეკონომიურობას.

მიწის კადასტრის ცენტრალიზებული ხელმძღვანელობა. ჩვენი ქვეყანა მიწის რესურსებით მსოფლიოში ყველაზე მდიდარი და, ამასთან, ბუნებრივი პირობებით ყველაზე მრავალფეროვანია. ამიტომ ქვეყნის მასშტაბით ერთიანი საკადასტრო დოკუმენტაციის შესაღვენად ხელმძღვანელობა და მეთოდიკა ერთი უნდა იყოს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მთელ საკადასტრო საქმიანობაზე ხელმძღვანელობა დავალებული აქვს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რომლის მითითებანი ამ ხაზით სავალდებულოა ყველა უწყების, ორგანიზაციისა და დაწესებულებისათვის.

მიწის სახელმწიფო კადასტრის წარმოებას ახორციელებს მიწათმოწყობის სამსახური. იგი იხილავს და ამტკიცებდა მიწათსარგებლობის რეგისტრაციის, მიწების აღრიცხვის, შეფასების, ნიადაგების და გეობოტანიკური კვლევის ინსტრუქციებსა და მეთოდიკებს. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო კონტროლს ახორციელებს მიწის კადასტრის წარმოებასა და მისი მონაცემების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენებაზე.

მიწის საკადასტრო დოკუმენტაციას ადგენენ ყველა სასოფლო-სამეურნეო საწარმოა და ორგანიზაციისათვის იმის მიუხედავად, თუ ვის დაქვემდებარებაშია, ან რა სახის პროდუქციას აწარმოებს. საკავშირო ორგანოების დადგენილების შესაბამისად სასოფლო-სამეურნეო საწარმოები ყოველწლიურად (არა უგვიანეს 15 ნოემბრისა) წარადგენენ რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებში დადგენილი ფორმების შესაბამისად შედგენილ მიწების აღრიცხვა-შეფასების დოკუმენტაციას. მათ საფუძველზე წარმოებს რაიონის მიწის საკადასტრო წიგნში შესაბამისი ცვლილებების შეტანა და დაზუსტება.

IV ტ ა ვ ი

საბჭოთა მიწის კადასტრის განვითარების ისტორია

§ 1. საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლები

ჩვენს ქვეყანაში ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებამ საფუძველი ჩაუყარა მიწათსარგებლობის და საადგილმამულო ურთიერთობის ახალ, სოციალისტურ წყობას, რაც 1917 წლის 8 ნოემბრის მიწის

შესახებ დეკრეტით განისაზღვრა: „1. მიწის მემამულური საკუთრება უქმდება დაუყოვნებლივ სრულიად გამოუსყიდველად. 2. მემამულეთა მამულები, ისე როგორც ყველა საუფლისწულო სამონასტრო, საეკლესიო მიწა, მთელი მათი ცოცხალი და მკვდარი ინვენტარით, საკარმიდამო შენობებითა და ყოველგვარი მოწყობილობით გადადის დამფუძნებელი კრების მოწვევაამდე, ვოლოსტის აადგილმამულო კომიტეტების და გლეხთა დეპუტატების სამაზრო საბჭოების განკარგულებაში“. საბჭოთა ხელისუფლების პირობებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მიწათსარგებლობის რევიტრაციას. მიწების აღრიცხვასა და შეფასებას. ხახალხო მეურნეობის განვითარების ცალკეულ ეტაპზე მათი შინაარსი და ხასიათი იცვლებოდა, მანამ არ ჩამოყალიბდა ერთიანი გეგმის-მიწის კადასტრის ხასით.

პირველ წლებში მიწების აღრიცხვის შინაარსს განსაზღვრავდა მიწაზე მკაცრი კონტროლის დაწესება. დეკრეტის მე-3 მუხლით გათვალისწინებული იყო საადგილმამულო ურთიერთობაში ფეოდალური გადმონაშთების აღმოფხვრა, მემამულეთა მიწების კონფისკაცია, ჩაშორთმეული მიწების მკაცრი აღწერა, მოსარგებლეებზე გადაცემა და დაცვა ევალებოდა ადგილობრივ სათემო კომიტეტებს. გარდა ამისა, ისინი ვალდებული იყვნენ შეეკრიბათ ყოველგვარი ცნობა მიწის სარგულების ფართობების, მათი ხარისხისა და გამოყენების შესახებ.

დეკრეტით „მიწების სოციალიზაციის შესახებ“, რომელიც 1918 წლის 19 თებერვალს გამოქვეყნდა, გაუქმდა სათემო კომიტეტები და მიწის აღრიცხვის ყველა საქმე დაევალა ადგილობრივი საბჭოების მიწის განყოფილებებს. დეკრეტის შესაბამისად უნდა ჩატარებულყო მიწების აღრიცხვა და მოსახლეობის აღწერა, დადგენილიყო მიწით უზრუნველყოფისა და მიწათსარგებლობის სამომხმარებლო-შრომითი ნორმები და მათ საფუძველზე ჩატარებულყო მიწის თანაბარი განაწილება მიწათმოსარგებლეებზე.

1919 წლის 14 თებერვალს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო ვ. ი. ლენინის რედაქციით შემუშავებული დებულება „სოციალისტური მიწათმოწყობისა და სოციალისტურ მიწათმოქმედებაზე გადასვლის ღონისძიებათა შესახებ“, რაც მიწის დეკრეტის გაგრძელება იყო და შეესაბამებოდა სოციალიზმის განვითარების შემდგომ ეტაპებს მიწათსარგებლობის დარგში. ამ დებულებამ განსაზღვრა მიწათმოწყობის ამოცანები, შინაარსი და პრინციპები. დებულების საფუძველზე 1919 წლის მარტში შემუშავდა მიწათმოწყობის ინსტრუქცია, რომელიც ითვალისწინებდა მიწების განაწილებას და გამოყოფას სხვადასხვა საჭიროებისათვის, აგრეთვე ადრე ორგანიზებული

კომუნების, არტელებისა და მიწების საზოგადოებრივად დამუშავების ამხანაგობების მიწათსარგებლობის ნაკლოვანებების აღმოფხვრასა და, საერთოდ, ყოველგვარი დოკუმენტაციის დაზუსტებას.

1918 წლის 25 თებერვლიდან ვ. ი. ლენინის ხელმოწერით სტატისტიკურ სამმართველოს დაევალა მიწის რეგისტრაცია, რაც სოციალისტური მიწათმოწყობისა და სოციალისტურ მიწათმოქმედებაზე გადასვლის დებულების შესაბამისად სრულდებოდა. ამ უკანასკნელში ხაზგასმული იყო, რომ მიწათსარგებლობის სახელმწიფო ჩაწერა წარმოებდა მიწათსარგებლობის, მიწათმოწყობისა და სხვა ცვლილებების მთლიანად გათვალისწინების მიზნით.

მიწათსარგებლობაზე უფლებას განსაზღვრავდა მიწის გამოყოფის შესახებ ჩანაწერი, რომელიც მიწათმოსარგებლეთა თხოვნით გაიცემოდა და მას მიწათმოწყობის სამსახური აწარმოებდა. სახელმწიფო ჩაწერა პირველ ხანებში ეკონომიკურად ძლიერ თემებში ტარდებოდა, სადაც მიწათმოწყობა ჩატარებული იყო და საჭირო დოკუმენტაცია არსებობდა. მიწის გამოყოფის შესახებ ჩანაწერებში მითითებული იყო მისი ჩატარების დრო. იმ დაწესებულებების დასახელება, რომელმაც დოკუმენტი გასცა, მიწათმოსარგებლის დასახელება, მისი ნომერი და ადგილმდებარეობა, აგრეთვე ზოგიერთი სხვა ცნობა. მიწების რეგისტრაცია და შესაბამისად აღწერა იყოფოდა: ძირითად და მიმდინარედ. ძირითადის დროს იქმნებოდა მთლიანი დოკუმენტაცია, ხოლო მიმდინარე კი აწარმოებდა მომხდარი ცვლილებების ფიქსირებას ყოველი თემის მიხედვით.

მიწათსარგებლობის სახელმწიფო რეგისტრაციას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მიწათმოსარგებლეთა უფლებების დაცვისათვის, რადგან იურიდიულად აფორმებდა მას. რეგისტრაციისა და აღრიცხვის მონაცემების საფუძველზე შეიმუშავეს სააღრიცხვო სიები და რუკები თემისათვის, ხოლო რეესტრები და რუკები-ცალკეული სოფლებისათვის. სააღრიცხვო სიები, რეესტრები და რუკები მიწით უზარუნველყოფის და მიწათსარგებლობის წარმოების დადგენის საშუალებას იძლეოდა. მიწათმოსარგებლებად ითვლებოდა ცალკეული პირი, ოჯახი, საკოლმეურნეო კომლი. მეურნეობა და სხვა ორგანიზაცია-დაწესებულებანი.

რუსსრ მინსახკომში 1919 წ. შეიქმნა მიწათმოწყობის ცენტრალური განყოფილება მიწათაღრიცხვის ქვეგანყოფილებით, რომელიც 1921 წ. გადაკეთდა მიწის რეგისტრაციისა და მიწის კადასტრის განყოფილებად. მისი მოვალეობა იყო მიწის კადასტრის საწარმოებლად საჭირო ცნობებისა და მონაცემების შეგროვება-დამუშავება. ამავე პე-

როდესი დაიწყო მიწების დაყოფა თანრიგებად სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობების, კონტურების რელიეფისა და მიწის ხარისხის მონაცემების საფუძველზე. მთელი სამუშაოები ტარდებოდა მიწის რეგისტრაციის პირველი ინსტრუქციის საფუძველზე, რომელიც რსფსრ მიწსახეობმა 1919 წლის 23 სექტემბერს დაამტკიცა.

§ 2. სახალხო მეურნეობის აღდგენის, ჰვეხნის ინდუსტრიული-ზატიისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციაზე გადასვლის მუადების წლები

სამოქალაქო ომისა და ინტერვენტების შემოსევების შედეგად ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს სახალხო მეურნეობამ არანახული ზარალი განიცადა, რომლის ლიკვიდაცია დიდი სამუშაოების ჩატარებას მოითხოვდა მიწათსარგებლობის საკითხშიც. საკარო იყო მიწათსარგებლობის რეგისტრაციისა და მიწების აღრიცხვის პრინციპების დაზუსტება და შესაბამისი დოკუმენტაციის შედგენა. სახალხო მეურნეობის აღდგენის ტემპებს აღარ შეესაბამებოდა ე. წ. შრომითი მიწათსარგებლობის ფორმა და იგი სრულად რუსეთის ცენტრალურა აღმასრულებელი კომიტეტის 1922 წლის 30 ოქტომბრის დადგენილებით გაუქმდა. ამ პერიოდიდან მიწის აღრიცხვაში ახალი ეტაპი იწყება, რაც რსფსრ მიწის კოდექსის შემოღებამ განსაზღვრა. კოდექსმა დაადგინა მიწათსარგებლობის რეგისტრაციისა და მიწების აღრიცხვის საწარმოებლად მიწის საეარგულების ერთიანი ნომენკლატურა. მიწათსარგებლობის რეგისტრაციის ჩატარების სრულყოფის შემდგომი ეტაპი იყო რსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წლის 27 ივლისის ინსტრუქცია, მასში მოცემული იყო რეგისტრაციის ჩატარების რეგლამენტი და მიწების აღრიცხვა-რეგისტრაცია ერთ ღონისძიებად გაერთიანდა. მისი ამოცანა იყო მიწების სამეურნეო და სამათრლებრივი მდგომარეობის შესახებ სარწმუნო მასალების შეკრება, სისტემატიზაცია და შენახვა მიწათსარგებლობაში წესრიგის დამყარებისა და მიწათმოსარგებლეთა ინტერესების დაცვის მიზნით.

მიწის კოდექსით მიწები დაიყო სასოფლო-სამეურნეო, ქალაქისა და სახელმწიფო ქონების მიწებად. დაზუსტდა ზოგიერთი ცნება. მიწათსარგებლობის ცნებას მიეკუთვნება საწარმოები, ორგანიზაციები, მიწების დამმუშავებელი საზოგადოებებით და ცალკეული პირები, რომლებსაც მიწა გამოყოფილი ჰქონდათ განსაზღვრული დროით. მიზნობრივი გამოყენებისათვის. ნაკვეთის ცნება გულისხმობდა მიწის

ფართობს, რომელიც გამოყოფილი იყო სხვა მოსარგებლეებისაგან და შეკრული ერთი ხაზით.

მიწათსარგებლობის რეგისტრაციას ატარებდნენ ადგილობრივი საბჭოები, სათემო კომიტეტები, მიწათმომწყოები, სამაზრო და საგუბერნიო სამმართველოები. სასოფლო-სამეურნეო მიწების რეგისტრაციის ძირითადი დოკუმენტებია: სათემო რეესტრი და მიწათსარგებლობას რუკა, ცალკეული სოფლის კარმიდამოს რეესტრი და რუკები. გარდა ამისა, დამატებითი დოკუმენტაცია იყო თემის მიწათმოსარგებლეთა აღფაბეტური მაჩვენებელი, კომლთა სიები, საარენდო ხელშეკრულებათა საორდერო წიგნი, მიწის დამმუშავებელი საზოგადოებების გადაწყვეტილებები და კომლთა გაყოფის ჩანაწერები.

მიწათსარგებლობის იურიდიული დოკუმენტი იყო ჩანაწერები მიწის შესახებ, რომელიც შედგებოდა ტექსტობრივი და გრაფიკული ნაწილისაგან. ტექსტში მოცემული იყო მიწათმოსარგებლის დასახელება და ადგილმდებარეობა, სავარგულების ფართობი, მიწათსარგებლობის უფლების საფუძველი, მიწათმოსარგებლის უფლება-მოვალეობანი და სხვ. გრაფიკული ნაწილი კი მიწათსარგებლობის გეგმის ასლი იყო, რაც დოკუმენტს უფრო სრულყოფილ სახეს აძლევდა და აღრიცხვასა და მიწათსარგებლობის რეგისტრაციას ერთიან სისტემაში აერთიანებდა.

მიწების რეგისტრაცია და მიწასთან დაკავშირებული სხვა საკითხების გადაწყვეტა ეკავებოდა სასოფლო და სათემო აღმასკომებს, უბნის მიწათმომწყოებს, გუბერნიებისა და მაზრების მიწათმომწყოების განყოფილებებს. სასოფლო საბჭოების მოვალეობა იყო კომლთა სიების შედგენა. მათი რეგისტრაცია და ყოველგვარი ცვლილებების შეტანა საბჭოთა კანონების შესაბამისად. სათემო აღმასკომები აწარმოებდნენ მიწის საზოგადოებრივ დამუშავებაზე გადასვლას. მიწების გადანაწილებას, კომლთა გაყოფას, მიწათსარგებლობის დაქუცმაცების შეზღუდვის ღონისძიებებს და ა. შ. სამაზრო განყოფილებები, სხვა ოპერაციებთან ერთად, აწარმოებდნენ თემის მიწათსარგებლობაში მომხდარი ყოველგვარი ცვლილების რეგისტრაციას. საგუბერნიო განყოფილებების მოვალეობა იყო ცალკეული კომისიის გადაწყვეტილების რეგისტრირება იმ თემების მიმართ, სადაც არ იყო ჩატარებული ეს სამუშაოები. მათ მოვალეობას შეადგენდა, აგრეთვე, კადრების შერჩევა, მიწების რეგისტრაციის გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების შედგენა, მიწების რეგისტრაციის ინსტრუქციების მომზადება და მისი შესრულების კონტროლი. ამავე პერიოდიდან დაიწყო ქალაქისა და სა-

ხელმწიფო მარაგის მიწების კატეგორიებად გამოყოფა ცალკე დოკუმენტაციის შედგენით.

როგორც ცნობილია, თებერვლის რევოლუციის შემდეგ საქართველოში ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგნენ მენშევიკები, რომლებმაც დანგრევამდე მიიყვანეს საქართველოს ეკონომიკა. მენშევიკურმა მთავრობამ ვერ გადაწყვიტა მიწის საკითხიც. 1917 წლის 26 მარტს შეიქმნა ამიერკავკასიის საადგილმამულო კომისია, რომელსაც უნდა შეესრულებინა საადგილმამულო კომიტეტის ფუნქცია, მაგრამ ამ უკანასკნელში შეძლებული ელემენტები და მემამულეები დამკვიდრდნენ და ისინი ატარებდნენ რეაქციულ-მემამულურ ხაზს.

მენშევიკები ურჩევდნენ გლეხებს კონფლიქტების გარეშე მოგვარებინათ საქმე მემამულეებთან. 1917 წლის ივნისში საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საოლქო ყრილობამ აგრარული საკითხის განხილვით მხარი დაუჭირა მუნიციპალიზაციის მენშევიკურ პროგრამას.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებისა და მიწის დეკრეტის შემდეგ 1917 წლის დეკემბერში მენშევიკური მთავრობა იძულებული იყო გამოეცა დეკრეტი მიწის შესახებ, მაგრამ ამან ვერ გადაწყვიტა აგრარული საკითხი.

იმის გამო, რომ ვახშირდა გლეხების მიერ მემამულეთა მიწების თვითნებური დატაცება და გლეხების გამოთვლები, მენშევიკურმა მთავრობამ 1918 წლის თებერვალში ერთგვარად თითქოს შეავსო ზემოაღნიშნული დებულება¹. ამ უკანასკნელმა განსაზღვრა მიწის ნორმალური ცალკეული მიზნისათვის, რაც ფაქტიურად მემამულეთა ინტერესების დაცვას ისახავდა მიზნად. 1919 წლის 28 იანვარს კი გამოიცა საქართველოს პარლამენტის კანონი, რომლითაც უმიწაწყლო და მცირემიწიან გლეხებს მიწის შესყიდვის უფლება ეძლეოდა. ამრიგად, თუმცა ფორმალურად შეიზღუდა მიწის ყიდვა-გაყიდვა, მაგრამ პრაქტიკულად ის მაინც წარმოებდა, ხოლო 1920 წლის თებერვალში კი გამოიცა კანონი, რომელიც აუქმებდა მიწის ყიდვა-გაყიდვის აკრძალვას.

ამრიგად, საქართველოში აგრარული საკითხი, ანუ გლეხობის საკითხი საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე გადაუჭრელი დარჩა.

1921 წლის 25 თებერვალს თბილისზე აფრიალებულმა წითელმა დროშამ დასაბამი მისცა თავისუფალი სუვერენული საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის შექმნას. რევოლუციურმა კომიტეტმა გააუქმა მენშევიკური მთავრობის სენატი და სხვა დაწესებულებები 1921

1. ი. ი. ბირცხულაეა, „ოქტომბრის რევოლუცია და აგრარული საკითხი საქართველოში 1917—1921 წლებში“, თბ., 1965 წ.

წლის 22 მარტის დეკრეტით, ფართო კამპანია გააჩაღა მიწის შესახებ ძირითადი კანონის გამოსაცემად, გააუქმა მიწაზე ყოველგვარი საკუთრება და გამოაცხადა იგი მუშურ-გლეხური სახელმწიფოს საკუთრებად. 1921 წლის 6 აპრილს კი გამოსცა დეკრეტი №17 მიწის ნაციონალიზაციის შესახებ, რომლითაც ბოლო მოეღო მემამულეთა მიწათსარგებლობას, საბოლოოდ მოისპო ფეოდალიზმის გადმონაშთები და მიწის პატრონი გახდა მშრომელი გლეხობა.

გამოიცა შესაბამისი ინსტრუქციები მიწის ნაციონალიზაციისათვის საგლეხო კომიტეტების შექმნის, მიწების ნორმების შემუშავებისა და განაწილების შესახებ. მიწათსარგებლობაში წესრიგის დასამყარებლად მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს დაევალა მიწის კომიტეტების ჩამოყალიბება.

საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა საადგილმამულო ურთიერთობათა უმოკლეს ვადაში მოწესრიგების მიზნით 1921 წლის 29 აპრილის დადგენილებით მობილიზაცია გაუკეთა მიწის გაზომვის ყველა სპეციალისტს. ამ ღონისძიებისათვის თავის არიდებისათვის ყველა ისჯებოდა. ამავე პერიოდში შემუშავდა სპეციალური ინსტრუქცია მიწის მტკიცე ნორმების მიხედვით მიწათმოწყობის ჩატარების შესახებ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველმა ყრილობამ (1922 წ იანვარი) დიდი ადგილი დაუთმო აგრარულ საკითხს და ცნო მიწის ერთპიროვნული სარგებლობის ფორმა. ამასთან, აღნიშნა, რომ საჭირო იყო სოციალისტური მიწათმოქმედებისა და მიწათსარგებლობის კოლექტიური ფორმის თანდათან გაფართოება. მიწის იჯარა გამოცხადებული იქნა როგორც სოციალისტური პრინციპებისადმი მიუღებელი. ყრილობამ ცალკე პროგრამა დასახა ჭაობების ამოშრობისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ზრდის შესახებ.

შემდგომ ეტაპზე მთლიანად ქვეყნის მასშტაბით და საქართველოშიც მიწის რაციონალურად გამოყენების მიზნით საჭირო შეიქმნა მიწის შესახებ უფრო სრულყოფილი მასალების შეგროვება, რაც მიწათმოწყობის სამსახურს უნდა ჩაეტარებინა. ამით მიწის აღრიცხვა მიწათმოწყობას დაუკავშირდა.

სრულიად საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა 1922 წლის მაისში დაამტკიცა სამი განყოფილებისაგან შემდგარი მიწათმოწყობის დებულება. პირველ განყოფილებაში მოცემული იყო ზოგადი დებულებანი, მეორეში მიწის ნორმა და მესამეში—მიწის სარგებლობა. ამ პერიოდამდე საქართველოში მიწის რეფორმას აჯერებდნენ სოციალისტ-უკლონისტები და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება (1922 წ

ნომებერი) საადგილმამულო რეფორმის დაჩქარებისა და მასში ფეოდალური გადმონაშთების აღმოფხვრის შესახებ, რაც 1923 წლის გაზაფხულამდე უნდა დამთავრებულიყო.

1924 წლის 21 მარტს რსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა და ფინანსთა სახალხო კომისარიატმა დაამტკიცეს მიწების აღრიცხვის სპეციალური წიგნები და მათი წარმოების წესები. სასოფლო-სამეურნეო სავარგულები აღირიცხებოდა მთლიანი ფართობებისა და ცალკეული კატეგორიის მიხედვით. აღრიცხვის ფორმები ითვალისწინებდა ნიადაგებისა და რელიეფის აღწერას. აღრიცხვის ეს სისტემა უფრო დაკონკრეტდა, როდესაც შემოიღეს ეგრეთწოდებული საბარათო მეთოდი.

ამ პერიოდიდან დაიწყო ჩვენს ქვეყანაში სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის ფართო და თანმიმდევრული პროგრამის განხორციელება. ამან, თავის მხრივ, მოითხოვა სოფლის მეურნეობის სოციალური და ტექნიკური რეკონსტრუქციის ერთობლივი ღონისძიების გადაუჭრელი ვატარება. ითვალისწინებდა რა ამ მდგომარეობას, საბჭოთა მთავრობა შესაბამის ღონისძიებებს ატარებდა მიწების ეფექტიანად გამოყენებისა და მიწათსარგებლობის სრულყოფის ხაზით. კერძოდ, სრფსრ სახკომსაბჭომ 1925 წლის 9 ოქტომბერს გამოსცა დეკრეტი „მიწათმოწყობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ, რომელშიც მიწათმოწყობის საკითხებთან ერთად მოცემული იყო მიწების შეფასებისა და საცდელი კადასტრების შედგენის აუცილებლობის დასაბუთება და წარმოების წესები. აღნიშნულმა დოკუმენტმა შემდგომში ხელი შეუწყო საკადასტრო სამუშაოების ჩატარების სრულყოფისა და გაიაფების საკითხებს.

მიწის შეფასების სამუშაოების უფრო ფართოდ გაშლისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის 1927 წლის 22 აგვისტოს მიერ დამტკიცებულ ინსტრუქციას „საცდელი მიწის კადასტრის წარმოების შესახებ“, ზემოაღნიშნული დადგენილებისა და ინსტრუქციის მიხედვით საცდელი სამუშაოები ჩატარდა ბევრ ოლქსა და გუბერნიაში, რომლის დროს გამოავლინეს კორელაციური კავშირი შემოსავლიანობასა და ნიადაგის ბუნებრივ ნიშან-თვისებებს შორის.

მიწათსარგებლობასა და მიწის კადასტრთან დაკავშირებული მთელი სამუშაოს წარმოება დაევალა მიწათმოწყობის სამსახურებს და მიზნად ისახავდა საკოლმეურნეო მშენებლობისათვის მიწების აღრიცხვის ზუსტი მონაცემების მოპოვებას. მიწების შესაფასებლად შემუშავდა სპეციალური ინსტრუქცია, რომლის მიხედვითაც მიწების შე-

საფასებელ ტერიტორიაზე გამოიყო ბუნებრივ-ეკონომიკური ზონები და მათ მიხედვით ანგარიშობდნენ საშუალო მოსავლიანობაში წმინდა შემოსავლის ნორმას. ცალკეული ზონისათვის საზღვრავდნენ განსხვავებული ხარისხის ნიადაგებზე მთლიანი შემოსავლის, მრავალწლიური საშუალო მოსავლისა და ცალკეული პროდუქტის საბაზრო ფასებიდან გამომდინარე სიდიდეს, აღნიშნული მონაცემების გამოყენებით დადგინეს კარგი, საშუალო და ცუდი ხარისხის სახნავზე მიღებული წმინდა შემოსავლის სიდიდე.

§3. მიწის საკადასტრო ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის სრული კოლექტივიზაციისა და სოციალიზმის გამარჯვების წლებში

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ სოფლის მეურნეობაში გაბატონებულმა წერილმა გლეხურმა მეურნეობამ უკვე 1927—1929 წლებისათვის ამოწურა თავისი შესაძლებლობანი, ხოლო შემდგომმა მოვლენებმა გვიჩვენა, რომ იგი ჩამორჩებოდა მრეწველობის ზრდის ტემპებს, რითაც აფერხებდა ქვეყნის მომარაგებას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით. ამასთან, სოფლად კვლავ რჩებოდა კულაკობა, როგორც სოციალიზმისათვის შეუთავსებელი კლასი.

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება და სოციალიზმის მშენებლობის შემდგომი წინსვლა მოითხოვდა სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობის სასწრაფოდ ლიკვიდაციას. ეს სოფლის მეურნეობის მსხვილ სოციალისტურ რელსებზე გადაყვანას გულისხმობდა. ამიტომ სკკპ XV ყრილობამ განიხილა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საკითხი და მიიღო გადაწყვეტილება მისი ყოველმხრივ განვითარების შესახებ. ყრილობამ სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ერთადერთ გზად მიიჩნია ლენინური კოოპერაციული გეგმის შეუფერხებელი შესრულება, რაც წვრილი გლეხური მეურნეობების მსხვილ მიწათმოქმედების ინტენსიურ საფუძველზე გადასვლას გულისხმობდა.

ამ ღონისძიებამ ძირეული ცვლილებების შეტანა მოითხოვა მიწათსარგებლობაშიც. აუცილებელი გახდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიწათსარგებლობის განმტკიცება და უტყუაზი მონაცემების მოპოვება მიწის ბუნებრივი, სამეურნეო და სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ. ეს კი გულისხმობდა მიწების ხელახალ აღრიცხვასა და რეგისტრაციას. ამ მიზნით დაიწყო მიწების

ხელახალი ინვენტარიზაციის სამუშაოები 1930—1931 წლებიდან. სამუშაოები, ძირითადად, სრულდებოდა 1928 წელს მიღებული „მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის ზოგადი საფუძვლების“ მიხედვით. ინვენტარიზაცია ტარდებოდა არსებული მასალებისა და მონაცემების საფუძველზე. ხოლო რეგისტრაცია დაიყვანეს მიწების აბარათო სისტემაზე. ეს უკანასკნელი აწარმოებდა მიწის რაოდენობრივ და ხარისხობრივ აღრიცხვას. ბარათებს ადგენდნენ სამი ფერისას: წითელს (სახელმწიფო მიწები), ყვითელს (საზოგადოებრივი) და თეთრს (კერძო). ბარათების საფუძველზე რაიონში ადგენდნენ მიწათმოსარგებლეთა აღფაბეტურ სიას შესაბამისი საგვემო-კარტოგრაფიულ მასალებითა და აღწერის ტექსტობრივი ნაწილით.

ამ პერიოდში მიწის აღრიცხვას ძირითადი დოკუმენტი მიწების აღრიცხვის ბარათები, მიწათმოსარგებლეთა აღფაბეტური სია, ერთპიროვნული მეურნეობების სია, რაიონის რუკა და რაიონის ტერიტორიის შესწავლის კარტოგრაფები იყო.

მიწების ხელახალი გადაწილება მიწათმოსარგებლეთა შორის მიზანშეწონილად ითვლებოდა თუ ის სახელმწიფო მიზნებიდან გამომდინარეობდა. რის შესახებაც საფუძვლებში ჩაწერილი იყო, რომ: — „მიწათმოწყობა აწესრიგებს რა მიწის სივრცეს მოსახლეობის მიერ მიწათსარგებლობის ფორმების თავისუფლად არჩევის დაცვით, ხელს უნდა უწყობდეს სოფლის მეურნეობის საერთო დონის აწევას, მის კოლექტიურად გაერთიანებას და კოლექტივიზაციას.“¹ მიწების გადაწილებას, გარდა აღნიშნულისა, ხელი უნდა შეეწყოს ხარვეზიანობის და მიწათსარგებლობის სხვა ნაკლოვანებების აღმოფხვრის, რაციონალურ თესლბრუნვებზე გადასვლისა და საერთოდ, მიწის რაციონალურად გამოყენებისათვის.

სსრ კავშირის მიწსახკომის 1931 წლის 27 მარტის დადგენილებით არსებული დირექტივებითა და ადგილობრივი ხელმძღვანელობის მითითებების შესაბამისად მიწების აღრიცხვის, თავისუფალი და გაბოუყენებელი მიწების გამოვლენისა და მიწასთან დაკავშირებული ყოველგვარი ოპერაციის ჩატარება ევალებოდა მიწათმოწყობებს. ამავე პერიოდიდან იწყება მიწების რეგისტრაციისა და აღრიცხვის სამუშაოები ერთიანი საფუძვლებითა და ხელმძღვანელობით სსრ კავშირის მიწსახკომის მიერ შემუშავებული და სსრ კავშირის საგვემო კომიტეტის მიერ დამტკიცებული (1933 წ. ოქტომბერი) ინსტრუქციით. ამ ინსტრუქციის მიხედვით მთლიანი მიწის ფონდი ოთხ სექტორში

¹ საბჭოთა მიწათსარგებლობისა და საკოლმეურნეო უფლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი აქტების კრებული, თსუ, 1961, გვ. 60.

გაერთიანდა. პირველ სექტორში გაერთიანდა სახელმწიფო სარგებლობის მიწები (საბჭოთა მეურნეობების, სახელმწიფო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების); მეორე სექტორში—კოლმეურნეობების მიწათსარგებლობა; მესამე სექტორში—ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დასახლებების მიწები; მეოთხე სექტორში—ინდემურნეობებისა და გლეხების მიწები.

მიწების აღრიცხვა, როგორც სახელმწიფოებრივი ღონისძიება, ითვალისწინებდა ცალკეული მიწათსარგებლობის მიხედვით (კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და მიწის დამუშავებელი საზოგადოებების მიწები, ინდემურნეთა მიწები, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების მიწები, ქალაქების და ქალაქის ტიპის დასახლებათა მიწები; ტყის ფართობების მიწები, რომლებიც განკუთვნილი იყო ახალ მეურნეობათა ჩამოსაყალიბებლად; მარაგის მიწები) ძირითად და მიმდინარე აღრიცხვის ოპერაციებს. ძირითადი აღრიცხვის დროს დგებოდა მთლიანი ტერიტორიის მთელი დოკუმენტაცია საჭირო მონაცემებისა და მასალების საფუძველზე, ხოლო მიმდინარე აღრიცხვის დროს წარმოებდა შევსებულ დოკუმენტებში მიწათსარგებლობაში მომხდარი ცვლილებების ფიქსირება. ძირითადი აღრიცხვების დამთავრების ვადა განსაზღვრული იყო 1934 წლის 1 თებერვლით, მაგრამ შემდეგ იგი გადაავადეს ევროპული ნაწილისათვის 1 ოქტომბრამდე, ხოლო უფრო რთული აზიური ნაწილისათვის — 1935 წლის 1 იანვრამდე.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1934 წლის 29 მაისის დადგენილების, „მიწის სავარგულებისა და მიწათმოსარგებლებების მიხედვით განაწილების ანგარიშების შესახებ“ საფუძველზე რაიონულ მიწის განყოფილებებს დაევალა არსებული ბარათების მიხედვით ყოველგვარ ცვლილებებზე ანგარიშის წარდგენა საოლქო სამმართველოებში, სადაც დგებოდა შესაბამისი ნაკრები და იგზავნებოდა მოკავშირე რესპუბლიკების მიწსახკომებში.

მიწათსარგებლობის რეგისტრაციისა და მიწების აღრიცხვის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა 1935 წლის თებერვალში დამკვირვებელ კოლმეურნეთა მეორე ყრილობაზე სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დამტკიცებას, რომლის საფუძველზეც კოლმეურნეობებზე დაიწყო მიწით უვადო სარგებლობაზე აქტების გაცემა. აქტების გაცემა მიმდინარეობდა სახკომსაბჭოს 1935 წლის 7 ივლისის დადგენილებით „სასოფლო-სამეურნეო არტელებისათვის მიწის უვადო (სამუდამო) სარგებლობის სახელმწიფო აქტის მიცემის შესახებ. სა-

ხელმწიფო აქტების გაცემასთან დაკავშირებული მთელი სამუშაოების ხელმძღვანელობა დაეკისრა საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ხოლო შესრულება მიწათმოწყობის ორგანოებს. დაამტკიცეს აქტის ერთიანი ფორმა და საკავშირო რიგითი ნომერი. საერთო წესად დაამტკიცეს მისი ორ ეგზემპლარად შეესება: ერთი კოლმეურნეობისათვის, ხოლო მეორე-რაიადმასკომისათვის.

სახელმწიფო აქტში მითითებული იყო კოლმეურნეობის მიწათსარგებლობის ფართობი და მისი საზღვრები. ამიტომ აქტების გაცემის კომპანიამ მოითხოვა შესაბამისი სამუშაოების ჩატარება ინსტრუმენტალური აზომვის სახით. ამ უკანასკნელის დროს ზუსტდებოდა გარე საზღვრები და მთლიანი ფართობი, რომელიც კოლმეურნეობას გადაეცემოდა მუდმივ სარგებლობაში დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად.

აქტების გაცემასთან ერთად საჭიროების მიხედვით ტარდებოდა შიგასამეურნეო, ხოლო რიგ შემთხვევაში მეურნეობათაშორისო მიწათმოწყობა, რამაც მიწების აღრიცხვისა და შესაბამისად მათი გამოყენების საქმე მკვეთრად გააუმჯობესა.

სახალხო მეურნეობის აღდგენის და განსაკუთრებით, კოლექტივიზაციის პერიოდი საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი მონაკვეთია. იგი ზასიათდებოდა რთული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრებითა და გამწვავებული პოლიტიკური ბრძოლით, რაც ახალი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების ჩამოყალიბების პერიოდი იყო. საქართველოს კომუნისტურ პარტიას ერთდროულად უხდებოდა ორი უმნიშვნელოვანესი ისტორიული ამოცანის გადაწყვეტა: საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება და დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენა. რესპუბლიკის ისტორიული ვითარება და სპეციფიკური პირობები წარმოშობდნენ სიძნელეებსა და დაბრკოლებებს სამეურნეო და სახელმწიფოებრივ მუშაობაში. ეს სიძნელეები განსაკუთრებით იჩენდა თავს მიწათსარგებლობისა და მიწების საკითხში.

ხელმძღვანელობდნენ რა ზემოთაღნიშნული დადგენილებითა და სხვა სახელმძღვანელო დოკუმენტებით, საქართველოს მშრომელებმარნახულ წარმატებებს. მიადწიეს ახალი სოციალისტური ტიპის სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობისა და ორგანიზაციის საქმეში. ამ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკური და სამეურნეო მნიშვნელობის ღონისძიებას წინ უძღოდა დიდი მუშაობა, რასაც საქართველოს კპ აწარმოებდა. 1924 წლის მაისში საქართველოს კპ III ყრილობამ მიიღო „რეზოლუცია“

პარტიის სამეურნეო ამოცანების შესახებ“, სადაც აღნიშნული იყო, რომ სოფლის მეურნეობაში ძირითადი ყურადღება უნდა გამახვილებულიყო ძვირფასი სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და მეცხოველეობის განვითარებისათვის. ამასთან ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ: „სოფლის მეურნეობის სრული აღორძინება და განვითარება მიღწეული იქნება სწორად დაყენებული მელიორაციისა და ირიგაციის პირობებში“.¹

ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა კულაკობის იზოლაციისა და შემდგომში მისი, როგორც კლასის ლიკვიდაციის აუცილებლობა. რასაც უნდა მოჰყოლოდა ჰაკოლმეურნეო მშენებლობის ფართო მასშტაბებით განვითარება. ყრილობის შემდეგ ჩატარებული უდიდესი მუშაობის საფუძველზე 1924 წლის 28 თებერვალს სრულიად საქართველოს საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიაზე დაამტკიცეს საქართველოს სსრ მიწის კოდექსი, რომლითაც გაუქმდა ზოგიერთი მანამდე გამოცემული დადგენილება საადგილმამულო ურთიერთობის შესახებ. კოდექსში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი მიწათმოწყობას, რომელსაც უნდა უზრუნველყო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დაკმაყოფილება არსებული ნორმების ფარგლებში და სოფლად ახალი ცხოვრების დამკვიდრებისათვის საუკეთესო პირობების შექმნა.

კოდექსის შესაბამისად დაიწყო მიწათმოწყობა საადგილმამულო რეგისტრაციის სახით, რაც ნიშნავდა სოფლების ადგილმამულისა და მიწათმოსარგებლეთა რეგისტრაციას. აქვე განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს აოფილთა შორის მიწათმოწყობას.

შემდგომმა პერიოდმა გამოავლინა, რომ არსებული საადგილმამულო ურთიერთობანი წერილი გლეხური მეურნეობების სახით აფერხებდა სოციალისტური წარმოების წესის დამკვიდრებას და სოციალისტური სახელმწიფოს მოთხოვნილებათა სრულყოფილად დაკმაყოფილებას სურსათით, ამიტომ დღის წესრიგში დადგა საკოლმეურნეო მშენებლობის გაშლა ანუ სოფლის მეურნეობის გადაყვანა სოციალისტურ რელსებზე. საქართველოში სკკპ XV ყრილობის დადგენილებათა შესაბამისად საკოლმეურნეო მშენებლობა ფართოდ გაიშალა 1928 წლიდან. თუ 1928 წელს იყო 271 კოლმეურნეობა, 1929 წელს მათი რიცხვი 3-ჯერ გაიზარდა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში ჩაება გლეხური მეურნეობების 47 %, ხოლო 1931 წლისათვის კოლმეურნეობათა რიცხვმა 2081 მიაღწია.

¹ ურნალი „უწყებები“, 1924 წ. № 6—7, გვ. 63.

მიუხედავად იმისა, რომ მიწათსარგებლობის რეგისტრაციისა და მიწების აღრიცხვის სამუშაოები, როგორც დიდი პოლიტიკური ღონისძიება, ტარდებოდა მაღალი პასუხისმგებლობით, ამ დარგში მაინც დაშვებულა იქნა როგორც ორგანიზაციული, ისე ტექნიკური ხასიათის შეცდომები. ეს, ძირითადად, გამოწვეული იყო უხარისხო საგეგმო-კარტოგრაფიული მასალების გამოყენებითა და საკირო მიწათმომწყობი კადრების ნაკლებობით, რის გამოც ამ სამუშაოების ნაწილი შესრულდა სხვადასხვა ორგანიზაციიდან მობილიზებული კადრებით. ამასთან, სამუშაოების შესრულებას ართულებდა ამ დარგში გამოცდილების დაბალი დონე, რამდენადაც ის პირველად ტარდებოდა.

§ 4. მიწის საკადასტრო ღონისძიებები 1939—1954 წწ.

სკკ XVIII ყრილობამ, რომელიც 1939 წ. ჩატარდა, შეაჯამა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შედეგები და დასახა კომუნიზმის მშენებლობის გეგმები, სოფლის მეურნეობის, როგორც სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგის, შემდგომი განვითარების ძირითად პირობად მიიჩნიეს საკოლმეურნეო სექტორი, ხოლო მათი წარმოების გაფართოების საფუძვლად—საზოგადოებრივი მიწების განიავებისაგან დაცვა და რაციონალურად გამოყენება;

ამ პერიოდისათვის მიწათსარგებლობისა და მიწათმომწყობის ერთ-ერთი ძირითადი ნაკლი იყო ის, რომ საკარმიდამო მიწები არ იყო გამოიწვეული საზოგადოებრივი მიწებისაგან და კოლმეურნეთა პირად სარგებლობაში არსებული ნაკვეთები საკოლმეურნეო მიწების მასივებში იყო მიმოფანტული. ეს კი ამ მიწების აღრიცხვას უშლიდა ხელს და საზოგადოებრივი მიწების მიტაცების პირობებსაც ქმნიდა. ამიტომ სკკ. (ბ) ცკ და სსრ კავშირის სახალხო კომისარათა საბჭომ 1939 წლის 27 მაისს მიიღეს დადგენილება „კოლმეურნობათა საზოგადოებრივი მიწების განიავებისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ. ამ დადგენილებით თითოეულ კოლმეურნობაში შემოიღეს საზოგადოებრივი და საკარმიდამო მიწების აღრიცხვის სპეციალური ზონარეგულირების წიგნი, ხოლო რაიონებში-მიწების რეგისტრაციის სახელმწიფო წიგნი.

აღნიშნულმა დადგენილებამ დიდი როლი შეასრულა კოლმეურნობათა მიწათსარგებლობის განმტკიცების, მიწის ფონდების აღრიცხვისა და დოკუმენტაციის სწორად შედგენის საქმეში. ერთიან მიწის ფონდში გამოიყო ხუთი კატეგორია: 1) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები, 2) მრეწველობის, ტრანსპორტის და სპეცდანიშნუ-

ლებს მიწები, 3) ქალაქის და ქალაქის ტიპის დასახლებათა მიწები, 4) სახელმწიფო ტყის ფონდის მიწები; 5) სახელმწიფო მარაგის მიწები.

მიწების აღრიცხვა ხდებოდა მიწათმოსარგებლებებისა და სავარგულების მიხედვით და მას აწარმოებდა ყოველი მიწათმოსარგებლე.

კოლმეურნეობათა მიწის ზონარგაყრილი წიგნი შედგებოდა სამი კარისაგან: პირველ კარში მოცემული იყო მონაცემები კოლმეურნეობაზე აქტიურ უვადო სარგებლობაში გადაცემული მიწების საერთო ფართობის (მათ შორის საზოგადოებრივი და საკარმიდამო მიწების გამოკრეფით) შესახებ. მეორე კარში—ცნობები საზოგადოებრივი მიწების განაწილებისა და სავარგულების მდგომარეობის შესახებ; მესამეში—ცნობები ცალკეული კომლის საკარმიდამო მიწების შესახებ.

მიწების რეგისტრაციის სახელმწიფო წიგნი შედგებოდა ოთხი კარისაგან. პირველში მოცემული იყო ცნობები ცალკეული კოლმეურნეობისათვის, მიწათსარგებლობის ალფაბეტური ნომერი, მისი ადგილმდებარეობა, საერთო ფართობი, საზოგადოებრივი და საკარმიდამო მიწის ფართობი; მეორეში—აღრიცხული იყო ცალკეულ მოსარგებლეთა მიწის ფართობი სავარგულების მიხედვით; მესამეში—კოლმეურნეთა საკარმიდამო მიწები სავარგულების მიხედვით; მეოთხეში—ეროვნულ მუერნეთა და არაკოლწევრ პირთა საკარმიდამო მიწები.

ამავე პერიოდში მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა მიწის აღრიცხვის და სამიწათმომწყობო სამსახურის სრულყოფისათვის. მიწების აღრიცხვის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების, მიწების სწორად გამოყენების კონტროლის, კოლმეურნეთა საზოგადოებრივი მიწების და საკარმიდამო ფართობების პეროდული შემოწმების მიზნით შეიქმნა რევიზორ-მიწათმომწობთა სპეციალური სამსახური. მისი მოვალეობა იყო, როგორც სახელმწიფო რეგისტრაციის აქტის წარმოება, ისე მასში კანონიერი ცვლილებების შეტანა. მიწების ძირითადი და მიმდინარე აღრიცხვის ჩატარება, მიწათმოსარგებლეთა რეგისტრაცია და კოლმეურნეთა მიწების ზონარგაყრილი წიგნის წარმოების კონტროლი. ყოველწლიური აღრიცხვის კონტროლის ორგანიზაცია და საგეგმო-კარტოგრაფიულ მასალებში შესაბამისი კორექტივებს შეტანა. მიწის ბალანსის შედგენა და რაიონმასკომებში დასამტკიცებლად წარდგენა. აგეგმვების კვლევითი და მიწათმოწყობის სამუშაოების გეგმების შედგენა და შესრულებული სამუშაოების კონტროლი.

სამამულო ომის წლებში ოკუპირებულ ტერიტორიებზე მთლიანად დაირღვა მიწების აღრიცხვა და მოისპო დოკუმენტაცია. ამიტომ სკკპ (ბ) ცკ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1946 წელს მიიღეს

დადგენილება „საკოლმეურნეო წესდების დარღვევის ლიკვიდაციის ღონისძიებათა შესახებ“. დადგენილების შესაბამისად ჩატარდა დიდი მოცულობის სამუშაოები საკოლმეურნეო მიწათსარგებლობის მოწესრიგებისათვის.

ომის შემდგომ პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა გელიორირებული მიწების აღრიცხვას, რადგან ეს მიწები მიიჩნეეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდის მთავარ ბერკეტად, ამიტომ 1945 წლიდან დაიწესა საარსყვე მიწების აღრიცხვა. რაც ხარისხობრივ მხარესაც გულისხმობდა.

1949 წლიდან შემოიღეს მეურნეობათა მიწების აღრიცხვის წიგნი, ხოლო 1954 წლიდან ფართოდ გაიშალა ასათვისებელი მიწების გამოვლენის და აღრიცხვის სამუშაოები ქვეყნის დიდ ტერიტორიაზე.

§ 5. მიწის საკადასტრო ღონისძიებანი 1955—1958 წწ.

სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარებამ მსოფლიო ისტორიაში არანახულ წარმატებებს მიაღწია—უმოკლეს ვადაში ხალხის სამსახურში ჩადგა 41 მლნ/ჰა სახნავი მიწა. შესაბამისად ბევრი სიახლე შეიტანეს მიწების აღრიცხვის საქმეში. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 31 დეკემბრის დადგენილებით—„სსრ კავშირის მიწის ფონდის ერთიანი აღრიცხვის შესახებ“ შემოიღეს მიწათსარგებლობის სახელმწიფო რეგისტრაციისა და მიწის აღრიცხვის ერთიანი სისტემა. 1956 წლიდან კი დაამტკიცეს მიწათსარგებლობის უფლების აქტისა და მიწათსარგებლობის სახელმწიფო რეგისტრაციის წიგნის ახალი ფორმები. იმავე წელს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დაამტკიცა „ინსტრუქცია მიწების სახელმწიფო აღრიცხვისა და მიწათმოსარგებლეთა რეგისტრაციის წარმოების წესის შესახებ“ და „მითითებანი მიწათმოსარგებლებზე მიწით სარგებლობის აქტების შედგენისა და მიცემის წესის შესახებ“.

მიწათსარგებლობის სახელმწიფო აქტი დანიშნულებით და შინაარსით შეესაბამებოდა კოლმეურნეობათა მიწით უვადო სარგებლობის სახელმწიფო აქტს და იგი ეძლეოდა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს, სხვა ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს.

მიწათსარგებლობის სახელმწიფო რეგისტრაციის წიგნი შედგებოდა სამი ნაწილისა და 10 კარისაგან. პირველ ნაწილში (მეორე და მეექვსე კარების ჩათვლით) მოცემული იყო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, სახელმწიფო ტყის ფონდისა და სახელმწიფო მარაგის მიწები. მეორე ნაწილში (მეშვიდედან მეათე კარის ჩათვლით) იწერე-

ბოდა სპეცდანიშნულების (არასასოფლო-სამეურნეო) მიწები. მესამეში—საკარმიდამო მიწები (ინდივიდუალურ მეურნეობათა მიწების ჩათვლით).

მიწების აღრიცხვა ასეთი თანმიმდევრობით ტარდებოდა: პირველ კარში აღრიცხებოდა რაიონის (ქალაქის) მიწის მთლიანი ფართობი მიწათმოსარგებლეებს, სახელმწიფო ტყის ფონდისა და სახელმწიფო მარაგის მიწების ჯამის მიხედვით; მეორეში—კოლმეურნეობათა უვადო და გრძელვადიანი სარგებლობის მიწები; მესამეში—საბჭოთა მეურნეობების (სისტემების მიხედვით) უვადო და გრძელვადიანი სარგებლობის მიწები; მეოთხეში—დამხმარე საწარმოთა, სხვა ორგანიზაციების, საწარმოებისა და დაწესებულებების მიწები გამოყოფილი სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის; მეხუთეში—სახელმწიფო მარაგის მიწები; მეექვსეში—სახელმწიფო ტყის ფონდის მიწები; მეშვიდეში—მრეწველობის, ელექტროსადგურების; სამთო-მოპოვებითი და სხვა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები; მერვეში—რკინიგზის, საავტომობილო, წყლისა და საპაერო ტრანსპორტის მიწები; მეცხრეში — სხვა არასასოფლო-სამეურნეო წარმოება-დაწესებულებებისათვის (სკოლები, საავადმყოფოები, კლუბები, ბავშვთა ბაგა-ბაღები და ა. შ.) გამოყოფილი მიწები; მეათეში — ქალაქის და ქალაქის ტიპის დასახლებათა მიწები.

აღრიცხვის ახალმა სისტემამ უზრუნველყო მიწის რაოდენობრივი მდგომარეობის შესახებ უტყუარი მონაცემების მიღება, მაგრამ იგი არ იძლეოდა არავითარ ცნობებს მიწების ხარისხზე. ამ მიზნით ფართოდ გაიშალა მუშაობა მიწების მსხვილმასშტაბიანი გამოკვლევებისათვის, რაც საბოლოოდ ნიადაგების ბონიტირებასა და მიწების ეკონომიკურ შეფასებას უნდა დასდებოდა საფუძვლად.

მიწების ეკონომიკური შეფასებისა და, საბოლოოდ, ქვეყნის მიწის კადასტრის შედგენის აუცილებლობა კი ამ პერიოდისათვის სადავო საკითხი აღარ იყო, უფრო მეტიც, 1955 წელს საკავშირო აკადემიის ვ. დოკუჩაევის სახელობის ნიადაგთმცოდნეობის ინსტიტუტის, გეოგრაფიის ინსტიტუტის, საკავშირო-საწარმოო ძალთა შემსწავლელი საბჭოსა და სხვა ორგანიზაციების მიერ შექმნილმა კომისიამ შეიმუშავა მიწათსარგებლობის რეგისტრაციის სახელმწიფო წიგნი. იგი ითვალისწინებდა მიწების აღრიცხვას მიწათსარგებლობისა და სავარგულების მიხედვით. 1957 წელს საკავშირო სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბრძანებით შეიქმნა სპეციალური კომისია მიწის ხარისხობრივი შეფასების სისტემის შესამუშავებლად. ამ კომისიაში შევიდნენ გეოგრაფიის ინსტიტუტის, ვ. დოკუჩაევის სახელობის ნიადაგთმცოდნეობის ინს-

ტიტუტის, საკავშირო შრომითი რესურსების შემსწავლელი საბჭოსა და საკავშირო სოფლის მეურნეობის ეკონომიკის სამეცნიერო-კლევებითი ინსტიტუტის წარმომადგენლები. კომისიას უნდა შეემუშაებინა მიწის კადასტრის შედგენის სამუშაოების ჩატარების ერთიანი საკავშირო მეთოდოლოგია. აქედან გამომდინარე, მთელ საბჭოთა კავშირში ფართოდ გაშალა მუშაობა მიწის კადასტრის სამუშაოთა წარმოებისათვის.

საბჭოთა მიწის კადასტრის სამუშაოთა მიზანშეწონისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა 1962 წ. 12 ივლისის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სპეციალურ დადგენილებას „მიწის აღრიცხვის გაუმჯობესებისა და მისი სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში გამოყენების შესახებ“. ამ დადგენილებით იწყება ახალი ეტაპი მიწის კადასტრის შედგენის პრობლემის გადაწყვეტაში. გარდა ამისა, იმ წლებში მიწის ეკონომიკური შეფასებისა და კადასტრის შედგენის საკითხებზე ჩატარდა რამდენიმე საკავშირო თათბირი და სიმპოზიუმი. 1960 წელს ბერლინსა და 1963 წელს რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში ჩატარებული სიმპოზიუმის გადაწყვეტილებით მიწის ეკონომიკური შეფასების საფუძვლად აიღეს საერთო (მთლიანი) პროდუქცია და წმინდა შემოსავალი.

მიწის ხარისხობრივი აღრიცხვის აუცილებლობაზე მიუთითა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიამ 1968 წლის დეკემბერში „სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკური მიწის კანონმდებლობის შესახებ“ მიღებულ დადგენილებაში. მასში აღნიშნულია, რომ „მიწის რესურსების რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფისათვის წარმოებს სახელმწიფო მიწის კადასტრი, რომელიც შეიცავს სარწმუნო და საჭირო ცნობებს მიწების ბუნებრივი, სამეურნეო და სამართლებრივი დებულებების შესაბამისად“.¹

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის დადგენილებებმა და მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენების აუცილებლობამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა მეცნიერთა შრომებში. ამ პერიოდში მიწის შეფასების საკითხებზე მუშაობდა მეცნიერთა და პრაქტიკოსთა დიდი ჯგუფი, რომლებმაც შეიმუშავეს მიწის ეკონომიკური შეფასების რამდენიმე ორიგინალური მეთოდი. ისინი, ძირითადად, იყოფოდნენ შეფასების ერთეულებისა და კრიტერიუმების შერჩევის მიხედვით.

მიწის შეფასების ერთეულების გამოყენების მიხედვით მეთოდი შეიძლება სამ ჯგუფად დაიყოს:

1. მიწების შეფასება ნიადაგების აგროსაწარმოო ჯგუფების მიხედ-

¹ 1968 წ. 14 დეკემბერი. გაზეთ „კომუნისტი“ № 210 (14286).

ღვით, რომელიც უკანასკნელმა მკვლევარებმა (ხ. სარჩენკოს ხელმძღვანელობით) შეიმუშავეს:

2. მიწების შეფასება ნიადაგების ტემპებით, რომელიც ყაზახეთში შეიმუშავა გ. ნიკოლენკომ.

3. იმ პერიოდში ყველაზე უფრო აღიარებული იყო მიწის შეფასება ნიადაგების სახესხვაობების მიხედვით, რომლის ავტორია იყო ს. ჩერიომუშკინი.

ძირითადი კრიტერიუმების შერჩევის. მათი თეორიული და პრაქტიკული გამოყენებით აღიარება პპოვა ორმა კონცეფციამ:

1. მიწის შეფასება წარმოებს მთლიანი (საერთო) პროდუქციითა და წმინდა შემოსავლით. ამ კონცეფციის ავტორია ს. ჩერიომუშკინი და იგი იმ პერიოდში ფართოდ აღიარეს.

2. შეფასების საფუძვლად აღებული იყო სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა ან პროდუქციის გამოსავლიანობა ფართობის ერთეულზე და დანახარჯები ამ პროდუქციის საწარმოებლად (გ. ნიკოლენკო).

ორვე კონცეფციას საერთო ისა აქვს, რომ აღიარებს მთლიან პროდუქციას, ხოლო მეორე კრიტერიუმს კი განსხვავებულს იღებენ.

თვით ამ კონცეფციების შიგნით, თავის მხრივ, რამდენიმე მიმდინარეობა გამოიყო: ვ. დოკუჩაივის სახელმწიფო ნიადაგმცოდნეობის ინსტიტუტში ნიადაგების ბონიტირება წარმოებდა საბონიტეტო რაიონებად ქვეყნის დაყოფით. საშემფასებლო ერთეულად აღებული იყო ნიადაგის სახესხვაობა, ხოლო კრიტერიუმად-სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა. ნიადაგების ბუნებრივ ნიშან-თვისებებსა და მოსავლიანობებს შორის კორელაციური კავშირის განსაზღვრა მათემატიკურ-სტატისტიკური მეთოდის გამოყენების საფუძვლად ედება საშემფასებლო სკალების შედგენას. ამ მეთოდით აწარმოებდა ნიადაგების ბონიტირებას მოლდავეთის აგროქიმიისა და ნიადაგმცოდნეობის ინსტიტუტი, როსტოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ტომსკის პედაგოგიური და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტები, ლატვიის, მიწათმოქმედების ჰამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ბელორუსიის აგროქიმიისა და ნიადაგმცოდნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, და სხვ.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სოფლის მეურნეობის ეკონომიკის ინსტიტუტში მიწის ეკონომიკური შეფასება ჩატარდა ბუნებრივ-ეკონომიკური დარაიონების საფუძველზე. საშემფასებლო ერთეულად აღებული იყო ნიადაგის სახესხვაობა, ხოლო ძირითად კრიტერიუმად—მთლიანი პროდუქცია, წმინდა შემოსავალი, მოსავლიან-

ობა, თვითღირებულება და დამატებითი დანახარჯები. საშემფასებლო სამუშაოები ტარდებოდა ტიპობრივად შერჩეული საწარმოების საფუძველზე, როდესაც ითვალისწინებდნენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების დონეს, იყენებდნენ კორელაციურ-რეგრესიულ მეთოდს. ჩვენი ქვეყნის უმეტეს სამეცნიერო-კვლევით და სხვა საწარმოების უმეტესი ნაწილი ამ მეთოდის საშუალებით აწარმოებდა მიწების ეკონომიკური შეფასების სამუშაოებს. ერთად: მიწის რესურსების საფუძვლით იმსტიტუტი. მოსკოვ-ის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ცენტრის სოფლის მეურნეობის ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. მოსკოვის ინჟინერ-მიწათმომწყოების ინსტიტუტი, სსრ კავშირის საგეგმო კომიტეტთან არსებულ საწარმოო ძალთა შემსწავლელი საბჭო. ლატვიის მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და სხვ.

ყუხანეთის სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მიწის ეკონომიკური შეფასება საკლასტრო დარაიონების საფუძველზე განხორციელდა. საშემფასებლო ერთეულებად ნიადაგების აგროსაწარმოო დაჯგუფება იყო აღებული, ხოლო ძირითად კრიტერიუმებად—სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა მიკუთვნებული დანახარჯებს.

უკრაინის სოფლის მეურნეობის ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მიწის ეკონომიკური შეფასება ბუნებრივ-ეკონომიკური დარაიონების საფუძველზე ჩატარდა. საშემფასებლო ერთეულებად აიღეს მიწის სასოფლო-სამეურნეო ტიპი, ხოლო ძირითად კრიტერიუმად—წმინდა შემოსავლის განსხვავებული სიდიდე. რაც მიიღება შესაღასებელი ნიადაგების შედარების დროს. მაჩვენებლების გაანგარიშება მათემატიკურ-სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით წარმოებდა (კორელაციურ-რეგრესიული მეთოდით).

ყველა ამ მეთოდის საერთოა ის, რომ ისინი აღიარებენ მიწის შეფასებას ორ ასპექტში:

ა) მიწის, როგორც წარმოების ძირითადი საშუალების, საერთო-ეკონომიკური შეფასება;

ბ) მიწის ეკონომიკური შეფასება ცალკეული სასოფლო-სამეურნეო კულტურის წარმოების ეფექტიანობის მიხედვით.

მიუხედავად მეთოდებისა და კონცეფციების განსხვავებისა რიგ მოკავშირე რესპუბლიკასა და ცალკეულ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში ამ პერიოდში შესრულებულ სამუშაოებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მიწების შეფასების მეთოდის სრულყოფისა და დახვეწის საქმეში.

დიდი მნიშვნელობის სამუშაოები ჩატარა საქართველოს სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევ-

ითმა ინსტიტუტმა მეთოდის დახვეწისა და მიწების ეკონომიკური შეფასების საქმეში პროფ. ვ. ბურკაძის ხელმძღვანელობით.

1968 წლის დეკემბერში სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის ძირითადი საფუძვლები, რომელშიც გათვალისწინებული იყო სპეციალური მუხლი მიწის კადასტრის შესახებ. ძირითადი საფუძვლების შესაბამისად გამოიყო მიწის ექვსი კატეგორია: ა) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები; ბ) დასახლებული პუნქტების მიწები; გ) მრეწველობის, ტრანსპორტის, კურორტების, ნაყრძალების და სხვა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები; დ) სახელმწიფო ტყის ფონდის მიწები; ე) სახელმწიფო წყლის ფონდის მიწები; ვ) სახელმწიფო მარაგის მიწები.

ამრიგად; ამ ეტაპზე ქვეყნის მასშტაბით მიღებული გამოცდილება მიწის საკადასტრო სამუშაოების შემდგომი გაფართოებისა და სრულყოფის წინაპირობაა.

§ 6. მიწის საკადასტრო ღონისძიებანი 1969—1977 წწ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმმა დასაბამი მისცა სოფლის მეურნეობის დაგეგმვასა და ორგანიზაციაში სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმის აღმოფხვრას და ობიექტური ეკონომიკური კანონების გათვალისწინებით მისი შემდგომი განვითარების გზებისა და პერსპექტივების დასახვას.

ქვეყნისა და ხალხისათვის მნიშვნელოვანი შემობრუნების ამ პერიოდმა განსაზღვრული მოთხოვნები წაუყენა მიწის აღრიცხვასა და შეფასებასაც, როგორც სოფლის მეურნეობის გეგმიანობის მნიშვნელოვან ფაქტორებს. სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლების (1968 წ) შემდეგ მიიღეს სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კოდექსები. საქართველოს სსრ მიწის კოდექსის 46-ე მუხლი ეძღვნება სახელმწიფო მიწის კადასტრს, სადაც მითითებულია მისი შედგენის აუცილებლობა და ძირითადი პრინციპები.

აღნიშნულ დოკუმენტებზე დაყრდნობით სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 1971 წლის 11 ოქტომბერს სსრ კავშირის საგეგმო კომიტეტისა და ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოებთან შეთანხმებით დაამტკიცა სახელმწიფო მიწების წიგნისა და მიწების ზონარეგულირების წიგნის ახალი ფორმები.

სახელმწიფო მიწის წიგნი შემოღებული იყო რაიონში (ქალაქში), შედგებოდა ორი ნაწილისა და ხუთი კარისაგან.

პირველ კარში მოცემული იყო პირველადი მიწათსარგებლობის რეგისტრაცია; მეორეში-მიწების აღრიცხვა სავარგულების მიხედვით (სულ მიწები, სარწყავი, დაშრობილი), რაც სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, სახელმწიფო სატყეო მეურნეობების, დაწესებულებების, ორგანიზაციების სარგებლობაში იყო და სახელმწიფო მარაგის მიწებში შედიოდა; მესამეში-მიწების აღრიცხვა სავარგულების მიხედვით (სულ მიწები სარწყავი და დაშრობილი), რაც მრეწველობის, ტრანსპორტის: სხვა არასასოფლო-სამეურნეო საწარმოების ორგანიზაციების და დაწესებულებების მფლობელობაში იყო, აგრეთვე რაიონული დაქვემდებარების ქალაქების, ქალაქის ტიპის დასახლებების, სოფლის დასახლებული პუნქტების მიწები, რომლებიც სხვა კატეგორიებში არ იყო აღრიცხული. მეოთხე და მეხუთე კარები, დათმობილი ჰქონდა მიწების ხარისხობრივ აღრიცხვას და შეფასებას. მათი ფორმები ჯერ კიდევ შემუშავებული არ იყო იმ პერიოდში, რადგან მთლიანად არ იყო დახვეწილი მიწების შეფასების მეთოდოლოგია და გამომდინარე, მიწის საკადასტრო დოკუმენტაციის ნუსხა შესაბამისი ფორმებით. დახვეწასა და დასაბუთებას მოითხოვდა მიწების კლასიფიკაციის, ნიადაგების აგროსაწარმოო დაჯგუფებისა და მიწების ეკონომიკური შეფასების ძირითადი კრიტერიუმები.

მიწების ზონარგაყრილი წიგნი შედგებოდა სამი კარისაგან: პირველში აღრიცხული იყო უდავო და დროებითი სარგებლობის მიწები სარგებლობაზე უფლების ჩვენებით: მეორეში—სულ მიწები და ცალკე სარწყავი და დაშრობილი სავარგულების ჩვენებით; მესამეში-კოლმეურნეობის, მუშების, მოსამსახურეებისა და სხვა მოქალაქეთა საკარმიდამო მიწები.

მიწების სააღრიცხვო დოკუმენტაციის სრულყოფის პარალელურად საღრიცხვე ორგანოების ყოველდღიური საქმიანობის ცენტრში იყო მიწების შეფასების, მეთოდოლოგიის შედგენისა და დამტკიცების საკითხი. მკონიერთა და მკვლევართა ფართო მასების მრავალწლიური მუშაობის შემდეგ 1976 წელს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დაამტკიცა ერთიანი-საკავშირო მეთოდოლოგია. ამ პერიოდიდან აღმოიფხვრა მიწების შეფასებაში მრავალმეთოდოლოგიანობა, რაც შეფასების შედეგების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენებას აფერხებდა.

მიწის საკადასტრო საქმიანობის გაუმჯობესების და დოკუმენტაციის შედგენის სრულყოფის საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სსრ კავშირის 1977 წლის 10 ივლისის № 501 დადგენილებას „სახელმწიფო მიწის კადასტრის შედგენის ღონისძიებათა შესახებ“; ამ დადგენილებით მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებსა

და სოფლის მეურნეობის სამინისტროებს დაევალოთ უზრუნველყოთ საკადასტრო სამუშაოების პირველი ტურის დამთავრება და, შესაბამისად, დოკუმენტაციის გაფორმება 1977—1980 წლებში. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროებში შემოიღეს უფროსი ინჟინერ-მეწათმოქმედების შტატი მიწების სახელმწიფო აღრიცხვითა და მიწის კადასტრის შედგენის ხაზით. მათვე დაევალა ეხელმძღვანელათ და კონტროლი გაეწიათ ნიადაგების კვლევის, აეროფოტოგადაღებებისა და სხვა სამუშაოებისათვის იმ მიმართულებით, რომ მიღებულ მასალებზე შესაძლებელი ყოფილიყო სრულყოფილი მიწის კადასტრის შედგენა.

აღნიშნულმა დადგენილებამ განსაზღვრა მიწის საკადასტრო დოკუმენტაციის ნუსხა, მათი ფორმები, შინაარსი, წარმოების, დამტკიცებისა და გაცემა-შენახვის წესები და თანმიმდევრობა. როგორც სამუშაოების წარმოება, ისე დოკუმენტაციის შედგენა ევალება მიწათმოქმედების სამსახურს მთლიანად, რომელთაც ხელმძღვანელობს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მისი მოვალეობაა მეთოდის შემდგომი დახვეწა, საკადასტრო დოკუმენტაციის შემუშავება და დაგზავნა მოკავშირე რესპუბლიკების მიწათმოქმედების სამსახურებისათვის. ამრიგად, მიწის კადასტრის შედგენა ცენტრალიზებული ხელმძღვანელობის პრინციპით ხორციელდება. მისი დოკუმენტაციის განახლება ყოველი ხუთწლედის დასაწყისში უნდა, დაიწყოს და მიღებული შედეგები მომდევნო ხუთწლედის დაგეგმვას დაედოს საფუძვლად.

დადგენილების შესაბამისად სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო წლების განმავლობაში ამუშავებდა და ხევედა რაიონის და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა საკადასტრო წიგნებს, რომლებიც 1982 წლის ბოლოს დაეგზავნა მოკავშირე რესპუბლიკების მიწათმოქმედების სამსახურებს გასამრავლებლად და საწარმოებლად.

V თ ა ვ ი

მიწის ფონდი, როგორც მიწის კადასტრის ობიექტი

§ 1. მიწის კადასტრის ობიექტი და მისი კლასიფიკაცია

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მიწათსარგებლობის ახალი ფორმები და შინაარსი ჩამოაყალიბა. ძან სამუდამოდ აღ-

კეთა ყოველგვარი ფინანსური ოპერაცია მიწაზე, დამკვედრა მასზე საერთო-სახალხო საკუთრება და ამით უზრუნველყო სოფლის მეურნეობის სოციალისტური, ინდუსტრიულ რელსებზე გადაყვანის პირობების შექმნა.

მიწაზე სახელმწიფო საკუთრების დამყარებამ განსაზღვრა მთელი მიწის ფონდის გაერთიანება იმის მიუხედავად, თუ სახალხო მეურნეობის რომელ დარგში გამოიყენება იგი, აღნიშნულიდან გამომდინარე სახელმწიფოს უფლება აქვს მისი განაწილების, სწორი გამოყენების ორგანიზაციის და, შესაბამისად, მიწის კადასტრის წარმოების, როკელები სრულყოფილ მასალებს იძლევა მიწის შესახებ. აქედან მიწის კადასტრის ობიექტია საბჭოთა კავშირის ერთიანი სახელმწიფო მიწის ფონდი, იმის მიუხედავად, თუ რომელ დარგში გამოიყენება იგი.

ჩვენი ქვეყნის მიწის კადასტრის შესადგენად გამოიყენება განსაზღვრული კატეგორიები, რომლებიც მიწის კადასტრის მაჩვენებლებს და შესასწავლი ობიექტის რაოდენობრივ-ხარისხობრივი დახასიათების მონაცემებს იძლევა, როგორც წესი. მაჩვენებლები ერთმანეთთანა დაკავშირებული და შესასწავლი მოვლენის როგორც ხარისხობრივ, ისე რაოდენობრივ მხარეს ასახავს. სტატისტიკაში შესასწავლი ობიექტის (მოვლენის) დაყოფას რიგი საფუძვლების მიხედვით კლასიფიკაციას უწოდებენ. კლასიფიკაციას განსაზღვრავს შესასწავლი მოვლენის არსი და მასზე საზოგადოებრივი მოთხოვნილება.

ამდენად ჩვენი ქვეყნის მიწის ფონდი, როგორც მიწის კადასტრის ობიექტი, განხილული უნდა იქნას საერთო ფართობითა და განფენილობით. მაშასადამე, სსრ კავშირის მიწის კადასტრში გათვალისწინებულია ხმელეთის, კუნძულების შიდა წყლებისა და სახელმწიფო წყლების, აგრეთვე რიგი სრუტეების ფართობი. მიზნობრივი დანიშნულებისა და თავისებურებებიდან გამომდინარე მიწის ფონდი შეიძლება დაიყოს დანიშნულების, სამეურნეო გამოყენების, ხარისხობრივი მდგომარეობისა და ადმინისტრაციული თვალსაზრისით. ასეთი დაყოფა პირობითია და სოციალისტური მშენებლობის ცალკეულ ეტაპზე მან შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადოს განვითარების თვალსაზრისით.

§ 2. მიწის ფონდის დასასიათება კატეგორიებისა და მიწათმოსარგებლეთა მიხედვით

მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით ერთიანი სახელმწიფო მიწის ფონდი იყოფა ექვს ძირითად კატეგორიად: 1) სასოფლო-სამეურ-

ნეო დანიშნულების მიწები; 2) დასახლებული პუნქტების (ქალაქის ტიპის); 3) მრეწველობის, ტრანსპორტის, კურორტების, ნაკრძალებისა და სხვა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები; 4) სახელმწიფო ტყის ფონდის მიწები; 5) სახელმწიფო წყლის ფონდის მიწები; 6) სახელმწიფო მარაგის მიწები.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს მიეკუთვნება ყველა მიწა, რომელიც გამოყოფილია სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის. მიწების ამ კატეგორიას მიეკუთვნება კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მეურნეობათაშორისო ორგანიზაციების, სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების და სხვა არასასოფლო-სამეურნეო საწარმოთა დაწესებულებების მიწები, რომლებიც მათ მიცემული აქვთ უვადო, გრძელვადიანი ან მოკლევადიანი სარგებლობისათვის სოფლის მეურნეობის პროდუქციის საწარმოებლად. უკანასკნელ წლებში ფართოდ ვითარდება ფაბრიკა-ქარხნებისა და სხვა წარმოება-დაწესებულებებში დამხმარე მეურნეობები, რისთვისაც მათ უყოფენ შესაბამის მიწის ფართობს. ანალოგიურად მიმდინარეობს კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის საზოგადოებების საჭიროებისათვის ნაკლებად გამოყენებული მიწის ფართობების გამოყოფა. ამ კატეგორიაში გაერთიანებული მიწების საერთო მაჩვენებელია ის, რომ ისინი გამოღას როგორც წარმოების ძირითადი საშუალება.

დასახლებული პუნქტების მიწებს მიეკუთვნება ქალაქების, ქალაქის ტიპის დასახლებების და სოფლის დასახლების პუნქტების მიწები. ქალაქის ტიპის დასახლების და ადმინისტრაციული რაიონის მიწებს აღრიცხავს და კადასტრს ადგენს აღმასრულებელი კომიტეტი. რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის (მაგ. თბილისი და რუსთავი) შედის ტერიტორიულად გარდაბნის რაიონში) მიწების შეფასებას აწარმოებს ქალაქის ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროები ქალაქის კომიტეტებთან ერთად და იმ ადმინისტრაციული რაიონის მიწის ფონდში არ შედის. ქალაქის მიწებში შედის: ქალაქის მშენებლობის მიწები, საერთო მიწის ფართობი, ქალაქის ტყის ფონდის მიწები, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები, რკინიგზის, მრეწველობის და სხვა მიწები.

მრეწველობის, ტრანსპორტის, კურორტების, ნაკრძალებისა და სხვა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს მიეკუთვნება აღნიშნული დარგებისათვის მომსახურე ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის გამოყოფილი მიწის ფართობი. ამ კატეგორიის თავისებურებაა ის, რომ მიწა გამოიყენება როგორც საყრდენი, საოპერაციო ბაზისი. მრეწველობის მიწები მოიცავს სამთო-მოპოვებითი და

გადამუშავებითი მრეწველობის მიწებს. ტრანსპორტის მიწებში შედის რკინიგზის, საავტომობილო, საჰაერო და ტრანსპორტის სხვა სახეების ფუნქციონირებისა და მომსახურებისათვის საჭირო ფართობები, კურორტების მიწებში—სამკურნალო მნიშვნელობის და სხვა გამაჯანსაღებელი დაწესებულებებით დაკავებული ფართობები. ნაკრძალებს მიეკუთვნება მიწის ფართობები, რომლებიც სამეცნიერო ან ბუნების გაანსაღების მნიშვნელოვანი ობიექტის მიერაა დაკავებული. სახელმწიფო ნაკრძალებად ცხადდება იშვიათი ლანდშაფტის ან მცენარეთა და ცხოველთა იშვიათი ჯიშების გავრცელების ტერიტორია და მისი მოვლა-პატრონობა ევალება სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს.

სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებს მიეკუთვნება ტყით დაფარული ან ამ მიწებისათვის გამოყენებული ფართობები. ეს კატეგორია გამოდის როგორც წარმოების ძირითადი საშუალება და მისი მიწები, ძირითადად, უკავია სატყეო მეურნეობებს, ტყის დამზადების საწარმოებსა და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციებს, რომლებიც დასაქმებულაა ტყის გაშენების, მოვლისა და ექსპლოატაციის საკითხებით.

სახელმწიფო წყლის ფონდს მიეკუთვნება მდინარეებით, ტბებით, წყალსაგუბარებით, არხებით, შიგა ზღვებით, სხვა წყლებით, აგრეთვე უინულეებით, ჰიდროტექნიკური ან სხვა წყალთა სამეურნეო ნაგებობებით დაკავებული ფართობები და ა. შ, როგორც წესი, მიწის ეს კატეგორია გამოყენებულია სასაშენო ან საარწყავი წყლით უზრუნველყოფის, სითბოსა და სინათლის ენერჯის მოღების, ტრანსპორტისა და სხვა მნიშვნელოვანი სახალხო მეურნეობრივი საკითხების გადასაჭრელად. რაც განსაზღვრავს მის დანიშნულებასა და ხასიათს.

სახელმწიფო მარაგის მიწებს მიეკუთვნება ერთიანი ქვეყნის მიწის ფონდის ის ნაწილი, რომელიც გადაცემული არ აქვს მიწათმოსარგებლეებს უვადო ან გრძელვადიანი სარგებლობისათვის. მიწის ფონდის ეს ნაწილი ახალ მიწათმოსარგებლეთა ჩამოყალიბების რეზერვია. აგრეთვე წარმოება-დაწესებულებათა დროებით სარგებლობაში მიწების გადაცემის ძირითადი წყაროა.

ჩვენს ქვეყანაში ჩამოყალიბებული მიწათსარგებლობის წესისა და მიწის კანონმდებლობის ძირითადი საფუძვლების შესაბამისად ყველა კატეგორიას ჰყავს მესაკუთრე (გარდა სახელმწიფო მარაგის მიწებისა); ამდენად, აღრიცხვა წარმოებს მიწათმოსარგებლეთა კატეგორიების მიხედვითაც. კოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ქვეყნის წინაშე მდგომი ამოცანებისა და სახალხო მეურნეობის განვითარების შესაბამისად იცვლებოდა და იხვეწებოდა მიწათსარგებლობის ფორმები და შინაარსი. თანამედროვე ეტაპზე, ძირითადად, ფუნქციონირებს 5. ნ. კინჰარაული

კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, მეურნეობათაშორისო საწარმოები, დამხმარე და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, სამრეწველო საწარმოები და სხვა ორგანიზაციები, პირად დამხმარე მეურნეობები და ა. შ.

§ 3. მიწათსარგებლოება—ძირითადი მიწის საკადასტრო მართეული

აღნიშნული გვექონდა, რომ ერთიანი მიწის ფონდი იყოფა მიზნობრივი დანიშნულებისა და კონკრეტული მიწათმოსარგებლებებისათვის მიკუთვნების მიხედვით. ამიტომ მიწის კადასტრის ამოცანაა საჭირო ცნობების მიწოდება მიწათსარგებლობის კატეგორიების მიხედვითაც, რადგან ძირითადი სამეურნეო საკითხების ორგანიზაცია და დაგეგმვა მიწათსარგებლობის მიხედვით ხორციელდება. როგორც წესი, სტატი-სტიკური დაკვირვების ერთეულად იღებენ ელემენტს, რომელიც დაჭგუფების პირველადი ერთეულია. აქედან, მიწის კადასტრში აღებული უნდა იქნას მიწათსარგებლობა, რომელიც ხუსტად ასახავს საწარმოს სახეს. ამას ის ფაქტორიც განსაზღვრავს, რომ მიწათსარგებლობა გამოხატავს საზოგადოებრივ წარმოებაში მიწის გამოყენების ეკონომიკურ არსსა და ხასიათს. მიწათსარგებლობის ცნება ფართოა და მის დასაზღვრებად საჭიროა კონკრეტული წარმოებითი ურთიერთობის ანალიზი, რადგან მას შეიძლება ექსპლუატატორული დანიშნულებაც ჰქონდეს, რაც საზოგადოებრივი ფორმაციების განმსაზღვრელი პირობა იყო. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიწათსარგებლობა სოციალ-ეკონომიკური შინაარსის მქონე მოვლენაა და მისი საფუძველია მიწის სარგებლობის უფლება.

მიწათსარგებლობა, როგორც ეკონომიკური კატეგორია, გამოვლინდება წარმოების პროცესში არსებული საზოგადოებრივი სისტემებისა და ფორმების საშუალებით. ამდენად იგი მკაცრად არის განსაზღვრული ფართობითა და ადგილმდებარეობით და აქვს მუდმივი საზღვრები.

ჩვენს ქვეყანაში არსებული კანონმდებლობის მიხედვით მიწის სარგებლობაში გადაცემის უფლება არის შესაბამისი ორგანოების მიერ ამ მიზნით მიწის გამოყოფის უფლების დოკუმენტი. მიწათსარგებლობის ვადების შესაბამისად დოკუმენტის ვადემის უფლება აქვს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოებსა და რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს. სარგებლობის ვადების მიხედვით კი გამოყოფენ უვადო და

დროებით სარგებლობას, ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, იყოფა გრძელვადიან და მოკლევადიან (3 წლამდე) სახეებად. როგორც წესი, უვადო და გრძელვადიანი მიწათსარგებლობის უფლებას რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოები იძლევა და დღეისათვის მიწის უდიდესი ნაწილი ასეთი სახის სარგებლობაშია. მოკლევადიანს კი რაიონული აღმასრულებელი კომიტეტების დადგენილებით განსაზღვრავენ.

მიწების გადაცემის წესის მიხედვით არჩევენ პირველად და მეორად სარგებლობას, რაც შეიძლება იყოს როგორც საზოგადოებრივი, ისე პირადი დამსმარე. საზოგადოებრივ მიწათსარგებლობას მიეკუთვნება საბჭოთა მეურნეობები, კოლმეურნეობები და სხვა სახელმწიფო მეურნეობების მუშაობისა და სხვა მუშა-მოსამსახურეთა საკარმიდამო მიწათსარგებლობა.

მიწათსარგებლობა, როგორც კატეგორია, გამოვლინდება ადამიანთა სამეურნეო საქმიანობის დროს მიწათმოქმედების სისტემების, თესლბრუნვების, ტერიტორიის ორგანიზაციის, ნიადაგის დამუშავების, სასუქების გამოყენებისა და სხვა სამეურნეო საკითხების გადაჭრისას. აქედან გამომდინარე მიწის საკადასტრო სამუშაოებში ძირითადი ერთეულია მიწათსარგებლობა, ხოლო დამატებით ერთეულებად კი შეიძლება გამოყენებულ იქნას მიწის კონკრეტული მასივები, რომლებიც განსხვავებული საწარმოო და სამეურნეო თავისებურებებით ხასიათდება. მაგალითად ძირითადი ერთეულია ვარდბნის რაიონის გამარჯვების საბჭოთა მეურნეობის მთელი ტერიტორია, ხოლო დამატებითი „ფერმისპირა“ მასივი, რომელიც მალალნაყოფიერებით გამოირჩევა. ამიტომაც იგი ცალკეა გამოყოფილი და, ძირითადად, ტექნიკური და ბოსტნეული კულტურების საწარმოებლად გამოიყენება.

§ 4. სავარგული მიწის კადასტრის ძირითადი ელემენტები

მიწათსარგებლობა, ასახავს რა საზოგადოებრივ წარმოებაში მიწის გამოყენების ეკონომიკურ არსს, მიწის კადასტრის ძირითადი ერთეულია. ამასთან, მიწათსარგებლობა, როგორც ფართო ხასიათის მცნება, ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულ მეურნეობრივ-ისტორიული ხასიათების შქონე მიწის ნაკვეთთა ერთობლიობას გულისხმობს, კერძოდ, ერთი მხრივ, მიწათსარგებლობა განსხვავებული ხარისხის მიწის ნაკვეთთა ერთობლიობის შემცველია და, მეორე მხრივ, ისინი გამოყენების ხასიათითაც იყოფა, რაც სავარგულის სახელწოდებითაც ცნობილი. სავარგული მიწათსარგებლობის ეკონომიკური არსის გამო-

მხატველი მოვლენაა, იგი წარმოების პროცესში მიწის გამოყენების ეკონომიკურ რეალიზაციას ახდენს. ამიტომ მიწის კადასტრის ძირითად ელემენტად გამოიყენება.

სავარგულის ცნება უხსოვარი დროიდან მომდინარეობს და საზოგადოების განვითარების დაბალ საფეხურზე ბუნების მიერ ნაბოძებ ღირსებებს გამოხატავდა. მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის განვითარებამ წარმოშვა სავარგულების დიფერენცირების აუცილებლობა და, შესაბამისად, თანდათან გაფართოვდა სავარგულის ცნება, სანამ არ ჩამოყალიბდა, როგორც სამეურნეო-ეკონომიკური გაგება.

საზოგადოებრივი წარმოების დროს კონკრეტული მოთხოვნილებების გათვალისწინებისა და სამეურნეო საქმიანობაში გამოყენების მიზნით ტერიტორიას ყოფენ განსაზღვრულ ნაწილებად. ამ პრინციპიდან გამომდინარეობს მიწის სავარგულებად დაყოფის ძირითადი არსი. მიწის სავარგული გულისხმობს ტერიტორიის (მიწათსარგებლობის) ნაწილს, რომელსაც ახასიათებს გარკვეული ბუნებრივ-ისტორიული თვისებები და გამოიყენება კონკრეტული სამეურნეო მიზნებისათვის.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მიწას სოფლის მეურნეობაში. სადაც იგი წარმოების ძირითადი საშუალებაა. იქიდან გამომდინარე, რომ სოფლის მეურნეობაში ყველა მიწა არ გამოიყენება, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ სავარგულებს, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო სავარგულებად იწოდება და მიწის კადასტრის შედგენის დროსაც, როგორც წესი, ცალკე გამოიყოფა.

ადამიანთა საზოგადოების წინსვლის შესაბამისად საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობების განვითარება იწვევდა სავარგულების შემადგენლობის და მათი სტრუქტურის ცვლილებებს. ამას განსაზღვრავდა საზოგადოების მოთხოვნილებათა ზრდა და დაკმაყოფილების აუცილებლობა, მაშასადამე, სავარგულების სახეების განმსაზღვრელი ძირითადი ნიშანი ყველა პერიოდში მიწის გამოყენების ხასიათი იყო და არის.

დღევანდელი კლასიფიკაციით, ძირითადად, გამოყოფილია სასოფლო-სამეურნეო სავარგულები: სახნავი, ნასვენი, მრავალწლიანი ნარგავები, სათიბი, საძოვარი. გარდა ამისა, გამოიყოფა ტყით, ბუჩქნარებით, ტბებით, წყლით, გზებით, შენობებით, ქუჩებით, მოედნებით, ქვიშრობებით, ხეებით, ხრამებით დაკავებული მიწები და ა. შ.

საიარგულისათვის დამახასიათებელია მუდმივი გამოყენება მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ ერთი სახის სავარგული მეორე სავარგულად შეიძლება გამოვიყენოთ (მაგალითად, სახნავი შეიძლება გასაძო-

ვებლად იქნას გამოყენებული დროებით, მაგრამ იგი ყოველთვის სახ-
ნავში უნდა აღირიცხოს).

სავარგულების სახეებსა და რაოდენობას განსაზღვრავს სახალხო
მეურნეობაში მიწის გამოყენების ხასიათი. ამდენად, მიწის სწორი
აღრიცხვისათვის აუცილებელია სავარგულების სახისა და ხასიათის
ზუსტი ცოდნა. ეს განსაკუთრებით საჭიროა სოფლის მეურნეობაში,
სადაც მიწა გამოდის არა მარტო როგორც შრომის იარაღი, არამედ
როგორც შრომის საგანიც, რაც მისი გამოყენების მრავალფეროვნებას
განსაზღვრავს.

სახალხო მეურნეობის სწრაფი ტემპით განვითარებასა და მოსახ-
ლეობის მუდამზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, ძირითადად,
მარცვლეულის წარმოების მოცულობა განსაზღვრავს, რაც, თავის
მხრივ, სახნავისა და აქედან გამომდინარე, ნათესი ფართობების მოც-
ულობასა და მოსავლიანობის სიდიდეზეა დამოკიდებული.

ჩამოთვლილი სავარგულებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია სახნა-
ვი, რომელსაც სამიწათმოქმედო ფართობის უდიდესი ნაწილი უჭირ-
ავს. ამიტომაცაა, რომ სახნავის გამოყენების წესი, ნიადაგის ნაყოფი-
ერების აღდგენა-გადიდება და მიღებული მოსავლიანობა, ძირითადად,
განსაზღვრავს სოფლის მეურნეობის საწარმოო-ორგანიზაციულ წყო-
ბას. სახნავის გამოყენების წესზე და შედეგებზეა აგრეთვე დამოკიდე-
ბული მეცხოველეობის სტრუქტურა, მოცულობა და განვითარების
პერსპექტივები.

სახნავი მიწების ეფექტიანი გამოყენების მნიშვნელოვანი ორგა-
ნიზაციული ღონისძიებებია თესლბრუნვები. თესლბრუნვა სასოფლო-
სამეურნეო კულტურების მორიგეობითი თესვა-მოყვანა მინდვრებად
დაყოფილ მიწის ნაკვეთებზე. თესლბრუნვა გულისხმობს სასოფლო-
სამეურნეო კულტურების მორიგეობას დროსა და სივრცეში და მისი
მიზანია სახნავ-სათესი ფართობების მალაფექტიანად გამოყენება,
მოსავლიანობის ზრდა და ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლება. რო-
გორც წესი, თესლბრუნვის დროს კულტურები ყოველწლიურად ერთი
მინდვრით გადაადგილდება და ენაცვლება ერთმანეთს. დანიშნულების,
კულტურების შემადგენლობისა და წარმოებული პროდუქციის მიხ-
ედვით თესლბრუნვებს ყოფენ მინდვრის, საკვებ და სპეციალურ სახ-
ეებად.

სახნავის გარკვეულ ნაწილს ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენა-
ამაღლების მიზნით დროის განსაზღვრულ მონაკვეთში ასვენებენ, რა-
ცაც ნასვენნი ეწოდება, იგი შეიძლება გამოიყენონ სათიბად ან ანეუ-

ლად, რასაც მიწის კონკრეტული ნაკვეთის ფიზიკურ-ქიმიური თვისებები და საწარმოს მიწათსარგებლობის სიდიდე განსაზღვრავს.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გარკვეული ნაწილი უჭირავს მრავალწლიან ნარგავებს, რომლებიც ადამიანის ჯანმრთელობისა და ფიზიკური მდგომარეობის მარეგულირებელ პროდუქტებს იძლევა. მრავალწლიან ნარგავებში გამოყოფენ ხეხილს, ვენახს, კენკროვნებს, ჩაის. ციტრუსებს, თუთას, ეთერზეთებს, მათ სანერგეებსა და სხვა სახის კულტურულ მცენარეებს: მრავალწლიანი ნარგავები საჭიროებს სუსტმატურ დამუშავებას და ფართობის ერთეულზე დიდი რაოდენობით დანახარჯებს. ჩაც ამ სახის სავარგულის მაღალინტენსიურ დონეზე მიუთითებს..

ყველაზე დიდი ხედრითი წილითაა წარმოდგენილი ბუნებრივი საკვები სავარგულები, რომელშიც გამოიყოფა სათიბი და საძოვარი. სათიბები გარკვეული პერიოდის განმავლობაში უპირატესად თივად ან შწვანე საკვებად გამოიყენება და იყოფა: ა) წარმოშობის მიხედვით (ბუნებრივი და ხელოვნური). ბ) ადგილმდებარეობით (მთისა და ბარის, ტყისა და ველის); გ) ტენიანობის მიხედვით (მშრალი, სარწყავი, ურწყავი და დატბორილი); დ) მდგომარეობის მიხედვით (გაუმჯობესებული და ძირეულად გაუმჯობესებულად).

საძოვარი ყველაზე იაფ საკვებს იძლევა მეცხოველეობისათვის და რიგი თავისებურებით ხასიათდება. იგი არ ითიბება და არც ნასვენია. გამოყენების დროის მიხედვით კი გამოყოფენ: ზამთრის, ზაფხულის. საგაზაფხულო-საშემოდგომო და მთელი წლის. ადგილმდებარეობისა და მდგომარეობის მიხედვით საძოვრები სათიბების იდენტურ კატეგორიებად იყოფა. გამონაკლისია მხოლოდ დაჯაობებული საძოვრები, რომლებიც ცალკე კატეგორიადაა გამოყოფილი.

ზოგიერთი საჯარგული შეიძლება კომბინირებულადაც გამოვიყენოთ: კერძოდ, ბუნებრივი საკვები სავარგულების ცალკეული ნაკვეთი მორიგეობით სათიბად ან საძოვრად გამოიყენება.

გარდა აღნიშნულისა ცალკე აღირიცხება ის სავარგულები, სადაც მიწა წარმოების ძირითადი საშუალება კი არ არის. არამედ გამოდის როგორც შრომის საგანი, აქვს გამაჯანსაღებელი ან სხვა ანუ რეკრეაციული დანიშნულება.

ბუჩქნარი არის დაბალმწარდი, ძლიერ დატოტვილი მცენარეებით დაფარული ნაკვეთი. სავარგულის ეს სახე სამეურნეო თვალსაზრისით დაბალი ღირებულებისაა თუ მხედველობაში არ მივიღებთ მის ნაწილობრივ საძოვრად გამოყენების შესაძლებლობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, იგი, გარდა ხრიოკი და დაქანებული ფერდობებისა, სასუ-

რველია ამოიძირკვოს ყველგან და მისი ფართობები უფრო ინტენსიურ სავარგულად იქნეს გადაქცეული. გამონაკლისად ითვლება მხოლოდ ის ფართობები, რომლებსაც აქვს ნიადაგთდაცვითი მნიშვნელობა.

ტყე უმნიშვნელოვანესი სავარგულია და მჭიდრო და შეკრული ვარჯიანი ხეებით დაფარული ნაკვეთია. ტყის უდიდესი ფართობები განსხვავებულ ვერტიკალურ და პორიზონტალურ ზონებშია გაადგილებული და წარმოშობს მეტად მნიშვნელოვან ტპებს. იმის მიხედვით, თუ რა ჯიშებითა და სახეებითაა დაფარული, ტყე შეიძლება იყოს: წიწვიანი, ფოთლოვანი და შირეული. მიუხედავად იმისა, რომ თავისი დანიშნულებითა და ხასიათით სატყეო მეურნეობა სოფლის მეურნეობის დარგს უახლოვდება, იგი მაინც განსხვავებულია და თავისებურებებით ხასიათდება, რაც შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს; 1) აქ საქმე გვაქვს საუკუნეების განმავლობაში ბუნებრივად აღმოცენებულ მცენარეებთან, რომლებიც ნიადაგს ისეთ მოთხოვნებს არ უყენებს, როგორც სასოფლო-სამეურნეო კულტურები; 2) მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების განვითარების შესაბამისად მცირდება ბუნებრივი ტყის ფართობები და იზრდება ხელოვნური; 3) მნიშვნელოვანი ტყის ფართობები იკაფება და იქმნება მაღალინტენსიური სასოფლო-სამეურნეო სავარგულები. ეს თავისებურებანი განსხვავებულ მოთხოვნებს უყენებს ტყის ფართობების აღრიცხვასაც, რაც, საბოლოო სახით, ტყისა და მიწის კადასტრებში პოვებს ასახვას.

ჭაობები სხვადასხვა მიზეზით დატენიანებული, ზოგჯერ წყალგამდგარი ფართობებია. ისინი ხშირად ტორფის მოპოვების ძირითადი წყაროა.

გარდა აღნიშნულისა ცალკე გამოიყოფა რიგი კატეგორია, რომელშიც გაერთიანებულია წყლით, გზებითა და ქუჩებით, ეზოებითა და მოედნებით დაკავებული და სოფლის მეურნეობაში გამოუყენებელი სხვა მიწები, რომლებსაც განხილული კატეგორიებიდან ყველაზე ნაკლები მნიშვნელობა აქვს.

ზემოთ განხილული კატეგორიებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, რომლებიც ხალხის სურსათით უზრუნველყოფის აუცილებელი პირობაა. სახალხო მეურნეობის და, უწინარეს ყოვლისა, სოფლის მეურნეობის განვითარების შესაბამისად მიმდინარეობს ცვლილებები სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში. იზრდება ახლადათვისებული მიწების ხედრითი წილი და შესაბამისად ნიადაგის ნაყოფიერების დონე, რასაც სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი განსაზღვრავს. მიუხედავად ამ უკანასკნელის დიდი მნიშვნე-

ელობისა მიწების გამოყენებაზე ჭერ კიდევ დიდ გავლენას ახდენს ბუნებრივი ფაქტორები, რომელთა გათვალისწინება აუცილებელი პირობაა. ეს უკანასკნელი კი მოითხოვს მიწის საკადასტრო სამუშაოების შესრულების დროს სავარგულების დაყოფას ქვესახეებადაც.

როგორც წესი, ყოველგვარი სავარგული მრავალი ნაკვეთისაგან, კონტურისაგან შედგება. კონტური ეწოდება ტერიტორიას, რომელიც ერთნაირი სავარგულისაგან შედგება და აქვს გარეგანი ჩაკეტილი საზღვარი. კონტურის სიდიდეს აქვს განსაზღვრული სახალხომეურნეობრივი მნიშვნელობა პროდუქციის მოცულობისა და მისი თვითღირებულების სიდიდისათვის. ამიტომ სავარგულების შეფასებისათვის კონტური აღრიცხვის ძირითად ერთეულადაა მიჩნეული.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მიწის საკადასტრო დოკუმენტაციის შედგენის ძირითადი ერთეულებია მიწათსარგებლობა და სავარგული. ამასთან, შეიძლება გამოვიყენოთ სხვა დამატებითი და დამხმარე ელემენტები. ამ უკანასკნელს მიეკუთვნება ნიადაგის ტიპი და ჭაბუნსვაობა, სარწყავი ნაკვეთის სიდიდე და სხვ. აღნიშნული ელემენტები ქმნიან ერთიმეორისგან გამომდინარე, ლოგიკურად დაკავშირებულ მაჩვენებელთა სისტემას მიწის ბუნებრივი სამეურნეო და სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ.

VI თ ა ვ ი

მიწის საკადასტრო მონაცემების მოკოვების, და მუშავებისა და ანალიზის ენთოლოგია

§ 1. მიწის საკადასტრო მონაცემების სახეები და მათი მოკოვებითი ხერხები

მიწის კადასტრის შედგენა მოითხოვს დიდი რაოდენობით სხვადასხვა ხასიათის მასალების თავმოყრას, დამუშავებასა და ანალიზს. აქედან, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცნობები მიწის ბუნებრივი სამეურნეო და სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ. მათში თავმოყრილი უნდა იყოს ყოველგვარი მონაცემი იმის შესახებ, თუ ვის ეკუთვნის მიწა, რა ვადით და მიზნობრივი დანიშნულებით აქვს იგი გა-

დაცემული ცალკეულ მიწათმოსარგებლეს, როგორც მისი შემადგენლობა სავარგულებისა და ხარისხის მიხედვით.

აღნიშნული მასალების წყაროა დოკუმენტაცია მიწათსარგებლობის რეგისტრაციის, მიწების რაოდენობრივი და ხარისხობრივი აღრიცხვის, აგრეთვე მათი მელიორაციული მდგომარეობის მაჩვენებლების სახით. კერძოდ, ნიადაგის ტიპის, მექანიკური შედგენილობის, მისი საკვები ნივთიერებით უზრუნველყოფის, მეკვიანობის, ეროზირების, დამლაშების და დაქაობების მაჩვენებლები, რომლებიც ნიადაგის ნიშან-თვისებათა გამოვლენის ხარისხით ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება.

მიუხედავად იმისა, რომ ნიადაგის ბუნებრივი ნიშან-თვისებები შედარებით მყარია და დროის დიდ პერიოდშიც კი ნაკლებად იცვლება, მიწების საკადასტრო სამუშაოების ჩატარება ერთდროული ღონისძიება არაა და იგი სისტემატურად უნდა ტარდებოდეს. ამ დროს გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი, რომლებსაც განსაზღვრავს მიწის კადასტრის დანიშნულება და მასალების ხასიათი. მიწის ფართობების განსაზღვრის დროს გადაღებების სამუშაოები ტარდება, ნიადაგების ბუნებრივი ნიშან-თვისებების შესასწავლად მათი გამოკვლევა, ხოლო მიწის ეკონომიკური შეფასების მაჩვენებლების გასაანგარიშებლად— საბუღალტრო და სტატისტიკური აღრიცხვის მონაცემების თავმოყრის, დამუშავებისა და ანალიზის სამუშაოები.

მიწის საკადასტრო დოკუმენტაციის შედგენის ზუსტი და საიმედო ინფორმაციის მიღების ერთ-ერთი პირველი წყაროა საგეგმო-კარტოგრაფიული მასალები, რომელთა ძირითად არსს განსაზღვრავს კადასტრის საგანი—მიწა თავისი თავისებურებებით. მიწის თავისებურებებიდან კი ყველაზე მნიშვნელოვანია მიწის განფენილობა. ამ უკანასკნელს, თავის მხრივ, ახასიათებს კონფიგურაცია, საზღვრების შემოხაზულობა და სხვ. მიწის, როგორც წარმოების ძირითადი საშუალების, თავისებურებებიდან გამომდინარე, საგეგმო-კარტოგრაფიული მასალების გამოყენების გარეშე პრაქტიკულად მიწის კადასტრის რომელიმე ელემენტის შესრულება შეუძლებელია. ამდენად ეს მასალები მიწის კადასტრის შესადგენად საჭირო პირველადი ინფორმაციის მიღების აუცილებელი წყაროა.

საგეგმო-კარტოგრაფიული მასალების შედგენა ნიადაგური, გეობოტანიკური და, ზოგჯერ, კომპლექსური კვლევის მასალების საფუძველზე წარმოებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მათ შესადგენად კარტოგრაფიისა და გეოდეზიის არსებული მეთოდებით ხორციელდება.

მიწის ზედაპირული და აეროფოტოგადაღებები. ზედაპირული აგეგ-
მეა თეოდოლიტით ან მენზუალურად ტარდება შედარებით მცირე ფა-
რთობისათვის. დიდი ფართობების შესახებ ზუსტი მასალების მიღებ-
ის ძირითადი წყარო კი აერო და კოსმოსური გადაღებებია, მათ უპი-
რატესობას განსაზღვრავს აგრეთვე მიწის რაოდენობრივი და ხარისხო-
ბრივი მდგომარეობის შესახებ ზუსტი მოხაყებების შემჭიდროვებულ
ვადებში მიღების საუკეთესო გარანტია.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე ეტაპზე სახალ-
ხო მკურნეობის ყველა დარგში გამოიყენება კოსმოსური ხომალდე-
ბიდან მიღებული ინფორმაცია სამყაროს შესახებ. მათ შორის განსაკ-
უთრებით მნიშვნელოვანია მიწის ზედაპირული გადაღებების მასალე-
ბი, რომლებზედაც დიდი სიზუსტითაა ასახული მიწის ფონდის საერთო
მდგომარეობა. ნათესი ფართობების სტრუქტურა და სხვა რთული ელ-
ემენტები: კოსმოსური კვლევის მასალები, გარდა აღნიშნულისა, ახლად
ასათვისებელი ფართობების გამოვლენის, მიწების ეროზიისაგან და-
ცვის ღონისძიებათა დასახვა-განხორციელების, მათი მიზნობრივი და-
ნიშნულებისამებრ გამოყენებისა და სასოფლო-სამეურნეო კულტუ-
რების ზრდა-განვითარებაზე კონტროლის საშუალებას იძლევა.

მიწის საკადასტრო დოკუმენტაციის საფუძველია აგრეთვე ნიადა-
გების გამოკვლევის მასალები, რომლებიც იყოფა აგროსაწარმოო და
სპეციალურ სახეებად.

ა გ რ ო ს ა წ ა რ მ ო ო კ ვ ლ ე ვ ი ს მიზანია ნიადაგების ხარ-
ისხობრივი მდგომარეობის მაჩვენებლების მიღება ზედაპირული ნიშ-
ნებისა და სამეურნეო გამოყენების შესწავლის საშუალებით. სპეცი-
ალური კომისიის შედეგად შეისწავლება ყოველი კონტურის ნიადაგი
მექანიკური შედგენილობის, ჰუმუსის, ტენიანობის; დამლაშების, ლ-
ორიანობის, რელიეფისა და სხვა მაჩვენებლების მიხედვით მიწის ხა-
რისხის განსაზღვრის მიზნით.

ს პ ე ც ი ა ლ უ რ ი გ ა მ ო კ ვ ლ ე ვ ა თავეს მხრივ, იყოფა ნი-
ადაგების, აგროქიმიურ, აგრომელიორაციულ და გეობოტანიკურ სახე-
ებად.

ნიადაგური კვლევა ტარდება მათი რაოდენობრივი მაჩვენებლების
მისაღებად ნიადაგების ძირითადი ბუნებრივი ნიშნების მიხედვით.
სამეურნეო საქმიანობის სწორი წარმართვისათვის ყოველი მიწათმო-
სარგებლე უზრუნველყოფილი უნდა იყოს მსხვილმასშტაბიანი ნიადა-
გური კვლევის მასალებით, რომელშიც შედის ნიადაგური რუკა,
ნიადაგური ნარკვევი, ეროზიული კარტოგრამა და მიწების რაციონა-
ლურად გამოყენებისა და მათი ნაყოფიერების ამაღლების რეკომენ-
დაციები.

აგროქონიური კვლევის მასალები წარმოდგენას იძლევა ნიადაგის საკვები ნივთიერებებით უზრუნველყოფის შესახებ და მათ საფუძველზე უნდა შედგეს სასუქების შეტანის კარტოგრაფები.

მელიორაციული გამოკვლევების საშუალებით კი ისაზღვრება გრუნტის წყლის დგომის სიღრმე და მიწის კონტურების ტენიანობა. ასეთი კვლევის მასალები ფართობების დაწოებისა და ახლად ასათვისებელი მიწების გამოვლენის ძირითადი საცნობარო მონაცემებია.

გეობოტანიკური გამოკვლევა უზრუნველყოფს ბუნებრივი საკვები სავარგულების დახასიათებას ბალახთდგომის მდგომარეობისა და ხარისხის მიხედვით. აღნიშნულ მასალებზე დაყრდნობით უნდა განხორციელდეს ბუნებრივი საკვები სავარგულების ძირეული და ზედაპირული გაუმჯობესების, საძოვრების გაკულტურების, ნაკვეთმორიგეობითი ძოვებისა და სხვა ღონისძიებანი, რაც სათიბ-საძოვრების რაციონალურად გამოყენებასა და გაუმჯობესების ძირითადი პირობაა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიწის კადასტრში გამოიყენება მიწების ადგილმდებარეობის და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, ნიწების გამოყოფის, მიწათმოწყობის გენერალური სქემების, მიწების, გაადგილების, რაიონების და საწარმოთა დაგეგმარების, შიგასამეურნეო და სამეურნეობათაშორისო მიწათმოწყობისა და სხვა ელემენტების ამსახველი საგეგმო-კარტოგრაფიული მასალები. აგრეთვე სხვადასხვა დოკუმენტაცია მიწების ადგილმდებარეობის, მათი გამოყენების, მიწათსარგებლობის, მიწებით სარგებლობის უფლების, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მდგომარეობის, თესლბრუნვების, ტყეთმოწყობის, სამელიორაციო სამუშაოების მიმდინარეობისა და მეტეოროლოგიური სადგურების მონაცემების სახით.

§ 2. მიწის კადასტრის მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის სტატისტიკური მეთოდები

საზოგადოების განვითარებამ და მანუფაქტურული წარმოების აღმოცენებამ შექმნა აღრტხვისა და კონტროლის აუცილებლობა, რომელიც შემდგომ ფორმაციებში თანდათან იხვეწებოდა და უმჯობესდებოდა. ამასთან, არც ერთი საზოგადოებრივი ფორმაციისათვის არ იყო იგი ისე საჭირო და აუცილებელი, როგორც სოციალისტური წარმოების წესისათვის. როგორც კ. მარქსი მიუთითებდა, აღრიცხვა და

კონტროლი „უფრო აუცილებელია კოლექტიური წარმოების დროს, ვიდრე კაპიტალისტური წარმოების წესის დროს“.¹

ვ. ი. ლენინი, განავითარა რა შემოქმედებითად კ. მარქსის თეორია აღრიცხვის როლისა და მნიშვნელობის შესახებ სოციალიზმის დროს, წერდა: „აღრიცხვა და კონტროლი აი მთავარი, რაც საჭიროა კომუნისტური საზოგადოების პირველი ფაზის მოწესრიგებისათვის, სწორი ფუნქციონირებისათვის“². მას აღრიცხვა და კონტროლი მიაჩნია სოციალიზმის მონაპოვართა დაცვისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების აუცილებელ პირობად და იაზრალად, ვ. ი. ლენინის ეს დებულებები ჩამოყალიბებულია მის მრავალრიცხოვან შრომებში, რომლებიც ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დაიწერა და სურსათის წარმოება-განაწილების საკითხს ეხებოდა.

ვ. ი. ლენინის მითითებებსა და მოსაზრებებზე დაყრდნობით ი. ბ. სტალინმა აღრიცხვისა და კონტროლის მნიშვნელობა ახალ საფეხურზე აიყვანა სოციალიზმის გაშლილი მშენებლობისა და მისი გამარჯვების პერიოდში. „არავითარი სააღრიცხვო მუშაობა, არავითარი სახელმწიფოებრივი მუშაობა, არავითარი გეგმიანი მუშაობა არ არის წარმოსადგენი სწორი აღრიცხვის გარეშე“³ — აღნიშნავდა იგი 1924 წ. 24 მაისს ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში.

აღრიცხვისა და კონტროლის სრულყოფის საკითხი ყოველთვის იყო სკკპ და საბჭოთა მთავრობის ყურადღების ცენტრში, რამაც განსაკუთრებით პოვა ასახვა სკკპ XXVI ყრილობის დოკუმენტებსა და გადაწყვეტილებებში.

სოციალიზმის დროს აღრიცხვის შინაარსი და ამოცანები მკვეთრად განსხვავდება სოციალიზმამდელი ფორმაციების შესაბამისი საქმიანობისაგან, რასაც განსაზღვრავს სოციალისტური წარმოების წესი და სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი, რომლებიც მას ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების სამსახურში აყენებს. აქედან. აღრიცხვისა და კონტროლის ამოცანებია: სოციალისტური საკუთრების დაცვა, სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმების შესრულების უზრუნველყოფა, სოციალიზმის ძირითადი პრინციპით პროდუქციის განაწილება და ფულად-მატერიალური რესურსების მალაფეჟქტიანად გამოყენება.

¹ კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. II, გვ. 166.

² ვ. ი. ლენინი, ოსზ., ტ. 25, გვ. 590.

³ ი. ბ. სტალინი, ოსზ., ტ. 6, გვ. 246.

სახალხო მეურნეობის წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა მოითხოვს მისი გეგმიანი განვითარების უზრუნველყოფას, რაც აღრიცხვის ამოცანაა. თავის მხრივ, იგი იყოფა: ოპერატიულ-ტექნიკურ, ბუღალტრულ და სტატისტიკურ სახეებად.

ოპერატიულ-ტექნიკური აღრიცხვა სამეურნეო საქმიანობის ცალკეულ უბნებზე (საწარმოო ერთეულებში) მომხდარ ცვლილებებს ასახავს შესრულებისთანავე. აქედან, მისი მიზანია ცალკეული ოპერაციის მისედლით ცნობების შეკრება და ამით ოპერატიული ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა.

საბუღალტრო აღრიცხვის ამოცანა კი დოკუმენტაციის შედგენისათვის საწარმოს მატერიალურ ფასეულობათა სახეებისა და მოცულობის დადგენა, მათი მიზნობრივი დანიშნულებით ხარჯვის, მიღებული პროდუქციის რაოდენობის, მისი თვითღირებულებისა და საწარმოთა საფინანსო მდგომარეობის საბოლოო სურათის ასახვა ერთიან კომპლექსში.

სტატისტიკური აღრიცხვის დროს მიმდინარეობს საზოგადოებრივი წარმოების, სოციალ-ეკონომიკურ მოვლენებზე მასობრივი დაკვირვებით, მონაცემთა თავმოყრა, დაჯგუფება, შეფარდებითი და საშუალო სიდიდეების გამოანგარიშება; მონაცემების ცხრილებსა და გრაფიკებში მოქცევა და სხვ.

ყოველ შესასწავლ მოვლენას და საგანს აქვს როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი მხარე. რაოდენობრივი ასახება რიცხვში, ამიტომ სტატისტიკური სიდიდე მატერიალური შინაარსის მატარებელია. აქედან, სტატისტიკა შეისწავლის საზოგადოებრივ-ეკონომიკურ მოვლენათა ერთობლიობის რაოდენობრივ მხარეს. თვისობრივთან მჭიდრო კავშირში.

ცნობილია, რომ მოვლენები მსგავსებასთან ერთად ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება, რაც სტატისტიკური აღრიცხვის არსს განსაზღვრავს. სტატისტიკური აღრიცხვა თვისობრივად მსგავს, ხოლო ინდივიდუალურად განსხვავებულ საზოგადოებრივ-ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების ერთობლიობას სწავლობს და მისი ამოცანა მათი განვითარების ძირითადი კანონზომიერების ასახვა.

სტატისტიკური აღრიცხვა მასობრივ დაკვირვებებს ეყრდნობა, რომლის დროს მონაცემების თვისობრივად განსხვავებული ჯგუფებისაგან შემდგარი დიდი რაოდენობით მონაცემი მიიღება. მათი გამოყოფა

და ერთ თვისობრივ ჯგუფად დიფერენცირება სტატისტიკის ამოცანაა და მისი ძირითადი მეთოდია. განსაზღვრული მოვლენის ან ობიექტის შესწავლის მიზნით საწყისი ინფორმაციის მიღებას სტატისტიკაში დაკვირვება ეწოდება. სტატისტიკური დაკვირვების არსია კონკრეტული საკითხის გადასაწყვეტად მონაცემების გეგმაზომიერი, მეცნიერულ-ორგანიზაციული შეგროვება. მიწის კადასტრის შესადგენად იგი აწარმოებს მონაცემების მოპოვებას მიწათმოსარგებლეთა შორის მიწების განაწილების, სავარგულბე¹ შედგენილობის, ნადაგური საფარის, ნათესი ფართობების, მოსავლიანობის და სხვა ეკონომიკური თუ კვლევითი მასალების შესახებ. რადგან სტატისტიკური დაკვირვების მონაცემები მიწის შეფასების საწყისი მონაცემებია, ამიტომ მათ ხარისხზე დიდადაა დამოკიდებული მიღებული შედეგების სიზუსტე.

სტატისტიკური დაკვირვებები ტარდება განსაზღვრული გეგმით, ფორმებით, სახეებითა და ხერხებით.

სტატისტიკური დაკვირვების ძირითადი ფორმებია ანგარიშგება და აღწერა, ანგარიშგება უზრუნველყოფს სტატისტიკური ორგანოების საშუალებით საწარმოებიდან, ორგანიზაციებიდან და დაწესებულებებიდან განსაზღვრული ინფორმაციის მიღებას დადგენილი ვადებისა და დოკუმენტების მიხედვით. აღწერის დროს კი სტატისტიკური ორგანოები აგროვებს მასალებს განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში. ყველაზე გავრცელებული ფორმაა სპეციალურად ორგანიზებული წლიური ანგარიშგება. მიწის გამოყენების და აღრიცხვის ანგარიშგებაში, ძირითადად, გამოყენებულია მიწათსარგებლობის, სარწყავი და დაშრობილი მიწების, სავარგულბების, მათი სახეებისა და განაწილების ყოველწლიური ანგარიშები, რომლებსაც რაიონული აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს ზემდგომ ორგანოებში საანგარიშო წლის 1 ნოემბერის მდგომარეობით.

ჩატარების დროის მიხედვით სტატისტიკური დაკვირვებები ორ ჯგუფად იყოფა: უწყვეტი (მიმდინარე) და წყვეტილი. უწყვეტი ანუ მიმდინარე დაკვირვების დროს წარმოებს საკვლევი მოვლენის ცვლილების სისტემატური რეგისტრაცია მათი გამოვლენის შესაბამისად. მიწის საკადასტრო სამუშაოებში ასეთ ცვლილებებს მიეკუთვნება მიწათსარგებლობის სახელმწიფო რეგისტრაცია, საკარმიდამო მიწების გამოყენების დაკვირვებანი და ა. შ. წყვეტილი დაკვირვებანი, თავის მხრივ, იყოფა პერიოდულ და ერთდროულ სახეებად. პერიოდული ტარდება რეგულარულად განსაზღვრული პერიოდის შემდეგ ასეთი მოვლენაა მიწის ფონდის სრული ანგარიში, რომელსაც ყოველ 5 წელში ერთხელ ადგენენ.

ერთდროულად კი ეწოდება დაკვირვებას, რომელიც მოვლენის შესასწავლად ტარდება დროის გარკვეული მომენტისათვის. ასეთს მიეკუთვნება სარწყავი და დაშრობილი მიწების ინვენტარიზაცია, მრავალწლიანი ნარგავების აღწერა და ა. შ.

ორ ჯგუფად იყოფა სტატისტიკური დაკვირვებანი აგრეთვე სისრულის მიხედვით მთლიანი და შერჩევითი. მთლიანის დროს რეგისტრაციას უკეთებენ მოვლენის ყველა ერთეულს, ხოლო შერჩევითი მთლიანის ნაწილია და მისი შედეგები მთელ ერთობლიობაზე ვრცელდება. შერჩევითი მეთოდის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს დაკვირვების ობიექტის რიხვეით სიდიდეს, ამიტომ რაც შეიძლება მეტი რიხვი უნდა იქნას აღებული. როგორც წესი, მათ არჩევენ მექანიკურად, ანკეტური მეთოდით, წილისყრით, ან ტიპობრიობის პრინციპით. მიწის კადასტრში შერჩევითი მეთოდი გამოიყენება ტიპობრივ მეურნეობათა შერჩევის დროს.

სტატისტიკურ დაკვირვებას ახასიათებს განსაზღვრული ხერხები. ძირითადად გამოყენებულია უშუალო დაკვირვების, დოკუმენტური და გამოკითხვის ხერხები. უშუალო დაკვირვების დროს კადასტრის სპეციალისტები აგროვებენ მონაცემებს ადგილებზე. მასში შედის საგეგმო-კარტოგრაფიული მასალების დახუსტების, პასპორტიზაციის, აგროსაწარმოო გამოკვლევისა და ა. შ. დოკუმენტური დაკვირვების ხერხი გულისხმობს მიწათსარგებლობის, სარწყავი და დაშრობილი მიწების, მოსავლიანობის, დანახარჯების და სხვა დოკუმენტების საფუძველზე საშემფასებლო მონაცემების გაანგარიშებას მიწის საკადასტრო წიგნების შესადგენად. გამოკითხვის პერიოდის დროს წარმოებს ნაკლებად გავრცელებული მოვლენების შესასწავლად ინფორმაციის მოპოვება. მიწის კადასტრში ამის მაგალითია ნაკლებად გავრცელებული ნიადაგებისათვის მოსავლიანობისა და დანახარჯების გაანგარიშება.

მიწის კადასტრის შესადგენად გამოიყენება დიდი რაოდენობის ინფორმაცია, რომელიც სტატისტიკური დაკვირვების შემდეგ საჭიროებს განსაზღვრული წესით დამუშავებას და განზოგადებას: ეს მომენტი გულისხმობს მასალების დაჯგუფებას, ტიპობრივი ჯგუფებისა და ქვეჯგუფების დასახასიათებლად მაჩვენებელთა სისტემის შემუშავებას. დაჯგუფებაში იგულისხმება მოვლენის ერთობლიობის დანაწევრება სარისხობრივად ერთგვაროვან ნაწილებად და მათი გაერთიანება განზოგადებელი ნიშნების მიხედვით (ჯგუფებისა და ქვეჯგუფების გამოყოფა). დაჯგუფება, თავის მხრივ, იყოფა ტიპოლოგიურ, ანალიტიკურ და სტრუქტურულად ტიპოლოგიურ და დაჯგუფების დროს წარმოებს გაერთიანება სოციალ-ეკონომი-

კური ტიპების დასახასიათებლად. მაგალითად, მიწის ფონდის რაოდენობის, საწარმოო მიმართულების და სხვა თვისებების მიხედვით კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების დაჯგუფება. ანალიტიკური დაჯგუფების დროს ვლინდება ურთიერთკავშირი მოვლენის ხარისხსა და მიღებულ შედეგს შორის. საკადასტრო დოკუმენტაციაში ანალიტიკური დაჯგუფების მაგალითია მიწის ხარისხსა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობას შორის ურთიერთკავშირი (ბონიტირება). სტრუქტურულ დროს სავარგულებს ალაგებენ შემადგენლობის მიხედვით. მიწის კადასტრში ფართოდ გამოიყენება სავარგულების დაჯგუფების ხერხი.

ყოველგვარი და მათ შორის სტატისტიკური დაჯგუფების უმნიშვნელოვანესი საკითხია დასაჯგუფებელი ნიშნების, ან ნიშანთა ჯგუფების გამოყოფა. სირთულის მიხედვით ნიშნები იყოფა უბრალო, ჯგუფურ და კომბინირებულად. გამოხატვის მიხედვით ციფრობრივ ანუ რაოდენობრივ და სიტყვიერ ანუ ატრიბუტულ ჯგუფებად.

ჯგუფების რაოდენობას და მათ სიდიდეს განსაზღვრავს მოვლენის სირთულე და ნიშნების ხასიათი. კერძოდ, მიწის კადასტრის შესადგენად და, საერთოდ, მიწის ფონდის შესწავლის დროს, ძირითადად, გამოყოფენ მიწის ექვს კატეგორიას. საერთოდ კი ჯგუფში ერთეულთა რაოდენობა იმდენი უნდა იყოს, რომ მან უზრუნველყოს უტყუარი ციფრობრივი მაჩვენებლების მიღება.

აბსოლუტური, შეფარდებითი და საშუალო სიდიდეები

სტატისტიკური დაკვირვებისა და აღრიცხვის შედეგად მიღებულ მონაცემთა თავმოყრის შედეგად მიიღება აბსოლუტური, შეფარდებითი და საშუალო სიდიდეები.

აბსოლუტური სიდიდეები ასახავს შესასწავლი ერთობლიობის მოცულობას. თავის მხრივ, ისინი იყოფა ინდივიდუალურ და ჯგუფურ სახეებად. ინდივიდუალური ქმნის ზოგად წარმოდგენას ობიექტის ან მოვლენის აბსოლუტური ზომის შესახებ. ინდივიდუალური აბსოლუტური სიდიდეების შეჯამებით მიიღება ჯგუფური სიდიდეები, რომლებიც მთელი ერთობლიობის მოცულობას ასახავს.

აქედან, აბსოლუტური სიდიდე შესასწავლი მოვლენის (ობიექტის) რაოდენობრივი და თვისობრივი მხარეების ზომაა. ზომით გამოხატვის ძირითად ერთეულებად შეიძლება გამოყენებული იყოს ნატურალური, პირობითი, შრომითი და ღირებულებითი მაჩვენებლები.

მიუხედავად იმისა, რომ აბსოლუტური სიდიდეებს დიდი მნიშვნელობა აქვს, ისინი ვერ ასახავს მოვლენათა შორის არსებულ კავშირურთიერთობასა და თანაფარდობას, ამიტომ საჭირო ხდება შეფარდებითი სიდიდეების გაანგარიშება.

შეფარდებითი სიდიდეები ეწოდება წარმოებული სიდიდეების იმ სახეობას, რომლებიც ასახავს ერთი მოვლენის თანაფარდობას მეორესთან და უპასუხებს კითხვაზე თუ რამდენჯერ მეტია ან ნაკლები ისინი ერთმეორესთან თანაფარდობაში. შეფარდებითი სიდიდეები ასახავს მასობრივ საზოგადოებრივ-ეკონომიკური მოვლენების რაოდენობრივ მხარეს თვისობრიობასთან მჭიდრო კავშირში. როგორც წესი, ისინი პროცენტობით ან კოეფიციენტობით გამოისახება, რაც უზრუნველყოფს მრავალნიშნის რიცხვების გამარტივებას. თავის მხრივ, ეს ქმნის ობიექტური სინამდვილის შემეცნების პროცესის შესწავლის რეალურ პირობებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე აბსოლუტური და შეფარდებითი სიდიდეები მოვლენების (ობიექტების) შესწავლის აუცილებელი პირობაა, ამასთან, ისინიც ცალ-ცალკე ვერ უზრუნველყოფს კონკრეტული სინამდვილის სრულყოფილ დახასიათებას, რაც ღია ერთდროულ გამოყენებას მოითხოვს. ამ ფაქტორს ისიც განსაზღვრავს, რომ ზოგჯერ მოვლენის ცვლილება სტატისტიკურ სიდიდეებში სხვადასხვანაირად ვლინდება: შეიძლება მოვლენა აბსოლუტურად გაიზარდოს, მაგრამ შეფარდებით მცირდება და, პირიქით.

საკადასტრო დოკუმენტაციის შედგენის დროს ფართოდ გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო სავარგულების აღრიცხვის, კულტურების მოსავლიანობის, თვითღირებულების აბსოლუტური და გეგმის შესრულების, დინამიკის, სტრუქტურის, კოორდინაციის და ინტენსიურობის შეფარდებითი სიდიდეები.

სტატისტიკური აღრიცხვის სისტემაში ფართოდ გამოიყენება საშუალო სიდიდეები, რომლებიც ასახავს შესასწავლი მოვლენის ტიპობრივ სიდიდეს. სტატისტიკური საშუალო სიდიდის არსია ამა თუ იმ მოვლენის განზოგადებული ციფრობრივი დახასიათება ჩვენთვის საინტერესო ნიშნების მიხედვით. მათში ასახავს პოულობს ცალკეულისა და მთლიანის დიალექტიკური ერთიანობა, ამიტომ ისინი გამოიყენება ერთტიპობრივი მოვლენების დასახასიათებლად.

თავისთავად საშუალო სიდიდე აბსტრაქტული ბუნების მატარებელია, ამიტომ მისი გაანგარიშებისას საქმე გვაქვს განსაზღვრულ თვისებათა განყენებასთან. საშუალო სიდიდეში აისახება მოვლენის თვისება, რომელიც დამახასიათებელია მთელი ერთობლიობისათვის და

ბ. ნ. კინჭარაული

მისი განმსაზღვრელია. ამდენად, საშუალო სიდიდე ის საერთოა, რომელიც ერთობლიობაში შემავალ ერთეულთა თვისობრივი ერთფეროვნების საფუძველია. ამიტომ ისინი განიხილება როგორც ერთიმეორისაგან განსხვავებული ცალკეული. მაგრამ ზოგადის შემცველი. რადგან ზოგადი ცალკეულის ნაწილია. ცალკეული საშუალო სიდიდეში აისახება არასრულად, ნაწილობრივ. გამომდინარე, იგი მთელი ერთობლიობის არასრული ნაწილობრივი დახასიათებაა. საშუალო სიდიდეების მეთოდი მკიდროდაა დაკავშირებული სტატისტიკურ დაჯგუფებასთან, როდესაც საფუძვლად ედება არსებითი ნიშანი.

განგაჩინების ხერხების მიხედვით არჩევენ არითმეტიკულ საშუალოს, არითმეტიკულ შერეულ საშუალოს, ჰარმონიულ საშუალოს, გეომეტრიულ საშუალოს, კვადრატულ საშუალოს, მოდას და მედიანას.

არითმეტიკული საშუალო სრულყოფილად ასახავს შესასწავლი მოვლენის ბუნებას. იგი, თავის მხრივ, იყოფა მარტივ-არითმეტიკულ, საშუალო და რთულ-არითმეტიკულ საშუალო სიდიდეებად. მარტივ-საშუალო-არითმეტიკული გამოიყენება მოვლენის ცალკეულ სიდიდეთა ერთნაირი რიცხვით განმეორების პირობებში და გამოიხატება ფორმულით:

$$\bar{X} = \frac{\sum X}{n}, \text{ სადაც}$$

\bar{X} —არის მარტივი საშუალო-არითმეტიკული სიდიდე;

\sum —მოვლენის ცალკეული ნიშნების ინდივიდუალური მნიშვნელობები.

n —ამ ნიშნების (ვარიანტების) ინდივიდუალურ მნიშვნელობათა რაოდენობა.

მიწის კადასტრში მარტივი საშუალო-არითმეტიკული სიდიდეები გამოიყენება მიწის კონტურების, ნათესი ფართობების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობების და სხვა მაჩვენებლების გასაანგარიშებლად.

მარტივ საშუალო-არითმეტიკულს ანგარიშობენ მაშინ, როცა ვარიანტთა სიხშირე ერთს არ აღემატება ან თანაბარი სიხშირითაა წარმოდგენილი, რაც პრაქტიკაში ხშირად არ გვხვდება. როცა ნიშნის ცალკეული მნიშვნელობის განმეორებათა რიცხვები განსხვავებულია ანგარიშობენ შერეულ საშუალო-არითმეტიკულს ფორმულით

$$\bar{X} = \frac{\sum Xy}{\sum y}, \text{ სადაც}$$

ყ არის მოვლენათა ინდივიდუალურ მნიშვნელობათა ხვედრითი წონები.

მიწის საკადასტრო დოკუმენტაციაში შეწონილი საშუალო-ართ-მეტრიკული სიდიდეები გამოიყენება ნიადაგების ბონიტორებისა და მიწების ეკონომიკური შეფასების მაჩვენებლებისა და სკალების შესადგენად.

საზოგადოებრივ და ეკონომიკურ მოვლენათა შესწავლა ხშირად საშუალო-ართმეტრიკულით შეუძლებელია. ამიტომ მიმართავენ საშუალო-ჰარმონიულ სიდიდეს.

$$-\frac{n}{\sum x};$$

მიწის შეფასების სამუშაოებში საშუალო-ჰარმონიული გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის განსაზღვრისათვის, როდესაც ნათესი ფართობების სტრუქტურის შესახებ სრულყოფილი მონაცემები არ მოგვეპოვება. გამომდინარე, საშუალო-ჰარმონიული სიდიდეები გამოიყენება უკუპროპორციულ დამოკიდებულებაში მყოფ მოვლენათა განზოგადებული დახასიათებისათვის.

გეომეტრიული საშუალოს გაანგარიშება წარმოებს განსაკუთრებულ შემთხვევაში, ზრდის საშუალო ტემპის დახასიათების მიზნით. მისი გაანგარიშება მხოლოდ მცირე რიცხვების პირობებში ხორციელდება და გულისხმობს ვარიანტთა გადამრავლებით მიღებული სიდიდეიდან იმდენი ხარისხის ფესვის ამოღებას, რამდენიც ვარიანტია მწკრივში:

$$\overline{x}_{\text{გომ.}} = \sqrt[n]{x_1 \cdot x_2 \cdot \dots \cdot x_n} = \sqrt[n]{n \cdot x}$$

სტატისტიკაში ფართოდ გამოიყენება მოდა და მედიანა. მოდა ეწოდება სიდიდეს, რომელიც მოცემულ ერთობლიობაში ყველაზე ხშირად მეორდება. მედიანა ეწოდება აღმავალი ან დაღმავალი წესით დალაგებული მწკრივის იმ ვარიანტს, რომელიც შუაშია მოთავსებული და მწკრივს ორ თანაბარ ნაწილად ყოფს.

ხშირად ჩამოთვლილი სიდიდეებით კონკრეტული სინამდვილე საშუალო სიდიდეში მხოლოდ ნაწილობრივ აისახება, ხოლო ინდივიდუალური ნიშნები ანალიზს მიღმა რჩება. შემეყენებელი სუბიექტისათვის შესასწავლი მოვლენის შემადგენელ ერთეულთა ერთიანობის ზომის დადგენასთან ერთად საინტერესოა ერთეულთა შორის სხვაობის დადგენა ანუ ვარიაციის ხარისხი. მას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ორი მოვლენის საშუალო სიდიდე შეიძლება თანაბარი იყოს, მა-

გრამ ვარიაციის ხარისხის მიხედვით მკვეთრად განსხვავდებოდეს. ვარიაციის ხარისხი კი ცალკეულ მოვლენათა გადახრას განსაზღვრავს. ამ მიზნით გამოიყენება ვარიაციის გაქანების საშუალო კვადრატული გადახრისა და ვარიაციის კოეფიციენტები.

ინდექსები

მიწის შესათვსებლად სავარგულების გამოყენების ანალიზისათვის გამოიყენება შეფარდებითი სიდიდეების სრულყოფილი ფორმები—ინდექსები. ინდექსი ეწოდება შეუქამებელი ელემენტებისაგან შედგენილ რთულ ეკონომიკურ მოვლენათა რიცხოზომიერ დახასიათების შედეგად მიღებულ საშუალო ფარდობით მაჩვენებლებს. აქედან, ინდექსი საშუალო და შეფარდებითი სიდიდეების სინთეზია. მათი მიზანია მოვლენის დინამიკის გაზომვა და გულისხმობს ისეთი ერთობლიობის დინამიკის ასახვას, რომელიც არათანაზომადი ერთეულებისაგან შედგება.

ერთეულთა არათანაზომადობა შეუძლებელს ხდის რიცხოზომიერ მონაცემთა შეჯამებას და შეფასებას. ისეთი ერთობლიობის დინამიკის გაზომვა, რომელიც არათანაზომადი ერთეულებისაგან შედგება, მხოლოდ საინდექსო მეთოდითაა შესაძლებელი. ამასთან, საინდექსო მეთოდის დროს აუცილებელია მრავალგვარობის დაყვანა ერთგვარობამდე და მის საფუძველზე დინამიკის გაზომვა. არათანაზომადი ერთეულების გარდაქმნა თანაზომად ერთეულებად სათანადო კოეფიციენტების გამოყენებით ხორციელდება.

მოვლენათა ცვლილებების დამახასიათებელი ინდექსების განსაზღვრისათვის საჭიროა ორი პერიოდის მონაცემები. პერიოდს, რომელთანაც ვადარებთ, საბაზისო ეწოდება და, როგორც წესი, იგი რაიმე ისტორიული მნიშვნელობისაა. საანგარიშო ანუ მიმდინარე პერიოდის მაჩვენებლებს უდარებენ საბაზისოდ აღებულს და უპასუხებენ კითხვებზე—რამდენჯერ გაიზარდა ან შემცირდა მოვლენა საბაზისო პერიოდთან შედარებით. პრაქტიკაში მიღებულია ინდექსების პროცენტობით ან კოეფიციენტობით გამოსახვის ხერხები.

მოვლენის მასშტაბების მიხედვით განასხვავებენ ინდივიდუალურ, ჯგუფურ და საერთო ინდექსებს. ინდივიდუალური ინდექსის მიზანია ერთი, რომელიმე მოვლენის ამსახველ სიდიდეთა ერთგვარობისა და ხიზუსტის ხარისხის დადგენა ამდენად ის მხოლოდ ერთი მოვლენის დინამიკას ასახავს.

ჯგუფური ინდექსები ასახავს მოვლენათა ჯგუფების დინამიკას და მოიცავს ერთგვაროვან მოვლენათა (ფაქტთა) დიდ წრეს.

საერთო ინდექსები კი მოიცავს მთელ დარგს, ამდენად ისინი ყვე-

ლაზე ზოგადი ხასიათის მატარებლებია. მაგალითად, მთლიანად მემცენარეობის მაჩვენებლებს, ფონდურზრუნველყოფის და მათი უკუგების და ა. შ. საერთო ინდექსების გაანჯარიშების დროს გამოყოფენ აგრეგატულ, არითმეტიკულ საშუალო და ჰარმონიულ საშუალო ინდექსებს. აგრეგატული ინდექსები საერთო ინდექსების ძირითადი ფორმაა და არათანაზომად მოვლენათა ერთობლიობის დინამიკის გაზომვის მიზნით გაიანჯარიშება. პროდუქციის მოცულობის აგრეგატული ინდექსები გამოიხატება ფორმულით:

$$j = - \frac{\sum p_1 P_0}{\sum p_0 P_0}, \text{ სადაც}$$

j — არის საძიებელი სიდიდე

p — პროდუქცია;

P — ფასები;

1 — მიმდინარე პერიოდის მაჩვენებელი;

0 — საბაზისო პერიოდის მაჩვენებელი.

ფასების აგრეგატული ინდექსი ფორმულით:

$$j_p = - \frac{\sum P_1 p_0}{\sum P_0 p_0}, \text{ სადაც}$$

j , არის ფასების აგრეგატული ინდექსი;

p_1 — საანგარიშო პერიოდში პროდუქციის ერთეულის ფასი;

p_0 — საბაზისო პერიოდში პროდუქციის ერთეულის ფასი;

P_1 — საანგარიშო პერიოდში პროდუქციის მოცულობა.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის აგრეგატული ინდექსი ფორმულით:

$$j_y = - \frac{\sum y_1 S_0}{\sum y_0 S_0}, \text{ სადაც}$$

j_y — არის სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის განმსაზღვრელი ინდექსი;

y_1 — საანგარიშო პერიოდის მოსავლიანობა;

y_0 — საბაზისო პერიოდის მოსავლიანობა;

S_1 — საბაზისო პერიოდის ნათესი ფართობი.

ინდექსები იყოფა აგრეთვე ბაზისურ და ჯაჭვურ სახეებად.

ბაზისურად იწოდება ინდექსები, რომელთა საბაზისოდ დროის ერთი და იგივე პერიოდი აიღება. თუ ინდექსების პერიოდები იცვლება და მომდევნოს შეპირისპირება უშუალოდ მის წინამორბედთან ხდება, ასეთ ინდექსს ჯაჭვური ეწოდება.

საინდექსო მეთოდი ემყარება ორი პერიოდის ურთიერთშედარებას, ამიტომ ვერ უზრუნველყოფს მოვლენის ცვლილებების ასახვას დროში. დროში ეკონომიკურ მოვლენათა განვითარების პროცესების დახასიათება წარმოებს დინამიკის მწკრივებად წოდებული თანმიმდევრობით სტატისტიკური სიდიდეების მწკრივებით. აქედან კრონოლოგიური მწკრივები ეწოდება ისეთ სტატისტიკურ სიდიდეთაგან შედგენილ მწკრივებს, რომლებიც თანმიმდევრულად ასახავენ ამა თუ იმ საზოგადოებრივ-ეკონომიკური მოვლენის დინამიკას დროში. დინამიკის მწკრივებს ადგენენ აბსოლუტური, შეფარდებითი და საშუალო სიდიდეების საფუძველზე. განასხვავებენ კრონოლოგიური მწკრივების ორ სახეს: ინტერვალურსა და სამომენტოს.

სამომენტო მწკრივის წევრები ასახავენ მოვლენას ან საგანს დროის სათანადო მომენტში არსებული მდგომარეობის შესაბამისად.

ინტერვალური მწკრივის ძირითადი მახასიათებელია მოვლენის დინამიკის ასახვა დროის განსაზღვრული მონაკვეთის, ანუ ინტერვალის მიხედვით.

კრონოლოგიური მწკრივების ანალიზის დროს გაიანგარიშება მწკრივის საშუალო დონე, აბსოლუტური მატება; ზრდისა და მატების ტემპები.

მოვლენის წევრთა შორის არსებული რაოდენობრივი სხვაობა ხშირად ჩრდილავს განვითარების კანონზომიერების თვალსაჩინოებას, რაც ზოგჯერ შეუძლებელს ხდის სინამდვილის სრულ შემეცნებას, ამიტომ საჭირო ხდება მწკრივების ისე გადაკეთება, რომელიც უზრუნველყოფს განვითარების ტენდენციის გამოვლენას, რაც მწკრივის მოსწორებით მიიღწევა. ყველაზე მარტივი ხერხია პერიოდების გამსხვილება ანუ შეკუმშვა.

დინამიკის (კრონოლოგიური) მწკრივების დროს ხშირად გამოიყენება სრიალა საშუალოების ხერხი. რაც მწკრივების ჭკუფებად დანაწილებას და მათგან საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებას გულისხმობს. ამ მიზნით ყოველი მომდევნო ჭკუფის საშუალოს გამოსაანგარიშებლად პირველი ჭკუფის წევრთა რაოდენობას აკლდება ერთი წევრი და ირთვება ახალი ისე, რომ საკრებთა რაოდენობა ყველა შემთხვევაში უცვლელია.

მწკრივების მოსწორებისათვის გამოიყენება აგრეთვე მათემატიკური ხერხები, განსაკუთრებითა უმცირეს კვადრატთა მეთოდი. დინამიკ-

ურა მწკრივების მოსწორება ხშირად ხდება წრფივი ფუნქციის მეშვეობით:

$$y = a + b,$$

სადაც

a და b არის უცნობი სიდიდეები, ანუ პარამეტრები;

მიწის კადასტრის სისტემაში ყველაზე უფრო ფართოდ გამოყენებულია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის, შრომის დანახარჯების, წმინდა და დიფერენციული შემოსავლების, განსხვავებული ნაყოფიერების ნიადაგებზე წარმოების რენტაბელობის და სხვა სიდიდეების დინამიკის მწკრივები.

**შივის საკადასტრო მონაცემების ურთიერთკავშირის გამოვლენის
სტატისტიკური მეთოდი**

სტატისტიკური ანალიზის ამოცანაა დაკვირვების შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე მოვლენათა ზომებისა და შეფარდების ცვლილებებში გამოვლენილ კანონზომიერებათა ახსნა და სწორი თეორიულ-პრაქტიკული დასკვნების გაკეთება. სტატისტიკური ანალიზის არსია მასალების კრიტიკული შეფასება, მოვლენებს შორის ურთიერთკავშირის გამოვლენა, დინამიკის განსაზღვრა, ანალიზის შედეგების განმარტება, დასკვნებისა და პრაქტიკული წინადადებების შემუშავება.

დაკვირვების შედეგად მიღებული მონაცემების ჯგუფები. შეფარდებითი და საშუალო სიდიდეების ინდექსები და დინამიკის მწკრივები ახასავეს მოვლენათა ცვლილებებში ტენდენციებს და კანონზომიერებათა რაოდენობას, მაგრამ ცალკეული ფაქტორის გავლენის ხარისხს ვერ განსაზღვრავს. ეს უკანასკნელი სტატისტიკური ანალიზის ამოცანაა, რომელიც ზემოთ განხილულ სიდიდეებთან ერთად იყენებს პარალელური მწკრივების, საბალანსო ანალიტიკური დაჯგუფების და კორელაციური ანალიზის მეთოდებს.

პარალელური მწკრივების მეთოდი ყველაზე გავრცელებულია და გულისხმობს სტატისტიკური მწკრივების სახით ცხრილში დალაგებული მონაცემების შეპირისპირებას, რაც უზრუნველყოფს შედარებათა მეტ თვალსაჩინოებას.

საბალანსო მეთოდი ავლენს მოვლენებს შორის ურთიერთდამოკიდებულებისა და კავშირის ხასიათს ცხრილებში მოთავსებული მაჩვენებლების საფუძველზე. ამასთან, ცხრილის ორივე ნაწილი (დებიტი და კრედიტი) ტოლი უნდა იყოს. მიწის საკადასტრო საქმიანობა-

ში საბალანსო მეთოდი ფართოდაა გამოყენებული მიწის ფონდის, მისი ტრანსფორმაციის, მიწის შეფასების ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების გაანგარიშებასა და სხვა საკითხებში.

ანალიტიკურ დაჯგუფებათა მეთოდით მონაცემებს აჯგუფებენ ერთი ნიშნის მიხედვით და თითოეული ჯგუფისათვის მეორე ნიშნის საშუალო ან შეტარდებით მნიშვნელობას ანგარიშობენ. როდესაც შეისწავლიან ნიშანთა ერთობლიობასთან განსხვავებული ხასიათის ნიშნის დამოკიდებულებას, ამ უკანასკნელის მიხედვით აწარმოებენ კომბინაციურ დაჯგუფებას.

საზოგადოებრივი ეკონომიკური მოვლენების ანალიზის ყველაზე სრულყოფილი და ფართოდ გამოყენებულთა კორელაციური ანალიზის მეთოდი.

კორელაციური ეწოდება კავშირს, როდესაც ერთი ან რამდენიმე ფაქტორიალური ნიშნის ცვლილებას შეესაბამება შედეგობრივი ნიშნის საშუალო მნიშვნელობის ცვლილება.

დამოკიდებულებას ეწოდება ფუნქციური, როდესაც დამოუკიდებელი ცვლადის თითოეული მნიშვნელობისათვის არსებობს დამოკიდებული ცვლადის ერთადერთი, მკაცრად განსაზღვრული მნიშვნელობა.

კორელაციური კავშირის დროს, ფუნქციურისაგან განსხვავებით, ერთი ან რამდენიმე ფაქტორიალური ნიშნის ცვლილებას შეესაბამება შედეგობრივი ნიშნის საშუალო მნიშვნელობის ცვლილება. ასე, მაგალითად, მიწის საკადასტრო დოკუმენტაციის ისეთ სიდიდეებს, როგორცაა მთლიანი შემოსავალი და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, არ განსაზღვრავს მარტო ნათესი ფართობი, მიწის ფონდი, შეტანილი სასუქები და მოსავლიანობა. დიდ როლს ასრულებს აგრეთვე ნიადაგის ნაყოფიერება, მისი ბუნებრივი ნიშან-თვისებები, კლიმატური პირობები და რიგი ეკონომიკური ფაქტორი. კორელაციური მეთოდის ყველაზე მკაფიო გამოვლენაა კავშირი მოსავლიანობასა და ნიადაგის ბუნებრივ ნიშან-თვისებებს შორის.

§ 8. მიწის კადასტრის ავტომატიზაციის საკითხები

სახელმწიფო მიწის კადასტრის შედგენა მოიცავს დიდძალი სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებას, დახარისხებას და მათ დამუშავებას სპეციალური დოკუმენტების შედგენით. ეს პროცესი შრომატევადია და დიდ დროსა და შრომით რესურსებს მოითხოვს. ამიტომ ამ საკითხზე მომუშავე სპეციალისტები იმთავითვე დიდ ყურადღებას

უთმობდნენ ამ მასალების ავტომატიზების საკითხებს. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის და, კერძოდ, გამოთვლითი ტექნიკის განვითარების თანამედროვე დონე საშუალებას იძლევა მიწის საკადასტრო სამუშაოების უდიდესი ნაწილი და, შესაბამისად, დოკუმენტების შედგენა, ჩავატაროთ ელექტრონულ-ციფრული გამოწვლელი მანქანების (ეცემ) საშუალებით. მიწის კადასტრის შედგენისას გამომთვლელი ტექნიკისა და კომპიუტერული მეთოდების გამოყენების აუცილებლობა და შესაძლებლობა მტკიცდება ჩვენი ქვეყნის ცნობილი სამეცნიერო-კვლევითი კოლექტივების მიერ ჩატარებული საცდელი და პრაქტიკული სამუშაოების შედეგებით. მოუხედავად ამ დარგში ერთგვარი შეფერხებისა შეფასების სამუშაოების საკმაოდ დიდი ნაწილი ჩვენს რესპუბლიკაშიც ელექტრონულ-გამომთვლელი ტექნიკის გამოყენებით სრულდება.

მიწის კადასტრის ინფორმაციული დამუშავების ავტომატიზაციის დროს იქმნება ინფორმაციული უზრუნველყოფა, რომელიც შედგება მიწის კადასტრის ინფორმაციული მოდელისა და მონაცემების ბანკისა-საგან. ინფორმაციული მოდელი ითვალისწინებს მიწის კადასტრისათვის საჭირო დოკუმენტების შექმნას, სტრუქტურასა და დინამიკას. ელექტრონულ-ციფრობრივ გამომთვლელ მანქანებზე შექმნილი ასეთი მოდელი საშუალებას იძლევა ინფორმაციის შემტანი და გამომშვები მოწყობილობების გამოყენებით მიწის საკადასტრო საქმიანი ქალაქები (ფორმები და დოკუმენტები) შეიცვალოს მანქანების მაგნიტური მეხსიერებით. ამგვარად, ინფორმაცია შენახული იქნება არა დიდი რაოდენობით ქალაქის დოკუმენტების სახით, არამედ მაგნიტურ დისკებზე და მაგნიტურ ფირებზე. გარდა ამისა, მეხსიერების ასეთი ფორმა საჭიროების შემთხვევაში პროგრამული მიმართვის საშუალებით აუცილებელი ინფორმაციის მიღების საშუალებასაც იძლევა.

მონაცემების ბანკის შექმნა ითვალისწინებს საჭირო ცნობებისა და ნორმატივების შენახვას მაგნიტურ მეხსიერებაში. მაგალითად, ელექტრონულ-ციფრობრივი გამომთვლელი მანქანის მეხსიერებაში შეიძლება შენახული იქნას ადმინისტრაციული რაიონების, სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და კულტურების ცნობარები შესაბამისი საკადასტრო ფასებით და სხვა ინფორმაცია, რომელიც უცვლელი რჩება დროის შედარებით დიდ მონაკვეთში (რამდენიმე წლის განმავლობაში).

ამჟამად ჩვენი რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა სტატისტიკურ-ეკონომიკური ინფორმაციის დამუშავება შესაბამისი დოკუმენტების შედგენით მთლიანად ავტომატიზებულია. გამოთვლითი

ტექნიკის გამოყენებით ხდება საშემფასებლო რაიონების საბაზისო მოსავლიანობებისა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა შეფასების საშუალო შეწონილი ბალების დადგენა.

სსრ კავშირში მიწის კადასტრის სამუშაოების ავტომატიზაციის პირველი ცდები განხორციელდა ეცემ „მინსკ—32“-ზე. ამჟამად კი ინფორმაციული დამუშავება წარმოებს EC-ის ტიპის თანამედროვე ეცემ-ზე, რომელთა ტექნიკური შესაძლებლობები ბევრად აღემატება „მინსკის“ ტიპის გამომთვლელ მანქანებს.

ელექტრონული ციფრული მანქანების გამოყენებას ბევრი უპირატესობა აქვს ამ სამუშაოების ხელით შესრულებასთან. კერძოდ, იგი აჩქარებს მიწის კადასტრში სამუშაოების შესრულებას და ქმნის პრაქტიკულ საქმიანობაში მიწის საშემფასებლო მონაცემების ფართოდ გამოყენების წინაპირობას: ამაღლებს მიღებული მონაცემების ხარისხს, რაც მიწის რაციონალურად გამოყენების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ამჟამად მიმდინარეობს მიწის კადასტრის სამუშაოების ავტომატიზაციის სრულყოფა. ეს კი გულანს მობს მიწის კადასტრის სრულ ავტომატიზაციას. აღნიშნული, თავის მხრივ, გამოიწვევს ადამიანზე დაკისრებულ ჯამრთა საჯამომთვლელ საქმიანობასთან დაკავშირებული ერთფეროვანი სამუშაოების წილის შემცირებას და აქედან გამომდინარე, არამწარმოებლურ სფეროში გამოყენებული შრომითი რესურსების რაოდენობის გამოთავისუფლების გარანტიას იძლევა.

მიწის კადასტრის შედგენისა და პრაქტიკულ საქმიანობაში მიღებული მონაცემების გამოყენების ავტომატიზაცია მოითხოვს დიდი რაოდენობით ორგანიზაციული, ტექნიკური და ეკონომიკური ხასიათის თეორიულ-პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტას. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს როგორც გამოყენებული ტექნიკური საშუალებების სიახლეს, ისე ამ მიზნისათვის სპეციალისტების მომზადების დონეს. ამიტომაც პრაქტიკაში ხშირად დღის წესრიგში დგება რიგი საერთო პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციის შეკრება-დამუშავებასთან. ტექნიკურ-ინფორმაციული და მათემატიკური უზრუნველყოფის ანალიზთან და სხვა საკითხებთან.

ცალკეული მიწათმოსარგებლის მონაცემების მექანიზებული დამუშავების შედეგად აღდგენენ რაიონის მიწის ბალანსს, ხოლო რაიონული მიწის ბალანსების საფუძველზე ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქების, მოკავშირე რესპუბლიკებისა და ქვეყნის შესაბამის დოკუმენტებს.

ამ მიზნით შესაბამისი შიფრი უნდა მიეცეს მოკავშირე რესპუბლიკებს, ოლქებს (მხარეებს), ავტონომიურ რესპუბლიკებს, ადმინისტრ-

აკიულ რაიონებს, მიწათმოსარგებლებს, სასოფლო-სამეურნეო საე-
არგულების სახეებს, ნიადაგის ტიპებსა და სახესხვაობებს. დღეისათვის
კავშირის მასშტაბით შემუშავებული და დამტკიცებულია ადმინისტ-
რაციული რაიონებისა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა კლასიფი-
კატორები. აგრეთვე ნიადაგების კლასიფიკაციის ერთიანი შიფრი,
რაც მიწის საკადასტრო დოკუმენტაციის მექანიზებული წესით შედ-
გენის საშუალებას იძლევა.

VII თ ა ვ ი

ენიჭარსკრემპლობის რეგისტრაცია

ჩვენს ქვეყანაში მიწათსარგებლობის რეგისტრაცია ტარდება
ოქტომბრის რევოლუციის პირველი დღეებიდანვე. სახალხო მეურნეო-
ბის წინსვლისა და სოციალისტური წარმოების წესის გამარჯვების შე-
საბამისად იგი ჩამოყალიბდა როგორც ერთიანი მწყობრი სისტემა.
საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში მიწათსარგებ-
ლობის რეგისტრაციის სამუშაოებს ატარებდნენ ადგილებზე შექმნილი
სათემო კომიტეტები, რომელთა მოვალეობა იყო ფეოდალურ-მონათ-
მფლობელური გადმონაშთების ლიკვიდაცია, მიწების აღრიცხვის წა-
რმოება და რეფორმისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება. მიწათ-
სარგებლობის რეგისტრაცია არის მიწის სამართლებრივი მხარე და
უზრუნველყოფს მიწის ნაციონალიზაციის პრინციპების განხორციე-
ლებას. მიწაზე სახელმწიფო საკუთრების დაცვას, მიწათმოსარგებლე-
თა უფლებების დაცვასა და მათთვის მიწის გადაცემას. ანუ იგი იური-
დიული ძალის მქონე ღონისძიებაა, რომელიც მიმართულია მიწის კო-
ნკრეტული ნაკვეთით სარგებლობის უფლების გაფორმებისა და სახ-
ელმწიფო დოკუმენტებში შესაბამისი ჩანაწერების გაკეთებისათვის.

მიწათსარგებლობის სახელმწიფო რეგისტრაცია წარმოადგენდა
იურიდიულ აქტს, რომელიც აფორმებს კონკრეტული ნაკვეთით სარ-
გებლობის უფლებას. მის ამოცანას შეადგენდა სახელმწიფოსათვის
მიწის რაოდენობისა და მიწათსარგებლობის შესახებ ყოველგვარი
ცნობების მიწოდება. როგორც წესი, მიწების რეგისტრაცია წინ უს-
წრებს მიწათსარგებლობის საზღვრები დადგენა, ფართობების გან-
საზღვრა, გეგმების შედგენა და მიწათსარგებლობაში არსებულ ნაკ-

ლოვანებათა აღმოფხვრა, მისი იურიდიული გაფორმება, რასაც სამიწათმოქმედობით სამსახური ახორციელებს.

მიწათსარგებლობის რეგისტრაცია, როგორც იურიდიული ძალის მქონე აქტი და უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო ღონისძიება, თანდათან უმჯობესდებოდა. მისი პირველი დოკუმენტები იყო ჩანაწერები მიწის სარგებლობაში გამოყოფის შესახებ. ჩანაწერებში აღინიშნებოდა დოკუმენტის შექმნის თარიღი, ჩანაწერის შემსრულებელი ორგანიზაციისა და მიწათმოსარგებლის დასახელება, მისი ადგილმდებარეობა, მიწის ფართობი, მიწათსარგებლობის განსაკუთრებული პირობები და სხვ. მიწათსარგებლობის რეგისტრაციას, როგორც იურიდიული ძალით მქონე ღონისძიებას, პირველად საფუძველი ჩაუყარა რსფსრ მინსახკომმა 1919 წლის 23 სექტემბერს დამტკიცებული ინსტრუქციით „მიწათსარგებლობის სახელმწიფო ჩაწერის წარმოების (მიწების რეგისტრაციის) ფორმებისა და წესის შესახებ“. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულმა ინსტრუქციამ და სხვა იურიდიულმა აქტებმა უზრუნველყვეს მიწათსარგებლობის სახელმწიფო რეგისტრაციის, როგორც სახელმწიფო ღონისძიების გაუმჯობესება, იმ დროისათვის იგი მაინც რიგი ნაკლოვანებებით ხასიათდებოდა. ამან განსაკუთრებით იჩინა თავი ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში, როდესაც განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მიწათსარგებლობის სამართლებრივ მხარეს.

ცნობილია, რომ მიწათსარგებლობა მიზნობრივ ხასიათს ატარებს, რის გამო იგი დაკავშირებულია მიწების გამოყენების კონკრეტულ უფლებრივ რეჟიმთან. გამომდინარე აქედან, მიწათსარგებლობა გულსხმობს კონკრეტულ ტერიტორიას, რომელიც მოიცავს მიწის სამეურნეო დანიშნულებას, ფართობს და ადგილმდებარეობის დახასიათებას.

სახალხო მეურნეობის განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე მიწათსარგებლობის რეგისტრაციის არსებულმა სისტემამ ხელი შეუშალა ქვეყნის ერთიანი მიწის ფონდის რაციონალურად გამოყენებასა და შედარებას, კერძოდ, წვრილი, დაქსაქსული გლეხური მეურნეობა და უხარისხო კარტოგრაფიული მასალები სრულფასოვანი მონაცემების მიღების საშუალებას არ იძლეოდა. ეს, თავის მხრივ, ხელს უშლიდა მიწათსარგებლობაში სოციალისტურ გარდაქმნებს და სოფლის მეურნეობის სოციალისტურ რელსებზე გადაყვანას.

ამ პერიოდისათვის ძირითად მიწათმოსარგებლებად ითვლება ინდივიდუალური მეურნე გლეხობა, სახელმწიფო მეურნეობები, სემრეწველო და სხვა საწარმოები, დაწესებულებანი და ორგანიზაციები.

შესაბამისად მიწათსარგებლობის რეგისტრაცია ტარდებოდა მხოლოდ მიწათმოწყობის დამთავრების შემდეგ და ეს მასალები მთლიანად გამოიყენებოდა მიწათსარგებლობის რეგისტრაციის დროს.

იმ დროისათვის არსებული დებულების შესაბამისად მიწათსარგებლობის რეგისტრაცია თემების მიხედვით ტარდებოდა, ყოველი თემისათვის აღგენდნენ სათემო რუკას და რეესტრს. მიწათსარგებლობის აღფაბეტურ სიას და საქმეს. მიწათსარგებლობის რეგისტრაციის დროს გამოყენებული იყო მიწის აღრიცხვის არსებული მასალები, ხოლო, თავის მხრივ, ამ დოკუმენტებში გათვალისწინებული იყო მიწათსარგებლობის რეგისტრაციის მოთხოვნები. ამ მომენტიდან დაწყებული აღრიცხვა და რეგისტრაცია ურთიერთდაკავშირებულ სისტემად ჩამოყალიბდა.

მიწის აღრიცხვისა და მიწათსარგებლობის რეგისტრაციის არსებულ სისტემა მოიცავდა მიწების შეფასებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის შედგენის სამუშაოებს. მათი ჩატარება და მიწის შეფარდებითი ღირებულებითი შეფასების მონაცემების შემუშავება განსაზღვრული იყო მიწების გადანაწილების, მიწის ფონდების მონაცულოების, საარენდო გადასახადების დადგენის, ახლადასათვისებელი მიწების გამოვლენისა და მიწების რაციონალურად გამოყენების ორგანიზაციულ-ეკონომიკური და სხვა მნიშვნელოვანი სახელმწიფო საკითხების გადაჭრის ღონისძიებათა დასახვის აუცილებლობით.

ჩამოთვლილი საკითხების გადასაჭრელად აუცილებელი გახდა მიწის შეფარდებითი ღირებულების შეფასების მონაცემები, ამიტომ რსტსრ სახკომსაბჭომ 1925 წლის 9 ოქტომბერს დეკრეტით „მიწათმოწყობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, მიწათმოქმედების სახელმწიფო კომისარიატს დაავალა მიწათმოწყობის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის შეემუშაებინა მიწის შეფარდებითი შეფასების წესები და განეზოგადებინა საცდელი სამუშაოები, რაც იმ პერიოდში მიწის კადასტრის შედგენის ხაზით ტარდებოდა.

ამავე წლებში დაიწყო ნიადაგების ბუნებრივი ნიშან-თვისებების მიხედვით შეფასება-ბონიტირება. ამ მიზნით ჩატარდა ერთიანი მიწის ფონდის დეტალური აგროეკონომიკური, ნიადაგობრივი და გეობოტანიკური გამოკვლევები. არსებული მასალებისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის საფუძველზე დგებოდა ბონიტეტის სკალები. მიღებული მონაცემებით განხორციელდა ცალკეულ საწარმოთა ნიადაგების ბონიტირება, ასეუ საწარმოთა შეწონილი საშუალო ბონიტეტის ბალიზ გამოყვანა.

1928 წლიდან დაიწყო სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის

ფართო კამპანია, რომელმაც ახალი მოთხოვნები წაუყენა მიწათსარგებლობის რეგისტრაციასა და მიწების აღრიცხვას, რაც დაკავშირებული იყო კულაკობის ლიკვიდაციასთან. სამწუხაროდ, ამ პერიოდში მიწის კადასტრის შედგენის სამუშაოები შეჩერდა; ხოლო თვით კადასტრის სისტემა უარყვეს, როგორც კაპიტალისტური მეთოდებიდან გამომდინარე და სოციალისტური წარმოების წესისათვის მიუღებელი. მეცნიერულად დაუსაბუთებელმა ამ კონცეფციამ გარკვეული ზიანი მიაყენა მიწის კადასტრის წარმოების საქმეს როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად თვალსაზრისით, რადგან იგი შეჩერდა 60-იან წლებამდე. ტარდებოდა მხოლოდ მიწის სარგებლობის რეგისტრაცია და მიწების აღრიცხვა, რაც მთლიანად ვერ უზრუნველყოფდა მიწის რაციონალურად გამოყენებას.

ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის მსხვილ სოციალისტურ რელსებზე გადაყვანა კაცობრიობის ისტორიაში ეკონომიკური ურთიერთობათა უდიდესი რევოლუცია იყო. სოფლად ასეთი სოციალ-ეკონომიკური ცვლილებები აუცილებლად მოითხოვდა შესაბამის სიახლეებს მიწის კანონმდებლობის დარგში. 1930 წლის 1 თებერვალს სსრ კავშირის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და სახალხო კომისართა საბჭომ მიიღეს დადგენილება „მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის, განმტკიცებისა და კულაკობასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“. ამ დადგენილებით გაუქმდა მიწის იჯარით გაცემისა და ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობებში დაჭირავებული შრომის გამოყენების შესახებ არსებული კანონები.

კოლექტივიზაციის მოახლოვების შესაბამისად ამ პერიოდში დიდ მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდებოდა მიწების სამართლებრივი აღრიცხვის დარგშიც, რაზედაც მიუთითებს 1935 წლის 7 ივლისის სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილება „სასოფლო-სამეურნეო არტელებისათვის მიწის უვადო (სამუდამო) სარგებლობის სახელმწიფო აქტების მიცემის შესახებ“ და ამ დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქცია „სასოფლო-სამეურნეო არტელებზე მიწის უვადო (სამუდამო) სარგებლობის სახელმწიფო აქტების შედგენისა და მიცემის წესის შესახებ“, ამ უკანასკნელის შესაბამისად ქვეყნის მასშტაბით შემოიღეს სახელმწიფო აქტების ერთიანი ფორმა, რასაც უდიდესი პოლიტიკური და სამეურნეო მნიშვნელობა ჰქონდა და მიწათსარგებლობაში

სოციალისტური წარმოების წესის და რევოლუციური წესრავის დამყარების გარანტიას იძლეოდა.

საკოლმეურნეო მშენებლობის დამთავრებამ და სოციალიზმის გამარჯვებამ აუცილებელი გახადა მიწების აღრიცხვის სამუშაოების გაუმჯობესება და დოკუმენტაციის სრულყოფიანი ღონისძიებების გატარება. ამასთან გამოვლინდა საკოლმეურნეო მიწათსარგებლობაში უხეში დარღვევები, რაც ხელს უშლიდა სოფლის მეურნეობის სწრაფი ტემპებით განვითარებას. ამიტომ 1939 წლის 27 მაისს სკკპ (ბ) ცკ და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს ერთობლივი დადგენილებით „კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განაივებისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ“ შემოღებულ იქნა კოლმეურნეობებში მიწების ზონარგაყრილი წიგნი და რაიონებში მიწათსარგებლობის რეგისტრაციის სახელმწიფო წიგნი. პირველში მოცემული იყო კოლმეურნეობის მთელი მიწის ფართობი, სავარგულების სტრუქტურა და საკარმიდამო მიწები კომლების მიხედვით. მეორეში—მიწათსარგებლობა ალფაბეტის მიხედვით; მისი ადგილმდებარეობა, მიწათსარგებლობის ნომერი, მიწის მთლიანი ფართობი, საზოგადოებრივი და საკარმიდამო მიწის ფართობები ცალკეული საწარმოსა და სავარგულის ჭრილში.

დიდმა სამამულო ომმა მთლიანად მოშალა მიწათსარგებლობა და მოსპო არსებული დოკუმენტაცია ქვეყნის ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ამიტომ ომის დამთავრების შემდეგ დიდი ღონისძიებები გაატარეს მათი დაზუსტებისა და აღდგენისათვის. გარდა ამისა, ომის შემდგომ პერიოდში მარცვლეულის წარმოების გადიდებისა და, საერთოდ, სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის პარტიამ მიზანშეწონილად ჩათვალა ყამირა და ნასვენ მიწების ათვისება. შესაბამისად სიახლე შეიტანეს მიწათსარგებლობის რეგისტრაციის გაუმჯობესების ციკლში და 1956 წლის 27 იანვრიდან შემოიღეს მიწით სარგებლობის უფლების სახელმწიფო აქტი და მიწათსარგებლობის რეგისტრაციის სახელმწიფო წიგნის სრულყოფილი ფორმები.

ამ საკითხში შემდგომი ეტაპი იყო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით 1962 წლიდან მიწების ზონარგაყრილი წიგნისა და მიწათსარგებლობის რეგისტრაციის სახელმწიფო წიგნის ახალი ფორმების შემოღება, რომლებშიც შეტანილია სპეციალური თავი სასოფლო-სამეურნეო სავარგული მიწების ხარისხობრივი მდგომარეობის შესწავლა-გათვალისწინების შესახებ. თავის მხრივ, მიწის საკადასტრო დოკუმენტაცია მიწების აღრიცხვისა და რეგისტრაციის ელემენტებს შეიცავს კერძოდ, რაიონის მიწის საკადასტრო წიგნის პირველ განყოფილებაში მოცემულია მიწათსარგებლობის რეგისტრაციის

მონაცემებ... რეგისტრაციას დაქვემდებარებულია პირველადი სარგებლობის მთელი ფართობი (მუდმივი, გრძელვადიანი და დროებითი სარგებლობის). ხოლო მეორადი მიწათსარგებლობა (საკარმიდამო და სხვა კატეგორიები) კი ამ განყოფილებაში არ შედის.

ვადების მიხედვით გამოიყო მიწათსარგებლობის სამი სახე: უვადო, რომლის სარგებლობის ვადა განუსაზღვრელია და მის უფლებას იძლევა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო, დროებითი სარგებლობა ორი სახისაა მოკლევადიანი—3 წლამდე და გრძელვადიანი—10 წლამდე, რომელიც ცალკეულ შემთხვევაში მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილებით შეიძლება 25 წლამდე გაგრძელდეს. კერძოდ, საქართველოს სსრ რესპუბლიკაში გრძელვადიანი სარგებლობა დაწესებულია 20 წლამდე.

მიწათსარგებლობის დადგენილი წესის მიხედვით პირველადი მიწათმოსარგებლებს უფლება აქვთ გადასცენ მიწა მეორადი სარგებლობისათვის სხვა ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს. კოლმეურნეობებში მეორადი სარგებლობისათვის მიწის გადაცემის საფუძველია კოლმეურნეობის საერთო ან რწმუნებულთა კრების დადგენილება, რომელსაც ამტკიცებს რაიკომსაკომი (ქალაქის აღმასკომი). როგორც წესი, მეორადი სარგებლობის მიწებზე რეგისტრაცია ტარდება სასოფლო საბჭოებისა და ქალაქის სარეგისტრაციო წიგნებში. ეს ღონისძიება აუცილებელია მიწათსარგებლობის უფლების დამკვიდრებისათვის.

პერიოდულობის მიხედვით მიწათსარგებლობის რეგისტრაცია თანამედროვე პირობებში ორი სახისაა: ძირითადი და მიმდინარე. ძირითადის (პირველადის) დროს წარმოებს მიწათსარგებლობის გაფორმება, სისტემატიზაცია და რეგისტრაციის დოკუმენტაციაში ყოველგვარი მასალის შეტანა. მიმდინარე მიწათსარგებლობის რეგისტრაციის ამოცანაა პირველადის ჩატარების შემდეგ მიწათსარგებლობაში მომხდარი ყოველგვარი კანონიერი ცვლილების დაზუსტება და უკანონო ცვლილებების აღმოფხვრა, ანუ მიწის კანონიერი მფლობელისათვის დაბრუნება დოკუმენტებში ამ ოპერაციის ფიქსირებით.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მიწათსარგებლობის რეგისტრაცია ჩამოყალიბდა, როგორც მიწათსარგებლობის სახელმწიფო ჩანაწერი კონკრეტული მიწის ნაკვეთით სარგებლობის უფლებაზე. მასადაამდე, მიწათსარგებლობაში იგულისხმება ქვეყნის ერთიანი მიწის ფონდის ნაწილი, რომელიც სახელმწიფოს მიერ აქვს გადაცემული მიწათმოსარგებლეს კონკრეტული სამეურნეო ან სხვა მიზნებრივი და-

ნიშნულებისათვის და ახასიათებს ზუსტი საზღვრები და ჭარკვეული ფართობი. მისი ამოცანაა ყოველგვარი ცნობის შეგროვება, სისტემატიზაცია და შენახვა მიწათმოსარგებლეთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ. მიწათსარგებლობა მიწის ნაკვეთების ერთობლიობაა. ცალკეული ნაკვეთის მიწათსარგებლობის შემადგენლობაში შეტანა, მისი ადგილმდებარეობა, კონფიგურაცია ნაყოფიერება, გამოყენების შესაძლებლობა და სხვა პირობები მიწათმოსარგებლებს უქმნის განსხვავებულ პირობებს წარმოებისა და საქმიანობისათვის. მიწების გადანაწილებას სახალხო მეურნეობის დარგებს შორის და ცალკეულ მიწათმოსარგებლეს აწარმოებთ საბჭოთა სახელმწიფო ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე. ეს პროცესი ხორციელდება სამეურნეობათა შორისო მიწათმოწყობის საშუალებით.

სამეურნეობათაშორისო მიწათმოწყობა ეკონომიკურ, უფლებრივ და ტექნიკურ ერთობლიობათა სახელმწიფო ღონისძიებაა და მისი საშუალებით წარმოებს მიწათსარგებლობის შექმნა, მოწესრიგება და შეცვლა. ეს ღონისძიება ტარდება სახალხო მეურნეობის დარგებისა და ცალკეული მიწათმოსარგებლის საჭირო მიწის ფართობით უზრუნველყოფის მიზნით. დარგებისა და მიწათმოსარგებლებისათვის მიწის გამოყოფა და მათი განლაგება ემყარება ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებას დარგებისა და საწარმოების ურთიერთკავშირის გათვალისწინებისა და უდიდესი ეფექტის მიღწევის მიზნით.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მიწათსარგებლობის შექმნა და მოწესრიგება მიზნად ისახავს საზოგადოებრივი წარმოების და მიწის რაციონალურად გამოყენების ამაღლებას, პროდუქციის წარმოებაზე გაწეული დანახარჯების შემცირებას და სოფლად მომუშავეთა სოციალური პირობების გაუმჯობესებას. ეს ღონისძიება ტარდება კონკრეტული ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით, რომლებიც არსებით გავლენას ახდენს მიწათსარგებლობის შექმნასა და მოწესრიგებაზე.

პირველ რიგში მიწები გამოიყოფა სოფლის მეურნეობისათვის. ამ მიზნით არჩევენ მიწის მასივებს, რომლებიც ადგილმდებარეობით, რელიეფით, მცენარეულ საფარით, ნიადაგის ნაყოფიერებით, პიძროლოგიური და სხვა პირობებით ვარგისია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსაყვანად და პირუტყვის შესანახად, ამავე დროს გაითვალისწინება ისეთი ძირითადი პრინციპები, როგორიცაა: ა) მიწათსარგებლობის განლაგება სოფლის მეურნეობის სოციალ-ეკონომიკური პირობების შესაბამისად და მიწათმოსარგებლეთა ინტერესის გათვალისწინებით; ბ) მიწათსარგებლობის რაციონალური სიდიდე და სა-

7. ნ. კინკარაული

ვარგულების მიზანშეწონილი შეფარდება წარმოების სპეციალიზაცი-
იდან გამომდინარე; ვ) მიწათსარგებლობის მოხერხებული კონფიგურ-
აცია და მისი სამეურნეო ერთეულების მოხერხებული განლაგება;
გარე საზღვრების სწორ განსაზღვრასთან ერთად. ამ პრინციპების და-
ცვა ეზრუნებას კონკრეტულ მიწათმოსარგებლეთა ინტერესების
დაცვას და სოფლის მეურნეობის სწრაფი ტემპებით განვითარებას.

ამრიგად, მიწათსარგებლობა როგორც მიწის აღრიცხვის სამართ-
ლებრივი მხარე, ადგენს მიწათსარგებლობის ფართობებს; აწარმოებს
მათ განლაგებასა და ფორმირებას, ადგენს სავარგულების სახეებს,
ხარისხსა და თანაფარდობას, აწესებს მიწათსარგებლობის საზღვრებს
და აღმოფხვრის მიწათსარგებლობაში არსებულ ნაკლოვანებებს. ამას-
თან, ყველა ეს პროცესი მიწათსარგებლობის ცალკეული კატეგორი-
ისა და კონკრეტული ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების გათვალის-
წინებით ხორციელდება.

აღნიშნული პრობლემები, ისე როგორც მიწის გამოყენების საკი-
თხები, სტატისტიკური (მყარი) არაა. ამიტომ ჩვენი ქვეყნის სახალხო მე-
ურნეობის განვითარების ცალკეულ ეტაპზე შესაბამისი ცვლილებები
ხდებოდა მიწის კანონმდებლობის შინაარსსა და მისი რეგისტრაციის
დარგებში. განსაკუთრებული ღონისძიებების გატარება შეიქმნა სა-
ჭირო საადგილმამულო ურთიერთობის ძირითადი საკითხების გადასა-
ჭრელად თანამედროვე პერიოდში სახალხო მეურნეობისა და სამეცნი-
ერო-ტექნიკურ პროგრესის სწრაფი ტემპების განვითარების გამო.
ამიტომ სკკპ და საბჭოთა მთავრობის საქმიანობაში ამ პრობლემის ოპ-
ტიმალური გადაჭრის ამოცანებს ყოველთვის წამყვანი ადგილი უჭი-
რავს.

კერძოდ, სკკპ ცკ 1965 წლის მარტის პლენუმმა აგარარული საკით-
ხის წარმატებით გადაჭრის ერთ-ერთ ძირითად პირობად მიიჩნია მიწ-
ათსარგებლობაში წესრიგის დამყარება და მიწების უყაირათოდ გამო-
ყენების აღმოფხვრა. ამ ამოცანის წარმატებით განხორციელების მიზ-
ნით სკკპ ცკ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1965 წელს მიიღეს
დადგენილება „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარ-
მოების ხელმძღვანელობის, საქმეში სსრ კავშირის სოფლის მეურნე-
ობის სამინისტროს როლის ამაღლების შესახებ“. დადგენილებით სამი-
ნისტროს ერთ-ერთ მთავარ ამოცანად მიჩნეულ იქნა მიწათსარგებ-
ლობის დადგენილი წესით მეთვალყურეობის განხორციელება, მიწებ-
ის აღრიცხვისა და ნიადაგის ეროზიასთან ბრძოლის გადაუდებელ ღო-
ნისძიებათა დამუშავება-განხორციელება.

სკკპ 1965 წლის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბა-
მისად გატარებულ იქნა რადიკალური ღონისძიებები მიმართული მიწ-
98

ებინ მალაღმდეგობრივად გამოსაყენებლად. გადაწყდა კონკრეტულად მათი დაფინანსებისა და ორგანიზაციის ძირითადი საკითხები. კერძოდ სკკპ ცკ-და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 1 აპრილის დადგენილებით, „კოლმეურნეობებში მიწების ძირეულ გაუმჯობესებაზე გაყეული ხარჯების სახელმწიფოს ანგარიშზე შაკუთუნების შესახებ“, ჭარბტენიანი რაიონების კოლმეურსეოებში მიწების ძირეული გაუმჯობესებისა და ბიცობი ნიადაგების მოთაბაშირებასთან დაკავშირებული სამუშაოების ყოველგვარი თანხა სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებიდან გადის.

მიწების რაციონალურად გამოყენებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სკკპ ცკ 1966 წლის მაისის პლენუმის შესაბამისად მიღებულ დადგენილებას, რომელმაც მოითხოვა არასასოფლო-სამეურნეო საჭიროებისათვის მიწების გამოყოფისათვის მტკიცე კონტროლის დაწესება. დადგენილებით განსაზღვრულია, რომ ამ მიზნებისათვის, პირველ რიგში, უნდა გამოიყოს სოფლის მეურნეობაში გამოუყენებელი მიწები. საჭიროდ ჩათვალეს აგრეთვე კახონის მიღება მიწათსარგებლობისა და წყალსარგებლობის ძირითადი საწყისების, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაცვისა და მათი გამოყენების პასუხისმგებლობის ამაღლების შესახებ. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების „მიწის კანონმდებლობის დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ“ შესაბამისად 1970 წლის 14 მაისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება „მიწის გამოყენების სახელმწიფო კონტროლის დებულების დამტკიცების შესახებ“, რომლის საფუძველზე მთლიანად შეიცვალა მიწათსარგებლობისა და მიწების აღრიცხვის დოკუმენტაციის ძირითადი ფორმები. აღნიშნული დადგენილების საფუძველზე სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სსრ კავშირის საგეგმო კომიტეტთან და სსრ კავშირის ცსს შეთანხმებით 1971 წლის 11 ოქტომბერს დაამტკიცა მიწათსარგებლობის რეგისტრაციისა და მიწების აღრიცხვის ახალი ფორმები. დადგენილებით ქვეყნის ერთიანი მიწის ფონდის გამოყენებაზე სახელმწიფო კონტროლის დაწესება დაევა ადგილობრივ სახალხო დეპუტატთა საბჭოებს მიწათმოწყობის სამსახურებთან ერთად. რესპუბლიკებისა და ადგილობრივი მიწათმოწყობის სამსახურის მუშაკები ამავე დროს სახელმწიფო ინსპექტორები არიან მიწების გამოყენებისა და დაცვის საქმეში. ამ საქმიანობაში ჩართეს აგრეთვე საზოგადოებრივი ინსპექტორების მძლავრი არმია, რომელსაც საწარმოებისა და ორგანიზაციების რეკომენდაციით ირჩევენ.

აღნიშნული დადგენილების შემდეგ შემოღებული მიწათსარგებლობის სახელმწიფო წიგნია დღესაც პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენებული. მისი წარმოება ევალება რაიონული (ან საქალაქო) აღმასრულებელი კომიტეტების მთავარ (უფროს) ინჟინერ-მიწათმომწყობებს. წიგნი შედგება 2 ნაწილისა და 5 კარისაგან. პირველი ნაწილი შეიცავს პირველ, მეორე და მესამე, ხოლო მეორე ნაწილი—მეოთხე და მეხუთე კარებს. გათვალისწინებულია 7 წლის მონაკვეთისათვის:

პირველ კარში რეგისტრირებულია რაიონის (ქალაქის) მთელი მიწათსარგებლობა, მიწათსარგებლობის საერთო ფართობებისა და მიწით სარგებლობის სახეების ჩვენებით. მიწები, რომლებიც მეორადი მიწათსარგებლობის წესითაა გადაცემული, რეგისტრაციას არ ექვემდებარება.

მეორე კარში აღირიცხება კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა, საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციების, სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, სასწავლებლების, დამხმარე და სხვა სასოფლო-სამეურნეო წარმოების, მეურნეობების, სახელმწიფო სატყეო მეურნეობების საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების, სახელმწიფო მარაგისა და ერთპიროვნული მეურნეობების სარგებლობაში მყოფი მიწები ცალკეული სავარგულის სახეების მიხედვით. ამავე კლასიფიკაციით ცალკე გამოიყოფა სარწყავი და ურწყავი მიწები.

მესამე კარში წარმოებს მრეწველობის, კურორტების, ნაკრძალებისა და სხვა არასოფლო-სამეურნეო საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის სარგებლობაში მყოფი ყველა მიწის, აგრეთვე ჰიდროტექნიკური ნაგებობისა და რაიონული დაქვემდებარების ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დასახლებების (სოფლის დასახლებული პუნქტების) მიწების აღირიცხვა.

მეოთხე კარში წარმოებს მიწების, ხარისხობრივი აღრიცხვა ნიადაგების მექანიკური შედგენილობისა და ნაყოფიერებაზე მოქმედი ბუნებრივი ნიშან-თვისებების მიხედვით (ეროზია, დაქვიანება, დამლაშება, მკაფიანობა, ჰუმუსის ნიშან-თვისებები, დაქობება და ა. შ.).

მეხუთე კარში ჩაიწერება მიწების შეფასების შედეგები. მიწათსარგებლობის სახელმწიფო რეგისტრაციის წიგნის საფუძველზე ყოველწლიურად, 1 ნოემბრის მდგომარეობით, ადგენენ ანგარიშს რაიონის (ქალაქის) მიწების ოდენობისა და განაწილების შესახებ სავარგულებისა და მიწათმოსარგებლეების მიხედვით.

მიუხედავად იმისა, რომ მიწათსარგებლობის რეგისტრაციის ფორმა და შინაარსი ზემოაღნიშნული დადგენილებით განსაზღვრულია,

მათი გაუმჯობესება და დახვეწა კვლავ გრძელდება. ამ საკითხებმა სათანადო ასახვა პოვა სკკპ შემდგომი ყრილობებისა და პლენუმების ნასალებში. სკკპ XXVI ყრილობაზე აღინიშნა რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობის გადიდების ერთ-ერთი მთავარი პირობაა მიწების ფართო მელიორაცია და მათი სასოფლო-სამეურნეო ათვისების სამუშაოთა კომპლექსური მოწყობა, ნიადაგების ნაყოფიერების შემდგომი ამაღლება, ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა დაპროექტება-განხორციელება, მეცნიერულად დასაბუთებული თესლბრუნვების ათვისება, არსებული სამელიორაციო სისტემების რეკონსტრუქცია, ნიადაგების დამლაშებისა და მომეტებული მყავიანობის ლიკვიდაციის სამუშაოების ფართო მასშტაბებით განხორციელება და ა. შ. ამ უმნიშვნელოვანესი სამუშაოების ჩატარება აუცილებლად მოითხოვს მიწათსარგებლობის რეგისტრაციის სრულყოფა-გაუმჯობესებას, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით.

ამრიგად, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სისტემებიდან და მიწებიდან გამომდინარე მიწათსარგებლობის რეგისტრაცია და მიწების აღრიცხვა ურთიერთმჭიდრო კავშირშია, ქმნის რა აღრიცხვა-ანგარიშგების მწყობრ სისტემას და არის სახელმწიფო მიწის კადასტრის აუცილებელი შემადგენელი ელემენტი.

VIII თ ა ვ ი

მიწების აღრიცხვა

§ 1. მიწების აღრიცხვის არსი და განვითარების კანონზომიერება

სახელმწიფო მიწის კადასტრის აუცილებელი შემადგენელი ელემენტი არის მიწის აღრიცხვა. იგი საზოგადოების განვითარების ადრეულ პერიოდში, ანუ მომთაბარეობის განვითარებასთან ერთად წარმოიშვა. გასაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა მას სოციალიზმის დროს, ამიტომ საბჭოთა სახელმწიფო მიწების აღრიცხვასა და შეფასებას არსებობის პირველივე დღეებიდან შეუდგა. ამასთან, სოციალისტური

წარმოების განვითარებასთან ერთად მის ფორმებს ავითარებდა, ხვეწდა და სრულყოფილს ხდიდა.

მიწის აღრიცხვის არსსა და დანიშნულებას სოციალისტური მშენებლობის ცალკეულ, ეტაპზე სახალხო მეურნეობის წინაშე მდგარი ამოცანები განსაზღვრავდა. რევოლუციის პირველ წლებში მიწების აღრიცხვის ყველა საკითხი დაკავშირებული იყო მემამულეთა და ეკლესიების მიწების კონფისკაციასთან და მისი გადაჭრა დაევალა გლეხთა სათემო მიწის კომიტეტებს. მათი მოვალეობა, აღნიშნულთან ერთად, იყო ადგილებზე სააადგილმამულო ურთიერთობათა შესახებ ყოველგვარი მონაცემის შეგროვება და ქვეყნის მასშტაბით მიწის საერთო რეფორმის განხორციელებისათვის მზადება.

1918 წლიდან მიწების აღრიცხვა დაევალა ადგილობრივი საბჭოების მიწების განყოფილებებს. მათ გვეზარდათ როგორც უფლებები, ისე შესასრულებელი სამუშაოების მოცულობა. კერძოდ, მათ დაევალა მთლიანი მიწის ფონდის აღრიცხვა, მოსახლეობის აღწერა, მიწით უზრუნველყოფის ფაქტობრივი მდგომარეობის დადგენა, მიწათსარგებლობის სამომხმარებლო-შრომითი ნორმების გამოყენებით მიწების მოსარგებლეებზე თანაბარი გადანაწილება და უმიწაწყლო გლეხებზე მისი დარიცხვა.

1919 წ. 14 თებერვალს რსტსრ აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება სოციალისტური მიწათმოწყობისა და სოციალისტურ მიწათმოქმედებაზე გადასვლის ღონისძიებათა შესახებ. შიმდგომ ეტაპზე მიწების აღრიცხვის შინაარსი და თანმიმდევრობა მჭიდროდ დაუკავშირდა მიწათმოწყობას. მიწების აღრიცხვისა და მიწათმოწყობის ურთიერთკავშირი ჩამოყალიბდა „სოციალისტური მიწათმოწყობის ზაჭიროებისათვის მიწების აღრიცხვის ინსტრუქციაში“, რომელიც რსტსრ შიწსახკომმა 1919 წლის 23 სექტემბერს დაამტკიცა „მიწათმოსარგებლეთა სახელმწიფო ჩაწერის (მიწების რეგისტრაციის) ფორმებისა და წესების ინსტრუქციასთან“ ერთად. აღნიშნული დოკუმენტები არსებითად პირველი ინსტრუქციები იყო მიწების აღრიცხვის საქმეში და ისინი საფუძვლად დაედო მიწის აღრიცხვის საბჭოურ სისტემას.

ინსტრუქციების შესაბამისად სათემო მიწის ფონდი აღრიცხებოდა მთლიანი ფართობის, გადასანაწილებელი და იმ მიწების მიხედვით, რომლებიც გადანაწილებას არ ექვემდებარებოდა. აღრიცხვა წარმოებდა არსებული კარტოგრაფიული მასალების საფუძველზე მიწის ფონდის არსებული მდგომარეობისა და გამოყენების შესაბამისად. აღრიცხვის ობიექტად იღებდნენ ერთიან მიწის ფონდს აღმინისტრაცი-

ულტერიტორიული ერთეულების საზღვრებში. ამიტომ აღრიცხვას ექვემდებარებოდა ყველა მიწა იმის მიუხედავად, თუ ვის სარგებლობაში იყო. ეს, თავის მხრივ, მიწის საერთო ფართობის, შედგენილობის, მიწათმოსარგებლეებზე გადანაწილებისა და სავარგულების სახეების მიხედვით სწორად აღრიცხვის საშუალებას იძლეოდა. ამ საკითხების ზუსტი გადაჭრა წარმოებდა საგეგმო-კარტოგრაფიული მასალების საფუძველზე. მიუხედავად იმისა, რომ არსებული საგეგმო-კარტოგრაფიული მასალები, რომელთა საფუძველზეც ტარდებოდა აღრიცხვა, ხარვეზებითა და უზუსტობებით ხასიათდებოდა, მათი გამოყენება სავალდებულო იყო სანამ ახალი აგეგმვა არ ჩატარდებოდა, ამ მასალების ვარგისიანობას ადგენდნენ ექსპერტების მეთოდით მიწების აღრიცხვას დათვლიერებისა და მასთან ზედპირული გადაღების მასალების შედარების გზით. აუცილებლობის შემთხვევაში ტარდებოდა რეკოგნოსირების, ხოლო გამონაკლისის სახით—იარაღებით აზომვების საშუალებები, გაკორექტირებული კარტოგრაფიული მასალები გვირგვინდებოდა მოსაზღვრეობის, მიწების შედგენილობისა და ადგილმდებარეობის მიხედვით. შემდგომ ეტაპზე ისინი გამოიყენებოდა მიწების აღრიცხვასა და შეფასების სწორად წარმართვისათვის.

იმთავითვე მიწების აღრიცხვა სახელმწიფო მიწის კადასტრის შემადგენელი ელემენტი იყო, რამდენადაც ის მოიცავდა მონაცემებს მიწების რაოდენობისა და ხარისხის შესახებ. აღნიშნულთან ერთად იგი ახლად ასათვისებელი მიწების გამოვლენისა და ნიადაგის ნაყოფიერების ამოღების ღონისძიებათა დასახვის საშუალებასაც იძლეოდა. ამიტომ თვლიან, რომ სოციალისტურ მიწათმოწყობას და მიწის კადასტრის წარმოებას საფუძველი ჩაეყარა 1919 წლის 18 თებერვალს გამოცემული დებულებით „სოციალისტური მიწათმოწყობისა და სოციალისტურ მიწათმოქმედებაზე გადასვლის ღონისძიებათა შესახებ“.

მიწების აღრიცხვის საბჭოთა პისტემაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს 1922 წლის 30 ოქტომბერს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის IV სესიის მიერ დამტკიცებულ რსფსრ მიწის კოდექსს. რომელმაც განსაზღვრა მიწის სავარგულების ნომენკლატურა, აგრეთვე მიწების აღრიცხვისა და მიწათსარგებლობის რეგისტრაციის ამოცანები. რსფსრ და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კოდექსებში განსაკუთრებული ყურადღება იყო გამახვილებული ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა მიწათსარგებლობაზე: ამასთან, ხაზგასმით იყო მითითებული მიწის საზოგადოებრივი დამუშავების მეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, ქალაქებისა და სხვა მიწათსარგებლობათა მოწესრიგების აუცილებლობაზე, რსფსრ მიწის კოდექსით მიწის ფონდი

სამ კატეგორიად: სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, ქალაქისა და სახელმწიფო მიწებად დაიყო. მიწების აღრიცხვა და მიწათმოწყობა ერთმანეთს შვიდროდ დაუკავშირდა, რადგან მიწების სამეურნეო მოწყობის დროს ადგენდნენ მიწათსარგებლობის საზღვრებს, მიწის ფონდის რაოდენობასა და ხარისხს. შესაბამისად ატარებდნენ მიწებისა და შენობა-ნაგებობათა აღრიცხვა-შეფასებას, ადგენდნენ სახელმწიფო მიწის ფონდის საორგანიზაციო მოწყობის პროექტებს, ანგარიშობდნენ მიწიდან მიღებულ შემოსავალს და საარენდო ღირებულების მოცულობას. კოლექსში გათვალისწინებული იყო გლეხობის კოლექტიურ მეურნეობებში გაერთიანების შემამსუბუქებელი ღონისძიებანი.

მიწების რაოდენობრივი და ხარისხობრივი აღრიცხვის გაუმჯობესებისათვის შემოიღეს სპეციალური საინვენტარო წიგნები, რომლებშიც, საერთო ცნობებთან ერთად, შევიდა მონაცემები მიწათსარგებლობაზე, რელიეფზე, ნიადაგების მელიორაციულ მდგომარეობასა და მიწის ხარისხზე. სახანავსა და სათიბ-საძოვრებში გამოიყო სამი კატეგორია: უკეთესი, საშუალო და ცუდი. ჩამოთვლილმა ღონისძიებებმა გააუმჯობესა მიწების აღრიცხვის მთელი საქმიანობა, მაგრამ, როგორც მიწათმოწყობის სამსახური, ისე მიწების შეფასების საქმე, გაუმჯობესებას მოითხოვდა. ამიტომ რსფსრ სახალხო კომისართა საბჭომ 1925 წლის 9 ოქტომბერს მიიღო დადგენილება „მიწათმოწყობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. ამ დადგენილებით მიწათმოწყობის სამსახურს დაევალა ფართოდ გაეშალა მუშაობა მიწის შეფასებისა და წინასწარი სანიმუშო კადასტრის მასალების გამოყენების საკითხებზე.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმის (1927 წ) რეზოლუციაში „სოფლად მუშაობის შესახებ“ ხაზგასმით იქნა მითითებული მიწის რაციონალიზაციის საფუძვლების დახეწის და განმტკიცების აუცილებლობის შესახებ. სასტიკი ბრძოლა გამოიყვანა მიწის ნაციონალიზაციის პრინციპების დარღვევის მცდელობებსა და ცალკეულ შემთხვევებს, რასაც იმ დროს ადგილი ჰქონდა ზოგიერთ რესპუბლიკაში.

პარტიის XV ყრილობამ, რომელიც შედგა 1927 წელს, მიიღო გადაწყვეტილება სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ყოველმხრივ გაშლისა და ამ უდიდესი მნიშვნელობის კომპანიის განხორციელების გზების შესახებ. ყრილობის შემდეგ მიიღეს მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის ზოგადი საფუძვლების დებულება.

ამ მნიშვნელოვანმა ღონისძიებამ განამტკიცა სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების კომპეტენცია ერთიანი სახელმწიფო მიწის ფონდის მართვის, მიწათმოწყობის პრინციპების და ორგანიზაციის,

კოლექტიური მიწათსარგებლობის წამახალისებელი ზომების, საბჭოთა მეურნეობებში საადგილმამულო ურთიერთობის რეგულირების, შრომითი სარგებლობისათვის მიწის იჯარით გაცემის, სოფლის მეურნეობაში დაქირავებული შრომის გამოყენებისა და მიწაზე მშრომელთა უფლებების შესახებ. მთლიანი კოლექტივიზაციის გაშლისა და მის საფუძველზე კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის შესაბამისად ზოგიერთი დებულება გაუქმდა სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახკომსაბჭოს 1930 წლის 1 თებერვლის დადგენილებით „მთლიანი კოლექტივიზაცია“ რაიონებში სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის განმტკიცებისა და კულაკობასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“.

საკოლმეურნეო მშენებლობის გამარჯვებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სსრ კავშირის ცაკ-ის და სახკომსაბჭოს 1932 წლის 3 სექტემბრის დადგენილებას „კოლმეურნეობების მყარი მიწათსარგებლობის შიქმნის შესახებ“. დადგენილებით ყოველ კოლმეურნეობას ამაგრებდნენ მიწებს, რომლებიც იმ დროისათვის არსებულ საზღვრებში იყო. აიკრძალა მიწების ყოველგვარი გადანაწილება ან საზღვრების შეცვლა. შემდგომში კოლმეურნეობების საადგილმამულო ურთიერთობის რეგულირება ხორციელდებოდა სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდებით, რომელიც მიიღო დამკვირვებელი კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო I კონკრეტული და დამტკიცებულ იქნა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1935 წლის 17 თებერვლის დადგენილებით. წესდების თანახმად მიწა ემაგრებოდა არტელს უვადო სარგებლობაში, ანუ სამუდამოდ და ყოველ არტელს რაიონმასკომი აძლევდა სახელმწიფო აქტს მიწის უვადო სარგებლობისათვის. აქტში განსაზღვრული იყო მიწის ზუსტი ფართობი და საზღვრები. წესდების შესაბამისად სასტიკად აიკრძალა ამ მიწების შემცირება, ან აქტებში რაიმე ცვლილებების შეტანა. გარდა ამისა, კოლმეურნეობებს წესდება ავალეზება მიმაგრებულ მიწებზე თესლბრუნვების შემოღებას და მიწის ნაყოფიერების ამაღლებისათვის საჭირო ღონისძიებების ჩატარებას, რაც მიწების ხარისხობრივ აღრიცხვასაც მოიცავდა.

საკოლმეურნეო მშენებლობის ფართოდ გაშლისა და სოფლის მეურნეობის სოციალისტურ რელსებზე გადაყვანის ღონისძიებებმა მკვეთრი ცვლილებები შეიტანა მიწათსარგებლობაში. ძირითადი მიწათმოსარგებლებები გახდა კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. ამასთან დაკავშირებით შეიცვალა აღრიცხვის წესი და შემოიღეს ერთიანი საკავშირო სისტემა, რაც გაითვალისწინა სსრ კავშირის მიწსახკომის 1933 წლის 17 ოქტომბრის „ინსტრუქციამ მიწების აღ-

რიცხვის შესახებ". ამ ინსტრუქციის შესაბამისად აღრიცხვის სიობრივი ფორმა შეიცვალა საბარათო სისტემით, რომელსაც დიდი უპირატესობა ჰქონდა აღრიცხვით ფორმებთან შედარებით. მიწების აღრიცხვის ბარათის გარდა ამ პერიოდში დგებოდა მიწათსარგებლობის აღფაბეტური სიები, რაიონის მიწების კარტოგრაფები და რაიონული რუკები. კოლმეურნობათა მიწათსარგებლობის მოწესრიგების ყველა ღონისძიება ტარდებოდა სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების შესაბამისად.

ყოველწლიური ცვლილებების გათვალისწინებისა და ზემდგომ ორგანოებში მიწის სააღრიცხვო დოკუმენტაციის დროულად წარდგენის მიზნით სსრ კავშირის სახკომსაბჭომ 1934 წლის 29 მაისს მიიღო დადგენილება „მიწების აჯარაჯულებისა და მიწათმოსარგებლეთა მიხედვით განაწილების ანგარიშების შესახებ“, ხოლო 1935 წლის 7 ივლისს „სასოფლო-სამეურნეო არტელებისათვის მიწის უვადო (საძუდავო) სარგებლობის სახელმწიფო აქტების მიცემის შესახებ“. ამ დადგენილებით დამტკიცებულ იქნა „ინსტრუქცია სასოფლო-სამეურნეო არტელებზე მიწის უვადო (სამუდავო) სარგებლობის სახელმწიფო აქტების შედგენისა და მიცემის წესის შესახებ“, რომლითაც დამტკიცებულ იქნა აქტების ერთიანი ფორმა კავშირის მასშტაბით. წესდებებში მითითებული იყო არტელზე მიწის უვადო სარგებლობაში მიმავრების, მისი შემცირების დაუშვებლობის, მიწის ფართობის ზუსტი საზღვრების დადგენისა და რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის მიერ აქტების გაცემის პრინციპები. თავისთავად აქტების გაცენა ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობის ღონისძიება იყო.

აღნიშნულმა დოკუმენტებმა და მათ საფუძველზე გატარებულმა ღონისძიებებმა შესამჩნევად გააუმჯობესა მიწის აღრიცხვის საქმე. ამასთან, ჯერ კიდევ იყო უხეში დარღვევები, რომელთა ძირითადი მიზეზი იყო ის, რომ საკმაოდამო მიწები არ იყო გამიჯნული საზოგადოებრივი სარგებლობის მიწებისაგან. მიწათსარგებლობაში დარღვევებმა და მიწების მიტაცების ფაქტებმა იმდენად ფართო ხასიათი მიიღო, რომ საჭირო გახდა სპეციალური საკანონმდებლო ღონისძიებების გატარება. აქედან გამომდინარე, 1939 წლის 27 მაისს სკკპ (ბ) ცკ და სსრ კავშირის სახკომსაბჭომ მიიღო ერთობლივი დადგენილება „კოლმეურნობათა საზოგადოებრივი მიწების განიჯნობისაგან დაიკის ღონისძიებათა შესახებ“. დადგენილებაში აღნიშნული იყო მიწების აღრიცხვის საქმეში არსებული ნაკლოვანებები და მისი აღმოფხვრის უდიდესი პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა. ამ დოკუმენტის საფუძველზე შემოიღეს კოლმეურნობებში მიწების ზონარაყოფილი წიგნი და რაიონებში მიწების რეგისტრაციის სახელმწიფო წიგ-

ნი. ამ დოკუმენტებში აღრიცხვის ძირითად ელემენტებად ცალკე გამოიყო: 1) ყოველი კოლმეურნეობის ერთიანი მიწის მასივი განსაზღვრული მიწის სამუშაო სარგებლობის სახელმწიფო აქტით; 2) კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მიწები (ცალკე); 3) კოლმეურნე წევრთა საკარმიდამო მიწები; 4) მიწები, რომლებზეც არაკოლმეურთა და ერთპიროვნულ მეურნეობათა სარგებლობაში იყო.

ომის დროს გერმანელთა ჯარების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიწების აღრიცხვის მთელი დოკუმენტაცია განადგურდა და აუცილებელი გახდა მისი ხელახალი შედგენა. ამასთან დიდი სამამულო ომის პერიოდში მიწათსარგებლობის წესებიც ხშირად ირღვეოდა. ამიტომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1946 წლის 19 სექტემბერს მიიღეს დადგენილება, რომლის შესაბამისად კოლმეურნეობების მიწის მასივები შეამოწმეს ნატურაში, ხოლო საზოგადოებრივი მიწის ფართობები და საკარმიდამო ნაკვეთების ზომები შეადარეს მიწების ზონარგაყრილი წიგნის ჩანაწერებს. კოლმეურნეობებიდან დატაკებული მიწები ჩამოერთვათ უკანონო მფლობელებს და დაუბრუნდა კანონიერ მფლობელს.

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ და საკავშირო კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1943 წელს მიიღეს დადგენილება „გერმანელთა ოკუპაციისაგან განთავისუფლებულ რაიონებში მეურნეობათა აღოგენის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“. ამ დადგენილების საფუძველზე დიდი მუშაობა იქნა გაწეული დროებით ოკუპირებულ საბჭოთა ტერიტორიაზე ოკუპაციის შედეგების ლიკვიდაციისათვის. საქმარისია ითქვას, რომ მიწათსარგებლობის დოკუმენტაცია განადგურებული იყო 84300 კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში. დადგენილების საფუძველზე ყოველგვარი დოკუმენტაცია უმოკლეს პერიოდში აღადგინეს.

ომის შემდგომ წლებში სკკ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ დაამტკიცა რიგი დოკუმენტი, რომლებიც მიმართული იყო მიწათსარგებლობისა და მიწების აღრიცხვის მოსაწესრიგებლად. კერძოდ, სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1945 წლის 2 ივნისის დადგენილებით „კოლმეურნეობებში თესლბრუნვების შემოღებისა და ათვისების საქმის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ განისაზღვრა სწორი თესლბრუნვის შემოღების აუცილებლობა. ამ ღონისძიებას უნდა უზრუნველყო მიწების სწორად გამოყენება და ნიადაგის

ნაყოფიერების ამალღება, საზოგადოებრივი მიწების საკარმიდამო ნაკვეთებისაგან მტკიცედ გამოიჭვნა ყოველგვარი დარღვევების თავიდან აცილების მიზნით, მრავალწლიანი ნარგავების ფართობების შემდგომი თანდათანობითი გაფართოება სახნავების შეუმცირებლად და მინდორსაცავი ტყის ზოლების სწორად განლაგება.

1946 წ. 18 მარტის კანონით „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946—1950 წწ ხუთწლიანი გეგმის შესახებ“ გათვალისწინებული იყო ველიანი და ტყეველიანი რაიონების სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში მინდორსაცავი ტყის ნარგავების აღდგენა-გაფართოება, ამ მიზნით სწრაფმზარდი და ნაყოფმომცემი ჯიშების გაშენება და სხვა საკითხები. ამ ღონისძიებების უდიდეს მნიშვნელობას კიდევ ერთხელ გავსვა ხაზი სკკპ (ბ) და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 20 ოქტომბრის დადგენილებით „სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ველიან და ტყეველიან რაიონებში მაღალი და მყარი მოსავლის უზრუნველსაყოფად მინდორსაცავი ტყის ზოლების, ბალახმინდვრიანი თესლბრუნვების დანერგვის, ტბორებისა და წყალსატევების მშენებლობის შესახებ“. იგი ითვალისწინებდა სახელმწიფო მიწის დასაცავად ტყის ზოლების შექმნას, სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მინდვრებზე დაცვითი მნიშვნელობის ტყის ნარგავების გაშენება-განვითარებას, მეწყერსაშიში ადგილების გამაგრებასა და გატყევებას, მორწყვას, ტბორებისა და წყალსატევების მშენებლობას და რიგ სხვა მნიშვნელოვან ღონისძიებას.

ომით მიყენებული ზარალის ლიკვიდაციისა და ხალხის მოთხოვნის შესაბამისად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით დაკმაყოფილების ერთ-ერთ ძირითად ღონისძიებად იმ პერიოდში მიიჩნეეს მიწების მელიორაციის გაფართოების, მათი ცალკე აღრიცხვისა და რაციონალურად გამოყენების აუცილებლობა. ამ მიზნით 1945 წელს მიიღეს დადგენილება სარწყავი მიწების აღრიცხვის შესახებ, რომლის დროსაც ცალ-ცალკე გამოიყოფოდა გამოყენებული და გამოუყენებელი მიწები. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 17 აგვისტოს დადგენილებას „სარწყავი მიწების უფრო სრულად გამოყენებისა და სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სამუშაოთა გაუმჯობესების მიზნით რწყვის ახალ სისტემაზე გადასვლის შესახებ“. ამ დადგენილებით განსაზღვრული იყო რწყვის რაციონალური სისტემები, რამდენადაც აქამდე არსებული რწყვის სისტემებს ჰქონდა მუდმივი სარწყავი არხების ხშირი ქსელი, რაც ხელს უშლიდა მექანიზაციის ეფექტიანად გამოყენებას. ამიტომ საჭიროდ მიიჩნეეს

მუდმივი სარწყავი არხების ქსელის გაუქმების ხარჯზე სარწყავი ნაკვეთების ფართობებს-ს გადიდება. ამას მიაღწიეს იბრა. რომ მუდმივი ქსელი შეიცავალა დროებითი არხებით, რომლებიც გაყავდათ მხოლოდ რწყვის პერიოდში, ხოლო მომავალი წლისათვის მათ ხნავენენ.

გარდა ამისა, ომის შემდგომ წლებში მარცვლეულის წარმოებისა და დამზადების, აგრეთვე მოსახლეობის პურით უზრუნველყოფის საქმეში დაღრვევები იყო, რამაც აუცილებელი გახადა ყამირი და ნასენი მიწების ათვისება.

ამდენად, მარცვლეულის წარმოების გაუმჯობესების ახალ. დამატებით წყაროდ იქცა ყამირი და ნასენი მიწების ათვისება რაც გათვალისწინებული იყო სკკბ ცკ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 2 მარტის „ჩვენს ქვეყანაში მარცვლეულის წარმოების შემდგომი გადიდების და ყამირი და ნასენი მიწების ათვისების შესახებ“ და 1954 წლის 13 აგვისტოს „მარცვლეულის წარმოების ზრდისათვის ყამირი და ნასენი მიწების შემდგომი ათვისების შესახებ“ დადგენილებებით. ცნობილია, რომ ეს კამპანია ფართოდ გაიშალა 1954 წლიდან, რამაც საჭირო გახადა შესაბამისი სამუშაოების ჩატარება მიწების დეტალურად გამოკვლევისა და აღრიცხვის ხაზით. ამასთან, მელორიზებული მიწების ფართობების ზრდისა და ამ კატეგორიის მაღალპროდუქტიულობის გამო მიიღეს გადაწყვეტილება ამ მიწების ცალკე აღრიცხვის შესახებ, რაც ფართოდ დაინერგა 1954 წლიდან.

სოფლის მეურნეობის შემდგომი სწრაფი განვითარების ინტერესები მოითხოვდა ქვეყნის მთლიანი მიწის ფონდის აღრიცხვის ერთიან სისტემას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1954 წლის 31 დეკემბერს მიიღო დადგენილება „სსრ კავშირის მიწის ფონდის ერთიანი სახელმწიფო აღრიცხვის შესახებ“.

მიწების აღრიცხვის მოწესრიგებისა და მათი სწორად გამოყენების კონტროლის მიზნით 1955 წლიდან შემოიღეს მიწების რაოდენობისა და განაწილების სავალდებულო სახელმწიფო აღრიცხვა სავარგულებისა და მიწათმოსარგებლების- მიხედვით. ამის შესაბამისად დაიწყო ყველა მიწათმოსარგებლობის სახელმწიფო აღრიცხვა ერთიანი საკავშირო სისტემით.

სკკბ XXII ყრილობამ (1961 წ.) მიიღო სკკბ ახალი პროგრამა: რომელშიც გათვალისწინებული იყო ბუნებრივი რესურსების ყოველმხრივი და რაციონალური გამოყენების, მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაში მეცნიერულად დასაბუთებული ღონისძიებების დანერგვა, რასაც უნდა უზრუნველყო მიწების ეფექტიანად გამოყენებაც.

აძლევდა რა განსაკუთრებულ მნიშვნელობას მიწების სრულ და რაციონალურ გამოყენებას, სსრ კავშირის მინისტტრა საბჭომ 1962 წ. 12 ივლისს მიიღო დადგენილება „მიწების სახელმწიფო აღრიცხვისა და სოფლის მეურნეობის წარმოებაში მათი გამოყენების გაუმჯობესების შესახებ“. ეს დადგენილება ითვალისწინებდა მიწათსარგებლობის რეგისტრაციის სახელმწიფო წიგნსა და მიწების ზონარგაყრილ წიგნში მიწების აღრიცხვას სწავლობსარგებლებებისა და მიწის ყველა სავარგულის სახეების მიხედვით მათ ხარისხობრივ დახასიათებასთან ერთად. აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ დაამტკიცა მიწების ზონარგაყრილი წიგნისა და მიწათსარგებლობის სახელმწიფო რეგისტრაციის სახელმწიფო წიგნის ახალი ფორმები, რომლებშიც შეტანილი იყო სპეციალური თავი ნიადაგების აგროსაწარმოო დაჯგუფებისა და ხარისხობრივი აღრიცხვისათვის. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ხარისხობრივ დახასიათებაში ნიადაგების აგროსაწარმოო ჯგუფები გამოიყო მექანიკური შედგენილობის (მძიმე თიხნარი, თიხნარი, ქვიშნარი, ქვიშიანი), ეროზიის დამლაშების, ბიცობიანობის, ქვიანობის; მკვავიანობის, დაქაობების, ტენიანობისა და გრუნტის წყლის დგომის სიღრმის მიხედვით. ამ ნიშან-თვისებების შერჩევას საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ სწორედ ისინი განსაზღვრავს ნიადაგის ნაყოფიერებას.

ნიადაგების აგროსაწარმოო დაჯგუფება აგრონომიული ინტეგრაციის და ნიადაგების მსხვილმასშტაბიანი გამოკვლევის განზოგადოების ძირითადი ფორმაა. მან უნდა გამოავლინოს ცალკეული ნიადაგის გამოყენების შესაძლებლობა ამა თუ იმ სავარგულად და თესლბრუნვის სისტემაში. აღნიშნულის გარდა ნიადაგების დაჯგუფება პრაქტიკის მუშაკებს აგროტექნიკის დიფერენცირების, სასუქების გამოყენებისა და მელიორაციის ღონისძიებების გატარების შესაძლებლობასაც აძლევს.

§ 2. მიწების აღრიცხვის მიზნობრივი დანიშნულება.

სახეები, მეთოდები, არსებული სისტემა და სავარგულთა კლასიფიკაცია

მიწის ფონდის აღრიცხვა სახელმწიფო ღონისძიებაა, რომლის ამოცანა მიწების რაციონალურად გამოყენების, მისი დაცვისა და ნაყოფიერების ამაღლების საკითხებთან ერთად, არის მიწების დახასიათება დადგენილი კლასიფიკაციის მიხედვით. აღნიშნული ამოცანე-

ბის ოპტიმალურად გადაჭრის მიზნით აღრიცხვა ტარდება, ადმინისტრაცია ულ-ტერორტოოიული ერთეულებს მიხედვით. მიწების ფაქტობრივი მდგომარეობის შესაბამისად, რაც საგეგმო-კარტოგრაფიული მასალების საფუძველზე ხორციელდება. აღრიცხვის დროს ითვალისწინებენ მიწის გამოყენების ხასიათსა და სფეროს. მაგალითად, ხარისხობრივი აღრიცხვა, ძირითადად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს ეხება. ამ დროს მიწებს ახასიათებენ ნიადაგური საფარის, ნიადაგების საკვები ერთეულებით უზრუნველყოფის, ბალახთდგომის, მელიორაციული მდგომარეობისა და სხვა ბუნებრივი თვისებების გათვალისწინებით. დეტალურ ხარისხობრივ აღრიცხვას ექვემდებარება სახნავი, ნასვენი, მრავალწლიანი ნარგავები, სათიბი და საძოვარი, რამდენადაც შესაძლებელია ეს საფარველ-ბაა წარმოების ძირითადი საშუალება, ნიადაგებს ახასიათებენ ცალკეული სახესხვაობების მიხედვით, რაც ითვალისწინებს მექანიკური შედგენილობის, ფიზიკური და ქიმიური თვისებების, ჰუმუსოვანი ფენის სისქის, შთანთქმული ფუძეების მარაგისა და სხვა ბუნებრივი თვისებების დეტალურ აღრიცხვას, თუნადაგური საფარი ძალიან ჭრტილია ბუნებრივი თვისებებით, მსგავსი ნიადაგების სახესხვაობები ერთიანდება აგროსაწარმოო, ანუ საშემფარებლო ჯგუფებად. ეს უკანასკნელი მიწების აღრიცხვისა და შეფასების ძირითადი ერთეულებია და მათ მიხედვით ადგენენ ყოველგვარ დოკუმენტს.

როდესობრივი და ხარისხობრივი აღრიცხვის გარდა არჩევენ პირველად და მიმდინარე აღრიცხვის სახეებს. როგორც წესი, ისინი ურთიერთმჭიდროკავშირშია და ერთმანეთს ავსებს.

ძირითადი, ანუ პირველადი აღრიცხვის ამოცანაა საგეგმო-კარტოგრაფიული მასალების სისტემატიზაცია და ანალიზი, მიწების აღრიცხვის ამოსავალი მასალების დაზუსტების საველე სამუშაოების ჩატარება, ნიადაგების ხარისხის, მიწების შედგენილობის განაწილებისა და გამოყენების ანალიზი და აღრიცხვა მიწების კატეგორიების, ადმინისტრაციული ერთეულებისა და მიწათმოსარგებლებების მიხედვით. პირველადი აღრიცხვის დროს არსებითად ცალკეულ საწარმოთა მიწის ფონდს პირველად აზუსტებენ, რაც დაკავშირებულია მიწების აღრიცხვის ისეთი პირველადი დოკუმენტების შექმნასთან, როგორცაა მიწათმოსარგებლობის გეგმა (რუკა) და ფართობების გამოანგარიშების უწყისი. ეს დოკუმენტები აღრიცხვის პროცესში იქმნება და უშუალოდ ასახავს აღრიცხვის ოპერაციას. მათი შესრულების ხარისხზეა, ძირითადად, დამოკიდებული მიწების სწორი აღრიცხვისა და შედგენილი დოკუმენტების საერთო მდგომარეობა და სიზუსტე. ამ მასალების

მთლიანად გამოყენების საფუძველზე ავსებენ კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მიწების აღრიცხვის ძირითად დოკუმენტს—მიწების აღრიცხვის ზონარგაყრილ წიგნს მიწის სავარგულების კლასიფიკაციის დამტკიცებული ფორმით.

თითოეულ კოლმეურნეობას, საბჭოთა მეურნეობასა და სხვა საწარმოში, რომლებსაც მიწა მიზნობრივი დანიშნულებისათვის, გამოეყოფა, სამეურნეო საქმიანობის შედეგად თითქმის ყოველწლიურად იცვლება სავარგულების სტრუქტურა და ნაწილობრივ ხარისხობრივი მხარეც, რაც მიმდინარე აღრიცხვის საშუალებით აისახება შესაბამის დოკუმენტებში, როგორც წესი, დებულების მიხედვით მიმდინარე აღრიცხვა საკორექტურო სამუშაოების საფუძველზე ხორციელდება.

გეოდეზიის, აეროფოტოგეოდეზიის, კოსმოსური გადაღებებისა და სასოფლო-სამეურნეო კარტოგრაფიის განვითარებამ განსაკუთრებული როლი შეასრულა მიწების ძირითადი და მიმდინარე აღრიცხვის გაუმჯობესებასა და დოკუმენტაციის სრულყოფაში. იმის გამო, რომ მიწების სახელმწიფო აღრიცხვა წარმოებს მიწის ფონდის ფაქტობრივი მდგომარეობის მიხედვით, მისი საფუძველია მალახარისხოვანი საგეგმო-კარტოგრაფიული მასალები. რამდენადაც მიმდინარე აღრიცხვა გულისხმობს სააღრიცხვო დოკუმენტაციის კორექტურას, ეს უკანასკნელი უნდა შესრულდეს საგეგმო-კარტოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით და შესაბამისი ჩანაწერები მიწის ფონდების შესახებ შედგენილ ყოველგვარ დოკუმენტაციაში უნდა განხორციელდეს საგეგმო-კარტოგრაფიული მასალების ფართოდ გამოყენებით. ხშირად კი მათი სრულყოფილად გამოყენება შეუძლებელი ხდება, რაც ძირითადად, ორი მიზეზითაა განპირობებული: ერთი მხრივ, ხშირია ცვლილებები მიწათსარგებლობაში (მათი გაყოფა, შეერთება, ნაწილი მიწების სხვა მიწათმოსარგებლებზე გადაცემა და ა. შ.), რაც იწვევს საგეგმო-კარტოგრაფიული მასალების მოძველებას. მეორეს მხრივ, რაიონების აგროსამრეწველო გაერთიანებათა მიწათმომწყოები ვერ ახორციელებენ საგეგმო-კარტოგრაფიული მასალების კორექტირებას, რაც იწვევს ამ მასალების გაუარესებას და ისინი წარმოებაში გამოსაყენებლად ფაქტობრივად უვარგისია, თავის მხრივ, მიწების აღრიცხვაში საგეგმო-კარტოგრაფიული მასალების უგულვებელყოფა ამცირებს მიღებული მონაცემების სიზუსტეს, რის გამო აღრიცხვის ოფიციალურ მონაცემებსა და მის ფაქტობრივ მდგომარეობას შორის წარმოიშობა ხოლმე შეუსაბამობა.

აქედან, მიწების მიმდინარე აღრიცხვის სრულყოფისათვის პირველ რიგში საჭიროა დაზუსტებული საგეგმო-კარტოგრაფიული მასა-

ლების გამოყენება, რაც სინამდვილის ზუსტად ასახვის საშუალებას იძლევა. იმ შემთხვევაში თუ რომელიმე საეარგულის ფაქტობრივი მდგომარეობა, არ შეესაბამება მის გამოსახულებას საგეგმო-კარტოგრაფიულ მასალებზე, საჭიროა შესწორება. ასეთი წესით უნდა დაზუსტდეს თითოეული საეარგული და გაკეთდეს სათანადო ჩანაწერი მიწების ზონარგაყრილ წიგნში, რომელიც კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მიწების აღრიცხვის ძირითადი დოკუმენტია.

მიწების ზონარგაყრილი წიგნი შედგება სამი კარისაგან:

პირველ კარში აღირიცხება უვადო და დროებითი სარგებლობის მიწის ფართობები და აღინიშნება საფუძველი მათი სარგებლობის უფლებაზე;

მეორე კარში აღირიცხება ყველა მიწა საეარგულების სახეების მიხედვით და ცალკე სარწყავი და დაშრობილი;

მესამე კარში აღირიცხება კოლწევრების, მუშების, მოსამსახურეების და სხვა მოქალაქეთა პირადი სარგებლობის საკარმიდამო მიწები.

რაიონის მასშტაბით მიწების აღრიცხვის ძირითადი დოკუმენტი მიწათსარგებლობის რეგისტრაციის სახელმწიფო წიგნია, ამ წიგნის ახალი ფორმა შემოიღეს 1962 წელს და იგი შედგება ორი ნაწილისა და ხუთი კარისაგან. პირველ ნაწილში შედის პირველი, მეორე და მესამე კარები, ხოლო მეორეში მეოთხე და მეხუთე კარები.

პირველ კარში რეგისტრირებულია რაიონის (ქალაქის) ყველა მიწათსარგებლობა საერთო ფართობისა და სარგებლობის სახეების ჩვენებით, მიწები, რომლებიც გადაცემულია მეორადი მიწათსარგებლობის წესით, რეგისტრაციას არ ექვემდებარება.

მეორე კარში აღირიცხება ყველა მიწა საეარგულების სახეების მიხედვით, აგრეთვე სარწყავი და დაშრობილი, რაც კოლმეურნეობების, საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციების, საბჭოთა მეურნეობების, სასფლო-სამეურნეო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და სასწავლებლების, დამხმარე და სხვა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მეურნეობების, სახელმწიფო სატყეო მეურნეობების საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების, სახელმწიფო მარაგის ერთპიროვნულ მეურნეობათა სარგებლობაშია.

მესამე კარში აღირიცხება ყველა მიწა, აგრეთვე სარწყავი და დაშრობილი, რაც მრეწველობის, ტრანსპორტის, კურორტების და დანარჩენ არასასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციების სარგებლობაშია და სხვა კატეგორიაში არ აღირიცხება.

მეოთხე კარი მოიცავს მიწების ხარისხობრივ აღრიცხვას ნიადაგის, ნ. ნ. კინკრაული

გების აგროსაწარმოო დაჯგუფებებით მექანიკური შედგენილობისა და იმ ნიშან-თვისებების მიხედვით, რომლებიც ნიადაგის ნაყოფიერებას ამცირებს.

სავარგულებს ახასიათებენ სახესხვაობების მიხედვით მათი ბუნებრივი ნიშან-თვისებებით;

ა) მექანიკური შედგენილობით (თხნარი და მძიმე თხნარი, ქუთუნარი, ქვიშიანი);

ბ) ეროზიის, ტენიანობის და დამლაშების ხარისხის მიხედვით.

გ) ნიადაგების უზრუნველყოფით საკვები ნივთიერებებით ცალკეული სავარგულისათვის: ნაჩვენებია იმ სავარგულების ფართობები, რომლებიც საჭიროებს სპეციალური ღონისძიებების გატარებას და ა. შ.

მეხუთე კარში მოცემულია მიწების შეფასების მაჩვენებლები.

მიწათსარგებლობის სახელმწიფო წიგნს აწარმოებს რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის აგროსამრეწველო გაერთიანების უფროსი (მთავარი) ინჟინერ მიწათმომწობი. მასში თავმოყრილია აღმინასტრაციული რაიონის მასშტაბით ყველა მონაცემი მიწათსარგებლობა-სა და სავარგულებისათვის. წიგნის საფუძველზე რაიონის მიწის კატეგორიებისა და სავარგულების შესაბამისად ადგენენ რაიონის ჭუმლს, ანგარიშს ფორმა № 22-ის სახით. მას ცალკე აესებენ სარწყავი და დაშრობილი მიწებისათვის (ფორმა № 22 ა და ფორმა № 22 ბ). ამასთან, ცალკე ადგენენ სპეციალური ფორმის ცნობას წლის განმავლობაში მიწათსარგებლობასა და სავარგულთა სახეებში მომხდარი ცვლილებების შესახებ.

პერიოდულად, საჭიროების მიხედვით, ცალკეული მოსარგებლის ან უფრო მსხვილი ერთეულებისათვის ტარდება სარწყავქსელიანი და დამშრობქსელიანი მიწების ინვენტარიზაცია, მრავალწლიანი ნარგავების პასპორტიზაცია და ა. შ. ეს ღონისძიებები განსაკუთრებით აუცილებელია მ-წების სამემფლასებლო დოკუმენტაციის შექმნისა და პრაქტიკულ საქმიანობაში მიღებული შედეგების გამოყენებისათვის.

ზემოაღნიშნულმა ღონისძიებებმა მიწების როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი აღრიცხვა უფრო შინაარსიანი გახადა, დახვეწა დოკუმენტაცია, მაგრამ ისინი მაინც მთლიანად ვერ აკმაყოფილებს მათზე წაყენებულ მოთხოვნებს. რამდენადაც მიწების რაოდენობის, მისი განლაგებისა და სამართლებრივ მდგომარეობასთან ერთად საჭიროა მიწების უფრო ზუსტი ხარისხობრივი დახასიათება-შეფასებაც.

მიწის ფონდის ხარისხობრივი აღრიცხვა წარმოებს ნიადაგური საფარის, საკვები ნივთიერებებით უზრუნველყოფის, მელიორაციული მდგომარეობისა და სხვა თვისებებით. მიწების ხარისხობრივი მდგომარეობის შესასწავლად ატარებენ ნიადაგების მსხვილმასშტაბიან, აგროქიმიურ, აგროსაწარმოო, გეობოტანიკურ და მელიორაციული კვლევის სამუშაოებს. მათ საფუძველზე აღგენენ ნიადაგების სახესხვაობებსა და მათ მექანიკურ, ფიზიკურ-ქიმიურ თვისებებს, საზღვრავენ ჰუმუსიან ჰორიზონტებსა და მარაგს, აგრეთვე შთანთქმულ ფუძეებსა და სხვა თვისებებს.

მიწების ხარისხობრივი აღრიცხვის როლის ამაღლებისა და გაუმჯობესებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სსრ კავშირის მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის (1968 წ.) მიერ დამტკიცებულ „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლებს“. ამ უკანასკნელმა დააკონკრეტა მიწის ბუნებრივი, სამეურნეო და სამართლებრივი მდგომარეობის შესწავლის საკითხები და განსაზღვრა მათი აშახველი ახალი დოკუმენტების შექმნის აუცილებლობა. კერძოდ სახალხო მეურნეობაში მიზნობრივი დანიშნულებისა და გამოყენების მიხედვით ერთიანი სახელმწიფო მიწის ფონდი დაიყო ექვს კატეგორიად:

1. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები, რომლებიც სარგებლობისათვის გადაცემული აქვს კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა მიწათმოსარგებლებს;
2. დასახლებული პუნქტების (ქალაქების, ქალაქის ტიპის დაბებისა და სასოფლო, დასახლებული პუნქტების), მიწები;
3. მრეწველობის, ტრანსპორტის, კურორტების, ნაკრძალებისა და სხვა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები;
4. სახელმწიფო სატყეო ფონდის მიწები;
5. სახელმწიფო წყლის ფონდის მიწები;
6. სახელმწიფო მარაგის მიწები.

ყოველი საწარმოს, მიწათმოსარგებლის და რაიონის მიწის ფონდის აღრიცხვა-რეგისტრაცია წარმოებს აღნიშნული კატეგორიების მიხედვით და შემდეგ ჯამდება რესპუბლიკისა და კავშირის მასშტაბით. რაიონების მასშტაბით მიწების აღრიცხვა განპირობებულია მისი აღმინისტრაციულ-ტერიტორიული მთლიანობით, სადაც თავმოყრილია რაიონის სამეურნეო და პოლიტიკური ხელმძღვანელობა, რომლის მასშტაბით ხორციელდება სახელმწიფო და სამეურნეო საქმიანობის თითქმის ყველა მხარე. ამასთან; მიწების სახელმწიფო აღრიცხვა და

მიწათსარგებლობის რეგისტრაცია მტკიცედ არის დაკავშირებული რაიონის მანპტაბით განსახორციელებელ ღონისძიებებთან და მისი საქმიანობის ინტერესებთან.

მიწების აღრიცხვის ობიექტად მიღებულია ერთიანი სახელმწიფო მიწის ფონდი, ხოლო ძირითად სააღრიცხვო სარეგისტრაციო ერთეულად—მიწათსარგებლობა. მიწათსარგებლობა არის ტერიტორია, რომელიც სახელმწიფოს მიერ მტკიცედ დადგენილი მიწებისათვის აქვს გადაცემული მიწათმოსარგებლეებს. ზუსტად არის განსაზღვრული მისი ფართობი, ადგილმდებარეობა და საზღვრები.

ჩვენს ქვეყანაში ძირითადი მიწათმოსარგებლეებია კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სხვა სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო საწარმოები, მეურნეობათა შორისა გერთიანებები, სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლები და სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაცია-დაწესებულებები; სსრ კავშირის მოქალაქეები, სამრეწველო, სატრანსპორტო, სხვა არასასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო კოოპერაციულ-საზოგადოებრივი საწარმოები, სხვა ორგანიზაციები და დაწესებულებები.

ერთიანი მიწის ფონდის აღრიცხვა იწყება მიწათმოსარგებლეებიდან, სადაც აღრიცხვის ძირითადი ელემენტი სავარგულია. სავარგულია ტერიტორიის ნაწილი, რომელიც სისტემატურად გამოიყენება განსაზღვრული სამეურნეო მიწებისათვის და ახასიათებს გარკვეული ბუნებრივ-ისტორიული თვისებები.

აღრიცხვის არსებული კლასიფიკაციის მიხედვით მიწის ფონდი იყოფა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სავარგულებად: სახნავი, მრავალწლიანი ნარგავები (ბალი, ვენახი, ჩაი, ციტრუსი და ა. შ.) ნასეკნი სათიბი და საძოვარი; დანარჩენი მიწის სავარგულები: ტყე, ბუჩქნარი, ვხა, მდინარე, ტბა და ა. შ. სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან გამოყოფილი საკარმიდამო მიწები და მუშა-მოსამსახურეთა კოლექტიური მებაღეობის მიწები. გარდა ამისა, ცალკე აღრიცხება ისეთი სავარგულები, როგორცაა მელიორაციისა და ნაყოფიერების ამაღლების სტადიაში მყოფი, ტყით, ბუჩქნარით, წყლებით, ჭაობებით; გზებით, შენობა-ნაგებობებით დაკავებული, სოფლის მეურნეობაში გამოუყენებელი სხვა მიწები.

სახნავი არის მიწა, რომელსაც სისტემატურად ამუშავენ და დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესებით. თავის მხრივ, სახნავი იყოფა: სუფთა, დაქვიანებულ და გაკულტურებულ საძოვრებად გამოყენებულად.

ნასეკნი მიეკუთვნება მიწები, რომლებიც ადრე სახნავად გამოიყენ-

ნებოდა, მაგრამ უკანასკნელი ერთი წლის (ან მეტი დროის) განმავლობაში არ არის გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების სათესად და ანეულის ქვეშ. ნასვენში გამოყოფენ სუფთა, ეროზიულ, ქვიან, ბუჩქნარ და დაჭაობებულს.

მრავალწლიან ნარგავებს მიეკუთვნება მიწები, რომლებიც დაკარგებულია ხელოვნურად გაშენებული მერქნიანი და ბუჩქოვანი კულტურული მცენარეებით. ამ მცენარეებიდან მიიღება ხილ-კენკროვნების მოსავალი, აგრეთვე გემო-კვებისა და ფარმაცევტული მრეწველობისათვის საჭირო ნედლეული. მრავალწლიან ნარგავებში შედის: ვენახი, ჩაი, ხეხილი, ციტრუსები, ტუნგი; დაფნა; თუთა და ა. შ.

სათიბი ეწოდება მიწას, რომელიც დაფარულია ბალახეული მცენარეებით და სისტემატურად გამოიყენება სათიბად. სათიბები, თავის მხრივ, იყოფა: მშრალ, დატბორილ და დაჭაობებულად. გარდა ამისა, მდგომარეობის მიხედვით არჩევენ: კულტურულ ძირეულად გაუმჯობესებულ, სუფთა; გაკობობებულ, გაბუჩქნარებულ, გატყეებულ; სარეველებით და შხამიანი მცენარეებით დანაგვიანებულ სათიბებს.

კულტურული ეწოდება სათიბებს, რომლებზედაც ჩატარებულია ძირეული და ზედაპირული გაუმჯობესების ღონ-სიძებანი, რათესილია ბალახები, გაუმჯობესებულია ზედაპირული საფარი, რეგულარულად შეაქვთ სასუქი და ატარებენ მოვლით სამუშაოებს.

ძირეულად გაუმჯობესებულში შედის ის სათიბები, რომლებზედაც კომპლექსური ღონისძიებების ჩატარებით შეცვლილია ბალახთდგომის პირობები და პერიოდულად ეს ღონისძიებები მეორდება.

გარდა აღნიშნულისა, ცალკე გამოიყოფა გაკობობებული, ბუჩქნარი და გატყეებული სათიბები, მათი გარკვეული ნაწილი (10-დან 20 %-მდე) შეიძლება დაფარული იყოს კობობებით, ხოლო (10-დან 70 %-მდე) ბუჩქნარებით, სათიბებს, რომელთა 10 % დაფარულია ცხოველების საკვებად უვარგისი ბალახებით, დასარეველიანებული, ხოლო სადაც 3 %-ზე მეტი დაფარულია მავნე მცენარეებით, შხამიანი ბალახებით დანაგვიანებული ეწოდება.

საძოვრებს მიეკუთვნება მიწები, რომლებიც დაფარულია პირუტყვის საკვებად ვარგისი მცენარეული საფარით და სისტემატურად გამოიყენება ამ დანიშნულებით. საძოვარი არ გამოიყენება სათიბად და ნასვენად. თავის მხრივ, საძოვრის შიგნით გამოიყოფა: კულტურული, გაუმჯობესებული, გაკობობებული, ბუჩქნარი, ვატყეებული, მთის; გაწყლიერებული.

კულტურულ საძოვრებზე გატარებულია ზედაპირული და ძირეული გაუმჯობესების ღონისძიებანი, შექმნილია კარგი ბალახის საფარი, რეგულარულად შეაქვთ სასუქი და ატარებენ სხვა ღონისძიებებს. გა-

უმჯობესებულ საძოვრებს მიეკუთვნება ქვევის, ბუნქნარების, ტყისა და კოლბოხებისაგან გაწმენდილი, ამავე დროს ბალახგამოთესილი ან ასლად საფარშქმნილი ფარაობები.

გარდა აღნიშნულისა ცალკე გამოიყოფა: მთის გადასარევი და გასარწყავებული საძოვრები.

საძოვრები იყოფა აგრეთვე გამოყენების სერიოზულობის მიხედვით: კერძოდ, გამოყოფენ: საზაფხულო, საგაზაფხულო-საშემოდგომო, საზამთრო და მთელი წლის განმავლობაში გამოყენებულს.

მიწის საკადასტრო დოკუმენტაციაში აუცილებელია მოკვლეული იყოს როგორც ნიადაგების, ისე მიწების კლასიფიკაცია. ნიადაგების კლასიფიკაცია წარმოებს მათი წარმოქმნა-შედგენილობის პრინციპით და ქვიცნის მასშტაბით გადაადგილების დროს დატულია გარკვეული კანონზომიერება. მიწის ფონდის კლასიფიკაციაში იგულისხმება ცალკეული ნაკვეთის გენტიკური თვისებებზე. გარდა აღნიშნულისა, გათვალისწინება მიწის, როგორც წარმოების ძირითადი საშუალების გამოყენების, დაცვისა და გაკულტურების ღონისძიებანი.

მიწების კლასიფიკაციის საწარმო-ტექნონომიურ ერთეულებად დღეისათვის მიღებულია: მიწების ტიპები ზონალობისა და დანიშნულების მიხედვით, აგრეთვე მიწების კლასები, ქვეკლასები და სახეები.

ქვეყნის ბუნებრივი სასოფლო-სამეურნეო დარაიონების შესაბამისად მიწების ზონალური ტიპები შეესატყვისება ბუნებრივ დარაიონებას და ასახავს როგორც ბუნებრივი გარემოს, ისე მიწის უპირატესად გამოყენების ძირითად მიმართულებებს. თავის მხრივ, ცალკეულ ზონალურ ტიპში გამოყოფილია მიწების კატეგორიები. კლასები და ქვეკლასები. სსრ კავშირში გამოყოფილია მიწის 15 ზონალური ტიპი, 7 კატეგორია, 20 კლასი, 49 ქვეკლასი და 350 სახე. ანუ ნიადაგის ტიპი.

მიწის კატეგორია ეწოდება ტერიტორიის ნაწილს, რომელიც ბუნებრივი ფაქტორების მიხედვით განსაზღვრული სახის სავარგულად შეიძლება იქნეს გამოყენებული. სსრ კავშირის მასშტაბით გამოყოფილია 7 კატეგორია, კერძოდ:

I—უმეტესად სახნავად გამოსაყენებელი მიწები;

II—უმეტესად სათიბებად გამოსაყენებელი მიწები;

III—საძოვარი მიწები, მელიორაციის შემდეგ შეიძლება გამოყენებული იქნეს სათიბებად ან სახნავად;

IV—სამელიორაციო მიწები, რომლებიც ძირეული გამოჯობების შემდეგ შეიძლება გამოყენებულ იქნას სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში.

V—სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ნაკლებად გამოსაყენებელი მიწები;

VI—სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში გამოუყენებელი მიწები;
 VII—დაზიანებული მიწები.

პირველი—ოთხი კატეგორია, თავის მხრივ, იყოფა კლასებად და ქვეკლასებად. მიწის კლასი ნიადაგის კლასიფიკაციის ძირითადი ერთეულია და დედამიწის ზედაპირული ფენაა, რომელიც ბუნებრივ-სამეურნეო ნიშნების, გამოყენების, გაკულტურების, ნაყოფიერების ამაღლებისა და ნიადაგთდაცვითი ღონისძიებების მსგავსებით ხასიათდება.

ცხრილი №1

მიწის ხარისხობრივი დახასიათება (ჯგუფების, კლასებისა და ქვეკლასების მიხედვით)

№№	მიწების ჯგუფები დანიშნულების მხედველად	მიწების კლ.სა	მიწების ქვეკლასა
1	2	3	4
1	სახავედ გამოსაყენებელი მიწები	<p>I. გაკულტურებული მიწები</p> <p>II. დრენირებულ წყალგამყოფებზე ნაკლებად გამოხატულ დაქანებებზე (2⁰-მდე) თიხნარ საფენებზე განვითარებული მიწები</p> <p>III. მიწები დრენირებულ წყალგამყოფებზე და ნაკლებად გამოხატულ დაქანებებზე (2⁰-მდე) და დედაქანების ამაღლებული ვაკეებით</p> <p>IV. სუსტად დრენირებული: მცირე დროის მონაკვეთზე გადაკარბებული და ტენიანი მიწები, სუსტად ბიცობი, სუსტად დამლაშებული, არიდულ პირობებში</p> <p>V. დაქანებული მიწები</p>	<p>1. სარწყავი</p> <p>2. დამრობილი</p> <p>3. გაკულტურებული, არამელიორირებული</p> <p>4. თიხნარი და მსუბუქი თიხნარი</p> <p>5. კარბონატული თიხნარი</p> <p>6. მსუბუქი ქვიშნარი და ქვიშიანი</p> <p>7. თიხნარები კაქარ-რიყნარ ნაფენებზე, ალუვიურ-დედუქიურ დედაქანებზე</p> <p>8. მძიმე თიხნარები უმეტესად გადარეცხილი, თიხებზე</p> <p>9. უკარბონატო თიხნარები და ქვიშნარები</p> <p>10. კარბონატული თიხნარები და ქვიშნარები</p> <p>11. ქვიშნარი და ქვიშიანი თიხნარები</p> <p>12. სუსტად ეროზიასაშიში ციკაბო ქანებზე (2-დან 5⁰-მდე)</p> <p>13. ეროზიასაშიში მიწები 5-დან 10⁰-მდე დაქანებულ ფერდობებზე</p> <p>14. თიხნარი და თიხიანი</p> <p>15. ქვიშნარი და ქვიშიანი</p>

1	2	4	
2	სათაზად გამოყენებული მიწები	VI. ჰალის მდელისებრი საწყობი VII. მდელის განსხვავებულ გალებებით. ჰუმინურ პირობებში ან დამლაშე- ული და ბიცობი არიდულ პირობებში (სუსტად კომპ- ლექსურის ჩათვლით) მი- წები	16. თიხნარი და თიხიანი 17. ქვიშიანი და ქვიშნარი თიხ- ებსა და თიხნარებზე 18. ქვიშნარი და ქვიშიანი
3	ს.ძვერად გა- მოყენებული მიწები	VIII. სუსტად ადრენირებ- ული პარბტენიანი. განსხ- ვავებული წვრილი კონსტრუ- ქციის ჩათვლით IX. ბიცობი, დაწიდული საშუალო და ძლიერ კომპ- ლექსურის ჩათვლით X. განსაკუთრებით ერო- ზიისაშიში	19. ნეშომპალა 20. სილნარი 21. ავტომორფული ბიცობი 22. ნახევრად ჰიდრომორფული, ბიცობი, დაწიდული 23. ჰიდრომორფული, ბიცობი დაწიდული 24. განსაკუთრებულად ეროზიუ- ლი დაქანებული ციკაბო (10°- ზე ზევით) 25. მკირე სისქის, ძლიერ ქვი- ანი, ძლიერ ხირხატიანი 26. დაკორდებული ქვიშები 27. ტორფნარები 28. მინერალური (სილნარი)
4	სამელიორა- ციო მიწის ფონდი	XI. არასრულყოფილად გა- ნეთარებული მიწები XII. ჰაობის, განსხვავებ- ულად ტორფიანი და ძლი- ერ გალებებული მიწები (დაბლობის და გარდამავა- ლი) XIII. დამლაშებული, ბი- ცობი მიწები XIV. დახრამულ-დაპა- ობებული კომპლექსის მი- წები XV. ქვიშები მცენარეული საფარის გარეშე	29. ძლიერ დამლაშებული 30. ძალიან ძლიერ დამლაშება 31. თაყირები 32. ფხვიერ ქანებზე ხეებისა და ხრამების ჩათვლით 33. მკირე ქანებზე ხეებისა და ხრამების ჩათვლით 34. ქვეკლასი არ გამოყოფა 35. ქვეკლასი არ გამოყოფა 36. რიყნარი, მდინარის ალუვი- ური და ა. შ.
5	სასოფლო-სა- მეურნეო წა- რმოებაში ნა- კლებად გამო- ყენებული მი- წები	XVI. ზედამირული პარობები XVII. სუსტად განვითარ- ებული მიწები	37. წყლისა და ყინულის ქვეშ 38. კლდეები, ქანების ვაშისფერ- ებები და ა. შ.
6	სასოფლო სა- მეურნეო წა- რმოებაში გა- მოყენებული მიწები	XVIII. არანიადაგობრივი წარმონაქმნები	39. ქვეკლასი არაა გამოყოფილი 30. ქვეკლასი არაა გამოყოფილი.
7	დაზიანებულ მიწები	XIX. ტორფგადამშევაე- ბელო XX. სამთომადნო გადამშე- ვაეების კარიერები და სხვა მიწები	39. ქვეკლასი არაა გამოყოფილი 40. ქვეკლასი არაა გამოყოფილი.

შენიშვნა: გარდა ამისა II, IV და VII კლასებიდან, აგრეთვე 6, 7, 12; 13; 14 ქვეკლასებიდან ცალკე გამოიყოფა ქვიანი, ხოლო 12, 13 ქვეკლასებიდან—ჩამორეცხილი მიწები.

მიწის კლასები, თავის მხრივ, იყოფა ქვეკლასებად. ამ უკანასკნელ გამოყოფენ მიწებზე, რომლებიც მიწის რაციონალურად გამოყენებასა და ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების პირობებს განსაზღვრავს. ქვეკლასები გამოყოფილია ნიადაგთწარმოქმნელი პროცესების, დედაქანების, ნიადაგების შედგენილობის, რელიეფის, ეროდირების ხარისხის, ბიომბიანობის, დამლაშებისა და სხვა ფაქტორების მკვეთრად გამოხატული ნიშნებით. ეს თვისებები განსაზღვრავს მიწების გამოყენების გაუმჯობესების ტექნოლოგიასა და მიმართულებას.

ქვეყნის მასშტაბით მიწის ხარისხის აღრიცხვის მიზნით წარმოებს სასოფლო-სამეურნეო საეარჯღლებს კლასებად და ქვეკლასებად დაყოფის შეკავშირება ნიადაგების ჯგუფებთან და ქვეჯგუფებთან, ეს მასალები ნიადაგების ხარისხობრივი დახასიათებისა და შეფასების, ძირითად ერთეულებად მიიღება. ნიადაგის ჯგუფებისა და ქვეჯგუფების ფართობის ჯამი გაერთიანებული ამა თუ იმ კლასსა და ქვეკლასში, ნიადაგის სახეა. მათი რაოდენობა ყველა ზონაში განსხვავებულია და როგორც წესი, ყველაზე მეტია ინტენსიური მიწათმოქმედების ზონებში. მიწის კლასის, ქვეკლასისა და სახის მიხედვით ცალკეულ ნაკვეთს გამოყოფენ ნიადაგებს-ს თვისებებს და სხვა ეკოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით. რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მიწათმოქმედებისათვის. ამ მიზნით აწარმოებენ მიწების საწარმო-გენეტიკურ კლასიფიკაციას, რომელიც ნიადაგების აგროსაწარმო (საშემფასებლო) დაჯგუფებისა და მიწის კადასტრის შედგენის მთელი საქმიანობის აუცილებელი წინაპირობა და შემადგენელი ელემენტია. რამდენადაც ჩვენი ქვეყნის ტერიტორია მრავალფეროვნებით ხასიათდება, მიწების კლასიფიკაციაც ცალკეული ეკონომიკური რაიონისა და ზონების მიხედვით ხორციელდება.

საქართველოს სსრ ტერიტორიის ძლიერ დანაწევრებული ზედაპირი, გეოლოგიური აგებულების, კლიმატის, ჰიდროლოგიური რეჟიმის, მცენარეულობის და სხვა განსხვავებული ხასიათი განსაზღვრავს ნიადაგის დიდ სიჭრელეს. ამ მხრივ ძალიან მკვეთრად გამოხატული ვერტიკალური და ჰორიზონტალური ზონალობა, რელიეფი, ნიადაგთწარმოქმნელი პროცესების ინტენსიურობა და სხვა პირობები. საქართველოში, ძირითადად, გავრცელებულია დასავლეთის წითელმიწები, აღმოსავლეთის შავმიწები, მურა და წაბლა ნიადაგები, სამხრეთ საქართველოს მთის შავმიწები და სხვა ნიადაგები. მათი გავრცელების

შესაბამისად გამოყოფენ: მთავარ ნიადაგურ ოლქებს, ხოლო ოლქებში-ვერტიკალურ ნიადაგურ ზონებს. ეს უკანასკნელი განსხვავდება ნიადაგთწარმოქმნის პირობებითა და მათი ინტენსიურობით.

აკად. მ. საბაშვილს საქართველოს ტერიტორიაზე გამოყოფილი აქვს სამი ოლქი და 39 ნიადაგური ოაროაი, შესაბამისად გავრცელებული 19 ტიპის, 47 ქვეტიპის, 92 სახისა და 137 სახესხვაობის ნიადაგებით. ამ კლასიფიკაციის საფუძველზე მის მიერვე შესრულებული საქართველოს ნიადაგების აგროსაწარმოო დახასიათება და აგრონიადაგური დაჯგუფება, რომელიც ასეთ სურათს იძლევა:

შ ა ვ მ ი წ ე ბ ი

1. შავმიწა მცირე სისქის მცირეჭუმუსიანი, მძიმე თიხნარი და თიხიანი, ხშირად ხირხატიანი, ლიოსისებრ თიხნარზე.
2. შავმიწა მცირე სისქის, ძლიერ ხირხატიანი, ღორღიან ლიოსისებრ ნაფენზე ან კონკლომერატის გამოფიტვის პროდუქტებზე.
3. შავმიწა საშუალო სისქის, მცირე და საშუალოჭუმუსიანი, მძიმე თიხნარი და თიხიანი, ლიოსისებრ თიხნარზე.
4. შავმიწა დიდი სისქის, საშუალო და მაღალჭუმუსიანი, მძიმე თიხნარი ან თიხიანი, ლიოსისებრ თიხნარზე.
5. შავმიწა საშუალო და დიდი სისქის, სუსტად დამლაშებული და სუსტად ბიცობი, ლიოსისებრ თიხნარზე.
6. შავმიწა, სუსტად ბიცობი, იგივე ნაფენებზე.
7. შავმიწისებრი მდელოსი, მცირე სისქის, მძიმე თიხნარი და თიხიანი, ლიოსისებრ თიხნარზე და ქვიშაქვის გამოფიტვის პროდუქტებზე.
8. შავმიწისებრი მდელოს, საშუალო და დიდი სისქის, მძიმე თიხნარი და თიხიანი, ალაგ-ალაგ დაწიდული და სუსტად ბიცობი, ლიოსისებრ თიხნარზე ან ძველ ალუვიურ ნაფენზე.
9. შავმიწა, თაბაშირდამლაშებული მეორე ნახევარმეტრში.
10. შავმიწა, მდელოსი, დაწიდული და სუსტად ბიცობი, საშუალო და დიდი სისქის, თიხიანი და მძიმე თიხიანი.
11. იგივე, სუსტად დამლაშებული.
12. შავმიწისებრი დაკაობებული, საშუალო და დიდი სისქის, თიხიანი და მძიმე თიხიანი, ძველ ტბურ ნაფენებზე.
13. იგივე მცირე სისქის, ხირხატიანი მდელოს ყავისფერი და რუხი-ყავისფერი ნიადაგები.
14. მდელოს ყავისფერი, საშუალო და დიდი სისქის, მძიმე თიხნარი და თიხიანი, ლიოსისებრ თიხნარებზე ან ძველ ალუვიურ და დელუვიურ ნაფენზე.

15. რუხი-ყავისფერი, სუსტად განვითარებული, მცირე სისქის, თიხნარი, ზოგან სირსაცხანი, იგივე ქანებზე.
16. რუხი ყავისფერი, საშუალო სისქის, იგივე ქანებზე.
17. იგივე, ღია ფერის, მცირე სისქის ხირხატიანი.
18. წითელი (არიდული) ტყეების მუქი მურა, უფრო ხშირად თიხნარი და ხირხატიანი.

მთა-ტყეთა ნიადაგები

1. ტყის ყავისფერი, მუქი ფერის (შავმიწისებრი), მძიმე თიხნარი და თიხიანი ლიოსისებრ თიხნარზე.
2. ტყის ყავისფერი, სუსტად განვითარებული, მცირე სისქის, ხირხატიანი, ლიოსისებრ თიხნარზე ან კონგლომერატების და ქვიშაქვის გამოფიტვის პროდუქტებზე.
3. ტყის ყავისფერი, ტიპობრივი, საშუალო და ღიდი სისქის, საშუალო და მძიმე თიხნარი, იგივე ქანებზე.
4. გაკულტურებული, იგივე.
5. ტყის ყომრალი, მცირე სისქის, ხირხატიანი, თიხნარი და თიხიანი. ალაგ-ალაგ სუსტად განვითარებული, ამონალვარი და დანალექი ქანების გამოფიტვის პროდუქტებზე.
6. ტყის ყომრალი, საშუალო და მცირე სისქის, თიხნარი და თიხიანი, იგივე ქანებზე.
7. ტყის ყომრალი ღია და გაეწრებული. მცირე და საშუალო სისქის, ხირხატიანი იგივე ქანებზე.
8. ტყის ყომრალი ათვისებული (ტყე-მდელოსი). მძიმე თიხნარი და თიხიანი იგივე ქანებზე.
9. ნეშომპალ-კარბონატული, მერგელებზე განვითარებული, მცირე სისქის, სუსტად განვითარებული.
10. იგივე, საშუალო სისქის, თიხიანი და მძიმე თიხნარი.
11. ნეშომპალ-კარბონატული, საშუალო და ღიდი სისქის, გამოტუტილი მძიმე თიხნარი და თიხიანი.
12. ნეშომპალ-კარბონატული, სუსტად განვითარებული, მცირე სისქის, ძლიერ ხირხატიანი, კირქვებზე.
13. ნეშომპალ-კარბონატული, საშუალო სისქის, მძიმე თიხნარი და თიხიანი, ხირხატიანი, ალაგ-ალაგ მცირე სისქის და ძლიერ ჩამორეცხილი, კირქვებზე ან კირნარ კონგლომერატზე.

მთის შავმიწები

1. მთის შავმიწა, მცირე სისქის, ხირხატიანი (ქვიანი) ამონალვარ ქანებზე.

2. მთის შავმიწა, უმეტესად კარბონატული, საშუალო და დიდი სისქის მძიმე თიხნარი და თიხიანი, ლიოსისებრ თიხებზე და ამონადეარ ქანებზე.

3. მთის შავმიწა, გამოტუტვილი, საშუალო და დიდი სისქის, მძიმე თიხნარი და თიხიანი, იგივე ქანებზე.

4. მთის შავმიწისებრი, მდელოსი, დაწიდული, თიხიანი და მძიმე თიხიანი, ალაგ-ალაგ სუსტად დაჭაობებული.

ალუვიური ნიადაგები

1. ზღვისპირა ქვიშები და ქვიშიან-ლორდიანი ნაფენი.

2. ალუვიური მდელოსი, თიხნარი და ქვიშნარი, მცირე სისქის, ძლიერ ხირხატიანი.

3. მთის შავმიწა, გამოტუტვილი, საშუალო და დიდი სისქის, მძიმე და მძიმე თიხნარი, სუსტად დამლაშებული.

4. ალუვიური მდელოსი დაჭაობებული, თიხნარი და ქვიშნარი.

5. ალუვიური მდელოსი, თიხნარი, საშუალო და დიდი სისქის კარბონატული.

6. ალუვიური (ძველი ალუვიური) მდელოსი, კარბონატული, საშუალო და მძიმე თიხნარი.

7. ალუვიური (ძველი ალუვიური) მდელოსი, ძლიერ კარბონატული, მტვრიან-თიხიანი („ლამი“).

8. ალუვიური მდელოსი, უკარბონატო, საშუალო და დიდი სისქის თიხნარი.

9. ალუვიური ტყე-მდელოსი უკარბონატო, საშუალო და დიდი სისქის, მსუბუქი და მძიმე თიხნარი, ხირხატიანი.

10. ალუვიური ტყის (ქალის ტყის), ალაგ-ალაგ დამლაშებული და დაჭაობებული.

11. ალუვიური და გამოზიდვის კონუსების პროლუვიური, მცირე სისქის, ძლიერ ხირხატიანი.

12. კოლმატაციური ნაკვეთის დანალექი ნიადაგები.

13. ხელოვნური ტერასების კულტურული ნიადაგი.

14. ძლიერ ჩამორეცხილი ნიადაგი და ქანების გაშიშვლება.

15. ხევეები და ხრამები.

მთა-მდელოთა ნიადაგები

1. მთა-მდელოს შავმიწისებრი, მძიმე თიხნარი და თიხიანი ვულკანური ქანების გამოფიტვის მონატეხ პროდუქტებზე.

2. მთა-მდელოს შავმიწისებრი, მცირე სისქის ჩამორეცხილი, ძლიერ ხირხატიანი, ალაგ-ალაგ ვულკანური ქანების გაშიშვლებები;

3. მთა-მდელოს კორდიანი, მცირე სისქის, სუსტად ხირხატიანი ამონაღვარი და დანალექი გამოფიტვის პროდუქტებზე.

4. მთა-მდელოს კორდიანი, საშუალო და დიდი სისქის. უმეტესად თიხნარი და ხირხატიანი, იგივე ქანების გამოფიტვის მონატებ პროდუქტებზე.

5. მთა-მდელოს ტორფიანი,

6. მთა-მდელოს კორდიან-ტორფიანი, მცირე სისქის, ხრეშიანი, ამონაღვარი და დანალექი ქანების გამოფიტვის მონატებ პროდუქტებზე.

7. მთა-მდელოს, კორდიან-ტორფიანი, დიდი სისქის, თიხიანი, ალაგ-ალაგ სუსტად დაქაობებული, იგივე ქანებზე.

8. მთა-მდელოს პრიმიტიული, კლდეებსა და ქვაყრილებს შორის.

ჭაობიანი ნიადაგები

1. ჭაობის ტორფიანი ნიადაგები და ტორფნარები;

2. ჭაობის ლამიანი, უმეტესად თიხიანი და მძიმე თიხიანი.

3. მდელოს ჭაობიანი, უმეტესად თიხიანი, ალუვიურ თიხიან ნაფენებზე;

4. ტენიანი მდელოს, დამლაშებული, მძიმე თიხნარი და თიხიანი.

5. ტენიანი მდელოს, მძიმე თიხნარი და თიხიანი, ალუვიურ თიხიან ნაფენებზე;

6. იგივე, დაშრობილი.

ნეშომპალა-სულფატური (გაჭიანი) ნიადაგები

1. ნეშომპალა-სულფატური (გაჭიანი), მცირე სისქის; საშუალო და მძიმე თიხნარი, ზოგან ხირხატიანი.

2. ნეშომპალა-სულფატური (გაჭიანი) საშუალო სისქის;

დამლაშებული ნიადაგები

1. მლაშობი, მძიმე თიხნარი და თიხიანი, იგივე ნაფენებზე;

2. მდელო-ველის საშუალო დამლაშებული, მძიმე თიხნარი და თიხიანი, მლაშე ლიოსისებრ და თიხიან ნაფენებზე;

3. მდელოს სუსტად ბიციობი და სიღრმით დამლაშებული. მძიმე თიხნარი და თიხიანი, მლაშე ლიოსისებრ და თიხიან ნაფენებზე.

4. მდელოს დიდი სისქის დამლაშებული ლიოსისებრ თიხებზე, მძიმე თიხნარი და თიხიანი;

5. მლაშობი და ბიციობი ნიადაგების კომპლექსი, მძიმე თიხნარი და თიხიანი იგივე ქანებზე;

6. ბიციობი ველისა, მძიმე თიხნარი და თიხიანი, იგივე ქანზე.

7. ბიციობი მდელოსი, მძიმე თიხნარი და თიხიანი, იგივე ქანზე.

ეწერი ნიადაგები

1. სუსტი ეწერი, მცირე სისქის, ძლიერ ხირხატიანი (ღორღიანი) მძიმე თიხნარი და თიხიანი; ძველ ალუვიურ ნაფენზე.

2. სუსტი ეწერი, საშუალო და დიდი სისქის, მძიმე თიხნარი და თიხიანი, ალაგ-ალაგ სუსტად დაჭაობებული.

3. სუსტი ეწერი, ძლიერ გაკულტურებული ღრმა დამუშავებით და სასუქებით;

4. საშუალო ეწერი, მძიმე თიხნარი და თიხიანი, ძველ ალუვიურ ნაფენზე;

5. ძლიერ ეწერი. მძიმე თიხნარი და თიხიანი.

6. საშუალო და ძლიერ ეწერი, ძლიერ გაკულტურებული ღრმა დამუშავებით და სასუქებით.

7. ძლიერ ეწერი ზედაპირთან ახლომდებარე შეცემენტებული ორშეტინის ფენით.

8. საშუალო და ძლიერი ეწერი, სუსტად დაჭაობებული;

9. ეწერ-ლებიანი, მძიმე თიხნარი, თიხიანი და მძიმე თიხიანი.

წითელმიწა და ყვითელმიწა ნიადაგები

1. წითელმიწა. სუსტად განვითარებული, ჩამორეცხილი, მცირე სისქის, მძიმე თიხნარი, ხირხატიანი. ამონაღვარი ქანების გამოფიტვის პროდუქტებზე.

2. წითელმიწა ტიპობრივი, მძიმე თიხნარი და თიხიანი.

3. წითელმიწა გაეწრებული, მძიმე თიხნარი და თიხიანი;

4. ყვითელმიწა სუსტად განვითარებული, ჩამორეცხილი. მცირე სისქის მძიმე თიხნარი და თიხიანი, ხირხატიანი და თიხა-ფიქალების, ქვიშაქვების ან კონგლომერატების გამოფიტვის პროდუქტებზე.

5. ყვითელმიწა ტიპობრივი, მძიმე თიხნარი და თიხიანი, იგივე ქანების გამოფიტვის პროდუქტზე.

6. ყვითელმიწა, გაეწრებული, მძიმე თიხნარი და თიხიანი.

მურა ნიადაგები

1. ღია მურა, სუსტად განვითარებული, მცირე სისქის, ხირხატიანი;

2. ღია მურა, საშუალო და დიდი სისქის, საშუალო და მძიმე თიხნარი, ლიოსისებრ თიხნარზე ან ქვიშაქვის გამოფიტვის პროდუქტებზე;

3. იგივე, სუსტად და საშუალოდ დამლაშებული.

4. ღია მურა, სუსტად ბიცობი და სიღრმით დამლაშებული, მძიმე თიხნარი და თიხიანი, ლიოსისებრ ნაფენზე;

5. ღია მურა, თაყირისებრი, სუსტად ბიცობი და დამლაშებული, მძიმე თიხნარი და თიხიანი.

6. მურა, სუსტად განვითარებული, მცირე სისქის, ხირხატიანი-ლიოსისებრ თიხნარზე ან ქვიშაქვების გამოფიტვის პროდუქტებზე.
7. მურა, საშუალო და დიდი სისქის, საშუალო და მძიმე თიხნარი-ლიოსისებრ ნაფენზე.
8. იგივე, სუსტად დამლაშებული;
9. იგივე, სუსტად ბიცობი.

წაბლა ნიადაგები

1. წაბლა და ღია წაბლა, საშუალო და მძიმე თიხნარი, ლიოსისებრ თიხნარზე ან ძველ ალუვიურ ნაფენზე.
2. იგივე, კულტურული სარწყავი
3. წაბლა და ღია წაბლა, სუსტად ბიცობი და სუსტად დამლაშებული, საშუალო და მძიმე თიხნარი, ლიოსისებრ ნაფენზე.
4. წაბლა და ღია წაბლა, მცირე და საშუალო სისქის, ხირხატიანი, ლიოსისებრ თიხნარზე და ძველ ალუვიურ ნაფენზე.
5. მუქი წაბლა, მძიმე თიხნარი და თიხიანი, ლიოსისებრ თიხნარზე ან ძველ ალუვიურ ნაფენზე.
6. იგივე, ურწყავი.
7. მუქი წაბლა, დაწიდული და სუსტად ბიცობი, მძიმე თიხნარი და თიხიანი. იგივე ქანებზე.
8. მუქი წაბლა, სუსტად ბიცობი, საშუალო და მძიმე თიხნარი იგივე ქანებზე.
9. მუქი წაბლა და წაბლა, მცირე და საშუალო სისქის, ხირხატიანი, ლიოსისებრ ნაფენებზე.
10. წაბლა მდელისი, უკარბონატო, მძიმე თიხნარი და თიხიანი ძველ ალუვიურ ნაფენზე.

მიწების კლასიფიკაციის საკავშირო სქემაში კლასები და ქვეკლასები ნაყოფიერების კლებადობისა და საწარმოო დანიშნულების მიხედვითაა დაჯგუფებული. კლასიფიკაციის მასალები ნიადაგების ეროზიისაგან დაცვის, ტრანსფორმაციის გაუმჯობესების, ახალი მიწების ათვისების, მელიორაციის, სოფლის მეურნეობის გაძღოლის სისტემების დამუშავების, მიწის რესურსების გამოყენების პროგნოზირების, ნიადაგების ბონიტირებისა და მიწების ეკონომიკური შეფასების ჩატარების ინფორმაციის ძირითადი წყაროა.

მიწის კადასტრი მიწის ფონდების ფაქტობრივი მდგომარეობის აღრიცხვისა და მათი რაციონალურად გამოყენების ღონისძიებების დასახვის ძირითადი დოკუმენტია. ამ ამოცანების შესრულება მას მხოლოდ მაშინ შეუძლია, თუ მისი შედგენის დროს გამოყენებული

იქნება უტყუარი საგეგმო კარტოგრაფიული მასალები, რომლებიც მიწათსარგებლობის თვალსაჩინოებაა და ამით უზრუნველყოფენ მიღებული მასალების პრაქტიკულად გამოყენების საუკეთესო პირობებს, საგეგმო-კარტოგრაფიული მასალების 'სისრულესა და სიზუსტეზეა დამოკიდებული საკადასტრო დოკუმენტაციის სისწორე და გამოყენება. ამიტომ, რაც უფრო დეტალურია საგეგმო მასალა, მით სრულია მისი შინაარსი და შესაძლებელია მისი საკადასტრო საქმიანობაში გამოყენების ფაქტორი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საგეგმო-კარტოგრაფიული მასალა, რომელშიც დეტალურად არის ასახული მიწათსარგებლობის დახასიათება (სავარგულებისა და სარგებლობის უფლების მიხედვით), სავარგულების დაყოფა კლასებად და ქვეკლასებად. გასარწყავებული და დაშრობილი მიწებზე დეტალური აღწერა. საკადასტრო დოკუმენტაციის საფუძველია. ამასთან, ეს მასალები სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციის, დაგეგმვის, ოპერატიული ხელმძღვანელობის, ახალი ტექნიკის დანერგვის, მინერალური სასუქების გამოყენების და მოწინავე გამოცდილების დანერგვის მიმოხილვითი-საცნობარო დოკუმენტიც არის.

თანამედროვე პერიოდში გამოიყენება საგეგმო-კარტოგრაფიული მასალების შედგენის ზედამხარული აგეგმვის, აეროფოტო და კოსმოსური გადაღებების ხერხები. ყველაზე ზუსტია კოსმოსური გადაღებები, ხოლო პრაქტიკაში ჩერაჭერობით უფრო დანერგილია აეროფოტოგადაღებები. მათ სიზუსტეს კვლევის მასშტაბის სიდიდე განსაზღვრავს, რაც მასალების დანიშნულებიდან და ტერიტორიის სიდიდითიდან გამომდინარეობს.

საკადასტრო დოკუმენტაციის შესადგენად საჭირო საგეგმო მასალებში გამოიყენება ტოპოგრაფიის გეგმებსა და მასშტაბებში მიღებული პირობითი ნიშნები, ხოლო რიგი ელემენტის აღსანიშნავად სპეციალური ნიშნებია. ამდენად, მიწის კადასტრში გამოიყენება თითქმის ყველა სახის საგეგმო-კარტოგრაფიული დოკუმენტაცია. კერძოდ: მიწათსარგებლობის მოსაზღვრეობის, მიწების აღრიცხვის, დასახლებული პუნქტების გეგმები, ნიადაგების (აგროსაწარმო), გეობოტანიკური კვლევის ნიადაგების მელიორაციის, ნიადაგების ბონიტირების, მიწის ეკონომიკური შეფასებისა და სხვ. ყველაზე ფართო ასახვას პოულობს შიგასამეურნეო მიწათმოწყობის გეგმები, რომლებშიც მოცემულია სავარგულების ტრანსფორმაციის, ტყის ზოლების გაშენების, გზების გაყვანის, ტერიტორიის მოწყობის, თესლბრუნვების

შემოღების, სარწყავი ქსელისა და სხვა სამეურნეო ღონისძიებების დეტალური თვალსაჩინოება.

გარდა ამისა საკმაოდ მდიდარ მასალას იძლევა თესლბრუნვის მინდვრების ისტორიის წიგნი. იგი თესლბრუნვის სახეებისა და მინდვრების ჰიდრიდის, კულტურათა მორიგეობისა და ნათესის სტრუქტურის ნიადაგების დამუშავების სისტემებისა და სასუქების გამოყენების, ნიადაგური საფარისა და სახნავე ფენის სისქის, რელიეფისა და მკვავიანობის, დამლაშების, ბიცობიანობისა და საკვები ნივთიერებების შემცველობის აღწერის დოკუმენტია დროსა და სივრცეში. ამასთან, აქ მოცემული ყველა ამ მაჩვენებლის აღწერა-შესწავლა ხდება მიწის კონტურების მიხედვით, რაც ნიადაგის ხარისხის ამოღებისა და გამოყენების გაუმჯობესების შესაძლებლობას იძლევა.

როგორც წესი, საკადასტრო დოკუმენტაციაში გამოყენებული საგეგმო-კარტოგრაფიული მასალა თავს იყრის მიწათსარგებლობის საქმეში, რომლის ერთი ეგზემპლარი კოლმეურნეობაში ინახება, ხოლო მეორე—რაიონის უფროს ინჟინერ-მიწათმომწყობთან. მასში შედის ნიადაგების კვლევის რუკა და მასალები, სამიწათმომწყობო გამოკვლევის აქტი, მეურნეობაში შესრულებული სამუშაოების შემოწმების აქტი, დავალება მეურნეობის შიგსამეურნეო მიწათმომწყობის პროექტის დამუშავებისათვის (სანიმუშო სქემა), საპროექტო ინსტიტუტში შემდგარი ტექნიკური საბუკოს სხდომის ოქმი შიგსამეურნეო მიწათმომწყობის შესახებ, რაიადმასკომის სპეციალისტთა ოქმი პროექტის შესახებ. მიწათსარგებლობისა და მიწათმომწყობის სამმართველოს ოქმი პროექტის შესახებ, რაიადმასკომის ოქმი პროექტის დამტკიცებაზე და სადირექტივო ორგანოების მიერ შედგენილი ყოველგვარი მასალა და დოკუმენტაცია.

საკადასტრო დოკუმენტაციაში საგეგმო-კარტოგრაფიული მასალების ნაკრები მიწის ეკონომიკური შეფასების (ნიწის კადასტრის) რუკებია, რომლებშიც მოცემულია მიწათსარგებლობის რეგისტრაციის, მიწების რაოდენობრივი და ხარისხობრივი აღრიცხვის, ნიადაგების აგროსაწარმოო (საშემფასებლო) დაჯგუფებისა და მიწების ეკონომიკური შეფასების (არსებული და პერსპექტიული) მაჩვენებლები. მიწების შეფასების საერთო-საკავშირო მეთოდოლოგიაში მითითებულია, რომ მიწის საკადასტრო რუკა უნდა შედგეს საწარმოებისა და აღმნიშვნელისტრაციული რაიონებისათვის. ერთი ეგზემპლარი სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს ეგზავნება, მეორე—რაიონის უფროს ინჟინერ-მიწათმომწყობს, მესამე კი მიწათმომწყობის საპროექტო ინსტიტუტის არქივში რჩება.

ყველა საგეგმო მასალა და, განსაკუთრებით, უკანასკნელი სასო-
ფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციისა და დაგეგმვის სრულ-
ყოფის მნიშვნელოვანი დოკუმენტია.

IX თავი

მიწების შეფასება

§ 1. მიწის შეფასების საერთო დებულებანი

სოციალისტური წარმოების წესი და საწარმოო ძალთა პროგრე-
სული განვითარება მთლიანად ცვლის ადამიანსა და ბუნებას შორის
ურთიერთდამოკიდებულების არსს. ადამიანი ბუნებას გარდაქმნის და
იყენებს საზოგადოებრივი მოთხოვნილებების უკეთ დასაკმაყოფილე-
ბლად და მასთან ერთად ხელს უწყობს გარემო პირობების გაუმჯო-
ბესებას. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების განვითარების თანა-
მედროვე პირობებში ბუნებრივი ფაქტორების გავლენა რამდენადმე
ნიველირდება, მათი უგულვებელყოფა მაინც არ შეიძლება. განსაკუთ-
რებული მნიშვნელობა კი ენიჭება კონკრეტული ბუნებრივი ფაქტო-
რების გათვალისწინებას სოფლის მეურნეობაში, რაზედაც არა ერთ-
ხელ მიუთითებდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები. ამ მხრივ
პირველხარისხოვანია მიწის, როგორც სოფლის მეურნეობაში წარმო-
ების ძირითადი საშუალებების შესწავლა და შეფასება, რამდენადაც
იგი ზონალური პირობების გათვალისწინების ყველაზე მნიშვნელოვანი
და ნელშემახები პირობაა. ამასთან, მიწის, შეფასება არ არის რაიმე
გახყენებული მოვლენა, არამედ იგი გამოდის, როგორც სახალხო მე-
ურნეობაში გამოყენებული მთელი ბუნებრივი რესურსების შეფასე-
ბის შემადგენელი ნაწილი.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების შრომებში სოფლის მეურნე-
ობის გაძღოლის სისტემების საკითხი ყოველთვის ბუნებრივი ფაქტო-
რების გათვალისწინებით იხილება, რასაც განსაკუთრებული ადგილი
უჭირავს კ. მარქსის მიწის რენტისა და ვ. ი. ლენინის შრომებში აგ-
რარული საკითხების განხილვაში. ამ თეორიულ მოძღვრებას დღესაც
უდიდესი მნიშვნელობა აქვს მიწის ფონდის რაციონალურად გამოყე-
ნების, მიწათაარებლობის სოციალისტურ რელსებზე გადაყვანის,

ქვეყნის მიწის რესურსების გაუმჯობესებისა და სოფლის მეურნეობაში მათი ინტენსიურად გამოყენების საქმეში.

იხილავდა რა დიფერენციული რენტის საკითხებს, კ. მარქსი აღნიშნავდა, რომ არსებობს მიწათმოქმედებაში ერთნაირ პირობებში დაბანდებათა განსხვავებული შედეგის მიღების ორი მიზეზი: ნიადაგის ნაყოფიერება და ნაკვეთის ადგილმდებარეობა.

მიუხედავად იმისა, რომ ვ. ი. ლენინს მიწათსარგებლობის ანალიზის დროს ყველაზე საიმედო მაჩვენებლად მიაჩნდა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობი, რადგან „მიწის რაოდენობის მიხედვით ყველაზე სწორად შეიძლება ვიმსჯელოთ მეურნეობის ოდენობაზე, და, მაშასადამე მის ტიპზეც“¹. იგი მიუთითებდა, რომ მარტო მიწის ფართობი მეურნეობის შესახებ სწორ წარმოდგენას არ იძლევა „თუ ცალკეულ მეურნეობათა შორის საგრძნობ შემთხვევაში არის არსებითი განსხვავებანიც მიწის დამუშავების წესების, მიწათმოქმედების ინტენსივობის, მემინდვრეობის სისტემების, სასუქების ოდენობის, მანქანების გამოყენების, მეცხოველეობის ხასიათის მხრივ და სხვა“². ანალიზებდა რა რუსეთის სოფლის მეურნეობის კაპიტალისტური გზით განვითარების საკითხებს, ვ. ი. ლენინი ხაზს უსვამდა მიწის ნაყოფიერების უდიდეს მნიშვნელობას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გადიდების საქმეში. იგი აღნიშნავდა, რომ სრულ წარმოდგენას არ იძლევა რუსეთის გლეხობის დაბეჩავებაზე არც მონაცემები იმის შესახებ, თუ რამდენი მიწის ფართობი უჭირავს 30 ათას მემამულეს და მილიონობით გლეხს, არც მათი დამუშავების ხარისხი და ნაკვეთების ხარვეზიანობა, არც მიწათმფლობელობის შეუსაუქუნებრივ ზღუდეთა არსებობა, რადგან „მიწები, რაც გლეხებს, ნადელად დაუტოვეს მემამულეთა სასარგებლოდ განხორციელებულ გლეხთა იმ ექსპროპრიაციის შემდეგ, რომელსაც 1861 წლის დიდი რეფორმა ეწოდება, შეუღარებლად უარესი ხარისხისაა, ვიდრე მემამულეთა მიწები“³.

ცნობილია, რომ მიწა შეიძლება მარალნაყოფიერი იყოს და არახელსაყრელი ადგილმდებარეობის გამო სრულიად გამოუყენებელი ან დაბალეფექტიანი და, პირიქით, ნაკლებნაყოფიერი, მაგრამ საუკეთესო ადგილმდებარეობის და კლიმატური პირობების გამო, მაღალ შე-

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ. ტომი 16, გვ. 588.

² ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 22, გვ. 72.

³ ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 15, გვ. 79.

დღეს იძლეოდეს. „მიწის ნაკვეთი შეიძლება კარგ ადგილას მდებარე-
ოზღეს და მეტად მცირე ნაყოფიერებისა იყოს და პერიქით“¹—წერდა
ვ. ი. ლენინი აბათილებდა რა ბულგაკოვის მარქსის რენტის თეორიას
კრიტიკას თითქოს მანძილი შეიძლება პარალიზებული იქნეს ნაყოფ-
იერებით, ხოლო სხვადასხვა ნაყოფიერება შეიძლება გათანაწიორდეს
გაძლიერებული წარმოებით ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ მარქსმა
ეს აღრევე მიუთითა, მაგრამ გამათანასწორებელ ზემოქმედებასთან ერ-
თად არსებობენ დიფერენციაციის გამომწვევი მიზეზებიც და „ამ
ურთიერთსაწინააღმდეგო ზემოქმედებათა საბოლოო შედეგი, როგ-
ორც ყველამ უწყის, ის არის, რომ ყველა ქვეყანაში და ყველგან არ-
სებობს უდიდესი განსხვავება მიწის ნაკვეთებს შორის მათი ნაყოფი-
ერებისა და მდებარეობის მიხედვით“².

აგრეთვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ მიუხედავად მა-
ლანაყოფიერებისა და კარგი ადგილმდებარეობისა მიწა შეიძლება
ვერ გამოიყენოთ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის საწარ-
მოებლად. ვ. ი. ლენინი ამ გარემოებას დიდ ყურადღებას აქცევდა და
მოუთითებდა, რომ კაპიტალიზმმა გიგანტური რევოლუცია მოახდინა
მწიფათმოქმედებაში დახვედრული შუა საუკუნეების ფეოდალურ წყო-
ბილებასთან შედარებით, რადგან გლეხთა ხელობა შეცვალა აგრონო-
მიული მეცნიერების გამოყენებით, მოახდინა მიწათმოქმედების სპე-
ციალიზაცია, განავითარა მისადგომი გზები, შემოიღო თესლბრუნე-
ვი, ჩაატარა მელიორაციული ღონისძიებანი, დაიწყო ხელოვნური სა-
სუქების გამოყენება და ა. შ. ერთი სიტყვით მიწათმოქმედება დაუკა-
ვშირა მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს.

ვ. ი. ლენინის ამ დებულებებს დღესაც არ დაუკარგავს ღირებუ-
ლება, უფრო მეტიც, განვითარებული სოციალიზმის პირობებში ისი-
ნი უფრო აქტუალური გახდა. ეს კი მოითხოვს მიწის რესურსების
ყოველმხრივ შესწავლას და შეფასებას. რამდენადაც მიწასთან დაკავ-
შირებული ყველა მნიშვნელოვანი სახალხომეურნეობრივი პრობლე-
მის გადაჭრა მათ გარეშე შეუძლებელია. მიწის რესურსების შესწავლამ
ხელი უნდა შეუწყოს:

ა) მიწის რესურსების არსებული რეზერვების გამოვლენას და
ჩაბმას სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში;

ბ) მიწათმოსარგებლების პასუხისმგებლობის ამალებას მიწის
რაციონალურად გამოყენების უზრუნველყოფისა და მისი გაუმჯობე-
რებისათვის საჭირო მელიორაციული ღონისძიებების გატარების საქ-
მეში;

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 5, გვ. 145.

² ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 15, გვ. 146.

გ) ქვეყნის ზონებისა და ეკონომიკური რაიონების მიხედვით დასაბუთებულ ღრმა სპეციალიზაციას და კონცენტრაციას მეურნეობათაშორისო კოოპერირებისა და აგროსამრეწველო გაერთიანებების ბაზაზე;

დ) სოფლის მეურნეობის ქიმიზაციას და მისი ეფექტიანობის ამაღლებას;

ე) მეცნიერულად დასაბუთებული გაძლოლის სისტემების დანერგვას და დარგთა შეთანაწყობას;

ვ) მიწის მაღალეფექტიანად გამოყენებას;

ზ) ნათესი ფართობების ოპტიმალურ სტრუქტურას და მის საფუძველზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ამაღლებას;

თ) სასოფლო-სამეურნეო წარმოების თანაბარ ეკონომიკურ პირობებში ჩაყენებას;

ი) სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მუშაკების შრომის ანაზღაურებისა და მატერიალური წახალისების ფორმების შემდგომ სრულყოფას.

აღნიშნული საკითხების ოპტიმურ გადაწყვეტას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს განვითარებული სოციალიზმის პირობებში, რაც, თავის მხრივ, აუცილებლად მოითხოვს მიწების რაოდენობრივ და ხარისხობრივ აღრიცხვას. ეს უკანასკნელი კი სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგის ბუნებიდან და მიწის თავისებურებებიდან გამომდინარე უნდა განხორციელდეს.

მიუხედავად იმისა, რომ მიწის ფართობების და მდგომარეობის აღრიცხვა სახალხო მეურნეობის ყველა დარგშია საჭირო. იგი განსხვავებულ ხერხებს და ელემენტებს მოიცავს. მაგალითად, სოფლის მეურნეობაში აუცილებელია მისი ხარისხობრივი დახასიათება. შესაბამისად საზოგადოებრივ წარმოებაში მისი ფუნქციონირებისათვის უნდა გამოვიდეთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოთხოვნილებებიდან. ამ ფაქტორს განსაზღვრავს სოფლის მეურნეობაში მიწის განსაკუთრებული როლი და დარგში ყოველგვარი საკვების წარმოების პირობები.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში კი ყველაზე მნიშვნელოვანი და ხელშესახები თვისებაა ნიადაგის ნაყოფიერება. იგი რთული ცნებაა და ახასიათებს დედამიწის ზედა ფენას-ნიადაგს, რომელსაც უნარი შესწევს უზრუნველყოს მცენარე წყლითა და საკვებით მთელი ვეგეტაციის პერიოდში. ნიადაგი, როგორც ბუნებრივ-ისტორიული სხეული, მთის ქანებისაგან კლიმატის, რელიეფის, დედაქანების, მათი ხა-

ნდაზმულობის მცენარეული და ცხოველური სამყაროსა და ადამიანის სამეურნეო საქმიანობით ზემოქმედების შედეგია. ნიადაგთწარმოქმნის პროცესი საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდია, რომლის დროსაც იცვლება თვით ნიადაგის ნაყოფიერება.

ნიადაგის ნაყოფიერება თავდაპირველი სახით ნიადაგის წარმოშობასთან ერთად შეიქმნა, ხოლო ადამიანის სამეურნეო საქმიანობის შედეგად იგი თანდათან იცვლებოდა. ამის მიხედვით არჩევენ ნიადაგის ბუნებრივ, ხელოვნურ და ეკონომიკურ ანუ ეფექტიან ნაყოფიერებას.

ნიადაგის ბუნებრივი ნაყოფიერება ნიადაგთწარმოქმნელი პროცესების პროდუქტია და მასა განუყოფელი თვისებაა. პირველადი სახით იგი მხოლოდ იქ არის, სადაც ადამიანი არ ჩარეულა. იმ კონტურებზე კი, რომლებზედაც ადამიანი თავისი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ერევა, ბუნებრივი ნაყოფიერება ხელოვნურად გარდაიქმნება.

ხელოვნური ნაყოფიერება მიწაზე ადამიანის ზემოქმედების (დამუშავება, სასუქების შეტანა) პროდუქტია და იგი, ბუნებრივ ნაყოფიერებასთან ერთად, ქმნის ერთ მთლიანს. ამდენად პრაქტიკაში მათი გამოცალკევება ხშირად შეუძლებელი ხდება და მათ: როგორც წესი, ერთიანობაში განიხილავენ. ხელოვნური ნაყოფიერების მიხედვით ნიადაგები ერთმანეთისაგან განსხვავდება ქიმიური, ფიზიკური და სხვა თვისებებით. თავის მხრივ, ეს იწვევს საკვები ნივთიერებებისა და მცენარისათვის საჭირო წყლის შემცველობის სხვაობას.

ნიადაგის ნაყოფიერება არ ნიშნავს მის მწარმოებლურობას, ნიადაგში საკვები ნივთიერებები შეიძლება დიდი რაოდენობით იყოს, მაგრამ ისინი იყოს ძნელად შესათვისებელ ფორმაში. ეს თვისება დამახასიათებელია ხელოვნური ნაყოფიერებისათვის, რაც იმას გულისხმობს, რომ აუცილებელია საკვები ელემენტები შესათვისებელ ფორმაში მოვიყვანოთ. ამდენად ნიადაგის მწარმოებლურობას განსაზღვრავს ადამიანის სამეურნეო საქმიანობა. შრომისა და ტექნიკური შეიარაღების დონე, ნიადაგის განაყოფიერების გზები და სხვა პირობები.

ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის პრაქტიკამ დაადასტურა, რომ კულტურული მცენარეების მოვლა-მოყვანის დროს ადამიანი და თვით მცენარეები კეთილმყოფელურ გავლენას ახდენენ ნიადაგის ნიშან-თვისებებზე, მის სტრუქტურასა და მიკროორგანიზმებზე. თავის მხრივ, გაუმჯობესებულ ნიადაგში უკეთესი პირობები იქმნება ამ მცენარეთა ზრდა-განვითარებისათვის.

მიუხედავად ზოგადი ცნებისა ნიადაგის ნაყოფიერება განსაზღვრული პერიოდის სიდიდეა. ადამიანის ზემოქმედების შედეგად შექმნილი ხელოვნური ნაყოფიერება ერწყმის ბუნებრივს და ამით საქმე გვაქვს კონკრეტული დროის მონაკვეთის ნაყოფიერებასთან. სწორედ ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი, რამდენადაც მიწათმოქმედების კულტურა და მიწათმოქმედების უნარი გამოიყენოს მათი ერთიანობა. პროდუქციის მიღების განმსაზღვრელი პირობა და ეკონომიკური ნაყოფიერების არსია. იგი ნიადაგის ნაყოფიერებისა და საწარმოო ძალთა განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ერთიანობაა, როგორც კ. მარქსი აღნიშნავდა: ნაწილობრივ სამიწათმოქმედო ქიმიის განვითარებაზე, ნაწილობრივ სამიწათმოქმედო მექანიკის განვითარებაზე არის დამოკიდებული ის. თუ რამდენად შეძლებს ადამიანი ერთიანი ბუნებრივი ნაყოფიერების შემცველ ორ მიწის ნაკვეთს ნამდვილად გამოაღებინოს ეს ბუნებრივი ნაყოფიერება“¹.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ნაყოფიერება ისტორიული ცნებაა. ყოველ ფორმაციას და მის სტადიას შეესაბამება ნიადაგის ნაყოფიერების განსაზღვრული დონე, რაც განპირობებულია სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესით. მეცნიერების განვითარების შედეგად იხვეწება ნაყოფიერებაზე ზემოქმედების მეთოდები, ამით იზრდება მცენარის ზრდა-განვითარების ხელშემწყობი პირობები და ნიადაგი იძენს ახალ თვისებებს. მიუხედავად ამისა, მეცნიერებას არ შესწევს უნარი აღმოფხვრას ცალკეულ ნაკვეთს შორის განსხვავებანი ნიადაგის ნაყოფიერების მხრივ და გაათანაბროს ისინი. კ. მარქსი მიუთითებდა, რომ საზოგადოება საწარმოო ძალთა განვითარების შედეგად ზრდის ნიადაგის ნაყოფიერებას საერთოდ, მაგრამ ვერ სპობს ცალკეულ ნაკვეთს შორის უთანაბრობას. ამას იგი ხსნიდა საზოგადოებრივ წარმოებაში ახალი მიწების ჩართვითა და ფართობის ერთეულზე კაპიტალდაბანდებათა განსხვავებული სიდიდით.

ამდენად, ეკონომიკური ნაყოფიერება განიხილება როგორც აბსოლუტური, ისე შეფარდებითი. აბსოლუტური ნაყოფიერება გამოხატულებას პოულობს კონკრეტული ნაკვეთიდან მიღებულ მოსავლიანობაში, ხოლო შეფარდებითი-დანახარჯების ერთეულზე მიღებულ პროდუქციაში. სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი აღმავლობისათვის აუცილებელია როგორც აბსოლუტური, ისე შეფარდებითი ნაყოფიერების გათვალისწინება.

¹ კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. 2, თბ. 1959, გვ. 239.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა ასახავს წინადაგის აბსოლუტურ ნაყოფიერებას, მის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ კარგ და ცუდ მიწებზე საწარმოო ძალთა განვითარების არსებული დონის პირობებში. ამასთან, მოსავლიანობა, როგორც ნატურალური მაჩვენებელი, მთლიანად ვერ ასახავს წინადაგის ნაყოფიერებას, რადგან მასში არ ჩანს ცოცხალი და განვითარებული შრომის ხვედრითი წილი. ამ კატეგორიების გამოყოფა კი აუცილებელია ამა თუ იმ მიწაზე წარმოების შედეგის ასახვისათვის, რისთვისაც ღირებულებითი მაჩვენებლები გამოიყენება.

მიწათმოქმედებაში წარმოებული პროდუქციის სიდიდეზე გავლენას ახდენს როგორც ბუნებრივი, ისე ეკონომიკური პირობები, ანუ საწარმოო ფაქტორები. მიწის, როგორც სოფლის მეურნეობაში წარმოების ძირითადი საშუალების შეფასების დროს ისინი გათვალისწინებული უნდა იქნეს, რასაც წინადაგების ბონიტირებითა და მიწების ეკონომიკური შეფასებით აღწევენ. ამდენად, წინადაგის ბონიტირება და მიწების ეკონომიკური შეფასება ურთიერთდაკავშირებული მიწის შეფასების ერთიანი კომპლექსური სისტემის ნაწილია.

შეფასების ძირითადი ერთეული მიწათსარგებლობაა, ხოლო ძირითადი ელემენტი—სასოფლო-სამეურნეო სავარგული. შეფასების ამოსავალი ინფორმაციაა მიწათმოსარგებლეთა რეგისტრაციის, მიწების აღრიცხვის აეროფოტოგადაღებების, წინადაგური და გეობოტანიკური გამოკვლევების, მასობრივი სტატისტიკური და საბუხჩაალტრო-აღრიცხვის მასალები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებიდან გამომდინარე, საერთო-საკავშირო მეთოდით განსაზღვრულია მიწების შეფასების სახეები და ეტაპები, რაც შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: ა) მოსამზადებელი, ამოსავალი ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება; ბ) საშემფასებლო დარაიონება, წინადაგების საშემფასებლო (აგროსაწარმოო) დაჯგუფება. ბონიტირება; გ) საბაზისო მოსავლიანობისა და დანახარჯების განსაზღვრა საშემფასებლო რაიონების მიხედვით; დ) საშემფასებლო მაჩვენებლების (კრიტერიუმების) გაანგარიშება და სკალების შედგენა; ე) სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მიწების შეფასება; ვ) საშემფასებლო დოკუმენტაციის განხილვა-დამტკიცება; ზ) მიწის საშემფასებლო დოკუმენტაციის გამრავლება და მომხმარებლებზე გაცემა.

§2. მიწის საშემფასებლო დარაიონება

სსრ კავშირისა და ჩვენი რესპუბლიკის მასშტაბით ვერტიკალური და ჰორიზონტალური ზონალობა განსაზღვრავს ნიადაგური საფარისა და კლიმატური პირობების დიდ სიჭრელეს, რაც წარმოებისა და პროდუქციის მიღების მკვეთრად განსხვავებულ სურათს იძლევა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიწის ნაყოფიერებებს გამოვლენა-შეფასების აუცილებელი პირობაა ბუნებრივი და ეკონომიკური პირობების გათვალისწინება, რადგან ეს დიდ გავლენას ახდენს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობაზე და შესაბამისად, მთლიანად საწარმოთა სამეურნეო საქმიანობაზე. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მის შესრულებას ისეთი რეგიონებისათვის, რომლებიც ნიადაგურ-კლიმატური პირობების სიჭრელით გამოირჩევა. ამ დროს აუცილებელია მცირე ტერიტორიების (საშემფასებლო რაიონების) გამოყოფა. რომლებშიც ერთნაირი იქნება (ან დაახლოებით ერთნაირი) კლიმატური, ნიადაგური, ეკონომიკური და ორგანიზაციულ-სამეურნეო პირობები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საშემფასებლო დარაიონებაში იგულისხმება ერთნაირი ტერიტორიის გამოყოფა აგროკლიმატური, გეომორფოლოგიური, ნიადაგობრივი, სამელიორაციო, სპეციალიზაციისა და ინტენსიურობის დონის მიხედვით. ბუნებრივი სასოფლო-სამეურნეო (საშემფასებლო) დარაიონება ტარდება საკავშირო მეთოდის მიხედვით და ტერიტორიის დაყოფის მექანიკური სისტემაა, რომელშიც გათვალისწინებულია ბუნებრივი პირობებისა და რესურსების კანონზომიერი გადანაწილება მათი სოფლის მეურნეობაში გამოყენების თვალსაზრისით. ასეთი დაყოფა მიწის ტექსტონომიური ერთეულების, ხარისხის, ტექნოლოგიური პირობებისა და ეკონომიკური შეფასების სისტემაში. ბუნებრივი პირობებისა და რესურსების ტერიტორიული აღრიცხვის განსაკუთრებული ფორმაა. ამასთან, ემსახურება სასოფლო-სამეურნეო წარმოების სწორი გაადგილების, სოფლის მეურნეობის გაძლოლის რაციონალური სისტემების დამუშავების, ტერიტორიის ორგანიზაციის, აგრონომიული და ჰიდროტექნიკური სამელიორაციო ღონისძიებების განხორციელების ბუნებრივ-სამეცნიერო საფუძვლების დამუშავებას. მიწის კადასტრის სისტემაში კი ბუნებრივი სასოფლო-სამეურნეო დარაიონება გამოიყენება ქვეყნის მიწის ფონდის რაოდენობრივ-ხარისხობრივი აღრიცხვისა და ცალკეული რეგიონის მიხედვით მისი განაწილების გათვალისწინებით შეფასებისათვის.

სსრ კავშირის მიწის ფონდის ბუნებრივი სასოფლო-სამეურნეო

დარაიონების საკავშირო მეთოდის მიხედვით დარაიონების დროს ძირითადი მაჩვენებლებია: ა) სითბოთი, წყლით და საკვებით უზრუნველყოფა; ბ) ბიოქიმიური სამუარო; გ) რელიეფი; დ) ბუნებრივი მცენარეულობის თავისებურებანი; ე) მანენ ბუნებრივი მოვლენების განმეორების ალბათობა და ა. შ. დარაიონება მოიცავს შემდეგ ტაქსონომიურ ერთეულებს; ბუნებრივი სასოფლო-სამეურნეო სარტყელი, ბუნებრივი სასოფლო-სამეურნეო ზონა, ბუნებრივი სასოფლო-სამეურნეო პროვინცია, ბუნებრივი სასოფლო-სამეურნეო მთის ოლქი და საშემფასებლო (საკადასტრო) რაიონი.

ბუნებრივი სასოფლო-სამეურნეო სარტყელი დარაიონების ყველაზე დიდი ერთეულია და მისი გამოყოფა დაკავშირებულია სავეგეტაციო პერიოდის სითბოთი უზრუნველყოფასთან. ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე გამოყოფილია თბილი (სუბტროპიკული), ზომიერი და ცივი სარტყლები. სარტყელი ხასიათდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტიპის განსაზღვრელი ბუნებრივი პირობების კომპლექსით.

ბუნებრივი სასოფლო-სამეურნეო ზონა დარაიონების ძირითადი ერთეულია. იგი ხასიათდება ნიადაგთწარმოქმნელ პროცესებთან და მცენარის კვების თავისებურებებთან დაკავშირებული ნიადაგურ-კლიმატური პირობების კომპლექსით, ანუ სითბოთი და ტენით უზრუნველყოფით. მისთვის დამახასიათებელია კონკრეტული ნიადაგური და კლიმატური პირობები, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და გაძლოლია სისტემებს განსაზღვრავს. ზონაში გაბატონებულია ნიადაგებისა და მცენარეულის განსაზღვრული ტიპები და მათთვის დამახასიათებელი აგროტექნიკური და მელიორაციული ღონისძიებების სისტემები. ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე გამოყოფილია 14 ბუნებრივი სასოფლო-სამეურნეო ზონა.

ბუნებრივი სასოფლო-სამეურნეო პროვინცია ზონის ნაწილია და ხასიათდება ნიადაგური საფარის სპეციფიკური თავისებურებებით, რაც ზონის კლიმატთანაა დაკავშირებული; პროვინციები განსხვავდება ისეთი მნიშვნელოვანი აგროკლიმატური, ნიადაგური და ბიოლოგიური მაჩვენებლებით, როგორცაა: კლიმატის კონტინენტურობა, ნიადაგის გაყინვის სიღრმე, თოვლის საფარის სისქე. საშემოდგომო-საგაზაფხულო წაყინვების პერიოდები, სავეგეტაციო პერიოდში სითბოსა და ტენით უზრუნველყოფის ცვლილებები, ნიადაგების პირობები აგროტექნიკური რეჟიმი, ბიოლოგიური პროდუქტიულობის ცვლილებები და სხვ. საბჭოთა კავშირში სულ გამოყოფილია 44 პროვინცია.

ბუნებრივი სასოფლო-სამეურნეო დარაიონების სისტემაში ცალ-

ქვე გამოყოფილი მთის ოლქები და ისინი განიხილება, როგორც მიწების გამოყენებასა და განსაზღვრულ ზონალობასთან დაკავშირებული მთების ან ქვაბულების ორთოგრაფიული სისტემა. ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე გამოყოფილია ხუთი მთის ოლქი და 21 პროვინცია.

როგორც მე-2 ცხრილიდან ჩანს, ქვეყნის ზონებისა და პროვინციების მიხედვით მიწების, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გადანაწილებაში საკმაოდ მკვეთრი განსხვავებაა, რაც საბოლოოდ განსაზღვრავს მიწის საშემფასებლო სამუშაოების ჩატარების აუცილებლობასაც. საქართველო მოქცეულია მე-13 და მე-14 ზონის დაბლობისა და მთის ოლქებსა და პროვინციებში.

ცხრილი №2

სსრ კავშირის მიწის ფონდის დახასიათება ზონებისა და პროვინციების

მიხედვით (მლნ/მა)

№№	ზონები და პროვინციები	მთლიანი ფართობი	მთ შორის					
			სახაეი	გრაუნდ-ნაგავი	ნაკენი	საიბი	სამოვარი	სულ სსრ სამ. სეგარ-გული
1	2	3	4	5	6	7	8	9
1	არქტიკის და ტუნდრის ლებიანი ნიადაგების პოლარული ტუნდრის ზონა	197,8	0,005	—	—	0,035	0,26	0,066
2	ეწერ-ლებიანი და ყინვადი ტუნდრის ნიადაგების ტყე-ტუნდრის ჩრდილო ტაიგის ზონა	233,6	0,085	—	0,010	0,760	0,305	1,160
2+1	ევროპული ნაწილის პროვინცია	70,3	0,082	—	0,008	0,376	0,122	0,588
2-2	ციმბირის პროვინცია	62,6	0,003	—	0,002	0,337	0,128	0,470
2-3	ჩრდილო-აღმოსავლეთის პროვინცია	100,7	—	—	—	0,047	—	—
3	ეწერი და ტაიგის გამყინვარებული ნიადაგების შუა ტაიგის ზონა	222,9	1,176	—	0,136	3,542	1,682	6,536
3-1	ევროპული ნაწილის პროვინცია	47,9	1,027	—	0,090	1,136	0,699	2,952
3-2	დასავლეთ ციმბირის პროვინცია	46,6	0,021	—	0,010	1,475	0,161	1,667

1	2	3	4	5	6	7	8	9
3-3	შუა ციმბირის პროვინცია	45,1	0,019	—	0,006	0,028	0,023	0,081
3-4	ცენტრალური იაკუტიის პროვინცია	63,3	0,109	—	0,030	0,903	0,794	1,836
4	ნეშომპალა-ეწერი ნიადაგების სამხრეთ ტაივის ზონა	282,1	39,000	0,316	1,387	13,523	11,080	65,306
4-1	ბალტიისპირეთის პროვინცია	43,2	8,721	0,032	0,468	3,264	2,938	15,473
4-2	ბელორუსიის პროვინცია	27,0	8,426	0,146	0,021	2,530	2,131	13,254
4-3	შუა რუსეთის პროვინცია	68,3	16,647	0,081	0,659	4,541	4,118	26,446
4-4	დასავლეთ ციმბირის პროვინცია	61,1	1,606	—	0,137	1,262	0,724	3,729
4-5	შუა ციმბირის პროვინცია	31,0	1,179	—	0,027	0,302	0,287	1,755
4-6	შორეული აღმოსავლეთის სასალინიის პროვინცია	34,1	0,283	—	0,011	0,340	0,147	0,781
4-7	შორეული აღმოსავლეთის ამურია-უსურის პროვინცია	17,4	2,135	0,007	0,064	0,884	0,735	3,828
5	ტყის რუხი ნიადაგების გაეწრებულ, გამოტუტვილი და ტიპობრივი შავმიწების ჯეე-სტეპის ზონა	154,1	69,186	0,925	0,541	10,112	13,992	54,656
5-1	უკრაინის პროვინცია	26,4	16,728	0,546	0,014	1,252	1,441	19,931
5-2	შუა რუსეთის პროვინცია	59,5	24,055	0,318	0,118	1,536	3,351	29,378
5-3	წინა ურალის პროვინცია	24,1	10,522	0,030	0,019	0,955	2,271	13,802
5-4	დასავლეთ ციმბირის პროვინცია	38,7	10,720	0,021	0,223	4,356	4,458	19,817
5-5	წინა ალტაის პროვინცია	13,7	4,330	0,008	0,095	1,289	1,431	7,153
5-6	შუა ციმბირის პროვინცია	14,4	2,831	0,002	0,072	0,685	0,634	4,524
6	ჩვეულებრივი და სამხრეთ შავმიწების სტეპის ზონა	125,9	65,433	1,080	0,339	4,108	27,155	58,115
6-1	უკრაინის პროვინცია	21,0	13,882	0,639	0,014	0,182	2,173	16,890
6-2	წინა კავკასიის პროვინცია	13,8	9,165	0,303	0,005	0,247	1,478	11,199
6-3	სამხრეთ რუსეთის პროვინცია	15,9	9,685	0,058	0,006	0,351	2,818	12,962

1	2	3	4	5	6	7	8	9
6-4	ვოლკისპირეთის პროვინცია	13,6	7,619	0,011	0,018	0,501	3,597	11,46
6-5	ყაზახეთის პროვინცია	32,8	17,668	0,017	0,139	1,026	9,662	28,542
6-6	წინა ალტაის პროვინცია	8,9	4,540	0,009	0,053	0,734	1,552	6,888
6-7	აღმოსავლეთ ციმბირის პროვინცია	1,9	2,840	0,003	0,103	1,067	5,815	9,888
7	მუქი-წაბლისფერი და წაბლისფერი ნიადაგების მშრალი სტეპის ზონა	72,3	27,507	0,244	0,675	2,867	32,151	63,844
7-1	სამხრეთ უკრაინის პროვინცია	4,7	2,763	0,179	0,004	0,016	0,584	3,551
7-2	დონის პროვინცია	12,8	6,157	0,047	0,001	0,534	4,305	11,294
7-3	ვოლკისპირეთის პროვინცია	13,1	6,834	0,011	0,107	0,722	5,416	12,090
7-4	ყაზახეთის პროვინცია	41,7	13,148	0,007	0,553	1,545	21,646	36,909
8	ღია წაბლისფერი და რუხი ნიადაგების ნახევრად სტეპის ზონა	124,7	4,628	0,057	0,060	4,653	91,445	101,883
8-1	კასპიისპირა პროვინცია	43,3	2,611	0,055	0,268	3,290	33,679	39,903
8-2	შუა ყაზახეთის პროვინცია	76,4	2,017	0,002	0,332	1,363	57,766	61,480
9	რუხი ყავისფერი ნიადაგების ქვიშების ზონა	63,0	0,230	0,003	0,155	0,640	39,627	40,555
9-1	ურალ-კასპიისპირეთის პროვინცია	23,5	0,025	0,001	0,001	0,117	12,342	12,486
9-2	ურალ-ბალხაშეთის პროვინცია	39,5	0,205	0,002	0,054	0,585	27,285	28,059
10	ჩრდილოეთის რუხი და მთისწინა წაბლისფერი ნიადაგების მთისწინა ყაზახეთის ზონა	17,4	2,795	0,055	0,238	0,692	10,514	14,294
10-1	მთისწინა სამხრეთ ყაზახეთის პროვინცია	17,4	2,795	0,055	0,238	0,692	10,514	14,294
11	სამხრეთის რუხი ყავისფერი, თაყირისებრი ქვიშების და თაყირების სუბტროპიკული სტეპის ზონა	71,3	1,259	0,052	0,318	0,047	53,400	55,076

1	2	3	4	5	6	7	8	9
11-1	შუა აზიის პროვინცია	71,8	1,259	0,052	0,318	0,047	53,400	55,076
12	სამხრეთის რუხი ყავისფერი მთის ნახევრადსტეპის სუბტროპიკული ზონა	24,9	4,794	0,310	0,620	0,195	11,479	17,388
12-1	შუა აზიის პროვინცია	20,7	3,870	0,210	0,399	0,155	10,448	15,081
12-2	მტკვარ-არაქსის პროვინცია	4,2	0,924	0,100	0,222	0,030	1,031	2,307
13	რუხი ყავისფერი და ყავისფერი ნიადაგების ბუჩქნარ-სტეპის და ტყის მშრალი ზონა	2,4	0,583	0,123	0,053	0,025	0,663	1,447
13-1	სამხრეთ კავკასიის პროვინცია	2,4	0,583	0,123	0,053	0,025	0,663	1,447
14	ყვითელმწიფების და წითელმწიფების ტენიანი ტყის სუბტროპიკული ზონა	1,1	0,103	0,002	0,016	0,005	0,039	0,405
14-1	დასავლეთ საქართველოს პროვინცია	1,0	0,187	0,088	0,013	0,005	0,095	0,388
14-2	სამხრეთ აზერბაიჯანის პროვინცია	0,1	0,006	0,004	0,003	—	0,004	0,017
15	მთის ოლქები	637,2	9,114	0,559	0,642	5,761	32,562	49,638
15-1	კარპატების და კავკასიის მთის ოლქები	2,5	2,270	0,458	0,163	1,011	4,882	9,784
15-2	შუა აზიის მთის ოლქები	41,3	2,277	0,095	0,309	0,503	16,371	19,554
15-3	სამხრეთ ციმბირის მთის ოლქები	253,9	4,507	0,006	0,167	3,649	10,931	19,260
15-4	ჩრდილო ციმბირის მთის ოლქები	293,2	0,034	—	0,004	0,298	0,295	0,631
15-5	კამჩატკა-კურილიის მთის ოლქები	26,3	0,026	—	—	0,300	0,083	0,409

მიწების შეფასებისას აუცილებელია არა მარტო ბუნებრივი, არამედ ეკონომიკური პირობების გათვალისწინებაც, რისთვისაც წარმოებს საშემფასებლო (საკადასტრო) რაიონების გამოყოფა. საშემფასებლო რაიონი ოლქის მხარის და რესპუბლიკის ტერიტორიის ნაწილია, რომლისთვისაც დამახასიათებელია აგროკლიმატური, გეომორფოლო-

გური, ნიადაგური და სხვა პირობების მსგავსება, რომლებიც განსაზღვრავს სოფლის მეურნეობის წარმოების სპეციალიზაციასა და ინტენსიურობის დონეს. საშემფასებლო რაიონის გამოყოფისას მთავარია მთლიანი და სასაქონლო პროდუქცია, ნათესი ფართობების სტრუქტურა, წარმოების დანახარჯები, ძირითადი ფონდების მოცულობა და სტრუქტურა, სასუქებით უზრუნველყოფა, კულტურების შედგენილობა (ნათესი ფართობების სტრუქტურა), წარმოების ინტენსიურობისა და სარწყავ მიწათმოქმედებაში წყლით უზრუნველყოფის დონე. 1978 წელს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მოწონებული მიწის ფონდის დარაიონების სქემის მიხედვით შევადგინეთ იმ პერიოდისათვის მისაღები საქართველოს სსრ ტერიტორიის დარაიონების სქემა, რომელსაც საფუძვლად დაედო მ. საბაშვილის მიერ შედგენილი ნიადაგური დარაიონების სქემა (№ 2), მ. კორძაბიას მიერ შედგენილი რუკა, აკად. ა. ჯავახიშვილისა და მ. საბაშვილის მიერ შედგენილი საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული მხარეებისა და რაიონების სქემა (სქემა №4) და ნ. კეცხოველის მიერ შედგენილი აგრობოტანიკური რუკა (სქემა №5).

ზემოთ ჩამოთვლილი მასალების გამოყენებით და იმის გათვალისწინებით, რომ მიწის კადასტრის შედგენის დრო ძალიან შეზღუდული იყო, საქართველოს ტერიტორია მიწის შეფასების პირველი ეტაპისათვის პირობითად 12 საკადასტრო რაიონად დაყვავით (სქემა 6). ასეთი დაყოფა დაედო საფუძვლად 1977—1980 და 1980—1984 წლებში ჩატარებულ მიწების ეკონომიკურ შეფასებას.

რესპუბლიკის ტერიტორიის საშემფასებლო რაიონებად დაყოფას, ძირითადად, საფუძვლად დაედო კლიმატურ-ნიადაგობრივი და საწარმოო სპეციალიზაციის პირობები. კოლხეთის დაბლობის საშემფასებლო რაიონის ნიადაგების საფარის 51.7% ალუვიური ნიადაგებს უჭირავს, ხოლო ძირითადი დარგებია ჩაი და სუბტროპიკული მეხილეობა; აფხაზეთის საშემფასებლო რაიონში—ნეშომპალა-კარბონატული და ალუვიური ნიადაგები (37.0%) და სუბტროპიკული კულტურების და მეთამბაქოეობის ზონაა, აჭარის შავი ზღვისპირა საშემფასებლო რაიონში ალუვიური (46.8%) და წითელმიწა (18.1%), მეციტრუსეობისა და მეჩაიეობის ზონა, აჭარის მთიანეთის საშემფასებლო რაიონში-ტყის ყომრალი (98%) და მეთამბაქოეობა-მეცხოველეობის; ქ. თბილისის საგარეუბნო ზონის საშემფასებლო რაიონში—შავმიწა და შავმიწისებრი (24%), მებოსტნეობა-მერძეეობა; შიდა ქართლის დაბლობის საშემფასებლო რაიონში—ტყის ყავისფერი (33.4%), სამრეწველო მეხილეობა; კახეთის საშემფასებლო რაიონში—შავმიწა (36.3%), მევენახეობა, მეთამბაქოეობა, მარცვლეულის წარმოება; იმე-

რეთის მთიანეთის საშემფასებლო რაიონში ტყის ყომრალი (46,9%); მევენახეობა; რაჭა-ლეჩხუმის საშემფასებლო რაიონში—ნეშომპალა-კარბონატული (15.13%), მეცხოველეობა და მევენახეობა; აღმოსავლეთის მთიანეთის საშემფასებლო რაიონში—ტყის ყავისცერი (33,0%), მთის მეცხოველეობა; თრიალეთის, მთიანეთის საშემფასებლო რაიონში, მთის შავმიწა (73,4%), მეცხოველეობა მარცვლეულის წარმოებით; მესხეთის საშემფასებლო რაიონში—ტყის ყავისფერი (39,3%), მეცხოველეობა და მეკარტოფილეობა.

საშემფასებლო რაიონებში მიწების გამოყენების ხასიათი, წარმოების სპეციალიზაცია და სოფლის მეურნეობის წარმოების გაძლიერების სისტემები ტიპობრივია, ეს კი მიწის საშემფასებლო სამუშაოების ჩატარების საფუძველია. ამასთან, რესპუბლიკის რთული კლიმატურ-ნიადაგური პირობები დარაიონების სქემის სრულყოფას მოითხოვს, რაზედაც მიგვიბრუნებს სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის და ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და აგრომელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებმა. მითუმეტეს, რომ მიწის შეფასების შემდგომი ეტაპის შედეგები უნდა დაედოს საფუძვლად მე-12—ხუთწლედის გეგმების შედგენას, რაც სქემის სრულყოფის გარეშე შეუძლებელი იქნება მისი უზუსტობის გამო, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სსრ მიწის ფონდის დარაიონების სრულყოფილი და პრაქტიკულად გამოსაყენებელი სქემის შედგენა აუცილებელია სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ტიპიზაციის, მიწის კადასტრის შედგენის, მისი მონაცემების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების, ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების ღონისძიებათა გატარებისა და აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის სრულყოფისათვის.

წინამორბედი საკავშირო და რესპუბლიკური სქემების შედგენასა და გამოყენებასთან დაკავშირებული მოთხოვნებისა და სიძნელების გათვალისწინებით საქართველოს სსრ მიწის ფონდის ბუნებრივი სასოფლო-სამეურნეო დარაიონების სრულყოფილი სქემა ასეთი სახით უნდა იქნეს ჩამოყალიბებული (ცხრ. 3),

ზემო აღნიშნულ დოკუმენტებთან ერთად მიწის ფონდის დარაიონების ახალ სქემას საფუძვლად დაედო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში პროფ. დ. უკლებას მიერ შედგენილი რესპუბლიკის ფიზიკურ-გეოგრაფიული დარაიონების (სასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის) რუკა და სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ დამუშავებული რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის განახლებული ვარიანტი. ასეთი

საქართველოს სსრ მიწის ფონდის ხაყდასტრო დარაიონების სქემა

პროვინცია (საკავშირო დაყოფით)	საკადასტრო რაიონი	ადმინისტრაციული რაიონი
1	2	3
13. i—აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ბუნებრივების, სტეპებისა და მშრალი ტყეების	<p>1. ალაზნის დაბლობი, მთის ტყე-ველიანი, მუხენახეობის</p> <p>2. გარე კახეთის ვორაჯ-ბორცუვანი, მუხენახეობის და მეცხოველეობის</p> <p>3. ალაზნის დაბლობის მეთამბაქოეობისა და მეცხოველეობის</p> <p>4. ქვემო ქართლის დაბლობი, მთა-გორიანი, ყაფისფერი; თიხნარი, საგარეუბნო სოფლის მეურნეობის</p>	<p>ახმეტა, გურჯაანი, თელავი, ყვარელა</p> <p>საგარეჯო, წითელწყარო, სიღნაღი</p> <p>ლაკიძე</p> <p>გარდაბანი, მცხეთა, მარსეული, თეთრიწყარო, სოლისი, დუშეთი (არაკვიპირის დაბლობის ზონა)</p>
კავკასიონის მთა-მდელოვებისა და მთა-ტყის	<p>5. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი, მთის ტყე-ველი, მთის მეცხოველეობის</p> <p>6. თრიალეთის ქედი, მთა-მდელო, მთის მეცხოველეობისა და მეკავშირეობის</p> <p>7. შიდა ქართლის დაბლობი, მთა-ველის ტყიანი და მთის ტყიანი, სამრეწველო მუხილეობის</p> <p>8. მესხეთ-ყავახეთის ტყიანი ტყის მეცხოველეობისა და მუხილეობის</p>	<p>დუშეთი, თიანეთი, ყაზბეგი, საგარეჯო, (იერისხეობისა და ცეცხომბორის კალთები), თელავი (კეგომბორის ქედი), ახმეტა (კავკასიონის ქედი)</p> <p>ღმანისი, წალკა, ბოგდანოვკა, ახალქალაქი</p> <p>გორი, კასპი, ქარელი, ზაშერო</p> <p>ახალციხე, ასპინძა, აღიგენი, ბორჯომი</p>
14. I—დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკული, ტენიანი ტყეების	<p>9. კოლხეთის დაბლობის მთაგორიანი, თიხნარი წითელმიწები და ყუთელმიწები. ტენიანი სუბტროპიკების ჩათვლით, სუბტროპიკული ტყის ტენიანი</p>	<p>მხარაძე, ლანჩხუთი, ჩოქვაკე მთაგორიანი, თიხნარი, ხობი, ცხაკია, ზუგდიდი, წალენჯიხა, ჩხოყუთელმიწები. ტენიანი, რომეუ, სამტრედია, გუგუტსუბტროპიკების ჩათვლით, კორი, წულუკიძე, აბაშა, სუბტროპიკული ტენიანი, წყალტუბო</p>
კავკასიონის მთა-მდელოვებისა და მთა-ტყის	10. იმერეთის მთიანეთი, მთის ტენიანი და ტყიანი, მუხენახეობის	თერჯოლა, ზესტაფონი, ორბელიანი, საჩხერე, მაიაკოვსკი

1	2	3
	<p>11. დასაუღეთ საქართველოს მთიანეთი, მაღალმთიანი მთა-მდელოს, მთის რეცხოველეობის</p> <p>12. ლეჩხუმი; მაღალმთიანი, მთა-მდელოს, სამხრეთის ექსპოზიციის, მეცხოველეობისა და მეფეხანეთის</p>	<p>ონი, ლენტეხი, მესტია, ამბროლაური, გუგუქორი, წალენჯიხის და ტყიბულას მთის ზონა</p> <p>ცაგერი, ამბროლაური</p>
<p>14. 1. დასაუღეთ საქართველოს სუბტროპიკული ტყიანი ტყეების</p>	<p>13. აფხაზეთის ზღვისპირეთი, დაბლობი და მთისპირა წითელმიწები და ყვითელმიწები, მეჩაიეობისა და მეციტრუსეობის</p>	<p>გაგრა, გუდაუთა, სოხუმი, გულრიფში, ოჩამჩირის დაბლობი</p>
<p>კავკასიონის მთა-მდელო-ტყეებისა და მთა-ველების</p>	<p>14. აფხაზეთის მთიანეთი, მთის ტყიანი, სამხრეთ დასაუღეთის ექსპოზიციის, მეციტრუსეობა-მეთამბაქოეობის</p>	<p>გაგრის, გუდაუთის, სოხუმის, გულრიფშის და ოჩამჩირის მთიანეთი</p>
<p>14. 1—დასაუღეთ საქართველოს, ტყის ტყიანი სუბტროპიკული</p>	<p>აჭარის ზღვისპირეთი, დაბლობი და მთისპირეთი, თიხნარი წითელმიწები და ყვითელმიწები, მეციტრუსეობისა და მეჩაიეობის</p>	<p>ხელვაჩაური, ქობულეთი</p>
<p>კავკასიონის მთა-მდელო-ვენებისა და მთა-ტყის</p>	<p>16. აჭარის მთიანეთი, დასაუღეთის ტყიანი და ტყიანი, მეთამბაქოეობისა და მთის მეცხოველეობის</p>	<p>ქედა, ხულო, შუახევი</p>
<p>კავკასიონის მთა-მდელო-ტყეებისა და მთა-ველის</p>	<p>17. სამხრეთ ოსეთის დაბლობის სამხრეთის ტყისა და ჩუე-ველიანი, მუხილეობისა და მეცხოველეობის</p> <p>15. დასაუღეთის მაღალმთიანი მთა-მდელოს მეცხოველეობის და მუხილეობის</p>	<p>ცხინვალი, ლენინგორი, ზნაური</p> <p>ჯავა, ლენინგორი</p>

დაყოფა განპირობებულია რესპუბლიკის კლიმატური პირობებისა და ნიადაგური სპფარის სირთულით და მრავალფეროვნებით, რომელთა გათვალისწინება აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის გაუმჯობე-

სებისა და მიწების რაციონალურად გამოყენების გარანტიას იძლევა დარაიონების ასეთი სქემა უზრუნველყოფს მიწების შეფასების, საქარმოთა ტიპიზაციისა და სხვა ეკონომიკური საკითხების ოპტიმალურად გადაჭრას.

§ 8. ნიადაგების ბონიტირება

საშემფასებლო დარაიონების შემდეგ მიწის საკადასტრო სამუშაოების მალალხარისხოვნად ჩატარების აუცილებელი პირობაა ნიადაგების კვლევის მასალების საფუძველზე ჩატარებული საშემფასებლო ჯგუფების გამოყოფა ხაოსისობით აღგომეოების შეფასება. ამ მომენტს ნიადაგის, ნაყოფიერების შეფასების სისტემაში მაკონტროლებელი ფუნქცია ავლია და მიწის კადასტრის კომპლექსურ დოკუმენტაციაში ამ აპოკასას ნიადაგის პოზიტირება ასრულებს.

ცნება ბონიტირება ლათინური წარმოშობისაა „bonitas“ და ნიშნავს კეთილნაყოფიერს. გამომდინარე, ნიადაგის ბონიტირება ნიშნავს ნიადაგების კეთილნაყოფიერების განსაზღვრას, ანუ მისი ნაყოფიერების შეფასებას აგროტექნიკისა და მიწათმოქმედების კულტურის თანაბარ პირობებში. თანამედროვე გაგებით ბონიტირებაში იგულისხმება ნიადაგების კლასიფიკაცია აგროტექნოლოგიის მიხედვით. რაც სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობაზე მოქმედი ბუნებრივი ნიშან-თვისების საფუძველზე ხორციელდება. ბონიტირება ნიადაგების კვლევის გაგრძელებაა და ამ უკანასკნელთა აგრონომიული დაჯგუფების დაზუსტებული ვარიანტის სახით ნიადაგის ნაყოფიერება გადააყავს შეფასების მაჩვენებლებში-ბალებში. ბონიტირების საგანია ნიადაგი მკაცრად გამოსახული ტაქსონომიური ერთეულებით, რაც ხორციელდება ნიადაგების დეტალური კვლევის მასალების საფუძველზე. გამომდინარე, ნიადაგების ბონიტირების დროს შეფასების პირველადი საგანი ნიადაგის სახესხვაობაა, ტიპი ან აგროსაწარმოო (საშემფასებლო) ჯგუფი. ნიადაგების დაჯგუფების საფუძველია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობაზე მოქმედი ბუნებრივი ფაქტორები: რელიეფი, ნიადაგების განფენილობა, ტენიანობა და ა. შ.

ცალკეული სასოფლო-სამეურნეო კულტურა ნიადაგურ პირობებს განსხვავებულ მოთხოვნებს უყენებს. ამიტომ ნიადაგის ბონიტირება კონკრეტული კულტურების მიხედვით უნდა განხორციელდეს, რადგან ერთი კულტურისათვის ნიადაგის განსაზღვრული თვისებები

შეიძლება მაღალი ბალით შეფასდეს, ხოლო მეორესათვის პირიქით. ამასთან, შეფასება მართლ მოსაველიანობით არ ხორციელდება, რადგან ნიადაგის ხარისხთან ერთად მას ვანსაზღვრავს მკვლარის ზრდა-განვითარებისათვის საჭირო პირობები, აგროტექნიკის დონე, რე ეკონომიკური ხასიათის მაჩვენებლები.

ბონიტორების სარწმუნოების აუცილებელი პირობაა ნიადაგის ერთნაირი ჯგუფების მიერ შეფასების ობიექტურობის მიღება, რისთვისაც დება ბონიტორების სკალები. ისინი რიცხობრივი მონაცემების სისტემას, რომლებიც განსხვავებული ნაყოფიერების ნიადაგების მნიშვნელობას ასახავს, ნიადაგები ბონიტორებისათვის აღგენენ შეფასებებს, რომ სკალას აქ შირიხაღს—ნიადაგის ბუნებრივი ნიშან-თვისებების შეხედვით, მაკონტროლებელს—სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსაველიანობის მაჩვენებლებით.

ნიადაგების ბონიტორების მაღალ დონეზე ჩატარებისათვის გადაწყვეტილი მნიშვნელობა აქვს საშემთავებლო ნიშან-თვისებების შერჩევას ამ მიზნით უმჯობესად გამოიყენება მყარი ბუნებრივი და ნიადაგის კვატულტურების პრაქტიკაში შეჩენილი დეფინიციები, ნიადაგის მაკონტროლებელ სასოფლო-სამეურნეო კულტურების, მრავალწლიანი მონსაველიანობის მაჩვენებლებთან ერთად. ამასთან, დაცული უნდა იქნას პირობა ამ ნიშან-თვისებებისა და მოსაველიანობის კორელაციური დამოკიდებულების შესახებ. განსხვავებული ზონებისა და კულტურების, აგრეთვე აგროტექნიკის დონის დროს ერთნაირი დიაგნოსტიკური მაჩვენებლები მონსაველიანობასთან კორელაციური კავშირის არ იქნება.

ნიადაგების ბონიტორების საკითხების თეორიულ ასპექტში განილაგება დამკვირის საქმეში უდიდესი დამსახურება მიუძღვის გენეტიკური ნიადაგთმკონტროლის მამამთავარს ვ. დოკუჩაევს, რომლის მიწის შეფასების ისტორიულ-ბუნებრივი მეთოდის უდიდეს საფუძვლად დღევანდელ მეთოდებს. აგი შეიმუშავა ვ. დოკუჩაევის სახელობის ნიადაგთმკონტროლის ინსტიტუტმა, რომლის მიხედვითაც ბონიტორება განიხილება როგორც ნიადაგის ნაყოფიერების შეფასება აგროტექნიკისა და მიწათმოქმედების არსებული დონის პირობებში.

ნიადაგების ბონიტორების ჩასატარებლად საჭიროა: გაანგარიშებული იქნენ ცალკეულ ნიადაგის დიაგნოსტიკური მაჩვენებლების და ხასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსაველიანობის საშუალო სიდიდეები; შეირჩეს ძირითადი დამახასიათებელი დიაგნოსტიკური ნიშნ-

ბი; შედგეს შეფასების სკალები, რომლებიც განხილვისა და დამტკიცების შემდეგ მიწების შეფასების საფუძვლად იქნება აღებული.

საშუალო მაჩვენებლების გაანგარიშების და საერთოდ ბონიტორების საქმეში დღეისათვის ფართოდ გამოყენებული ნიადაგის ბუნებრივ ნიშან-თვისებებსა და მოსავლენობას შორის კორელაციური კავშირის დადგენის ყველაზე სრულყოფილი ნერხი მათემატიკურ-სტატისტიკური მეთოდი ელექტრონული-გამომავალი ტექნიკის გამოყენებით

შალკეულ რესპუბლიკასა, რეგიონსა და სამეფასებლო რაიონებში ნიადაგების ბონიტორების კრიტერიუმები განსხვავებულია, და სამუშაოებიც მათ შესაბამისად ტარდება. ერთადერთი ნიადაგში ჰუმუსის შემცველობაა, რომელიც საყოველთაო კრიტერიუმად აღიარებული ჩვენი ქვეყნის ყველა სარტყელში, ზონასა და რაიონში. ჰუმუსის მარაგს ანგარიშობენ ფორმულით:

$$H = \frac{100 \cdot ABP}{100}, \text{ სადა } C$$

H არის ჰუმუსის მარაგი ტ/ჰა-ობით გამოსახული;

A—ჰუმუსიანი ფენის სისქე მეტრობით;

B—ნიადაგის მოცულობითი წონა;

P—ჰუმუსის შემცველობა პროცენტობით;

საკვებ ნივთიერებათა მოძრავი ფორმები იანგარიშება ფორმულით:

$$N = 10\,000 \cdot ABK, \text{ სადა } C$$

N არის საკვებ ნივთიერებათა (აზოტის, ფოსფორის, კალიუმის)

მარაგი ჰა/კგ-ობით;

A—გენეზისური პორიზონტის სისქე მეტრობით;

B—ნიადაგის მოცულობითი წონა;

K—ნიადაგში ჰუმუსის შემცველობა პროცენტობით.

აღნიშნული და სხვა მაჩვენებლები საშუალო არითმეტიკული იანგარიშება: ამასთან, აუცილებლად დაკული უნდა იქნეს თვისებათა ვარიაციების ინტეი ვარიანტი, რომლის დროსაც რაოდენობრივი ცვლილებების თვისობრივში გადასვლა არ მოხდება, რაც ზოგჯერ აუცილებელს ხდის საშუალო კვადრატული გადახრის გაანგარიშებას.

ნიადაგის ნიშან-თვისებებსა და მოსავლიანობას შორის კორელაციური კავშირის გამოვლენის მათემატიკური დამუშავება და მასალების სარწმუნობის დადგენა იწყება ფორმულით:

$$M = \frac{\sum V}{n}, \text{ სადა } C$$

ΣV არის ყველა ვარიანტის ჯამი;

n —დაკვირვებათა რიცხვი.

თუ ჰუმუსის შემცველობის (ანალოგიურად სხვა კრიტერიუმის) დადგენას მთლიანად მეურნეობისათვის ვანხორციელებთ, მაშინ გამოიყენება საშუალო კვადრატული გადახრათა ფორმულა:

$$B = \pm \sqrt{\frac{\Sigma x^2}{n-1}} \quad \text{სადაც}$$

Σx^2 არის ყველა ვარიანტის გადახრათა კვადრატების ჯამი;

$n-1$ —დაკვირვებათა რიცხვი.

გარდა აღნიშნულისა, საჭიროა ცვალებადობის კოეფიციენტის - გაანგარიშება შეფარდებითი ცვალებადობის განსაზღვრისათვის, რაც ასეთი ფორმულით წარმოებს:

$$C = \pm \frac{100\sigma}{M} \quad \text{სადაც}$$

σ არის საშუალო კვადრატული გადახრა;

M —მაჩვენებლის საშუალო არითმეტიკული მნიშვნელობა.

საშუალო არითმეტიკულის სარწმუნოებისა და ტიპურობის განსაზღვრისათვის ანგარიშობენ მია საშუალო ცდომილებას:

$$M = \frac{\sigma}{\sqrt{\frac{1}{n}}}$$

ზოლო ამ მაჩვენებლის სიდიდეს საზღვრავენ ფორმულით:

$$M = \pm \frac{100M}{m} \quad \text{სადაც}$$

m არის საშუალო არითმეტიკულის საშუალო ცდომილება.

საშუალო არითმეტიკულის საიმედობის ხარისხის განსაზღვრისათვის გამოიყენება ფორმულა:

$$t = \frac{M}{m}$$

ამასთან, ეს უკანასკნელი ყოველთვის მეტი უნდა იყოს 3,0-ზე, ანუ სამმაგ ცდომილებაზე. როდესაც დაკვირვებათა რიცხვი 30-ზე ნაკლებია, საიმედობის ხარისხს ანგარიშობენ სტიუდენტის ცხრილით.

ობიექტის ყველა ნიადაგისათვის აღნიშნული ხერხით დიაგნოსტიკური მაჩვენებლების საშუალო სიდიდეების გაანგარიშების შემდეგ ყოველი მათგანისათვის გამოითვლება შეფასების ბალი. ამისათვის პირობითად უმაღლეს მაჩვენებლად, 100 ბალად, მიიღება საუკეთესო თვისებების მქონე ნიადაგი უმაღლესი მოსავლიანობის პირობებში, ამის მიხედვით გამოითვლება დანარჩენი ნიადაგების შეფასების მაჩვენებლებიც ფორმულით;

$$B = \frac{3_p}{3_m} \quad \text{სადაც}$$

B არის ნიადაგის ბონიტეტის ბალი;

3_p — ნიადაგის დიაგნოსტიკური მაჩვენებლების ფაქტობრივი მნიშვნელობა;

3_m — მაჩვენებლის მაქსიმალური, ანუ 100 ბალად აღებული (ეტალონური) მნიშვნელობა.

ამ მეთოდით ანგარიშობენ ყველა დიაგნოსტიკური მაჩვენებლის შეფასების სიდიდეებს.

ამის შემდეგ წარმოებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის მრავალწლიური (5—7) საშუალო შეწონილი სიდიდეების გაანგარიშება, რაც დიაგნოსტიკური მაჩვენებლების გაანგარიშების დროს გამოყენებული ფორმულითა და მეთოდით ხორციელდება.

ნიადაგების დიაგნოსტიკური მაჩვენებლების დაპირისპირება მოსავლიანობებთან მათ შორის კორელაციური კავშირის დამყარების საშუალებას იძლევა. იანგარიშება რა მათ შორის კორელაციის კოეფიციენტი (K_r). დიაგნოსტიკური მაჩვენებლებიდან შეირჩევა ისეთები, რომელთა მნიშვნელობა შეფარდებით მოსავლიანობასთან 0,51-ზე შეტია.

მიღებული მონაცემების საფუძველზე ადგენენ ნიადაგის ბონიტირების წინასწარ ანუ გაშლილ და შეკრულ სკალებს. გაშლილი სკალის შედგენის დროს 100 ბალად მიიღება საშემფასებლო რაიონში ყველაზე გავრცელებული ნიადაგი (ან ნიშან-თვისება), ხოლო შეკრულის დროს — ნიადაგის ნაყოფიერებაზე ყველაზე მეტად მოქმედი თვისება ან უმაღლესი მოსავლიანობა.

ნიადაგების ბუნებრივ ნიშან-თვისებებისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების საბონიტეტო სკალების საიმედობის შემოწმება შეიძლება ცალკეული მეურნეობის ფაქტობრივი და საანგარიშო მოსავლიანობის მაჩვენებლების გამოყენებით.

ნიადაგების ბონიტეტის განსაზღვრის (ბონიტარების) სკალების შედგენის დროს პრაქტიკაში ფართოდაა დანერგული ნიადაგის უაყოფითი თვისებებისა და ბუნებრივი ფაქტორების შემსწორებელი კოეფიციენტები. კერძოდ, თერმული რეჟიმისა და ატმოსფერული ნალექების, რელიეფის, ეროზიულობის, დაქვიანების, ტერიტორიის ტექნოლოგიური პირობების და სხვ.

ბონიტირების საწყისი და პასუხსაგები ეტაპია ნიადაგების საშემფასებლო (აგროსაწარმოო) დაჯგუფება მათი ნიშან-თვისებების მიხედვით, რომელიც ნიადაგების ტაქსონომიური ერთეულების გამოყოფის მიზნით უნდა შესრულდეს. ამასთან, ამ ერთეულებმა უნდა მოიცვას საშემფასებლო ტერიტორიის ძირითადი (უდიდესი) ნაწილი.

ნიადაგების ბონიტირების პირველი მეთოდი და ვარიანტი ჩვენს ქვეყანაში 1958 წელს დაამუშავა აკადემიკოსმა ს. სობოლევმა, რომელიც მოიწონა ვ. დოკუჩაევის სახელობის ნიადაგების ინსტიტუტმა და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 1963 წელს დამტკიცა წარმოებაში გამოსაცდელად. განსაზღვრული პერიოდისა და გამოცდის შემდეგ 1967 წელს ს. სობოლევის ხელმძღვანელობით იქნა შედგენილი საკავშირო ინსტრუქცია ნიადაგების ბონიტირების (ხარისხობრივი) შეფასების შესახებ.

გარდა აღნიშნულისა, ნიადაგების ბონიტირების მეთოდების სრულყოფისათვის საკმაოდ დიდი მნიშვნელობის სამუშაოები აქვს შესრულებული მოსკოვის ვ. ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტს, ა. ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიას, ლატვიის, ლიტვის, ებტონეთის, ბელორუსიის, უკრაინის, მოლდავეთის, უზბეკეთისა და ყირგიზეთის რესპუბლიკებს. ლენინგრადის, ომსკის, როსტოვის და ნოვოსიბირსკის ოლქების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და ცალკეულ მკვლევარს.

მოსკოვის ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ შესრულებული კვლევითი სამუშაოები უდევს საფუძვლად ვ. დოკუჩაევის სახელობის ნიადაგების ინსტიტუტის მიერ შედგენილ მეთოდებს, რომელიც ისტორიულ-ბუნებრივ მეთოდს ემყარება. ამ მეთოდით ბონიტირების სამუშაოები დაყოფილია სამ ეტაპად: მრსამზადებელ-კამერალური, მინდვრის და ანალიტიკური, შეფასების საგნად მიღებულია ნიადაგების სახესხვაობები ან მათი ჯგუფები, ხოლო შეფასების ძირითად კრიტერიუმებად ნიადაგების ბუნებრივი ნიშან-თვისებები სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლანობებთან კორელაციურ კავშირში.

ა. ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის მიერ შესრულებული საცდელი სამუშაოების დროს ეკონომიკურ-სტა-

ტიტიკური მეთოდებით ტარდებოდა ნიადაგების ხარისხსა, კლიმატსა და მოსავლიანობებს შორის კორელაციური კავშირის გამოვლენა.

ლატვიის რესპუბლიკაში ნიადაგების ბონიტირებას საკმაოდ წარმატებით ახორციელებენ 60-იანი წლებსა დასაწყისიდან. ბონიტირების ძირითადი პრინციპები ასეთია: ა) მიწებს აფასებენ სავარგულების მიხედვით; ბ) მიწების ხარისხს აფასებენ ნიადაგის ბუნებრივი თვისებებით; გ) შეფასებას ბალური სისტემებით ატარებენ, ხოლო მიწებს ყოფენ 10 კლასად.

ლიტვანია ნიადაგების ბონიტირებას აწარმოებს მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. ნიადაგების შეფასებას დროს ითვალისწინებენ წარლკობიანობას, რელიეფს და დაქვიანებას; სკალების შესადგენად, ძირითადად იღებენ ჰუმუსიანი ფენის სისქეს, ჰუმუსის მარაგს, ნიადაგთწარმოქმნელ ქანებს, მექანიკურ შედგენილობასა და მეავიანობას ეროზირებისა და ტენიანობის ხარისხს. რესპუბლიკის ნიადაგების ბონიტირების სკალა შედგენილია ნიადაგების გენეტიკურ-საწარმო მანკენებლებსა და მოსავლიანობისთან კორელაციური კავშირის გამოვლენით. ლიტვის ნიადაგების ბონიტირების მეთოდი საკმაოდ გამარტივებულია და ემყარება ნიადაგების დასახელებას, დედაქანის წარმოშობას, ჰუმუსის შემცველობასა და ნიადაგის სიღრმეს.

ესტონეთის რესპუბლიკაში ნიადაგების ბონიტირების მეთოდიკა ლატვიისა და ლიტვის მსგავსია. ნიადაგის მწარმოებულობის შეფასებას მარტო ნიადაგის ბუნებრივი ნიშან-თვისებების (ჰუმუსის შემცველობა, მექანიკური შედგენილობა, წყლის რეჟიმი და ა. შ.) მიხედვით ბონიტირებას უწოდებენ. შეფასებისათვის ნიადაგები 10 კლასადაა დაყოფილი. ბუნებრივი თვისებების მიხედვით შედგენილი სკალების სიზუსტეს ამოწმებენ მოსავლიანობის მიხედვით მიღებული შესაბამისი მაჩვენებლებით. გამოიყენება აგრეთვე შესწორების კოეფიციენტები რელიეფის, დაქანებაზე, ეროზირებასა და სხვა თვისებებზე.

ბელორუსიაში ნიადაგების ბონიტირებას აწარმოებენ შინაგანი თვისებებით მარცვლული კულტურების მოსავლიანობასთან კორელაციაში. ბონიტირების ობიექტად იღებენ ნიადაგების ტიპებსა და სახესხვაობებს. შეფასების დროს ითვალისწინებენ ნიადაგის ზედაპირულ ფენას და დედაქანს. ცალკეული თვისების საბონიტეტო ბალისა და ნიადაგის სახესხვაობების ფართობის საფუძველზე ადგენენ საშუალო შეწონილ ბალებს. ცალკეული კულტურისათვის. ამავე მეთოდით აფასებენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მთლიან ფართობებს. სათიბ-საძოვრებს აფასებენ მათი პროდუქტიულობის სახნავის პროდუქტიულობასთან შეფარდების საფუძველზე. კერძოდ

მიღებულია, რომ 1 ც თივა 0.50 საკვებ ერთეულს შეიცავს, ხოლო სახნავის ერთი 100 ბალიანი ჰა 25 საკვები ერთეულის ტოლია.

გამომდინარე, ნიადაგების შეფასების განსაზღვრისათვის აუცილებელია ნიადაგის დასახელება, მექანიკური შედგენილობა, დედაქანი, საშუალო წლიური ტემპერატურა და ნალექების რაოდენობა, რელიეფი, კონტურიანობა, დაქვიანებისა და ეროზიის ხარისხი.

რესპუბლიკაში ნიადაგების შეფასების (ბონიტირების) სამუშაოები სამ ეტაპად ჩატარდა და იმდენად საიმედო მონაცემები მიიღეს, რომ ფართოდ გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის და პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის გეგმების განსაზღვრის და რიგი სხვა ეკონომიკური საკითხის ოპტიმალურად გადასაჭრელად.

უკრაინის ბევრ ოლქსა და რაიონში ნიადაგების ბონიტირება ჩატარებულია ა. სოკოლოვსკის სახელობის ნიადაგთმცოდნეობისა და აგროქიმიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ შედგენილი მეთოდით. სხვა მეთოდებისაგან განსხვავებით აქ შეფასების საგანია ნიადაგის აგროსაწარმოო ჯგუფი, ხოლო კრიტერიუმად გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა. ყოველგვარი მასალის დამუშავება წარმოებს მათემატიკურ-სტატისტიკური მეთოდებით ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების გამოყენებით. ასბალიანი სისტემის დროს უმაღლესი შეფასება ეძლევა ყველაზე მაღალმოსავლიან ნიადაგს იმის მიუხედავად, თუ რომელ რაიონში მდებარეობს იგი. ნიადაგების ბონიტეტის, ნათესი ფართობების სტრუქტურისა და გარე მიერ დამუშავებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მარცვლეულში გადასაყვანი კოფეციენტების გამოყენებით ანგარიშობენ სამედეგო ბონიტირების კრიტერიუმებს, რაც ცალკეული მეცნიერების კრიტიკის საგანია.

მოდღვეთში ნიადაგების ბონიტირება „მოდღვეთის“ ჩაატარა, რომელსაც მეთოდურ ხელმძღვანელობას რესპუბლიკის ნიადაგთმცოდნეობისა და აგროქიმიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი უწევდა. ბონიტეტის ბალები გამოთვლილია ნიადაგების იმ თვისებებით, რომლებიც კავშირშია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობასთან მიწათმოქმედების განსაზღვრული დონის პირობებში.

ნიადაგები, ძირითადად, შეფასებულია ისეთი ბუნებრივი თვისებებით როგორცაა ჰუმუსის შემცველობა, აზოტი პროფილში, მისი მარაგი ტჰა-ობით 1 მ-ის სიღრმეზე, შთანთქმული ფუძეების ჯამი, ნიადაგის რეაქცია. როგორც სხვა რესპუბლიკაში, აქაც ორი სკალაა შედგენილი: ნიადაგების ბუნებრივი თვისებებისა და სასოფლო-სამეურ-

ნეთ კულტურების მოსავლიანობების მიხედვით. ბონიტირების მთელი მასალები გაფორმებულია ცხრილებისა და რუკების სახით მინდვრების, ბრიგადების, მეურნეობების და ადმინისტრაციული რაიონებისათვის.

უზბეკეთის რესპუბლიკაში ნიადაგების ბონიტირებას აწარმოებენ ნიადაგის ბუნებრივი და გამოყენების პერიოდში შექმნილი თვისებებით. ძირითად კულტურად იღებენ ბამბას სარწყავი მიწათმოქმედების პირობებში. შეფასების დროს ითვალისწინებენ ნიადაგის გუნეტრკას, რწყვას, მექანიკურ შედგენილობას. გაკულტურებას, დედაქანს, დამლაშებისა და ეროზიის ხარისხს. რესპუბლიკის ნიადაგების ბონიტირების მეთოდის გამოიჩინება სხვა ანალოგიური მეთოდებთანაგან იმით, რომ მხედველობაში ღებულობენ გასარწყავების ხანგრძლივობას (ღიღი ხნის სარწყავი, ახლადგასარწყავებული) და გაკულტურების დონეს. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ უკანასკნელს, რადგან გაკულტურება მთლიანად ცვლის საშემფასებლო თვისებებს, რაც გამოხატულებას პოვებს ბამბის მოსავლიანობაში, გარდა ამისა, ნიადაგების ბონიტირების დროს შემოღებულია შესწორების კოეფიციენტები ნიადაგის მექანიკურ შედგენილობაზე, მათ ჩარეცხვასა და დამლაშების ხარისხზე, რასაც სარწყავი მიწათმოქმედებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

ყირგიზეთის რესპუბლიკაში ნიადაგების ბონიტირებას აწარმოებენ აკად. ა. მამიტოვის ხელმძღვანელობით შემუშავებული მეთოდით. ბონიტირების ძირითად მაჩვენებლებად აღებულია ჰუმუსის, აზოტის, ფოსფორის, კალიუმის შემცველობა და შთანქმული ფუძეების ჯამი 0,50 სმ სიღრმეზე. მათთან ერთად გაითვალისწინება კლიმატური პირობები: 10-ზე ზევით ტემპერატურათა ჯამი და წლიური ნალექები. კორელაციური კავშირის დასამყარებლად სკალებს ადგენენ ძირითადი კულტურების მოსავლიანობით. ბუნებრივი საკვები სავარგულების შეფასების დროს გაითვალისწინება ეროზირებისა და დაქვიანების ხარისხი.

საინტერესო მუშაობაა ჩატარებული ლენინგრადის ოლქში. ნ ბლაგოვიდოვის ხელმძღვანელობით. მის მიერ შემუშავებული მეთოდით ბონიტირების საფუძვლად აღებულია ნიადაგების ბუნებრივი ნიშნები და აგრონომიული ცდების შედეგები. ბონიტეტი კი ნიადაგის ნაყოფიერებაზე, კულტურის მოსავლიანობასა და მიწათმოქმედების დანახარჯებზე მოქმედი ნიადაგის თვისებების საფუძველზე მისი ხარისხის შეფარდებითი სიდიდით გამოვლინდება.

ნიადაგების საშემფასებლო (აგროსაწარმო) დაჯგუფება წარმო-

ებს მათი გენეტიკური კლასიფიკაციის, სისტემატიკური სიის დიაგნოსტიკური მაჩვენებლებისა და აგრონომიული დახასიათების საფუძველზე. ამასთან გაითვალისწინება ნიადაგების გაკულტურების დონე-ბონიტარების დროს ძირითადი მაჩვენებლებია; ნიადაგთწარმოქმნელი ქანები, მექანიკური შედგენილობა, ჰუმუსის შემცველობა, რეაქცია, სახნავი ფენის სისქე და ნიადაგის პროფილის აგებულება;

როსტოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დამუშავებული მეთოდით ტარდება ქვემო დონისა და ჩრდილო კავკასიის ნიადაგების ბონიტარება, ეს რეგიონი ქვეყნის მასშტაბით მარცვლეულის და ტექნიკური კულტურების ერთ-ერთი ძირითადი მწარმოებელია, ამიტომ აქ დამუშავებულ მეთოდებს დიდი მნიშვნელობა აქვს. კერძოდ ნიადაგების ბონიტარების ერთ-ერთი თანამედროვე მამამთავრის თ. გარბოვსკის მიერ დამუშავებული მეთოდი ძველ კავშირშია გამოყენებული. მის მიერ აღნიშნულ რეგონის ნიადაგების შეფასების ძირითად გენეტიკურ მაჩვენებლებად გამოყენებული იყო ჰუმუსის საერთო სისქე და ჰუმუსის მარაგი მთელ პორიზონტში. ამ მაჩვენებლების კავშირი ძირითადი კულტურების მოსავლიანობებთან დადგინდა მრავალი წლის უშუალო დაკვირვებების შედეგად ამასთან დადგინეს რომ მარცვლეულის თვითღირებულებაც ნიადაგის ნაყოფიერებასთანაა დაკავშირებული.

ნიადაგებს შეფასებისათვის აღგზნენ სამუშაო სკალას, რიხთვისაც ცალკეული ნიადაგის ტიპებისათვის განსხვავებულად კრიტერიუმებზე შერჩეული დაკვირვებათა შედეგების გამოყენებით ამ სკალის შონაცვლებს საფუძველზე კი ადგენენ საშემფასებლო სკალებს. რომლებსაც შემდეგ ამოწმებენ ხორბლის, მზესუმზირისა და საშარცვლე სომინდის მოსავლიანობების მიხედვით შედგენილი სკალების საშუალებით.

გარკვეული მუშაობა აქვს ჩატარებული ნიადაგების ბონიტარების საკითხში აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკებს, რომელთა მეთოდებიც დოკუმენტის ბუნებრივ-ისტორიულ შესწავლას პრინციპებს ემყარება.

საქართველოში ნიადაგების ბონიტარების მეთოდოლოგიური საკითხების გადასაჭრელად განსაზღვრული სამუშაო აქვს შესრულებული საქართველოს ნიადაგმცოდნეობის ინსტიტუტს, რომელშიც 60-იანი წლებიდან ტარდება მიმართებით მეცნიერული კვლევა, აქვე შედგა ნიადაგების სარისხობრივი შეფასების დროებითი მეთოდური მითითებანი. მასში განხილულია რესპუბლიკის რთული ნიადაგურ-კლიმატური პირობებისათვის ნიადაგების ბონიტარების თავისებურებანი, მიზნები და შეფასების კრიტერიუმები, რაც ბუნებრივი პირო-

ბებისა და საწარმოო სპეციალიზაციის მიხედვით დარაიონების შესაბამისად და შესრულებული. მაგალითად: ვარე კახეთის ზონისათვის ძირითად კრიტერიუმებად დადგენილია ჰუმუსის შემცველობა; შთანთქმული ფუძეების ჯამი, ფიზიკური თიხისა და ლამის ფრაქციის შემცველობა, ხოლო სუბტროპიკული კულტურებისა და მეჩაიობის გვარჯინებისათვის მუქისა შემცველობა, შთანთქმული ფუძეთა ჯამი, გაცნობილი მკვანძისა და ა. შ.

ნაკლებად გავრცელებული ნიადაგების შეფასება აუცილებლად მოითხოვს დიაგნოსტიკური მაჩვენებლების განსაზღვრის მიზნით საველე პირობებში ნიადაგური ჭრილების გაკეთებას და მოსავლიანობის დადგენას მინდორში აღრიცხვით.

მეთოდის გამოყენებისას ნიადაგის ხარისხზე მოქმედი უარყოფითი მოვლენების ეროზიების, დაქვიანების, კლიმატის ტექნოლოგიური პირობების და რელიეფის შემსწორებელი კოეფიციენტები ეროზიების ხარისხისათვის სუსტად, ძლიერ და უძლიერესად ეროზირებულის მიხედვით შესაბამისად 0,8-0,6 და 0,4 კოეფიციენტებია: სუსტად, საშუალოდ, ძლიერ მეტად ქვიანი ნიადაგებისათვის 0,95; 0,85; 0,75 და 0,45 დახრილობაზე (2—5) 0,95; (5—10) 0,90; (10—15) 0,80 და (15—20)—0,70 და ა. შ.

გარდა აღნიშნულისა მეთოდურ მითითებებში განხილულია ზონალური (რაიონული) საშემფასებლო სკალების სისწორის შემოწმების, ცალკეულ მეურნეობათა ნიადაგების ბონიტორებისა და მათი საწარმოო საქმიანობის შეფასების საკითხები.

ამასთან, მეთოდურ მითითებებში აღნიშნულია, რომ მეთოდის გამოყენებისას საშემფასებლო მაჩვენებლების დადგენის სხვა საშუალებებია ამორჩევის და ხერხების დადგენას, რადგან ასეთი არჩევს და მისი გამოყენება დამოკიდებულია ბუნებრივი პირობების თაღისებურებაზე, მიწათმოქმედების ხერხებზე და არსებულ საწყისი მასალების სისრულეზე და ხასიათზე. ამდენად ბონიტორების საშუაროების ხარისხს, ძირითადად განსაზღვრავს ნიადაგების გამოკვლევება და სხვა მასალებზე შემოქმედებითი მიდგომა, რამაც უნდა უზრუნველყოს ცალკეული რეგიონისათვის საშემფასებლო კრიტერიუმებისა და ნიადაგის ნაყოფიერებაზე უარყოფითად მოქმედი ლოკალური ბუნებრივი ფაქტორების შემსწორებელი კოეფიციენტები. ეს მოსახრება მთლიანად დამდინსტურა იღნიშნული მეთოდის და მისი ერთგვარი ავტორის რ. პაპისოვის მონაწილეობით რესპუბლიკური მიწათმოქმედების საპროექტო ინსტიტუტში შესრულებულმა სამუშაოებმა. გასული წლების ნიადაგური კვლევის მასალები მთლიანად ექრ-აკმაყოფილებს

ბონიტორების მოთხოვნებს, რაც მათ განახლებას მოითხოვს. ეს კი მეტად რთული შრომატევადი სამუშაოა და დიდ დროსა და მატერიალურ სახსრებთანაა დაკავშირებული.

§ 4. შიშის ეკონომიკური შეფასების ცნება და უინაარსი

ნიადავის ბონიტორება მათი შეფარდებითი ნაყოფიერების განსაზღვრაა ბუნებრივი ნიშან-თვისებების მიხედვით. ამასთან, აქ გათვალისწინებული არაა ეკონომიკური მაჩვენებლები, რომლებიც წარმოების საბოლოო შედეგებზე ახდენს გავლენას. ამ ამოცანას ანზორციელებს მიწის ეკონომიკური შეფასება, რომელიც იძლევა ნიადავის ნაყოფიერების რაოდენობრივ დახასიათებას ეკონომიკური მაჩვენებლების გამოყენებით.

ამდენად, მიწის ეკონომიკურ შეფასებაში იგულისხმება როგორც სოფლის მეურნეობის წარმოების ძირითადი საშუალების, მიწის ზარისხის განსაზღვრა ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით.

ნიადავების ბონიტორება და მიწების ეკონომიკური შეფასება ურთიერთდაკავშირებულია და ერთი საკითხის ორი მხარეა. ამასთან, მათ ახასიათებს რიგი პრინციპულად განსხვავებული თავისებურებებიც. კერძოდ, მიწის ეკონომიკურმა შეფასებამ ზუსტად უნდა ასახოს რაოდენობრივად მიწების განსხვავებული ნაყოფიერება, რაც საწარმოო ძალთა განვითარებისა და წარმოების ინტენსიურობის დონითაა შექმნილი. მიწის შეფასება, აღნიშნულიდან გამომდინარე, მიწის რენტის თეორიის მარქსისტულ-ლენინური გაგებიდან უნდა წარმოებდეს, რაც გულისხმობს მიწის კონკრეტული ნაყოფიერების ასახვას;

სოციალიზმის პირობებში მიწის ეკონომიკური შეფასების მიზნები და ამოცანები განსხვავდება კაპიტალიზმისდროინდელი ანალოგიური მაჩვენებლებიდან. სოციალიზმის დროს მიწის შეფასება ხელს უწყობს ისეთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური ამოცანების გადაჭრას, როგორცაა სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაგეგმვისა და ორგანიზაციის სრულყოფა (შესყიდვისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობების სწორი დაგეგმვა, გადაადგილებებისა და სპეციალიზაციის მეცნიერულად დასაბუთება და სხვ.).

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიწის ნაყოფიერება ასახვას პოულობს მიღებულ პროდუქციაში. რომლის საწარმოებლად საზოგადოების განვითარებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განსხვავებულ ეტაპებზე არათანაბარი დანახარჯებია საჭირო. პროდუქციის ერთეულზე გაწეული დანახარჯები ეკონომიკურად გამოხატავს ნიადა-

გის ნაყოფიერებას, ანუ იგი განისაზღვრება ერთნაირი დანახარჯებით. მეთოდოლოგიური დებულება, რომ თანაბარი დანახარჯების პირობებში მაღალნაყოფიერია მიწა, რომელიც მეტ პროდუქციას იძლევა, მიწის ეკონომიკური შეფასების არსი და საფუძველია. ეს დებულება გამომდინარეობს მარქსის მიწის რენტის თეორიიდან, რის მიხედვითაც წარმოების ინდივიდუალური ფასები გახდა ნიადაგის განსხვავებული ნაყოფიერების დადგენის წყარო.

ცნობილია, რომ დამატებითი დაბანდებების, გაძლოლის სისტემების სრულყოფის, აგროტექნიკის გაუმჯობესებისა და სხვა ღონისძიებების გატარების შედეგად შედარებით ცუდ მიწებზე მაღალ შედეგებს აღწევენ და პირიქით, კარგ მიწებზე უყაირათიანობისა და მეურნეობრიობის დაბალი ღონის დროს მეურნეობები ზარალიანია. გამოიმდინარე, პროდუქციის გამოსავლიანობით მიწის ხარისხის შეფასება არ არის გამართლებული, თუ გათვალისწინებული არ იქნა წარმოების დანახარჯები. ამასთან, მეცნიერებაში დავა იყო თუ როგორი დანახარჯები უნდა იქნეს შეფასებული. ისიც მხედველობაშია მისაღები, რომ თანაბარი ნაყოფიერების ნიადაგებზე დანახარჯები შეიძლება განსხვავებული იყოს, მათი ადგილმდებარეობის გამო, ერთნაირი წარმოების პირობებშიც კი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აქ მარქსის რენტის თეორიას უნდა დავეყრდნოთ, რაც გულისხმობს წარმოების საშუალო, ანუ ნორმალური დანახარჯების გამოყენებას, ნორმალური დანახარჯების სიდიდე საწარმოო ძალთა განვითარების შედეგად იცვლება და შესაბამისად იწვევს ნაყოფიერების ზრდასაც. დანახარჯები, რომლებიც გაწეულია კონკრეტული ხარისხის მიწების გამოყენების დროს, განსაზღვრავს მიწათმოქმედების არსებული ღონისათვის საჭირო საზოგადოებრივი დანახარჯების სიდიდეს. აქ იგულისხმება როგორც ნიადაგის ნაყოფიერების, ისე მისი განსხვავებული ადგილმდებარეობის პირობები, რომლებიც ქმნის მიწის დიფერენციულ რენტას.

ა) მიწის ეკონომიკური შეფასების ობიექტი, საგანი და მაჩვენებლები.

მიწის ეკონომიკური შეფასების დროს თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი საკითხებია შეფასების საგნის, ობიექტის და მაჩვენებლების სწორი შერჩევა და განსაზღვრა.

მარქსის რენტის თეორიიდან გამომდინარე, მიწის ეკონომიკური შეფასების ობიექტია ერთიანი სახელმწიფო მიწის ფონდი, რომელიც იყოფა მიწათსარგებლობის კატეგორიებად და სასოფლო-სამეურნეო-სავარგულებად. ამ უკანასკნელთა მიხედვით ტარდება მიწის შეფასე-

ბის მთელი სამუშაოები. შეფასების საგანი კი არის ნიადაგის ნაყოფიერება, რომელიც საშემფასებლო ძირითად ერთეულებში აგროსაწარმოო ჯგუფში, ნიადაგების სახესხვაობებში, მიწის კლასებსა და ქვეკლასებში აისახება.

ყველაზე მნიშვნელოვანი კი მაინც შეფასების მაჩვენებელთა შერჩევაა, რაც განსაზღვრავს შეფასების მეთოდის სიზუსტეს და მიღებული მონაცემების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების შესაძლებლობას. შეფასების ერთეულების შერჩევას განსაზღვრავს მიწის შეფასების მაჩვენებელთა გამოყენების არეალი. რადგან სოციალიზმის დროს მიწის ეკონომიკური შეფასების მაჩვენებლები ბევრი რთული ამოცანის გადასაჭრელად გამოიყენება, ამიტომ საჭიროა შეფასების ურთიერთდაკავშირებულ მაჩვენებელთა სისტემა. ამ უკანასკნელის ყოველი მაჩვენებელი ასახავს მიწის რომელიმე ხარისხობრივ მაჩვენებელს, მის რომელიმე მხარეს ერთიანობაში კი იძლევა მიწის ნაყოფიერების მთლიან სურათი, ამასთან მიწის ეკონომიკური შეფასების მაჩვენებლები ზუსტად უნდა ასახავდეს შეფასების საგანს და ჰქონდეს პრაქტიკული ღირებულება.

მიწის ეკონომიკური შეფასების დანიშნულებიდან გამომდინარე, მაჩვენებლები შეიძლება იყოს: ნატურალური და ღირებულებითა. ნატურალური მაჩვენებლებით მიწის შეფასებას განსაზღვრავს სოციალიზმის დროს მისი, როგორც წარმოების ძირითადი საშუალების, ურთიერთშედარების აუცილებლობა. ხოლო სოციალიზმის დროს არსებული ფულად-მატერიალური ურთიერთობანი განსაზღვრავს მიწის შეფასებაში ღირებულებითი მაჩვენებლების გამოყენების აუცილებლობას.

მიწის შეფასების ნატურალური მაჩვენებელი არის 'ასოფლოსამეურნეო კულტურების მოსავლიანობა რამდენადაც მოსავლიანობა ნიადაგის ნაყოფიერებას ასახავს მხოლოდ თანაბარი დანახარჯების პირობებში, ამიტომ შეფასების დროს გამოყენებული უნდა იქნას ნორმალური მოსავლიანობის სიდიდეები.

იმის გამო, რომ ერთნაირი მოსავალი ფართობის ერთეულიდან შეიძლება მივიღოთ განსხვავებული ნაყოფიერების მქონე ნიადაგიდან არათანაბარი დანახარჯების პირობებში, მიწების შეფასების დროს უნდა ავიღოთ წარმოების ერთნაირი დანახარჯები (აუცილებელი ანუ ნორმალური). ამ უკანასკნელს განსაზღვრავს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება, ნიადაგის ბუნებრივი ნაყოფიერება და სხვა პირობები; რასაც შეფასების დროს ითვალისწინებენ.

შეფასება სასოფლო-სამეურნეო საეარგულების მიხედვით ტარ-

დება და შესაბამის დიფერენცირებასაც მოითხოვს მეთოდოლოგიური თვალსაზრისით. ამიტომ იყო, რომ დიდხანს საკამათო საკითხი იყო სახნავის შეფასება ანუ ის, თუ როგორ უნდა განხორციელებულიყო შეფასება ცალკეული კულტურისა თუ ყველა კულტურის მიხედვით. ჩვენი ქვეყნის წამყვანი მეცნიერები სხვადასხვა მოსაზრებებს გვთავაზობდნენ, სანამ არ ჩამოყალიბდა და დაიხვეწა საერთო-საკავშირო მეთოდოლოგია.

თანამედროვე პერიოდში საერთო-საკავშირო მეთოდოლოგიიდან გამომდინარე ჩვენს ქვეყანაში მიწების შეფასება ორ ასპექტში წარმოებს:

ა) მიწის. როგორც წარმოების ძირითადი საშუალების. შეფასება (საერთო შეფასება), ბ) მიწის შეფასება სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების ეფექტიანობის მიხედვით (კერძო შეფასება).

პირველ ასპექტში შეფასების ძირითადი კრიტერიუმებია (მაჩვენებლები) მთლიანი პროდუქცია, დანახარჯების უკუგება და დიფერენციული შემოსავალი, მეორე ასპექტში—მოსავლიანობა, დანახარჯების უკუგება და დიფერენციული შემოსავალი.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობას აქვს დიდი მნიშვნელობა, როგორც მიწის ეკონომიკური შეფასების კრიტერიუმს. იგი განსაზღვრავს მიწის პროდუქტიულობას და მისი ამღლების ამოცანების გადასაჭრელად გამოიყენება. ამასთან აუცილებლად ითვალისწინებენ, რომ მიწების ეკონომიკური შეფასების დროს კონკრეტულ ტერიტორიაზე (სამშემფასებლო რაიონში) შესაფასებლად შერჩეული კულტურების შემადგენლობა ერთნაირი უნდა იყოს. მოსავლიანობით მიწის ეკონომიკურ შეფასებას აქვს თავისი უარყოფითი მხარეებიც: შეუძლებელი ხდება მიწის წარისხობრივი მდგომარეობის ყოველმხრივ დახასიათება, ამიტომ რიგ რესპუბლიკაში მიმართავენ საკვებ ერთეულებში გადაყვანის მეთოდს, რაც იმთავითვე შეცდომაა.

ამიტომ გამოიყვანება ისეთი ღირებულებებით მაჩვენებელი, როგორცაა მთლიანი პროდუქცია ფართობის ერთეულიდან. მთლიანი პროდუქცია გამოხატავს ნიადაგის ეკონომიკურ ნაყოფიერებას და მიწის, როგორც წარმოების ძირითადი საშუალების, განსაზღვრულობას. მთლიანი პროდუქციის მიწის შეფასებაში გამოიყენება განპირობებულია სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონით, რადგან იგი ასახავს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების შესაძლებლობას, მთლიანი პროდუქციის სიდიდის გასაანგარიშებლად ცალკეული კულტურის მოსავლიანობები გადაიყვანება ღირებულებით სიდიდეებში ან საკვებ ერთეულებში. ამ დროს იქმნება სირთულეებიც, 11. 6. ჰინვარაული

რადგან ცალკეულ რეაქტივობასა და ეკონომიკურ ზონაში განსხვავებული შესყიდვის ფასებია. ამიტომ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დაამტკიცა ერთიანი საკადასტრო ფასები, რომლებიც განსაზღვრავს უტუდეს მიწებზე ნორმალური მოგების მიღებას.

განსხვავებული ხარისხის ნიადაგებზე მთლიანი პროდუქციის გამოსავლიანობა დაკავშირებულია დანახარჯების სიდიდესთან. მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, რომ მიწის ხარისხს ასახავს მხოლოდ პროდუქციის ერთეულზე გაწეული ერთნაირი დანახარჯები ან — პირიქით. ამიტომ დიდი მხიშვნელობა ენიჭება მიწების შეფასების დროს. დანახარჯების უკუგების კრიტერიუმს. იგი ასახავს მიწათმოქმედის შრომის მწარმოებლურობის დონეს და ახასიათებს ნიადაგის ეკონომიკურ ნაყოფიერებას. დანახარჯების უკუგება განისაზღვრება, როგორც კონკრეტულ მიწებზე დანახარჯებისა და პროდუქტიულობის შეფარდება. მისი გამოყენება აუცილებელია რიგი ეკონომიკური ამოცანის გადასაქრელად.

დიფერენციული შემოსავალი, როგორც მიწის ეკონომიკური შეფასების კრიტერიუმში, წმინდა შემოსავლის დამატებით ნაწილია, რომელიც შექმნილია უფრო ნაყოფიერი შრომით მაღალი ხარისხის ნიადაგებზე. იგი გამოხატავს სხვაობას ნორმალურ ანუ აუცილებელ და მთლიან წმინდა შემოსავალს შორის, იგი გამოიყენება კაპიტალდაბანდებათა ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ეკონომიკური გამოთანაბრებისათვის.

მიწის ეკონომიკური შეფასების სარწმუნო შედეგების მიღების მიზნით უნდა გავითვალისწინოთ არა მარტო ნიადაგური და წარმოების ეკონომიკური პირობები, არამედ კლიმატიც. რაც მოსავლიანობას და, შესაბამისად, ყველა დანარჩენ კრიტერიუმსაც განსაზღვრავს. ამდენად მონაცემებში რაიმე გაუგებრობის თავიდან აცილების და მათი ნიველირებისათვის აუცილებელია მონაცემები ავიღოთ 5 წლის მიხედვით. მონაცემების აღების ეს პერიოდი მეცნიერთა და პრაქტიკოსთა შუამავთა დიდი ხნის დავის შემდეგ დადგინდა. გაუმართლებლად იქნა მიჩნეული, როგორც უფრო მცირე, ისე დიდი პერიოდის აღება, რადგან ორივეს აქვს თავისი უარყოფითი მხარეები.

მიწის ეკონომიკური შეფასების მეთოდოლოგია

მიწის ეკონომიკური შეფასება ზემოთ აღნიშნული სამუშაოების გარდა გულისხმობს:

1. საშემფასებლო სკალების შესადგენად საბაზისო მოსავლიანობებისა და დანახარჯების განსაზღვრას;

2. საშემფასებლო სკალების შედგენას;
3. სასოფლო-სამეურნეო და სხვა საწარმოთა მიწების შეფასებას;
4. მიწის საკადასტრო დოკუმენტაციის განხილვას და დამტკიცებას;

5. მიწის საკადასტრო დოკუმენტაციის გაფორმებას და მომხმარებლებზე გაცემას.

მიწის საკადასტრო სამუშაოები იწყება მოსამზადებელი სამუშაოებით, რომლებიც ნიადაგების ბონიტრებისა და მიწების ეკონომიკური შეფასების საფუძველია. ამასთან, ისინი მჭიდროდაა დაკავშირებული და საკადასტრო სამუშაოების ძირითადი ნაწილია.

საბაზისო მაჩვენებლების განსაზღვრა და მიწის ეკონომიკური

შეფასების სკალების შედგენა

საშემფასებლო დარაიონების საფუძველზე მიწების ეკონომიკური შეფასებისათვის საბაზისო მაჩვენებლების გაანგარიშება წარმოებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სამეურნეო საქმიანობის შედეგების მიხედვით. საბაზისო მაჩვენებლების გაანგარიშების ამოსავალი სიდიდეებია ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების და ბუნებრივი საკვები სავარგულების მოსავლიანობები, მთლიანი პროდუქციის ღირებულება, ფონდურუნველყოფა და პროდუქციის წარმოებაზე გაწეული დანახარჯების მრავალწლიური მონაცემები. მათი გაანგარიშება რამდენიმე გზით შეიძლება: ვაბატონებული ნიადაგების ჭვუფებისათვის, ტიპობრივი მეურნეობების შერჩევისა და მეურნეობათა მთლიანი ერთობლიობის კორელაციურ-რეგრესული ანალიზის მეთოდით, პირდაპირი აღრიცხვით და ა. შ.

მიწების ეკონომიკური შეფასების აუცილებელი და ურთულესი პირობაა მოსავლიანობებისა და დანახარჯების გადაანგარიშება ნიადაგების ჭვუფებისათვის. რისთვისაც ყველაზე ზუსტი ხერხი საველე პირობებში უშუალოდ დაკვირვებაა. მაგრამ, მიუხედავად დიდი სიზუსტისა, ასეთი მეთოდი პრაქტიკაში დანერგილი არაა, რადგან ძალიან შრომატევადია და დიდ ღირსს მოითხოვს. ამიტომ დღეისათვის მონაცემების აღების ძირითადი დოკუმენტი საწარმოთა წლიური ანგარიშებია, რომელთა საფუძველზე ანგარიშობენ საშუალო სიდიდეებს ნიადაგის საშემფასებლო (აგროსაწარმოო) ჭვუფებისათვის. ამ მიზნით რამდენიმე მეთოდი გამოიყენება, მაგრამ პრაქტიკაში ყველაზე გავრცელებულია ტიპობრივი მეურნეობათა შერჩევა.

ტიპობრივად აიღება საწარმოები, რომლებშიც ვაბატონებულია ნიადაგის რომელიმე ტიპი (არა ნაკლებ 75%) და მისი მიწათმოქმედების ინტენსიურობის მაჩვენებლები უახლოვდება საშემფასებლო რაი-

ონის საშუალო სიდიდეებს. თუ ტიპობრივად შერჩეულ და საშემფასებლო რაიონებს მაჩვენებლებს შორის განსხვავება არაარსებითია მაშინ მოსავლიანობის (დააბარჯების) სიდიდეები მიიღება ნიადაგების საშემფასებლო ჯგუფებისათვის სკალაზე "ს" შედგენის დროს.

საშემფასებლო რაიონისა და ტიპობრივად შერჩეული მეურნეობების ინტენსიურობის სიდიდეების განსხვავებანი იანგარიშება სტუდენტის კრიტერიუმის გამოყენებით:

$$t = \frac{\bar{Y}_n - \bar{Y}_r}{M_p}$$

სადაც:

\bar{Y}_n არის შერჩევის საშუალო მაჩვენებელი.

\bar{Y}_r — საშემფასებლო რაიონის საშუალო მაჩვენებელი,

M_p — სხვაობის შეცდომა, რომელიც იანგარიშება ფორმულით:

$$M_p = \sqrt{S^2 \frac{N+n}{N-n}}$$

სადაც:

n — არის ტიპობრივად შერჩეულ საწარმოთა რიცხვი,

N — საშემფასებლო რაიონის საწარმოთა რიცხვი;

S^2 — ორივე ერთობლიობის დისპერსია და იგი იანგარიშება ასე:

$$S^2 = \frac{\sum (Y_p - \bar{Y}_p)^2 + \sum (Y_r - \bar{Y}_r)^2}{N + n + 2}$$

სადაც:

\bar{Y}_p არის ტიპობრივად შერჩეული საწარმოს მაჩვენებელი.

\bar{Y}_r — საშემფასებლო რაიონში ჩართული საწარმოს მაჩვენებელი.

მიღებულ (1) მნიშვნელობას უფარდებენ ცხრილის მნიშვნელობას და თუ მათ შორის სხვაობა 2-ზე მეტი არაა, მაშინ შერჩევა ითვლება რეპრეზენტატიულად სპეციალიზაციით და ინტენსიურობით.

ტიპობრივად აღებულ საწარმოთა მეთოდით საბაზისო მაჩვენებლების გაანგარიშება ყველაზე მარტივია, მაგრამ მასაც აქვს რიგი უარყოფითი მხარეები. კერძოდ, საწარმოთა უმეტესობის (განსაკუთრებით საქართველოს ნიადაგური კლიმატური და წარმოების პირობების დიდი სიჭრელის გამო) ნიადაგური საფარი არ იძლევა ტიპობრივი საწარმოების შერჩევის საშუალებას. ამიტომ პირდაპირი აღრიცხვისა და ტიპობრივ მეურნეობათა შერჩევასთან ერთად გამოყენებულია მეურნეობათა მონაცემების მრავალფაქტორიული კორელაციური ანალიზის, მოსავლიანობის ექსპერტიზაციის და სპეციალისტების დაკითხვის ხერხები. მაგრამ ისინი ნაკლებადაა მიღებული და ძირითადია ტიპობრივ მეურნეობათა მასობრივი მონაცემების მრავლობითი რეგრესიის ბაზოვანი განტოლების საშუალებით გაანგარიშება:

$$Y = a_1 x_1 + a_2 x_2 + \dots + a_n x_n, \quad \text{სადაც}$$

Y არის მოსავლიანობა (ან მთლიანი პროდუქციის ღირებულება) მეურნეობის მიხედვით;

x_1, x_2, \dots, x_n — ნიადაგის საშემფასებლო ჯგუფების ხვედრითი წილი მოცემული სავარგულის საერთო ფართობში.

a_1, a_2, \dots, a_n — მოსავლიანობების ცვლილებების საძიებელი კოეფიციენტები ნიადაგების აგროჯგუფების ხვედრითი წილის 1%-ით ცვლილების პირობებში.

ამ განტოლებას ხსნიან უმცირეს კვადრატთა ჯამით, სადაც გამოთვლილ სიდიდეთა გადახრის კვადრატული ჯამი მათი ნამდვილი მნიშვნელობიდან უნდა იყოს უმცირესი. ამ მიზნით ადგენენ განტოლებათა სისტემას:

$$\sum x_1 Y = a_1 \sum x_1^2 + a_2 \sum x_1 x_2 + a_3 \sum x_1 x_3 + a_4 \sum x_1 x_4;$$

$$\sum x_2 Y = a_1 \sum x_1 x_2 + a_2 \sum x_2^2 + a_3 \sum x_2 x_3 + a_4 \sum x_2 x_4;$$

$$\sum x_3 Y = a_1 \sum x_1 x_3 + a_2 \sum x_2 x_3 + a_3 \sum x_3^2 + a_4 \sum x_3 x_4;$$

$$\sum x_4 Y = a_1 \sum x_1 x_4 + a_2 \sum x_2 x_4 + a_3 \sum x_3 x_4 + a_4 \sum x_4^2;$$

ამ სისტემის საშუალებით ნიადაგების საშემფასებლო ჯგუფებისათვის საზღვრავენ მოსავლიანობას საჭირო აუცილებელი არითმეტიკულ სიდიდეების გამოყენებით (ცხრ. 3), რაც ხორციელდება ნიადაგური საფარის სტრუქტურის ანალიზისა და მეურნეობებში საშუალო მოსავლიანობების დადგენის შემდეგ.

ცხრილი 3.

რაჯრისის განტოლების ამოხსნელად ხაჭირო აუცილებელ არითმეტიკულ სიდიდეთა გამოსანგარიშებელი საშუაო ცხრილი

მეურნეობათა რაჯი №	ცვლადი			აღებულნი გაფართობა					
	2	3	4	5	6	7	8	9	10
1	19,6	0,87	2,29	384,16	0,7565	5,2441	17,052	44,884	1,9923
2	22,3	1,78	7,68	497,29	3,1684	7,1824	39,694	59,764	4,7704
3	25,1	2,14	3,25	630,01	4,4756	10,5625	53,714	81,375	6,9550
4	24,9	1,29	3,01	620,01	1,6641	9,0601	52,121	74,949	3,8829
5	17,5	1,51	1,99	306,25	1,7161	3,5601	22,925	34,825	2,6069
6	24,1	1,40	2,21	580,81	1	4,8841	33,740	53,361	3,094C
7	15,7	1,10	1,90	264,45	1,2100	3,6160	17,27C	29,8C0	2,0900
8	19,0	1,11	2,25	361,00	1,2321	5,0625	21,000	42,750	2,4975
9	19,9	1,16	2,40	396,02	1,3456	5,7600	23,084	47,760	2,7840
10	19,1	1,23	2,20	365,72	1,5129	4,8400	23,403	42,020	2,7050
11	21,0	1,37	2,50	441,00	1,8760	6,2500	28,770	52,500	3,4250

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
12	16,5	1,38	2,79	272,25	1,9044	7,7841	22,770	46,035	3,9502
13	19,2	1,33	3,15	368,64	1,7689	9,9225	25,536	60,480	4,1895
14	17,7	1,51	1,90	313,29	2,2801	3,6100	26,727	33,630	2,8690
15	27,7	1,88	8,34	882,09	3,5344	28,5166	55,836	159,598	100392
16	17,7	1,06	1,87	313,29	1,1236	3,4969	18,762	33,099	1,9822
17	16,3	1,40	2,07	265,69	1,9600	4,7849	12,820	33,741	2,8780
18	23,7	1,11	2,28	561,67	1,2321	5,1904	26,270	54,036	2,5308
19	20,4	1,54	2,47	416,16	2,3716	6,1009	31,416	50,388	3,038
20	25,1	1,30	4,48	630,01	1,6900	20,0704	32,630	112,448	5,8240
21	22,6	1,44	3,07	510,76	2,0736	9,4249	32,544	69,382	4,4208
22	19,4	1,00	2,70	376,36	1,0000	7,2800	19,400	52,380	2,7000
23	15,4	1,08	2,81	237,15	1,1665	7,361	16,632	43,274	3,0348
24	23,6	1,55	3,76	550,96	2,4025	14,1376	36,580	88,735	5,8280
25	23,2	1,34	3,88	538,24	1,7956	15,0544	31,088	90,015	5,1992
26	20,9	0,99	2,71	436,81	0,9801	7,3441	20,691	55,639	2,6827
27	24,8	1,38	3,61	615,04	1,9044	13,0321	34,224	87,528	4,9818
28	21,4	1,18	2,90	457,96	1,3924	8,4100	25,252	62,060	3,4220
29	23,1	1,66	3,20	535,61	2,7556	10,2400	38,345	73,920	5,3128
30	21,7	1,55	2,80	470,80	2,4025	7,8400	33,535	60,730	4,3400
ჯამი	630,6	41,64	84,17	1238,86	51,7608	256,0687	864,112	1333,268	119,7122
საშ.	21,02	1,389	2,806						

X1 მოქმედ ნიუთიერებაში გადაყვანილი შეტანალო სასუქების რაოდენობა ც/ჰა 100 კგ/ჰა.

X2 ძირითადი საწარმოო ფონდებით უზრუნველყოფა, 100 მან ჰა-ზე.

სარწმუნო მონაცემებს იძლევა საშუალო მოსავლიანობების ექსპერტიზის მეთოდი, რაც საკონტროლო ფართობებიდან ერთი კვადრატული მეტრის მოსავლის აღებას და მისი საშუალებით საპექტარო მოსავლიანობის გაანგარიშებას გულისხმობს. ეს ხერხი მარტივია, მაგრამ საშუაოს შესრულებაში დიდ სიზუსტეს, აღებული პროდუქციის დამუშავებას და ყოველწლიურად დიდძალი მასალების სისტემატიზაციას მოითხოვს. ამიტომ, ამ მეთოდით, ძირითადად, სარგებლობენ საცდელი სადგურების და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მეცნიერი მუშაკები. აქ მიღებული მაჩვენებლების მიწის საკლასტრო საშუაობებში გამოყენება კი გამართლებული არაა, რადგან პრაქტიკული საქმიანობიდან ძალიან შორსაა.

ცალკეულ, გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება გამოყენებულ იქნას ადგილებზე სპეციალისტთა დაკითხვის მეთოდი. მისი გამოყენება რეკომენდებულია ნაკლებად გავრცელებული ნიადაგების შესასწავლად. საერთოდ კი ეს მეთოდი ძალიან სუბიექტურია და მასთან

ერთად უნდა გამოიყენონ საბუღალტრო აღრიცხვისა და სხვა დოკუმენტაცია.

მიწის ეკონომიკური შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრისათვის გამოიყენება საშემფასებლო (საკადასტრო) რაიონის საშუალო დანახარჯები.

ამასთან, ცალკეული საწარმოს მიხედვით დანახარჯების გასანგარიშებლად გამოიყენება საკავშირო მეთოდოლოგიაში მოცემული ტექნოლოგიური თვისებების შესწორების კოეფიციენტი (ცხრ. № 4).

სავარგულის, მიწის კონტურისა და თესლბრუნვის მინდვრის საერთო ტექნოლოგიური კოეფიციენტი ინგარიშება ცალკეული კოეფიციენტის გადამრავლების საფუძველზე. სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და მთლიანად საშემფასებლო რაიონებისათვის ტექნოლოგიური კოეფიციენტების გასანგარიშებლად გამოიყენება მინდვრის პასპორტიზაციის, მრავალწლიანი ნარგავების, დაშრობილი და სარწყავი მიწებისა და აღრიცხვის სხვა მასალები. საჭიროების შემთხვევაში ამ მიზნებისათვის შეიძლება ჩავატაროთ აგეგმვითი და გამოკვლევითი სამუშაოები.

ზემოაღნიშნული მაჩვენებლების და მონაცემების გამოყენებით ანგარიშობენ მიწის ეკონომიკური შეფასების ძირითად კრიტერიუმებს.

მთლიანი პროდუქციის ღირებულებას ანგარიშობენ ცალკეული სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის გამრავლებით კადასტრულ ფასზე, ფორმულით:

$$B\Pi = \frac{Y_1 C_1 P_1 + Y_2 C_2 P_2 + \dots + Y_n C_n P_n}{P_1 + P_2 + \dots + P_n}, \text{ სადაც}$$

$B\Pi$ არის მთლიანი პროდუქცია

Y_1, Y_n — სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობები;

C_1, C_n — პროდუქციის კადასტრული ფასები;

P_1, P_n — კულტურების ნათესი ფართობები.

დანახარჯების უკუგება მთლიანი პროდუქციისა და დანახარჯების შეფარდების შედეგია:

$$O3 = \frac{B\Pi}{3}, \text{ სადაც}$$

სახანგახ ტექნოლოგიური თვისებების მარკეტებულთა ხასტრმა

მაწების ენერგეტიკობა																						
სამბალე ზღვის დონის ნიღამ	ლაბრის კომბ	სამქვეის სიგრძე	ნაკვეთების დასაწერება წინალო-ბეებით	კონფორტურობა	ლაქთანება	კუთრის ხვედრითი წინალობის დონე	ნიაღვრის ზედაპირის გამკლობა	სახანგახს ხვედრითი წინალობის ფრთობი					საზღვრის ხვედრითი წინალობის ფრთობი									
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	
ფინანსური	ფინანსური	ფინანსური	ფინანსური	ფინანსური	ფინანსური	ფინანსური	ფინანსური	ფინანსური	ფინანსური	ფინანსური	ფინანსური	ფინანსური	ფინანსური	ფინანსური	ფინანსური	ფინანსური	ფინანსური	ფინანსური	ფინანსური	ფინანსური	ფინანსური	ფინანსური
ფინანსური	ფინანსური	ფინანსური	ფინანსური	ფინანსური	ფინანსური	ფინანსური	ფინანსური	ფინანსური	ფინანსური	ფინანსური	ფინანსური	ფინანსური	ფინანსური	ფინანსური	ფინანსური	ფინანსური	ფინანსური	ფინანსური	ფინანსური	ფინანსური	ფინანსური	ფინანსური
I	500-1000 ლე	1,0	2,1-ლე	1,00	1,00	1,00	5-ლე	1,00	სწორი კონფორტურობა	1,00	პრაქტიკული	0,5	1,00	0,36	0,57	მკვირვებო	თხინი	0,54	70-ზე მეტი	1,00		
II	500-1000	1,04	1-3	1,02	600-1000	1,03	5-10	1,08	რთული კონფორტურობა	-	სუსტი	0,5	1,09	0,42	0,98	საშუალო	მომხმარებელი	საშუალო	1,00	60-70	1,01	

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22
III	1000 1500	1,08	3—5	1,09	400 6000	1,08	10—20	1,19	საქონელი საგრომდები 400—500	1,03	საშ.	20,0	1,18	0,48	1,00	სუბსტი- ტივი	კვირთა- ნი და კვირთა- ნი თი- ნი	1,08	50—60			1,0
IV	1500 2000	1,12	5,7	1,09	300- 400	1,14	20—30	1,2	300—400	1,08	საშ. ქრთა შე შე	55,0	1,27	0,54	1,03						40—50	1,05
V	2000— 2500	1,16	7,10	1,16	200- 300	1,21	—	—	200—300	1,14	—	—	—	0,50	1,06						30—4	1,08
VI	—	—	10—15	1,25	150 200	1,30	—	—	150—200	1,21	—	—	—	0,66	1,11						20—30	1,13
VII	—	—	15-ზე ზე	1,40	150 200	1,43	—	—	150-ზე 6,კლები	1,30	—	—	—	0,72	1,19						10—20 5—10 5-ზე	1,18 1,24 1,26

03 არის დანახარჯების უკუგება

3—დანახარჯების ერთობლიობა (მთლიანი დანახარჯები)

წმინდა შემოსავალს ანგარიშობენ მთლიან პროდუქტიაზე მის საწარმოებლად გაწეული ხარჯების გამოკლებით:

$$rD_{II} = B\Pi - 3;$$

პირობითი დიფერენციული შემოსავალი წმინდა შემოსავლის ნაწილია ანუ ნორმალურ წმინდა შემოსავალზე ნამეტი სიდიდე.

$$DD = B\Pi - 3 - rD_{II}, \text{ სადა:}$$

rD_{II} არის აუცილებელი დამატებითი პროდუქტი (ნორმალური წმინდა შემოსავალი).

ნორმალურ წმინდა შემოსავალს შესაფასებელი რაიონის საწარმოთა ერთობლიობისათვის ანგარიშობენ ფორმულით:

$$rD_{II} = 0.15(\Phi_{00H} + \Phi_{00C}).$$

გამომდინარე ნორმალურ წმინდა შემოსავალს ანგარიშობენ ძირითადი და საბრუნავი ფონდების ჯამის 0.15-ზე გამრავლებით.

საბაზისო მაჩვენებლებს მიწის საერთო შეფასების დროს ანგარიშობენ ცალკეული ჰავარგულის მიხედვით ნიადაგების საშემფასებლო ჯგუფებისათვის, ხოლო სახნავისათვის კერძო შეფასებისას ცალ-ცალკე.

მიღებული მონაცემების საფუძველზე აღგენენ მიწის საშემფასებლო სკალას, რომელშიც იგულისხმება საშემფასებლო მონაცემთა სისტემა, რომელიც მიწათმოქმედების არაებული დონის პირობებში ახასიათებს ნიადაგების განსხვავებულ ჯგუფებს. საშემფასებლო სკალებს აგებენ როგორც აბსოლუტური, ისე შეფარდებითი სიდადეების მიხედვით.

საშემფასებლო სკალები ორი სახისაა: გაშლილი და შეკრული. გაშლილი სკალის დროს 100 ბალად (ასბალიანი სისტემის დროს) მიიღება ყველაზე გავრცელებული ნიადაგის საშემფასებლო ჯგუფი, ანუ ის ჯგუფი, რომელიც ყველაზე დიდი ფართობითაა წარმოდგენილი. დანარჩენი საშემფასებლო ჯგუფების შეფასების ბალებს კი ანგარიშობენ ფორმულით:

$$\sigma = -\frac{\Pi}{\Pi_1} - \text{სადაც:}$$

σ არის ნიადაგის საშემფასებლო ჯგუფის ბალი.

Π —ნიადაგის საშემფასებლო ჯგუფის შეფასების მჩქეწეწბლის რიცხვითი მნიშვნელობა;

Π_1 — საუკეთესო ნიადაგის შეფასების მჩქეწეწბლის რიცხვითი მნიშვნელობა.

შეკრული სკალის დროს ას ბალად მიიღებ აველაზე მალაღნა-ყოფიერი ნიადაგი, ხოლო დანარჩენი ჯგუფებისათვის გაშლილი სკალის მეთოდით გაიანგარიშება.

საშემფასებლო მონაცემების გაანგარიშების საფუძველზე შედგენილი სკალა არის სისტემა, რომელშიც მოცემულია მიწების ხარისხობრივი მჩქეწეწბლები სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების შესატყვისი პირობებისათვის. საშემფასებლო სკალებს ადგენენ უოველი რაიონისათვის და მასში მოყვანილია ნიადაგების ჯგუფების დასახელება, მათი ფართობი, წარმოების ინტენსიურობის საშუალო სიდიდეები (დანახარჯები, ფონდუზრუნველყოფა, სასუქები) და შეფასების მჩქეწეწბლები აბსოლუტურ და შეფარდებით სიდიდეებში.

სკალების საფუძველზე აწარმოებენ (რაიონის, ოლქის, ავტონომიური და მოკავშირე რესპუბლიკების, ქვეყნის) მიწების შეფასებას და ადგენენ შეფასების უწყისებს.

ცალკე უნდა იქნას განხილული მრავალწლიანი ნარგავებისა და ბუნებრივი საკვები საეარგულების შეფასების საკითხები. მიუხედავად იმისა, რომ აქაც ძირითადია ზემოთ განხილული მეთოდოლოგიური პრინციპები, მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწების შეფასება ხდება სპეციალიზებული მეურნეობების ან იმ საწარმოთა მონაცემების საფუძველზე, სადაც მრავალწლიან ნარგავებს სასაქონლო ხასიათი აქვს. სხვა შემთხვევებში მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწები ფასდება როგორც სახნავი.

მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწების შეფასების დროს გათვალისწინებული უნდა იქნას რიგი პირობები, რომლებიც შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს:

ა) მრავალწლიანი ნარგავები მრავალ სახეს, ჯიშსა და ჯურს მოიცავს;

ბ) ისინი ნიადაგურ-კლიმატურ პირობებთან ერთად განსხვავებულ მოთხოვნებს უყენებს ტერიტორიის რელიეფს და სხვა ბუნებრივ პირობებს:

გ) ახასიათებს განსხვავებული სიცოცხლის (მსხმოიარობის) ხანგრძლივობა და მეწლუერობა;

დ) განსხვავებული დარგის ტიპი და ვარჯის ფორმები;

ე) მსხმოიარობაში შესვლის და ხანგრძლივობის პირობები;

ვ) სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის განსხვავებული დონე. აღნიშნულიდან გამომდინარე, მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწების შეფასება მეტად რთულია და უფრო დიდ დროს მოითხოვს, ვიდრე სახნავი მიწების შეფასება. ეს უკანასკნელი ხორციელდება მათი ჭიშებისა და ჯგუფების ან მხოლოდ ჭიშებისათვის, თუ საშემფასებლო მაჩვენებლების გაანგარიშება ვერ ხდება.

თესლოვან ჭიშებში გამოიყოფა საადრეო, საშემოდგომო და საზამთრო ჭიშები, ხოლო ყურძნისათვის—სუფრისა და ტექნიკური ჭიშები.

მაღალგანვითარებული მეხილეობა-მევენახეობის რესპუბლიკებისათვის საკავშირო მითოდის შესაბამისად აუცილებელია მრავალწლიანი ნარგავების შესაფასებლად ცალკე დარაიონება და საშემფასებლო ერთეულების გაანგარიშება. ამას განსაზღვრავს მრავალწლიანი ნარგავების განსხვავებული მოთხოვნები რელიეფის, ექსპოზიციის, ჰუმუსის, აირმის, რეაქციის, კარბონატულობის, ნიადაგში გრუნტის წყლის დგომის სიღრმის და სხვა პირობები.

მრავალწლიანი ნარგავების შესაფასებლად საანგარიშგებო დოკუმენტაციაა წლიური ანგარიშები (ფორმა 5ცნ, 1ცნ—წ), ზედნადებები, მინდვრის პასპორტები, დანახარჯებისა და მოსავლიანობის აღრიცხვის წიგნები და სხვა ჩანაწერები. ამ მასალების მიხედვით საშემფასებლო სიდიდეების გაანგარიშებლად ისინი დააქვთ კარტოგრაფიულ მასალებზე და შესაბამისად ნარგავების ფართობებს ანგარიშობენ სახეებისა და ჭიშების მიხედვით..

არსებული საანგარიშგებო დოკუმენტაციის პირობებში მრავალწლიანი ნარგავების საშემფასებლო მაჩვენებლების გაანგარიშება არ ხერხდება დამატებითი სამუშაოების ჩატარების გარეშე, კერძოდ, ბრიგადების მიხედვით მოცემული მოსავლიანობები იძლევა მათი ჭიშების მიხედვით გაანგარიშების შესაძლებლობას, მაგრამ დანახარჯები მოცემულია მთლენად მეურნეობისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე,

დანახარჯები ყველა ჭიშისათვის თანაბრად უნდა განაწილდეს. გარდა მოსავლის აღებისა. მხოლოდ მოსავლის სიდიდე იძლევა სხვაობას მათ შორის და ამდენად. მოსავლიანობის მიხედვით დანახარჯების განაწილება უნდა გახსორციელდეს ტიპობრივი ტექნოლოგიური რუკებისა და სხვა სანორმატივო დოკუმენტების მიხედვით.

ცალკე უნდა იქნეს აღებული ექსპერტიზის გზით სპეციალიზებული მეურნეობების მონაცემები მრავალწლიანი ნარგავებისათვის ნიადაგის მომზადების, დარგვისა და მოვლის ხარჯები ჭიშებისა და სახეებისათვის.

ყველა დანარჩენი სამუშაო—სკალების შედგენითა და უწყისებრთ დამთავრებული, სახნავის მეთოდის შესაბამისად ხორციელდება მრავალწლიან ნარგავებშიც.

ბუნებრივი საკვები სავარგულების შეფასებას განსაზღვრავს მათ შესახებ საანგარიშგებო მასალებისა და დოკუმენტების მდგომარეობა და ხარისხი. ცალკეული ნიადაგის ჯგუფებისათვის ძირითად საშემფასებლო ერთეულებად აქ შეიძლება გამოიყენებულ იქნას გეობოტანიკური ტიპები, ტიპების ჯგუფები და მოდიფიკაციები. იმ შემთხვევაში კი, როდესაც ჩატარებულია გეობოტანიკური გამოკვლევა, საშემფასებლო ერთეულად იღებენ ნაკვეთის კონტურებს. რომლებიც ერთნაირია მცენარეული საფარით, კულტურ-ტექნიკური მდგომარეობით, ნიადაგური თვისებებით და ა. შ. ამ შემთხვევაში შესაძლებელია მოსავლიანობისა და სხვა ამოსავალი მაჩვენებლების გაანგარიშება. დანარჩენი შემთხვევებისათვის კი წარმოებს ნაკვეთების შერჩევის გზით, რომლებზედაც მოსავლიანობას ანგარიშობენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოსავლიანობებისა და დანახარჯების გაანგარიშების მეთოდური მითითებების საფუძველზე.

საშუალო დანახარჯების გაანგარიშებლად გამოიყენება ტიპობრივი ტექნოლოგიური რუკების მონაცემები ან გამსხვილებული ნორმატივების იმ სავარგულების პროდუქტიულობასა და დანახარჯებზე. რომლების გაანგარიშებასაც საფუძვლად უდევს ტექნოლოგიური რუკები.

მრავალწლიანი ნარგავებისა და ბუნებრივი საკვები სავარგულების საშემფასებლო სკალებსა და უწყისებს სახნავი მიწების მეთოდის შესაბამისად ადგენენ და შესაბამისად ავსებენ სხვა დოკუმენტაციასაც.

ცალკეული კულტურის მიხედვით (მთლიანად მიწის ფონდისათვის) მსხვილი ერთეულების (რაიონის, რესპუბლიკის) საშემფასებლო სა-

შუალო შეწონილ ბალს საზღვრავენ ცალკეული საწარმოს საშემფასებლო ბალებისა და ფართობების მონაცემების საფუძველზე.

საკავშირო მეთოდის შესაბამისად საერთო-საშემფასებლო ბალის განსაზღვრის ორი ხერხია დღეს ჩვენს ქვეყანაში გამოყენებული: ამოსავალი მანვენებლებია (მოსავლიანობა და დანახარჯები) და ნათესების განსაზღვრული სტრუქტურის დროს მიღებული ყოველი კულტურის საშემფასებლო ბალების გამოყენებით. მეორე შემთხვევის პირობებში ისინი შეიძლება გაანგარიშებულ იქნას როგორც ფაქტობრივი, ისე გეგმიანი ნათესების სტრუქტურისათვის.

საკადასტრო (საშემფასებლო) სამუშაოების პასუხსაგები ეტაპი მიღებული მონაცემების გაფორმება დოკუმენტების სახით, მათი განხილვა და დამტკიცება.

კავშირის მასშტაბით საშემფასებლო სამუშაოებს ატარებენ მიწათმოწყობის საპროექტო ინსტიტუტების სპეციალური ერთეულები საერთო-საკავშირო მეთოდისა და ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით. ისინი ადგენენ საშემფასებლო სკალებს, უწყისებს, ნიშნების საშემფასებლო ჯგუფებსა და კადასტრულ რუკებს, საკადასტრო წიგნებსა და სხვა დოკუმენტაციას, რისთვისაც საჭიროების შემთხვევაში ატარებენ დამატებით სავლე გამოკვლევებსაც. მიღებული შედეგების განხილვა ძირითადი ეტაპების მიხედვით წარმოებს ინსტიტუტების ტექნიკურ საბჭოზე. ამის შემდეგ მთელი შედეგები იხილება რესპუბლიკების საშემფასებლო კომისიების სხდომებზე.

საშემფასებლო დოკუმენტაცია შედგება ტექსტობრივი და გრაფიკული ნაწილისაგან. ტექსტობრივ ნაწილში შედის საშემფასებლო სკალები, უწყისები, განმარტებითი ბარათები, საკადასტრო წიგნები. გრაფიკულში კი ყოველგვარი რუკა და საგეგმო მასალა, რაც მიწების შეფასებასთანაა დაკავშირებული.

დოკუმენტაციის განხილვა-დამტკიცების შემდეგ ისინი მრავლდება და ეგზავნება მომხმარებელს. ამასთან თითო ეგზემპლარი ინახება (ამოსავალ და საწყის ინფორმაციასთან ერთად) საპროექტო ინსტიტუტებში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის № 501 დადგენილებისა და სადირექტივო ორგანოების სხვა დოკუმენტების შესაბამისად მიწის შეფასების შედეგები უნდა დაედოს საფუძვლად მეთორმეტე ხუთწლიდის საგეგმო მაჩვენებლებს. ამიტომ მათი დამთავრება 1984 წლის 1 ოქტომბრისთვისაა გათვალისწინებული.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს ქვეყანაში მიწის ეკონომიკური შეფასების სამუშაოების შესრულების საქმოდ დიდი გამოცდილებაა დაგროვილი თითქმის ყველა რესპუბლიკასა და სამეცნიერო-კვლევით თუ მიწათმოწყობის საპროექტო ინსტიტუტებში. მიწის ეკონომიკური შეფასების მეთოდის დამუშავება-დახვეწასა და მის მიხედვით მიწების საშემფასებლო სამუშაოების ჩატარებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის საკავშირო სოფლის მეურნეობის ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, სადაც ს. ჩერიომუშეინის ხელმძღვანელობით დაამუშავეს მიწის ეკონომიკური შეფასების მეთოდის (1960—1968 წწ.), რომელიც საფუძვლად უდევს დღევანდელ მოქმედ საერთო-საკავშირო მეთოდის. მან განსაზღვრა საშემფასებლო ერთეულები, კრიტერიუმები და სხვა ძირითადი საშემფასებლო მაჩვენებელი. თავისი მნიშვნელობით მეორე ადგილი უჭირავს უკრაინელ მკვლევართანამუშევრებს ბ. ხარჩენკოს ხელმძღვანელობით. დიდი სამუშაოები ჩატარა ყაზახეთის სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში გ. ნიკოლენკომ.

ჩვენი ქვეყნის მასშტაბით არსებული ყველა კვლევა მეტნაკლებად ამ სამ მიმართულებას ემყარებოდა და მათგან გამომდინარეობდა.

X თავი

§ 1. სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მიწის კადასტრის დანიშნულება და ამოცანები

სოციალისტური წარმოების სისტემისათვის დამახასიათებელია გეგმაზომიერი პროპორციული განვითარების ობიექტური ეკონომიკური კანონი. თავის მხრივ, იგი გულისხმობს წარმოების დაგეგმვასა და ორგანიზაციაში ობიექტურ, ბუნებრივი თუ სხვა პირობების გათვალისწინებას, რაც აღრიცხვის საგანია. რამდენადაც სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღრიცხვის ერთ-ერთი ძირითადი სახე მიწის კადასტრია, მას აქვს უდიდესი საწარმოო მნიშვნელობა. იგი დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა სამეურნეო საქმიანობასა და მიწების რაციონალურად გამოყენების საკითხებთან და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საწარმოთა მთელ ეკონომიკას.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მიწის კადასტრი იყენებს სტატისტიკურ, საბუღალტრო, ოპერატიულ და აღრიცხვის სხვა სახეების მასალებს და თავის მხრივ, აღრიცხვის სისტემის აუცილებელი ელემენტია, აწვდის რა მათ მიწათსარგებლობის, მიწების რაოდენობრივ-ხარისხობრივი აღრიცხვის, ნიადაგების ბონიტაჟებისა და მიწების ეკონომიკური შეფასების მასალებს. მიწის საკადასტრო დოკუმენტაცია (ტექსტობრივი და გრაფიკული სახით) ხელს უწყობს საბუღალტრო და ოპერატიული აღრიცხვის გაუმჯობესებას, გამორიცხავს გაუგებრობებს და უზრუნველყოფს სიზუსტეს. თავის მხრივ, მიწის კადასტრში გამოიყენება ახალი მიწების ათვისების, ბალ-ვენახების გაშენების, გატყეების, გასარწყავების, დაშრობის, სათიბ-საძოვრების ძირეული და ზედაპირული გაუმჯობესების, შრომისა და წარმოების დანახარჯების, მოსავლიანობისა და სხვა მონაცემები, რომლებიც ოპერატიულ-ტექნიკური და საბუღალტრო აღრიცხვის დოკუმენტებშია მოცემული. გამომდინარე, აღრიცხვის აღნიშნულ სახეებსა და მიწის კადასტრებს შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. უფრო სწორედ, მიწის კადასტრიც აღრიცხვის ერთიან სისტემაში განიხილება.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მიწის კადასტრის ძირითადი ამოცანაა მიწათსარგებლობის, როგორც მეურნეობრიობის ობიექტის, ყოველმხრივი დახასიათება. მან უნდა მოიცვას მთლიანი მიწის ფონდი და ამით უზრუნველყოს ყოველი საწარმო შიგამეურნეო დაგეგმვისათვის საჭირო უტყუარი ინფორმაციით, რომელთა საფუძველზე საწარმოში უნდა დაიგეგმოს ფართობის ერთეულიდან უმაღლესი პროდუქციის მიღება უმცირესი დანახარჯებით.

სოციალისტური სოფლის მეურნეობის დაგეგმვის დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი გულისხმობს ადგილებზე დაგეგმვაში ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების გათვალისწინებას. იმის მიუხედავად, რომ მეურნეობის ძირითადი მიმართულება განსაზღვრულია სახელმწიფოს მიერ, საწარმოები ბუნებრივი პირობებიდან და შიდა-სამეურნეო მოთხოვნებიდან გამომდინარე ადგენენ ნათესი ფართობებისა და პირუტყვის სულადობის, აგრეთვე მათი მოსავლიანობისა და პროდუქტიულობის გეგმებს. ამ მიზნებისათვის კი აუცილებელია მეურნეობათა კონკრეტული შესაძლებლობების ცოდნა. პირველ რიგში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სტრუქტურის, მათი რაოდენობისა და ხარისხის გათვალისწინება, ამ მონაცემებზე დაყრდნობით

მგეგმავი ორგანოები და საწარმოთა სპეციალისტები აღგენენ ნათესებრს სტრუქტურის, მოსავლიანობის, პროდუქციის მოცულობისა და საჭირო დანახარჯების ოდენობის გეგმებს. რომლებიც ცალკეულ შემსრულებლებს ეძლევათ.

გარდა ამისა, სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მიწის კადასტრი გამოიყენება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების გადასაჭრელად, როგორცაა შიგნამეურნეო ნიწათმოყვობის პროექტების დამუშავება. პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის გეგმების დადგენა, სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მიწის სტატუსის დადგენა, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის დაგეგმვა და სხვა.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა შიგნამეურნეო ნიწათმოყვობის ძირითადი ამოცანაა მიწის რაციონალურად გამოყენების ორგანიზაციულ-სამეურნეო პირობების შექმნა, ყოველი ჰექტარი სავარგულიდან მაქსიმალური პროდუქციის მისაღებად მინიმალური დანახარჯებით. შიგნამეურნეო ნიწათმოყვობის პროექტების დაგეგმვა საწარმოთა პერსპექტიული და ორგანიზაციულ-სამეურნეო მოწყობის გეგმები, რომლებშიც, სხვა საკითხებთან ერთად, გათვალისწინებულია მიწის ნაყოფიერების ამაღლების ღონისძიებანი. შიგნამეურნეო ნიწათმოყვობის პროექტი სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში დაგეგმვისა და ორგანიზაციის შემადგენელი ელემენტია. ამიტომ პროექტების ხარისხი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს პერსპექტიული გეგმების სისრულე და მიწის შესწავლის დონე. მის შესახებ ამოსავალ ინფორმაციას იძლევა მიწის კადასტრი, სადაც მოცემულია სავარგულების გამოყენების პრესპექტიული გეგმები. რამდინადაც ცალკეული განხილვებულ მოთხოვნებს უკმაყოფილებს ნიადაგს, ამიტომ საჭიროა მათი შედგენილობისა და ამა თუ იმ კატეგორიის მოსავლიანად ეარჯისიანობის ცოდნა.

შიგნამეურნეო ნიწათმოყვობის ყველაზე მნიშვნელოვანი და მყარი ელემენტი თესლბრუნვის მინდორია. თესლბრუნვის მინდვრებში საზღვრების დაცვისათვის კი საჭიროა დაკმაყოფილებულ იქნეს ინსაიდვილდებელ კატეგორიის ნიადაგების ნიადაგის პრობლემები. რელიეფზე, კონფიგურაციაზე და ადგილმდებარეობაზე აგროტექნიკურ ღონისძიებათა მექანიზებული წესით შესრულების პირობებში, ისინი განსაზღვრავენ თესლბრუნვის მინდვრების ხასიათსა და ორგანიზაციას. ნიადაგის ხარისხი კი საქციევის სიგრძეს; ნიადაგის საფარსა და სხვა პირობებთან ერთად განსაზღვრავს აგროტექნიკის ხასიათსა და პროდუქციის საწარმოებლად საჭირო სამუშაოთა მოცულობას.

ამრიგად, თესლბრუნვის მინდვრის აიდიდის განსაზღვრა-დაზა-

სიათებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახნავი ფართობის მას-
სივებისა და კონსტრუქციის საწარმოო-ტექნოლოგიური თვისებების შე-
ფასებას. მათგან ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს თესლბრუნვის
მინდვრის სიღრმის დადგენას ნიადაგის ხარისხისა და აგროტექნიკ-
ის დონის გათვალისწინებით. ამ მხრივ კი საუკეთესო საშუალებაა ნი-
ადაგების შეფასების მაჩვენებლები.

უკანასკნელ პერიოდში მოსახლეობის ზრდის, ურბანიზაციისა და
სახალხო მეურნეობის დანარჩენი დარგების სწრაფი ტემპებით განვი-
თარების შედეგად ყოველწლიურად მცირდება სასოფლო-სამე-
ურნეო სავარგულების ფართობი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშე-
ბით. გამომდინარე, სხვა ფაქტორებთან ერთად ეს მომენტი სავარგუ-
ლების ტრანსფორმაციის სრულყოფასა და მიწების მელიორაციული
მდგომარეობის მიხედვით დეტალურად შესწავლას მოითხოვს მათი
მალაფექტიანად გამოყენების მიზნით. ამ მომენტების გათვალისწი-
ნებით უნდა შედგეს მუცბის ადრესტის სამუშაოების გეგმა, რომლის
გარეშე ნიადაგების გადახენას ხშირად მოსავლიანობის ზრდის მაგიერ
ნიადაგური საფარის მოსპობამდე მივყავართ. ამ უარყოფითი მოვლე-
ნის თავიდან აცილების საუკეთესო საშუალებას მიწის კადასტრის
მონაცემები იძლევა. ისინი აგრეთვე შიგასამეურნეო მიწათმოწყობის
პროექტის ათვისების, პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების
ინტროლისა და მათ შემარულებაში შეფერხებების აღმოფხვრის აუ-
ცილებელი პირობა და საფუძველია.

სახალხო მეურნეობის, მათ შორის სოფლის მეურნეობის საწარ-
მოთა ეკონომიკის ანაღების, პროდუქციის რაოდენობის ზრდისა
და არსებული რეზერვების გამოვლენისათვის საჭიროა დადგინდეს მა-
ტერიალური დოკლამის სტრუქტურისა და რაოდენობის მაჩვენებლე-
ბი, განისაზღვრის ეკონომიკური ცდვრების ფაქტორები, აგრეთვე
შრომითი, მატერიალური და სხვა რესურსები მათი რაციონალურად
გამოყენების მიზნით. ამ საკითხების სწორად გადაჭრის ერთ-ერთი
ძირითადი პირობაა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა სამეურნეო საქ-
მიანობის სრულყოფილი ანალიზი. იგი საშუალებას იძლევა გამოკე-
ლულ იქნას მიწის ეფექტიანად გამოყენებას, პროდუქციის წარმოე-
ბის ზრდის, მისი თვითღირებულების შემცირების, საწარმოთა რენ-
აბელობის ამაღლებისა და სხვა საკითხები. გარდა ამისა, სამეურნეო
საქმიანობის ეკონომიკური ანალიზი წარმოების მართვის კონკრეტუ-
ლი იარაღია, რამდენადაც იგი მეურნეობრიობის საბოლოო შედეგების
შეფასების კომპლექსური (განმაზოგადოებელი). სილიდეა.

სოფლის მეურნეობაში ყველა საგეგმო-ეკონომიკური მაჩვენებ-

ლის გაანგარიშება მიწის რაციონალურად გამოყენებასთანა დაკავშირებული, რაც გულისხმობს გეგმიანი და ფაქტობრივი სიდიდეების შედარებას. ასეთი მეთოდი საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ ცალკეული სასოფლო-სამეურნეო საწარმოსა და რაიონის წარმოების დონე და პერსპექტიული შესაძლებლობანი. ამ და რიგი სხვა საკითხის გადაჭრის საშუალებას მიწის კადასტრი იძლევა.

მიწის კადასტრის მონაცემები გამოიყენება პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის გეგმების დადგენის, სასოფლო-სამეურნეო კულტურების, მიწის დაცვის ღონისძიებების, აგროტექნიკის დიფერენცირების, ტექნიკის ეფექტიანად გამოყენების, საწვავ-საცხები მასალების ხარჯვის, ეროზიული პროცესებისა და რელიეფის გათვალისწინების მუშა-მოსამსახურეთა საკარმიდამო მიწების საგადასახადო სისტემის რეგულირებისა და სხვა ძირითადი ეკონომიკური საკითხების გადასაჭრელად.

§ 2. მიწის კადასტრის ორგანიზაცია სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში

სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მიწის კადასტრი დაკავშირებულია მათ სამეურნეო საქმიანობასთან და უდიდესი საწარმოო მნიშვნელობის დოკუმენტია. მიწის კადასტრის სწორად წარმოება და მიღებული შედეგების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება საწარმოთა ეკონომიკური ძლიერების მნიშვნელოვანი პირობაა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის №501 დადგენილებით მიწის კადასტრის შედგენა ევალება მიწათმომწყობის სამსახურებს, რომლებსაც კონტროლს უწევს სოფლის მეურნეობის სამინისტრო. ცალკეულ საწარმოში მიწის კადასტრის და მქონთან დაკავშირებულ საკითხების (მიწების გამოყენების კონტროლის, მიწათმომწყობის სამუშაოების შესრულებისა და ზონარეგულირების წიგნის წარმოების) განხორციელება ევალება საწარმოთა მიწათმომწყობებს.

მათი მოვალეობაა არსებული კანონმდებლობის ზუსტად დაცვით განახორციელონ მიწების გამოყენების კონტროლი და უზრუნველყონ შიდასამეურნეო მიწათმომწყობის პროექტის ათვისება, ჩაატარონ ყოველგვარი ავეგმვა და გამოკვლევა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ტრანსფორმაციის დაზუსტებისა და სავარგულთა ხარისხობრივი მდგომარეობის შესწავლისათვის, მოაშუადონ საჭირო მონაცემები საზოგადოებრივი მიწების ცვლილებების შესახებ; მიიღონ

მონაწილეობა შეეძასამეტურნეთ მიწათმოწყობის ზოგადი უწყობაში დასახელებული პუნქტების დაგეგმარებასა და სხვა ღონისძიებების გატარებაში. რომლინიც საეგემო-კარტოგრაფიული და აგეგმვით სამუშაოებთანაა დაკავშირებული; სხვა სპეციალისტებთან ერთად ორგანიზაცია გაუკეთონ თესვ-ბრუნვების ათვისებას და მეღობრაცოული ღონისძიებების გატარებას, რომლინიც მიწის ხარისხის გაუმჯობესებასთანაა დაკავშირებული; სისტემატურად ვააკონტროლონ საკარმიდამო მიწები და შესაბამისი წესის მიხედვით გამოყოფნ ამ მიწინასათვის საჭირო მიწის ფართობი; ყოველდღიურად თვალყური ადევნონ ეკოლოგურა და სხვა სამონიტორინგის წარმოებას ზოგადი მოწინის აპრვისების თავიდან აცილებების მიზნით; უზრუნველყოფნ ზონარგაყრილი წიგნის წარმოება და ა. შ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 14 მაისის დადგენილების შესაბამისად მიწის ფონდის გამოყენების კონტროლს მშრომილთა ლეპურატორის რაიონული საბჭოების საშუალებით რეგსუბლიკებისა და სსრკ სოფლის მეურნეობის სამინისტროების სპეციალური სამიწათმოწყობო სამსახურებო აწარმოებენ. ამასთან, ფართო მონაწილეობას იღებენ აგრეთვე საზოგადოებრივი ინსპექტორები. რომლებსაც ირჩევენ იმ სპეციალისტების სახით, ვინც წარმოებას კარგად იცნობს.

ყველა ზემოთჩამოთვლილი ღონისძიება მიწის კადასტრის როგორც მწყობრი, მეცნიერული დოკუმენტის წინაპირობა და სათუძველია. რამდენადაც აღრიცხვა და შეფასება ერთი საყიბნის ორი მხარეა, ისინი ურთიერთ მჭიდრო კავშირშია და ერთმანეთს ავსებს. აქედან მიწის საკადასტრო ღონისძიებებსა და დოკუმენტაციას სასოლოლო-მეურნეო სამარმოებში მიწათმოწყობის სამსახური ატარებს და იმ მიწის რაციონალურად გამოყენების საქმეს ემსახურება.

ჭ. მ. სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მიწათსარგებლოების დახასინათება, მიწის კადასტრი და მისი სახეები

ვ. ი. ლენინის მიწის დეკრეტის საფუძველზე ჩვენს ქვეყანაში მიწა სახელმწიფო, საერთო-სახალხო საყუთრებაა. სსრ კავშირის კონსტიტუციით იგი გადაეცემა მიწათმოსარგებლებებს მიზნობრივი დანიშნულებით და მასზე ყოველგვარი საფინანსო ოპერაციები კანონსაწინააღმდეგოდ არის გამოცხადებული.

სოფლის მეურნეობის სოციალისტურ რელსებზე გადაყვანის, ანუ

საკომპიუტერო მშენებლობის გამარჯვების შემდეგ ძირითადი მიწათ-
მოსარგებლეები ჩვენს ქვეყანაში კომპიუტეროებები, საბჭოთა მეურნე-
ობები, კოოპერატივები, საზოგადოებრივი მეურნეობები და ორგანი-
ზაციებია. რომლებსაც მარჯა დადაევირა უფრო სარგებლობაში სასო-
ფლო-სამეურნეო პროდუქციის საწარმოებლად. გარდა ამისა, მიწა
უფრო სარგებლობაში გადაეცემა სამეცნიერო-კვლევით, სასწავლო
და სასოფლო-სამეურნეო საედილ საწარმოებს კვლევითი-საედილო
სამუშაოების ან პროდუქციის საწარმოებლად. არასასოფლო-სამეურ-
ნეო საწარმოებს, ორგანიზაციებს დამხმარე წარმოებისათვის, კოლე-
ქტიური მებაღეობა-მევენახეობის გამგეობებსა და მოქალაქეებს—სა-
კარმიდამო მეურნეობის მოსაწყობად.

მეწა მათ გადაეცემა უფრო (ნედნე), გრძელვადიან და მოკლევადიან
სარგებლობაში, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში შეიძლება
გაგრძელდეს. მიწების გამოყოფისა და მიწათსარგებლობის უფლების
გაფორმება, ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთი სტრატეგიით ტარდება. უფრო
სარგებლობაში მიწების გამოყოფა და მისი მიმდგრება ხდება მიწათ-
სარგებლობის სახელმწიფო აქტების საფუძველზე, ხოლო დროებით
სარგებლობაში მიწების გამოყოფის და გაფორმების წესს ადგენენ
პროკლავირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები ან რაიონული აღ-
მსრულებელი კომიტეტები. იმის შესაბამისად, თუ სარგებლობის რი-
ცით, ფორმისა და გვაქვს საქმე.

მიწების გამოყოფის საფუძველია რესპუბლიკის მინისტრთა საბ-
ჭოს დადგენილება და მის საფუძველზე შედგენილი მიწათსარგებლო-
ბის სახელმწიფო აქტი, რაც ქვეყნის მასშტაბით ერთიანი ფორმით კე-
თდება. დადგენილების მიხედვით დაინტერესებული საწარმოები და
ორგანიზაციები შუამდგომლობას ადგენენ რაიონულ-აღმასრულებელ
კომიტეტში. შუამდგომლობაში მითითებული უნდა იყოს მიწის გამო-
ყოფის მიზანი, მიწის ნაკვეთის მოცულობა და ადგილმდებარეობა. რა-
იონული აღმასრულებელი კომიტეტი განიხილავს საკითხს და საჭი-
როების შემთხვევაში გამოყოფს კომისიას მიწის ნაკვეთის შესარჩე-
ვად. კომისია, როგორც წესი, რამდენიმე ვარიანტს არჩევს და დაქვე
მათი საზღვრები გეგმის ასლზე ყოველი ვარიანტისათვის. რაიონული
აღმასრულებელი კომიტეტი იხილავს ამ მასალებს, იღებს გადაწყვე-
ტილებას ობიექტის ადგილმდებარეობის შერჩევის შესახებ და შუამ-
ლებს გზავნის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებში
ან ავტონომიური ოლქის აღმასრულებელ კომიტეტში თუ მათ ტერი-

ტორიაზე ხე ება შერჩევა, ყველა სხვა შეერთებევაში კი—საქართველოს მინისტრო, საპროკურო. ნაკვეთის შერჩევის მასალებს იხილავს და შერჩევის აქტს ანტიკიეებს საქართველოს მინისტრთა საბჭო საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტსა და სატყეო ინჟინერობების სამინისტროებთან ერთად და აძლევს დაინტერესებულ ორგანიზაციას დაპროექტების უფლებას, თუმცა ეს უკანასკნელი არ არის მიწით სარგებლობის უფლება, სანამ მას არ განიხილავს და დაამტკიცებს რაიონული აღმასრულებელი კომიტეტი.

ამის შემდეგ წარმოებს მიწის გამოყოფის პროექტის ნატურში გადატანა დადგენილი სასაზღვრო ნიშნებით და საზღვრების მიხედვით დაწესებულობის გარე მოსაზღვრებთან ან სხვა ობიექტებთან და კონტურებთან.

სარგებლობის ვადის გასვლის შემდეგ ნაკვეთი უბრუნდება პირველად მიწათმოსარგებლეს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში გამოყენებულ მდგომარეობაში მოყვანილი.

გარდა აღნიშნულისა, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციებს უფლება ეძლევა გადასცენ მიწა საკარმიდამო მიწათსარგებლობისათვის მეორად მოსარგებლებს შესაბამისი დებულებებისა და წესების დაცვით. ამასთან, გამოყოფა მხოლოდ საკარმიდამო მიწის თავისუფალი ფონდიდან ხდება. თუ ასეთი არაა, მაშინ კოლმეურნეობის გამგეობის ან საბჭოთა მეურნეობის დირექციის გადაწყვეტილებით გამოიყოფა საკარმიდამო ფონდისათვის მიწა, რომელსაც ამტკიცებს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო. როდესაც სასოფლო-სამეურნეო საწარმოები ვერ იყენებენ მიწის გარკვეულ ნაწილს, შეუძლიათ იგი დროებით გადასცენ სარგებლობისათვის სხვა მოსარგებლეს რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილების საფუძველზე.

მიწის ფართობი, რომელიც სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მიწათსარგებლობაშია მოქცეული, მაგრამ სამრეწველო, ტრანსპორტის, კურორტების, ნაკრძალების, სახელმწიფო ტყის და სახელმწიფო წყლის ფონდს მიეკუთვნება, შეფასების დროს გამოითიშება და საკადასტრო დოკუმენტაციაში არ შეიტანება. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისათვის პირველ რიგში დაბალნაყოფიერი ან გამოუყენებელი მიწები უნდა გამოიყოს. თუ ამ პირობის შესრულება ვერ ხერხდება, მაშინ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს მაღალნაყოფიერი სავარგულების გამოყოფით მიყენებულ ზარალს უნაზღაურებს ის ორგანიზაცია, რომელსაც მიწა გადაეცა. მიყენებული ზარალის სიდიდეს, სანამ მიწის შეფასების მონაცემები არ დაინერგება და მიწას ფასი არ დაედება,

განსაზღვრავს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 4 იანვრის №2 დადგენილებით 1 ჰა სარწყავი სახნავი 6820 მანეთია, დაშრობილი 7320 მან, ურწყავი 3320 მან, 1 ჰა სათიბი და საძოვარი 2970 ნანეთი.

ამ ღონისძიებამ ერთგვარად შეამცირა მაღალნაყოფიერა სავარგულების სასოფლო-სამეურნეო წარმოების ბუნედიან ამოღება. მაგრამ ეს უარყოფითა პროცესი ჭერ კიდევ გრძელდება. მაგალითად, საქართველოში 1966—1980 წლებში მარტო სახნავი 45.2 ათასი ჰა-თი შემცირდა. მ. შ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით ათვისებულ იქნა გზების ქვეშ 2.4 ათასი ჰა, საზოგადოებრივი შენობის ქვეშ—11.4 ათასი ჰა, ქარსაფარებში 7.8 ათასი, სამელიორაციო ღონისძიებებისათვის 9.4 ათასი, დამეწყერდა 3.4 ათასი, ეროზირებული ფართობი 2.3 ათასი, სხვა დანიშნულებით 15.1 ათასი ჰა.

ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების, მიწების დაცვისა და მიზნობრივი გამოყენების კონტროლის საიმედო იარაღია საჩუღმწიფო მიწის კადასტრი. არჩევენ მიწის კადასტრის ორ სახეს: ძირითადს და მიმდინარეს.

ძირითადი მიწის კადასტრი მოიცავს მიწათსარგებლობის საზღვრების დადგენას, მიწების აღრიცხვასა და შეფასებას. სამუშაოები თავის მხრივ, იყოფა საველე და კამერულად. თანმიმდევრობის მიხედვით არჩევენ მოსამზადებელ, საველე და საკადასტრო დოკუმენტაციის გაფორმების სამუშაოებს. ამ დროს წარმოებს ყველა დოკუმენტისა და მასალის თავმოყრა, დაჯგუფება და ანალიზი (იგულისხმება ყოველგვარი გამოკვლევა, გადაღებები, გეგმები, კარტოგრაფიული და გეგმარებისა და სხვა მასალები).

კამერულ პირობებში დამუშავებული მასალების რაოდენობა, მოცულობა და ხარისხი განსაზღვრავს საველე სამუშაოების სახეს და სიდიდეს. ეს განსაკუთრებით ეხება საგეგმო-კარტოგრაფიულ მასალებს, რომელთა შინაარსი და მოცულობა მთლიანად უნდა აკმაყოფილებდეს საკადასტრო დოკუმენტაციის მოთხოვნებს. მოსამზადებელ პერიოდში განსაზღვრავენ კვლევის ობიექტებს, ადგენენ შესასრულებელი სამუშაოების კალენდარულ გეგმებს, აგროვებენ მასალებს, ლიტერატურას და ამზადებენ კარტოგრაფიულ საფუძველს. ამის შემდეგ ადგენენ კვლევის სახეს, რომელიც იყოფა სპეციალურ და აგროსაწარმოო სახეებად. სპეციალურში არჩევენ ნიადაგურ, გეობოტანიკურ და აგრომელიორაციულ გამოკვლევებს.

კვლევის მასალების საიმედობისა და სიზუსტის ყველაზე მნიშვნელოვანი პირობაა კვლევის მასშტაბი, რომელსაც განსაზღვრავს ტერიტორიის სირთულე და წარმოების ინტენსიურობა. ყველაზე სრულ-

ყოფილ მასალას იძლევა მსხვილმასშტაბიანი ნიადაგური გამოკვლევა. ამიტომ წვრილკონტურაინობის პირობებში ყველაზე მისაღებია 1:10 000, სარწყავებში, დასახელებულ პუნქტებსა და მრავალწლიანი ნარგავების გასაშენებელ ფართობებზე—1:2000—5000. ნახევრადსტეპის ზონაში—1:25 000, ხოლო სტეპისა და უდაბნოს ტიპის საძოვრებში—1:50 000 მასშტაბი. სირთულის მიხედვით მსხვილმასშტაბიანი გამოკვლევებისათვის ტერიტორიას ყოფენ ხუთ კატეგორიად (ცხრილი 5).

ცხრილი 5.

ბექტრების რაოდენობა 1 ნიადაგურ ჰრილზე სირთულის კატეგორიის მიხედვით

	პა რდილზე					რუკაზე სმ ²				
	I	II	III	IV	V	I	II	III	IV	V
1:2000	3	2	1,5	1,0	0,5	75	50	37	25	12
1:5000	7	5	4	3	2	24	20	16	12	8
1:10000	25	20	18	15	10	25	20	18	15	10
1:25000	50	65	50	40	25	12,8	10,4	8,0	6,4	4,0
1:50000	150	120	110	80	50	6,0	5,2	4,4	3,2	2,0

კატეგორიების მიხედვით დაყოფილი ტერიტორია ნიადაგების კვლევის საფუძველია, სადაც მოცემულია სირთულის კატეგორია ნატურაში (პა-ობით) და რუკაზე (სმ²-ობით) გამოსახული. მისი საშუალებით წარმოებს ჰრილების, ნახევარჰრილებისა და ამონაბრების რაოდენობის დაღენა. ზემოთ მოტანილ ცხრილში ნაჩვენებია მასშტაბებისა და სირთულის კატეგორიის მიხედვით თითოეულ ჰრილზე თუ რამდენი პა და სმ² უნდა მოდიოდეს. კვლევის დროს ჰრილების მიხედვით განისაზღვრება ნახევარჰრილებისა და ამონაბრების რაოდენობა. თითოეულ ჰრილზე რეკომენდებულია 4 ნახევარჰრილისა და 5 ამონაბრის (1:4:5) გაკეთება.

I კატეგორიას მიკუთვნებულია სტეპისა და ნახევრადუდაბნოს ზონის დაბლობი რაიონები სუსტადდანაწევრებული რელიეფით, ერთნაირი ნიადაგწარმომქმნელი ქანებითა და ნიადაგური საფარით.

II კატეგორიას—ტყესტეპის, სტეპისა და ნახევრადსტეპების ზონები დანაწევრებული რელიეფით, ერთნაირი ნიადაგწარმომქმნელი ქანებითა და აჩართული ნიადაგური საფარით.

III კატეგორიას—სტეპის და ტყესტეპის ზონები ტალღური, დაყოფილი რელიეფით, ჰრელი ნიადაგწარმომქმნელი ქანებითა და ნიადაგური საფარით; I კატეგორიის მიწები ეროზირებული 20—40%,

II კატეგორიის ფართობები ეროზირებული 10—20%; სარწყავი და დაშრობილი მიწები, რომლებშიც აღარაა დამლაშებისა და დაჭაობების ნიშნები.

IV კატეგორიას—ტყესტეპის ზონები მიწათმოქმედებაში ნაკლებად გამოყენებული ერთნაირი ნიადაგაწარმოებულ ქანებზე და დაჭაობებული ფართობებით 20—40%; ტყესტეპის ზონები განიორებული მიწათმოქმედებით დაჭაობებული და ეროზირებული ფართობებით 20—40 %. სტეპის, ნახევრადუდაბნოსა და უდაბნოების ტერიტორიები ნიადაგებში მკვეთრად გამოსატული კომპლექსურობითა და ეროზირების პროცესებით; დანაწევრებული მთისწინები; ტუნდრა; სარწყავი და დაშრობილი მიწები, რომლებშიც დამლაშებისა და დაჭაობების ნიშნები ფართობის 15 %-ზე.

V კატეგორიას—ტყის ზონის რაიონები ნაკლებად განვითარებული მიწათმოქმედებით, კრელი ნიადაგთწარმოქმნელი ქანებით, დიდი რაოდენობით დაჭაობებული მიწებით (40%-ზე მეტი); სტეპის, ნახევრადუდაბნოსა და უდაბნოს ტერიტორიები ნიადაგების მკვეთრად გამოხატული კომპლექსურობითა და ეროზიის პროცესებით (60% მეტი ფართობზე); მთები და ტყიანი მთისწინები; სარწყავი და დაშრობილი მიწები დამლაშებისა და დაჭაობების ნიშნებით (ფართობის 15%-ზე მეტი).

საველე პირობებში წარმოებს ნიადაგების გამოკვლევა: აღწერა, სანალიზო ნიადაგური ნიმუშების აღება, ნიადაგების კონტურების და სახესხვაობების გამოყოფა ნიადაგების აგროსწარმო თვისების აღწერა, ნიადაგური რუკის საველე გაფორმება, ნიადაგის ფიზიკური თვისებების აღწერა და სანალიზოდ ნიადაგების ნიმუშების შერჩევა.

კვლევის ძირითადი რეოლა პრილებს. ნახევარპრილებსა და ამონბარების გაკეთება. ძირითადი პრილების სიღრმე 1.5—2.0 მ-ია, მრავალწლიან ნარგავებში 2.5—3.0 მ, ხოლო სარწყავ მიწებში—4—6 მ. ნახევარპრილების სიღრმე 0.75—1.5 მ-ია, ხოლო ამონბარების—0,25—0.75 მ. კვლევის შედეგების გამოყენებას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს პრილების საგეგმო-კარტოგრაფიულ მასალებში დატანის სიზუსტე, რაც აზომვით ან სიტუაციის კონკრეტული ელემენტების საშუალებით კეთდება. პრილების გეგმაზე დატანის სიზუსტეს განსაზღვრავს კვლევის მასშტაბი. 1:2000 მასშტაბში ორი 1.5 მ, ხოლო 1:10000-ში 3.0 მ-ია. პრილების გასაკეთებლად ადგილის შერჩევა კონკრეტული ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით წარმოებს. მათგან მთავარია: ნიადაგთწარმოქმნის პროცესის ძირითადი ელემენტები: რელიეფი, მცენარეული საფარი, გაკულტურების დონე და ა. შ. ამ ფაქტორები-

დან თითოეულის შეცვლით ნიადაგის ტიპი ან სახესხვაობა იცვლება და შესაბამისად უნდა გაკეთდეს ჰრილებიც. ყოველი ჰრილის მიხედვით წარმოებს ნიადაგის ტიპის და სახესხვაობის დაწვრილებითი აღწერა; მორფოლოგიური აღწერის საფუძველზე კერძოდ, ნიადაგის პროფილის, მისი შეფერილობის, სტრუქტურის, მექანიკური შედგენილობის, სიმკვრივის, წებოვანების, მჟავიანობის, კარბონატულობის და სხვა ნიშან-თვისებების მიხედვით ხდება ნიადაგის სახესხვაობების დადგენა-დაზუსტება. ამასთან, საველე პირობებში ნიადაგის აღწერის და მისი ტიპების დადგენის პროცესი სუბიექტურია და არ შეიძლება საგანგებო მასალები შედგენის სფუძველად გამოყენება.

ნიადაგის ფიზიკურ-ქიმიური, ბიოლოგიური და სხვა თვისებების ღრმად შესწავლის მიზნით ტარდება საველე პირობებში ჰრილებიდან აღებული ნიადაგური ნიმუშების ლაბორატორიული ანალიზი. ეს უკანასკნელი იძლევა ნიადაგების სახესხვაობების სრულ დახასიათებას მექანიკური შედგენილობის, მოცულობით წონის, მაქსიმალური ჰიგროსკოპულობის, ტენტევალობის, ჰუმუსის შემცველობისა და საკვები ნივთიერებებით უზრუნველყოფას მიხედვით.

მსხვილმასშტაბიან გამოკვლევებში ანალიზები ორ ჯგუფად იყოფა: ა) ძირითადი ანუ საერთო, რომლებიც ახასიათებენ ნიადაგის გენტიკას და აზუსტებს დასახელებებს; ბ) ანალიზები, რომლებიც გამოიყენება კარტოგრამებისა და პრაქტიკულად გამოსაყენებელი რეკომენდაციების შესადგენად. აღნიშნულიდან გამომდინარე ნიადაგების კვლევის დროს კეთდება შემდეგი ძირითადი სახის ანალიზები:

1. ჰიგროსკოპულ წყალზე;
2. მექანიკურ შედგენილობაზე;
3. ჰუმუსზე;
4. საერთო აზოტზე;
5. ჰიდროლიზურ აზოტზე;
6. საერთო ფოსფორზე;
7. მოძრავ კალიუმზე;
8. PH წყლით;
9. PHKCl-ით;
10. CaCO₃ კალციმეტრით;
11. გაცვლით მჟავიანობაზე;
12. შთანთქმულ ფუძეებზე;
13. დამლაშება-ბიცობიანობაზე;
14. საერთო ანალიზი;
15. ჰუმუსის ჯგუფურ და ფრაქციულ შედგენილობაზე.

გარდა აღნიშნულისა, ნიადაგური კვლევის დანიშნულების შესაბამისად შეიძლება გაკეთდეს მიკრომორფოლოგია, მიკრობიოლოგია, თერმოგრაფია, რედგენოსკოპია, ნიადაგის ფიზიკური თვისებები (მოცულობითი წონა, კუთრი წონა, ფორიანობა, მიკროაგრეგატული და სტრუქტურული მდგომარეობა), წყალგამტარიანობა, საველე ტენტევადობა, ზღვრული ტენტევადობა, მოლეკულური წყალტევადობა და ელტრაციის კოეფიციენტი

ლაბორატორიული ანალიზების საფუძველზე საველე პირობებში აზუსტებენ შესრულებული ნიადაგების ტიპებისა და სახესხვაობების გამოყოფას. მის საფუძველზე ადგენენ ნიადაგურ რუკებს და ეროზიის კარტოგრამებს. ნიადაგურ რუკაზე დაქვეით ნიადაგური ლეგენდა და პირობითი ნიშნები (ცხრილი 6).

ც ხ რ ი 6

პირობითი ნიშნები ნიადაგურ რუკაზე

ნი- შე სა- ხე- სი	სა- ხე- სი	სა- ხე- სი	სა- ხე- სი	სა- ხე- სი	სა- ხე- სი	სა- ხე- სი	სა- ხე- სი
ნი- შე სა- ხე- სი	სა- ხე- სი	სა- ხე- სი	სა- ხე- სი	სა- ხე- სი	სა- ხე- სი	სა- ხე- სი	სა- ხე- სი

ნიადაგურ რუკას თან ერთვის ნარკვევი, რომელიც განმარტებითი ტექსტითა ნიადაგური რუკისა და სხვა მასალებისათვის, რაც ნიადაგების კვლევასთანაა დაკავშირებული.

გარდა ზემოთგანხილული სპეციალური გამოკვლევისა წარმოებს ნიადაგების აგროქიმიური, მელიორაციული და აგროსაწარმოო გამოკვლევა.

აგროქიმიური გამოკვლევა იძლევა ნიადაგის საკვები ნივთიერებებით უზრუნველყოფის (აზოტით, ფოსფორით და კალიუმით) დახასიათებას. გამოყოფენ ნაკლებ, საშუალოდ და მაღალი უზრუნველყოფის ნიადაგებს.

მელიორაციული გამოკვლევის დროს მოცემულია გრუნტის წყლის დგომის სიღრმე და ტენიანობის ხარისხი იმ

მიწების გამოყოფით, რომლებიც საჭიროებს აგროტექნიკურ, ჰიდროტექნიკურ, კულტურულ და სატყეო-მცლიორაციულ ღონისძიებებს.

აგროსაწარმოო კვლევას წარმოებს ნიადაგის გარეგნული ნიშნებით ყოველი კონტურის ნატურაში დათვალიერების გზით. კვლევის დროს გამოიყენება ყველა მასალა, რაც კი არსებობს ცალკეული საწარმოს მიხედვით. აგროსაწარმოო კვლევას აწარმოებს კომისია მიწათმოქმედების, ნიადაგმცოდნის, ეკონომისტის, აგრონომისა და მიწათმოსარგებლე სპეციალისტის შენადგენლობით, რომელიც კარგად ერკვევა ადგილობრივ პირობებში.

კომისიას საეარგულეების სახეების მიხედვით შედგენილ სპეციალურ უწყისებში შეაქვს მათი მდგომარეობისა და გამოყენების ყოველგვარი ცნობა. უწყისები ღებდა ყოველი კონტურისათვის და შემდეგ კეთდება მათი ნაკრები.

სახანავეისათვის შედგენილ უწყისებში მოცემულია მეურნეობის მიმართულება, კონტურის სიდიდე, რელიეფი, ექსპოზიცია, დახრილობა, სიმაღლე ზღვის დონიდან, გაადგილებული კულტურა. მისი მოსავლიანობა, თესლბრუნვის ტიპი და მინდვრის ნომერი, აგროტექნიკის დონე, გამოყენებული სასუქები, ნიადაგის ტიპი და ქვეტიპი, მისი სისქე, მექანიკური შედგენილობა, ჰუმუსიანობა, ჩამორეცხვის ხარისხი, ზედაპირული და სიღრმისეული დაქვიანება, ზედაპირული და სიღრმისეული სიმკვრივე, დამლაშების ხარისხი, გრუნტის წყლის დგომის სიღრმე, მორწყვის პირობები, აგროტექნიკის დონე, პერსპექტივაში მისი გამოყენების რეკომენდაცია, კონტურის სიგრძე და სიგანე, საქცევის სივრძე, დაბრკოლებათა კომპლექსი, კონფიგურაცია და გასატარებელი ღონისძიებანი.

მრავალწლიანი ნარგავებისათვის ნარგავობის სახე და წლოვანება, კონტურის სიდიდე, რელიეფი, ექსპოზიცია, დახრილობა, სიმაღლე ზღვის დონიდან, ნარგავობის დარგის სისტემა და ტიპი, ჯიშო, მცენარეთა დაშორება, მოსავლიანობა, მოვლის პირობები, სასუქები, რწყვის პირობები, ნიადაგის ტიპი და ქვეტიპი. მისი სისქე, ჰუმუსიანობა, ეროზიის ხარისხი, ზედაპირული და სიღრმისეული დაქვიანება, დამლაშების ხარისხი, კარბონატულობა, კონტურის სიგრძე და სიგანე, საქცევის სივრძე, კრონის სიმაღლე და გასატარებელი ღონისძიებანი.

სათიბ-საძოვრებისათვის კონტურის ფართობი, რელიეფი, ექსპოზიცია, სიმაღლე ზღვის დონიდან, მცენარეული საფარის ტიპი, შხამიანი ბალახების დასარეველიანება, გაბუჩქნარება, ვაკობლობა

ხება, სასუქები, გასარწყავება, მოსავლიანობა, ძრევის პერიოდის ხანგრძლივობა, ნიადაგის ტიპი და ქვეტიპი. მისი სრულყოფილი მუშაობის შედეგად შექანიური შედგენილობა, ეროზირების ხარისხი, ზედაპირული და სიღრმეული დაფიქსაცია, ფრენის წყლის სიღრმე, დაფიქსაცია, სისხი, ტენიანობა. ნაკვეთის პერსპექტივაში გამოყენების რეკომენდაცია და ჩასატარებელი ღონისძიებანი.

როგორც წესი, ყოველგვარ გამოკვლევას მასალა დაკავშირებული რელიეფთან, რომლებზედაც განლაგებულია ნიადაგები და ეს უკანასკნელი მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთსაგან ტიპისა და ნანთისებებით. თავის მხრივ, სპეციალური, მელიორაციული და აგროსაწარმოო გამოკვლევების მასალები ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული. ამიტომ ხშირად მიმართავენ ნიადაგების კომპლექსურ გამოკვლევას.

კომპლექსური გამოკვლევების შემდეგ შედგენილ ნიადაგურ რუკაზე დაქვით ნიადაგების სახესხვაობების საზღვრები. მათი შიფრი, მექანიკური შედგენილობა, ჭრილების, ნახევარჭრილებისა და ამონაბრების ნომრები, ხოლო ნიადაგების სახესხვაობები ფერადდება ერთიან საკავშიროდ მიღებულ ფერებში.

პრაქტიკაში ხშირად გვხვდება ისეთი მომენტები, როდესაც ნიადაგური საფარი ძალიან ჭრელია და მასალების გამოყენება საკადასტრო და სხვა სახის სამუშაოებში შეუძლებელი ხდება. ამიტომ აწარმოებენ ნიადაგების აგროსაწარმოო დაჯგუფებას. ნიადაგების აგროსაწარმოო დაჯგუფება ასე აღსანიშნავია: ვინაიდან ნიადაგები განზოგადებისა და აგრონომიული ინტერპრეტაციის ძირითადი ფორმაა. მან უნდა განსაზღვროს ნიადაგების გამოყენების შესაძლებლობანი, აგროტექნიკის დიფერენცირებისა და ჩასატარებელი ღონისძიებების, აგრეთვე მიწათმოქმედების მთელი სისტემა. ნიადაგების აგროსაწარმოო დაჯგუფება იწყება საჯელე პირობებში და მთავრდება ლაბორატორიული ანალიზების საფუძველზე ნიადაგური რუკის დაზუსტება-შედგენით.

ძირითადი კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც წარმოებს ნიადაგის აგროსაწარმოო დაჯგუფება საკავშირო მეთოდებიდან გამომდინარე, შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს:

1. განსაზღვრული ნიადაგურ-კლიმატური ზონის, ქვეზონის, პროვინციისადმი მიკუთვნებით;

2. ნიადაგების გენეტიური სიახლოვე;

ა) ნიადაგურა პროფილის მორფოლოგია;

ბ) ნიადაგების მექანიკური შედგენილობა და ნიადაგთწარმოქმნელი ქანებზე

ვ) ნიადაგების ფიზიკური თვისებები, წყლის, ჰაერისა და სითბოს რეჟიმი;

დ) ნიადაგების ფიზიკურ-ქიმიური და ქიმიური თვისებები;

ე) საკვები ნივთიერებების შემცველობა და მათი მარაგი.

3. რეზიუმე:

4. ნიადაგური კონტურების კონფიგურაციისა და სიდიდის მსგავსება;

5. იმ ნიშან-თვისებების მსგავსება, რომლებიც განსაზღვრავს ნიადაგის ნაყოფიერებას, აძნელებს მის გამოყენებას და მოითხოვს რიგი მელიორაციული ღონისძიების გატარებას.

ნიადაგების აგროსაწარმოო დაჯგუფების დროს ითვალისწინებენ ნიადაგის იმ ნიშან-თვისებებს, რომლებიც მოქმედებს მას ნაყოფიერებაზე და დროში არ იცვლება, ე. ი. მდგრადობით ხასიათდება.

ნიადაგების აგროსაწარმოო დაჯგუფების საფუძვლებია „საკავშირო ინსტრუქცია ნიადაგების გამოკვლევებისა და მსხვილმასშტაბიანი ნიადაგური რუკების შედგენის შესახებ“ და ნიადაგების დაჯგუფების საკავშირო სექცია მიწების რაოდენობრივი და ხარისხობრივი აღრიცხვისათვის. ამ უკანასკნელის მიხედვით წარმოებს რესპუბლიკების და ნიადაგების დაჯგუფება-მიბმა.

აგროსაწარმოო დაჯგუფება წარმოებს ცალკეული სასოფლო-სამეურნეო სავარგულის მიხედვით. სახნავში კი გამოიყოფა სარწყავი და დაშრობილი მიწები, რადგან მათი შეფასება განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას მოითხოვს. ნიადაგში საკვები ნივთიერებები ისაზღვრება აზოტის, ფოსფორის და კალიუმის უძრავი და მოძრავი ფორმების შემცველობის მიხედვით 100 გ ნიადაგში. ჰუმუსს საზღვრავენ როგორც მთლიანი მარაგის ისე პროცენტულ სიდიდეებში. გარდა ამისა, სავარგულების დახასიათება წარმოებს დაქანებების მიხედვით. გრადაციები დღევანდლამდე გამოიყოფოდა 2°, 2°-დან 5°-მდე, 5°-დან 10°-მდე, 10°-დან 15°-მდე და 15°-ზე ზევით. უკანასკნელ პერიოდში განვითარებულ ქვეყნებში დაიწყო 0°-დან დაყოფა და ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება. კონტურების ნუმერაციასთან ერთად დაქანების გრადაციების მიხედვით გეგმაზე გამოყოფენ ფართობებს ფერების საშუალებით. მაგ. 15°-ზე ზევით ყავისფერით გამოიყოფა ყველა სავარგული და ა. შ.

ძირითად მიწის კლასტრში აღნიშნულ საშუალებებთან ერთად აღგენენ საკარმიდამო მიწების აღრიცხვა-შეფასების დოკუმენტაციას. გარდა ძირითადი კლასტრისა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებ-

სა და ორგანიზაციებში ტარდება მიმდინარე მიწის კადასტრის სამუშაოები. მიმდინარე მიწის კადასტრის ამოცანაა სამეურნეო საქმიანობის შედეგად გამოწვეული ყოველგვარი კანონიერი ცვლილების ფიქსაცია. ისინი კი შეიძლება იყოს მიწათსარგებლობაში, სარგებლობის ვადებში, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ტრანსფორმაციაში, გასარწყავებულ და დაშრობილ ფართობებში, სავარგულების ხარისხში, სახოჯაღობებში და საკარმიდამო მიწებში და ა. შ.

§ 4. მიწათსარგებლობისა და მიწების აღრიცხვა მიწის კადასტრში

სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მიწის კადასტრი დგება მიწების ფაქტობრივი მდგომარეობისა და გამოყენების შესაბამისად. მიწათსარგებლობისა და მიწების აღრიცხვის საფუძველია სახელმწიფო აქტი მიწით სარგებლობის უფლებაზე, რომლის საერთო-საკავშირო ფორმა დაამტკიცა სსრ კავშირის მინისტროს საბჭომ 1975 წლის 6 მარტს № 199 დადგენილებით. ყველა მიწათსარგებლობისათვის სახელმწიფო აქტს გასცემს რაიონული აღმასრულებელი კომიტეტი. სახელმწიფო აქტების გაცემის სამუშაოების ხელმძღვანელობა ევალება მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, ხოლო სამუშაოების ჩატარების კონტროლი—შესაბამის სოფლის მეურნეობის სამინისტროებს.

სახელმწიფო აქტი ივსება იმ რესპუბლიკის ენაზე, რომელშიც გაიცემა ამასთან, მას დართული აქვს რუსული ტექსტი, დებულების შესაბამისად იგი ორ ეგზემპლარად ივსება და ორივე ერთნაირი სახელმწიფო ნომრითაა. სახელმწიფო აქტის შედგენამდე აუცილებელია მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება, რომელშიც შედის ცალკეული მიწათსარგებლობის მიხედვით რეგისტრაციის მონაცემების დაზუსტება, ყოველგვარი არსებული მასალის სისტემატიზაცია, გარემოსარგებელთა დაზუსტება და მიწებისდანიშნულებისამებრ გამოყენების ანალიზი. თუ გამოვლინდა არამიზნობრივი გამოყენების ფაქტები, უნდა მომზადდეს მათი აღმოფხვრის კონკრეტული წინადადებები.

მოსამზადებელი სამუშაოების დამთავრების შემდეგ უნდა განისაზღვროს იმ მოსარგებელთა რაოდენობა და ფართობი, სადაც საჭიროა სამიწათმომწყობო სამუშაოების ჩატარება.

სახელმწიფო აქტის გაცემას ანხორციელებს სამიწათმომწყობო საშახური, რომელიც ამ სამუშაოებს ატარებს მიწათსარგებლობაში შესაბამისობის ლიკვიდაციის მიზნით. მისი მოვალეობაა აგრეთვე სახე-

ლმწიფო აქტის ნატურაში გადატანის სამუშაოების ჩატარება აქტის მფლობელისა და ზომიჭსავე მიწათმოსარგებლეთა ნონაწილეობით.

ამის შემდეგ რაიონული აღმასრულებელი კომიტეტი იღებს გადაწყვეტილებას სახელმწიფო აქტის გაცემაზე. დადგენილებაში აქტის გაცემის შესახებ მითითებულია მიწათმოსარგებლის დასახელება, მიწის ფართობი და გარე მიწათმოსარგებლები დაკავებული მიწის ფართობების მითითებით.

სახელმწიფო აქტის შესავსებად წინასწარ დგება მიწათსარგებლობის გეგმა, რომელზედაც აუცილებლად ასახული უნდა იქნას მიწათმოსარგებლობის საადრეს ყუელა სასახევეტი ნაწილი, მცხროველი საზღვარი (ჯონაოიბი, ტიბიბი, ეკენი და ა. შ.) და საეზოთე. ეამე ეცდელი მიწების მანძილი.

ჩამოთვლილი სამუშაოების ჩატარების შემდეგ რაიონული აღმასრულებელი კომიტეტი მიწათმოსარგებლებზე გაცემს სახელმწიფო აქტს, რომელიც რვა გვერდისაგან შედგება. პირველი გვერდი სახელმწიფო აქტის ფორმულია და მასზე მითითებულია სახელმწიფო ნომერი: ნორე გვერდი ეთმობა ამონაწერს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლებიდან; მესამე გვერდზე მოცემულია მიწათსარგებლობის დასახელება. მისი ადგილმდებარეობა, მიწის გაცემის მიზნობრივი დანიშნულება და აქტის რეგისტრაციის შესახებ ჩანაწერი სახელმწიფო აქტების ჩაწერის წიგნში. რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის თაიმჯდომარისა და რაიონის მთავარი (აფუროსი) ინჟინერ-მიწათმომწყობის ხელმოწერები; მეოთხე და მუხუთე გვერდებზე მოცემულია მიწათსარგებლობის გეგმა: მეჩხრე და მეშვიდე გვერდებზე იწერება გარეშე მიწათმოსარგებლის მიწის ფართობის მითითებით; მერვე გვერდი ეთმობა მიწათსარგებლობის ცვლილებებს, სადაც იწერება იმ საბუთის თარიღი და შინაარსი, რომლის საფუძვლებზედაც შეტანილია მიწათსარგებლობაში მომხდარი ცვლილება.

სახელმწიფო აქტთან დაკავშირებული ზემოაღნიშნული სამუშაოების დამთავრების შემდეგ ადგენენ მიწათმომწყობის საქმეს სახელმწიფო აქტის გაცემის შესახებ. იგი შედგება შემდეგი ძირითადი დოკუმენტებისაგან:

ა) ამონაწერი რაიონის სახელმწიფო მიწის წიგნიდან ან შესაბამისი ორგანოების დადგენილებებიდან მიწის სარგებლობაში გადაცემის შესახებ;

ბ) რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება მიწის სარგებლობის უფლების გაცემის შესახებ;

გ) მიწათსარგებლობის გეგმის საზღვრები;

დ) დოკუმენტების შემოწმების აქტი;

ე) რაიონის მთავარი (უფროსი) ინჟინერ-მიწათმომწყობის დასკვნა.

სახელმწიფო აქტის ორივე ეგზემპლარს ამოწმებს რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე და მთავარი (უფროსი) ინჟინერ-მიწათმომწყობი. ერთ ეგზემპლარს რაიონების აღმასკომის თავმჯდომარეები გადასცემენ საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებს. თავის მხრივ, აქტის მიმღები ხელს აწერს მიწათსარგებლობის უფლების აქტების აღრიცხვის წიგნში და იმ ეგზემპლარზეც, რომელიც რაიონის მთავარ (უფროს) ინჟინერ-მიწათმომწყობთან რჩება.

წიგნის ერთი ეგზემპლარი აქტებთან ინახება რაიონის აღმასრულებელ კომიტეტში ცეცხლგამძლე ყუთში. აქტების გაცემის შემდეგ მიწათსარგებლობაში ცვლილებები გეგმაზე დააქვთ შავი ტუშით, ხოლო ძველ საზღვრებს წითელი შტრიხებით გადაახავენ.

მიწის სახელმწიფო აქტი საგეგმო კარტოგრაფიული და სხვა დოკუმენტაციის საფუძველია, რომლებიც მიწის საკადასტრო დოკუმენტაციაში გამოიყენება. ამ უკანასკნელის სისწორე და მისი მიწათსარგებლობის მდგომარეობასთან შესაბამისობა ღიდადა და მოკიდებული გეგმის სისრულესა, დეტალურობასა და სიზუსტესთან.

მიწათსარგებლობის აღრიცხვა და გეგმაზე მისი დატანა ხორციელდება სარწყავი და დაშრობილი მიწების, სასოფლო-სამეურნეო საკრეგულების სახეების, მათი ქვესახეებისა და სხვა პირობების მიხედვით. სარწყავი მიწებზე ფორმის შესაბამისად იყოფა: რეგულარულად, პირობითად და ლიმანურ სარწყავებად. დაშრობილი დახურული დრენაჟითა და წყლის რეჟიმის ორმხრივი რეგულირების სისტემით. საგეგმო მასალებზე ისინი გამოიყოფა დადგენილ ფერებში საზღვრების შემოხაზვით.

მიწების რაციონალურად გამოყენებისა და მათი ნაყოფიერების აძლლების ღონისძიებათა დაგეგმვა-განხორციელებისათვის აუცილებელია მათი აღრიცხვა არა მარტო სავარგულების სახეებისა და ქვესახეების, არამედ ცალკეული კონტურის მიხედვითაც. საგეგმო-კარტოგრაფიულ მასალებთან ერთად დგება კონტურების უწყისი. ამ უკანასკნელში ყოველი კონტური შესაბამისი ნომრით და გრაფიკით აღრიცხება სახნავის, მრავალწლიანი ნარგავების, ნასვენის, სათიბების (სუფთა, გაბუჩქნარებული, დაჭაობებული) საძოვრების (სუფთა, გაბუჩქნარებული, დაჭაობებული, დაჭაობებული), ტყეებისა და ბუჩქნარების მიხედვით. უწყისებში ცალკე გამოიყოფა უვადო, გრძელვადიანი, ნ. ვინკარული

დიანი და მოკლევადიანი სარგებლობის, აგრეთვე დასახლებული პუნ-
ქტების მიწები. კონტურების ჩანაწერი უნდა ემთხვეოდეს გეგმაზე
მათ ნუმერაციას და მიწების ზონარგაყრილი წიგნის მეორე კარს. თა-
ვის მხრივ, ამ უკანასკნელს შესავსებად გამოიყენება კონტურების
აღრიცხვის უწყისის საშედეგო მაჩვენებლები.

მიწის საკადასტრო დოკუმენტაციის სრულყოფისათვის აუცილე-
ბელია საკარმიდამო მიწების აღრიცხვა-შეფასება, რაც საზოგადოებ-
რ-ვი მიწების შეფასების შემდეგ ხორციელდება. მათი აღრიცხვისათ-
ვის გამოიყოფა სპეციალური კომისია, რომელიც აწარმოებს მიწების
აზომვა-პასპორტიზაციას სავარგულის სახეების მიხედვით. საკარმიდა-
მო მიწების მრავალკონტურიანობის პირობებში წარმოებს მათი ცალ-
ცალკე აღრიცხვა და შემდეგ—ნაკრების გამოყვანა. საკარმიდამო მი-
წების ზუსტ აღრიცხვას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა თანა-
მედროვე ეტაპზე, როდესაც პირად დამხმარე მეურნეობის ფართოდ
განვითარება აგრაული საკითხის შემადგენელ ელემენტად იქცა.

§ 5. მიწების შეფასება, მიწის საკადასტრო წიგნი

საგეგმო-კარტოგრაფიულ, ნიადაგების კვლევის და ეკონომიკურ
მასალებზე დაყრდნობით ტარდება სასოფლო-სამეურნეო სავარგულე-
ბის ბონიტირება და მიწების ეკონომიკური შეფასება. ეს პროცესი
მიწის კადასტრის შედგენის სამუშაოების დამამთავრებელი ეტაპია და
თავისი მნიშვნელობით, ყველაზე პასუხსაგები მომენტია.

მიწის კადასტრის შედგენის სამუშაოები იწყება ინფორმაციის
შეგროვებით, დამუშავებითა და ანალიზით. რაც ყველა საწარმოსა
და ორგანიზაციისათვის ტარდება. საგეგმო-კარტოგრაფიული, ნიადა-
გების კვლევის მასალებისა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა
წლიური ანგარიშების მონაცემები მიწების შეფასების ამოსავალი
ინფორმაციის მიღების აუცილებელი პირობაა.

სტატისტიკური და საბუღალტრო აღრიცხვა იძლევა სასოფლო-
სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და გაწეული დანახარჯების
ამოსავალი მაჩვენებლების განსაზღვრის წყაროს. თავის მხრივ, მიწის
საშემფასებლო სამუშაოების სრულყოფის პირობაა მოსავლიანობისა
და დანახარჯების პირდაპირი აღრიცხვის უზრუნველყოფა. ამ მიზნით
გამოიყოფა ტიპობრივი მეურნეობები, რომლებიც საშემფასებლო რა-
იონის საშუალო პირობებით უნდა ხასიათდებოდეს. აღნიშნულის გა-
რდა ტიპობრივი მეურნეობები უზრუნველყოფილი უნდა იყოს საგეგ-

მო-კარტოგრაფიული და ნიადაგების კვლევების ხარისხიანი მასალებით. ტიპობრივ მეურნეობებზე დაკვირვებას აწარმოებს მიწათმოწყობის საპროექტო ინსტიტუტები ადგილებზე ამ დარგის სპეციალისტთა ფართო მასების ჩაბმით. ტიპობრივად შერჩეულ მეურნეობებში გამოიყოფა სპეციალური კონტურები, რომლებზედაც მიმდინარეობს გაწეული დანახარჯებისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის პირდაპირი აღრიცხვა. კონტურების შერჩევის ძირითადი პირობაა ის, რომ ისინი მოიცავდეს საშემფასებლო რაიონის ნიადაგის ყველა ტიპს ან აგროსაწარმოო (საშემფასებლო) ჯგუფს.

შერჩეულ ნაკვეთებზე კულტურების მოსავლიანობის განსაზღვრისათვის დაკვირვება 2—3 წელს მაინც უნდა მოიცავდეს. ამასთან, დასაკვირვებლად იღებენ კონტურების განსაზღვრულ რაოდენობას და მათ მიხედვით ახვარიშობენ საშუალო სიდიდეებს. დანახარჯების გასაანგარიშებლად გამოიყენება საშემფასებლო რაიონებისათვის შედგენილი ტიპობრივი ტექნოლოგიური რუკები. ნიადაგების აგროსაწარმოო (საშემფასებლო) ჯგუფებისათვის დანახარჯების დიფერენცირების საფუძველია მოსავლიანობებისა და ნიადაგის ნაყოფიერების მაჩვენებლები.

ტიპობრივად შერჩეულ საწარმოებში საბაზისო მოსავლიანობებისა და დანახარჯების პირდაპირი განსაზღვრის პარალელურად ტარდება ნიადაგის ნაყოფიერების ცვლილებების აღრიცხვა-შესწავლა დაკვირვების საფუძველზე. მრავალწლიანი მეცნიერული გამოკვლევების საშუალებით დადგენილია, რომ ნიადაგში ყოველგვარი ცვლილება მათი ნაყოფიერების უკუპროპორციულია, რაც უფრო მაღალია ნიადაგის ნაყოფიერება, მით ნელი ტემპით მიმდინარეობს ცვლილებები. მაშასადამე, ისინი ქვედა აგროსაწარმოო ჯგუფებში უფრო ცვალებადია, ამიტომ ინტენსიურობის ამაღლება ასეთ ნაკვეთებში საგრძნობლად ზრდის ნიადაგის ნაყოფიერებას.

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობებისა და დანახარჯების მონაცემებით ანგარიშობენ მიწის შეფასების სხვა ძირითად კრიტერიუმებს: მთლიანი პროდუქცია, დანახარჯების უკუგება და დიფერენციული შემოსავალი.

ცალკეული კულტურის შეფასების მონაცემებზე დაყრდნობით სახნავის საერთო შეფასების მაჩვენებლების გაანგარიშება საშემფასებლო რაიონის ნათესი ფართობების სტრუქტურის მიხედვით წარმოებს. მრავალწლიანი ნარგავებისა და ბუნებრივი საკვები სავარგულების შეფასება კი—მათი ფაქტობრივი სტრუქტურითა და შედგენილობით.

ცალკეული სასოფლო-სამეურნეო კულტურის წარმოების ეფექტიანობის მიხედვით შეფასება (კერძო შეფასება) და შესაბამისად, საშემფასებლო მაჩვენებლების გაანგარიშება მეურნეობის ტიპობრივი თესლობრუნვების მიხედვით ტარდება. ამასთან, გაითვალისწინება ნიადაგების აგროსაწარმოო დაჭრუფება და ნიადაგების პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობა კონკრეტული კულტურების საწარმოებლად.

საწარმოთა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შესაფასებლად და საშემფასებლო სკალების შესადგენად ჩატარებული ნიადაგების აგროსაწარმოო (საშემფასებლო) დაჭრუფების და ცალკეული ჯგუფის შეფასების შედეგების საფუძველზე წარმოებს მეურნეობათა ცალკეული სავარგულის ან მთლიანი მიწის ფართობის შეფასება ფორმულით:

$$\sigma = \frac{\sum_{i=1}^n P_i \cdot \sum_{j=1}^n P_j}{P_1 + P_2 + \dots + P_n} \cdot \sum_{k=1}^n P_k \quad \text{სადა } \sigma,$$

σ — არის საშუალო შეწონილი ბალი;

∑ — ნიადაგის აგროსაწარმოო ჯგუფის შეფასების ბალი;

P — ნიადაგის აგროსაწარმოო ჯგუფის ფართობი.

მიწის საშემფასებლო სამუშაოების ძირითადი ტექსტობრივი დოკუმენტია საწარმოს, ორგანიზაციის და დაწესებულების მიწის საკადასტრო წიგნი. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის № 501 დადგენილების საფუძველზე მას ადგენენ სამიწათმომწყობო სამსახურები და საპროექტო ინსტიტუტები. აღნიშნული დადგენილების გამოსვლის შემდეგ მიწის საკადასტრო წიგნის საერთო-საკავშირო ფორმა რამდენჯერმე შეიცვალა მისი დაზუსტების მიზნით და საბოლოოდ 1982 წლის 5 მაისს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრომ სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტთან და ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან შეთანხმებით დაამტკიცა წიგნის ფორმარომელიც შედგება თავფურცლის, საწარმოს და ორგანიზაციის დასახელების, პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე კარებისა და ბოლო ფურცლისაგან, სადაც წიგნის გამცემი და მეურნეობაში მისი მიმღები პირები აწერენ ხელს.

პირველ კარში მოცემულია მიწების განაწილება სარგებლობის ვადების მიხედვით (დანართი №1);

მეორეში—მიწების ოდენობა სავარგულების მიხედვით (დან. 2, 3, 4, 5)

მესამეში—მიწის სავარგულების ხარისხი (დან. 6, 7, 8, 9);

მეოთხეში—მიწის შეფასების მაჩვენებლები (დან. 10);

მეხუთეში—პირადი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები დახა-
სიათებულა მათი კლასების, ქვეკლასებისა და გამოყენების მიხედვით.
პირველ კარს მიწათსარგებლობის ვადების ჩასაწერად დათმობი-
ლი აქვს ექვსი სტროფი (იხ. ლანართი 1). პირველში იწერება ჩანაწე-
რის გაკეთების თარიღი; მეორეში—ნაკვეთის ადგილმდებარეობა; მე-
სამეში—მიწის მიცემის ვადა; მეოთხეში—მიწის ფართობი; მეხუთეში
—მიწითსარგებლობის უფლების დოკუმენტის მონაცემები; მეექვსეში
—შენიშვნები. თუ მიწათსარგებლობა რამდენიმე დასახელებული პე-
ნქტისაგან შედგება, მაშინ პირველად იწერება, სადაც აღმინისტრა-
ციულ-სამეურნეო ცენტრია გაადგილებული. თუ მიწათმოსარგებლეს
რამდენი ნაკვეთი აქვს გაცემული ერთნაირი ვადით სარგებლობისათ-
ვის, მათი ფართობები იკრიბება მე-3 გრაფის შესავსებად. მიწით უვა-
დო სარგებლობის ძირითადი დოკუმენტი არის სახელმწიფო აქტი
მიწით სარგებლობის უფლებაზე, ხოლო დროებითი სარგებლობის
შესახებ—მიწით სარგებლობის ხელშეკრულება, მოწმობა ან რაიონუ-
ლი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილება მიწის გამოყოფის
შესახებ.

მეორე კარი (სულ მიწები) შედგება ოთხი შემადგენელი ნაწილი-
საგან და მიწების რაოდენობრივი აღრიცხვის დოკუმენტისა სავარგუ-
ლების მიხედვით. პირველ ნაწილში იწერება მთელი მიწები და მასში
მითითებულია ჩანაწერის გაკეთების თარიღი, სარგებლობის ვადა და
მიწის მთლიანი ფართობი სავარგულების სახეების და, რაც შემთხვევ-
აში. ქვესახეების მიხედვით.

სახნავში მითითებულია მთლიანად მოხნული ფართობები მრ-
ვალწლიანი ბალახებით დაკავებულ და რიგთაშორისი ნათესების გა-
რდა.

მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებულ მიწებში გამოყოფილია
სულ ფართობი, აგრეთვე ბაღების, ვენახების, ჩაის, ციტრუსების და
რიგი ცარიელი გრაფებისა, სადაც იწერება ცალკეული მიწათსარგე-
ბლობისათვის დამახასიათებელი კულტურები.

სათიბები იწერება სალექი, მშრალი, დაქაობებული, გაუმჯობე-
ბული, სუფთა და სამეჭანიზაციო სამუშაოებისათვის ვარგისიანობის
მიხედვით.

საძოვრები—მშრალი, დაქაობებული, გაკულტურებული, გაუმჯო-
ბესებული, სუფთა, მთის მომთაბარე მეცხოველეობის და გამოყენე-

მიწების განაწილება სარგებლობის ვადების მიხედვით

ჩანაწერის დასახელება	ნაკეთის ადგილმდებარეობა (დასახელებული პუნქტის, საზღვრის და ა. შ. დასახელება)	რა ეკლერ მიწა	მოლანს ფართობი (ბა-ობით)	ლოკუმენტის დასახელება მ-წის სარგებლობის უწყობაზე, შიში ნოიერი და მიწათმოსარგებლზე გაცემის თარიღი	შენიშვნა
1	2	3	4	5	6

ბის სეზონურობის მიხედვით (სახაფხულო, საგაზაფხულო-საშემოდგომო, ზამთრის და მთელი წლის).

ცალკე გამოყოფილია და სავარგულების სახეების მიხედვით იწერება კოლმეურნეთა და მუშა-მოსამსახურეთა საკარმიდამო და კოლექტიური ბაღ-ბოსტნებით დაკავებული მიწები.

ტყით დაკავებული მიწები აღირიცხება ტყით დაფარული, ვარჯშეკრული, დაცეითი მნიშვნელობის, ტყით მთლიანად დაუფარავი, გაუტყვევებელი და სატყეო სანერგეების მიხედვით.

სულ მიწები (ბა-ობით)

ჩანაწერის ვაჭეთების წელი	რა ვადით მიეცა მიწა	მოლანი ფართობი (გრადები 32+35+42+44+47+48+49+51+63+67+68+74+76+77+78+9+83)	სახნავე	სულ/გრაფები 5+7+8+10+11	ბალი	მრავალწლიანა ნარგავები				
						მათ შორის				
						კეკროიანები	ვენახი	ჩაი	ციტრუსი	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11

ნასვენი	საჯობა					საოპიების შთოიანი ფართობიანი (13 გრაფა)		
	სულ (გრაფები 14+15+16)	მათ შორის			დაკომბებული	გაუქმებული (იოიული გაუქმებისა)	სუფთა	გეგმიბული, საუქმული-საოიის ვარების
		საღეკი	კურალი	დაკომბებული				
12	13	14	15	16	17	18	19	

საძოვარი

სულ (21+22. გრაფა)	მათ შორის		საძოვარების შთოიანი ფართობი (20 გრაფა)				საძოვარების განაწილ. გაყოყენების სეზონის მიხედვ.			სულ სასოფლო-სამ. საგარეულე-ბი საზოგადოებრივ წარმომავლი (გრაფები 4+5+12+13+20)	მათ შორის ინტენსივად გამოყენებული (გრაფ. 4+5+17+21)		
	კურალი	დაკომბებული	სუფთა	მთის	მომთაბარე შეტოყელოი-სიფისა	გაყოყირება	საბაფხული	საგაფხული-საუმიდგომო	ზამირის			მთელი წლის	
20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33

კოლმურნეების საკარმიდამო მიწები, მუშა-მოსამსახურეთა და სხვა საკარმიდამო მიწები და დამხმარე ნ. დღეები

მუშა-მოსამსახურეთა კოლექტიური ბაღ-ბა.სტენები

34	მურნეობათა რიცხვი (ოქახები)	35	სულ მიწები (გრაფები 39+40;	36	სახნავი (აოსტანი)	მათ შორის			37	ბაღები და სხვა ხილკენკრავანი პრაქტიკული ნარგავები	38	სხვა სასოფლო-სამეურნეო სა-ვარგულები	39	სულ სასოფლო-სამეურნეო სა-ვარგულები (გრაფები 36 + 37 + 38)	40	ნაგებობების, ტექნიკების ტყეებისა და სხვა ნაგებობების	ბაღი		ბოსტანი	
	ოქახების რიცხვი		სულ მიწები		ოქახების რიცხვი	სულ მიწები														
41	ოქახების რიცხვი	42	სულ მიწები	43	ოქახების რიცხვი	44	სულ მიწები													

45	სასოფლო-სამეურნეო საკარგულები (გრაფები 32+39+42+44)	46	მათ შორის სახნავი (გრაფები 4+36+44)	47	მელიორაციული მშენებლობის სტადიაში მყოფი მიწები	48	ნაყოფიერების აღდგენის სტადიაში მყოფი მიწები	მათ შორის			49	სულ (გრაფები 50+52+54+58)	50	სულ	51	აქედან ტყის კულტურები	52	გარჯულებული ტყის კულტურები	ტყის დაუფარავი	
	ლაყვითი მნიშვნელობის კულტურები (გრაფ. 51+52)		სულ		მეჩხერები		აქედან	დამწვარი და ლალბული ნარგავები												
53	ლაყვითი მნიშვნელობის კულტურები (გრაფ. 51+52)	54	სულ	55	მეჩხერები	56	დამწვარი და ლალბული ნარგავები													

დაზიანებული მიწები					სხვა მიწები					
სულ (გრაფები 80+81+82)	მათ შორის				სულ (გრაფები 84+85+86+87+88)	მათ შორის				
	სასარგებლო წიაღისეულის (საბადოს) დამუშავებისა და გადამუშავებისას, აგრეთვე გეოლოგიურ საძიებო სამუშაოებისას	ტორფის დამუშავებისას	სამშენებლო და სხვა სამუშაოების ჩატარებისას			ქვიშები მცენარეების გარეშე	ხრამები	მეინვარები	მეწყერებით, ზეკვებით და კაბებული, თიხიანი და ლორღიანი ზედპირიანი და რიყნარი მიწები	სხვა გამოუყენებელი მიწები
79	80	81	82	83	84	85	86	87	88	

ხე-ბუჩქნარიანი სახე დაყოფილია მინდორსაცავ ტყის ზოლებად და სხვა დაცვითი მნიშვნელობის ტყის ნარგავებად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე გაადგილებულ ტყე-ბუჩქნარებად.

ჭაობები ზედაპირული, გარდამავალი, სიღრმისეული, წყლის ქვეშ მიწები მდინარეების, ნაკადულების, ტბების, წყალსაცავებისა და სხვა ხელოვნური წყალსაცავების სახედ.

ცალკე გამოიყოფა დაზიანებული მიწები სასარგებლო წიაღისეულის დამუშავებისა და გადამამუშავების, აგრეთვე გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოების, ტორფის დამუშავების, სამშენებლო და სხვა სამუშაოების შესაბამისად.

ცალკე გამოყოფილი სხვა მიწების ქვეშ იწერება ქვიშების, ხრამების მყინვარების, მეწყერების, რიყების და სხვა გამოუყენებელი მიწების ფართობები.

თანამედროვე ეტაპზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების დონეს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მიწების მელიორაცია, რასაც განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სკკპ ცკ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 16 ივნისის დადგენილების შემდეგ, ამიტომ მიწის დაშრობისა და გასარწყავების ღონისძიებების გატარებასთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მელიორირებული მიწების მაღალეფექტიანად გამოყენებას. ამ პირობის შესრულების აუცილებელი პირობაა სარწყავი და დაშრობილი ფართობების სრულყოფილი

აღრიცხვა. ეს ღონისძიება ტარდება სარწყავი, დაშრობილი და დაშრობილი გასარწყავებელი ფართობების ფაქტობრივი მდგომარეობით დამტკიცებული კლასიფიკაციის შესაბამისად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა საკადასტრო წიგნში სარწყავი, დაშრობილი და სარწყავი მიწები დაშრობილ ფართობებზე აღრიცხულია ცალ-ცალკე.

სარწყავი მიწების აღრიცხვა ითვალისწინებს მათ დაყოფას მიწათსარგებლობის, სარწყავი არხების და სარწყავი სისტემების მიხედვით. ამასთან, სამეურნეო საქმიანობის სრულყოფა-გაუმჯობესებისათვის საჭიროა ასეთი ფართობების ხარისხობრივი დახასიათება. თავის მხრივ, ეს ღონისძიება წყლის რესურსების რაციონალურად გამოყენების პირობებს ქმნის. როგორც წესი, ზუსტად აღსაზიარებელი ფართობების და, მათ შორის, სარწყავი მიწების ყოველგვარი გამოკვლევა მსხვილ-მასშტაბიანი გამოკვლევებით ტარდება.

სარწყავი მიწების ჩაწერა რწყვის პირობების გათვალისწინებითაც მიმდინარეობს. კერძოდ, ცალკე იწერება სარწყავქსელიანი, რეგულარულად სარწყავი, პირობითად სარწყავი. გარდა ამისა, ცალკე იწერება საეარგულების სახეები საზოგადოებრივი წარმოების მიწების, მუშა-მოსამსახურეთა პირადი სარგებლობის, ტყით დაფარული და სხვა მიწების სახით.

დანართი 3

სარწყავი მიწები (პა-ობით)

ჩანაწერის გაცემის წელი	მთლიანი ფართობი		სახნავი				ბრაველ წლიანი ნარგავები							
	რა ვადით მიეცა მიწა	სარწყავქსელიანი (გრადები) 31 + 30 + 40 + 42 + 43 + 44 + 45 + 46 + 47 + 48 + 49 + 50	მათ შორის				მათ შორის							
			მათ შორის სარწყავი (გრადები) .2 + 36 + 40 + 42 + 46 + 50	სარწყავქსელიანი	სარწყავი	რეგულარულად სარწყავი	პირობითად სარწყავი	სარწყავი სახნავიდან (გრ. 6) დაკავებულია საინჟინრო ბრინჯის სისტემებით	სუ (გრადები 11 + 12 + 13 + 14 + 15 + 16)	ბალი	კენკროვანები	ვენახი	ჩაი	ციტრუსი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15

	სარწმუნოებრივი											
	ნასენი				სათობი				სამოვარი			
	მათ შორის სარწმუნოებრივი ზონაში				მათ შორის				მათ შორის			
	აქედან ზონაში				აქედან				აქედან			
17	სარწმუნოებრივი											
18	ს	კ	ლ									
19	რეგულარული რწმუნის											
20	პირობითი სარწმუნო											
21	სარწმუნოებრივი											
22	სარწმუნო											
23	რეგულარულად სარწმუნო											
24	პირობითად სარწმუნო											
25	გაუმჯობესებელი (ძირითადი) სარწმუნო სათობების საერთო ფაქტობრივი (გვ. 22)											
26	სარწმუნოებრივი											
27	სარწმუნო											
28	რეგულარულად სარწმუნო											
29	პირობითად სარწმუნო											
30	სარწმუნოებრივი სამოვარების საერთო ფაქტობრივი (გვ. 27) ქველბ. ძირითადად გაუმჯობესებული											

	სულ სსსოფლო სსმ. სარწმუნოებრივი საზ. წარმოების											
	მათ შორის				მათ შორის				მათ შორის			
	აქედან				აქედან				აქედან			
31	სარწმუნოებრივი ქველბ. (გრაფები 5+10+17+21+26)											
32	სარწმუნო (გრაფები 6+10+16+22+27)											
33	რეგულარულად სარწმუნო (გრაფი 7+10+19+21+28)											
34	პირობითი სარწმუნო (გრაფები 8+20+24+29)											
35	მეურნეობათა რიცხვი (ოჯახები)											
36	სულ სსსოფლო-სამეურნეო სარწმუნო											
37	სახნავი (ბოსტნები)											
38	ბაღები და სხვა ბილკენკროვები მრეწველური ხარვეზები											
39	ოჯახების რიცხვი											
40	სულ მიწები											
41	ოჯახების რიცხვი											
42	სულ მიწები											

	ტყის ფართობი						დამტყეული ტყის ნარგავები, რომელშიც არ შედის სან. ტყე და ფო.ღმუ.				
	მთ შორის						აქედან				
										აქედან	
	სულ	მთ შორის	სარწყავი	დაცვითი მნიშვნელობის	ტყის სანარგავები	სარწყავი	მთ შორის	მინდორსაკრავი ტყის ზოლები	სხვა დაცვითი ტყის ნარგავობა	სარწყავი	
სულ სარწყავი სასოფლო-სამეურნეო საეკონომიკური (გრაფები 37+38+40+41)	43	44	45	46	47	48	50	51	52	53	54

სარწყავი სასოფლო-სამეურნეო საეკონომიკური (გრაფები 37+38+40+41) მთ შორის სარწყავი სასნა (კო.ფრა. 37+42) სარწყავი სარწყავი დაცვითი მნიშვნელობის ტყის სანარგავები

სარწყავი სასოფლო-სამეურნეო საეკონომიკური (გრაფები 37+38+40+41) მთ შორის სარწყავი სასნა (კო.ფრა. 37+42) სარწყავი დაცვითი მნიშვნელობის ტყის სანარგავები

სარწყავი სასოფლო-სამეურნეო საეკონომიკური (გრაფები 37+38+40+41) მთ შორის სარწყავი სასნა (კო.ფრა. 37+42) სარწყავი დაცვითი მნიშვნელობის ტყის სანარგავები

სარწყავი სასოფლო-სამეურნეო საეკონომიკური (გრაფები 37+38+40+41) მთ შორის სარწყავი სასნა (კო.ფრა. 37+42) სარწყავი დაცვითი მნიშვნელობის ტყის სანარგავები

პირობითად სარწყავია სასოფლო-სამეურნეო კულტურებით და-
კავებული ფართობები, რომლებიც სავეგეტაციო პერიოდში მთლიანად
წყლით უზრუნველყოფილი არ არის ან მხოლოდ წლის გარკვეულ პე-
რიოდში ირწყვება.

ლიმანურ სარწყავს მიეკუთვნება წყლის შემკავებელ ნაგებობითა
და სპეციალური სარწყავი სინატემებით უზრუნველყოფილი სავარგუ-
ლების ფართობები.

საქართველოს ყამირია კოლხეთი, რომლის ათვისებით სასოფლო-
სამეურნეო წარმოების ბრუნვაში ჩაერთვება დამატებით 135 ათასი
ჰა ნაყოფიერი მიწა. ამასთან, უკვე ათვისებულია ერთწლიანი და ძვი-
რფასი სამხრეთული კულტურების (ჩაის, ციტრუსის და ა. შ.) ქვეშ
მნიშვნელოვანი ფართობები, გამომდინარე, დაშრობილი მიწების აღ-
რიცხვას საკადასტრო წიგნში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭე-
ბა ჩვენი რესპუბლიკის პირობებში. დაშრობილი მიწების ჩაწერა ისე-
თივე ფორმით ხდება, როგორც სარწყავის (დანართი 4), მასში მითი-
თებულია ჩანაწერის გაკეთების წელი, მიწით სარგებლობის ვადა
სულ დაშრობილი მიწის ფართობი (მ, შ, დახურული დრენაჟით და
წყლის რეჟიმის ორმხრივი რეგულირებით).

აღრიცხვა ცალკეული სავარგულის მიხედვით წარმოებს. სათიბე-
ბში გამოყოფილია ძირეულად გაუმჯობესებული ფართობები, ხოლო
სადოვრებში—კულტურული, ძირეულად გაუმჯობესებულის ჩათვლით.

დანართი 4

დაშრობილი მიწები (ჰა-ობით)

	ჩანაწერის გაკეთების წელი	რა ვადით მიეცა მიწა	მთლიანი ფართობი (გრადები 27+31+36+40+43+46+50+51+ 52 : 54)	მათ შორის		სახნავი		
				დახურული დრენაჟით	წყლის რეჟიმის ორმხრივი რე- გულირებით	სულ	მათ შორის	დახურული დრენაჟით
1	2	3	4	5	6	7	8	

მრავალწლიანი ნარგავები

ნა: ეენი

სულ (გრაფები 12+13+14+15)	მათ შორის		მრავალწლიანი ნარგავების საერთო ფართობიდან (ყ გრ)					მათ შორის	
	დახურული დრენაჟით	წყლის რეჟიმის ორმხრივი რეგულირებით	ბაღი	კენკროვანი	ვენახი	ჩაი	სულ	დახურული დრენაჟით	წყლის რეჟიმის ორმხრივი რეგულირებით
9	10	11	12	13	14	15	16	17	18

გაგრძელება

სულ	საძირი		გაუმჯობესებელი (ძირული) დაშრობილი სათიბების საერთო ფართობიდან (19 გრ)	სულ	საძოვარი		ქულტურული, ძირულად გაუმჯობესებულის ჩათვლით, დაშრობილი საძოვრების საერთო ფართობიდან (23 გრ)
	მათ შორის	დახურული დრენაჟით			მათ შორის	დახურული დრენაჟით	
19	20	21	22	23	24	25	26

სულ სას. სამ. სავარ-
გულები საზოგადოებ.
წარმოებ.ში

კომპლერენტებს საკრამიდამო მიწები, მუშების მოსამსახუ-
რების და სხვა მოკავალეებს საკარმიდამო მიწები და
დაშვარე ნაღლები

	მათ შორის					მათ შორის		
	სულ (გრაფები 6+9+16+19+21)	დაბურული დრენაჟით (გრაფები 7+10+17+20+24)				პედან	ბაღები და სხვა ხილვენკროვანი მრწლ. ნაოგაეები	
27			შეურნეთა რიბევი (ოჯახები)					
28			სულ მიწები (გრაფები 3+7+9)					
29			სასოფლო-სამეურნეო სავარგულები გრაფები: (3+24+25)					
30			სახნავი (ბოსტნები)					
31			ბაღები და სხვა ხილვენკროვანი მრწლ. ნაოგაეები					
32			სხვა სას. სამ. სავარგული					
33			ნაგებობების, ბუნკნარების, ტუენებისა და ხრაგების ქვეშ					
34								
35								
36								

	მუშა-მოსამსახურეთა კოლექტიუ- რი ბაღები და ბოსტნები					ტყის ფართობები	
	ბაღები	ბოსტნები				მათ შორის	ნიადავთლაეეთი მნიშენლობის
	ოჯახების რიბევი		სულ დაშრობილი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები (გრაფები 27+28+29+39)				
	სულ მიწები		მათ შორის დაშრობილი სახნავი (გრაფები 6+31+40)				
39	ოჯახების რიბევი		სულ				
40	სულ მიწები		ნიადავთლაეეთი მნიშენლობის				
41			ტყის სანარგები				
42							
43							
44							
45							

გაგრძელება

ხე-ბუჩქნარიანი ნარგავები რომლებიც არ შედის სსხ ტყის ფონდში					დაზიანებ ნიშნები			გარდა ამისა		
მათ შორის										
სულ	მინდორსაკვი ტყის ზოლები	სხვა ნიადაგთდაცვითი ტყის ნარგავი	ხე-ბუჩქნარიანი მცენარეულობა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე	ტორფდამუშავებისათვის გამოყენებულ მიწები	ნაგებობების, გზების, სარეკების, ტყე საყდრების, ეზოების, ქუჩებისა და მოედნების ქვეშ.	სულ	მათ შორის ტორფის დამუშავებისას	სხვა მიწები	წყალსაცავების ქვეშ.	არხებისა და თხრილების ქვეშ
46	47	48	49	50	51	52	53	54	55	56

საკადასტრო წიგნში სახელმწიფო საწარმოების სავარგულებთან ერთად აღირიცხება კოლმეურნეების, მოსამსახურეების და სხვა მოქალაქეების საკარმიდამო მიწები სავარგულების მიხედვით. მათგან ცალკე გამოიყოფა მუშა-მოსამსახურეთა კოლექტიური მებაღეობა-მებოსტნეობის ფართობები. მასში ცალ-ცალკეა გამოყოფილი ბაღებიც და ბოსტნებით დაკავებული მიწები.

ტყეებით დაკავებული ფართობები ორ სახედაა დაყოფილი: ნიადაგთდაცვითი მნიშვნელობისა და ტყის სანერგეების მიხედვით. ცალკეა გამოყოფილი ტყეებუჩქნარიანი ნარგავები, რომლებიც არ შედის სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებში. აქ შესულია მინდორსაკვი ტყის ზოლების, ნიადაგთდაცვითი ტყის და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების სხვა ნარგავებისა და ხე-ბუჩქნარიანი მცენარეულობის ფართობები.

დაზიანებულ მიწებში აღირიცხება ტორფდამუშავებისათვის გამოყენებული და ნაგებობებით, გზებით, სარეკებით, ეზოებით, ქუჩებითა და მოედნებით დაკავებული ფართობები.

გარდა აღნიშნულისა, საკადასტრო წიგნში ცალკეა აღრიცხული სხვა მიწები, რომლებიც იყოფა ტორფის დამუშავებით, წყალსაცავებით, არხებითა და თხრილებით დაკავებულ ფართობებად.

ცნობილია, რომ სოფლის მეურნეობაში სარწყავი და დაშრობილი მიწების გარდა ცალკე გამოიყოფა დაშრობილი ფართობები, რომლებიც გასარწყავებას საჭიროებს. ასეთი მიწები საკმაოდ დიდი რაოდენობითაა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. სასოფლო-სამეურნეო და სხვა საწარმოთა საკადასტრო წიგნში მათი ჩაწერა ცალკე (დანართი 5) ხორციელდება. დანართში იწერება მთლიანი ფართობი სარგებლობის ვადის ჩვენებით, რომელიც შემდეგ იშიფრება სახნავის მრავალწლიანი ნარგავების, ნასვენის, საძოვრის და საზოგადოებრივ წარმოებაში გამოყენებული სულ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მიხედვით. თავის მხრივ, ყოველი სავარგულის შიგნით გამოიყოფა დაშრობილი მიწები დახურული დრენაჟით, ხოლო სათიბ-საძოვრებში კულტურული ძირეულად გაუმჯობესებული. უნდა აღინიშნოს, რომ ამ დანართში მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებია აღრიცხული.

სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ 1980 წლის 25 მაისს დამტკიცებული ფორმის შესაბამისად სასოფლო-სამეურნეო საწარმოები ყოველი წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით ზემდგომ ორგანოებს უდგენს ცნობას დაშრობილი მიწების გამოყენების შესახებ. ამ უკანასკნელში მიწათსარგებლობის კატეგორიების მიხედვითაა აღნიშნული, თუ რის ხარჯზე შემცირდა ან გაიზარდა დამშრობილი მიწის ფართობი.

დანართი 5.

სარწყავი მიწები დაშრობილ ფართობებზე
(კა-ობით)

ჩანაწერის კატეგორიის წესი	რა ვადით მიეცა მიწა	მთლიანი ფართობი	მათ შორის დაშრობილზე დახურული დრენაჟით	ს.ს.ნ.ე-ე		მრავალწლიანი ნარგავები					
				სულ	მათ შორის დაშრობილზე დახურული დრენაჟით	სულ (გ/ ფები 5+10+11+12)	მათ შორის დაშრობილზე დახურული დრენაჟით	მრავალწლიანი ნარგავების მთლიანი ფართობიდან (7 გარ)			საჭარბო
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12

გაგრძელება

ნახევნი		ს. თბი.			საძოვარი			სსოფლო-სამეურნეო საბოგალოებ. ფარგლებში
სულ	მათ შორის დაშრობილზე და ხურული დრენაჟით	სულ	მათ შორის დაშრობილზე და ხურული დრენაჟით	გაუმჯობესებელი (ძირა-ქვანა) სათიბების, მთლიანი ფართობიდან (15 გო.)	სულ	მათ შორის დაშრობილზე და ხურული დრენაჟით	კულტურული, ძირეულად გაუმჯობესებულის ჩათვლით სათიბების მთლიანი ფართობიდან (18)	(სულ გრაფები 5+7+13+15+16)
13	14	15	16	17	18	19	20	21
								მათ შორის დაშრობილზე და ხურული დრენაჟით (გრამები 5+7+14+16+19)

მიწის სავარგულების ხარისხობრივი აღრიცხვა წარმოებს საკლასტრო წიგნის შესამე კარში (დანართი 6, 7, 8). ცალკეა გამოყოფილი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები მიწის კლასებისა და ნიადაგების მექანიკური შედგენილობის გათვალისწინებით. სახნავი დახასიათებულია აგროსაწარმოო თვისებების, ხოლო აათბ-საძოვრები—კულტურული მდგომარეობის მიხედვით. ამ მიმართებით სავარგულების დახასიათება მოიცავს მიწის კლასების გამოყოფას, მათი ვარგისიანობისა და ბუნებრივ-სამეურნეო ზონების (პროვინციების და მთიანი ოლქების) მიხედვით დაყოფას. სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში გამოყენების ვარგისიანობით გამოყოფილია: სახნავად ვარგისი; უპირატესად სათიბად ვარგისი საძოვრები (მათი ნაწილი გაუმჯობესების შემდეგ სხვა სასოფლო-სამეურნეო სავარგულად შეიძლება იქნას გაზოყენებული); ძირეული მელიორაციის შემდეგ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებად ვარგისი; სასოფლო-სამეურნეო სავარგულად ნაკლებად გამოსაყენებელი; სასოფლო-სამეურნეო სავარგულად გამოყენებელი და დაზიანებული მიწები.

სახნავად ვარგისი მიწის კატეგორია, თავის მხრივ, დიფერენცირებულია: ა) გაკულტურებული წყალგამყოფების დრენირებულ და სუსტად გამოხატული ფერდობების (2^o-მდე) მსუბუქ თიხიან, უკარბონატო და კარბონატულ თიხნარიან კატეგორიებად; ბ) ცალკე გამოყოფა დრენირებული წყალგამყოფებისა და სუსტად გამოსახული ფერ-

ლობების (2°-მდე) მსუბუქი და მძიმე ქანების, კაჭარ-კენჭნარი ნაფენების მეტი გავლენით, ქვიშარიან, თიხიან და მძიმე თიხიანად; გ) სუსტად ღრენირებულ, ხანმოკლე გადატენიანებულ თიხიან და თიხნარიან კარბონატულ და უკარბონატო, სუსტად ეროზიასაშიშ დაქანებულ (2—5° და 5—10°) ფერლობებად; აქვე შედის თიხიანი და თიხნარი, ფხვიერ ქანებზე სუსტად ჩამორეცხილი ფართობები; დ) ეროზიასაშიშ, ჩამორეცხილი ციცაბო ფერლობები (5—10°); თიხიან, თიხნარიან და ქვიშარიან ფხვიერ ქანებზე; ე) მომეტებულად ეროზიასაშიშ, დაქანებული და ჩამორეცხილი ციცაბო ფერლობები (2—10°) მკვრივ ქანებზე.

უპირატესად სათიხად ვარგის მიწებში შედის ჰალის მდელის თიხიანი, თიხნარიანი, ქვიშიანი და ქვიშარიანი; ჰალისგარეშე მდელის თიხიანი, თიხნარიანი, ქვიშიანი და ქვიშარიანი.

დანართი 6

სავარგულების დაბახათება მიწის კლასების მიხედვით

სულ მიწა (ჰა-ობით)

ბუნდ. რაიკი სასოფლო-სამ. ზონისა და მთიან რაიკში	მიწის სავარგ. კარგობა	1	2	3	4	5
	მიწის კლასი	სულ	გაუღრულებული	ღრენირებული წყალმკვრივ და სუსტად გამომტელი ფერლობების (2-მდე თიხიანი და მსუბუქი თიხ. უკარბონ. ე)	ღრენირებული წყალგაყოფ. და სუსტად გამომტელი ფერლობების (2-მდე) თიხნარიანი სუბექ-თიხნარიანი კარბონატ.	ღრენირებული წყალგაყოფისა და სუსტად გამომტელი ფერლობების (2-მდე) მსუბუქი ქანების მეტი გავლენით ქვიშარიანი და ქვიშიანი
1	სავარგულები	3	4	5	6	7
2	სახნავი					
3	მრავალწლიანი ნარგავები					
4	ნასენი					
5	სათიბი					
6	სამოვარი					
7	სულ სასოფლო-სამეურნეო სავარგულები საზოგადოებრივ წარმოებაში (1+2+3+4+5 სტრიქონები)					
8	ტყის ფართობები — სულ, მათ შორის: ტყით დაფარული					

1	2	3	4	5	6	7
8	ხებუჩქნარიანი ნარგავეები, რომლებიც არ შედის სახელმწიფო ტყის ფონდში სულ მათ შორის. შინდორსაც. ტყის ზოლები და სხვა და. ტყის ნარგ. ხებუჩქნარიანი მცენარეულობა					
9	სას. სამ. დანიმ. მიწებზე					
10	ქაობები					
11	სხვა მიწები					
12	სულ მიწები (6 + 7 + 8 + 9 + 10 + 11)					
	სტრუქტურები					

ვაგარძელება

სასხაველ ვარგისი მიწა										
5	6	7	8	9	10	11	12	13	14	
8	დარღობილი, წააგაფოფებისა და სუსტად გამოხატული ფერლობის (2 ⁰ -მდე) მძიმე ქანების მქონე მიწა (მ. და საშ. თიხ) დაწილული ჩათვლით	დარღობილი, წააგაფოფ. და სუსტად გამოხატული ფერდ. (2 ⁰ -მდე) მქონე ქანებისა და კაქარ-ყენიანი ნაფენ. მქონე გველით, თიხნარიანი	სუსტად დარღობილი ხანმოკლე დაღმეტენიანებული თიხიანი და თიხნარიანი უკარბონატი	სუსტად დარღობილი ხანმოკლე დაღმეტენიანებული ახიანი და თიხნარიანი კარბონატი	სუსტად დარღობილი ხანმოკლე დაღმეტენიანებული კვიზნარიანი და ქვიშაბი, თიხებზე და თიხნარებზე	სუსტად ეროზიასაში დაქანებული ფერლობი (2 ⁰ -5 ⁰) თიხ. და თიხნ. ფერდ. ქანებზე, სუსტად ჩამორეცხილის ჩათვლით.	სუსტად ეროზიასაში ციკაბო ფერდობებზე. (5 ⁰ -10 ⁰) ქვიშაბიანი ფერდ. ქანებზე, სუსტად ჩამორეცხილის ჩათვლით.	ეროზიასაში ციკაბო ფერდობების (5 ⁰ -10 ⁰) თიხიანი და თიხნარიანი ფერდ. ქანებზე ჩამორეცხილის ჩათვლით.	ეროზიასაში, ციკაბო ფერდობების (5 ⁰ -10 ⁰) ქვიშაბიანი ფერდ. ქანებზე ჩამორეცხილის ჩათვლით.	მომეტებულად ეროზიასაში დაქანებული და ციკაბო ფერდობებზე. (2 ⁰ -10 ⁰) გვერივ ქანებზე, ჩამორეცხილის ჩათვლით.
9										
10										
11										
12										
13										
14										
15										
16										
17										

გაგრძელება

II უპირატესად სათიბად ვარგისი მიწები				III საძოვრები, რომელთა ტერიტორიებიც შეიძლება გამოეყენებოდეს სასაძოვრად და სასაშენო-სამშენო კვამ						
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	
18	პალის მდელის თიხანი და თიხნარიანი									
19	პალის მდელის ქვიშიანი, ქვიშნარიანი									
20	პალიგარე, მდელის თიხანი და თიხნარიანი									
21	პალის გარე, მდელის ქვიშნარიანი და ქვიშნარიანი									
22	პარბტენიანი (დაქობებულ)									
23	ბიობი და დაწილული აუტომორფული, საშუალო და ძლიერ კომპლექსურის ჩათვლით.									
24	ბიობიანი და დაწილული-ნახევრად პორფორული, საშუალო და ძლიერ კომპლექსურის ჩათვლით									
25	ბიობი და დაწილული პირომორფული საშუალო და ძლიერ კომპლექსურის ჩათვლით.									
26	განსაკუთრებით ერთბაისაში ტიციბო ფორლიბების (10%-ზე მეტი) ჩამორეცხვის ჩათვლით									
27	მცირე სისქის, ძლიერ კომპლექსურის და ლილიანის ჩათვლით									
28	ფეიერი-ქვიშიანი და დაკორდებული ქვიშები									

გაგრძელება

IV ძირითადი მელიორაციის შედეგად სავსე მდინარეების ნაპირებსა და ნაპირებს შორის მდებარე მიწები						V ს.ს. სასაძოვრები და სასაშენო-სამშენო კვამ		VI ს.ს. სასაძოვრები და სასაშენო-სამშენო კვამ		VII დაზიანებული მიწები	
1	2	3	4	5	6	1	2	1	2	1	2
29	სოღამბილული და გარდამავალი ტორფიანი კაობები										
30	სოღამბილული და გარდამავალი მინერალური კაობები										
31	ძლიერად და ზედმეტად მარილიანი										
32	თაყირები										
33	ხრამ-დელის კომპლექსები										
34	ქარფანგადი ქვიშები მცენარეულ. გარეშე										
35	ზედაპირული კაობები										
36	კენჭნარები, ქვაცილიები, ღორღიანი ნაფენები და სხვ.										
37	კლდეები, მცირეი ქანების გაშლულებები და სხვა ნაყარები										
38	მეინარები, მარილიანი თოვლი, წყლის ქვეშ										
39	ტორფდამბულები										
40	კარიერები, გამონამუშევრები ფუძე ქანები და სხვ.										

ხარისხობრივი დახასიათების დროს საძოვრების ის კატეგორია, რომელიც გაუმჯობესების შემდეგ შეიძლება გამოყენებული იქნას სხვა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებად, იყოფა: ა) ჰარბტენიან, ბიციობიან და დაწიდულ, ნახევრად ჰიდრომორფულ და ავტომორფულ საშუალო და ძლიერ კომპლექსურ კატეგორიად: ბ) განსაკუთრებით ეროზიულად საშიშ 10⁰-ზე მეტად დაქანებულ ციკაბო ფერდობებად (ჩამორეცხილის ჩათვლით): გ) მცირე სისქის ძლიერ კომპლექსურ (ლორლიანის ჩათვლით) ფხვიერ ქვიშიან და დაკორდებულ ქვიშებად.

მიწები, რომლებიც ძირეული მელიორაციის შემდეგ შეიძლება გამოყენებულ იქნას სასოფლო-სამეურნეო სავარგულებად, დაყოფილია სიღრმისეულ და გარდაამავალ ჰაობებად, ძლიერ მარილიან, ხრამ-ღელეების კომპლექსებად, თაყირებად და ქარფანტვად ქვიშებად.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულებად ნაკლებად გამოსაყენებელ, გამოუყენებელ და დაზიანებულ მიწებში შედის: ჰაობები, ლორლიანი ნაფენები, ქვაყრილები, კიდებები, მყინვარები, კარიერები და სხვა კატეგორიები.

ნიადაგების მექანიკური შედგენილობითა და მის ნაყოფიერებაზე ბოქმედი სხვა ნიშნებით სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დახასიათებას დიდი მნიშვნელობა აქვს მიწის მაღალეფექტიანად გამოყენების ღონისძიებათა დასახვისათვის. ამიტომ საკადასტრო წიგნში გამოყოფილია მძიმე, საშუალო და მსუბუქი თიხიანი, თიხნარი, ქვიშნარი და ქვიშიანი ნიადაგები.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის უვარგისი მიწები, გარდა აღნიშნულისა, იყოფა: დამლაშებულ, მყავე, ბიციობ, ჰარბტენიან, დაქაობებულ, ქვიან, დეფლაციასაშიშ და ეროზირებულ ფართობებად. მათი დაყოფა წარმოებს აგრეთვე მოვლენის სიძლიერითაც: სუსტად, საშუალოდ, ძლიერ და მეტად ძლიერად.

მიწების დაყოფას ქანობების მიხედვით დიდი მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის, როგორც ნიადაგის ნაყოფიერებაზე მოქმედ ფაქტორს. საკადასტრო დოკუმენტაციაში, მათი დამუშავების პრინციპების გათვალისწინებით, მიწების ქანობები რვა ჯგუფადაა დაყოფილი.

ზემოხსენებული მონაცემები ნათლად მიუთითებს, რომ საკადასტრო დოკუმენტაციაში სავარგულების დაყოფა ნიადაგების მექანიკური შედგენილობისა და ნაყოფიერებაზე მოქმედი ნიშნების მიხედვით ერთ-ერთი ძირითადია. მის მნიშვნელობას განსაზღვრავს პროექციის წარმოებაზე მოქმედი ყველა ბუნებრივი ნიშან-თვისების თავმოყრა ამ ნაწილში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ მონაცემების

ხეარგულების დახასიათება ნიადაგების მექანიკური შედგენილობისა და ნაყოფიერებაზე მოქმედი ნიშნების მიხედვით (მა)

1	2	3	ნიადაგების მექანიკური შედგენილობა						
			4	5	6	7	8	9	10
ხანაწერის გაცემის წელი	ხეარგულების დახასიათება	საერთო ფართობი	მძიმე და საშუალო თიხაანი	შსუბუქი თიხაანი	მძიმე თიხანაი	საშუალო თიხანაი	შსუბუქი თიხანაი	ქვიშნარი	ქვიშნარი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10

ვაგრძელება.

სულ	რამლაშებული				ბიცობიანი კომპლექსი	ფაქე
	სუსტად	საშუალოდ	ძლიერ	შლი-შობი		
მ. შ. ხელმოივრედ	მ. შ. ხელმოივრედ	მ. შ. ხელმოივრედ	მ. შ. ხელმოივრედ	მ. შ. ხელმოივრედ	ს უ ლ	ნათ შორის
11	12	13	14	15	16	17
17	18	19	20	21	22	23

ვაგრძელება.

საშუალოდ (PH-4,6-5,0)	ქვიშ (PH-4,6 ნაქვიშ)	კარბონიანი			ს უ ლ	დაკავიბებული			ს უ ლ	ქვიანი		
		ს უ ლ	კ ა ლ ი ს	კალის ვარე		სუსტად	საშუალოდ	ძლიერ		სუსტად	ზომიერად	
23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	34	35

ძლიერ ძალიან ძლიერ	ს უ ლ	დეფლაციისაში							წყლისმიერი და ქარიშხაირი ერა- ზის შედეგად დაზარალებული	განიცდიან წყლის- მეტერ ეროზიას		
		აქედან			მთ შორის ერო- ზირებული					აქედან		
		ს.ს.ტ.დ	ს.მ.უ.ლ.დ	ქ.ო.ე.რ	ს.ს.ტ.ა	ს.შ.უ.ლ.დ	ძ.ო.ე.რ	სულ		ხუცად	საშუალოდ	
36	37	38	39	40	41	42	43	44	45	46	47	48

ძლიერ	დახასიათება ქანობის მიხედვით									
	მთ შორის ქანობებით									
	სულ	1°-მდე	1°-2°	2°-3°	3°-5°	5°-7°	7°-10°	10°-15°	15°-ზე მეტი	
49	50	51	53	54	55	56	57	58		

გათვალისწინებით უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს ნიადაგის ნაყოფიერების ასამაღლებლად აგრომელიორაციული თუ სხვა ღონისძიებები.

მიწების შეფასება და საკადასტრო დოკუმენტაციის შედგენა-გათორმება, ზემოაღნიშნულის გარდა, გულისხმობს რიგ სამუშაოებს, რომლებიც აუცილებელია საშემფასებლო სკალების შესადგენად.

საშემფასებლო სამუშაოების შესრულების საქმეში ცენტრალური რგოლი ნიადაგების აგროსაწარმოო დაჯგუფებაა. მის საფუძველზე ადგენენ საკადასტრო რაიონებისა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის საშემფასებლო სკალებს. აგროსაწარმოო დაჯგუფების სქემაში ნიადაგები დახასიათებულია ჰუმუსიანი ფენის სისქის, მოცულობითი წონის, ნიადაგების მოცულობის, საერთო ფორიანობის, ჰუმუსის შემცველობის და მოცულობის, ნიადაგის სტრუქტურული მდგომარეობისა და 100 გ ნიადაგში მოძრავი საკვები ელემენტების რაოდენობის მიხედვით (დანართი 8).

საწარმოთა საკადასტრო წიგნში სათიბ-საძოვრების კულტურტექნიკური მდგომარეობის მიხედვით დასახასიათებლად გამოყოფილია ნიადაგების კლასები, ქვეკლასები და ჯგუფები (ტიპები). სათიბებში ცალკეა გამოყოფილი გაუმჭობესებელი, დაკოლბონებული, გაბუჩქნარებული და გატყევებული ფართობები. საძოვრებში—გაკოლბონებული, გაბუჩქნარებული, გატყევებული და გათქერილი კატეგორიები (დანართი 9).

ზემოაღნიშნული სამუშაოების საფუძველზე აღგენენ მიწის საშემფასებლო აკალებს. ცალკეული სავარგულის შეფასება ორ ასპექტში ტარდება. გამოიყენება ბალური (100) სისტემა.

საკადასტრო წიგნში სახნავის შეფასება იყოფა სარწყავის, დამრობილი არამელიორირებულისა და მთლიანი ფართობების მიხედვით. საშემფასებლო ბალები დასმულია მოსავლიანობისა და დანახარჯების უკუგებით.

ცალკე აღირიცხება პირადი სარგებლობის საკარმიდამო მიწები, რომლებიც დაყოფილია სახნავად, ბალ-ენეკროვებად, სხვა სავარგულებად და სასოფლო-სამეურნეო სავარგულად გამოუყენებელ მიწებად. წიგნში პირადი სარგებლობის საკარმიდამო მიწების აღრიცხვის

დანართი 8

სახნავი ნიადაგების აგროსაწარმოო დახასიათების შარჩენებლები

ნიადაგების საერთო-საკეშის კმუებისა და ქვე-ჯგუფების ინდექსები	ნიადაგების დასახელება	გენერალური პოზიციონირების ინდექსები	ქუმუსიანი ფენის სისქე სმ-ით				მოცულობითი წონა გ/სმ ³ -ით			
			ჩანაწერის გაკეთების წლები				ჩანაწერის გაკეთების წლები			
			1965	1980	1985	1990	1965	1980	1986	1990
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11

გაგრძელება

ნიადაგის საერთო ფორანობა ნიადაგის მოცულობის %				ქუმუსის შემცველობა %-ით				ქუმუსის მოცულობა ც/ჰა-ით			
ჩანაწერის გაკეთების წლები				ჩანაწერის გაკეთების წლები				ჩანაწერის გაკეთების წლები			
1965	1980	1985	1990	1965	1980	1985	1990	1965	1980	1985	1990
12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23

სტრუქტურული მდგომარეობა (0,25—10მმ წყალბადე-გი აგრეგატების შემცველობა ნიადაგის წონასთან %-ობით)				მოძრავი საკვები ელემენტების შემცველობა, შგ. 100 გრ. ნიადაგში								
				P ₂ O ₅				K ₂ O				
ჩანაწერის გაკეთების წლები				ჩანაწერის გაკეთების წლები				ჩანაწერის გაკეთების წლები				
1945	1950	1955	1960	1965	1980	1985	1990	1995	1980	1985	1990	1995
24	25	26	27	28	29	30	31	32	33	34	35	36

დროს, გარდა აღნიშნულისა, მითითებულია მიწით მოსარგებლის ვინაობა და სარგებლობის უფლების საფუძველი (დანართი № 11).

მიწის საკადასტრო წიგნის შედგენის შემდგომ პერიოდში სამეურნეო საქმიანობის შედეგად, მიწათსარგებლობა და მიწის ხარისხობრივი მდგომარეობა იცვლება. ეს კი მოითხოვს შესაბამისი ცვლილებების შეტანას ყოველგვარ დოკუმენტაციაში, ანუ მიმდინარე კადასტრის შედგენას. ეს ოპერაცია ხორციელდება სპეციალურად ჩატარებული შემოწმების შედეგად, რომლის დროსაც წიგნში სპეციალური ჩანაწერები

დანართი 9

სათიბებისა და საძოვრების დახასიათება კულტურტექნიკურა მდგომარეობის მიხედვით

პა-ობით

ჩანაწერის გაკეთების წელი	სათიბის სულ	კლასების, ქვეკლასების ჩამოთვლის ტიპების ინდექსები	სათიბების კულტურტექნიკური მდგომარეობა								
			ძირული გემუჯობების სულთა.	დაკოლონებული		ვაზუჩენარებული		გატყვევებული			
				სუსტად	საშუალოდ და ძლიერ	სუსტად	საშუალოდ და ძლიერ.	სუსტად	საშუალოდ და ძლიერ.		
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	

საძოვრების კულტურტექნიკური მდგომარეობა

სულ საძოვრები	კლასების, ქვეკლასების ჯგუფების ინდიკატორები	კულტურული ძირეულად გაუმჯობესებულის სათვლით	დაკომპლექტება		გაბუნჩუნარე-ღული		გატყავებელი		გათქერილი		
			სუტად	საშუალოდ და ძლიერ	სუტად	საშუალოდ და ძლიერ	სუტად	საშუალოდ და ძლიერ	საშუალოდ	ძლიერ	
12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23

სახნავეს შეფასება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანის ეფექტიანობის მიხედვით

(ბალბით)

შეფასების და შესაფასებელი კულტურების მაჩვენებლების დასახელება	მოსავლიანობის მიხედვით									
	სახნავეს მდგომარეობა	3	4	5	6	7	8	9	10	11
2										
სარწყავი დაშრობილი არამელიორირებული სულ მიწა										

დანახარჯები უკუგების მიხედვით												
12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24

პირადი სარგებლობის საკარმიდამო მიწები

(0,01 ჰა-მდე)

№	იმ პირის გვარი, სახელი, მამის სახელი, ელსაც მიეცა საკარმიდამო ნაკვეთი	სულ მიწა	მათ შორის დასახლებული პუნქტების ფარგლებს გარეთ	საკარმიდამო ნაკვეთის მთლიანი ფართობიდან				საკარმიდამო ნაკვეთით სარგებლობის უწყუნების საფუძველი	შენიშვნა
				სახნავი	ბაღებისა და ხე-ჭაბუკოების გაყვანის ნარგავები	სხვა სასოფლო-სამეურნეო სავარგულები	ნაგებობების, ბუნებრივების ტყეების და ხრამების ქვეშ		
1	2	3	4	5	6	7	8	9	10

აღნიშვნები საწარმოს ორგანიზაციის, დაწესებულების მიწის საკადასტრო წიგნის წარმოების ხისწორის შემოწმების შეხახებ

შემოწმების თარიღი	შემმოწმებლის გვარი, სახელი, მამის სახელი, და თანამდებობა	შემოწმების შედეგები	წიგნის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა
1	2	3	4

წიგნში დანომრილი და ზონარეგულირებადი
 მთავარი ინჟინერ-მიწათმომწყობა _____ გვერდი

(ხელმოწერა)

მეტრეობის ხელმძღვანელი _____

(ხელმოწერა)

ბ. ა. _____

წელი, თვე, რიცხვი

კეთდება შემოწმებლის ვინაობის, შემოწმების შედეგებისა და წიგნის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერის სახით (დანართი 12).

საკადასტრო წიგნის გვერდები ინომრება, ეყრება ზონარი, მას ხელის მოწერით ადასტურებს რაიონის მთავარი ინჟინერ-მიწათმომწე-
ყობი და მეურნეობის ხელმძღვანელი. ამის შემდეგ ორ ეგზემპლარად
შედგენილი წიგნის ერთი ეგზემპლარი ინახება რაიონის აღმასრულებ-
ბელ კომიტეტში, ხოლო მეორე—იმ საწარმოსა და ორგანიზაციაში,
რომლისთვისაც იგი შედგა.

გარდა მიწის საკადასტრო წიგნისა, საწარმოებსა და ორგანიზა-
ციებს ეძლევა ნიადაგებისა და მიწის საკადასტრო რუკები. ამ უკანას-
კნელში ნიადაგების აგროსაწარმოო (საშემფასებლო) დაჯგუფებასთან
ერთად მოცემულია ფაქტობრივი და პერსპექტიული შეფასების ბა-
ლები.

მიწა გარკვეული მიზნობრივი დანიშნულებისთვის გადაეცემა აგ-
რეთვე არასასოფლო-სამეურნეო საწარმოებს (სატყეო, სამრეწველო,
სატრანსპორტო და ა. შ.) მიუხედავად იმისა, რომ აქ მიწა გამო-
დის როგორც საოპერაციო ბაზისი, მაინც საჭიროა მიწის საკადასტრო
დოკუმენტაციის შედგენა. აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შე-
ფასების მაჩვენებლების გამოყენებას მიწების ამ დანიშნულებით გამო-
ყოფის დროს.

XI თავი

რაიონის მიწის კადასტრი

§ 1. რაიონის მიწის კადასტრის უინაარსი და ამოცანები

რაიონი დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ტერიტორიული
ერთეულია, სადაც უშუალოდ ხორციელდება სამეურნეო, პოლიტიკუ-
რი და კულტურული ხელმძღვანელობა. რაიონულ კრილში წყდება
სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციისა და დაგეგმვის
ყველა ძირითადი საკითხი. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვა-
ნია მიწების აღრიცხვასა და გამოყენებასთან დაკავშირებული სახელ-
მწიფო ღონისძიებები, რასაც რაიონული საბჭოს აღმასრულებელი
კომიტეტი ხელმძღვანელობს. ამ უკანასკნელთა უფლება-მოვალეობანა
განსაზღვრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1971

წლის 13 მარტის დადგენილებით. რაიონ-ს, ქალაქის და ქალაქის რაიონული მშრომელთა კავშირების აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებებით სდება მიწათმოსარგებლეებისათვის მიწის გამოყოფის და აქტების გაცენა მიწით სარგებლობის უფლებაზე. მათი მოვალეობაა მიწათმოსარგებლობის კონტროლი, კანონსაწინააღმდეგო ყოველგვარი ქმედების აღკვეთა, მიწის ნაყოფიერების ამაღლების ღონისძიებათა გატარება, მიწების აღრიცხვისა და შეფასების სამუშაოების ხელმძღვანელობა და სხვ.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაგეგმვის სრულყოფისა და მიწის რაციონალურად გამოყენების უზრუნველყოფისათვის აუცილებელია ყოველგვარი მონაკები მიწის ფონდის მდგომარეობისა და გამოყენების შესახებ. აღმინისტრაციულ რაიონებში მიწების აღრიცხვა. რეგისტრაცია და შეფასება ერთიანი საკავშირო მეთოდია ინსტრუმენტარით ტარდება ცალკეული სასოფლო-სამეურნეო საწარმოს მასალებზე დაყრდნობით. აღრიცხვა-შეფასების კომპლექსური დოკუმენტია მიწის საკადასტრო წიგნი, რომელიც იძლევა სრულყოფილ მასალებს მიწის ბუნებრივი, სამეურნეო და სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ.

მიწის საკადასტრო დოკუმენტაციის საშუალებით რაიონული აღმასრულებელი კომიტეტი კონტროლს უწევს მიწის ფონდების მიზნობრივ გამოყენებას მიწათმოსარგებლეების მიერ და მიწაზე სახელმწიფოს საკუთრებისა და მიწათმოსარგებლეთა უფლებების დაცვას. ამ საკითხების გადაჭრა იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად სწორადაა დაყენებული რაიონში მიწების აღრიცხვის, მათი შეფასებისა და, საერთოდ, საკადასტრო დოკუმენტაციის შედგენის სამუშაოები.

რაიონის მიწის კადასტრის შედგენის აუცილებლობა განპირობებულია იმითაც, რომ საოლქო, ავტონომიური და მოკავშირე რესპუბლიკების, აგრეთვე ქვეყნის შესაბამისი სამიწათმომწყობო სამსახურები მიწის საკადასტრო საქმიანობისათვის ყოველგვარ მასალას რაიონებიდან იღებენ. ისინი ამ მასალების საფუძველზე აწარმოებენ შესაბამის სამუშაოებს და ადგენენ დოკუმენტაციას. გარდა ამისა, რაიონის მიწის კადასტრის ასეთი დიდი მნიშვნელობა იმითაც არის განსაზღვრული, რომ იგი ეყრდნობა უშუალოდ დაკვირვებებისა და გაძალადების პირველად მასალებს, იყენებს აგრეთვე ყოველგვარი გამოკვლევის, მიწათმომწყობის დაპროექტების, საგეგმო-კარტოგრაფიული მასალების კორექტირების, ფართობების აზომვისა და სხვა დოკუმენტების მონაცემებს.

მიწის კადასტრს, როგორც კომპლექსური ხასიათის დოკუმენტს, აქვს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ცალკეული საწარმოს, ორგანი-

ზაციისა და დაწესებულების, აგრეთვე ცალკეულ მოქალაქეთა მიერ მიწით სარგებლობასთან დაკავშირებული კანონების დაცვის უზრუნველყოფისათვის. ამასთან, მისი მოვალეობაა შესაბამისი საგეგმო ორგანოებისათვის საჭირო ცნობების მიწოდება წარმოების სწორი ორგანიზაციისა და დაგეგმვისათვის. ეს ღონისძიება ტარდება მიწის კატეგორიების, მიწათმოსარგებლეების, მიწის ფონდის, მისი ხარისხობრივი მდგომარეობის და სავარგულების სახეებისა და ქვესახეებისათვის. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს შიგასამეურნეო და მეურნეობათაშორისო მიწათმოწყობის გეგმებისა და მიწათმოწყობის რაიონული გენერალური სქემების შესადგენად. ცალკეული მიწათმოსარგებლისა და რაიონის მიწის კადასტრების მონაცემები უნდა დაედოს საფუძვლად მიწების გამოყენების მეცნიერულ ანალიზს და პერსპექტივაში სახალხო მეურნეობის სხვა დარგებისათვის მის გამოყოფას.

ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე ცალკეული საწარმოსა და რაიონის მიწის კადასტრებს შორის განსაზღვრული კავშირითიერთობაა. ერთი მხრივ, რაიონის მიწის კადასტრი ცალკეულ საწარმოთა მიწის კადასტრების საფუძველზე აგებული დოკუმენტია და მისი სისწორე მთლიანად ამ უკანასკნელთა ხარისხზეა დამოკიდებული. მეორე მხრივ, რაიონების მიწის კადასტრი განსაზღვრავს ოლქების (მხარეების), ავტონომიური რესპუბლიკების, მოკავშირე რესპუბლიკებისა და კავშირის მიწის კადასტრებს სიზუსტეს, რადგან მათ აწვდიან უტყუარ ცნობებსა და მონაცემებს.

ჩვენს ქვეყანაში მიწა სახელმწიფოს ეკუთვნის და მას აძლევს ცალკეულ მოსარგებლეს განსაზღვრული ვადითა და მიზნობრივი დანიშნულებით. ამავე დროს იგი მათ ავალდებულებს გაატარონ მიწების გაუმჯობესების, მათი ნაყოფიერების ამაღლების, ორგანიზაციულ-სამეურნეო, აგროტექნიკური, სატყეო-სამეურნეო, ჰიდროტექნიკური, ეროზიის საწინააღმდეგო, დამლაშების, დაჭაობების და ბუნების სხვა უარყოფითი მოვლენების თავიდან აცილებას კომპლექსური ღონისძიებანი. როგორც წესი, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ძვირადღირებული და ფართო მასშტაბის ღონისძიებანი სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიულ გეგმებშია გათვალისწინებული და სახელმწიფოს მიერ ფინანსდება. ამასთან, მათი გატარება ევალება ყველა უწყებასა და სამინისტროს.

რაიონის მიწის კადასტრის სისტემა ძირითად (პირველად) და მიმდინარე (შემდგომი) ეტაპებად იყოფა. ძირითადი კადასტრის ამოცანაა სრულყოფილი მასალების შექმნა მიწის ერთიანი ფონდის, მისი განაწილების, სავარგულების სახეებისა და ქვესახეების, ნიადაგის ხა-

რისხობრივი მღვ. მარკობისა და სხვა ნიშნების მიხედვით. იგი მოაკლავს მოსამზადებელ და საველე სამუშაოებს, მონაცემების აღება-დაზუსტებასა და დოკუმენტების შევსებას. ამ მიზნით მოსამზადებელ პერიოდში უნდა შეაკრიბოს, შესწავლილი და სისტემატიზებულ იქნას მოყვანილ რაიონში არსებული ყველა საგეგმო-კარტოგრაფიული და ტექსტობრივი დოკუმენტი, რომლებშიც რაიმე მონაცემთა მიწების შესახებ. ამ მასალების ვარგისიანობისა და სრულყოფის დადგენის შემდეგ იგეგმება ჩასატარებელი საველე სამუშაოების სახე და მოცულობა. საველე პირობებში ტარდება აგეგმვების, აეროფოტოგრაფიების, ნიადაგებისა და გეობოტანიკური კვლევის სამუშაოები, რომელთა მასალებს იხილავს და ამტკიცებს დადგენილი წესით, სპეციალურად შექმნილი კომისია.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით ყველა უწყებას და ორგანიზაციას ევალება ყოველგვარი კვლევის იმ მასშტაბებით და მეთოდებით ჩატარება, რომელიც მთლიანად დააკმაყოფილებს მიწის კადასტრის შედგენის მოთხოვნებს.

კადასტრში, ძირითადად, რეგისტრირდება პირველადი მიწათსარგებლობა (უვადო, გრძელვადიანი და მოკლევადიანი), რომლის საზღვრებში მიწები განიხილება სავარგულების სახეების, გამოყენების ხასიათისა და ხარისხობრივი მდგომარეობის მიხედვით.

საკადასტრო მონაცემებში შედის მიწათ სარგებლობის უფლების აქტი, მოსარგებლეზე მიწების გამოყოფის დოკუმენტაცია, მიწათმოწყობის, აგროსამეურნეო, ნიადაგური და გეობოტანიკური გამოკვლევები და სხვა მასალები. ყველა ეს დოკუმენტი ინახება რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტში. როდესაც რომელიმე დოკუმენტი ექვს იწვევს, ატარებენ მისი გასწორების და სრულყოფის სამუშაოს.

ყველაზე პასუხსააგებია რაიონის ფართობის დადგენის მომენტი, მისი განსაზღვრა წარმოებს საგეგმო-კარტოგრაფიული და სხვა მასალების საფუძველზე. როგორც წესი, არსებული სახელმწიფო აღრიცხვის მოქმედი სისტემების შემთხვევაში, იგი მიიღება ცალკეული მიწათმოსარგებლის ფართობთა შეკრების შედეგად. ასეთი მეთოდით განგარიშებული ფართობი იმ შემთხვევაშია ზუსტი, თუ ცალკეულ მიწათმოსარგებლეთა ფართობები სწორადაა განსაზღვრული და მათში ცდომილება დასაშვებ ფარგლებშია. მათ ფართობებს კი ანგარიშობენ მსხვილმასშტაბიანი (1 : 500; 1 : 1000; 1 : 5000) საგეგმო-კარტოგრაფიული მასალების, ფოტოგეგმების, მენზუალური აგეგმვის და პლანშეტების საშუალებით. როდესაც მიწათმოსარგებლებს არ აქვთ საგეგმო მასალები ან ისინი არაზუსტია, რაიონის მიწის ფართობიც არასწორად

იქნება განსაზღვრული, რამდენადაც დაშვებული შეცდომა მექანიკურად გადადის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, რაიონის მიწის ფართობს განსაზღვრავენ ტრაპეციების მიხედვით სახელმწიფო ან საუწყებო მსხვილმასშტაბიანი ავეგმეების საფუძველზე. ავეგმეის მასალებზე გააქვთ რაიონის და მასში შემავალი მიწათმოსარგებლეების საზღვრები ცალკეული მოსახვევი წერტილების კოორდინატებით. მიღებული საზღვრების ფარგლებში ფართობებს ანგარიშობენ სხვადასხვა ხერხით:

ა) ანალიზური ხერხი იძლევა ყველაზე ზუსტ შედეგს, რადგან ფართობის სიზუსტეზე გავლენას ახდენს მხოლოდ ნატურაში გაზომილი ცდომილებანი. ამ ხერხის გამოყენება უფრო მიზანშეწონილია, როდესაც ნაკვეთს აქვს მოსახვევი წერტილების მცირე რაოდენობა.

საქართველოს ტერიტორიის რელიეფური პირობების, მეურნეობათა მიწათსარგებლობაში მრავალნაკვეთიანობისა და სიტუაციის კონტურების სირთულის გამო სამიწათმომწყობო სამუშაოების პრაქტიკაში ფართობების ანალიზური ხერხით განსაზღვრას ნაკლებად იყენებენ

ბ) თუ გვემაზე გამოსახული ნაკვეთი იყოფა მარტივ გეომეტრიულ ფიგურებად, უპირველესად სამკუთხედებად ან ტრაპეციებად, მაშინ ფართობის გასაანგარიშებლად გამოიყენება გრაფიკული (გეომეტრიული) ხერხი, რაც ცალკეული ფიგურის ფართობების გეომეტრიიდან ცნობილი ფორმულებით განსაზღვრას გულისხმობს. ხაზობრივი სადიდეები მიიღება გეგმიდან ფარგლით მოცემული მასშტაბის შესაბამისად.

უხეში შეცდომების თავიდან აცილების მიზნით, ფართობები განგარიშებული უნდა იქნას ორჯერ. ეს ხერხი უფრო ხელსაყრელია, როდესაც ნაკვეთს მცირე რაოდენობის მოსახვევი წერტილები აქვს;

გ) ძირითადი მანძი ფართობების გაანგარიშების მექანიკური ხერხია, რაც პლანიმეტრის გამოყენებას გულისხმობს. ტრაპეციებზე დატანილი და რაიონის საზღვრებში მოქცეული ფართობი მოხერხებული კონფიგურაციისა და მიწათსარგებლობის გათვალისწინებით იყოფა სექციებად. ამასთან, მათი ფართობი არ უნდა აღემატებოდეს 150—200 კა-ს (1:10000 მასშტაბში).

სექციებად დაყოფილი ტრაპეციების ფართობების გამოანგარიშება საშუალებას იძლევა უფრო სწორად გავანაწილოთ შეუზღველობა ფართობებში, სექციების ფართობების გამოანგარიშება წარმოებს პლანიმეტრის ორჯერ შემოტარებით, ხოლო მათი ფართობების საერთო ჯამის შეუზღველობა ტრაპეციის ფართობთან, გაიანგარიშება ფორმულით:

$$f \text{ დასაშვები} = \pm (0,05 \frac{M}{1000\sqrt{P}}),$$

სადაც M არის გეგმის რიცხვითი მასშტაბი;

P — სექციის ფართობი ჰა-ობით.

მეთოდი, რომელიც მნიშვნელოვნად აღიძვრს ფართობის განსაზღვრის სიზუსტეს, არის სავიჩის მეთოდი. ამ მეთოდით ნაკვეთების დიდი ფართობების განსაზღვრისას შედეგები დაახლოებით იმავე სიზუსტით მიიღება, როგორც გრაფიკული წესის გამოყენების დროს. განსაკუთრებით ხელსაყრელია ეს სერხი, როდესაც რაიონში შემავალი მიწათმოსარგებლის (მიწათმოსარგებლების) ფართობი ერთ ტრაპეციაზეა მოთავსებული, ან რაიონის ფართობი რამდენიმე ტრაპეციაშია მოქცეული. ცალკეული ტრაპეციის ფართობების გაანგარიშებით მიღებული სიდიდეების შეკრებით მიიღება მთლიანი ფართობი.

საჭიროების შემთხვევაში აღნიშნული სამუშაოების ჩასატარებლად ზორციელდება საველე გამოკვლევა ან აგეგმვა. თუ საგეგმო მასალა სარწმუნოა, მაშინ ტრაპეციები მიწათმოსარგებლეთა ფართობების გამოსათვლელად იყოფა სექციებად მოსახერხებელი კონფიგურაციის მიხედვით. სექციების ფართობები კი ებმება ტრაპეციათა თეორიულ ფართობთან. მიწათსარგებლობაში ყოველგვარი ცვლილების რეგისტრირება წარმოებს სპეციალურ ბარათებში, ამ უკანასკნელიდან კი გადაიტანება სპეციალურ ცხრილებში, რომელშიც მითითებული უნდა იქნას რაიონის დასახელება და ტრაპეციათა ფართობები. ბარათებს, როგორც წესი, ხსნიან ყოველი ტრაპეციისათვის და მათ ყოველ წელს ახალს ადგენენ.

რაიონის მიწის საკადასტრო დოკუმენტაციის შედგენა მიწის ფონდის რაოდენობის განსაზღვრასთან ერთად გულისხმობს მიწის ხარისხობრივად აღრიცხვას, რაც ცალკეული მიწათსარგებლობის მასალებზე დაყრდნობით ხორციელდება. ამ მიზნისათვის გამოიყენება სსრ კავშირის ცსს და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ 1962 წლის 22 სექტემბერს დამტკიცებული სასოფლო-სამეურნეო საქარგულების ხარისხობრივი დახასიათების ფორმების მასალები. მათში მოცემულია ნიადაგების აგროსაწარმოო ჯგუფები დედაქანების მიხედვით და ქარული ეროზიისადმი მიდრეკილების მქონე ნიადაგები. აგრეთვე მიწები, რომლებიც საჭიროებს სპეციალური ღონისძიებების გატარებას (ჩამორეცხილი, დამლაშებული, ბიცობიანი, ქვიანი. მკავე, დაქაობებული, ჭარბტენიანი), ფორმებსა და შეაბამისად, მასალებს ადგენენ ცალკეული მიწათმოსარგებლის მიხედვით და მათ საფუძველზე აწარმოებენ რაიონის ჯუშლებს.

რაიონის კადასტრის ყველაზე მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია მიწის შეფასება, რასაც მიწათმოწყობის საპროექტო ინსტიტუტები ან მათი ფილიალები ანხორციელებენ. შეფასების საფუძველია ცალკეულ მიწათმოსარგებლეთა მასალა. შეფასება რაიონის მიწის საკადასტრო

რო წიგნში. შესაბამისად რაიონის მეწის კადასტრი ორი სახისაა: ძირითადი და მიმდინარე. მათი შედგენის მეთოდი და საჭირო მასალები ისეთივეა, როგორც ცალკეული საწარმოსა და ორგანიზაციის მიწის კადასტრის შედგენისას.

ცალკეულ მიწათმოსარგებლეთა მონაცემების საფუძველზე წარმოებს ნიადაგების აგროსაწარმოო (საშემფასებლო) დაჯგუფება (სქემა 3) და ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით საშემფასებლო კრტერიუმების გაანგარიშება, შესაბამისად ღებება შეფასების სკალები სახნავისა და ცალკეული სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოყვანის ეფექტიანობის მიხედვით, რაც საკავშირო მეთოდიკის ინსტრუმენტარულშია მოცემული (იხ. ცხრ. 5).

ცხრილი 5

ლანჩხუთის რაიონის სახნავის შეფასების სკალა

1. მთლიანი პროდუქცია 6.12
2. დანახარჯების უკუგება 0,0144
3. ლიფერენციული შემოსავალი 0,05

მიწის საშემფასებლო კატეგორია	მიწის ფართობი	საშემფასებლო მაჩვენებლები					
		მთლიანი პროდუქცია		დანახარჯების უკუგება		ლიფერ. შემოსავალი	
		მან. კა	ბალი	მან/მან	ბალი	მან/კა	ბალი
		3	4	5	6	7	8
I	3187	612	100	140	100	—5	—
II	1682	400	60	1,15	80	—127	—
III	2723	376	61	0,88	61	—241	—
IV	1577	247	40	0,58	40	—369	—

ამ სკალების საფუძველზე ფასდება ცალკეულ მიწათმოსარგებლეთა მიწები და ღებება შეფასების უწყისები, რომლებიც შემდეგ საფუძველად ედება რაიონის შესაბამისი მასალების შედგენას.

საკადასტრო დოკუმენტაციას განიხილავენ, დაამტკიცებენ რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებში და საჭიროების შემთხვევაში აწარმოებენ მის დაზუსტება-განახლებას. საკადასტრო დოკუმენტაციის მოთხოვნათა თანამედროვე ღონეზე მოყვანა მოითხოვს მათ კორექტირებას, რაც ყოველ 5 წელიწადში ხორციელდება.

მიწაზე სახელმწიფო საკუთრების განმტკიცების, მიწათმოსარგებლეთა უფლება-მოვალეობის დაცვა-ამაღლებისა და მიწის რაციონალურად გამოყენების საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მიწაზე სარგებლობის უფლების დაწესებას, რაც მიწით სარგებლობის უფლებაზე აქტის გაცემით ხორციელდება.

მიწით სარგებლობის უფლებაზე სახელმწიფო აქტის ფორმა ქვეყნის მასშტაბით ერთნაირია და მას გაცემს რაიონული აღმასრულებელი კომიტეტი. აქტი ორ ენაზე დაწერილი ფორმით დგება. რუსულად და იმ რესპუბლიკის ენაზე, სადაც გაიცემა. მასში მითითებულია ყველა კონტური, რაც კი მიწათსარგებლობაშია მოქცეული. აქტის ერთი ეგზემპლარი ეძლევა მიწათმოსარგებლეს, ხოლო მეორე—რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტში ინახება. ამასთან, ორივე აქტი ერთნაირ ხომრით ინომრება, გაეყრება ზონარი და ილუქება.

აქტის გაცემამდე, იმის მიხედვით, მიწათსარგებლობა ახალი იქმნება, თუ ადგილი აქვს მასში ნაწილობრავ ცვლილებებს, საჭიროა განსაზღვრული სახის სამუშაოების ჩატარება. ცალკეული მიწათმოსარგებლის მიხედვით აქტების შეაადგენად უნდა ჩატარდეს შემდეგი ძირითადი სახის სამუშაოები.

1. სისტემატიზაცია გაუკეთდეს და შესწავლილ იქნას არსებული საგეგმო-კარტოგრაფიული, გეოდეზიური და სხვა მასალები;

2. შემოწმდეს მიწით სარგებლობის უფლებების განმსაზღვრელი დოკუმენტაცია და მიწების გამოყოფის ან წარმოებიდან ამოღების მასალები;

3. დაზუსტდეს სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში სხვა მოსარგებლეების რაოდენობა და ფართობები;

4. შემოწმდეს მიწის დანიშნულებისამებრ გამოყენება;

5. განისაზღვროს მიწათმოსარგებლეთა რაოდენობა და მათი ფართობები, რომლებზედაც აქტის გაცემამდე აუცილებელია საზღვრების დადგენისა და ფართობების დაზუსტების სხვა სამუშაოების ჩატარება.

დადგენილი წესითა და თანმიმდევრობით იმ სამუშაოებს ატარებს მიწათმოწყობის სამსახური არსებული მასალების საფუძველზე, ხოლო შემდეგ დამტკიცებული სასაზღვრო ნიშნების მიხედვით პროექტები გადააქვთ ნატურაში. საზღვრებს ადგენენ მომიჯნავე მიწათმოსარგებლეთა დასწრებით. მიწათმოწყობის სპეციალური სამსახური საზღვრების დადგენის დროს ავსებს აქტს, რომელშიც დაწერილებით აღწერს საზღ-

ვრებს და პროექტს. მისი ნატურაში დატანის შემდეგ რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტში შედის წინადადებით მიწით სარგებლობის უფლებაზე აქტის გაცემის შესახებ. რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის (ქალაქის კომიტეტის) დადგენილების საფუძველზე დგება სახელმწიფო აქტი.

აქტის სწორად შედგენაზე პასუხისმგებელია რაიონის (ქალაქის) მთავარი ინჟინერ-მიწათმომწეობი. აქტის გაცემის დროს ყველა მიწათმოსარგებლეზე ივსება საქმე, რომელშიც შედის: შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს დადგენილების ამონაწერი მიწის გამოყოფის შესახებ, რაიონული (ქალაქის) აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება სახელმწიფო აქტის გაცემის შესახებ, მიწათსარგებლობის საზღვრების გეგმა, რაიონის (ქალაქის) მთავარი ინჟინერ-მიწათმომწეობის დასკვნა და სხვა დოკუმენტაცია.

აქტების წარმოების გაუმჯობესების და სახელმწიფო კონტროლის გაძლიერების მიზნით ყოველ რაიონში (ქალაქში) ინჟინერ-მიწათმომწეობს შემოღებული აქვს აქტების გაცემის აღრიცხვის წიგნი. წიგნის ფორმა საკავშიროა, იგი ინომრება, ეყრება ზონარი, ხელის მიწერით ადასტურებენ რაიონის კომისიის თავმჯდომარე და ინჟინერ-მიწათმომწეობი და ლერბიანი ბეჭდით დადასტურების შემდეგ შედის ძალაში.

თუ მიწათმოსარგებლობაში მოხდა დიდი ცვლილებები, ან აქტი და სხვა დოკუმენტაცია დაზიანდა, რაიონის (ქალაქის) აღმასრულებელი კომიტეტი იღებს გადაწყვეტილებას მისი შეცვლის შესახებ. თუ მიწათსარგებლობა გაუქმდა, შესაბამისად, აქტიც უნდა ჩაბარდეს რაიონის (ქალაქის) მთავარ ინჟინერ-მიწათმომწეობს.

მისიონის ინვენტარიზაციის ჩატარების წესი

მიწის სავარგულების ფაქტობრივი და გეგმიანი მდგომარეობის დასადგენად ტარდება ერთდროული ღონისძიება მიწების ინვენტარიზაციის სახით. ინვენტარიზაციის ჩასატარებლად იქმნება სპეციალური კომისია რაიონის მთავარი ინჟინერ-მიწათმომწეობის, მთავარი აგრონომის, მთავარი მელიორატორისა და რაიონის სხვა წამყვანი სპეციალისტების შემადგენლობით.

მიწების ინვენტარიზაცია საკმაოდ პასუხსაგები მომენტია და მის ჩასატარებლად იყენებენ რაიონში არსებულ საგეგმო-კარტოგრაფიულ, ნიადაგების და კვლევის სხვა სახეების, აგეგმვითი, შიგასამუშაო და მეურნეობათაშორისო მოწყობის, გენერალური გეგმების, სხვა მასალებსა და დოკუმენტებს. მისი მიზანია მთლიანი მიწის ფონდის დაზუსტება მიწათმოსარგებლეებისა და სავარგულების მიხედვით. ცალკე გამოიყოფა სარწყავი და დაშრობილი მიწის ფართობები.

ჩაოდენობრივი და ხარისხობრივი მდგომარეობის დადგენასთან ერთად ინვენტარიზაციის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია სახნავად ასათვისებელი დიდი მასივების გამოვლენა და მათი ათვისების თანმიმდევრობის დადგენა მიწის ხარისხობრივი მდგომარეობისა და დანახარჯების უკუკავშირის მოპოვების ეფექტიანობით გამომდინარე. ასათვისებელი მიწების გამოყოფის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ ასათვისებელი ხარჯები არ აღემატებოდეს რაიონის ფარგლებში დამკვიდრებულს. წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი მიწები შეტანილი უნდა იქნეს მეორე რიგის ათვისებაში.

ინვენტარიზაციის ჩატარება მოიცავს კამერალური და საველე სამუშაოების სახეებს. საგეგმო-კარტოგრაფიული და სხვა მასალების საფუძველზე კამერალური წესით ზუსტდება ყოველგვარი ცვლილება მთლიანად მიწის ფონდისა და განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში. ცალკე გამოყოფენ იმ ნაკვეთებს, რომლებიც გასულ წლებში სასოფლო-სამეურნეო სავარგულად იყო გამოყენებული, ხოლო ახლა ბრუნვიდანაა ამოღებული სხვადასხვა მიზეზების გამო. არსებული გამოკვლევების საფუძველზე საზღვრავენ ნიადაგების ხარისხობრივ მდგომარეობას.

კომისია საველე პირობებში ამოწმებს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმოების ტერიტორიაზე გარე მიწათმოსარგებლეთა მიერ მიწების გამოყენების მდგომარეობას. თუ გამოვლინდება მიწების არამიზნობრივი და არარაციონალური გამოყენების ფაქტები, კომისიას შეაქვს წინადადება ზემდგომ ორგანოებში მიწათმოსარგებლობის გაუქმებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მისი დადგენილი წესით დაბრუნების შესახებ.

საველე სამუშაოების დამთავრების შემდეგ წარმოებს შეცვლილი კონტურების ამოწევა და გამოთვლა 0,1 ჰა-ს სიზუსტით. დგება სულ მიწების და მათ შორის სარწყავი და დაშრობილის ექსპლიკაციები, ცალკე წარმოებს იმ მიწების დახასიათება, რომლებიც მოითხოვს სპეციალური ღონისძიებების გატარებას და ა. შ. ამ სამუშაოების დამთავრების შედეგად შექმნილ დოკუმენტაციას თან ერთვან განმარტებითი ბარათი, რომელშიც მითითებულია: პასპორტიზაციის ჩასატარებლად გამოყენებული მასალები და დოკუმენტები; საველე სამუშაოების სახე და მოცულობა, არსებულ მასალებსა და პასპორტიზაციის შედეგად მიღებულ მონაცემებს შორის სხვაობები და გამომწვევი მიზეზები; არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მდგომარეობა და გაუმჯობესების შესაძლებლობა; ახალი მიწების ათვისების შესაძლებლობა; სხვა კატეგორიებიდან სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის მიწების გადაცემის მიზანშეწონილობა, მათი ფართობები და ხარის-

ხობრივი მდგომარეობა; არასასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და არადანიშნულებისამებრ მიწების გამოყენების ფაქტები და ამ მიწების სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის გადაცემის კონკრეტული წინადადებანი.

სამუშაოებს ატარებენ და შესაბამის დოკუმენტაციას ადგენენ მიწათმოწყობის სამსახურის სპეციალისტები რაიონის (უფროს) მთავარ ინჟინერ-მიწათმომწყობთან ერთად. დოკუმენტაცია, რომელსაც სპეციალურად დამუშავებული ფორმებისა და აქტების სახით ადგენენ, მტკიცდება კოლმეურნეობ-ს გამგეობის გაფართოებულ სხდომაზე ან საბჭოთა მეურნეობის საწარმოო თათბირზე საბჭოს თავმჯდომარეების აუცილებელი დასწრებით. საბოლოოდ მასალებს აბარებენ რაიონის კომისიას შესამოწმებლად და დასამტკიცებლად.

რაიონული კომისია იხილავს ცალკეულ მიწათ მოსარგებლეთა მიხედვით შედგენილ მთელ დოკუმენტაციას, კრავს რაიონის ბალანსს და უდგენს მას რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტს შესაბამისი წინადადებებით. ნაკრების დამტკიცების შემდეგ საქმეებს კინძავენ ცალკეული მიწით მოსარგებლის მიხედვით და აბარებენ რაიონის მთავარ ინჟინერ-მიწათმომწყობს. რაიონის ნაკრებს კი უგზავნიან ცენტრალურ კომისიას, რომელიც მის საფუძველზე ადგენს რესპუბლიკის მიწების ინვენტარიზაციის ერთიან დოკუმენტაციას. საჭიროების მიხედვით ინვენტარიზაციამ შეაძლება აგრეთვე მოიცვას რომელიმე სახის 'აგარგულის კულტურის (მაგ. ჩაი, ციტრუსი და ა. შ.) ფართობი.

§ 2. მიწების სახელმწიფო რეგისტრაცია და მიწის ბალანსი რაიონში

რაიონში მიწების სახელმწიფო რეგისტრაცია ცალკეულ მიწათმოსარგებლეთა მიხედვით ხორციელდება მათი ალფავიტური სიის შესაბამისად. რეგისტრაცია ტარდება მთლიანი მიწებისათვის (უვადო, გრძელვადიანი, მოკლევადიანი) არსებული დოკუმენტაციის საფუძველზე. ძირითად დოკუმენტებად გამოაყენება რაიონის მიწათმოსარგებლობის რუკები, რომლებსაც ადგენს მიწათმოწყობის სპაროექტო ინსტიტუტი ან სასოფლო-სამეურნეო აეროფოტოგადაღებების საკავშირო ინსტიტუტი რესპუბლიკებში არსებული ფილიალებით.

არსებული ინსტრუქციის შესაბამისად რაიონის რუკებზე ასახულია: აღმინისტრაციული რაიონისა და ცალკეულ მიწათმოსარგებლეთა საზღვრები, დასახელებული პუნქტები, სამეურნეო ცენტრები, მიწის საფარგულები, მდინარეები, ტბები, წყალსაცავები, არხები, გზები, ხე-

ვები, ხრამები და ჰიდროგრაფიის სხვა ელემენტებზე. ყოველ მოსარგებლეს, ქალაქს, დასახლებულ პუნქტს და სხვ. რუკაზე ეძლევა თავისი ნომერი და იწერება მისი დასახელების ზევით.

ცნობილია, რომ რაიონის ტერიტორიაზე ყოველწლიურად ცვლილებები ხდება, რომელთა ფიქსირება რუკაზეც უნდა მოხდეს. ამ ობიექტის ანხორციელებს რაიონის მთავარი ინჟინერ-მიწათმომწყობი არსებული დოკუმენტაციის საფუძველზე. თუ ცვლილებები იმდენად დიდია, რომ აღემატება 30%-ს, იგი ზემდგომ ორგანოებში აყენებს საკითხს რუკის განახლების შესახებ.

რაიონის საკადასტრო დოკუმენტაციის ძირითადი ელემენტი და მიწების მოსარგებლეთა კატეგორიებისა და სავარგულების მიხედვით განაწილების ინფორმაციის ძირითადი წყაროა მიწის ბალანსი. არსებული დებულების შესაბამისად დამტკიცებული ფორმის მიხედვით მას ადგენს რაიონის მოკლავარი ინჟინერ-მიწათმომწყობი არა უგვიანეს 1 დეკემბრისა საანგარიშო წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით.

რაიონის მიწის ბალანსი კომპლექსური დოკუმენტია, რომელშიც შედის:

1) მიწების არსებობისა და მათი მიწათმოსარგებლეებისა და სავარგულების მიხედვით გადანაწილების ანგარიში (ფორმა № 22);

2) სარწყავი მიწების არსებობისა და მათი მიწათმოსარგებლეებისა და სავარგულების მიხედვით გადანაწილების ანგარიში (ფორმა № 22).

3) დაშრობილი მიწების არსებობისა და მათი მიწათმოსარგებლეებისა და სავარგულების მიხედვით გადანაწილების ანგარიში (ფორმა № 22 ბ);

4) ცნობა კოლმეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ცვლილებების შესახებ;

5) ანგარიში სახელმწიფო, საზოგადოებრივი და სხვა საკუთრებისათვის მიწის ამოღების შესახებ (მუდმივ, გრძელვადიანი და მოკლევადიანი სარგებლობისათვის ცალ-ცალკე);

ცნობები სარწყავი და დაშრობილი მიწების მელიორაციული მდგომარეობის შესახებ (დანართები ფორმა № 22 და ფორმა № 22 ბ).

ანგარიშის ფორმა (№ 22 ერთიანი საკავშირო და მასში ასახულია მიწათმოსარგებლეები და მიწის კატეგორიები: კოლმეურნეობები, მეურნეობათაშორისო ორგანიზაციები (უვადო და დროებითი სარგებლობა), სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მიწები: დასახლებული პუნქტების, მრეწველობის, ტრანსპორტის, კურორტების, ნაკრძალებისა და სხვა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების

მიწები; ჰიდროტექნიკურ და წყალთა მეურნეობაში გამოყენებული მიწები (არხების ჩათვლით); სულ მიწები; მიწები, რომლებსაც იყენებენ სხვა რაიონების მიწათმოსარგებლეები, სულ ადმინისტრაციული რაიონის საზღვრებში მდებარე მიწები და სასოფლო-სამეურნეო წარმოებით დასაქმებული მიწათმოსარგებლეების მიერ გამოყენებული მიწები. ჩამოთვლილი კატეგორიები, თავის მხრივ, იყოფა ქვეკატეგორიებად.

რაიონის ერთიან მიწის ფონდში გამოყოფილია: სახნავი (მ. შ. კულტურულ საძოვრებად გამოყენებული); მრავალწლიანი ნარგავება (მ. შ. ცალკეული სახეებისა და კულტურების ფართობები); ნასენი; სათიბები (მ. შ. სალუკი, მშრალი, დაქაობებული, ძირეულად გაუმჯობესებული და მექანიზებული სამუშაოებისათვის გამოსაყენებელი). საძოვარი (მ. შ. მშრალი, დაქაობებული, გაკულტურებული, ძირეულად გაუმჯობესებული, მთის, მომთაბარე მეცხოველეობისათვის. კარბტენიანი, ზაფხულის, საგაზაფხულო-საშემოდგომო, ზამთრის, მთელი წლის; სულ სასოფლო-სამეურნეო სეარგული საზოგადოებრივ წარმოებაში; კოლმეურნეთა საკარმიდამო მიწები, მუშა-მოსამსახურეთა და სხვა მოქალაქეთა საკარმიდამო და მინაზომი (ნადელი) მიწები; მუშა-მოსამსახურეთა კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის მიწები;

სულ სასოფლო-სამეურნეო სეარგული;

სამელიორაციო მშენებლობის სტადიაში მყოფი მიწები;

ნაყოფიერების აღდგენის სტადიაში მყოფი მიწები;

სარწყავი მიწების აღრიცხვის ანგარიში (ფორმა № 22 ა) ივსება სახნავის, მრავალწლიანი ნარგავების, ნასენის, სათიბის, საძოვრის, საზოგადოებრივი წარმოების სასოფლო-სამეურნეო სეარგულების, საკარმიდამო მიწების, კოლექტიური მებაღეობის, სულ სასოფლო-სამეურნეო სეარგულის, ტყით და ნიადაგთდაცვითი მნიშვნელობის ტყის ფართობებით დაკავებული მიწების მიხედვით. ყველა კატეგორიაში გამოყოფილია სარწყავქსელიანი და სარწყავი მიწები. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, იყოფა რეგულარულ და პირობით სარწყავებად. ცალკეა აღრიცხული სარწყავ ქსელიანი დანარჩენი მიწები და არხებით, გზებით, შენობებით, ჰიდროტექნიკური ნაგებობებითა და მოედნებით დაკავებული სარწყავი ფართობები.

ფორმა № 22-ში მოცემულია ცნობა სარწყავი მიწების მელიორაციული მდგომარეობის შესახებ, რომელშიც განხილულია კოლმეურნეობების, სამეურნეობათაშორისო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების და ორგანიზაციების, და სასოფლო-სამეურნეო წარმოებით დასაქმებული სახელმწიფო მეურნეობების სარწყავი მიწები. ისინი დაყოფილია: 1) დრენაჟით უზრუნველყოფილი (დახურულ ვერტიკალურ); 2)

მიწებად, რომლებიც არ საჭიროებს დამატებით კაპიტალურ სამუშაოებს ნაყოფიერების ამაღლების მიზნით: 3) სარწყავ ფართობებად. რომლებიც ნაყოფიერების ასამაღლებლად საჭიროებს დამატებით კაპიტალურ სამუშაოებს (კოლექტორულ-სადრენაჟო ქსელის მოწყობა და რეკონსტრუქცია, სარწყავი ქსელის გადაკეთება და რეკონსტრუქცია, მიწების წყლით უზრუნველყოფის ამაღლება, მიწის ზედაპირის კაპიტალური დაგეგმარება, სხვა ღონისძიებები).

რამდენადმე განსხვავებულია დაშრობილი მიწების ანგარიშს (ფორმა №22 ბ) ფორმა და შინაარსი. მიწათმოსარგებლები და მიწის კატეგორიები აქაც ერთიანია წინა ფორმების მსგავსად. განსხვავებულია სავარგულების აღრიცხვის შინაარსი. კერძოდ, სახნავი აღრიცხება კულტურული საძოვრებად გამოყენების, დასურული დრენაჟისა და წყლის რეჟიმის ორმხრივი რეგულირების მიხედვით. ანალოგიურად დასურული დრენაჟისა და წყლის რეჟიმის ორმხრივი რეგულირების მიხედვით აღრიცხება მრავალწლიანი ნარგავების, სათიბების, საძოვრების და სულ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობები. ამ ფორმაში მოცემულია აგრეთვე ტყეები, ბუჩქნარებით, ტორფდამუშავების, დაზიანებული მიწების, წყალსაცავებითა და არხებით დაკავებული მიწები.

გარდა აღნიშნულისა, ფორმის მეოთხე გვერდი დათმობილი აქვს დაშრობილი მიწების მელიორაციული მდგომარეობის ცნობას. მასში მიწები გაშიფრულია კოლმეურნეობათა, სამეურნეობათაშორისო საწარმოთა, სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა და სულ მიწათმოსარგებლეთა მიხედვით. გამოყენების თვალსაზრისით გამოყოფილია: ა) მიწები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას დამატებითი სამელიორაციო ღონისძიებების ჩატარების გარეშე; ბ) მიწები, რომლებიც საჭიროებს დამატებით ღონისძიებებს. უკანასკნელ კატეგორიაში ცალკე გამოყოფენ დაშრობი სისტემების აღდგენა-რეკონსტრუქციისა და კულტურულ-ტექნიკური სამუშაოების (გორახების მოჭრა, ქვებისაგან გაწმენდა, ბუჩქნარებისაგან გასუფთავება და სხვა ღონისძიებანი) ჩასატარებელ ფართობებს.

ჩამოთვლილ დოკუმენტებთან ერთად სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში ყოველწლიური ცვლილებების აღრიცხვისა და ანალიზისათვის ანგარიშებს თან ერთვის ცნობა კოლმეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა, სხვა საწარმოებსა და საკარმიდამო მიწების გარდა სამეურნეობათაშორისო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ცვლილებების შესახებ. საანგარიშო დოკუმენტაციას და ცნობას მიწის კანონმდებლობით გათვალისწინებულა წესის შესაბამისად ერთვის მიწის გამოყოფის ან გადაცემის შესახებ

მიღებული დადგენილება, გაკორექტირებული კარტოგრაფიული მასალები და პასუხისმგებელ პირთა მიერ დამოწმებული სხვა დოკუმენტები.

დამოუკიდებელი თანდართული დოკუმენტია „ანგარიში უვადო და გრძელვადიანი სარგებლობისათვის საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისათვის მიწების გამოყოფის შესახებ“. ანგარიშის სტროფებში მითითებულია თუ მოსარგებლეთა რომელი კატეგორიიდან იქნა ამოღებული, ხოლო გრაფებში—მიწის ფართობი სავარგულების ჩვენებით. ანალოგიური ანგარიში დგება მოკლევადიანი სარგებლობისათვის მიწების (3 წლამდე) ამოღების შესახებ. დამტკიცებული ფორმით ანგარიში ორი ცხრილისაგან შედგება. პირველში მითითებულია რა მიზნებისათვის და რა ფართობები იქნა გამოყოფილი მოკლევადიანი სარგებლობისათვის, ხოლო მეორეში—უკან დაბრუნებული მიწების (მათ შორის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისა და რეკულტივებული მიწების) ფართობები, აქვე მოცემული უნდა იყოს დაბრუნებული ფართობების სარისხობრივი მდგომარეობის ამსახველი მაჩვენებლები არსებული სისტემის სახით.

საბალანსო ცხრილის სახით შედგენილი ცნობა მთლიანი სარწყავი მიწების ცვლილებების შესახებ საკარმიდამოს ჩათვლით ერთვის თან ფორმა № 22-ს. ცხრილის სტროფებში მოცემულია მიწათმოსარგებლებისა და მიწის კატეგორიების დასახელება, ხოლო გრაფებში—მონაცემები სარწყავი ფართობების გადიდების ან შემცირების შესახებ. პირველი ციფრი სამმაგად იწერება, გასულ წელს არსებული, შემდეგ მომხდარი ცვლილება და ბოლოს დარჩენილი (საანგარიშო წლის 1 ნომბრისათვის სარწყავის ფართობის სახით).

დაშრობილი მიწების დანართში ცნობა „დაშრობილი მიწების ცვლილებების, საკარმიდამოს ჩათვლით“, შესახებ მითითებულია მათი საწყისი ფართობები, ცვლილებები (მატება ან კლება) და საანგარიშო წლის 1 ნომბრისათვის არსებული მიწების ფართობები. ამავე ფორმის დანართში „ცნობა დაშრობილი მიწების მელიორაციული მდგომარეობის შესახებ“, აღრცეულია სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა დაშრობილი მიწები იმ თანმიმდევრობით, როგორც თვით ფორმაა შედგენილი (მიწები, რომლებიც დამატებითი ღონისძიებების გარეშე გამოიყენება და მიწები, რომლებიც სკუსოებს დამატებითი ღონისძიებების გატარებას).

ყველა აღნიშნული დოკუმენტის ანალიტიკური ნაწილია განმარტებითი ბარათი. მასში დაწვრილებით უნდა იქნეს განხილული მიწათსარგებლობის, მიწების აღრიცხვისა და მიწების შეფასების საქმეში.

ჩატარებული საანგარიშო წლის მუშაობა სკკპ და საბჭოთა მთავრობის, აგრეთვე რესპუბლიკების შესაბამისი ორგანოების დადგენილებებთან შესაბამისად. კერძოდ, სკკპ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 16 ივნისის დადგენილება „მარცვლეული და სხვა კულტურების შაღლი და მყარი მოსავლის მიღების მიზნით მიწების მელიორაციის ფართოდ განვითარების შესახებ“. აგრეთვე მათი 1967 წლის 20 მარტის დადგენილება „მიწების ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიისაგან დაცვის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 13 დეკემბერს დამტკიცებული „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის ძირითადი საფუძვლები“ და 1970 წლის 14 მაისის დადგენილება „მიწის კანონმდებლობათა დარღვევის აღმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ“. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1970 წლის 14 მაისის „მიწების გამოყენებაზე სახელმწიფო კონტროლის დებულების დამტკიცების შესახებ“. 1975 წლის 6 მარტის „მიწათმოსარგებლეებზე მიწით სარგებლობის უფლების სახელმწიფო აქტის გაცემის შესახებ“ და 1977 წლის 10 ივნისის „სახელმწიფო მიწის კადასტრის წარმოების შესახებ“, გარდა აღნიშნული ძირითადი დოკუმენტებისა გამოყენებული და დაცული უნდა იქნას სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამისი სამინისტროების მიწის კადასტრის წარმოების, მიწების აღრიცხვისა და მიწათსარგებლობის საკითხებზე გამოცემული ბრძანებები და სხვა დოკუმენტები.

განმარტებით ბარათში უნდა აღინიშნოს მიწების გამოყენებასა და მიწათსარგებლობაში ყოველგვარი ცვლილებები. მათ შორის სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში გამოყენებული, რაიონის ტერიტორიაზე არსებული და მის ფარგლებს გარეთ გამოყენებული მიწების დეტალური ანალიზი. როგორც წესი, მიწების გამოყენებაში ცვლილებების დაჯგუფება წარმოებს გამომწვევი მიზეზების მიხედვით და ისინი საბალანსო ცხრილების სახით ფორმდება. მათ აუცილებლად თან ერთვის ცვლილებების გამომწვევი მიზეზის განმარტება (დადგენილება ან სხვა მიზეზი).

რადგან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს, ამიტომ ყველაზე ზუსტად მათი დახასიათება წარმოებს. განმარტებით ბარათში ასახული უნდა იყოს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სამეურნეობათაშორისო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, მიწების რაციონალურად გამოყენების ზაზით ჩატარებული და გასატარებელი აგრო-ტექნიკური თუ სამელიორაციო ღონისძიებები.

განმარტებით ბარათში ანალიზი უკეთდება: შიგასამეურნეო და

მეურნეობათაშორისო მიწათმოწყობის, აგრეთვე ნიადაგებისა და გეო-
ზოტანიკური კვლევის ხაზით ჩატარებულ სამუშაოებს და საჭირო ლო-
ნისძიებებს, მიწის საკადასტრო დოკუმენტაციის შესადგენად გამოყე-
ნებული საგეგმო-კარტოგრაფიული მასალების საიმედოობისა და ხარის-
ხის, პასპორტიზაციის ჩატარებისა და მიღებული შედეგების გამოყე-
ნების, ნიადაგების ბონტირებისა და მიწების ეკონომიკური შეფასების
სამუშაოების ჩატარების მდგომარეობას.

ზემოაღნიშნული დოკუმენტებისა და მასალების თანდართვით ან-
გარიში იხილება და მტკიცდება რაიონის (ქალაქის) აგროსამრეწველო
გაერთიანების (განყოფილების) სპეციალისტთა ფართო სხდომაზე და
წარედგინება დასამტკიცებლად რაიონის (ქალაქის) აღმასკომს. მათ
გადაწყვეტილებაში ანგარიშის დამტკიცების შესახებ მითითებული
უნდა იყოს საანგარიშო წელს მომხდარი ცვლილებები და მიწების ა-
რიცხვა-გამოყენებაში არსებული ნაკლოვანებები. აღმოფხვრის ღონის-
ძიებების მითითებებით. დამტკიცებული ანგარიში სხდომის ოქმის ამო-
წერილთან ერთად არა უგვიანეს საანგარიშო წლის 1 დეკემბრისა ეგზა-
ვდება ოლქის, მხარის ან მოკავშირე რესპუბლიკების სოფლის მეურ-
ნეობის სამინისტროს შესაბამის სამმართველოებს.

§ 3. რაიონის მიწის კადასტრის ორგანიზაცია და მიწის სახელმწიფო-საკადასტრო წიგნი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად
რაიონის მიწის საკადასტრო სამუშაოებს ხელმძღვანელოებს რაიონუ-
ლი აღმასრულებელი კომიტეტი. ამ მიმართებით ჩასატარებელ სამუ-
შაოებს ასრულებს შესაბამისი მიწათმოწყობის სამსახური. მას საჭირო
დახმარებაა და კონტროლს უწევს რაიონის მთავარი ინჟინერ-მიწათ-
მოწყობი, რომლის მითითებანი ამ დარგში სავალდებულოა ყველა
უწყებისა და ორგანიზაციისათვის; თავის მხრივ, იგი ვალდებულია:

აკონტროლოს მიწის კადასტრის შედგენის სამუშაოები, საერთო
საკავშირო მეთოდის მიხედვით და შეიტანოს სათანადო ცვლილებები
დროულად;

გააფორმოს დადგენილ ვადებში მიწების გრძელვადიანი და მოკ-
ლევადიანი სარგებლობა;

შეადგინოს ყოველწლიურად რაიონის მიწის ბალანსი;

სათანადო ხელმძღვანელობა და კონტროლი გაუწიოს რაიონის
ტერიტორიაზე მიმდინარე მიწების აგეგმვის, ნიადაგების და გეოზო-
ტანიკური გამოკვლევების, პასპორტიზაციისა და სხვა სამუშაოებს;

დაგეგმოს მიწის რაციონალურად გამოყენებისათვის საჭირო ღონისძიებები და დააყენოს ზეგეგმა-ორგანოებში საერთო მათ შესასრულებლად;

უზრუნველყოს ცალკეული მიწათმოსარგებლე საგეგმო-კარტოგრაფიული მასალებით, ინსტრუქციებით, დებულებებითა და მითითებებით მიწის საკადასტრო დოკუმენტაციის შესადგენად;

ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინოს მიწათმოსარგებლებებს მიწის საკადასტრო დოკუმენტების პრაქტიკულად გამოყენების საქმეში; აკონტროლოს მუშა-მოსამსახურეთა საკარმიდამო ნაკვეთები და გამოყოს შესაძლებლობის ფარგლებში ამ მიზნით ასათვისებელი მიწა; განიხილოს მშრომელთა განცხადებები და საჩივრები და წარადგინოს სწორი დასკვნები რაიონალურად:

შეიტანოს წინადადებანი ზემდგომ ორგანოებში მიწების რეკულტივაციის, საგეგმო-კარტოგრაფიული მასალების განახლება-კორექტურის, ნიადაგებისა და გეობოტანიკური გამოკვლევის შესახებ;

უზრუნველყოს მიწათმოსარგებლობისა და მიწის გამოყენების შესახებ რაიონში არსებული ყველა დოკუმენტისა და მასალის სწორი შენახვა.

რაიონის მთავარ ინჟინერ-მიწათმომწყობს, არის რა იგი საზოგადოებრივი ინსპექტორი, უფლება აქვს და ვალდებულია წლის განმავლობაში სსრ კავშირის მიწის კანონმდებლობის დაცვის მიზნით ამოწმებდეს ყველა მიწათმოსარგებლეს პერიოდულად, ამასთან ერთად ატარებს კომპლექსურ შემოწმებებს მიწების დასაცავად აგროტექნიკურ და ჰიდროტექნიკურ, ეროზიის საწინააღმდეგო, ნიადაგების დამლაშება-დაჭაობების პროცესების ლიკვიდაციის, ტყე-ბუჩქნარების ამოძირკვისა და მიწების რაციონალურად გამოყენების სხვა ღონისძიებათა გატარების მდგომარეობაზე. მას უფლება აქვს შეაჩეროს ყოველგვარი სამშენებლო, საგზაო თუ სხვა სახის სამუშაო თუ ისინი წარმოქმნიან ეროზიასაშიშ კერებს ან აუარესებენ ნიადაგების ნაყოფიერებას.

მიწათმოსარგებლობაში გამოვლენილი დარღვევის ლიკვიდაციისათვის მიწათმომწყობი ადგენს კონტურის რუკას (ნახაზს) სავარგულის დასახელებითა და მიყენებული ზარალის მითითებით. თუ დარღვევა იმდენად უხეშია, რომ მისი გამოსწორება მოითხოვს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, იგი საჭირო მასალებს გადასცემს საგამომძიებლო ორგანოებს. დადგენილი ფორმის მიხედვით აწარმოებს მიწის კანონმდებლობის დაცვის შემოწმებების წიგნს, რომელშიც შეაქვს მის ან სხვათა მიერ ჩატარებული ყველა შემოწმების თარიღი, შემოწმებლის ვინაობა, მისი მუშაობის ადგილი, გამოვლენილი დარღვევის ხასიათი და მის აღმოსაფხვრელად საჭირო ღონისძიებანი.

ყოველი წლის 1 იანვრის და 1 ივლისის ინდგომარეობით აღგენს სტატისტიკურ ანგარიშს (№ 1) ფორმა, რომელშიც დაწვრილებითაა აღწერილი მიწით სარგებლობის კონტროლის შედეგები.

ანგარიშს თან ახლავს განმარტებითი ბარათი გატარებული ღონისძიებების ჩამოთვლით, დარღვევების ლიკვიდაციის ხაზით და შესასრულებელი სამუშაოების შესახებ. დადგენილი წესის შესაბამისად ასეთი ანგარიში ზემდგომ ორგანოებში წარდგენილი უნდა იქნეს არა უგვიანეს 10 იანვრისა და 10 ივლისისა.

რაიონის მთავარი (უფროსი) ინჟინერ-მიწათმომწყობის ყველაზე საპასუხისმგებლო ამოცანა მანც რაიონის მიწის კადასტრის წარმოებაში ხელმძღვანელობა და კონტროლის განხორციელებაა. მისი მოვალეობაა როგორც ძირითადი, ისე მიმდინარე მიწის კადასტრის წარმოება და მათი პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების უზრუნველყოფა. იგი აკონტროლებს ყველა სამიწათმომწყობო. საკვლევ და შეფასების სამუშაოებს, რომელსაც მიწათმომწყობის საპროექტო ინსტიტუტები აწარმოებენ. დაზუსტებული მონაცემები გადააქვს როგორც გრაფიკულ, ისე ტექსტობრივ ნაწილში და რაიონის რუკაზე.

ტექსტობრივ ნაწილში შედის მიწის აღრიცხვისა და გამოყენების ყოველგვარი ცხრილი და მასალა. რომლებიც ასახავს მიწის რაოდენობასა და ხარისხს, სავარგულებს შედგენილობა და მიწების შეფასებას (ნიადაგების ბონიტირებასა და მიწების ეკონომიკურ შეფასებას).

გრაფიკული მასალების ძირითადი სახეა საგვეგმო-კარტოგრაფიულ მასალებში ასახული მონაცემების კომპლექსი, რომელიც მიწათსარგებლობის, მიწების აღრიცხვისა და ნიადაგების შეფასების მასალებს ხდის თვალსაჩინოს.

მიუხედავად იმისა, რომ ისინი განიხილება როგორც მიწის საკადასტრო დოკუმენტაციის დამოუკიდებელი ელემენტები, მათ შორის მჭიდრო კავშირი და ურთიერთდამოკიდებულებაა. მიწის საკადასტრო დოკუმენტაციის უტყუარობა და გამოყენების შესაძლებლობა მათ სრულესტესა და სისრულეზეა დამოკიდებული.

ტექსტობრივი ნაწილის ძირითადი დოკუმენტი რაიონის მიწის საკადასტრო წიგნია, რომელიც მიწების აღრიცხვისა და გამოყენების კომპლექსური დოკუმენტია, რაიონის (ქალაქის) სახელმწიფო მიწის საკადასტრო წიგნის ერთიანი-საკავშირო ფორმა დამტკიცებულია სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 1982 წლის 5 მაისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 10 ივნისის დადგენილების საფუძველზე. წიგნის ფორმა და შინაარსი შეთანხმებულია სახელმწიფო-საგვეგმო კომიტეტთან და სსრ კავშირის ცსს შესაბამისად 1982 წლის 10 მარტსა და 29 იანვარს.

რაიონის (ქალაქის) სახელმწიფო მიწის საკადასტრო წიგნი შედგება ოთხი კარისა და 14 ცხრილისაგან.

პირველი კარი მიწათსარგებლობის რეგისტრაციაა. მიწათსარგებლობა ასეთი თანმდევრობითაა განხილული: 1) კოლმეურნეობების მიწები; 2) საბჭოთა მეურნეობების მიწები, საბჭოთა მეურნეობა-ქარხნის ჩათვლით (სისტემების მიხედვით); 3) სამეურნეობათაშორისო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების მიწები; 4) სასწავლო-საცდელი, საცდელი-საწარმოო და სხვა უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების და საწარმოების მიწები; 5) დამამარე სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მიწები; 6) სხვა მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მიწები; 7) სახელმწიფო სატყეო მეურნეობებსა და საწარმოთა მიწები (სატყეო მეურნეობების, სატყეო მრეწველობის მეურნეობების, ხე-ტყის დამზადების მეურნეობის. 8) მრეწველობის მიწები (ქარხნების, ფაბრიკების ყველა სახის ელექტროსადგურების, გათბობის საწარმოთა, მეტალურგიული ქიმიური მრეწველობის, მშენებლობის მასალების მრეწველობის და ა. შ. 9) ტრანსპორტის მიწები (რკინიგზის, საწყალოსნო, საავტომობილო-საკაბრო. მილგამტარი და ტრანსპორტის სხვა სახეები); 10) კურორტების მიწები; 11) ნაკრძალების მიწები (სისტემების მიხედვით); 12) დანარჩენი არასასოფლო-სამეურნეო საწარმოების. დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიწები; 13) მიწები, დაკავებული ჰიდროტექნიკური და წყალთა მეურნეობის სხვა მოწყობილობებით (სისტემების მიხედვით). არბისპარა და სხვა მოწყობილობების ზოლების ჩათვლით.

ყოველი მიწათსარგებლის მიხედვით მოკლებულია რაგითი ნომერი, ნომერი რაიონულ რუკაზე, მიწათსარგებლობისა და მიწათმოსარგებლის დასახელება, მიწით სარგებლობის ვადა, რეგისტრირების თარიღი, მიწის სარგებლობაში გადაცემის მანაჩა, საერთო ფართობი, მიწათსარგებლობის ადგილმდებარეობა და რეგისტრაციის გაკეთების დოკუმენტის დასახელება.

თუ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მიწათსარგებლობა რამდენიმე მიწის ნაკვეთისაგან შედგება და ისინი სხვადასხვა აღმინისტრაციულ რაიონებში მდებარეობს, მაშინ მთელი მიწების რეგისტრაცია იმ რაიონში ტარდება, სადაც მდებარეობს მეურნეობის საწარმოო ცენტრი და შენიშვნებში იწერება რაიონები, რომლებშიც ნაკვეთებია გაბნეული.

მეორე კარში მოცემულია მიწების რაოდენობა სავარგულების მიხედვით მიწების ჩაწერა პირველი კარის ანალოგიურად წარმოებს: 1) კოლმეურნეობების მიწები, 2) საბჭოთა მეურნეობების მიწები; საბჭო-
16. ნ. კინკარაული

თა მეურნეობა ქარხნის ჩათვლით (სისტემების მიხედვით, 3) სამეურნეობათა ძირითადი სასოფლო-სამეურნეო საქარმოებისა და ოგანიზაციების მიწები; 4) სასაქონლო-საცდელი, საცდელი საქარმო და სხვა უმაღლესი და საშუალო საეკონომიკური სასოფლო-სამეურნეო სასაქონლოების და საქარმოთა მიწები; 5) დაძმარე სასოფლო-სამეურნეო საქარმოების მიწები; 6) პროდუქციის თანამდებელი სხვა სასოფლო-სამეურნეო საქარმოების მიწები; 7) სახელმწიფო-სატყეო მეურნეობების საქარმოთა მიწები (სატყეო მეურნეობების სატყეო მრეწველობის მეურნეობების, ხე-ტყის დასადების საქარმოების); 8) მრეწველობის მიწები ქარხნების, ფაბრიკების, ყველა სახის ელექტროსადგურის, გათბობის საქარმოთა, მეტალურგიის ქიმიური მრეწველობის, მშენებლობის, მრეწველობის და ა. შ.; 9) ტრანსპორტის მიწები (რკინიგზის, საწყლოსნო, საავტომობილო საავტო. მილიტარის და ტრანსპორტის სხვა სახეები); 10) კურორტების მიწები; 11) ნაკრძალების მიწები; 12) დანარჩენი არასასოფლო-სამეურნეო საქარმოების, დაწესებულებებისა და ოგანიზაციების მიწები; 13) მიწები, დაკავებული პირობებში-კური და წყალთა მეურნეობის სხვა მოწყობილობებით (სისტემების მიხედვით; არხისპირა და სხვა მოწყობილობების ზოლების ჩათვლით; 15) რაიონული დაქვემდებარების ქალაქების, ქალაქის ტიპის დასახლებებისა და სოფლის დასახლებული პუნქტების მიწები, რომლებიც არ ითვლება მიწების სხვა კატეგორიაში; 16) სახელმწიფო მარაგის მიწები.

მეორე კარი აერთიანებს რვა კარს: 1) სულ მიწები ცალკეული მიწათმოსარგებლების მიხედვით; 2) სარწყავი მიწები; 3) დაშრობილი მიწები; 4) სარწყავი მიწები დაშრობილ ფართობებზე; 5) სულ მიწები რაიონულ კრილში (ანალოგიურად 6—7—8 ცხრილი სარწყავი, დაშრობილი და სარწყავი მიწები დაშრობილ ფართობებზე).

ცხრილი „სულ მიწები“ 88 გრაფისაგან შედგება. 1-ელ გრაფში მოცემულია ჩანაწერის გაკეთების წელი, მე-2 გრაფში—მიწით სარგებლობის ვადა; მე-3 გრაფში.— სულ მიწის ფართობი; მე-4 გრაფში—სასაგის ფართობი; გრაფებში მე-5—115-ში მრავალწლიანი ნარგავების ფართობები; მე-12 გრაფში—ნასვენნი; გრაფებში—13—19—სათიბი (გრაფებს შორის საღეჯი, მშრალი, დაჭაობებული, გაუმჯობესებული, სუფთა და მექანიზებული სამუშაოებისათვის გამოსაყენებელი); გრაფებში 20—31 საძოვარი (მშრალი, დაჭაობებული, კულტურული ძირეული გაუმჯობესებით სუფთა, მთის. პირუტყვის გადასარეკი, ჭარბტენიანი, ზაფხულის, ზაფხულ-შემოდგომის, ზამთრის მთელი წლის, 32 გრაფში სულ სასოფლო-სამეურნეო სავარგული საზოგადოებრივ წარმოებაში; გრაფებში 34—40—კოლმეურნეების საკარმიდამო მიწები.

ბი, მუშა-მოსამსახურეთა და სხვა მოქალაქეთა საკარმიდამო მიწები და სამოსამსახურო ნაღებები, გრაფებში 41—44—მუშა-მოსამსახურეთა კოლექტიური ბალები და ბოსტნები: 45-ე გრაფაში—სულ სასოფლო-სამეურნეო სავარგული; 46-ე გრაფაში— შ. შ. სახნავი, 47-ე გრაფაში— მიწები მელიორაციული მშენებლობის სტადიაში; 48-ე გრაფაში— მიწები ნაყოფიერების აღდგენის სტადიაში; გრაფებში 49—58—ტყის ფართობები (ტყით დაფარული მეჩანერი ტყის კულტურებით დაცვითი მნიშვნელობის, ტყის სანერგეები); გრაფებში 59—62—ხე-ბუჩქნარები, რომლებიც სახელმწიფო ტყის ფონდში არ შედის (მინდორსაკავი ტყის ზოლები; სხვა ტყის ნარგავები სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე ხე-ბუჩქნარი მცენარეულობა; გრაფებში 63—66—ქაობები; 67-ე გრაფაში—ტორფის გადამუშავებით დაკავებულ მიწები, გრაფებში 68—73—წყლის ქვეშ დაკავებული მიწები (მდინარეებისა და ნაკადულების, ტბების, მტკნარი წყლარ, წყალსაცავების, გუბურებისა და სხვა, არხების, კოლექტორების ქვეშ); გრაფებში 74—75—ირმების საძოვრები; 76-ე გრაფაში გზებით, გადასარეკებით და ნაკადებით დაკავებული მიწები; 77-ე გრაფაში საზოგადოებრივი ეზოებით, ქუჩებით და მოედნებით დაკავებული; გრაფა 78—საზოგადოებრივი ნაგებობების მიწები; გრაფებში 79—82—დაზიანებული მიწები; გრაფებში 83—88— სხვა მიწები.

სარწყავი მიწების ცხრილი 54 გრაფისაგან შედგება. 1-ელი გრაფა ჩანაწერის გაკეთების წელია, მე-2—მიწის გაცემის ვადა; გრაფა 3 სარწყავქსელიანი ფართობი; გრაფა 4—მათ შორის სარწყავი სახნავი, შრავალწლიანი ნარგავები, ნასვენი, სათიბი, საძოვარი და სასოფლო-სამეურნეო სავარგული (გრაფები 5—34) იყოფა სარწყავქმედიანი სარწყავი, რეგულარულად სარწყავ და პირობითად სარწყავად: კოლმეურნეების საკარმიდამო მიწები. მუშა-მოსამსახურეთა და სხვა მოქალაქეთა საკარმიდამო მიწები და სამოსამსახურო ნაღებები (გრაფები 35—38) აგრეთვე კოლექტიური ბალები და ბოსტნები (გრაფები 39 — 42) დაყოფილია სავარგულების სახეების მიხედვით: ტყის ფართობები კი (45—52)—სარწყავქსელიან და სარწყავ კატეგორიებად.

ანალოგიურია დაშრობილი მიწების ცხრილი რომელშიც სახნავი, ნასვენი, შრავალწლიანი ნარგავები, სათიბი, საძოვარი, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, საკარმიდამო მიწები, კოლექტიური ბაღ-ბოსტნები და ტყე-ბუჩქნარის ფართობები გამოყოფილია: დახურული დრენაჟითა და წყლის ორმხრივი რეგულირების ფართობებად. გარდა აღნიშნულისა, განხილულია ტორფგადამუშავების ქვეშ მყოფი მიწები, ნაგებობების, გზების, განაკაფების, ეზოების, ქუჩებისა და მოედნების დაკავებული მიწები, დაზიანებული მიწები, სხვა მიწები, წყალსატევების არხების და თხრილების ქვეშ დაკავებული მიწები.

სარწყავი მიწები დაშრობილ ფართობებზე პირველი და მესამე გრაფების ჩათვლით წინა ცხრალების მსგავსია. სახნავეში, მრავალწლიან ნარგავებში, ნასვენში, სათიბებში, საძოვრებსა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში გამოყოფილია სულ დაშრობილი სარწყავი და მათ შორის, დახურულდრენაჟიანი ფართობები.

მესამე კარი ასახავს მიწის სავარგულების ჯარისხს. მასში განსაზღვრულია: 1) კოლმეურნეობების მიწები; 2) საბჭოთა მეურნეობების, საბჭოთა მეურნეობა-ქარხნების მიწების ჩათვლით; 3) სამეურნეობათაშორისო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების მიწები, 4) სასწავლო-საცდელი, საცდელი-საწარმოო და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასოფლო-სამეურნეო სასწავლო დაწესებულებების მიწები; 5) დამხმარე სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მიწები; 6) პროდუქციის მწარმოებელი სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მიწები; 7) სახელმწიფო ტყის მეურნეობების საწარმოთა მიწები (სატყეო მეურნეობების, სატყეო მრეწველობის მეურნეობებისა და ხე-ტყის დამზადების მეურნეობების); 8) სახელმწიფო მარაგის მიწები.

ერთიანი მიწის ფონდი განხილულია მიწების გამოყენების კატეგორიებით მიწების კლასებისა და მათი ხარისხობრივი მდგომარეობით ოთხ ცხრილში.

სავარგულებს დახასიათება მიწების კლასების მიხედვით მოიცავს: სახნავს, მრავალწლიან ნარგავებს, ნასვენს, სათიბს, საძოვარს, ტყას ფართობებს, ჭაობებს და დანარჩენ მიწებს. გამოყენების კატეგორიების მიხედვით გამოყოფილია სახნავად გამოსაყენებელი მიწები, უმეტესად სათიბად გამოსაყენებელი მიწები, საძოვარი, რომელიც გაუმჯობესების შემდეგ შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა სასოფლო-სამეურნეო სავარგულად, ძირეული მელიორაციის შემდეგ სასოფლო-სამეურნეო სავარგულად გამოსაყენებელი მიწები, სასოფლო-სამეურნეო სავარგულად ნაკლებად გამოსაყენებელი, სასოფლო-სამეურნეო სავარგულად გამოუყენებელი და დაზიანებული მიწები. თავის მხრივ, აღნიშნული კატეგორიები იყოფა ქვეკატეგორიებად ნიადაგის ხარისხობრივი მდგომარეობის შესაბამისად.

მექანიკური შედგენილობითა და იმ ნიშნებით, რომლებიც გავლენას ახდენს ნიადაგის ნაყოფიერებაზე, სავარგულების დასახასიათებლად გამოყენებულია ნიადაგის მექანიკური შედგენილობის, დამლაშების, ბიცობიანი კომპლექსების, მჟავიანობის ჰარბტენიანობის, დაჭობების, დაქვიანების, დეფლიაციისაშიში, ეროზირების და ქანობების მახვენებლები. ყველა მახვენებელი იყოფა სუსტ, საშუალო და ძლიერ კატეგორიად, ხოლო ჭანობები—1-დან 15-მდე.

სახნავე, როგორც მაღალ ინტენსიური სავარგულზე, გამოყოფილია ცალკე და წარმოებს მისი აგროსაწარმოო დახასიათება. ცხრილში, რომელიც ამ მიზანს ემსახურება, მოცემულია ნიადაგების დასახელება და საკავშირო კლასიფიკაციის ნომერი. აგროსაწარმოო დაჯგუფებისათვის გამოყენებულია ჰუმუსიანი ფენის სისქე. მოცულობითი წონა, ჰუმუსის შემცველობა (%-ობით და ტ/ჰა-ობით ატრექტორული მდგომარეობა და მოძრავი საკვები ელემენტების შემცველობა მგ/100 გ ნიადაგში).

მეოთხე კარი მიწების შეფასების მაჩვენებლების ნაერთია. იგი მოიცავს ყველა მიწის, სარწყავი მიწების, დაშრობილი მიწების, არამგლიორირებული მიწების საერთო შეფასებას, სახნავეს შეფასებას სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანის ეფექტიანობის მიხედვით, სარწყავი სახნავეს შეფასებას სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანის ეფექტიანობის მიხედვით, დაშრობილი სახნავეს შეფასებას სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანის მიხედვით და არამგლიორირებული სახნავეს შეფასებას სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანის ეფექტიანობის მიხედვით.

მიწების საერთო შეფასება ცალკეულ მაწათსარგებლობისათვის ხორციელდება, ამიტომ მასში თავს იყრის ძირითადი ინფორმაცია: მიწათსარგებლობის დასახელება, მისი ნომერი რაიონულ რუკაზე, მეურნეობის სპეციალიზაციის საერთო-საკავშირო შიფრი სახნავეს, მრავალწლიანი ნარგავების, სათიბების საქორებას და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შეფასება მთლიანი პროდუქციის, დანახარჯების უკუგებასა და დიფერენციული შემოსავლის (მან/ჰა-ობით მისი ზედრითი წონა საერთო პროდუქციაში) მიხედვით. მთლიანი პროდუქციით შეფასება ასახულია ბალებში და კადასტრულ პეტრებში ფართობების გადაყვანით.

სახნავეს კერძო შეფასება ცალკეული სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოყვანის ეფექტიანობის მიხედვით წარმოებს მოსავლიანობით (ბალობით) დანახარჯების უკუგებით (მან. მან), 100 მანეთი დანახარჯებზე პროდუქციის გამოსავლიანობით (ც) და დიფერენციული შემოსავლით მან/ჰა-ობით მისი ზედრითი წილი მთლიანი მოსავლის ღირებულებაში.

რაიონის სახელმწიფო მიწის საკადასტრო წიგნს აქვს სპეციალური ცხრილი მისი სისწორის შემოწმების აღრიცხვისათვის. ამ უკანასკნელში მოცემულია შემოწმების თარიღი, შემოწმების გვარი, სახელი. მამის სახელი და თანამდებობა, შემოწმების შედეგები და რაიონის მთავარი ინჟინერ-მიწათმომწყობის ხელმოწერა.

რაიონის სახელმწიფო მიწის საკადასტრო წიგნს ხელის მოწერით აღასტურებენ: რაიონული აღმასკომის თავმჯდომარე და მთავარი ინჟინ-

ნერ-მიწათმოქმედების; წიგნი ინომრება, ეყრება ზონარი და ბექდის და-
სმის შემდეგ სახელმწიფო დოკუმენტია.

§ 4. მიწის შეფასების მაჩვენებლების გამოყენება სასოფლო- სამეურნეო წარმოების დაგეგმვასა და ორგანიზაციაში

განვითარებული სოციალიზმის პირობებში პარტიის აგრარული პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი საკითხი სოფლის მეურნეობის წარმოების ძირითადი საშუალების, მიწის მალაქეფექტიანად გამოყენების გზებისა და მეთოდების დამუშავებაა. სხვასთან ერთად პრობლემის აქტუალობას ისიც განსაზღვრავს; რომ სახალხო მეურნეობის განვითარების სწრაფი ტემპების შედეგად მიწით უზრუნველყოფა ყოველწლიურად მცირდება. მაგალითად: ჩვენს რესპუბლიკაში ერთ სულ მოსახლეზე სასოფლო-სამეურნეო სავარგულების რაოდენობა 1960 წელს 0,64 ჰა იყო, ხოლო 1982 წელს 0,61 ჰა-მდე შემცირდა. ამასთან, საქართველოს ნიადაგურ-კლიმატური და ეკონომიკური პირობების დიდი სიჭრელე საწარმოთა სამეურნეო საქმიანობაზე ახდენს გავლენას. განსაკუთრებით კი მიწის, შრომითი და სხვა მატერიალური რესურსების მალაქეფექტიანად გამოყენებაზე, რაც, საბოლოო ანგარიშში, სასოფლო-სამეურნეო წარმოების საბოლოო შედეგებში პოვებს ასახვას. ამიტომ, რომ განსხვავებული ხარისხის ნიადაგებზე დანარჩენი ფაქტორების ერთნაირ პირობებშიც კი თანაბრად დახარჯული შრომა არათანაბარ შედეგს იძლევა.

აღნიშნულიდან გამომდინარე მიწათმოქმედების თანმიმდევრული ინტენსიფიკაციის პირობებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების მეცნიერულად დასაბუთებული დაგეგმვა და ორგანიზაცია მიწის ეკონომიკური შეფასების სუსტ მონაცემებს უნდა ეყრდნობოდეს. საგეგმო-ეკონომიკურ გაანგარიშებებში მიწის შეფასების მაჩვენებლების გამოყენება საშუალებას იძლევა მიწათმოქმედების მთლიანი პროდუქციიდან მისი ის ნაწილი გამოვყოთ, რომელიც მიწათმოქმედებაში შრომის მალალი მწარმოებლობითა და ნიადაგის განსხვავებული ნაყოფიერებითაა მიღებული. ამ საკითხის გადაჭრის სირთულე იმითაა გაპირობებული, რომ ნიადაგის ნაყოფიერებისა და კლიმატური პირობების განსხვავებანი მიწათმოქმედებაში განსხვავებულ ინტენსიურობის დონესა და წარმოების სპეციალიზაციას ერწყმის. აღნიშნულის შედეგად დაბალნაყოფიერ ნიადაგებზე გაადგილებული სასოფლო-სამეურნეო საწარმოები ზოგჯერ საუკეთესო შედეგებს აღწევენ, ინტენსიფიკაციის მაღალი დონის გამო.

ცხადია, მიწის ეკონომიკური შეფასება მიწის რაციონალურად გამოყენებასთან დაკავშირებული ყველა პრობლემის გადაჭრის უნივერსალურ მაჩვენებლად და საშუალებად არ გამოდგება. იგი მხოლოდ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია, რომელიც სასოფლო-სამეურნეო წარმოების ანალიზსა, ორგანიზაციასა და მართვაში სხვა ფაქტორებთან ერთად, უნდა იქნეს გამოყენებული.

მიწის ეკონომიკური შეფასების მართვაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვაში
სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების
ანალიზის ღრძ

სახალხო მეურნეობის, მათ შორის, სოფლის მეურნეობის საწარმოთა ეკონომიკის ამოღების, წარმოების ზრდისა და არსებული რეზერვების გამოვლენისათვის საჭიროა დადგინდეს მატერიალური წარმოების სტრუქტურისა და რაოდენობის მაჩვენებლები, განისაზღვროს ეკონომიკური ინდიკატორების ფაქტორები. აგრეთვე შრომითი, მატერიალური და სხვა რესურსები მათი რაციონალურად გამოყენების მიზნით. ამ საკითხების სწორად გადაჭრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანი ფაქტორია სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის სრულყოფილი ანალიზი. ეს უკანასკნელი საშუალებას იძლევა გამოკვლეულ იქნას მიწის ეფექტიანად გამოყენების, პროდუქციის წარმოების ზრდის, თვითღირებულების შემცირების, საწარმოთა რენტაბელობის ამოღებისა და სხვა საკითხები. სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზი წარმოების მართვის კონკრეტული იარაღია, რამდენადაც მეურნეობის საბოლოო შედეგების კომპლექსური (განმაზოგადებელი) შეფასებაა.

სოფლის მეურნეობაში ყველა საგემო-ეკონომიკური გაანგარიშება მიწის რაციონალურად გამოყენებასთანაა დაკავშირებული, რაც მიწის გამოყენების ფაქტორივ და შესაძლო (გაანგარიშებულ) მაჩვენებლებთან შედარებას გულისხმობს. ეს საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ ცალკეული რაიონისა და მეურნეობის წარმოების დონე, რომელსაც მიწის ეკონომიკური შეფასება ედება საფუძვლად.

ცნობილია, რომ სამეურნეო საქმიანობას და მიწის რაციონალურად გამოყენებას სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, მემცენარეობის მთლიანი პროდუქცია და წმინდა შემოსავალი განსაზღვრავს. ამ სიდიდეებით სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის შეფასება სწორია, მაგრამ ყოველთვის ვერ ასახავს მდგომარეობის რეალურ სურათს, რადგან დღეისათვის ჯერ კიდევ ცნობილი არ არის ცალკეულ საწარმოთა მიწის ხარისხობრივი მაჩვენებლები.

სოფლის მეურნეობაში კი ერთნაირი კვალიფიკაციისა და თანაბარი შრომის შედეგად მიწის განსხვავებული ნაყოფიერების გამო სხვადასხვა შედეგს ღებულობენ. საწარმოები, რომლებიც შედარებით მაღალნაყოფიერ ნიადაგებზე ეწევიან სამეურნეო საქმიანობას, დამატებით მოგებას ღებულობენ, რითაც პრივილეგიებულ მდგომარეობაში არიან იმათთან შედარებით, ვისაც სამეურნეო საქმიანობის წარმართვა დაბალი ხარისხის მქონე უხვად აღწერილადან გამომდინარე საწარმოებისა და რაიონების სამეურნეო საქმიანობის შეფასების დროს აუცილებელია მიწის ეკონომიკური შეფასების შედეგების ფართოდ გამოყენება.

მიწის ეკონომიკური შეფასების მაჩვენებელთა პრაქტიკული გამოყენების საფუძველი სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის ანალიზის დროს ფართობის ერთეულზე შესაძლებელი პროდუქციის რაოდენობაა, რომელიც მიწის ხარისხს უნდა შეესაბამებოდეს. ამიტომ მიწის ეკონომიკური შეფასების მაჩვენებელთა გათვალისწინებით სამეურნეო საქმიანობის ანალიზი უპირველეს ყოვლისა, სასოფლო-სამეურნეო სავარგულთა ტოლფასოვან, ხარისხოვნად თანაზომად კადასტრულ ჰექტარებში გადაყვანას ნიშნავს.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულთა ხარისხის რაოდენობრივი აღრიცხვა ე. ი. მათ კადასტრულ ჰექტარებში გადაანგარიშება საშუალებას გვაძლევს სხვადასხვა პროდუქტიულობის მიწები ერთმანეთს გავუთანებროთ. ეს უკანასკნელი საშუალებას იძლევა შედარებით უფრო ზუსტად შევაფასოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების რეალური რესურსების მოცულობა და, შესაბამისად, ობიექტურად ვიმსჯელოთ მიწის ეფექტიანად გამოყენების დონეზე და სხვადასხვა მეურნეობათა სამეურნეო საქმიანობის წარმატებებზე.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოებზე (კულმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებზე) მიმდებარე მიწის ნაკვეთებს გამოყენებისა და წარმოების დონის დახასიათების შედარებით სრულყოფილი მაჩვენებელი მთლიანი პროდუქციის სიდიდე და ერთ კადასტრულ ჰექტარზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობებია. იმისათვის, რომ წარმოებაში საერთო პროდუქცია და ცალკეული კულტურის წარმოების მიღწეული დონე შევაფასოთ, საჭიროა ეს მაჩვენებელი შევუდაროთ მოწინავე მეურნეობას ე.ი. მეურნეობას, რომელსაც ერთ კადასტრულ ჰექტარზე ყველაზე მეტი მთლიანი პროდუქცია და შესაფასებელი კულტურის მოსავლიანობა ექნება მიღებული. ასეთი შედარების გზით მისაღებად შესაძლებელი პროდუქციის რაოდენობა განისაზღვრება (გამოვლინდება), რომელიც ანალიზებულ და მოწინავე მეურნეობის მაჩვენებელთა სხვაობაა. მეურნეობებში სავარგულთა სრულყოფილად გამოყენების განსაზღვრისათვის შეიძლება გამოვიყენოთ ფარ-

დობითი სიდიდეები, სადაც უმაღლესად (100 ბალი) აღებულ იქნება მეურნეობა, რომელიც ყველაზე დიდ გამოსავალს ღებულობს კადასტრულ კექტარზე.

აღნიშნულის საფუძველზე საშუალება გვეძლევა დეტალურად შევსწავლიათ დავესაოთ და ვარყოფიათ მანქანა და შესაბამისად დავესახოთ კონკრეტული ღონისძიებანი ჩამორჩენილ მეურნეობათა წარმოების დონის ასამაღლებლად.

ანალიზი შეიძლება განხორციელდეს როგორც ცალკეული მეურნეობის და მათ შიგასამეურნეო ერთეულებში, ასევე რაიონების მიხედვით.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზი ხორციელდება ფართობის ერთეულზე წარმოებული პროდუქციისა და ცალკეული კულტურის მოსავლიანობების მიხედვით.

ფართობის ერთეულზე (სახნავი) წარმოებული პროდუქციით სამეურნეო საქმიანობის ანალიზისათვის ცალკეული კულტურიდან მიღებული მოსავალი მრავლდება საკადასტრო ფასებზე და მიღებული სიდიდე იყოფა სახნავის ფართობზე. ამ სიდიდის გაყოფით შეფასების ბაზზე გაიანგარიშება პროდუქციის გამოსავლიანობა ყოველ ბაზზე, ხოლო შესაძლო პროდუქციის განსაზღვრისათვის ეტალონად აიღება ყველაზე მაღალი მაჩვენებელი.

ცალკეული კულტურის მოსავლიანობებით სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზის დროსაც იანგარიშება მოსავლიანობა ერთ ბაზზე და შესაძლო მოსავლიანობა ყველაზე მაღალი მაჩვენებლის განოყენებით. რაც ასე ტარდება: ფაქტს მოსავლიანობა იყოფა შეფასების ბაზზე. უმაღლესი მაჩვენებელი შემდეგ მრავლდება თითოეული საწარმოს შეფასების მაჩვენებელზე და მიღებული სიდიდე შესაძლო (პერსპექტიული) მოსავლიანობაა.

მიწის ნაყოფიერების გარდა მიწის შემოსავლის სიდიდეზე სხვა ფაქტორებიც ახდენს გავლენას. კერძოდ, წარმოების სპეციალიზაცია და მისი ინტენსიფიკაციის დონე, ფონდშეიარაღება, შრომის მატერიალური ორგანიზაცია და სხვ.

ამიტომ საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის შეფასების დროს დიდი მნიშვნელობა აქვს წარმოების საბოლოო შედეგებზე მოქმედი მიწის ხარისხის და მეურნეობის ინტენსიურად გაძლოლის გავლენის დონის შედარებით ზუსტად გამიჯვნას. ე. ო. ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორთა როლის დადგენას. მოწინავედ უნდა ჩაიკვალოს ის მეურნეობა, რომელიც ფართობის ერთეულიდან წარმოებას ინტენსიფიკაციის უხით დიდი რაოდენობით მთლიან პროდუქციას მიიღებს. მიწის ეკონომიკური შეფასება ამ სიდიდის მიხედვით საშუალებას გვაძლევს საკმაო სიზუსტით განვსაზღვროთ მთლიანი პროდუქციის რაოდენობა.

რაც ერთი მხრივ, მიწის ნაყოფიერებით და, მეორე მხრივ, მისი ეფექტიანად გამოყენებითაა განპირობებული.

უნდა აღინიშნოს, რომ საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის ანალიზის რამდენადმე განსხვავებული მეთოდის არსებობს სახნავის შეფასების, კადასტრული ჰექტრებისა და მიღებული პროდუქციის მაჩვენებლების მიხედვით.

ამრიგად, თუ გვაქვს მიწის გამოყენების დონის ობიექტური მაჩვენებლები, საერთოდ მიღებული მეთოდის მიხედვით შესაძლებელია ცალკეულ მეურნეობათა ჩამორჩენის ბიზნესის დადგენა და მიწის რესურსების ეფექტიანად გამოყენების არსებული რეზერვების გამოვლენა. ამისათვის აუცილებელია დროა ასევე გაუკვირდეს ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენებას, რამდენადაც სოფლის მეურნეობაში მათ ეფექტიანობას მიწის ხარისხი განსაზღვრავს. ძირითადი ფონდების გამოყენება კი, თავის მხრივ, განსაზღვრავს თითოეული მანეთის უკუგებას, წარმოების რეკტაქციონისა და სოქის ნაყოფიერებას.

ამდენად, ძირითადი ფონდების გამოყენების ანალიზის დროს უნდა გამოირიცხოს მიწის ხარისხის განსხვავებით მიღებული დამატებითი პროდუქტი (დიფერენციული შემოსავალი).

ამ მიზნით მიწის შეფასების შედეგების გამოყენებით იანგარიშება დამატებითი პროდუქტი ფორმულით:

დშ მპ X კ

სადაც დშ არის დიფერენციული შემოსავალი:

მპ — მთლიანი პროდუქცია (მოსავლიანობა);

კ — დიფერენციული შემოსავლის ნვედრითი წილის კოეფიციენტი მთლიან პროდუქციაში.

ამ ხერხით გაანგარიშებული დიფერენციული შემოსავლის სიდიდე გამოირიცხება მთლიან პროდუქციის საერთო ღირებულებიდან და მიღებული მაჩვენებელი განსაზღვრავს ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენების ეფექტიანობას.

მიწის ხარისხი განსაზღვრავს აგრეთვე შრომის ნაყოფიერების დონესაც; თუმცა მასზე სხვა ფაქტორებიც მოქმედებს, რომელთა გავლენაც ეკონომიკურ მეცნიერებაში სრულყოფილად შესწავლილი ამასთან, არ შეიძლება ხაზი არ გაესვას ყოველ კაც/დღეზე (კაც/სთ-ზე) პროდუქციის რაოდენობის მიხედვით შრომის ნაყოფიერების გაანგარიშებისას მისგან დამატებითი პროდუქტის გამოირიცხვის აუცილებლობას, რაც მიწის შეფასების შედეგების გამოყენებით უნდა გაკეთდეს.

მიწის მაღალეფექტიანად გამოყენების ერთ-ერთი მაჩვენებელი პროდუქციის თვითღირებულებაა, რომლის სიდიდე დანახარჯების მოცულობასა და სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობაზეა

დამოკიდებული. რამდენადაც ნაკლებია ფართობის ერთეულზე დანახარჯები და მაღალია ნოსავლიანობა, იმდენად უფრო ნაკლებია პროდუქციის ფაქტობრივი თვითღირებულება და პირიქით. პროდუქციის ფაქტობრივი თვითღირებულების ანალიზის დროს აუცილებელია განვსაზღვროთ, შეესაბამება თუ არა ის მიწის ხარისხს, რაც (მიწის) ეკონომიკური შეფასების ბალებშია გამოხატული. ამ მიზნით მიწის ეკონომიკური შეფასების მაჩვენებელთა გათვალისწინებით პროდუქციის თვითღირებულება შემდეგი ფორმულით გაიანგარიშება:

$$\text{მ საანგარიშო} = \frac{\text{მ საბ. X ბ. საბ.}}{\text{ბ. I}} \text{ სადაც,}$$

მ არის საანგარიშო (კონკრეტულ) მეურნეობაში პროდუქტის წარმოების საანგარიშო თვითღირებულება მიწის ხარისხის შესაბამისად მან/ც-ზე;

ბ. I — მეურნეობის მიწის ეკონომიკური შეფასების ბალი, რომლისთვისაც ანგარიშობენ თვითღირებულებას;

თ საბ. — საპაზისო მეურნეობის კულტურის თვითღირებულება მან/ც-ზე.

ბ საბ. — საპაზისო (ეტალონად აღებული) მეურნეობის მიწის ეკონომიკური შეფასების ბალი.

აღნიშნულიდან გამომდინარე სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის ყველა მხარე მიწის შეფასების შედეგებზე დაყრდნობით უნდა იქნეს შესწავლილი.

საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის მნიშვნელოვანი მხარეა ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენების დონე, რაც, თავის მხრივ, მიწის ხარისხთანაა დაკავშირებული. ამდენად აქაც მიწის ეკონომიკური შეფასების შედეგები უნდა იქნეს გამოყენებული.

ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენების ეფექტიანობის ანალიზი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შეფასების საფუძველზე ასეთი თანმიმდევრობით ხორციელდება: სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შეფასებასთან 100 ჰა სავარგულზე იღებენ ძირითადი ფონდების ოდენობას; მათ საფუძველზე ანგარიშობენ მთლიანი პროდუქციის გამოსავლიანობას 100 მან ძირითად ფონდზე და 100 ჰა სავარგულზე.

ძირითადი ფონდების გამოყენებისა და მიწის ხარისხის დონე განსაზღვრავს დანარჩენ ფულად-მატერიალური რესურსების ეფექტიანად გამოყენებას. აღნიშნულის კონკრეტული მაგალითია შიდა ქართლის

მეხილეობის საკადასტრო რაიონში სასოფლო-სამეურნეო სავარგულე-ბისა და შრომის რესურსების გამოყენების დონე, რაც მიწის ხარისხის გათვალისწინებით უნდა იქნას გაანგარიშებული.

ცხრილი 8

მთლიანი პროდუქციის შემოსავალი შიდა ქართლის, მეხილეობის საკადასტრო (საშემფასებლო) რაიონში

	100 კა სას. ს.მ. ეარეულზე (თ. ა.ბ)	ერთ სამეურნეო რესურსზე (ქვ. - იბი)	ერთ კა.ს. დ.ზე (კა. - იბი)	ზონა საშუალო დონესთან შედარებით (%)		
				100 კა. სას. ს.მ. სავარგუ-ლი	ერთ. სამ. წილად მენჯიკზე	ერთ (კა)ს. დ.ზე
1	2	3	4	5		
1. კასპის რაიონი	15,9	987	4,41	-47%	-33%	-44%
2. ქარელის რაიონი	44,8	1992	11,46	14%	136%	147%
3. გორის რაიონი	54,7	1953	9,96	161%	126%	127,5%
საშემფასებლო რაიონში	30,1	1468	7,81	100,0	100,0	100,0

მიწის ეკონომიკური შედეგების შეფასების შედეგების გამოყენება სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაგეგმვის (საწარმოებისა და რაიონების მიხედვით) დიფერენცირების საშუალებას იძლევა. კერძოდ:

ა) მიწის საერთო და კერძო შეფასების შედეგების, აგრეთვე მიწის კადასტრის სხვა მაჩვენებლების გამოყენებით სწორად გადავანაწილოთ პროდუქციის წარმოების მოცულობები და სახელმწიფო შესყიდვის გეგმები;

ბ) განვსაზღვროთ წარმოების საერთო დონე, მისი რეზერვები;

გ) საანგარიშო პერიოდისათვის განვსაზღვროთ დამატებითი (ნორმალური) წმინდა შემოსავლის სიღრდე.

მიწის ეკონომიკური შედეგების მაჩვენებლების გამოყენება, თავის მხრივ. თანაბარ ეკონომიკურ პირობებს ქმნის ყველა საწარმოსათვის, ხოლო უცუდეს მიწებზე მდებარე მეურნეობებს მიწათმოქმედების მაღალი ინტენსიურობის პირობებში საშუალებას აძლევს სახელმწიფოს გადიდებულ ფასებში მიყიდოს მეტი პროდუქცია და ამით შექმნას გაფართოებული კვლავწარმოებისა და მშრომელთა მატერიალური დაინტერესების დამატებითი სახსრები.

მიწის ეკონომიკური შედეგების მაჩვენებლების გამოყენება, თავის მხრივ. თანაბარ ეკონომიკურ პირობებს ქმნის ყველა საწარმოსათვის, ხოლო უცუდეს მიწებზე მდებარე მეურნეობებს მიწათმოქმედების მაღალი ინტენსიურობის პირობებში საშუალებას აძლევს სახელმწიფოს გადიდებულ ფასებში მიყიდოს მეტი პროდუქცია და ამით შექმნას გაფართოებული კვლავწარმოებისა და მშრომელთა მატერიალური დაინტერესების დამატებითი სახსრები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიწის შეფასების შედეგების სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაგეგმვასა და ორგანიზაციაში გამოყენება პროდუქციის ზრდის საიმედო იარაღად უნდა იქცეს. აქედან გამომდინარე მათი გამოყენების სფეროები თანდათანობით გაფართოვდება.

სახელმწიფო შესყიდვის გეგმების განაწილებაში

თანამედროვე პერიოდში სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვა დაგეგმვის თეორიული საფუძვლებისა და მეთოდების შემდგომ დამუშავებასა და სრულყოფას მოითხოვს. ქვეყნის მთელი ეკონომიკისა და, მათ შორის, სოფლის მეურნეობის განვითარებას კი მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა გათვალისწინებით პროდუქციის ნომენკლატურის ჩვენებით შედგენილი დასაბუთებული პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფო შესყიდვის მყარი გეგმები განსაზღვრავს.

როგორც წესი, სახელმწიფო შესყიდვის გეგმები სახელმწიფო დავალების საფუძველზე დგება და ისინი საწარმოთა გეგმების ამოსავალი პირობაა. მათი ამოცანაა მიღწეული-წარმოების დონის გათვალისწინებით მთლიანად შესყიდვის გეგმების განსაზღვრა და განაწილება რაიონებისა და საწარმოების მიხედვით. ასეთი სისტემა გაფართოებული ეკონომიკის პირობების შექმნასთან ერთად ხელს უწყობდეს მშრომელთა მოთხოვნილებისა და მრეწველობის ნედლეულის სრულ დაკმაყოფილებას. ამასთან, ცალკეულ საწარმოს შესაძლებლობა უნდა მიეცეს გაყიდოს ზეგეგმითი პროდუქცია, რაც მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ მთლიანად გავითვალისწინებთ ბუნებრივ-ეკონომიკურ პირობებს. ამდენად სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა თანაბარ ეკონომიკურ პირობებში ჩაყენებისთვის სახელმწიფო შესყიდვის გეგმები უნდა დგებოდეს ნიადაგის ხარისხის გათვალისწინებით, რომლის ერთ-ერთი ძირითადი პირობა მიწის ეკონომიკური შეფასების შედეგების გათვალისწინებაა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს მრავალდარგოვანი და რთული ბუნებრივი პირობების მქონე სოფლის მეურნეობისათვის.

ჩვენს ქვეყანაში დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვის გეგმების გადანაწილებისას მიწის შეფასების შედეგების გამოყენებით შეიძლება გამოვეყნოთ შემდეგი ძირითადი მომენტები:

1) პირველ რიგში განისაზღვრება სასოფლო-სამეურნეო სავარჯულების ფართობი შესაძარ სიდიდეებში, რაც ე. წ. პირობითი კადასტრული ჰექტრების გამოყენებით ხდება;

2) შესაძარ (ფულად) სიდიდეში გადაიყვანება ყველა პროდუქცია, თუ ცალკეული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მიხედვით არ ხდება დაგეგმვა;

3) ტარდება რაიონის და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ბუნე-ბრივი-ეკონომიკური პირობების ღრმა ანალიზი.

4) რესპუბლიკის (ადმინ-სტრაციული რაიონების) მიხედვით გეგმების გადანაწილებისა და რაიონის (საწარმოების) მიხედვით გაიანგარიშება კადასტრულ ჰექტარზე მისაღები პროდუქციის სიდიდე. ეს მაჩვენებელი შემდეგ რაიონების (საწარმოების) კადასტრული ჰექტარების ჯამზე მრავლდება, რაც მიწის შეფასების შედეგების გათვალისწინებით შედგენილი გეგმაა:

5) მთლიანი და ჩამორჩენილი საწარმოებისათვის შესყიდვის ტემპები რამდენადმე მაღალი უნდა იყოს და სპეციალიზაციიდან გამომდინარეობდეს.

დღევანდლამდე, როგორც წესი, მყარი შესყიდვის გეგმების დადგენა საწარმოთა რეალურ შესაძლებლობათა სრულყოფილად გათვალისწინებით ვერ ხორციელდება. უფრო მეტიც, გეგმებს უზრდიან მოწინავე საწარმოებს, რომლებმაც მაღალ შედეგებს მიაღწიეს და მთლიანად არ ხდება მიწის ნაყოფიერების გათვალისწინება. ეს კი მათ არათანაბარ ეკონომიკურ პრობლემათა აყენებს და აფერხებს პროდუქციის წარმოების ზრდის შესაძლო ტემპებს. ამ უარყოფითი მოვლენის თავიდან აცილების, არსებული რეზერვების გამოვლენისა და საწარმოთა თანაბარ ეკონომიკურ პირობებში ჩაყენების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი დღეისათვის პროდუქციის შესყიდვის გეგმების მიწის ხარისხის მიხედვით გადანაწილებაა.

ამ მიზნით კონკრეტული კულტურის მოსავლიანობა მრავლდება შეფასების ბაზზე, რომელიც აღნიშნული კულტურის წარმოების ეფექტიანობის მიხედვით შეფასებითაა მიღებული. ამის გარდა გაანგარიშებული უნდა იქნას კულტურის ნაჯესი ფართობებზე კადასტრულ ჰექტარებში ადმინისტრაციული რაიონის სახელმწიფო შესყიდვის გეგმა იყოფა მის კადასტრულ ჰექტარებზე და იანგარიშება სახელმწიფო შესყიდვის გეგმების განსაზღვრის კოეფიციენტი. უკანასკნელის გამრავლებით საქონლიანობ-ის დონეზე იანგარიშება შორეული პერსპექტივის შესყიდვის გეგმის მოცულობა.

სახელმწიფო შესყიდვის გეგმების გაანგარიშება უნდა განხორციელდეს ცალკეული (ძირითადი) სასოფლო-სამეურნეო კულტურის მიხედვით.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის დაგეგვა

სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდის მთავარი გზა ფართობის ერთეულზე შრომისა და საწარმოო საშუალებათა დამატებითი და-

ბანდების დონის ამადლებით სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ყოველ-აოგო ზრდაა. ეს ფაქტორი როგორც ცალკეული კულტურისა და ღარჯის, ისე მთლიანად მეურნეობის ეკონომიკურ ეფექტიანობას განსაზღვრავს.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობაზე მ-წათმოქმედების კულტურის, სასუქებით უზრუნველყოფის, თესვის ნორმებისა და ვადების დაცვის, თესლის ხარისხის, მოსავლის აღების დროს დანაკარგების შემცირებისა და სხვა პირობებთან ერთად დიდ გავლენას ახდენს ბუნებრივი ფაქტორები და, განსაკუთრებით, მიწის ხარისხი. ამიტომ, ცალკეული კულტურის მოსავლიანობის დაგეგმვა მიწის ხარისხის გათვალისწინებით უნდა ხდებოდეს. ეს უკანასკნელი მოსავლიანობის ზრდის გამოუყენებელი რეზერვების გამოვლენის საშუალებას იძლევა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ცალკეული კულტურის პერსპექტიული მოსავლიანობის დაგეგმვაში, როგორც დამატებითი ღონისძიება, გათვალისწინებული უნდა იქნეს ნიადაგის გენეტიკური ნიშანთვისებები, რომლის საუკეთესო პირობაა ნიადაგის ბონიტირებისა და მიწის ეკონომიკური შეფასების შედეგების გამოყენება.

სამამულო მეცნიერებასა და პრაქტიკაში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის დაგეგმვაში მიწის ხარისხის გათვალისწინების რამდენიმე ერთმანეთისაგან განსხვავებული ვარიანტი არსებობს. ჩვენის აზრით ყველაზე სრულყოფილია ბ. სარჩენკოს მეთოდი, როდესაც პერსპექტიული მოსავლიანობის გაანგარიშება რაიონის საშუალო კადასტრული ჰექტარის „ფასისა“ და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა კადასტრული ჰექტრების საშუალებით ხდება. ცალკეულ საწარმოთა მთლიანი სახნავი (ან ნათესი ფართობი) გადაიყვანება კადასტრულ ჰექტრებში — ფიზიკური ფართობის შეფასების მაჩვენებელზე (ბალზე) გადამრავლებით.

მიღებული მაჩვენებლების საშუალებით პირველად რაიონის მთლიანი მოსავლის გეგმა განისაზღვრება, ხოლო ორივე მაჩვენებლის გამოყენებით კი — სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში მისაღები შესაძლებელი პერსპექტიული მოსავლიანობა. შესაძლებელი მოსავლიანობის გაანგარიშება წარმოების საშუალო კადასტრული ფასის მიხედვით, შემდეგი ფორმულით ხორციელდება:

66.

ბფ = ————— : ბ. საშ. სადაც

ნფ:

ბფ არის რაიონის ბალის ფასი ცენტნერობით გამოსახული;

მგ — შესაფასებელი კულტურის გეგმიანი მოსავლიანობა;

ნფ — ამავე კულტურის ნათესი ფართობი;

ბ. საშ. — მეურნეობის სახნავის შეფასების ბალი შესაფასებელი კულტურის მოსავლიანობით.

ამ ფორმულის მიხედვით გაანგარიშებული ბალის ფასი ცალკეული საბჭოთა მეურნეობის შეფასების ბალზე მრავლდება. აღნიშნული მეთოდით გაანგარიშებული მონაცემების საფუძველზე დგინდება ცალკეულ მეურნეობაში მიწის საწარმოო შესაძლებლობების გამოყენების დონე.

პერსპექტიული მოსავლიანობის განსაზღვრას მეორე ხერხითაც აწარმოებენ. ამ შემთხვევაში ეტალონად ის მეურნეობა აიღება, რომელიც შეფასების თითოეულ ბალზე ყველაზე მეტ პროდუქციას ღებულობს. ერთი ბალისათვის გაანგარიშებული კოეფიციენტი შემდეგ ყველა მეურნეობის შეფასების ბალზე მრავლდება. ამ გზით განსაზღვრული შესაძლებელი მოსავლიანობა რამდენადმე უფრო მარტივია და შედარებით ფართოდაა გამოყენებული მიწის შეფასების შედეგების გამოყენების დროს.

უნდა აღინიშნოს, რომ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის დიფერენცირებისას რიგ მეურნეობაში ფაქტობრივად დიდ გადახრებს შეიძლება ჰქონდეს ადგილი. ამიტომ გაანგარიშებით მიღებული მაჩვენებლები უნდა გაანალიზდეს წარმოების რეალური პირობების გათვალისწინებით. როგორც წესი, გაანგარიშებული (პერსპექტიული) მაჩვენებლები ფაქტობრივთან ახლოს იმ მეურნეობებში იქნება, სადაც მიწათმოქმედების წარმოების დონე რაიონის შესაბამის საშუალო სიდიდესთან იქნება ახლოს.

იმის გამო, რომ აღნიშნული მონაცემები ყოველთვის საანგარიშო-სტატისტიკურ მასალებზე აგებული სიდიდეებია, ისინი შესაბამისად საცდელი სადგურებიდან მიღებული ნორმატიული მაჩვენებლებით უნდა შეივსოს, გამოყენებული უნდა იქნას აგრეთვე არსებული აგრონომიული თუ სხვა სახის მონაცემების ანალიზური მასალები.

სახალხოვნო შესაძლების შესახებ სრულყოფა.

ამ პრობლემის სირთულეს, ძირითადად, ის გარემოება განსაზღვრავს რომ შესყიდვის ფასი როგორც ცოცხალი და განივებული შრომის ფულადი გამოხატულება, მისი შეფარდებითი საზომია. მიუხედავად იმისა, რომ სოციალიზმის დროს მასზე არ მოქმედებს ბაზრის კონკურენციის მექანიზმი და იგი გადანაწილების ფუნქციას არ ასრულებს, მაინც ყოველთვის არ არის პროდუქციის წარმოებაზე გაწეული საზო-

გადობრივად აუცილებელი შრომის დანახარჯების საზომი. ბუნებრივ-ეკონომიკური და სოციალური პირობების გაველეთ იგი ღირებულებისაგან რამდენადმე განსხვავდება.

განსაკუთრებით რთულია შესყიდვის ფასის განსაზღვრა სოფლის მეურნეობაში. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოქმედი შესყიდვის ფასებზე ასახავს რა წარმოების საზოგადოებრივ დანახარჯებს, სრულყოფილად ვერ ითვალისწინებს ბუნებრივ-ეკონომიკურ პირობებს. ეს გარემოება გარკვეულად აფერხებს სამეურნეო ანგარიშის დანერგვას და ზიანს აყენებს მატერიალური დინტერესების პრინციპებს. თანამედროვე ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანია შესყიდვის ფასების გამოყენება სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მატერიალური სტიმულირების ფორმებსა და მეთოდებში. ამიტომაც ვიღი ყოველთვის ვაძიებ მათ სრულყოფას. მიუხედავად ამისა სოფლის მეურნეობაში ფასწარმოქმნის ყველა საკითხი ღრმად არაა შესწავლილი. კერძოდ კი, ისეთი პრინციპული საკითხები, როგორცაა ფასწარმოქმნის ეკონომიკური ხასიათი, მათი დიფერენცირების მეთოდოლოგიური პრინციპები და ა. შ. ჯერ კიდევ სუსტია შესყიდვის ფასების როლი სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში გაფართოებული კლავწარმოების ერთნაირი პირობების შექმნის, წარმოების კონცენტრაციის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და სხვა საკითხების გადაჭრაში აღნიშნულიდან გამომდინარე, რიგი პროდუქტის მოყვანა ერთ რეგიონში ტენდენტურაა. ხოლო მეორეგან — წამგებიანი. ქვეყნის ზონების მიხედვით ფასების დიფერენცირების პრაქტიკა კი მთლიანად ვერ უზრუნველყოფს ამ საკითხისადმი წაყენებული მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვის ფასის ფორმირება სპეციალური სახელმძღვანელო რაღაც საწარმოო ფონდებისა და სამუშაო ძალის ეფექტიანად გამოყენებასთან ერთად გათვალისწინებული უნდა იქნას წარმოების ბუნებრივი პირობები. ეს განსაკუთრებით ეხება სოფლის მეურნეობის წარმოების ძირითადი საშუალების — მიწის ნაყოფიერების და მისი ამღობების ღონისძიებებს, რომლის გარეშე შეუძლებელია ყოველგვარი წარმოება. ამდენად ამ დარგში შესყიდვის ფასების დადგენა აუცილებლად უნდა იქნას დაკავშირებული როგორც საზოგადოებრივად აუცილებელ დანახარჯებთან, ისე ნიადაგის ნაყოფიერებასა და ნაკვეთის ადგილმდებარეობასთან.

სოფლის მეურნეობაში ნაყოფიერ მიწებზე დახარჯული შრომა ქმნის დამატებით პროდუქტს, რომელიც რენტას სახით გვევლინება. ამიტომაც, რომ სოფლის მეურნეობაში შესყიდვის ფასების განსაზღვრა ხდება უტუდესი და პროდუქციის ჩაბარების პუნქტიდან ყველაზე და-

შორებულ მიწებზე გაწეული საზოგადოებრივი დანახარჯების მიხედ-
ვით.

შესყიდვის ფასების სწორ დიფერენცირებას არა მარტო ეკონომი-
კური, არამედ სოციალური მნიშვნელობაც აქვს. ფასების სწორად
დადგენამ მთის მცირეძალოვანი და ზარალიანი მეურნეობები შეიძლე-
ბა მომგებიანი გახადოს, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მიგრაციის
პროცესის შესუსტებას. მიუხედავად ასეთი დიდი მნიშვნელობისა თანა-
მედროვე პერიოდში არ არის შემუშავებული ფასების დიფერენცირე-
ბის ისეთი სრულყოფილი კარტერიუმი და მეთოდი, რომელიც მთლი-
ანად გაითვალისწინებს ბუნებრივ და სხვა ფაქტორებს. ამას ისიც გან-
საზღვრავს, რომ ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა
ბოლო პერიოდში. სკკპ ცკ 1978 წლის ივლისის პლენუმის შემდეგ რიგ
რესპუბლიკასა და ოლქში ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს შესყი-
დვის ფასების ზონალური დიფერენცირებისათვის. ასე, მაგალითად, მა-
რეთის ასს რესპუბლიკა რძის შესყიდვის ფასების მიხედვით სამ ზონა-
დაა დაყოფილი, ანალოგიური სამუშაოები რიგ პროდუქტებზე ბევრ-
განაა ჩატარებული, მათ შორის ჩვენს რესპუბლიკაშიც.

უკანასკნელ წლებში რიგი რესპუბლიკის პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ
შესყიდვის ფასების დიფერენცირების საუკეთესო საშუალებაა მიწის
ეკონომიკური შეფასების შედეგების გამოყენება. ლიტვის რესპუბლი-
კაში მიწის ხარისხის, ღონღშეიარაღებისა და შრომის ანაზღაურების
გათვალისწინებითა და მეცხოველეობის პროდუქციის შესყიდვის ფასე-
ბის მიხედვით ყველა საწარმოო ობიექტს ჯგუფადაა დაყოფილი. ცალკეულ
ჯგუფს შორის სხვაობა რძის ფასში 10%-მდეა, მსხვილფეხაში —
20%-მდე. ხოლო მელორეობაში—25%-მდე. ამ გარემოებამ უდიდესი
როლი შეასრულა საწარმოთათვის ერთნაირი ეკონომიკური პირობების
შექმნის საქმეში და ამიტომაცაა, რომ უკანასკნელ წლებში რესპუბ-
ლიკას ზარალიანი საწარმო აღარ აქვს.

შესყიდვის ფასის დადგენა მიწის ხარისხისა და თვითღირებულე-
ბის პროპორციულად რესპუბლიკის საშუალო რენტაბელობის დონი-
დან გამომდინარე მიწის ეკონომიკური შეფასების შედეგების გათვა-
ლისწინებით უნდა მოხდეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შრომის ანა-
ზღაურების საწყისად აღებული უნდა იქნას თანაბარი სიდიდე. ამასთან,
ფასების დიფერენცირება უნდა განხორციელდეს კადასტრული რაი-
ონების (ან საწარმოო სპეციალიზაციის ზონების) მიხედვით, ხოლო
შემდეგ დაყვანილი იქნას ადმინისტრაციული რაიონებისა და საწარ-
მოებისათვის. ადმინისტრაციულ რაიონებში საწარმოები შეიძლება რამ-
დენიმე ჯგუფად დაჯგუფდეს და ერთი და იმავე რაიონის ფარგლებში
მოექცეს უმაღლესი და უმცირესი შესყიდვის ფასის მქონე საწარმო-

ები. ერთი კი აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ რესპუბლიკისათვის სადირექტივო ორგანოების მიერ დადგენილი შესყიდვის ფასიდან გადახვევა არ დაიშვება.

პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის ფასების დიფერენცირებისათვის ცალკეული ადმინისტრაციული რაიონის მიხედვით აუცილებელია შეფასება (ბალებში) იმ კულტურის მოსავლიანობით, რომლის შესყიდვის ფასსაც ვადგენთ, აგრეთვე პროდუქციის თვითღირებულება (ფაქტობრივი და შრომის თანაბარი ანაზღაურების დროს) გაანგარიშებული უკანასკნელი ხუთი წლის საშუალო მონაცემების საფუძველზე და რეალიზებული პროდუქციის ღირებულება (ფაქტობრივი და მიწის ხარისხის გათვალისწინებით).

მინის წამსანაის წაღვეანის გაცხადება ზიგასამეურნეო მიწათმოწყობაში

სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა შიგასამეურნეო მიწათმოწყობის ძირითადი ამოცანაა საწარმოებში მიწის რაციონალურად გამოყენების ორგანიზაციულ-სამეურნეო პირობების შექმნა ყოველი ჰექტარი სავარგულიდან მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური პროდუქციის მიწოდებად. შიგასამეურნეო მიწათმოწყობის პროექტებს საფუძვლად უდევს საწარმოთა პერსპექტიული და ორგანიზაციულ-სამეურნეო მოწყობის გეგმები, რომლებშიც მიწის ნაყოფიერების ამაღლების ღონისძიებებია გათვალისწინებული. შიგასამეურნეო მიწათმოწყობის პროექტი მეურნეობებში წარმოების დაგეგმვისა და ორგანიზაციის შემადგენელი ელემენტია, ამიტომ შიგასამეურნეო მიწათმოწყობის გეგმის ხარისხს საწარმოთა პერსპექტიული გეგმის სისრულე და მიწის შესწავლის, ღონე განსაზღვრავს. ყველაფერი ეს მიუთითებს შიგასამეურნეო მიწათმოწყობაში მიწის ბუნებრივი და ეკონომიკური ნაყოფიერების შეფასების გამოყენების აუცილებლობაზე.

შიგასამეურნეო მიწათმოწყობის პროექტში ნიადაგების ბონიტორებისა და მიწის ეკონომიკური შეფასების შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას ისეთი ძირითადი საკითხების გადასაწყვეტად, როგორცაა წარმოების რაციონალური ორგანიზაცია, მიწის სავარგულების სრული და ინტენსიური გამოყენება, მეცნიერულად დასაბუთებული თესლბრუნვის დანერგვა, ტექნიკისა და სხვა საწარმოო საშუალებათა ეფექტიანი გამოყენება, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ზრდა და ა. შ.

შიგასამეურნეო მიწათმოწყობის ყველაზე მნიშვნელოვანი და მყა-

რი ელემენტი კი მაინც თესლბრუნვის მინდორია. იმისათვის, რომ თესლბრუნვის მინდვრების საზღვრები დაცული იქნეს, ისინი ნიადაგების, რელიეფისა და სხვა პარობებით უნდა აკმაყოფილებდეს გასაადგილებელი კულტურების მოთხოვნებს, ხოლო კონფიგურაციითა და ადგილმდებარეობით ხელსაყრელი იყოს საჭირო აგროტექნიკური ღონისძიებების მექანიზებული წესით შესრულებისათვის. აღნიშნული ბუნებრივი პირობები, როგორც ცნობილია, განსაზღვრავს თესლბრუნვის მინდვრების ხასიათსა და ორგანიზაციას. ნიადაგის ხარისხი კი საქცივის სიგრძესა, ნიადაგის საფარსა და სხვა პირობებთან ერთად განსაზღვრავს აგროტექნიკისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოებისათვის საჭირო სამუშაოთა მოცულობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თესლბრუნვის მინდვრის სიდიდის განსაზღვრა-დახასიათებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება. სახნავის მასივებისა და კონტურების საწარმოო და ტექნოლოგიური თვისებების შეფასებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს თესლბრუნვის მინდვრის სიდიდის დადგენას ნიადაგის ხარისხისა და აგროტექნიკის გათვალისწინებით. ამ უკანასკნელის საფუძველია ნიადაგების შეფასების მაჩვენებლები.

მიწის ეკონომიკური შეფასების შედეგების გათვალისწინებით თესლბრუნვის მინდვრის სიდიდის განსაზღვრისათვის გამოიყენება თესლბრუნვის მინდვრების ფართობები და მათი შეფასების ბალები. მათი ერთმანეთზე გადამრავლებით მიიღება საძიებელი სიდიდე, ანუ თესლბრუნვის მინდვრის ოპტიმალური სიდიდე, რომელიც საფუძველად უნდა დაედოს ყველა შემდგომ პროექტს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თესლბრუნვის მინდვრებზე ერთნაირი მოსავლის დაგეგმვა არ არის გამართლებული, რადგან ნიადაგების ნაყოფიერება მნიშვნელოვნად განსხვავებულია. ამ მიზეზის თავიდან აცილების საუკეთესო პირობაა თესლბრუნვის მინდვრების დადგენა შეფასების შეწონილი ბალების მიხედვით, რაც თესლბრუნვის სახეებისა და მათ შიგნით კულტურების, აგრეთვე ბრიგადებზე სამექანზაციო საშუალებებისა და მექანიზატორთა საჭირო რაოდენობის მიმაგრების საშუალებას იძლევა, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გათვალისწინებით.

მიწის შეფასების შედეგების გამოყენება მარტო ამ საკითხებითა არ ამოიწურება და ბევრი მნიშვნელოვანი სახალწომეურნეობრივი საკითხის მაღალ დონეზე გადასაჭრელად შეიძლება იქნეს გამოყენებული.

მინის კადასტრის ზონალური თავისებურებანი

§ 1. მელიორირებადი მიწების აღრიცხვა და შეფასება

ჩვენი ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ნახევარზე მეტი მორწყვას ან დაშრობით ღონისძიებას საჭიროებს, რაც მიწების მელიორაციას სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის ამაღლების, მოსავლიანობის ზრდისა და წარმოებაში ახალი მიწების ჩაყენების აუცილებელ პირობად აქცევს.

პარტიის აგრარული პოლიტიკის განხორციელების ერთიან სისტემაში განსაზღვრული ადგილი უჭირავს მელიორირებადი მიწების გეგმაზომიერ გამოყენებას, რომელთა ფართობი 27 მლნ/ჰა ანუ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 5 %-ია და ქვეყნის სოფლის მეურნეობის პროდუქციის თითქმის მეოთხედს იძლევა. მელიორირებადი მიწების გამოყენების გაუმჯობესებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 16 ივნისის დადგენილებას „მარცვლეული და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაღალი და მყარი მოსავლის მისაღებად მიწების მელიორაციის ფართოდ განვითარების შესახებ“. ამ დადგენილების შემდეგ მიწების მელიორაციის საკითხის განვითარების აუცილებლობაზე მითითებული იყო სკკპ XXV და XXVI ყრილობებსა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმზე.

უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ წლებში ქვეყნის მასშტაბით გაშლილია ფართო მუშაობა მელიორირებადი ფართობების ზრდისა და მათი გამოყენების გაუმჯობესებისათვის. ამასთან, მელიორირებადი მიწების ყოველმხრივი აღრიცხვა ჯერ კიდევ არ ხდება, რაც ამ ფართობების ცვლილებების მიზეზების ანალიზს აძნელებს, თუმცა სარწყავი და დაშრობილი მიწების განაწილების ანგარიშები (ფორმა № 22, 22) ყოველწლიურად დგება.

სარწყავი და დაშრობილი მიწების აღრიცხვა წარმოებს არსებული მიწების კლასიფიკაციის მიხედვით, მაგრამ ახასიათებს რიგი თავისებურება, რაც მათი გამოყენების თავისებურებებითაა განპირობებული. მათი აღრიცხვა ხდება როგორც სავარგულების სახეების, ისე ქვესახეებისათვის მორწყვა-დაშრობის ხერხების, სარწყავი და დაშრობი

ქსელების მდგომარეობისა და სხვა პირობებით, ამ მიზნით გამოიყენება საგეგმო-კარტოგრაფიული მასალები, სამელოორაციო სისტემების მშენებლობის ტექნიკური პროექტები და მიწების ინვენტარიზაციის ან მშენებლობის მუშების აქტები. როგორც წესი, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ნათესი ფართობებისა და სხვა სახის ინტენსიური სავარგულების ცვლილებებს, რომელთა ფიქსირებისათვის პერიოდულად სარწყავი და დაშრობილი მიწების ინვენტარიზაცია ტარდება. მას ატარებს სპეციალურად შექმნილი კომისია, მათი ამოცანაა სარწყუნო ინფორმაციის მოგროვება მელიორირებული მიწების არსებობის, სარწყავი და დაშრობილი სისტემების მდგომარეობის, წყლით უზრუნველყოფის რეგულირების, სამელოორაციო ნაგებობათა რეკონსტრუქციის მონტის დასაბუთებისა და სხვა საკითხების გადასაჭრელად. კომისიის მიერ ინვენტარიზაციის ჩატარების შედეგები ფორმდება აქტების სახით და მიწის საკადასტრო დოკუმენტაციასთან ერთად სარწყავი და დაშრობილი მიწების გამოყენებისა და ხარისხობრივი მდგომარეობის გაუმჯობესების უზრუნველყოფის აუცილებელი მასალაა.

§ 2. სარწყავი მიწების აღრიცხვა და შეფასება

სარწყავი მიწების აღრიცხვა და შეფასება დაკავშირებულია წყლის რესურსების არსებობასა და განაწილებასთან. ამიტომ ამ ფაქტორებთან მჭიდრო კავშირში უნდა იქნეს განხილული. თავის მხრივ, წყლის გამოყენება და წყლით უზრუნველყოფა მეურნეობებისათვის გეგმიანად ხორციელდება, რაც გულისხმობს მიწათმოსარგებლებზე წყლის მიცემის განსაზღვრას რაოდენობისა და დროის მიხედვით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სარწყავი მიწების რაციონალურად გამოყენების და მათი ნაყოფიერების ამაღლების ღონისძიებათა დასახვასა და სხვა ღონისძიებების გატარებასთან ერთად სარწყავი მიწების ზუსტი აღრიცხვა საჭიროა წყლის რესურსების რაციონალურად გამოყენების მიზნებისათვისაც. იმის გამო, რომ სხვადასხვა სავარგული და კულტურა განსხვავებულ მოთხოვნებს უყენებს მორწყვის პირობებს, სარწყავი მიწების აღრიცხვა უნდა ჩატარდეს სარწყავი სისტემების, სავარგულების, მათი ხარისხობრივი მდგომარეობის, ნათესების სტრუქტურისა და გაადგილებული კულტურების შესაბამისად. სარწყავი მიწები აღრიცხული უნდა იქნეს ძალიან ზუსტად ყოველი კონტურის მიხედვით. რადგან ყოველი ჰექტარის გასარწყავება ძალიან ძვირად ღირს და თანაც წყლის რესურსების განსაზღვრულობა მათი ეფექტიანად გამოყენების ფაქტის წინაშე გვაყენებს.

სარწყავი მიწების აღრიცხვისა და შეფასების მიზნით საგეგმო-კარტოგრაფიულ დოკუმენტაციაში ცალკე გამოყოფენ სარწყავქსელ-ლიან და სარწყავ მიწებს.

სარწყავქსელიანს მიეკუთვნება ყველა სარწყავი, ხოლო ცალკე გა-მოიყოფა რეგულარულად და ლიმანურად სარწყავი მიწები.

აღრიცხვის ძირითადი ელემენტია სარწყავი ნაკვეთი, რომელიც ერთი არხით ირწყვება და ნატურაში შემოსაზღვრულია მუდმივი არ-ხით. სარწყავი მიწების აღრიცხვა მიწათმოსარგებლებისა და სარწყავი სისტემების მიხედვით ტარდება, ხოლო აღრიცხვა იწყება სარწყავი არხის სათავედან. ამასთან, ყოველი აღრიცხვის ერთეულისათვის გამო-იყოფა რეგულარულად სარწყავი, სარწყავად მომზადებული, პირობი-თად სარწყავი, სარწყავი, მაგრამ აუთვისებელი და დასათესად გამოუ-ყენებელი მიწები. ცალკეულ მიწათმოსარგებლეთა სარწყავი მიწებისა და სარწყავი არხების სისტემაში მოქცეული ფართობების დაჯამებით ანგარიშობენ შალაანად სარწყავი მიწებს-ს ფართობს.

სარწყავი მიწების დაზუსტება პერიოდულად წარმოებს სპეციალ-ურად გამოყოფილი კომისიის მიერ, რომელიც ადგენს განმარტებით ზარათს, მიწებს-ს ინვენტარ-ზაღის აქტს. სარწყავ მიწების მელიორა-ციული მდგომარეობის უწყისსა და მეურნეობის მიწათსარგებლობის გეგმას. ამ დოკუმენტების საფუძველზე ადგენენ მიწების ინვენტარი-ზაციის ნაკრებს (ჯუმლს), რომელსაც რაიონულ აღმასრულებელ კომი-ტეტებში დამტკიცების შემდეგ გზავნიან რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებში.

სტატისტიკურ სამმართველოებთან ერთად სარწყავი მიწების აღ-რიცხვას აწარმოებს მიწათმოწყობის სამსახური და სარწყავი სისტემე-ბის სამმართველო, ერთიანი საკავშირო ფორმის მიხედვით საანგარიშო წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით.

ყოველი საწარმოო ამავე პერიოდისათვის სტატისტიკური აღრი-ცხვის ინსპექტურაში ადგენს სარწყავი მიწების გამოყენების ანგარიშს, სსრ კავშირის ცსს 1976 წლის 20 ივნისის დამტკიცებული ფორმით, რომელიც ექვსი განყოფილებისაგან შედგება. პირველ განყოფილება-ში მოცემულია მთლიანი მიწის ფართობი სარგებლობის ხანგრძლი-ვობის მიხედვით; მეორეში — სარწყავი მიწების ფაქტობრივი გამო-ყენებისა და რწყვის დახასიათება (საზოგადოებრივი სარგებლობის მიწებში გამოიყოფა ნათესი და მრავალწლიანი ნარგავები); მესამეში — გამოუყენებელი სარწყავი მიწები და ის მიზეზები, რის გამო არ-იქნა გამოყენებული; მეოთხეში — სარწყავი ფართობები, რომლებიც სა-ანგარიშო წელს არ უნდა მოირწყას (მიწებების ჩვენებათ); მეხუთეში —

წყლის მიწოდებისა და რწყვის ხერხები; მეექვსეში — ლიმანური სარწყავი მიწების დახასიათება.

ანგარიშს ხელს აწერს: სანარმოს ხელმძღვანელი, მთავარი აგრონომი, ჰ. დროტენსიკი და ამოწმებს სარწყავი სისტემების მთავარი ინჟინერი.

აღნიშნული მასალების საფუძველზე ადგენენ სარწყავი მიწების აღრიცხვისა და განაწილების ბალანსს — „ანგარიში სარწყავი მიწების არსებობისა და განაწილების შესახებ“ (ფორმა 22). სარწყავი მიწების ბალანსში მიწათმოსარგებლეთა კატეგორიების მიხედვით ცალკეა გამოყოფილი სახნავის, მრავალწლიანი ნარგავების, ნასვენის, სათიბების, საძოვრების, საკარმიდამო მიწების (მათ შორის კოლექტიური მებაღეობის), სულ სარწყავი მიწების, ტყის სარწყავი ნარგავებისა და სხვა სარწყავი სისტემების მქონე ფართობები.

ანგარიშის მეოთხე გვერდზე მოცემულია ცნობა სარწყავი მიწების მელიორაციული მდგომარეობის შესახებ. აქ განხილულია კოლმეურნეობების, სამეურნეობათა შორისო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების და ორგანიზაციების და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებით დასაქმებული სხვა სახელმწიფო ორგანიზაცია-დაწესებულებების მიწები. სარწყავ მიწებში გამოყოფილია: დახურული და ვერტიკალური ღრენაით უზრუნველყოფილი მიწები; სარწყავი მიწების ფართობები, რომლებიც არ სარგობს კაპიტალურ სამუშაოებს ხარისხობრივი გაუმჯობესებათა; სარწყავის ფართობები, რომლებიც სარგობს კაპიტალურ სამუშაოებს ხარისხობრივი გაუმჯობესებისათვის (მათ შორის სარწყავები, რომლებიც სარგობს საკოლექტორო-სადრენაჟო მოწყობილობებს რეკონსტრუქციას, სარწყავი ქსელის რეკონსტრუქციასა და გადაკეთებას, წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესებას, ნაკვეთის ზედაპირის კაპიტალურ დაგეგმარებასა და სხვა ღონისძიებებს). გარდა აღნიშნულისა, ამ დოკუმენტში მოცემულია რიგი სხვა მონაცემები, რომლებიც მიწის ამ კატეგორიასთან და მის გამოყენებასთანაა დაკავშირებული.

მიმდინარე პერიოდში აღრიცხვის მასალებში განსხვავებულია სარწყავი მიწების შეფასების მიზნული და რეკონსტრუქციის. აღნიშნულიდან გამომდინარე, სარწყავი მიწების შეფასების დროს დამატებით აუცილებლად ითვალისწინებენ;

1) ნიადაგების ბონიტირების დროს ნიადაგის ჰიდროლოგიურ პირობებს, გრუნტის წყლის დგომის სიღრმეს, მინერალიზაციას, ქიმიზაციას და დამლაშების ხარისხს, მეურნეობათა განაწილებას რწყვის წყაროების, რწყვის ხანგრძლივობის, წყლით უზრუნველყოფისა და სარწყავი მიწების ღრენაის მდგომარეობით;

2) სარწყავ მიწებზე ნიადაგების აგროსაწარმოო (საშემფასებლო) დაჯგუფების დროს მათი დამლაშების ხარისხი, ნიადაგის ჰიდრომორფულობა, ბიციობიანობა და სხვა პარამეტრები;

3) ნიადაგების ჩარეცხვის წარმონაქმნები და სხვა ცვლილებები, რომლებიც ხანგრძლივ რწყევასთანაა დაკავშირებული.

სარწყავი მიწების შეფასების დროს ძირითად ეკონომიკურ მაჩვენებლებს იღებენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წლიური ანგარიშების დანართიდან (ფორმა № 1-სა) სარწყავი მიწების გამოყენების შესახებ. აღნიშნულ ფორმაში მოცემულია მონაცემები: ა) სარწყავი მიწების მთლიან ფართობზე; ბ) სარწყავ და ფაქტობრივად მორწყულ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე (მათ შორის სახნავის); გ) სარწყავი საშუალებების შედგენილობაზე (მათ შორის სარწყავი ქსელი, საკოლექტორო სადრენაჟო ქსელი, ჰიდროტექნიკური ნაგებობები, მელიორაციული მანქანები და მოწყობილობები, დანარჩენი მელიორაციული ფონდები); დ) გაწყლიანების ნაგებობებსა და მოწყობილობებზე; ე) სასოფლო-სამეურნეო წყალმომარაგების მოწყობილობებსა და ნაგებობებზე; ვ) შიგასამეურნეო სარწყავ ქსელზე, ჰიდროტექნიკური ნაგებობების რაოდენობასა და კაპიტალური რემონტის ხარჯებზე; ზ) მორწყვისა და მელიორაციული ქსელის, ნაგებობების და მანქანების ექსპლოატაციის დანახარჯებზე; თ) სარწყავი მიწებიდან მიღებული მემცენარეობის პროდუქციის თვითღირებულების კალკულაციაზე; ი) ხარჯების განაწილებაზე კულტურების მიხედვით; კ) სატუმბავი სადგურების, სარწყავი და მელიორაციული ტექნიკის რაოდენობასა და გამოყენებაზე; ლ) სარწყავი მიწათმოქმედების კადრების რაოდენობასა და მომზადებაზე; მ) სარწყავი მიწებიდან მიღებული მემცენარეობის მთლიან პროდუქციაზე.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა წლიური ანგარიშების, საბუღალტრო და სტატისტიკური აღრიცხვა, აგრეთვე სხვა დოკუმენტაციასთან ერთად დანახარჯების გაანგარიშების დროს გამოიყენება სარწყავი სისტემების მოვლის ხარჯები. ანგარიშგების არსებული მეთოდის შესაბამისად ხარჯები ნაწილდება მიწათმოსარგებლებზე სარწყავი ფართობების პროპორციულად, თოლო მათ შიგნით კი—დარგებისა და კულტურებისათვის.

სარწყავი მიწებისათვის ძირითადი საშემფასებლო კრიტერიუმების გაანგარიშება და შეფასების სკალების შედგენა საერთო-საკავშირო მეთოდის მიხედვით წარმოებს. საკადასტრო დოკუმენტაციასაც შესაბამისად ცალკე ადგენენ. კერძოდ, მიწის საკადასტრო შიგნში სარწყავი

მიწების შეფასების მაჩვენებლები მოცემულია მეორე კარის სპეციალურ დანართში „სარწყავი მიწები“. აღნიშნულ დანართში სავარგულეები დაყოფილია სარწყავქსელიან და სარწყავად. იგი იყოფა რეგულარულ და პირობით სარწყავ კატეგორიებად.

სარწყავი მიწების შეფასების მაჩვენებლებს იყენებენ როგორც სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, ისე სარწყავი სისტემები და სტატისტიკური ორგანოები სხვადასხვა სამეურნეო მიზნებისათვის. ამიტომ შედგენილი დოკუმენტების თითო ეგზემპლარი ამ უკანასკნელთაც გადაეცემა.

§ 3. დაშრობილი მიწების აღრიცხვა და შეფასება

დაშრობითი მელიორაცია გულისხმობს ჰარბი ზედაპირული ნაკადების ჩაღრმების დაჩქარებას და ნიადაგში წყლის რეჟიმის რეგულირებას. ეს ღონისძიება ტარდება ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებიან და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მყარი და მაღალი მოსავლის მისაღებად. ჩვენს ქვეყანაში მიწების ფართობი, რომლებიც დაშრობით მელიორაციას საჭიროებს, 92,0 მლნ/ჰა; აქედან 12 მლნ-ზე მეტ ფართობზე გატარებულია დაშრობითი ღონისძიებები და ახერხებულია სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს დაშრობით მელიორაციას საქართველოს სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის რამდენადაც მას შეუძლია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ბრუნვაში ჩააყენოს 135 ათას ჰა-ზე მეტი ფართობი მარტო კოლხეთის დაბლობზე. ამ უკანასკნელს კი წამყვანი როლი ეკუთვნის ძვირფასი სამხრეთული კულტურების წარმოებას შემდგომი გაფართოების საქმეში, რაც მთელი ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთ ძირითად საკითხადაა მიჩნეული.

ცნობილია, რომ სხვადასხვა მცენარე განსხვავებულ მოთხოვნებს უყენებს ნიადაგში ტენის მცემველობას. ამასთან, იგი იცვლება აგრეთვე მცენარის საფეხტაცო პერიოდის მიხედვითაც. რადგან აღმოცენების, ზრდის, ყვავილობის და მომწიფების ფაზებში მცენარეების მოთხოვნილება ტენზე იცვლება. ოპტიმალურად ითვლება ნიადაგში ტენშემცველობა, როდესაც უზრუნველყოფილია მაღალი მოსავლის მისაღებად წყლის, ჰაერის, სითბოსა და კვების რეჟიმი. როგორც წესი, ჰარბი ტენის ნიადაგიდან გამოყოფის შედეგად საგრძნობლად უმჯობესდება ჰაერის შემცველობა, რაც მცენარეთა ზრდა-განვითარების აუცი-

ლებელი პირობაა. დაშრობილი ნიადაგი ნაკლებ მზის ენერჯიას შეითვისებს და გასცემს, ამიტომ იგი ზაფხულში შედარებით ცხელია, ხოლო ზამთარში და ღამე ცივი, ვიდრე სხვა ნიადაგები.

ჭარბტენიანი ნიადაგების დაშრობის ზერხებსა და მეთოდებს განსაზღვრავს დაჭაობების მიზეზები და მიწების გამოყენების დონე. პრაქტიკაში ფართოდაა გამოყენებული დაშრობის სამი მეთოდი: ზედაპირული ნაკადების ჩადინების დაჩქარების, გრუნტის წყლის დონის შემცირების და დაშრობა. ტერიტორიის ის ადგილები აღინაშნებიან, სადა როგორც წესი, ძირითადად გამოყენებულია დახურული დრენაჟისა და წყლის ორმხრივი რეგულირების ფორმები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დაშრობილი მიწების აღრიცხვას და შეფასებას განსაზღვრავს დაშრობითი მელიორაციისა და მიწების გამოყენების პირობები.

აღრიცხვის დროს ცალკე გამოყოფა მიწები, რომლებიც რაიმე დამატებით ღონისძიებებს არ საჭიროებს და დაშრობი სისტემა უზრუნველყოფს წყალ-ჰაერის ოპტიმალურ რეჟიმს მცენარეთა ზრდა-განვითარებისათვის. ცალკე გამოიყოფა ფართობები, რომლებშიც დაშრობი ქსელი საჭიროებს შეკეთებას ან ისეთი დამატებითი ღონისძიებების გატარებას, როგორცაა წყლის შემკრები კოლექტორების შეკეთება, მაგისტრალური არხების კაპიტალური შეკეთება, დაშრობითი ქსელის დამატებითი მოწყობილობების აშენება. ბუჩქნარებისაგან გასაწმენდად კულტურ-ტექნიკური სამუშაოების შესრულება, ქვებისაგან სისტემების გაწმენდა, სხვადასხვა მცენარეულობისა და ხის ძირებისაგან მათი გაწმენდა და ა. შ.

დაშრობილი მიწების ფართობები, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში არ გამოყენება, ცალკე აღრიცხვება.

საანგარიშო წლას 1 ნომბრის მდგომარეობით ყველა სასოფლო-სამეურნეო საწარმო ადგენს ანგარიშს დაშრობილი მიწების გამოყენების შესახებ, რომლის ფორმა ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ 1976 წელსაა დამტკიცებული. ფორმის პირველ კარში მოცემულია მთელი ფართობი სავარგულებისა და სარგებლობის ვადების ჩვენებით. მეორეში — გამოყენებული დაშრობილი მიწები დახურული დრენაჟის ცალკე გამოყოფით. სახნავში მითითებულია ნათესი, ხოლო საკვებ სავარგულებში ძირეულად გაუმჯობესებული ფართობები, პირადი დამხმარე მეურნეობის ფართობები ერთადაა აღრიცხულა სავარგულების სახეებად დაყოფის გარეშე. მესამე კარში — გამოუყენებელი დაშრობილი ფართობები იმ მიზეზების ჩვენებით. თუ რატომ არ იქნა გამოყენებული. მეოთხეში — დაშრობილი მიწები წყლის ორმხრივი რეგულირებით, რომელშიც სარწყავად გამოყენებული იყო დანადგარები.

დაშრობილი მიწების შეფასებისათვის ნიადაგების დასაჯგუფებლად მიწები იყოფა ღია არხების, დახურული დრენაჟის და წყლის რეჟიმის ორმხრივი რეგულირების მიხედვით.

დაშრობილი მიწების შესათესებლად დანახარჯების გაანგარიშებას აწარმოებს სახელმწიფო დამშრობი სისტემების მოვლა-შენახვის ხარჯების გათვალისწინებით. მონაცემების ამოკრეფა, ძირითადად, სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა წლიური ანგარიშებიდან (ფორმა № 1 სპ-ბ) ხდება. ამ უკანასკნელში ასახულია დაშრობილი მიწები (მ. შ. სახნავი, საძოვარი და სასოფლო-სამეურნეო სავარგული), ძირითადი ფონდების შედგენილობა (მ. შ. ღია არხები, დახურული დაშრობილი ქსელი, პიდროტექნიკური ნაგებობა, მელიორაციული მანქანები და მოწყობილობა). ამორტიზაციის თანხები, დანახარჯების განაწილება მელიორაციული ქსელის ექსპლოატაციაზე, დაშრობილ მიწებზე მემცენარეობის პროდუქციის კალკულაცია, სახეზე არსებული მელიორაციული ტექნიკის რაოდენობა, ტექნიკის სახეები და მემცენარეობის მთლიანი პროდუქცია მიღებული დაშრობილი მიწებიდან.

საკადასტრო წიგნის მეორე კარის დანართი 2 ექვლება დაშრობილი მიწების აღრიცხვას. საუბაც ისინი დაყოფილია დახურული დრენაჟის და წყლის რეჟიმის ორმხრივი რეგულირების მიხედვით. აღნიშნულ კატეგორიებად იყოფა სახნავი, მრავალწლიანი ნარგავები, ნასვენნი, სათიბი, საძოვარი, სულ სასოფლო-სამეურნეო სავარგული, კოლმეურნეობის საკარმიდამო მიწები, მუშების, მოსამსახურეებს და სხვა მოქალაქეების საკარმიდამო მიწები (დამხმარე ნადელებით), მუშა-მოსამსახურეთა კოლექტიური პლანტაჟები, ტყეები, ხე-უმცენარეები, დარღვეული და სხვა მიწები.

ცალკე აღრიცხება სარწყავი მიწები დაშრობილ ფართობებზე. აქ სულ ფართობებთან ერთად მოცემულია დაშრობილი მიწები დახურული დრენაჟით. საერთოდ კი ამ კატეგორიაში შესულია მხოლოდ საზოგადოებრივი წარმოების სასოფლო-სამეურნეო სავარგულები (სახეების და ქვესახეების მიხედვით).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამოვლინარე, სარწყავი, დამშრობილი და დაშრობილ ფართობებზე გაადგილებული სარწყავი მიწები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდის უმნიშვნელოვანესი კატეგორიებია. ამიტომ მიწის საკადასტრო დოკუმენტაციაში ცალკე აღრიცხება იმ მიზნით, რომ წარმოების დაგეგმვა-ორგანიზაციის დროს გათვალისწინებულ იქნას მათთვის დამახასიათებელი თავისებურებანი.

კვტონომიური რესპუბლიკის (მხარის), ოლქის მიწის კადასტრი

§ 1. რესპუბლიკის (მხარის), ოლქის მიწის კადასტრის ამოცანები და შინაარსი

ქვეყნის სახალხო მეურნეობის წინაშე მდგარი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ცალკეული რეგიონის ბუნებრივი, მატერიალური და შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენება; რასაც მათი ზუსტი აღრიცხვითა და შეფასებით აღწევენ. სოფლის მეურნეობის განვითარებისა და პროდუქციის წარმოების ზრდის საფუძველია რესპუბლიკის (მხარის), ოლქის პერსპექტიული გეგმები. მათი მეცნიერულ დონეზე შედგენა კი მოითხოვს არსებული რესურსების და, განსაკუთრებით, მიწის ბუნებრივი, სამეურნეო და სამართლებრივი მდგომარეობის სრულყოფილ მონაცემებს.

იმის გამო, რომ ქვეყნის მასშტაბით ნიადაგური და კლიმატური პირობები საკმაოდ კრელია, აუცილებელია, მათი ღრმა ანალიზი წარმოებაში გათვალისწინების მიზნით. ამ მიზრით განსაკუთრებული მდგომარეობაა ჩვენს რესპუბლიკაში, რომლის არც თუ დიდი ტერიტორია მოიცავს სუბტროპიკულიდან ცივ კონტინენტურამდე ყველა კლიმატურ ზონას და 300-ზე მეტი ნიადაგის სახესხვაობას.

ნიადაგური და კლიმატური პირობების სიჭრელე განსაზღვრავს მიწების გამოყენების ხასიათს და მათ ვასაუქმობესებლად საჭირო ლონისძიებების დასახვის აუცილებლობას, რაც სარწმუნო მონაცემებზე აგებული მიწის კადასტრის ამოცანაა. გარდა აღნიშნულისა, მისი მონაცემები გამოიყენება ბევრი სახელმწიფოებრივი და სახალხო მეურნეობრივი მნიშვნელობის საკითხის ოპტიმალურად გადაჭრისათვის.

მიწის საკადასტრო მონაცემები რესპუბლიკებსა და ოლქებში საჭიროა დასაბუთებული გეგმების შესადგენად, სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაადგილება-სპეციალიზაციის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და დამზადების გეგმების განსაზღვრის, ასათვისებელი მიწების გამოვლენის, მათი დაცვისა და რაციონალურად გამოყენებისათვის.

სკკპ ცკ 1965 წლის მარტის პლენუმის გადაწყვეტილების შესაბამისად ჩვენს ქვეყანაში 1966 წლიდან დიდი სამუშაოები ტარდება მი-

წების ყოველგვარი მელორაციის სახით, რასაც სახელმწიფო აფინანსებს. ამასთან, ამ სამუშაოების თანმიმდევრობის დადგენისა და ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრისათვის აუცილებელია მიწის კადასტრის შესაბამისი მაჩვენებლები.

ცნობილია, რომ ჩვენს ქვეყანაში ყოველწლიურად დიდი ფართობების ამოღება ხდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ბრუნვიდან სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარების შესაბამისად. ამასთან, უდიდესი სახელმწიფოებრივი ამოცანაა მაღალინტენსიური და მაღალნაყოფიერი სავარგულების დაცვა და სხვა დარგებისათვის შედარებით უარესი ხაო ანუ ფართობების გამოყოფა. ეს უკანასკნელი მიწის კადასტრის აუცილებლობის წიხაშე გვაყენებს, რომელშიც მოცემული იქნება ყოველი კონტურის რაოდენობრივი და ხარისხობრივი აღრიცხვის მონაცემი.

უკანასკნელ წლებში ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის საკითხებს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის 2 ივნისის ცნობილი დადგენილების საფუძველზე. როგორც ყველა მიწასთან დაკავშირებული დაწარჩენი საკითხის, მისი განწმენციელებაც მიწის კადასტრის მონაცემებმა უნდა უზოიეაუელყოს.

მიწა უდიდესი სახალხო მეურნეობრივი მნიშვნელობის სიმდიდრეა, რომლის დაცვა და სწორი გადანაწილება დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხია. არსებული მეთოდოკანისტრუმენტარეუმებისა და სადირექტვო ორგანოებს დადგენილებათა შესაბამისად ამ საკითხის ვადაკრაც მიწის კადასტრის შედგენასთანა დაკავშირებული.

მიწის კადასტრი სახალხო მეურნეობის ერთიანი აღრიცხვის სისტემის შემადგენელი ნაწილია, ამიტომ მის დოკუმენტაციაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მიწების აღრიცხვას. ეს უკანასკნელი რესპუბლიკებსა და ოლქებში რაიონების ფართობების დაჯამებით ტარდება, მაგრამ იგი გარკვეული უზუსტობებით ხასიათდება, ამიტომ პრაქტიკაში, ძირითადად, გამოყენებულია ანალიზური ხერხი.

§ 2. რაიონის (ქალაქის) მიწების აღრიცხვისა და განაწილების ანგარიშების შემოწმება და მიღება

მიწის საკადასტრო სისტემის შესაბამისად ჩვენს ქვეყანაში მიწის ბალანსებს ადგენს ყოველი რაიონის და ქალაქის შესაბამისი მიწათმოწყობის სამსახური. მათ წარადგენენ ზემდგომი ორგანოების (ოლქის) ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განყოფილებებში,

სადაც დეტალურად ამოწმდა რეპარატივობა შემოწმების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ანგარიშში მოცემული მონაცემების სიზუსტისა და საიმედოობის შესახებ, წარმოდგენილი შივი.

შემოწმების დროს შესაძარებლად გამოყენებული უნდა იქნას რაიონის შესახებ არსებული მიწების აღრიცხვისა და შეფასების ყველა ტექსტობრივი და გრაფიკული დოკუმენტი. შემოწმების პერიოდად მიღებულია ორი წლის მასალის შედარება. ამ დროისათვის დეტალურად შეისწავლიან რაიონის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს, მათ ცვლილებებს და სხვა საკითხებს, გამომწვევე მიზეზების ჩათვლით. ამ მიზნით გამოიყენება ბალანსთან ერთად წარმოდგენილი განმარტებითი ბარათი და საბალანსო ცნობა.

მიწის ბალანსის მიღების დროს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ: რაიონის მიწის ფართობში საანგარიშო წელს მომხდარ ცვლილებებს, სწავლობენ სხვა გამოწვევებს და მის შესახებ არსებული დოკუმენტაციის სიზუსტეს; სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში ცვლილებებს გასულ წელთან შედარებით. მათ გამომწვევ მიზეზებს, კანონზომიერებას და მიწების ასათვისებლად გამოყოფილი სახსრების ხარჯვის შედეგად სასოფლო-სამეურნეო წარმოების ბრუნვაში ახალი ფართობების ჩაყენების ფაქტობრივ მდგომარეობას; დეტალურად მოწმდება სახანავი ფართობები. მათი შემცირება ერთეულ შემთხვევებშიც კი დაუშვებელია, ამიტომ ყველა ცვლილებას უდარებენ სტატისტიკური აღრიცხვის მასალებს ნათესი ფართობების შესახებ და სხვა დოკუმენტაციას. ცვლილებების შემთხვევაში უნდა დადგინდეს მათი კანონზომიერება: როგორც სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შემადგენელი ელემენტები, კონკრეტულად შეისწავლება: ნასვენნი, მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწები და ბუნებრივი საკვები სავარგულები; განსაკუთრებულად მოწმდება სარწყავი და დაშრობილი მიწები. მიწის ბალანსის მონაცემებს ამ შემთხვევაში უდარებენ სტატისტიკური აღრიცხვის დოკუმენტაციას და ცვლილებების შემთხვევაში ადგენენ გამომწვევ მიზეზებს თანდართული ცნობების მიხედვით: ყურადღებით ამოწმებენ მიწათსარგებლობის შემოწმების ხასიათს, გამოვლენილ დარღვევებს და მათ აღმოსაფხვრელად გატარებულ ზომებს. აღნიშნული და მიწის სხვა სავარგულების მონაცემების შემოწმებისა და ანალიზის შემდეგ ინჟინერ-ინსპექტორები აკეთებენ დასკვნას მიწის ბალანსის, თანდართული განმარტებითი ბარათის, მათში მოცემული წინადადებებისა და მიწის საკადასტრო სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო გამოკვლევებისა და დანერგვა ლიკვიდაციის შესახებ.

§ 8. ოლქის, მხარისა და ავტონომიური რესპუბლიკის მიწის ბალანსის ბალანსის შინაარსი) და ოპერაციული მართვა

ოლქის, მხარისა და ავტონომიური რესპუბლიკის მიწის ბალანსს ადგენენ რაიონების მიწის ბალანსებისა და სხვა დოკუმენტების საფუძველზე იმავე მეთოდითა და ხერხებით, როგორც რაიონის მიწის ბალანსს.

მიწის ძირითადი სააღრიცხვო დოკუმენტია ანგარიშა მიწების არსებობის და მათი კატეგორიების, სავარგულებისა და მიწათმოსარგებლეებზე გადანაწილების შესახებ (ფორმა № 22), აგრეთვე ანალოგიური დოკუმენტები სარწყავი (ფორმა 22) და დაშრობილი (ფორმა 22ბ) მიწების შესახებ. გარდა აღნიშნულისა, ფორმა 22-ს თან ერთვის: ცნობა კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელ ორგანიზაციებში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ცვლილებების შესახებ საკარმიდამო მიწების გარდა; ანგარიში სახელმწიფო საზოგადოებრივი და სხვა სავიროებისათვის მუდმივი და გრძელვადიანი სარგებლობ-სათვის მიწების ამოღების შესახებ; ანგარიში სახელმწიფო, საზოგადოებრივი და სხვა საჭიროებისათვის მიწის მოკლევადიანი (3 წლამდე) სარგებლობისათვის გადაცემისა და სარგებლობის ვადის გასვლის შემდეგ მისი დაბრუნების შესახებ.

რამდენადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სარწყავი მიწების გამოყენებას, მის შესახებ ანგარიშის დანართებია: ცნობები სარწყავი მიწების ფართობებისა და სარწყავი მიწების მელიორაციული მდგომარეობის შესახებ. ეს დოკუმენტები გამოიყენება სარწყავი ფართობების შეფასებისა და მათი რაციონალურად გამოყენების ღონისძიებების გატარების საქმეში.

დაშრობილი მიწებ-ს ანგარიშს ერთვის ცნობა დაშრობილი მიწების საერთო ფართობების ცვლილებებისა და დაშრობილი მიწების მელიორაციული მდგომარეობის შესახებ. ჩვენი რესპუბლიკისათვის ამ უკანასკნელს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც დაშრობილ ფართობებში ხშირია მათი ხელახლა დაჭაობებისა და სხვა შემთხვევები, რაც დეტალურად უნდა იქნეს შესწავლილი ყველა კონკრეტული შემთხვევისათვის შესაბამისი ღონისძიებების დასახვის მიზნით.

ოლქის, მხარის და რესპუბლიკის მიწის ბალანსს ადგენს შესაბამისი სოფლის მეურნეობის განყოფილება და მას თან ურთავს ტერიტორიულად შექავალი ყველა ადმინისტრაციული რაიონის მიწის ბალანსს. ჩამოთვლილი დოკუმენტების ფორმები საერთო-საკავშიროა და დამტკიცებულია ასრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან შეთანხმებით.

ყოველ ხუთ წელში ერთხელ დგება სრული ანგარიში, რომელშიც, ზემოთ ჩამოთვლილი მაჩვენებლების გარდა, მოცემულია ცნობები ტერიტორიის რელიეფის, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ხარისხობრივი მდგომარეობის, ნიადაგების მექანიკური შედგენილობის, ეროზიის, მკვანახობის, დაჭაობების, ბიციობიანობის, გრუნტის წყლის დგომის სიღრმისა და სხვა მაჩვენებლების მიხედვით.

აღნიშნულ დოკუმენტებთან ერთად მიწის ბალანსს თან ერთვის ვრცელი განმარტებითი ბარათი. ამ უკანასკნელში დაწვრილებითაა აღწერილი ის ცვლილებები, რომლებმაც ასახვა ვერ ჰპოვა ბალანსის დანარჩენ დოკუმენტაციაში. განმარტებითი ბარათი იძლევა სრულ სურათს ამ ცვლილებების კანონიერების, მათი გამომწვევი მიზეზების ხასიათისა და აღმოსაფხვრელად გატარებული ღონისძიებების შესახებ.

განმარტებით ბარათში განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი ოლქის, რესპუბლიკის და ცალკეული რაიონის ადმინისტრაციული საზღვრების ცვლილებებისა და ტერიტორიის შემცირების საკითხების ანალიზს. გარდა ამისა, განმარტებით ბარათში მოცემულია: სახნავი მიწების გამოყენების, ნათესი ფართობების შედგენილობის, ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარების საჭიროება და ა. შ. სარწყავი და დაშრობილი მიწების გამოყენებისა და მათი გამოუყენებლობის შემთხვევაში იმ მიზეზების შესახებ, თუ რამ გამოიწვია ეს; ნასეენი მიწებისათვის მითითებული უნდა იქნეს, რომელი ფართობები იქნება ათვისებული ახლო მომავალში; გარე მიწათსარგებლობის დახასიათება მიწის გამოყენებაში არსებული ნაკლოვანებები და მათ აღმოსაფხვრელად გატარებული და გასატარებელი ღონისძიებები. მათგან მიღებული ეფექტი და შემდგომი გაუმჯობესების ზეგები; მიწის კადასტრის შესადგენად საჭირო ჩასატარებელი სავსელე და კამერალური სამუშაოების მიმდინარეობა და დაჩქარების ღონისძიებანი.

განმარტებით ბარათს თან ერთვის ზემოთ განხილული საკითხების დამადასტურებელი ტექსტობრივი და გრაფიკული მასალები.

მთელ ამ დოკუმენტაციას უყრიან თავს და ანგარიშის სახით შეკრულს დადასტურების შემდეგ შესაბამისი რაიონული აღმასრულებელი კომიტეტები ან ოლქების (მხარეების) მინისტრთა საბჭოები გზავნიან რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროში ან სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტში.

§ 4. მიწის საშემფასებლო სამუშაოები ოლქსა (მხარესა) და რესპუბლიკაში

ოლქი (მხარე) და რესპუბლიკა მნიშვნელოვანი რგოლია, რაც განსაზღვრავს მიწის საკადასტრო საქმიანობის არსსა და მეთოდებს. აღნიშნული ნ. კინკარაული

შნულ ერთეულებში მიწის შეფასების საფუძველია რაიონის მიწის კადასტრის მონაცემები. სამუშაოებს, როგორც რაიონის მიწის კადასტრში, აწარმოებენ საშემფასებლო რაიონების მიხედვით ტიპობრივად შერჩეული საწარმოების მათემატიკურ-სტატისტიკური აღრიცხვის მეთოდებითა და ხერხებით. მათი სახეები და ეტაპები სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ანალოგიურია: მოსამზადებელი სამუშაოებით იწყება და მომხმარებელზე საშემფასებლო დოკუმენტებით მთავრდება.

მიწის რაოდენობისა და ხარისხის შესახებ ყოველგვარ ცნობას იღებენ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მიწის საკადასტრო წიგნებიდან. ნიადაგებისა და ბუნებრივი საკვები სავარგულების შესახებ მონაცემებს იღებენ გამოკვლევების დოკუმენტებიდან. პირველადი ინფორმაციის დამუშავების შედეგად იქმნება ძირითადი დოკუმენტაცია საშემფასებლო სამუშაოებისათვის. მათ რიცხვში ნიადაგების სისტემატიკური სია, ნიადაგების სახესხვაობების დახასიათება, მიწის ფონდებისა და ნათესი ფართობების სტრუქტურა, მოსავლიანობების, დანახარჯებისა და ფონდურუნველყოფის მაჩვენებლები. ნიადაგების სისტემატიკური სიის საფუძველზე ანგარიშობენ საშუალო მაჩვენებლებს ნიადაგების საშემფასებლო ჯგუფებისათვის. მათი განსაზღვრისათვის დარაიონება ხორციელდება იმავე მეთოდებით, რაც ზემოთ გვქონდა განხილული.

საშემფასებლო მაჩვენებლების განსაზღვრის შემდეგ მიწების ეკონომიკური შეფასება აქაც ორ აპაქტში ხორციელდება. როგორც სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მიწის კადასტრის დროს. ამოსავალი მაჩვენებლების გაანგარიშება და სკალების შედგენასთან დაკავშირებული ყოველგვარი სამუშაო სრულდება ელექტრონულ-გამომთვლელი ტექნიკის გამოყენებით. შეფასება წარმოებს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სახეების მიხედვით. ამასთან, მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწები და ბუნებრივი საკვები სავარგულების იმავე მეთოდებით ფასდება, როგორც რაიონებსა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში.

მიწების საშემფასებლო ძირითადი კრიტერიუმების მოსავლიანობის მთლიანი პროდუქციის, დანახარჯების, ფონდუკუვებისა და დიფერენციული შემოსავლის განსაზღვრა ზემოთ განხილული მეთოდებითა და ხერხებით წარმოებს. ამის შემდეგ დგება შეფასების სკალები შეფარდებით სიდიდეებში, ბალებში. დამამთავრებელი ეტაპია საშემფასებლო დოკუმენტაციის გაფორმება, დამტკიცება და გაცემა. ყველაშასალას შესაბამისი ფორმების მიხედვით შევსებულს და გაფორმებულს იხილავენ სპეციალური საოლქო (სამხარეო), რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოები ან კომისიები, რის შემდეგ ისინი გადაეცემა მომ-

ხმარებლებს. საწარმოების, რაიონებისა და საოლქო დანაყოფების მიხედვით გაიცემა შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში: სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ანსების მიხედვით მიწების საერთო შეფასების სკალები; სახნავისა და მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწების კერძო შეფასების სკალები; სახნავის, მრავალწლიანი ნარგავების, სათიბების, საძოვრების და მთლიანად სასოფლო-სამეურნეო სავარგულების საერთო შეფასების უწყისები; სარწყავი და დაშრობილი მიწების საერთო შეფასების უწყისები; სახნავისა და მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწების კერძო შეფასების უწყისები; საწარმოთა მიწის საშემფასებლო რუკა: გარდა აღნიშნულისა, საწარმოთა შიგნითა მრავალწლიანი მიწების შეფასების დროს დამატებით გაიცემა; სასოფლო-სამეურნეო სავარგულების საერთო შეფასების უწყისი; სახნავისა და მრავალწლიანების კერძო შეფასების უწყისები ქვედანაყოფების მიხედვით: კონტურების მიხედვით მიწების შეფასების უწყისი, რომელშიც მითითებული უნდა იყოს სასოფლო-სამეურნეო სავარგულის სახე და კონტურის ნომერი.

ადმინისტრაციულ რაიონებში გაიცემა: მიწების საერთო შეფასების სკალები სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სახეების მიხედვით; სახნავისა და მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწების კერძო შეფასების სკალები; სახნავის, მრავალწლიანი ნარგავების, სათიბის, საძოვრების და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების საერთო შეფასების უწყისი. სახნავისა და მრავალწლიანი ნარგავების კერძო შეფასების უწყისები; მიწების შეფასების კარტოგრამები (საშემფასებლო რუკა) განმარტებითი ბარათი.

ოლქსა (მხარესა) და რესპუბლიკაში გაიცემა: მიწების საერთო შეფასების სკალები სავარგულების მიხედვით; სახნავისა და მრავალწლიანი ნარგავების კერძო შეფასების სკალები; სახნავის, მრავალწლიანი ნარგავების, სათიბების, საძოვრების და სულ სავარგულების საერთო შეფასების უწყისები საწარმოებისა და რაიონების მიხედვით; სახნავისა და მრავალწლიანი ნარგავების კერძო შეფასების სკალები; სახნავის, მრავალწლიანი ნარგავების, სათიბების, საძოვრების და სულ სავარგულების საერთო შეფასების უწყისები საწარმოებისა და რაიონების მიხედვით; სახნავისა და მრავალწლიანი ნარგავების კერძო შეფასების უწყისები საწარმოებისა და რაიონების მიხედვით; დიფერენციალური შემოსავლის მიხედვით საერთო და კერძო შეფასების კარტოგრამები (საშემფასებლო რუკები) განმარტებითი ბარათი.

მოკავშირე რესპუბლიკებისა და საბჭოთა კავშირის მიწის კადასტრი

§ 1. მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კადასტრის შინაარსი და ამოცანები

სახალხო მეურნეობის დაგეგმვა და მართვა მოკავშირე რესპუბლიკების მიერ ხორციელდება მათ ტერიტორიაზე ქვეყნის ერთიანი კანონებიდან გამომდინარე, რესპუბლიკების მთავრობები მიწას გამოყოფენ სხვადასხვა დანიშნულებიანათვის და კონტროლს უწევენ როგორც მიწაზე სახელმწიფო კანონმდებლობის დაცვას, ისე მიწათმოსარგებლეთა უფლება-მოვალეობათა შესრულებას. ეს კი აუცილებლად მოითხოვს მიწის კადასტრის შედგენას რესპუბლიკების მიხედვით, რაც მიწის ერთიანი ფონდის მართვისა და მისი გამოყენების გაუმჯობესების უტყუარი პირობაა.

რესპუბლიკის მიწის კადასტრს იმავე მეთოდებით, პრინციპებით და ხერხებით ადგენენ, როგორც ცალკეული სასოფლო-სამეურნეო საწარმოსა და რაიონის მიწის კადასტრს. მის შედგენას ხელმძღვანელობენ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიწათსარგებლობის, მიწათმოწყობისა და მიწების დაცვის სამმართველოები, ხოლო სამუშაოებს ატარებენ რესპუბლიკური მიწათმოწყობის საპროექტო ინსტიტუტები სხვა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მონაწილეობით.

რესპუბლიკების მიწის კადასტრის შედგენის დროს, უპირველეს ყოვლისა, აკონტროლებენ აღრიცხვის ფაქტობრივ მდგომარეობას, რისთვისაც იყენებენ არსებულ მასალებს და დოკუმენტებს. ცვლილებების შემთხვევაში არკვევენ მის გამომწვევ მიზეზებს და სავსე პირობებში ანგარიშობენ ახალი მასალების შედგენას. ამ მიზეზით სამმართველოს სპეციალისტები საანგარიშო წლის განმავლობაში ანხორციელებენ კონტროლს ცალკეულ საწარმოთა ფონდის აღრიცხვისა და გამოყენების მდგომარეობაზე და შესაბამისად, დოკუმენტაციის შედგენაზე.

გარდა აღნიშნულისა, სამმართველოები მიწის საკადასტრო სამუშაოების ჩასატარებლად იღებენ და ამოწმებენ რაიონების და ავტონომიური რესპუბლიკების საანგარიშო მონაცემებს. აღნიშნული სამუშაო-

ოების წარმოების მეთოდები და ხერხები ისეთივეა, როგორც რაიონებში ცალკეულ საწარმოთა მიწის აღრიცხვის მასალების მიღებისას. შემოწმება და მიღება ხდება სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, აგრეთვე სარწყავი და დაშრობილი მიწების მიხედვით. შემოწმება და მიღება ითვალისწინებს მიწების ხარისხობრივი მდგომარეობისა და შეფასების მაჩვენებლების ერთიან სისტემაში მოყვანას. ამ მასალების საფუძველზე ადგენენ რესპუბლიკის მიწის ფონდის დოკუმენტაციას არსებული ფორმების მიხედვით, რომელშიც სრულყოფილადაა მოცემული მიწის ფონდის მდგომარეობა და განაწილება მიწების კატეგორიების მიწათმოსარგებლეებისა და სავარგულების შესაბამისად.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის № 501 დადგენილების საფუძველზე მიწის კადასტრის შედგენის სამუშაოებს რესპუბლიკებში ხელმძღვანელობს სოფლის მეურნეობის სამინისტროში ჩამოყალიბებული მიწების აღრიცხვა-შეფასების განყოფილება (სამმართველო). ის ხელმძღვანელობს მიწათსარგებლობის რეგისტრაციას, ეხმარება მიწათმოწყობის სამსახურს ნიადაგების ბონიტრებისა და მიწების ეკონომიკური შეფასების ინსტრუქცია-მეთოდოლოგიის შემუშავებასა და დახვეწაში. კონტროლს უწევს ნიადაგების აგრომელიორაციული და გეობოტანიკური კვლევის სამუშაოებს, რომ ისინი აკმაყოფილებდნენ მიწის კადასტრის მოთხოვნებს. ამ მიზნით რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მთავარ სამმართველოში ყოველ 15—17 აღმინისტრაციულ რაიონზე დაშვებულია ერთი ინსპექტორის შტატი, ხოლო საოლქო დაყოფის პირობებში — ყოველ 10—12 ოლქზე.

ყოველი წლის 1 თებერვალს და 1 აგვისტოს რესპუბლიკების მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის სამმართველოები ადგენენ ანგარიშს მიწების გამოყენების შესახებ, ხოლო არა უგვიანეს 20 იანვრისა სამინისტროს კოლეგიაზე დამტკიცებულ მიწის ბალანსს წარადგენენ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროში შესაბამის დოკუმენტაციასთან ერთად. მასში შედის მიწების აღრიცხვისა და განაწილების ანგარიში სავარგულებისა და მიწათმოსარგებლეების მიხედვით, აგრეთვე ანალოგიურ დოკუმენტებში სარწყავი და დაშრობილი მიწებისათვის — ცალ-ცალკე. მას თან ერთვის ცვლილებების ანალიზი და მათი დასაბუთება, რაც განმარტებითი ბარათის სახით დგება. თვალსაჩინოებისა და მეტი სარწმუნოებისათვის ანგარიშს ტექსტობრივ ნაწილთან ერთად თან ერთვის დიაგრამები, კარტოგრაფიული მასალა და სხვა გრაფიკული დოკუმენტაცია.

მოკავშირე რესპუბლიკების ბალანსებს ამოწმებს და აკონტროლებს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიწათსარგე-

ბლობის, მიწების აღრიცხვისა და დაცვის მთავარი სამმართველო და-
ზუსტების შემდეგ ისინი ედება საფუძვლად სსრ კავშირის ერთიან მი-
წის ბალანსს.

ტ ბ რ ი ლ ი 9

:ხსრ კავშირის მიწის ფონდი და მისი განაწილება სავარგულებისა და მიწათმოსარგე-
ბლებზე. მისწვლით 1950 წ. 1 ნოემბრის მდგომარეობით

(მილ/კა)

1	2 მიწის ფონდი სულ	3 სულ, სას. სამ. სა- მეურნეო (ს. ხეუ- ბრე) და სხვა სა- მეურნეო მიწები, სა- საფარი, ნახე. საფ. სამ. ფონდი	4 მათ შორის		
			4 სახნავი	5 სათიბი	6 სამო- ვარი
სულ მიწა (ტერიტორია)	2227,5	606,3	27,1	41,3	332,4
სოფლის მეურნეობის საწარმოებისა და ორგანიზაციების სარგებლობაში	1051,2	553,6	226,4	35,0	286,8
სულ კოლმეურნეობათა მიწები	243,3	175,3	102,8	11,5	59,1
მ.შ.					
საზოგადოებრივი სარგებლობის მიწები (გრძელვადიანი სარგებ- ლობის, სახელმწიფო მარაგისა და ტყის ფონდის მიწების ჩათვლით)	247,0	171,1	55,3	11,3	59,1
კოლმეურნეთა სარგებლობის სა- კარმიდამო მიწა	4,0	3,8	3,2	0,2	—
კოლმეურნეობათა მიწა მუშა- მოსამსახურეთა პირად სარგებლო- ბაში	0,39	0,35	0,29	0,02	—
სამეურნეობათშორისო და სხვა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზა- ციების	4,0	2,0	0,7	0,0	1,2
სამკათა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო საწარმოთა მიწები (სატყეო ორგანიზაციების გრძე- ლვადიანი მიწების ჩათვლით)	794,9	372,5	120,2	23,1	226,5
მუშა-მოსამსახურეთა პირადი სარ- გებლობის მიწების (მუშა-მოსამ- სახურეთა მიწების ჩათვლით)	4,0	3,8	2,7	0,4	—
სახელმწიფო მარაგის და სატყეო ორგანიზაციის მიწები (კოლმეურნეთა და ს/მ მიწების გარდა)	1112,0	34,1	0,3	5,3	28,4
სხვა მიწათსარგებლობა	63,3	18,6	0,4	1,0	17,2

§ 2. სსრ კავშირის მიწის ფონდის მდგომარეობის შესახებ

სსრ კავშირის მიწის ბალანსი შედგება მიწების აღრიცხვისა და განაწილების ანგარიშის (ფორმა № 22), სარწყავი მიწებისა და დაშრობილი მიწების შესაბამისი ანგარიშების (ფორმა 22 და 22), აგრეთვე თანდართული განმარტებითი ბარათისაგან, რომელშიც დაწვრილებითაა გაანალიზებული ქვეყნის მიწის ფონდის აღრიცხვა-გამოყენების საკითხები; ცალკეულ რესპუბლიკაში მიწის გამოყენებაში არსებული ნაკლოვანებები და დასახული ღონისძიებანი მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და სახელმწიფო მიწის კადასტრის შესადგენად. ამის შემდეგ, რაც ანგარიშს დაამტკიცებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლეგია, იგი არა უგვიანეს საანგარიშო წლის 30 აპრილისა, ეგზავნება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსა და საგეგმო კომიტეტს.

საბჭოთა კავშირს უკავია მთელი ხმელეთის ერთი მეექვსედი და მსოფლიოში მიწის რესურსებით პირველ ადგილზე დგას. მისი ტერიტორია 2227,5 მლნ/ჰა-ია, რომლის 47,2 სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს უჭირავს, ხოლო 42,9% ტყის ფონდის მიწებს. სასოფლო-სამეურნეო სავარგული ქვეყნის მიწის ფონდის 27,2%, ხოლო სახნავი 10,2% (ცხრილი 9). მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით ქვეყნის მიწის ფონდი არათანაბრადაა განაწილებული. რსფსრ-ს უჭირავს მთლიანი მიწის ფონდის 76,7%, რომლის სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა სავარგულებს უჭირავს 39,6% და სახნავს—59,1% (ცხრ. 10). აღნიშნული მაჩვენებლები საქართველოსათვის შესაბამისად 0,3: 06.04%-ია. გამომდინარე აქედან, ჩვენი რესპუბლიკა, სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან შედარებით, რთულ პირობებშია.

ქვეყნის ძირითადი მიწათმოსარგებლები კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობებია. კოლმეურნეობებს უჭირავს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 49,7%, მაშინ, როდესაც საბჭოთა მეურნეობების სარგებლობის მიწები 30,9%-ია. საქართველოში, შესაბამისად, ეს მაჩვენებლები 48,4 და 45,2%-ის ტოლია.

ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების ცალკეულ ეტაპზე მიწის ფონდის განაწილება მოსარგებლეთა ცალკეული კატეგორიის მიხედვით იცვლებოდა. ძირითადად ისინი დაკავშირებული იყო ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღდგენის, კოლექტივიზაციის, ინდუსტრიალიზაციის, სოციალიზმის სრული გამარჯვებისა და კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ეტაპებთან. ცვლილებები მიმდინარეობს თანამედროვე ეტაპზე და შემდგომშიც ასეთი პროცესი გაგრძე-

სულ მიწის ფართობი და ხასოფლო-სამეურნეო სავარგულების განაწილება
 შოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით 1980 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით
 (მლნ/ჰა-ობით)

	მიწის ფართობი სულ (ტყეოვანი)	მიწის ფართობი სს, სპ, სწ, რ. და ორჯან საჩვენებლო- ბაში	სულ სსს, სპ, სწ, რ. სს, სპ, სწ, რ. და ორჯანი, სარგებ- ლობაში	მთ შორის		
				სახნავი	სათიბი	სამრ- ვარი
სსრ კავშირში	2227,5	1051,2	553,6	226,4	35,0	286,8
რსფსრ	1707,5	657,8	219,0	133,9	24,5	59,3
უკრაინის სსრ	67,4	48,8	42,1	34,2	2,1	4,6
ბელარუსიის სსრ	20,7	12,7	9,6	6,2	1,5	1,8
უზბეკეთის სსრ	44,3	32,9	26,3	4,1	0,1	21,7
ყაზახეთის სსრ	271,7	212,9	153,3	35,4	5,4	152,2
საქართველოს სსრ	7,0	4,6	3,1	0,8	0,1	1,8
აზერბაიჯანის სსრ	8,7	6,7	4,1	1,3	0,1	2,1
ლიტვის სსრ	6,5	4,6	3,6	2,5	0,4	0,7
მოლდავეთის სსრ	3,5	2,9	2,6	1,8	0,0	0,3
ლატვიის სსრ	6,4	3,9	2,5	1,7	0,2	0,5
ყირგიზეთის სსრ	19,4	16,0	10,4	1,3	0,2	8,5
ტაჯიკეთის სსრ	14,3	9,5	4,2	0,8	0,0	3,3
სომხეთის სსრ	3,0	2,3	1,5	0,5	0,1	0,6
თურქმენეთის სსრ	48,8	33,0	30,3	0,4	0,0	29,2
ესტონეთის სსრ	4,5	2,6	1,5	1,0	0,3	0,2

ხასოფლო-სამეურნეო სავარგულების განაწილება მოსარგებლებს შორის
 შოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით 1980 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით
 (მლნ/ჰა-ობით)

1	2	3	მთ შორის		6	7
			4	5		
სულ სავარგულები (სახნავი, ნა- სენი, მრავალწლიანი ხარგები სამეურნეო სოფლის მეურნეობის საწარმოების სარგებლობაში	553,6	175,3	171,1	3,84	382,5	3,74
კოლმეურნეობათა მიწები	219,0	88,9	87,4	1,26	127,8	2,02
საზოგადოებრივი სარგებ- ლობის მწეს, ს. ტყეო მე- ურნეობის და მთავის მი- წებით						
საკაშიდამო მწები კოლ- მეურნეობათა სარგებლო- ბაში						
მეურნეობათა და სხვა სხულწი- ფო საწარმოთა მიწები სატყეო მიწის ფონდის და სხელ. მიწა- ვის მიწების ჩათვლით						
მუშა-მოსამზახურეთა პირადი სა- კუთრების მიწები კოლმეურნეო- ბათა მიწების გარდა						

1	2	3	4	5	6	7
უკრაინის სსრ	42,1	31,3	29,5	1,69	10,1	0,63
ბელორუსიის სსრ	9,6	6,0	5,7	0,28	3,4	0,28
უზბეკეთის სსრ	26,3	2,9	2,8	0,08	23,2	0,08
ყაზახეთის სსრ	19,3	14,8	14,8	0,03	17,3	0,18
საქართველოს სსრ	3,1	1,5	1,4	0,09	1,4	0,08
აზერბაიჯანის სსრ	4,1	1,8	1,7	0,03	2,2	0,06
ლიტვის სსრ	3,6	2,4	2,3	0,14	1,1	0,13
პოლდავეთის სსრ	2,6	1,4	1,3	0,09	0,8	0,08
ლატვიის სსრ	2,5	1,3	1,2	0,05	1,1	0,07
ყირგიზეთის სსრ	10,1	5,0	5,0	0,03	4,9	0,04
ტაჯიკეთის სსრ	4,2	1,2	1,2	0,02	2,5	0,02
სომხეთის სსრ	1,3	0,4	0,4	0,01	0,9	0,03
თურქმენეთის სსრ	20,2	15,8	15,8	0,02	14,1	0,00
ესტონეთის სსრ	1,5	0,7	0,7	0,02	0,7	0,04

ცხრილი 12

ხანაების გადანაწილება მიწათმოსარებლების მიხედვით შოკავშირე რესპუბლიკებში 1980 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით (მლნ/ჰა-ობით)

	სულ სახაეი სას. ს.მ. საწარმო-თა და ორგანიზაციის სარგებ-ლობაში	მათ შორის		
		კოლმეურნე-თა სახაეი საკარნიდამოს ჩათვლით ს.მ. ტყეო და მ.რ.აგე მიწების ჩათვლით	აქლდე სახნა-ვე საზოგადოებრივ წარ-მოებაში (სა-ტყეო და მ.რ.აგის მიწებ-ის ჩათვლით)	მეურნეობებ-სა და სხვა სახელმწიფო მეურნეობათა (გრძელვადი-ანი სატყეო ორგანიზაციე-ბის ჩათვლით).
სსრკ	226,4	102,83	59,28	123,26
რსფსრ	133,9	60,43	50,44	71,81
უკრაინის სსრ	34,2	45,76	24,16	7,94
ბელორუსიის სსრ	6,2	3,81	3,55	2,19
უზბეკეთის სსრ	4,1	1,54	1,47	2,42
ყაზახეთის სსრ	35,4	4,23	4,20	31,07
საქართველოს სსრ	0,8	0,15	0,30	0,34
აზერბაიჯანის სსრ	1,0	0,76	0,74	0,53
ლიტვის სსრ	2,5	1,66	1,54	0,71
პოლდავეთის სსრ	1,8	1,09	1,02	0,47
ლატვიის სსრ	1,7	0,90	0,86	0,76
ყირგიზეთის სსრ	1,3	0,62	0,59	0,46
ტაჯიკეთის სსრ	0,8	0,39	0,37	0,39
სომხეთის სსრ	0,5	0,17	0,17	0,28
თურქმენეთის სსრ	0,9	0,67	0,66	0,19
ესტონეთის სსრ	1,0	0,45	0,43	0,51

ლდება სახალხო მეურნეობის საერთო სტრუქტურის შესაბამისად, რაც კანონზომიერი მოვლენაა.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ხვედრითი წილი სხვადასხვა ცალკეულ რესპუბლიკაში. დიდი ხვედრითი წილით ხასიათდება: ყაზახეთი (82,2%), მოლდავეთი (16,4%), ლიტვის (55,4%). უკრაინის (69,7%), საქართველოს მიწის ფონდში კი სასოფლო-სამეურნეო სავარგული 44,3%-ია ჩვენს ქვეყანაში სახნავი მთელი ფონდების 10,2%-ია. ეს მაჩვენებელი უკრაინაში 56,6, მოლდავეთში—52,9, საქართველოში 11,4%-ია (ცხრილი 11) და ა. შ.

სახნავი მიწების ძირითადი მოსარგებლები კოლმეურნეობებია. ქვეყნის მასშტაბით მათ მთელი სახნავის 45,4% უჭირავს. საქართველოში ეს მაჩვენებელი 43,8%-ია (ცხრ. 12). მთელი სახნავის 72,9% მოდის რსფსრ და უკრაინის მოკავშირე რესპუბლიკებზე, 15,6% კი—ყაზახეთის რესპუბლიკაზე. დანარჩენი რესპუბლიკების ხვედრითი წილი მხოლოდ 11,5%-ია.

ქვეყნის სახნავი მიწის 95,7% ნათესებითაა დაკავებული. აქედან მთელი ნათესის 97,2% კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და იმ სამეურნეობათაშორისო ორგანიზაციებს უჭირავს, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას აწარმოებენ. ნათესი ფართობების ძირითადი ნაწილი (58,3%) მარცვლეულ კულტურებს უჭირავს (ცხრ. 13). მარცვლეულ კულტურებში კი ძირითადია სავაზაფხულო

ც ხ რ ი ლ ი 13

ნათესი ფართობები მეურნეობათა კატეგორიების მიხედვით 1980 წელს
(მლნ/ჰა-ობით)

	სულ ნათესი ფართობი	მათ შორის			
		მარცვლეული კულტურები	ტექნიკური კულტ.	კარტოფილი და ბოსტნეული	საკვები კულტურები
სულ მეურნეობათა კატეგორიები მ. შ.	217,34	126,61	14,61	9,22	66,90
კოლმეურნეობები, სამეურნეობათაშორისო საწარმოები, მეურნეობები და სხვა სახელმწიფო მეურნეობები	211,18	145,69	14,53	4,91	66,05
აქედან: კოლმეურნეობები და სამეურნეობათაშორისო ორგანიზაციები	95,95	55,19	10,12	2,45	28,19
მეურნეობები და სხვა სახელმწიფო საწარმოები	115,23	70,50	4,41	2,46	37,86
მოსახლეობის პირად და დამხმარე მეურნეობებში	6,16	0,92	0,08	4,31	0,85

ნათესი ფართობები
(ყველა კატეგორიების მეურნეობებში)
1980 წლის მდგომარეობით

სულ ნათესი ფართობი	217,3
მარცვლეული კულტურები	126,6
საშეშოდგომო მარცვალთანები	32,7
მ. შ.	
ხორბალი	22,6
კვავი	8,6
ქერი	1,6
საგაზაფხულო მარცვლოვანები	93,9
მ. შ.	
ხორბალი	38,9
სიმინდი მარცვლად	3,0
ქერი	30,1
შვრია	11,8
ფეტვი	2,9
წიწიბურა	1,7
ბრინჯი	0,7
მარცვლოვან-პარკოსანი	4,7
ტექნიკური კულტურების ნათესი ფართობები	14,6
მ. შ.	
ბამბა	3,15
შაქრის კარხალი	3,71
სელი	1,12
სანიფი	0,13
ზეთოვანი კულტურები	5,45
მ. შ. მზესუმზირა	4,25
კარტოფილის და ბოსტნეული	9,2
ბალჩეულის ნათესები	
მ. შ.	
კარტოფილი	6,9
ბოსტნეული	1,7
საკვები კულტურების	
ნათესი	66,9
მ. შ.	
მრავალწლიანი ბალახები (სათიბი ფართობის გასული	
წლების და მიმდინარე წლის უსაფარო ნათესი)	26,2
ერთწლიანი ბალახები (მწვანე საკვებად, ნათესი, სა-	
შეშოდგომო ნათესების ჩათვლით)	17,4
სიმინდი სილოსად და მწვანე საკვებად	16,9
საკვები ძირბენები და საკვები ბალჩეული	1,9
წმინდა ანეულის ფართობი	13,8

(აბსოლუტურ სიდიდეებში)

№ რიგ.	კულტურების დასახელება ეკონომიკური მაჩვენებლებში	სახნავი	სომნი	ცენტრის	თამბაქო	ბოსტნეული	ბალი	ს.მ. მარცხენა	ჩაი	კენკა
	მშ	572								
	მოს	—	15,7	101,7	14,2	111,7	33,3	17,5	60,9	52,6
	დნანარეების უკუგება	1,61	0,98	3,12	1,49	2,21	2,09	1,98	29,3	1,68
	დღვერენიე-ლი შემოსავალი	5	—192	5365	10,15	1208	254	92	5973	437

მარცვლეულის ნათესები, კერძოდ, საგაზაფხულო ხორბალი მთელი ნათესის 17,9, ხოლო მთლიანად ხორბლის ნათესებს 28,3% (ცხრილი 14), საკვებ კულტურებს 46,9% და ტექნიკურ კულტურებს 6,7% უჭირავს.

საქართველოს მიწის ფონდი 7,0 მლნ/ჰა, საიდანაც საზოგადოებრივი სარგებლობის სახნავი 666,1 ათას ჰა. მრავალწლიანი ნარგავები 291,0 ათას ჰა, სათიბი 152,4, საძოვარი 1653,9 ათას ჰა. (ცხრილი 15). ძირითადი მიწათმოსარგებლენი სასოფლო-სამეურნეო საწარმოებია, რომლებსაც მთელი მიწის ფართობის 66,5, სახნავის 98,9 და სასოფლო-სამეურნეო სავარგულის 78,5% უჭირავს. რესპუბლიკის მიწის ფონდის განაწილება ნაჩვენებია მე-9 სქემით. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მიწის ფონდის რაციონალურად გამოყენების ღონისძიებათა დასახეისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არა მარტო რაოდენობრივ აღრიცხვასა და გადანაწილების ანალიზს, არამედ მათი ხარისხობრივი მდგომარეობის შესწავლასა და შეფასებას.

საქართველოს სსრ მიწის ფონდის ნიადაგური და სხვა გამოკვლევებით დაგეგმილია, რომ გამოკვლეული ფართობების 51,6% განლაგებულია 0—2, 25,5%, 2—5, 13,9%; 5—10; 0;9% 20-ზე ზევით. მრავალწლიანი ნარგავები შესაბამისი ტრადიციების მიხედვით 56,7, 20,8, 10,7, 6,3, 3,1 და 2.4%-ია. სათიბ-საძოვრების ნახევარზე მეტი კი განლაგებულია 10-ზე მეტი დაქანების ნაკვეთებზე.

ისიც ცნობილია, რომ რესპუბლიკა მთა-გორიანი რელიეფის გამო ეროზიული პროცესების გავლენას განიცდის, კერძოდ, ქარისმიერ და წყლისმიერ ეროზიას 311 ათასი ჰა სახნავი, 50 ათასი ჰა სათიბი და 496 ათასი ჰა საძოვარი. ამის გარდა, რესპუბლიკაში დიდი რაოდენობითაა მეწვერებით, ხრამებითა და სხვა ბუნებრივი მოვლენებით დაზიანებული მიწები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მიწის ფონდის აღრიცხვა და მიწის გადასტრის შედგენა განსაკუთრებულ მიდგომას მოითხოვს. საშემფასებლო რაიონების შესაბამისად სახნავი მიწების შეფასების დროს ნიადაგების კვლევისა და ძირითადი ეკონომიური მაჩვენებლების გარდა აუცილებელია მიწების ტექნოლოგიური პირობებიდან გამომდინარე შესწორების კოეფიციენტების გამოყენება. ამ მეთოდის მთლიანი და კერძო შეფასების მაჩვენებლების გაანგარიშება მოცემულია მე-16 ცხრილში, შეფასების მაჩვენებლები გაანგარიშებულია მთლიანად სახნავისა და ცალკეული კულტურისათვის. ამასთან, ისინი მოცემულია აბსოლუტურ სიდიდეებში.

საშემფასებლო რაიონების მონაცემებზე დაყრდნობით და ადმინისტრაციული რაიონების შეფასების შედეგებით სახნავისა და გაბატონებული მრავალწლიანი ნარგავების შეფასება მოცემულია მე-17 და მე-18 ცხრილებში. შეფასების მაჩვენებლები გაანგარიშებულია როგორც აბსოლუტურ სიდიდეებში, ისე მალობით. აბსოლუტურ სიდიდეებად აღებულია მთლიანი პროდუქცია და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა.

ცხრილი 17

ქაზეთის საშემფასებლო რაიონი

	სახნავი		ვენახი	
	მთლიანი პროდუქ.	ბალი	მოსავლიანობა	ბალი
1. ახმეტა	591	42	61,6	88
2. გურჯაანი	580	41	68,7	84
3. ყვარელი	453	33	66,2	95
4. ლაგოდეხი	720	51	61,0	87
5. სონალი	852	60	66,5	95
6. თელავი	962	68	63,1	20
7. წითელი წყარო	807	57	62,8	90

საქართველოს სსრ ადმინისტრაციული რაიონების საშემფასებლო უწყისების შედგენის საფუძველია ცალკეული სასოფლო-სამეურნეო საწარმოების შესაბამისი მაჩვენებლები. რესპუბლიკის მიწის ფონდის საერთო და კერძო შეფასების უწყისების შედგენის ამოსავალ სიდიდეებად იღებენ ადმინისტრაციული რაიონების მონაცემებს.

რესპუბლიკის მიწების შეფასების შედეგები განმარტებით ბარათთან ერთად წიგნის სახით აკინძული ეგზავნება სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სხვა რესპუბლიკების შესაბამის დოკუმენტებთან ერთად გამოიყენება სსრ კავშირის სახელმწიფო მიწის კადასტრის შესადგენად.

კოლხეთის დასლობის საშემფასებლო რაიონი

№/№ რგ.		სახევი			ჩაბ
		შოლიანი პროდუქ.	ბალი	მოსავალი	ბალი
1	იბაშა	457	75	62,1	90
2	გვებეკორი	437	71	56,9	83
3	ხუგდიდი	467	76	56,6	83
4	ლანჩხუთი	457	75	58,4	85
5	იახარაძე	463	76	55,2	80
6	სამტრედია	456	74	55,2	80
7	ტყიბული	545	57,1	57,8	80
8	ხობი	435	71	54,8	80
9	წალენჯიხა	459	82	57,7	87
10	წულუკიძე	408	67	57,9	84
11	წყალტუბო	454	74	57,6	86
12	ცხაკიაი	456	75	57,3	84
13	ჩოხატაური	421	69	56,3	82
14	ჩხორწყე	470	77	56,0	82

§ 3. სსრ კავშირის მიწის კადასტრის უინაარსი და ამოცანები

მოკავშირე რესპუბლიკების მიწის საკადასტრო დოკუმენტაციას ამოწმებს და ანალიზს უკეთებს სსრ კავშირის სოფლის სამინისტროს მიწათსარგებლობის, მიწათმოწყობისა და მიწების დაცვის მთავარი სამმართველო. კერძოდ, მიწების აღრიცხვისა და შეფასების სამმართველოს სპეციალისტები. მათი მოვალეობაა აგრეთვე, ქვეყნის (რესპუბლიკების) მიწის კადასტრის წარმოების მეთოდის, ინსტრუმენტარიუმისა და ფორმების შემუშავება, დაზუსტება, დამტკიცება, გამრავლება და მოკავშირე რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის სამინისტროებისათვის დაგზავნა. მეთოდებისა და სხვა დოკუმენტაციის შედგენის სამუშაოებს ასრულებს ცალკეული რესპუბლიკების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, საკავშირო სოფლის მეურნეობის წამყვანი სამეცნიერო ცენტრების ხელმძღვანელობით, ხოლო ამტკიცებს ზემოთ აღნიშნული სამმართველო. ასე დაამუშავეს 1958—1976 წლებში ერთიანი საკავშირო მეთოდის მიწის ეკონომიკური შეფასების შესახებ, რომელიც 1979 წელს გამოიცა და ქვეყნის მასშტაბის სახელმძღვანელო დოკუმენტადაა მიღებული.

საკავშირო-საკადასტრო წიგნების ფორმების დამუშავება 1977.

წლიდან დაიწყო და 1982 წლის 5 მაისს დამტკიცდა მათი ერთიანი ფორმები საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების მიწის საკადასტრო წიგნისა და რაიონის (ქალაქის) სახელმწიფო მიწის საკადასტრო წიგნების სახით. ეს წიგნები რესპუბლიკებში შეარულებული სამუშაოების საშედეგო მაჩვენებლები და ქვეყნის მიწის კადასტრის საფუძველია.

სსრ კავშირის მიწის კადასტრის წარმოება იმავე მეთოდებითა და ხერხებით ხორციელდება, როგორც საწარმოების, რაიონებისა და რესპუბლიკების შესაბამისი დოკუმენტების შედგენა. ქვეყნის მიწის კადასტრის შექმნისად გამოიყენება რესპუბლიკების მიწის კადასტრებთან ერთად მიწების აღრიცხვის მთელი დოკუმენტაცია, რომელსაც სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს უდგენენ. ამასთან, სსრ კავშირის მიწის კადასტრი არ არის ცალკეული რესპუბლიკის მიწის კადასტრის ჯამი, არამედ ის დგება წარმოდგენილი საკადასტრო და სააღრიცხვო დოკუმენტაციის დეტალურად შემოწმების შემდეგ მათი გამოყენებით.

რესპუბლიკების მიწის საკადასტრო და სააღრიცხვო დოკუმენტაციის დეტალური ანალიზის საფუძველზე ადგენენ გამოწვეული ცვლილებების მიზეზებს, მათ სიზუსტესა და კანონიერებას. მასალებსა და დოკუმენტებში არაკანონიერი ცვლილებების გამოვლენისას იღებენ საჭირო ზომებს მათ აღმოსაფხვრელად. მიღებული და დამტკიცებული მასალების საფუძველზე ადგენენ სსრ კავშირის მიწის ფონდის არსებობისა და განაწილების ანგარიშს, მიწის ბალანსს, ცალკე დგება სარწყავი და დაშრობილი მიწების ანგარიშები მათი მელიორაციული მდგომარეობის გათვალისწინებით.

მოკავშირე რესპუბლიკების მიწის ბალანსების მსგავსად საკავშირო მიწის ბალანსი დეტალურად მოწმდება და უკეთდება ანალიზი საანგარიშო პერიოდში მომხდარ ყოველგვარ ცვლილებას ქვეყნის მასშტაბით. ანგარიშის შედეგების დროს ითვალისწინებენ სავარგულების გაუმჯობესებისა და მათი რაციონალურად გამოყენების ღონისძიებებს. მათ შორის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის დადგენილების გატარებას, რაც ქვეყნის მიწის კადასტრის შედგენას გულისხმობს. თავის მხრივ, იგი უზრუნველყოფს სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა, ქვეყნის სასურსათო პროგრამისა და სკკპ ცკ 1982 წლის ნოემბრის დადგენილებების შესრულებას.

მიწის კადასტრის სემუშაოები კაპიტალისტურ და სოციალისტურ ქვეყნებში

§ 1. მიწის კადასტრი. კაპიტალისტურ ქვეყნებში

შრომის დანაწილებისა და სასაქონლო მეურნეობის განვითარების არნახულმა ტემპებმა საფუძველი ჩაუყარა წარმოების კაპიტალისტური წესის განვითარებას. საწარმოო ძალების ზრდამ და შრომის საზოგადოებრივმა დანაწილებამ გააფართოვა საქონელწარმოებისა და მიმოქცევის სფერო, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია ნატურალური მეურნეობის რღვევის პროცესი და წარმოების სპეციალიზაციის გაძლიერება, ამან კი, ყველა ქვეყნის ცალკეულ რეგიონს შორის შექმნა ეკონომიკური ურთიერთობის გაფართოების პირობები და აუცილებლობა.

მიწათმოქმედებაში კაპიტალის შეჭრამ და შემდეგ ამ სფეროს მთლიანად დაუფლებამ მოითხოვა სოფლის მეურნეობის გაძლიერების სისტემების გადასინჯვა, ბურჟუაზიის გამდიდრების მიზნით ზედმეტი პროდუქციის შესაქმნელად. ამ პროცესმა განსაზღვრა მიწის აღრიცხვისა და მიწის კადასტრის შედგენის ხერხებისა და მეთოდების სრულყოფის აუცილებლობა.

მოუხედავად იმისა, რომ კაპიტალიზმის განვითარების ცალკეულ ეტაპზე მიწის კადასტრის შედგენის ხასიათი ზოგჯერ ცვლილებას განიცდიდა, მისი პრინციპები, შედგენის ხერხები და დანიშნულება უცვლელი რჩებოდა. ცალკეულ ქვეყანაში მას ახლაც მეტნაკლებად განსხვავებული მეთოდებით აღგენენ, მაგრამ, მთლიანობაში მიწათმოსარგებლეთა რეგისტრაციის, მიწების აღრიცხვის, მიწების ბუნებრივი და ეკონომიკური აღწერის, მიწის ფართობების დაზუსტების და მიწების საშემფასებლო სკალებს შედგენის სამუშაოებს ვერ გასცილდა და ვერ გახდა წარმოების დაგეგმვისა და მართვის ძირითადი ბერკეტი. ამიტომ შეზღუდულია შეფასების მაჩვენებლების მოპოვებისა და გამოყენების სფეროებიც. მიწების შეფასებისათვის მათი კვლევის დროს ძირითადია ნიადაგების დახასიათება და სამეურნეო საქმიანობაში გამოყენების ხასიათის დადგენა, ხოლო სკალების შედგენა წარმოებს განსხვავებული ხარისხის ნიადაგიდან მიღებული შემოსავლის გამოყენებით.

კაპიტალისტურ ქვეყნებში თანამედროვე ეტაპზეც მიწის კადასტრი. ნ. კინკარაული .

რის ამოცანები უცვლელი დარჩა და, ძირითადად, მიწათსარგებლობის დაბეგვრას და მიწაზე საფინანსო ოპერაციების განხორციელებას ემახურება. ამ მიზნით მიწების შეფასებაც უმეტეს შემთხვევაში ორი ხერხით მიმდინარეობს: მიწის გაყიდვის ფასის დადგენითა და წმინდა შემოსავლის (მოგების) განსაზღვრით. შესაფასებლად გამოიყენება მიწის მფლობელთა პირადი დაკითხვის, საველე პირობებში მოსავლიანობის განსაზღვრისა და საგეგმო-კარტოგრაფიული მასალები.

ევროპაში მიწის კადასტრის შედგენის პირველი ხანებიდან დაწყებული მიწის კადასტრის სამუშაოებს აწარმოებენ მამულების სავარგულების სახეებისა და ცალკეული ნაკვეთის (პაჭკელების) მიხედვით. იმის შესაბამისად, თუ ჩამოთვლილიდან რომელი სახის კადასტრი დგება, განსხვავებულია მასალების მოპოვებისა და მიწის შეფასების ხერხებიც. მამულების მიხედვით მიწის კადასტრის შესადგენად იყენებენ მიწის მფლობელთა დაკითხვის ანკეტურ ჩანაწერებს, რომელთა საფუძველზე წარმოებს მიწიდან მიღებული ფაქტობრივი შემოსავლის დადგენა. პარცელარული (რეალური) კადასტრის დროს კი ძირითადია წმინდა შემოსავალი. იგი მიღებული პროდუქციის ღირებულება და წარმოებაზე გაწეულ დანახარჯებს შორის სხვაობაა. ამ მაჩვენებლით ხორცაველდება ცალკეულ ნაკვეთს შორის საშემოსავლო გადასახადის დიფერენცირება.

ევროპაში მიწის კადასტრის წარმოებას საფუძველი ჩაუყარა მონათმშენებელთა კაპიტალის შექრამ. ამიტომ მეთოდოლოგიური და ორგანიზაციული თვალსაზრისით სრულყოფილი სახით მხოლოდ XVII საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა.

პირველი მიწის კადასტრი შემოღებულ იქნა ჩრდილოეთ იტალიაში—ლომბარდიაში, რომელიც მილანის კადასტრის სახელწოდებითაა ცნობილი. იგი შეადგინა სპეციალურად შექმნილმა კომისიამ 1732 წლისათვის და მოიცავდა: 1. თემის გეგმის თითოეული მიწის კონტურის (პარცელის) აღნიშვნით; 2. მიწის დაყოფას ნიადაგის ხარისხის მიხედვით კარგ, საშუალო, ცუდ და უვარგის კლასებად; 3. თითოეული ნაკვეთის მოსავლიანობას (ნატურალურ და ღირებულებით ფორმაში); 4. წმინდა შემოსავალს, რომელსაც ანგარიშობდნენ, როგორც მთლიან პროდუქციასა და დანახარჯებს შორის სხვაობას. შესაბამისი დამუშავებისა და ანალიზის შემდეგ აღნიშნული მაჩვენებლები 'აკადასტრო დავთრებში გადააქონდათ და მათ საფუძველზე ანაწილებდნენ საადგილმამულო გადასახადებს.

საფრანგეთის ნაციონალურმა კრებამ 1790 წელს მიიღო კანონი მამულიდან მიღებული წმინდა შემოსავლის მიხედვით ერთიანი გადასახადის შემოღების შესახებ, რასაც საზღვრავდნენ ამ პერიოდისათვის

ყველაზე სრულყოფილი ფრანგული პარცელარული კადასტრის მონაცემების საფუძველზე. ეს დოკუმენტი შეადგინა კომისიამ მიწის მფლობელთა დაკითხვისა და ნატურაში ნაკვეთების დათვლიერების შედეგად. მიუხედავად იმისა, რომ მას ახასიათებდა რიგი პროგრესული მომენტი, ამ მეთოდმა ვერ გაამართლა, რამდენადაც თითქმის მთლიანად შემფასებელთა სინდისზე იყო დამოკიდებული. არსებული უარყოფითა მოვლენების აღმოფხვრის მიზნით დაიწყეს რამდენიმე თემის შერჩევა ცალკეულ რეგიონში და მათი მიწების ნატურაში დათვლიერების საფუძველზე საშემფასებლო სამუშაოების ჩატარება. მღებულ შედეგებს ავრცელებდნენ ოლქის ყველა თემსა და მიწის მფლობელზე.

ეს მეთოდი იმ დროისათვის ყველაზე სრულყოფილად იქნა მიჩნეული, ამიტომ XIX საუკუნის დასაწყისში პარცელარული კადასტრის წარმოების ახალი ეტაპი დაიწყო. მისი ტექნიკური მხარე ითვალისწინებდა დელიმიტაციას, ტრიანგულაციასა და ზედაპირული გადაღებების სამუშაოების ჩატარებას.

დელიმიტაცია მიზნად ისახავდა თემის საზღვრების დადგენას, ანუ მის გამოჩენას იმ პირობებისათვის, როდესაც იურიდიული საზღვრები არ არსებობდა.

ტრიანგულაციის ამოცანა კი იყო შემდგომი გადაღებებისათვის საყრდენი პუნქტების ქსელის შექმნა.

პარცელების მიხედვით ზედაპირული გადაღებების დროს წარმოებდა ყველა კონტურის (გზების, ქუჩების, მდინარეების და ა. შ. ჩათვლით) ადგილმდებარეობის ზუსტა განსაზღვრა და მათი საზღვრების დადგენა. გადაღებების მასალების საფუძველზე ადგენენ თემის რუკას : 1000 მასშტაბით, რომელზედაც პარცელები დანომრილი იყო. გვეგმების პარალელურად ყოველი თემისათვის ივსებოდა მიწის მფლობელთა სიები მათზე კუთვნილი პარცელების ნორმების მიითებით, აგრეთვე მამულების სია მემამულის გვარის და სახელის ჩვენებით.

საშემფასებლო სამუშაოების მწარმოებელი კომისია ნატურაში დათვლიერებდა თემის მიწებს, ადგენდა მათ რაოდენობასა და კლასებს და აქედან გამომდინარე გამოყოფდა კარგი და ცუდი ხარისხის ნიადაგებს. ამის შემდეგ მიწის ცალკეული კლასისათვის საზღვრავდა საშუალო წმინდა (საგადასამხდელი) შემოსავალს. ამ უკანასკნელის გაანგარიშებას აწარმოებდა კარგი და ცუდი ხარისხის პარცელებისათვის და ამ მონაცემებს საფუძველად უდებდა საშემფასებლო სკალების შედგენას, რომელთა გამოყენებით იწარმოებოდა თემის მიწის კადასტრი. მისი ძირითადი დოკუმენტაცია იყო მემამულეთა აღფაბეტური სიის მიხედვით შედგენილი უწყისები.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში ფართო მასშტაბით მიმდინარე-

ობდა საკადასტრო სამუშაოები ავსტრიაში. აქ ძირითადად საფრანგეთის გამოცდილებას ეყრდნობოდნენ; ეს კი განპირობებული იყო თუშებსა და მის ცალკეულ წევრზე გადასახადების დიფერენცირებას აუცილებლობით, რასაც კადასტრის მონაცემების გამოყენებით ანხორციელებდნენ. თემის ცალკეულ წევრზე გადასახადების დაყვანის პრინციპმა ძალიან გაართულა საკადასტრო სამუშაოები და მათი დამთავრება ძალიან დიდ დროს მოითხოვდა. ამიტომ, შეიმუშავეს უფრო ბარტივი ხერხი, რომლის მიხედვით იქნა შედგენილი ე. წ. ტიროლის მიწის კადასტრი. მის შესადგენად, ძირითადად, გამოყენებული იქნა მიწის მფლობელთა დაკითხვის შედეგად მიღებული მონაცემები. მიუხედავად იმისა, რომ მეთოდი რიგ შემთხვევაში არამყარ მონაცემებზე იყო აგებული, იგი ბევრი უპირატესობით ხასიათდებოდა სხვა ხერხებთან შედარებით და ამიტომაც გამოიყენეს მუდმივი კადასტრების სისტემის შესაქმნელად, რაც ამ ქვეყანაში შემოიღეს.

ავსტრიის კადასტრის უპირატესობას იმდროინდელ შესაბამის დოკუმენტებს შორის განსაზღვრავდა ის ფაქტი, რომ დიდი ადგილი ეთმობოდა საგეგმო კარტოგრაფიული მასალების დაზუსტებისა და ამ მიზნით საჭირო გადაღებების სამუშაოებს. ტრიანგულაციის ჩატარებისა და საზღვრების დადგენიდან ერთი წლის შემდეგ მიმდინარეობდა სავარგულებისა და ცალკეული ნაკვეთის მენზუალური გადაღებები. პარალელურად ადგენდნენ ყოველგვარ დოკუმენტაციას მიწების შეფასებისა და მიწის წიგნების შედგენისათვის, რაც გამოიციხავდა უზუსტობებს და მათ საიმედოს ხდიდა. ამ მდგომარეობით იყო განპირობებული სპეციალური კანონით მიწის გადასახადის მიწის ხარისხის გათვალისწინებით დაწესება. შესაბამისად ყოველგვარ ცვლილებას მიწების გამოყენებაში აკანონებდნენ მხოლოდ ბოლო შეფასების შედეგების მიხედვით.

საკადასტრო დოკუმენტაციის განახლებისა და პრაქტიკულად გამოსაყენებელ ფორმაში მოყვანისათვის ჩამოაყალიბეს სპეციალური სამსახურები, რომლებიც პერიოდულად რევიზიებსაც ატარებდნენ საადგილმამულო ურთიერთობათა და მიწის გამოყენების საკითხებზე. ასეთი ღონისძიება ითვალისწინებდა ყოველგვარი დოკუმენტაციის შემოწმებას და კანონიერი ცვლილებების დატანას. -

ამ ქვეყანაში აღნიშნული მეთოდებია ძირითადად თანამედროვე ეტაპზეც გამოყენებული მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ფართოდაა დანერგილი ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანებზე მონაცემების დაზუსტების სისტემა, რაც საიმედო ინფორმაციის უმოკლეს ვადაში მიღების საშუალებას იძლევა.

1861 წელს პრუსიის მთავრობამ გამოსცა კანონი „მიწის გადასახადის ახალი რეგულირების შესახებ“, რომლის მიხედვითაც შემოიღეს გადასახადის ერთიანი სისტემა მიწის ხარისხის გათვალისწინებით. კანონით გათვალისწინებული დებულებებს შესაბამისად საკადასტრო სამუშაოებიც ორ ეტაპად ჩატარდა: პირველად სავარგულების, ხოლო შემდეგ—ცალკეული პარცელებისათვის. შეფასების საერთო მეთოდოლოგია შემუშავებულ იქნა საფრანგეთის მიწის კადასტრის შედგენის ხერხებში ზოგიერთი ცვლილების შეტანით.

ოგორც ავსტრიის კადასტრში, აქაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა საგეგმო-კარტოგრაფიული მასალების გამოყენებას და ამ მიზნით დასაზუსტებელი სამუშაოების სისტემატურად ჩატარებას. მიწის კადასტრის ამ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტაციის შესაქმნელად სამუშაოებს ძთელი ქვეყნის ფარგლებში ატარებდნენ და ადგენდნენ ყოველი აეპისა და მემამულის მიწის გეგმას მსხვილ მასშტაბში (1 : 5000).

პრუსიული მიწის კადასტრის ეკონომიკური კრიტერიუმი წმინდა შემოსავალი იყო და ეს ძალიან ამარტივებდა კომპლექსური დოკუმენტაციის შექმნას. ამიტომ კადასტრის შედგენას მხოლოდ ხუთი წელი (1881—1885 წწ) დასჭირდა, რაც ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით ამ სამუშაოს უპირატესობაზე მიუთითებდა. სპეციალური კომისია შეფასებას იწყებდა მიწების სატარიფო კლასიფიკაციის დადგენით, რისთვისაც გამოყოფილა იყო სახნავ-ს. ბაღის, საოიბის, საძოვრის, ტყის, წყლის და უნაყოფო მიწების კატეგორიები. თავის მხრივ, ყოველი სახის სავარგულის შიგნით გამოყოფდნენ კლასებს, მაგრამ არა უშეტეს რვა კლასისა. ტარიფების შედგენის დროს ითვალისწინებდნენ ნიადაგის ბუნებრივ თვისებებს, მეურნეობის გაძლოლის სისტემებს და მრავალწლიურ საშუალო ფასებს. მიწების კლასიფიკაციის ტარიფებს ადგენდნენ ადგილებზე და შემდეგ მათ ამოწმებდნენ მიწის ყიდვა-გაყიდვის ფასების საშუალებით. გაკონტროლების შემდეგ ყოველგვარ დოკუმენტაციას ტარიფების ჩათვლით სამხარეო კომისია გადასცემდა ცენტრალურ კომისიას, ხოლო ეს უკანასკნელი ადგენდა ქვეყნის მაწების შეფასების საერთო-სატარიფო კლასიფიკაციას. მიღებული მასალები მიწაზე ყოველგვარი საქმიანობის ძირითადი წყარო იყო.

მიწების კლასიფიკაციის ეკონომიკურ მაჩვენებლებს, საერთო პროდუქციას და წმინდა შემოსავალს ანგარიშობდნენ სპეციალური ცხრილის საშუალებით და მისი გამოყენებით წარმოებდა ცალკეული ნაკვეთის ერთმანეთთან შედარება. მიწის შეფასების ტარიფებს აგებდნენ ყველა მსხვილი რაიონისათვის, რომლებიც განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან მდებარეობით, ბუნებრივი და ეკონომიკური პირობებით.

იმ ეტაპზე, ყველა სხვა ქვეყანასთან შედარებით, თვალსაჩინო მიღწევა იყო კადასტრის თანამედროვეობის დონეზე შენარჩუნებისათვის სპეციალური სამსახურის შექმნა, რომლის ამოცანა კადასტრის სამუშაოების წარმოება და მიღებული დოკუმენტაციის სრულყოფა იყო. როგორც წესი, სამუშაოები ტარდებოდა დაინტერესებული პირების ან სახელმწიფო ორგანიზაციების განცხადების საფუძველზე.

ამრიგად განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში მიწის კადასტრის მიზნები და ამოცანები არ შეცვლილა, მაგრამ ზოგიერთი ქვეყანა მისი მონაცემების სამეურნეო საქმიანობასა და სამართლებრივ მდგომარეობის განსაზღვრის სამსახურში ჩაბმასაც ცდილობს.

ამერიკის შეერთებული შტატების მიწის კადასტრი

მიწების შეფასებას შეერთებულ შტატებში დიდი ყურადღება ექცევა და მას აწარმოებს ნიადაგების დაცვის სამსახური ცალკეული რეგიონისათვის განსხვავებული მეთოდებით; სისტემების შეფასების ძირითად ერთეულად მიღებულია ნიადაგის ტიპი, ხოლო მაჩვენებლად—მიწების აღრიცხვის, მათი რელიეფის, გამოყენებისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის მაჩვენებლები. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ნიადაგის ზედაპირულ დახრილობის, ეროზიულა მდგომარეობისა და დაქვიანების ნიშნებს, რომელთა მიხედვითაც წარმოებს ნიადაგების დაჯგუფება. რელიეფი ითვლება მიწის სამეურნეო დანიშნულებისათვის გამოყენების მთავარ ფაქტორად. ამიტომ სხვა ნიშან-თვისებებით ერთნაირი ნიადაგები დაჯგუფების დროს არათანაბარი დახრილობის გამო განსხვავებულ ჯგუფებში ხედება.

შესაფასებელი მთლიანი მიწის ფონდი დაყოფილია სახნავის, მდელო-საძოვრებისა და ტყით დაკავებული მიწების კატეგორიებად. ამ სავარგულების შესაბამისად შემუშავებული და შემოღებულია პროდუქტიულობის მაჩვენებლები (ინდექსები). მათი განსაზღვრა წარმოებს გაძლოლის არსებული სისტემების პირობებში მიღებული ცალკეული კულტურის უმაღლესი მოსავლიანობის საფუძველზე. გარდა აღნიშნულისა კონკრეტული ამოცანებიდან გამომდინარე, მიწებს ხშირად აჯგუფებენ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში გამოყენების, პროდუქტიულობისა და სხვა ნიშნების მიხედვითაც.

ყველაზე გავრცელებულია კალიფორნიის უნივერსიტეტის მიერ დამუშავებული სტორის მეთოდი, რომელიც ნიადაგის პროფილის, დახრილობის მექანიკური შედგენილობისა და უცნობი ფაქტორის გათვალისწინებას გულისხმობს. მათი განსაზღვრა ორ ეტაპად ხორციელდება: პირველ ეტაპზე საზღვრავენ ყოველი ფაქტორის სიდიდეს, ხოლო

მემდეგ წარმოებს ამ მაჩვენებლებს გავრთიანება. აღნიშნული მეთოდით შეფასების დროს ნიადაგებს ყოფენ ექვს კატეგორიად: I—უმალესი ხარისხის (80—100 ბალი), II კარგი (60—70), III საშუალო (40—59), IV—უცუდი (20—39), V—ძალიან ცუდი (10—19), VI სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში გამოყენებელი (0—9).

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში გამოყენების ვარგისიანობის მიხედვით ნიადაგების დასაჯგუფებლად გამოყენებულია კლასების, ქვეკლასების და მიწის ვარგისიანობის ერთეულების კატეგორიები. კლასში გაერთიანებულია ერთნაირი საწარმოო ღირსებისა და შემზღუდავი ფაქტორების მქონე მიწები. ქვეკლასი მიუთითებს მიწის ნაკვეთის გამოყენების შემზღუდავ ფაქტორებზე და ამის მიხედვით ადგენს, თუ რომელ კლასს მიეკუთვნება მიწის განსაზღვრული კონტური. მიწის ვარგისიანობის ერთეული ასახავს ნიადაგის ნაყოფიერებას და დამუშავების პირობებს, აგრეთვე ნიადაგის გაკულტურებისა და ეროზიული მოვლენებისაგან დაცვისათვის საჭირო ღონისძიებათა ერთობლიობას. ამით იგი გამოდის როგორც კლასიფიკაციის ყველაზე მცირე და მაკონტროლებელი ელემენტი.

შეერთებულ შტატებში სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის ვარგისიანობის, მიწის დამუშავებისა და წარმოებაში გამოყენების შემზღუდავი ფაქტორების მიხედვით გამოყოფილია რვა კლასი.

პირველი კლასი: მასში გაერთიანებულია ყველაზე მაღალნაყოფიერი ნიადაგები, რომელთაც შემზღუდავი ფაქტორები არ ახასიათებს. ამიტომ ეს ნიადაგები წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ ყველა კულტურის საწარმოებლად.

მეორე კლასი: მაღალნაყოფიერი მიწებია. შეიძლება გამოყენებულ იქნას სასოფლო-სამეურნეო კულტურების ფართო ასორტიმენტისათვის, მაგრამ მათ ახასიათებს უმნიშვნელოდ გამოხატული შემზღუდავი რომელიმე ფაქტორი: დაბრილობა (2—3°), მცირე ეროზია, ჰუმუსის მცირე სისქე, სუსტი დამლაშება და ა. შ.

მესამე კლასი. ნაყოფიერი, მემინდვრეობის ძირითადი კულტურების საწარმოებლად გამოსაყენებელი მიწები, თუმცა შემზღუდავი ფაქტორები უფრო შესამჩნევად აქვს გამოხატული, ვიდრე მეორე კლასის მიწებს. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ახასიათებს მცენარეთა კვების მცირე, არე, დედა ქანების წყალგაუმტარობა, ხშირი დატბორვა და სხვ.

მეოთხე კლასი. გამოიყენება ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო კულტურის საწარმოებლად, მაგრამ აქვს მკვეთრად გამოხატული შემზღუდავი ფაქტორები: მკვეთრი დაქანება, დამლაშება, გამოფიტული ნიადაგური საფარი, დაქაობება და ა. შ.

მეხუთე კლასი. აქ გაერთიანებულია ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების საწარმოებლად უვარგისი მიწები, რომლებიც, ძირითადად საძოვრებად გამოიყენება.

მეექვსე კლასი. სასოფლო-სამეურნეო კულტურების საწარმოებლად უვარგისი მცირე სისქის, ქვიანი, დამლამებული ან დაქაობებული, მკაცრ კლიმატურ პირობებში მდებარე მიწის ფართობები, რომლებიც გამოყენებულია საძოვრებად ან გასატყეველად.

მეშვიდე კლასი. მიწები, რომლებიც ციკაბო ფერდობებზე, არახელსაყრელი კლიმატური პირობებისა და სხვა ძლიერ გამოხატული შემზღვრავი ფაქტორების გამო შერჩევით საძოვრებად ხოლო, ძირითადად, ტყეების გასაშენებლად გამოიყენება.

მერვე კლასი. გაერთიანებულია ტბები, ხევები, ხრამები, კლდეები, მყინვარები და სოფლის მეურნეობაში გამოუყენებელი მიწის დანარჩენი ფართობები.

გარდა განხილულისა ქვეყანაში ატარებენ მიწების ეკონომიკურ კლასიფიკაციას. მაღალნაყოფიერი კონტურების გამოვლენის მიზნით ბუნებრივ ნიშან-თვისებებთან ერთად გაითვალისწინება მიწათსარგებლობის ფორმა, მისი ადგილმდებარეობა, მეურნეობის სიდიდე, ფართობის ერთეულზე მიღებული შემოსავალი, მასზე გაწეული შრომისა და მატერიალურ ფასეულობათა დანახარჯები და სხვ. სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს ეკონომიკური შეფასების დროს ძირითად კრიტერიუმად მიღებულია პროდუქტიულობა, რომელსაც სავარგულების სახეების მიხედვით ანგარიშობენ: ამ მიზნით აწარმოებენ ანექტური სისტემით გამოკითხვას, ხოლო გამონაკლის შემთხვევებში სავსელე პირობებში—კვლევას. პროდუქტიულობის განსაზღვრის დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მეურნეობის გაძლოლის, თესობრუნეების და დამუშავების სისტემებს, სასუქების გამოყენებას, მელიორაციას და ა. შ. წარმოების გაძლოლის სისტემებიდან გამომდინარე ადვენენ საწარმოთა კატეგორიებს. უმაღლეს კლასს აკუთვნებენ საწარმოს, რომელიც იყენებს მეცნიერების მიღწევათა უახლეს ხერხებს და საშუალებებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებლობა იქმნება შეფასებულ იქნას ყველა კატეგორიის მიწა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის მიხედვით.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის მასშტაბით ეს მეთოდი საკმაოდ გავრცელებულია, უმეტეს შტატებში შეფასების ძირითად კრიტერიუმად წმინდა შემოსავალია გამოყენებული და ამ უკანასკნელზე დაყრდნობით მიწები ფასდება ასბალიანი სისტემით. მიღებულ შედეგებს კი იყენებენ მიწების ყიდვა-გაყიდვისა და ფერმებისათვის წარმოების გაძლოლის რეკომენდაციების შესამუშავებლად.

თანამედროვე ეტაპზე კანადაში მიწების შესწავლა-შეფასებას ატარებს 1963 წელს შექმნილი მიწების ინვენტარიზაციის სამსახური, რომელიც ფედერალურ-პროვინციული ორგანიზაციაა. ეკი ხელმძღვანელობს მიწების კლასიფიკაცია და ყოველგვარ გამოკვლევას ეოთიანი მეთოდით, ხოლო სამუშაოებს აფინანსებს ფედერალური მთავრობა. ადგილებზე აღნიშნული სამუშაოების მოცულობასა და ხარისხზე პასუხისმგებლობა დაკისრებული აქვს პროვინციულ მმართველობას.

საინვენტარიზაციო სამსახური მიწების გამოკვლევისა და აღრიცხვის საშუალებით ფედერალურ მთავრობას და პროვინციულ მმართველობას აწვდის ყოველგვარ ცნობებს მიწების გამოყენების, მათი ფაქტობრივი და პოტენციური ნაყოფიერების, პერსპექტივაში გამოყენების შესაძლებლობის და სხვა ფაქტორებზე. ეს ინფორმაცია მიწების რაციონალურად გამოყენებისა და მათი დამუშავების მოწინავე სისტემების დაგეგმვის ძირითადი წყაროა. ამ მიმართებით განსაკუთრებით ხაზგასმით უნდა აღინიშნოს მიწების სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში გამოყენებისა და გარე სამყაროსთან ურთიერთობის საკითხების გათვალისწინება-მოწესრიგების მაღალი დონე, რასაც იმ ქვეყანაში დიდ ყურადღებას უთმობენ. აქედან გამომდინარეობს მიწის შესაფასებლად დაყოფის პრინციპი, როდესაც გამოყოფილია სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, რეკრეაციული და ფაუნის გასამრავლებელი მიწის კატეგორიები.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში გამოყენების მიხედვით მიწების კლასიფიკაცია ემყარება განსაზღვრულ ფაქტორებს და ითვალისწინებს 7 კლასის გამოყოფას. ამერიკის შეერთებული შტატების მეთოდის შესაბამისად მიწების კლასიფიკაციის დროს აქაც შემოღებულია შემზღუდავი ფაქტორები სოფლის მეურნეობაში გამოყენების შესაძლებლობაზე.

პირველ კლასს მიეკუთვნება ყველაზე მაღალნაყოფიერი მიწები, რომლებსაც შემზღუდავი ფაქტორი არა აქვს და ყველა კულტურის მოსაყვანად შეიძლება იქნას გამოყენებული.

მეორე კლასში გაერთიანებულია მიწები, რომლებზედაც კულტურათა მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობა მოყავთ და ახასიათებს რომელიმე შემზღუდავი ფაქტორი არახელსაყრელი კლიმატური პირობების, ეროზიის, საკვებ ნივთიერებათა შემცველობის, ნიადაგის მექანიკური შედგენილობისა და სხვათა სახით.

მესამე კლასის მიწებზე მოსაყვანი კულტურების რაოდენობა უფრო შემცირებულია, ხოლო შემზღუდავი ფაქტორები—გამო-

ხატული. ამიტომ საჭიროებს ეროზიისა და დამლაშების საწინააღმდეგო ღონისძიებებს გატარებას, დაშრობას, ქეებისაგან გაწმენდას და ა. შ.

მეოთხე კლასის მიწებზე ძალიან მცირე რაოდენობის კულტურების მოყვანა შეიძლება და შემზღუდავი ფაქტორების რაოდენობაც იზრდება. ამ კლასის ნიადაგებს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე გამოკვეთილი შემზღუდავი ნიშანი უფრო ძლიერად, ვიდრე მესამე კლასის მიწებს, ამიტომ ჩასატარებელი სამელიორაციო ღონისძიებების აუცილებლობა და რაოდენობაც შესაბამისად იზრდება.

მეხუთე კლასის მიწებს ახასიათებს დიდი დაქანება, არახელსაყრელი კლიმატური პირობები, ძლიერად გამოხატული ეროზიული მოვლენები, დაქვიანების მაღალი ხარისხი, დატბორვა ან სხვა რამდენიმე შემზღუდავი ფაქტორი ერთდროულად გამომდინარე, ეს ნიადაგები არაეფექტიანია თავთავიანი და სხვა ერთწლიანი კულტურების საწარმოებლად და, ძირითადად, გამოყენებულია მრავალწლიანი საკვები კულტურების სათვისად.

მეექვსე კლასის მიწებიც, ძირითადად, მრავალწლიანი საკვები კულტურების საწარმოებლად არის გამოყენებული, მაგრამ უფრო მწირაა და ნაკლებ მოსავალსაც იძლევა, ვიდრე მეხუთე კლასის მიწები. ამასთან, უფრო ძვირი ჯდება სამელიორაციო ღონისძიებების გატარება.

მეშვიდე კლასი სოფლის მეურნეობაში გამოუყენებელა მიწების ერთობლიობაა.

კანადაში მიწების ბუნებრივი ნიშნებით კლასიფიკაციის პარალელურად ინტენსიური კვლევა ტარდება მათი შეფასებისა და მიღებულ შედეგების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების ხერხებისა და მეთოდების დამუშავება-დანერგვისათვის. ძირითად კრიტერიუმად გამოყენებულია საშუალო აგროტექნიკის პირობებში მიღებული ხორბლის მოსავლიანობა. ამ უკანასკნელის მიხედვით აწარმოებენ სხვა კულტურებით დაკავებული მიწების შეფასებასაც, რისთვისაც შემუშავებული აქვთ ხორბალში გადასაყვანი კოეფიციენტები.

ფრანგული მიწის კადასტრი

მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთში მიწის კადასტრის შედგენის სამუშაოებს შორეული ისტორია აქვს და მეთოდურადაც თითქოს დახვეწილი უნდა იყოს სხვა განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების მსგავსად, აქაც არ არსებობს ერთიანი მეთოდი და მიწების შეფასებას აწარმოებენ მიღებული მონაცემების მიზნობრივი დანიშნულების შესაბამისად შემუშავებული ხერხებით. თუმცა მეთოდიკის დასახვეწილ მუშაობა მულამ ინტენსიურად მიმდინარეობს. კერძოდ, შეფასების ახა-

ლი ეტაპი დაიწყო 1925 წლიდან და დასრულდა იგი 1950 წელს ქვეყნის მიწის კადასტრის შედგენით. ამასთან, კანონის შესაბამისად საკადასტრო მონაცემების დაზუსტებისა და თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე მოყვანის სრული ციკლი ყოველ ხუთწლეულში ერთხელ მეორდება.

სახელმწიფო მიწის კადასტრის სამსახური დიდი მოცულობის სამუშაოებს ასრულებს ტექნიკური. სამართლებრივი და ადმინისტრაციული საჭიროებისათვის დოკუმენტაციის შედგენა-სრულყოფის ხაზით. ამ მიზნით ანხორციელებენ დოკუმენტაციის განახლებას, გადაღებებს მიწების აღრიცხვისათვის, საკადასტრო წიგნების შედგენას, ასლების მიწათმფლობელებზე გაცემას, გადასახადების განაწილებას და ა. შ. მიწების შეფასებისათვის კი ტარდება მათი კლასიფიკაცია და ტიპობრივი პარცელების შერჩევა, რომელთა მონაცემები საფუძვლად ედება საშემფასებლო სამუშაოებს.

მიწების კლასიფიკაციას ატარებენ ინვენტარიზაციის, დანიშნულებისა და კლებადი ნაყოფიერების მიხედვით. ყველაზე გავრცელებულია მიწების დანიშნულების მიხედვით კლასიფიკაცია, რომლის დროსაც გამოყოფილია 13 კლასი: სახნავის, საძოვრის, მრავალწლიანების, ტყეების, საძოვრად გამოყენებული ნახევრად უდაბნოების, ტორფიანი, წყლით, შენობებით და გზებით დაკავებული მიწების სახით.

მეთოდურად კი ყველაზე სრულყოფილია და სარწმუნო მონაცემებსაც იძლევა კლებადი ნაყოფიერების მიხედვით ჩატარებული კლასიფიკაცია, სადაც გამოყენებულია როგორც ნიადაგის ბუნებრივი ნიშან-თვისებები, ისე წარმოებაში გამოყენების ძირითადი მაჩვენებლები: კონკრეტული კულტურის მიერ ნიადაგისადმი წაყენებული მოთხოვნები და პროდუქტიულობის (მოსავლიანობა, შემოსავალი) მონაცემები. ძირითად ეკონომიკურ მაჩვენებლებს ანგარიშობენ ხანგრძლივი პერიოდისათვის (15 წელი), მაგრამ ძალიან განსხვავებული ორ წელს გამოირიცხავენ:

დიდი ბრიტანეთის მიწის კადასტრი

ინგლისში სავარგული მიწების კლასიფიკაცია ორ ეტაპად ტარდება და მოიცავს ნიადაგის ფიზიკურ და ეკონომიკურ მხარეებს. ფიზიკური დაჯგუფების საფუძველია ნიადაგის ბუნებრივი ნიშან-თვისებები, ანუ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში გამოყენების შემზღუდავი ფაქტორების გავლენა. შემზღუდავ ძირითად ფაქტორებად მიღებულია რელიეფი, დაქანება, ნალექების რაოდენობა, ტემპერატურა, სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა, გრუნტის წყლის დგომის სიღრმე, სიმაღლე ზღვის დონიდან, ნიადაგის საფარის თავისებურებანი, და-

მლაშება, ეროზია, დაქაობება და დაქვიანება. ამ ნიშნების მიხედვით სულ გამოყოფილია შვიდი კლასი.

პირველი კლასი. ეს ნიადაგები მაღალნაყოფიერებით ხასიათდება, შემზღუდავი ფაქტორი გამონახტული აქვს ძალიან უმნიშვნელოდ, ამიტომ ყველა კულტურის საწარმოებლად გამოიყენება.

მეორე კლასი. მაღალნაყოფიერი ნიადაგებია, მაგრამ შემზღუდავი ფაქტორების მცირედ ან ზომიერად არსებობის შედეგად ყველა კულტურისათვის ერთნაირი ეფექტით არ გამოიყენება.

მესამე კლასი. საშუალო ხარისხის ნიადაგები, გამონახტული ერთი ან რამდენიმე შემზღუდავი ფაქტორით. ახასიათებს ნიადაგის ცუდი მექანიკური შედგენილობა და სტრუქტურა, ჰუმუსიანი ფენის მცირე სისქე, გადაჭარბებული ტენიანობა, ღორღიანობა და ა. შ.

მეოთხე კლასი. საკმაოდ გამონახტული შემზღუდავი ფაქტორის ან მათი ერთობლიობის გამო კულტურების ასორტიმენტიც ძალიან შემცირებულია.

მეხუთე კლასი. საშუალოზე დაბალი ნაყოფიერების ნიადაგი, მკვეთრად გამონახტული შემზღუდავი ფაქტორებით, ამიტომ ეს ნიადაგები გამოიყენება მხოლოდ საკვები კულტურების მოსაყვანად ან ბუნებრივ სათიბ-საძოვრებად.

მეექვსე კლასი. ძალიან ძლიერ გამონახტული შემზღუდავი ფაქტორების შედეგად მხოლოდ ნაწილობრივ გაუმჯობესებას შემდეგ შეიძლება გამოიყენებულ იქნას ბუნებრივ საძოვრებად. ამასთან, საჭიროებს დიდ კაპიტალდაზღვრებებს სამელიორაციო ღონისძიების ჩასატარებლად. ამის განხორციელება კი წარმოების კაპიტალისტური წესის გამო შეზღუდულია.

მეშვიდე კლასი. აქ შედის გაშიშვლებული ფერდობები, ხანგრძლივად თოვლით დაფარული, წყლით დატბორილი, რკინიგზებზე დაკავებული და სხვა მიწები, რომელთა მხოლოდ ნაწილი გამოიყენება საძოვრად.

მიწების ეკონომიკურ კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს ე. წ. სტანდარტული წმინდა პროდუქცია, რასაც ადგენენ თითოეული მიწის კლასისათვის, მას განსაზღვრავენ ჯოგორც მემცენარეობის პროდუქციის ღირებულებას კულტურების მოვლა-მოყვანის საშუალო პირობებისათვის. ამ მიზნით აწარმოებენ ტიპობრივი მეურნეობების შერჩევას, რომელთა რაოდენობა უნდა აღემატებოდეს 15-ს, ხოლო მათი მიწის ფონდი შეადგენდეს შესაფასებელი ტერიტორიის 25%-ს მაინც. ამასთან, ასეთ საწარმოთა გაძღოლა-ძოვების სისტემები და 1 აკრაზე წმინდა პროდუქციის ოდენობა ერთნაირი უნდა იყოს.

კონკრეტული კონტურების შესაფასებლად სტანდარტულ წმინდა

პროდუქციას ანგარიშობენ მასზე მოსაყვანი კულტურებისათვის ცალ-ცალკე. შეფასების დროს ითვალისწინებენ მეცხოველეობის პროდუქციასაც, რომელიც 1 სულზე იანგარიშება და 1 აკრის დატვირთვის საშუალებათ შესაფასებელი ტერიტორიის შესაბამისად ნაწილდება. ამ მეთოდით თითოეული ნაკვეთისათვის გაანგარიშებული სტანდარტული წმინდა პროდუქცია შემდეგ ეტაპზე იყრიდება საწარმოების მხედვით. ტიპობრივ მეურნეობათა ერთობლიობისათვის გაანგარიშებული სტანდარტული წმინდა პროდუქციის და მიწის ფართობების ჯამების საშუალებით ანგარიშობენ შესაფასებელი მთელი ტერიტორიის 1 აკრის შესაბამის მაჩვენებელს. ანალოგურად, ცალკეულ საწარმოთა მაჩვენებლების საშუალებით ანგარიშობენ შესაფასებელი რეგიონისათვის სტანდარტული წმინდა პროდუქციის სიდიდეს. მეთოდოლოგიური თვალსაზრისით გაანგარიშების ეს ტექნოლოგია მიწის ეკონომიკური შეფასება, მაგრამ მან ჯერ კიდევ ვერ პოვა ასახვა და გამოყენება პრაქტიკულ საქმიანობაში, ამიტომ ძირითად ღონისძიებად რჩება მიწის ბუნებრივი ნაშენებით კლასიფიკაცია. ამას ისიც ემატება, რომ სტანდარტული წმინდა პროდუქციის გაანგარიშება ძალიან რთულდება დიდი რეგიონების ჯრილში, რადგან ნიადაგის ერთნაირი ნაყოფიერება განსხვავებულ სპეციალიზაციის გამო ძალიან მერყევი პროდუქტიულობით ხასიათდება.

მიწის კადასტრის საფუძვლადი მუშის რუსეთში

მეფის რუსეთში ჩატარებული საკადასტრო სამუშაოები დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან შედარებით რიგი უპირატესობით ხასიათდებოდა. კერძოდ, რუსეთში ისინი ეყრდნობოდა ნიადაგების ყოველმხრივ შესწავლასა და სრულყოფილ ანალიზს.

მიწის კადასტრის პირველი სამუშაოები XIII საუკუნეში ჩატარდა მუსულმანურიდან ხარკის აკრეფის მიზნით. პირველი კადასტრული დოკუმენტები სახარკე დავთრები ანუ ჩასაწერი და აღსაწერი წიგნებია.

XIX საუკუნის დასაწყისში დაიწყო ერთიანი მიწის კადასტრის შედგინა. რაც გადასახადით დაბეგერის დიფერენცირების მიზნით ხორციელდებოდა. ამ მიზნით შექმნილი იყო სპეციალური კომისიები, რომლებიც არკვევდნენ მიწის ფართობს და ცალკეული კულტურის მოსავლანობას უშუალოდ დაკვირვებით ან მიწის მფლობელის დაკითხვით. თართობის ერთეულიდან შემოსავლისა და დანახარჯების დადგენის მიზნით არჩევდნენ საცდელ ნაკვეთებს. ამის შემდეგ ანგარიშობდნენ წმინდა შემოსავალს; რაც ნიადაგების თანრიგებად დაყოფის საფუძველი იყო.

კომისიების საქმიანობამ და ამ პერიოდში საკადასტრო სამუშაოების ჩასატარებლად შემოღებულმა მეთოდებმა და ხერხებმა დიდი როლი შეასრულეს რუსეთში მიწის შესწავლა-შეფასების მთელი სისტემის შემდგომი გაუმჯობესებასათვის. მიუხედავად ამისა მათ მინც სერიოზული ნაკლოვანებები ახასიათებდა: არ არსებობდა შეფასების ერთიანი მეთოდი და პრინციპები; სამუშაოები ტარდებოდა განყენებულად, ცალკეულ მაზრასა და გუბერნიაში, რაც მათი მიწების ურთიერთშედარებისა და გადასახადების სწორად დიფერენცირების საშუალებას არ იძლეოდა; გაძნელებული იყო საშემფასებლო დოკუმენტაციაში ცვლილებების შეტანა, მათი კორექტურა-დაზუსტების მიზნით. ამიტომ 1859 წელს შემოიღეს ახალი ინსტრუქცია, რომელმაც გაამარტივა და შედარებით დააჩქარა მიწის კადასტრის შედგენის პროცესი, დახვეწა წარმოების მეთოდი და გამოკვეთა ამოცანები: აღნიშნული ინსტრუქციის თანახმად მიწების რაოდენობრივი აღრიცხვის საფუძვლად აიღეს მიწის მფლობელთა ჯგუფებისა და სავარგულების სახეების მიხედვით ჩატარებული გადაღებების მასალები, ხოლო ეკონომიკური შეფასებისათვის—შემოსავალი და მოსავლიანობა.

ნიადაგის ბუნებრივი ნიშან-თვისებების, შეტანილი სასუქების დოზირებისა და ბაზრის საშუალო ფასების გათვალისწინებით განხორციელდა მიწების ნორმალური კლასიფიკაცია. რადგან შეუძლებელი იყო ყველა კულტურის მოსავლიანობის მიხედვით შეფასება, არამყარი ნათესების სტრუქტურისა და სხვა მიზეზების გამო, შეფასების სკალების შედგენის ძირითად კრიტერიუმად მიიღეს ყველაზე მედეგი და გავრცელებული კულტურის—კვავის მოსავლიანობა. ამ მეთოდით შესრულებულ კლასიფიკაციაში სახნავი მიწები 5 კლასად დაიყო: საუკეთესო, კარგი, საშუალო, საშუალოზე ცუდი და ცუდი. თავის მხრივ, კვავის მოსავლიანობის დონის შესაბამისად მიწის თითოეული კლასში გამოიყო სამი ხარისხის ნიადაგი (ცხრილი 20).

XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან გენეტიკური ნიადაგთმცოდნეობის მამამთავარმა ვ. დოკუჩაევმა საფუძველი ჩაუყარა მიწების აღრიცხვის, შესწავლისა და შეფასების დარგში ახალ-ეტაპს. იგი ცნობილია ბუნებრივ-ისტორიული მეთოდის სახელით და მის დროს ფართოდ გამოიყენებოდა ეკონომიკური აღრიცხვის მასალები. ამ მეთოდის ღირსებას და არნახულ პოპულარობას განსაზღვრავდა ის, რომ იგი ეყრდნობოდა ნიადაგების კლასიფიკაციას, რომელიც მათი გეოლოგიური, ფიზიკური და ქიმიური თვისებებით იყო შედგენილი; საკადასტრო სამუშაოებისათვის ნიადაგებს წარმოშობისა და მწარმოებლურობის მიხედვით თანრიგებად ყოფდნენ. მიწების ხარისხის განსაზღვრისათვის მიმარ-

სახსნავი მიწების ნორმალური კლასიფიკაცია კვანახ მონავლიანობის მიხედვით

მეწის კლასი	ხარისხი	მოსავალი დეკა-სეტრისაზე ოც-სლის დაკლავებით	ცალკეული კლასის მიწების მოკლე მიმოხილვა
1	2	3	4
I საუკეთესო	1	64	1. (საუკეთესო დანალექი და მოზიდული მიწები, რომლებიც გვხვდება მდინარეების: დონის, მოსკოვის, ოკას და ზოგიერთ სხვა მდინარეთა სანაპიროებზე: ბ) საუკეთესო შევინები, როგორცაა ზემლიანსკის მარხის ეორონევის გუბერნიამი და ნაწილობრივ ორლოვის, ტამბოვის, პენზის და სხვა გუბერნიებში: გ) საუკეთესო არაშევიწები ყველა გუბერნიამი, ყარგი დამუშავებისა და გაპატრების პირობებში (1 დესეტრინა ანუ ულზე 6 სული მსხვილჩქოსანი პირუტყვის ნაკელის შეტანით). დ) რუხი შევიწები 2—4 სული (მსხვილი ჩქოსანი პიოუტყვის ნაკელის შეტანით ან რუხი მიწები 4—6 სულის ნაკელის შეტანით)
II ყარგი	1	52	II ა) მდინარისპირა ყარგი დანალექი მიწები; ბ) ყარგი შევიწები, რომლებიც გვხვდება ყველა შევიწა გუბერნიამი; გ) საუკეთესო არაშევიწებიდან ყარგი დამუშავებისა და 4—6 სულის ნაკელით გაპატრების პირობებში. დ) საშუალო ხარისხის არა შევიწები 6 სულის ნაკელით გაპატრების პირობებში: ე) რუხი შევიწები, 1—2 სულის და რუხი მიწები 2—4 სულის ნაკელით გაპატრების პირობებში
III საშუალო	1	40	III ა) ცუდი დანალექი ან ყარგი მიწები არადამაკმაყოფილებელი დამუშავების პირობებში; ბ) მერა და მორუხო შევიწები, რომლებიც გვხვდება შევიწიან გუბერნიებში, თვალის შესამჩნევი მცირე ნეშომპალას ფენით; გ) საუკეთესო არა შევიწებიდან. 2—4 სულის ნაკელით გაპატრების პირობებში; დ) საშუალოდ არა შევიწიდან 4—6 სული ნაკელის გაპატრების დროს; ე) რუხი შევიწები გაუპატრებელი ან ერთი სულის გაპატრების და რუხი მიწები 1—3 სულის ნაკელით გაპატრებელი.

1	2	3	4
IV საშუალოზე დაბალი	1	28	IV ა) შეემიწა თიხის, მერგელის და ცარცის თვლით შესამჩნევი შენარეუბით, რომლებიც შეემიწიან გუბერნიებში გვხვდება; ბ) საშუალო არაშემიწებიდან—2—4 სულის ნაკელით გაატიეებული გ) ცუდი არაშემიწებიდან—4—6 სულის გაატიეებული; დ) საუკეთესო არაშემიწებიდან—არა ნაკლებად 2 სულის ნაკელით გაატიეებული;
	2	24	
	3	22	
V	1	16	V ა) ცუდი არაშემიწები ფხვიერი და ხრტილოვანი სილები, მონაცრისფრო ბლანტი თიხები, ტორფიანი ნიადაგები 1—3 სულის ნაკელით გაატიეებული; ბ) ბიციობიანი და სხვა, ნაკელით გაუატიეებული ნიადაგები
	2	12	
	3	8	

თავდნენ დაკითხვის ხერხს, ხოლო კლასიფიკაციის შესადგენად—ნიადაგების ნიმუშების აღებას საველე პირობებში, რომელთა ანალიზიც სარწმუნო მასალას იძლეოდა შემდგომი საქმიანობისათვის. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მიწების სტატისტიკურ-ეკონომიკურ გამოკვლევას სადაც მთავარი იყო მიწების დამუშავების ხერხები და ღირებულება. მათი სამეურნეო გამოყენება და ძირითადი კულტურების მოსავლიანობა.

ამ მეთოდით ე. დოკუჩაევმა შეადგინა ნიჟეგოროდის გუბერნიის მიწის კლასტრი და მას საფუძვლად დაუდო შესაფასებელი ტერიტორიის მიკრორაიონებიდან დაყოფის შემდეგ ჩატარებული ნიადაგების დეტალური კვლევის მასალები. იგი გადაქრით მიუთითებდა, რომ ნიადაგის სწორი შეფასება მაშინ არის შესაძლებელი, თუ საფუძვლად უდევს მათი ბუნებრივი პირობები, როგორც ყველაზე მყარი და ობიექტური თვისება.

ვ. დოკუჩაევი საკლასტრო სამუშაოებს ორ ეტაპად ყოფდა:

ა) მიწების მწარმოებლურობის განსაზღვრა ნიადაგის მექანიკური, ფიზიკური და ქიმიური თვისებების მიხედვით; ბ) მიწების სტატისტიკურ-ეკონომიკური გამოკვლევა არსებული ბუნებრივი პირობებისათვის გათვალისწინებით. ასეთი მიდგომის ღირსებას იხილავს განსაზღვრავდა, რომ ორივე ეტაპის მაჩვენებლები ურთიერთმაკონტროლებელ ფუნქციონირებას უზრუნველბდნენ. სტატისტიკურ-ეკონომიკური კვლევის დროს უნდა იყენებოდა მონაცემებს მიწების ადგილმდებარეობის, მათი რაოდენობისა და სავარგულებად განაწილების. ნათესი ფართობების სტრუქტურის ნიადაგების განოყიერების. წარმოების ინტენსიურობის. კულტურების

მოსავლიანობის, ფართობისა და პროდუქციის ერთეულზე გაწეული დანახარჯების, გასაღების პირობებისა და ბაზრის ფასების შესახებ. ამასთან ვ. დოკუჩაევი თვლიდა, რომ კონკრეტულ მოსავლიანობაში ასახვას ვერ პოულობს ნიადაგის კონკრეტული ნაყოფიერება, რამდენადაც გავლენას ახდენენ ტექნიკისა და სასუქების გამოყენების განსხვავებული პირობები. ამიტომ ყოველი კულტურისა და ნიადაგის ტიპისათვის მან შემოიღო საშუალო-ნორმალური შეფარდებითი მოსავლიანობა. იგი იყო სიდიდე, რომელიც შეიძლება მიღებულ იქნას ყველა ნიადაგზე ინტენსიურობის საშუალო დონის პირობებში. ეს მაჩვენებელი იყო აგრეთვე წმინდა შემოსავლის განსაზღვრის წყაროც, რაც ნორმალური მოსავლიანობის ბაზრის საშუალო ფასზე გამრავლებისა და დანახარჯების გამოკლებით განისაზღვრებოდა.

ვ. დოკუჩაევის სიკვდილის შემდეგ ამ მეთოდით საკადასტრო სამუშაოებს ატარებდნენ მისი მოწაფეები ნ. სიბირცევის ხელმძღვანელობით, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ ერთიან ხელმძღვანელობას მოკლებულმა ცალკეულმა გუბერნიამ ისევ განსხვავებული ხერხებისა და მეთოდების გამოყენება დაიწყო. თითქმის ყოველ გუბერნიაში თავისებურად ანგარიშობდნენ შემოსავლიანობის, დანახარჯებს და წმინდა შემოსავალს. სათემო მიწების შეფასების დროს, ძირითადად, იყენებდნენ დაკოთხვის მეთოდს, ხოლო მემამულეთა მიწების შეფასებისას ზოგიერთ გუბერნიაში წინასწარ დადგენილი ნიშნებით არჩევდნენ ტაბობრივ კომლებს მიუხედავად ერთგვარი პროგრესული მიდგომისა მიწების შეფასების სამუშაოები ამ პერიოდში მოძველებული კარტოგრაფიული მასალების გამოყენებით ტარდებოდა, რაც მიღებული მონაცემების სიზუსტესა და საიმედოობას გამორაცხავდა. რამდენადმე უცვლელბელყოფილი იყო აგრეთვე მიწის რაოდენობრივი აღრიცხვას მნიშვნელობა. ადგილი ჰქონდა მიწების შეფასებაში ტენდენციურ მიდგომასაც, როდესაც მემამულეთა მაღალნაყოფიერი მიწა შეფასების დაბალ ბალს ღებულობდა, ხოლო გლეხების შედარებით მწირი მიწა კი პირიქით—გაზრდილს. გარდა აღნიშნულისა მას ახასიათებდა ერთი ყველაზე დიდი ნაკლი: საკადასტრო სამუშაოები ძალიან ნელი ტემპით სრულდებოდა, რის გამო რუსეთის ევროპული ნაწილის მიწის კადასტრის შედგენა 1914 წლამდე გაგრძელდა და მაინც ყველა თემი ვერ მოიცვა.

მიუხედავად აღნიშნული და სხვა უარყოფითი მომენტებისა რუსეთის მიწის კადასტრი ევროპის ქვეყნებთან შედარებით დიდი უპირატესობით ხასიათდებოდა, რაც ნიადაგების ბუნებრივ-ისტორიულ და სტატისტიკურ-ეკონომიკურ შესწავლაში პოულობდა ასახვას.

§ 3. შიშის კადასტრი სოციალისტურ ჰმანუნიზმი

სამეურნეო-ტექნიკური პროგრესის არანახული ტემპები, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაცია და კონცენტრაცია. მისი კომიზაცია და მელიორაციის ფართოდ განვითარება დღის წესრიგში აყენებს სოფლის მეურნეობის ნეცნიერულად დასაბუთებული გაძღოლის სისტემების დაქუქავება-დახერგვისა და მიწათმოქმედების კულტურის აძაღლების ღონისძიებათა გატარებას. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, დიდ მოთხოვნებს უყენებს მიწის რაციონალურად გამოყენების საკითხებს, რაც არსებული სავარგულებიდან მაქსიმალურ უკუგებასთან ერთად მათ დაცვასა და ახალი სავარგულების სასოფლო-სამეურნეო წარმოების ბრუხევაში ჩაყენებასაც გულისხმობს. ყოველივე აღნიშნულის აუცილებელი პირობა მიწების სრულყოფილი აღრიცხვა-შესწავლაა, რასაც მიწის კადასტრი ემსახურება.

იმასთან დაკავშირებით, რომ სოციალიზმის დროს მიწის კადასტრი საერთო-სახელმწიფო ინტერესების გამომხატველი დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს მიწების დაცვას, რაციონალურად გამოყენებას და სახალხო მეურნეობის დაგეგმვას მაღალ მეცნიერულ დონეზე, იცვლება კადასტრის მიზნები და ამოცანებიც.

შანაძდე არსებული მიწების შეფასების მეთოდებისა და, საერთოდ, მიწის კადასტრების კრიტიკულა ანალიზის საფუძველზე სოციალისტურ ქვეყნებში დაგროვდა საკმაოდ დიდი გამოცდილება ამ დარგში, რაც შემდგომი სრულყოფის მიზნით შესწავლასა და განზოგადებას საჭიროებს.

სოციალისტური ქვეყნების მიწის კადასტრის პრინციპები სსრ კავშირის მსგავსია. ამასთან, ახასიათებს რიგი თავისებურება ძიწების აღრიცხვისა და მათი კატეგორიებად დაყოფის საქმეში, ამიტომ აუცილებელია მისი განხილვა ცალკეული ქვეყნის მიხედვით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცდილება, სადაც მიწათმოქმედების მაღალი კულტურაა და შესაბამისად მიწასაც მაღალინტენსიურად იყენებენ. სხვა ფაქტორებთან ერთად ამას მიწის აღრიცხვისა და შეფასების მაღალი მაჩვენებლებიც განსაზღვრავს. შეფასების მიზნით მიწის ფონდი დაყოფილია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, სატყეო დანიშნულების, შენობის ან ამ მიზნებისათვის გამოსაყენებელი, წყლით მუდმივად დაფარული და სპეციალური დანიშნულების კატეგორიებად.

საწარმოთა კადასტრში კი მიწებს გამოყენების მიხედვით ყოფენ: სახნავედ, მრავალწლიან ნარგავეებად, სათიბებად და საძოვრებად. ცალკე გამოიყოფა მიწები, რომლებსაც ხან სახნავედ იყენებენ, ხან საყ-

გებ-სავარგულებად. ანალოგიურად გამოიყოფა ტყით და წყლით დაფარული და სოფლის მეურნეობაში გამოუყენებელი მიწები.

მიწის ერთიანი შეფასებისათვის სამუშაოები გერმანიაში ჯერ კიდევ 1925 წელს დაიწყო დიფერენციული გადასახადის დაწესების მიზნით. 1934 წლის 16 ოქტომბერს კი მიიღეს კანონი ნიადაგების შეფასების შესახებ, რომელშიც მითითებული იყო მისი მიზნები და ამოცანები. კერძოდ, ის, რომ მიწის საშემფასებლო მაჩვენებლები აუცილებელია დაბეგვრის მიწაზე ფასების დაწესებისა და სხვა მიზნებისათვის.

შეფასების საფუძველი იყო ნიადაგების ბონიტირება, რომელიც მისი ბუნებრივი თვისებებისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობების მიხედვით ტარდებოდა. ბუნებრივი ნიშნებიდან კი ძირითადად იღებდნენ ნიადაგის ხარისხს, რელიეფისა და კლიმატის პირობებს.

1938 წელს ფაშისტური ხელისუფლების მიერ შეწყვეტილი საკლასტრო სამუშაოები განაზღვრა 1948 წელს და დამთავრდა 1954 წელს 6,5 მლნ/ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულის შეფასებით. საკლასტრო სამუშაოებს ატარებდნენ სპეციალურად ამ მიზნებისათვის შექმნილი ჯგუფები. შეფასება ორ ეტაპად ჩატარდა: პირველ ეტაპზე განხორციელდა ნიადაგების ბონიტირება (ნიადაგების კლასიფიკაცია). ხოლო მეორეზე მათი შეფასება (მწარმოებლურობის განსაზღვრა).

ბონიტირებას საფუძველად დაედო ნიადაგების მექანიკური შედგენილობა. გეოლოგიური წარმოშობა და საერთო მდგომარეობა ამ უკანასკნელის დასადგენად გამოყენებული იყო ნიადაგების აგებულების, შეფერილობის, სტრუქტურის, კარბონატულობის, ტენიანობის, დამლაშებისა და სხვა პირობების მაჩვენებლები.

აღნიშნული თვისებების მიხედვით განხორციელდა ნიადაგების დაჯგუფება. სახნავი მექანიკური შედგენილობის მიხედვით დაყოფილ იქნა 9, წარმოშობით 5 და საერთო მდგომარეობით 7 ჯგუფად (ცხრ. 21).

გეოლოგიური წარმოშობის მიხედვით გამოყოფილია დელუვიურა ნაფენები (D), ლამიანი ალუვიური ნიადაგები (A), ტყის წარმოქმნების (M) დედაქანების ქარული გამოფიტვისა (Z) და ძლიერ ქვიანა (B_к) ნიადაგები.

ანალოგიურად გამოიყო სათიბ-საძოვრების შესაფასებლად წარმოშობითა და ტენიანობით ხუთ-ხუთი და საერთო მდგომარეობით—სამი ჯგუფი. გარდა აღნიშნულისა ერთ-ერთ ძირითად მაჩვენებლად

გღრ ხანნაეი მიწების შეფასების სკალა

ნიადაგის სახე	ნიადაგის შარბოშ.	ნიადაგის საერთო მღკომარეობა													
		1	2	3	4	5	6	7							
1	2	3	4	5	6	7	8	9							
ქვიშნარი	60	52	51	43	42	35	34	28	27	22	21	17	16	11	
	60	54	53	46	45	38	37	31	30	24	43	19	18	13	
ქვიშნარი	—	49	43	42	36	35	29	28	23	22	18	17	12		
	49	42	41	34	33	27	26	21	20	16	15	12	11	7	
	52	45	44	37	36	30	20	24	23	19	18	14	10	9	
ქვიშნარი და თიხიანი	—	41	34	33	27	26	21	20	16	15	12	11	7		
	68	60	59	51	50	44	43	37	36	30	29	43	22	16	
	71	63	62	54	53	46	45	39	38	32	31	25	24	18	
	71	63	62	54	53	46	45	39	38	32	32	25	24	18	
	64	58	57	51	50	44	43	37	36	30	29	24	23	17	
მსუბუქი თიხნარი	—	—	47	41	40	34	33	27	26	20	19	12			
	75	68	67	60	59	57	51	45	44	38	37	31	30	23	
	71	73	72	64	63	55	54	47	46	40	39	33	32	25	
	70	72	71	63	62	55	54	47	46	40	39	33	32	25	
საშუალო თიხნარი	75	68	67	60	59	52	51	44	43	37	36	30	29	22	
	—	—	—	55	48	47	40	39	32	31	24	23	16		
	84	76	75	68	67	60	59	53	52	46	45	39	38	36	
	92	83	82	74	73	65	64	56	55	48	47	41	40	32	
მძიმე თიხნარი	50	81	80	72	71	64	63	56	55	48	47	41	40	32	
	85	77	76	68	67	59	58	51	50	44	43	36	35	2	
	—	—	—	64	55	54	45	44	36	35	27	26	18		
	60	82	81	74	73	66	65	58	57	50	49	43	42	34	
საშუალო თიხნარი	100	82	91	83	82	74	73	65	64	56	55	46	45	36	
	100	80	89	80	79	71	70	62	61	54	53	45	44	35	
	92	83	82	74	73	65	64	56	55	47	46	39	38	30	
	—	—	—	70	61	60	51	50	41	40	30	29	19		
	81	79	78	70	69	62	61	54	53	46	45	38	37	28	
მძიმე თიხნარი	91	83	82	74	73	65	64	56	56	49	48	40	39	29	
	97	79	78	70	69	61	60	52	51	43	42	34	33	24	
	—	—	—	67	58	57	48	47	33	37	28	27	17		
	—	—	—	71	64	63	56	55	48	47	40	39	30	29	18
კაობის ტორფიანი	—	—	—	71	64	63	56	55	48	47	40	39	30	29	18
	—	—	—	74	66	65	56	55	48	47	40	39	30	29	18
	—	—	—	71	63	62	54	53	45	44	36	35	26	25	14
	—	—	—	59	51	50	42	41	33	32	24	23	14		
—	—	—	54	46	45	37	36	29	28	22	21	16	15	10	

აღებულ იქნა წლიურ ტემპერატურათა ჯამი (ცხრ. 21). ბუნებრივი საყვები სავარგულების ყოველი ჯგუფი, თავის მხრივ იყოფა 3 ქვეჯგუფად. საშემფასებლო სკალების შესადგენად გამოიყენება სითბოსა და წყლის რეჟიმის საშუალო პირობები, ანუ ყველაზე გავრცელებული რელიეფისა და მეურნეობრიობის საშუალო-ეკონომიკური პირობები. აქე-

ნადავრის სხე	ნადავრის ზღვოპარეობა	საშუალო წლიური ტემპერატურა	ტენიანობის მდგომარეობა				
			1	2	3	4	5
1	2	3	4	5	6	7	8
ქვიშნარი	I (45-40)	8 7,0-7 6,9-5,7	60-51 52-44 45-38	50-45 42-36 37-30	42-35 35-28 29-24	34-28 28-23 23-18	27-20 22-16 18-13
	II (30-25)	8 7,9-7 6,9-5,7	43-37 36-30 31-26	36-30 29-24 26-21	29-24 23-18 20-16	23-18 18-13 15-10	18-13 12-10 10-7
	III (10-15)	8 7,0-7 6,9-5,7	41-34 31-26 31-26	31-26 29-24 25-21	27-23 23-18 20-16	22-18 18-15 15-12	17-12 14-10 11,7
ქვიშნარი და მსუბუქი თიხნარი	I (60-55)	8 7,9-7 6,9-5,7	65-56 57-29 52-44	55-47 48-41 43-37	46-39 40-34 36-30	38-31 35-27 32-22	30-23 26-19 22-16
	II	8 7,9-5,7 6,9-5,7	48-41 40-34 38-31	43-37 36-30 32-26	36-30 27-23 27-23	30-22 22-16 22-16	22-16 17-11 17-11
	III	8 7,9-7 6,9-5,7	40-34 32-28 32-28	32-28 27-23 27-23	27-23 22-16 22-16	22-16 17-11 17-11	17-11 14-10 14-10
საშუალო და მძიმე თიხნარი	I (75-70)	8 7,9-7 6,9-5,7	70-61 60-52 55-48	60-52 51-43 46-39	51-43 42-35 40-32	42-35 34-26 35-28	34-26 30-23 28-20
	II	8 6,9-5,7 7,9-7	76-65 60-52 55-48	65-54 54-46 45-38	54-46 45-38 37-30	45-38 37-30 37-30	37-28 29-32 26-18
	III (45-40)	8 7,9-7 6,9-5,7	88-77 80-71 70-61	76-66 65-59 60-52	65-55 58-48 51-43	54-44 47-39 42-34	43-33 38-28 33-23
თიხიანი	I (70-65)	8 6,9-5,7 7,9-7	74-64 63-54 66-57	63-54 53-45 50-48	53-45 44-36 47-39	44-36 35-26 33-20	35-26 29-21 26-17
	II (55-50)	8 7,9-7 6,9-5,7	57-49 48-41 40-33	48-41 40-33 37-31	40-33 37-31 30-24	37-25 24-17 23-16	24-17 18-12 18-12
	III (40-35)	8 7,9-7 6,9-5,7	61-52 51-43 54-46	51-43 42-35 45-38	42-35 34-28 37-31	34-28 27-20 30-24	27-20 22-16 23-16
კაობის ტორფიანი	I (45-40)	8 7,9-7 6,9-5,7	60-51 57-49 49-40	50-42 41-34 39-32	41-34 33-26 31-25	33-27 27-26 24-17	26-19 24-17 24-17
	II (30-25)	8 7,9-7 6,9-5,7	54-46 50-43 47-40	45-38 42-35 39-33	37-31 34-26 32-26	33-27 27-26 23-19	26-19 24-17 19-12
	III (20-15)	8 7,9-7 6,9-5,7	45-38 41-35 37-31	37-31 34-28 30-25	30-25 27-26 24-19	24-17 16-15 18-13	18-13 15-10 12-7

დან გამომდინარე, ცალკეულ მეურნეობათა მიწების ეკონომიკური შეფასების დროს დამატებით გაითვალისწინებოდა ის პირობები, რითაც საწარმოები ერთმანეთისაგან განსხვავდება. კერძოდ, მოსავლიანობის კლიმატური პირობების, რელიეფის განსხვავებათა გასათვალისწინებლად შეიტანებოდა შესწორების კოეფიციენტები მათი ზრდისა თუ შემცირების შესაბამისად.

რესპუბლიკის მთლიანი ტერიტორიის შესაფასებლად შემოიღეს ერთიანი შეფასების ნიხრი, რომლის ეტალონად აღებული იყო საქსონია-ანგალტის ცენტრალური მიწები. საშემფასებლო სიდიდეების განგარიშებისათვის ამოსავალ მაჩვენებლად აღებული იყო:

1. საშუალო-წლიური ტემპერატურა 8-ის ფარგლებში, ხოლო ნალექების რაოდენობა—600 მმ;

2. რელიეფი სწორი ან ოდნავ დახრილი;

3. ეკონომიკური პირობებიდან—სამომოსვლო გზებითა და გასაღების პუნქტებით უზრუნველყოფა, რაც საუკეთესო ნიადაგებისათვის არის დამახასიათებელი.

ამ პირობებიდან გადახრის შემთხვევაში, ცალკეული მიწათსარგებლობის ან ნაკვეთის შეფასებისას შექმონდათ შესაბამისი შესწორების კოეფიციენტები.

ფართობის ერთეულისათვის გაანგარიშებული წმინდა შემოსავალი დაედო საფუძვლად მიწის სავარგულების შეფასების ასბალიან სისტემას, სახნავის შეფასების დროს გამოიყო ნიადაგის 227, ხოლო ბუნებრივი საკვები სავარგულების შეფასებისას—225 კლასი. ამასთან, მიწის შეფასების მასალების განზოგადებისათვის მთელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები დაიყო შვიდ ჯგუფად: საუკეთესო მიწები; ძალიან კარგი მიწები, ყველა კულტურის საწარმოებლად ვარგისი მიწები; კარგი, შაქრის ჰარხლისა და ხორბლისათვის ვარგისი მიწები; საშუალო ძირითადად ჰევის, შერიის და საკვები ჰარხლის საწარმოებლად ვარგისი მიწები; დამაკმაყოფილებელი ხარისხის ჰევის, შერიის, შაქრის ჰარხლის და კარტოფილის საწარმოებლად ვარგისი; ცუდი—ჰევის და კარტოფილის, ხოლო მეშვიდე კატეგორია ძალიან ცუდი—ძირითადად ჰევის საწარმოებლად ვარგისი მიწები.

მიწის საშემფასებლო დოკუმენტაცია და მასალები თავმოყრილი იქნა 1956 წელს გამოცემულ „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ატლასში: მასში სახნავი დახასიათებულია შესაბამისი რუკებისა და კარტოგრაფების საშუალებით. ეს მასალა სასოფლო-სამეურნეო კულტურების გადაადგილებისა და მეცნიერულად დასაბუთებული თესლბრუნვების შემოღების საუკეთესო პირობას ქმნის. მიწის ხარისხის გათვალისწინებისა და სახნავის მიმო-

ზილისათვის შექმნილია სუთი, ზოლო ბუნებრივი საკვები სავარგულ-
ლებისათვის—ერთ რუკა (1:200 000 მასშტაბში). გარდა აღნიშნულ-სა
შედგენილია ექვსი მიმოხილვითი რუკა (1 : 750 000 მასშტაბში), რომ-
ლებიც სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მას-
ზე მოქმედი ფაქტორების ერთიან სურათს ქმნის.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია გღრ მიწის შეფასებისა და
აგრარული ატლასის წარმოებაში გამოყენების პრაქტიკა. ეს მასალები
ფართოდ გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო საწარმოების გაადგილე-
ბა-სპეციალიზაციის, პერსპექტიული დაგეგმვის, დამზადების და დაბეგ-
ვრის ნორმების დიფერენცირებისა და სხვა საკითხების გადასაჭრელად.

რესპუბლიკაში დანერგულია მიწის წარმოებიდან ამოღების კომ-
პენსაციის ფორმა, რაც მიწის ფასის საშუალებით ხორციელდება
უმალესი ხარისხის სახნავის (100 ბალი) ფაი 400 ათასი მარკა, ხოლო
ყველაზე დაბალი ხარისხის (10 ბალი)— 60 ათასი მარკა. ანალოგიუ-
რი მეთოდით წარმოებს ბუნებრივი საკვები სავარგულებისა და ტყის
სავარგულების კომპენსაცია. ამასთან, ღირებულების ეს მაჩვენებელი
არ არის და მათ განსაზღვრულ პერიოდებში აკორექტირებენ.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში 60-იანი წლებიდან დაიწყეს
ნიადაგების კვლევისა და მის საფუძველზე მიწების საშემფასებლო
სამუშაოებო. ეს ღონისძიება ტარდება ნიადაგების ბონიტირებისა და
მიწების ეკონომიკური შეფასების სახით. ნიადაგების ბონიტირებას
აწარმოებენ მისი ბუნებრივი თვისებების (მექანიკური შედგენილობის,
სახნავი ფენის სისქის, ნიადაგის სტრუქტურის, რელიეფისა და სხვ.)
მიხედვით. ეკონომიკური პირობებიდან, ძირითადად, ითვალისწინებენ
სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობებს.

ბუნებრივი და ეკონომიკური მაჩვენებლების გამოყენების საფუძ-
ველზე ნიადაგები დაყოფილია ექვს ძირითად კლასად: საუკეთესო,
ძალიან კარგი, კარგი, საშუალო, ცუდი და ძალიან ცუდი.

ნიადაგების ბონიტირების საფუძველად აღებულია მათი სასოფლო-
სამეურნეო კულტურების მოსაყვანად ვარგისიანობა, რაც ნიადაგების
კომპლექსებში გაერთიანებით ხორციელდება. გაერთიანებას საფუძე-
ლად უღვეს მიწის სამეურნეო გამოყენების ფაქტორები მდგომარეო-
ბა. სულ სახნავში გამოყოფილია 12 კომპლექსი.

1. საუკეთესო, მარცვლეულისათვის გამოსაყენებელი მიწები,
რომლებიც ყველა კულტურის მოსაყვანად გამოიყენება. მასში ვაერ-
თიანებულია პირველი და მეორე კლასის მიწები;

2. კარგი სახნავები (მესამე და მეოთხე კლასი), რომლების ნაყო-
ფიერებაც უარყოფითი ბუნებრივი პირობების გავლენით რამდენადმე
შემცირებულია;

3. ხორბლისათვის ნაკლებად გამოსაყენებელი, რომელთა მოსაყვანილობა ძალიან მერყევია ზაფხულის გვალვების გამო;

4. ჭვავისათვის საუკეთესო მსუბუქი მექანიკური შედგენილობის მიწები, რომლებიც გაკულტურების შემდეგ შეიძლება ხორბლის მოსაყვანად იქნეს გამოყენებული;

5. ჭვავის მოსაყვანად კარგი მიწები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას აგრეთვე კარტოფილის მოსაყვანადაც;

6. ჭვავის მოსაყვანად ცუდი მიწები, რომლებზედაც ხორბალი საერთოდ არ ითესება, ხოლო ჭვავისა და კარტოფილის მოსაყვანილობა დაბალია;

7. ძალიან ცუდი საჭვავე მიწები, რომლებიც მომავალში გატყევებას ექვემდებარება;

8. საფურაჟე კულტურებისათვის გამოსაყენებელი მაღალხარისხოვანი მიწები;

9. დაბალი ხარისხის საფურაჟე კულტურებისათვის ვარგისი მიწები;

10. მთის კარტოფილის და შვრიის სათესად გამოსაყენებელი მიწები;

11. მთის შვრიის სათესად გამოსაყენებელი მიწები, აგრეთვე საკვები ძირხვენების მოსაყვანად ვარგისი;

12. სახნავი მიწები, რომლებიც სათიბებადაა გამოყენებული.

ნიადაგების აღნიშნული კლასიფიკაციის საფუძველზე შესრულებული ბონიტირების მასალები გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაგეგმვის, წარმოების ვადგეგმვა-სპეციალიზაციის, მიწების შემოსავლიანობის განსაზღვრა-დიფერენცირების, გადასახადების დადგენისა და რიგი სხვა ეკონომიკური საკითხის გადასაჭრელად. მიწების შეფასების შედეგების გამოყენების მიზნით ცალკეული სავარგულო გადაიყვანება პირობით ჰექტრებში.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში ფართოდაა გაშლილი მუშაობა ნიადაგების ბონიტირებისა და ეკონომიკური შეფასების მეთოდების დასამუშავებლად. შეფასების მიზნით მიწები სამ კატეგორიად და დაყოფილი: სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, სატყეო და დასახლებული პუნქტების მიწები. თავის მხრივ, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებში გამოყოფილია დამუშავებადი და დაუმუშავებელი სავარგულები.

რესპუბლიკაში დიდი მასშტაბით მიმდინარეობს მიწების ინვენტარიზაციის (აღრიცხვის) სამუშაოები. ინერგება თანამედროვე მეთოდები და ხერხები ნიადაგების მსხვილმასშტაბიან გამოკვლევებსა და საგეგმო-კარტოგრაფიული მასალების დაზუსტების საქმეში, რაც მიწის საკადარსტრო საქმიანობის ძირითად საფუძველდაა მიჩნეული.

უნდა აღინიშნოს, რომ ბულგარეთის რესპუბლიკაში მაღალ დონეზე დაყენებული მიწის საკადასტრო სამუშაოების შესრულებაში ელექტრონულ-გამომთვლელი ტექნიკის გამოყენების საქმე. შექმნილია ნიადაგების გამოკვლევების მასალების ავტომატიზებული დამუშავების ქვესისტემა მიწების გამოყენების მართვა. მიწის კადასტრის მონაცემების გამოყენებით ქვესისტემა აწარმოებს ნაკვეთების სიდიდის, მათი კონფიგურაციის, ეროზირების, ადგალმდებარეობის, გამოყენების კატეგორიების ნაყოფიერებისა და საკვები ელემენტების შემცველობის ინფორმაციის დამუშავებას.

აღნიშნული მასალებზე გამოყენებით მიწების შესასფასებლად რესპუბლიკა 80 მიწრობრივად არის დაყოფილი, ხოლო სამუშაოები ტარდება ნიადაგების ბონიტირებისა და მიწების ეკონომიკური შეფასების სახით.

ბონიტირების დროს გაითვალისწინება ნიადაგის ის თვისებები, რომლებიც განსაკუთრებულ გავლენას ახდენს ნიადაგის ნაყოფიერებასა და, შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლანობებზე. კერძოდ, მექანიკური შედგენილობა, ჰუმუსიანი პორიზონტის სისქე ნიადაგის სისქე, ნიადაგის რეაქცია, ჰუმუსის შემცველობა, გრუნტის წყლის დგომის სიღრმე, ეროზიის და დამლაშების ხარისხი და სხვა თვისებები. ბონიტირების საფუძვლად აღებულია ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის ერთობლივი ნიადაგური ექსპედიციის მიერ შედგენილი მასალები და ნიადაგების ექსპლკაციის სქემა. შეფასების დროს ცალ-ცალკე ბალი ესმება ყველა თვისებას და მათ მიხედვით შემდეგ გამოიყვანება მეწონილი საშუალო-ართემეტიკული სიდიდეები. ბალოებით გამოხატული შეფასების მაჩვენებლები ზუსტდება ცალკეულ კულტურის მიხედვით ბუნებრივი ფაქტორებისათვის გაანაგრიშებული შესწორების კოეფიციენტების გამოყენებით.

ნიადაგების ბონიტრებასთან ერთად ტარდება მიწების ეკონომიკური შეფასების სამუშაოები, რომელთა მიზანია მიწების ეკონომიკური ნაყოფიერების განსაზღვრა. შეფასება საწარმოო ძალთა განვითარების დონის გათვალისწინებით ღირებულებითი და შეფარდებითი ფორმებით სრულდება. პირველი გამოხატავს ნიადაგის ნაყოფიერებას ფულად გამოსახულებაში, ხოლო მეორე—მიწის გავლენას შრომის მწარმოებლურობისა და წმინდა შემოსავლის სიდიდეებზე. მიწების შეფასება ნიადაგების სახესხვაობებისა და ნაკვეთების მიხედვით ტარდება.

ბუნებრივი პირობების და გამოსაყენებლად ვარგისიანობის გათვალისწინებით სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში ხუთი კატეგორიაა გამოყოფილი: ძალიან კარგი, კარგი, საშუალო ხარისხის, დაბალი ხა-

რისხის და დასამუშავებლად უვარგისი მიწები. კატეგორიებად დაყოფა უდევს საფუძვლად სასოფლო-სამეურნეო წარმოებიდან მიწების ამოღების კომპენსაციის სიდიდის განსაზღვრას, რაც ხელს უწყობს მაღალინტენსიური სავარგულების შენარჩუნებას.

სხვა ქვეყნების მსგავსად ბულგარეთის რესპუბლიკაში ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარების, წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფისა და სხვა ფაქტორების ცვლილებების შესაბამისად შეფასების მასალები პერიოდულად ზუსტდება და საშემფასებლო დოკუმენტაციაც იცვლება.

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში მიწის შეფასება რიგი ორიგინალური ხერხით ხასიათდება. მთელი მიწის ფართობი დაყოფილია სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო კატეგორიებად. ნიადაგების შეფასება ბონიტრების სახითაა განხორციელებული, რაც სამ ეტაპად შეასრულეს. პირველ ეტაპზე დაამუშავეს ნიადაგურ-ეკოლოგიური ერთეულების და საწარმოო-სააღრიცხვო კრიტერიუმების სისტემა. შემდგომ ეტაპზე ჩაატარეს აველე სამუშაოები — ტერიტორიის ეკონომიკური დახასიათება, ნიადაგების საბონიტეტო კლასიფიკაციისა და საშემფასებლო სამუშაოები. ბონიტრების დროს ნიადაგების პროდუქტიულობა აბსოლუტურ და შეფარდებით სიდიდეებში შეაფასეს.

საშემფასებლო სამუშაოების ჩასატარებლად ყოველი შესაფასებელი ნიადაგისათვის 20 ნაკვეთი შეარჩიეს. ამ ნაკვეთებზე 4—6 წლის განმავლობაში წარმოებდა დაკვირვება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობებისა და პირდაპირი დანახარჯების აღრიცხვით მიზნით. მთელი მიღებული ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი ელექტრონულ-გამომთვლელი ტექნიკის გამოყენებით ხორციელდებოდა. ამ მიზნით შემუშავებულ იქნა სპეციალური ფორმულარები და სხვა დოკუმენტაციის ფორმები, რომლებიც ეკონომისტების მეთვალყურეობით იესებოდა.

რესპუბლიკის დარგობრივ სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტებმა დაადგინეს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სია, განსაზღვრეს ნაკვეთების რაოდენობა, გაწეული პირდაპირი დანახარჯები და სხვა ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები ყოველი ნაკვეთისათვის. ამ მასალების საფუძველზე საკადასტრო რაიონებისა და ცალკეული საწარმოებისათვის ჩატარდა ნიადაგების ბონიტრების სამუშაოები.

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით დადგენილი იყო, რომ ცალკეულ კონტურზე უნდა ითესებოდეს ერთი და იგივე კულტურა და მაჩვენებლებიც შესაბამისად აიღება. ერთ ნაკვეთში ორი კულტურის თეს-

ვა დაიშვებოდა, თუ ეს თესლბრუნვის ცკლში ჩართვისთვის იყო საჭირო. განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს ნაკვეთის სიდიდესა და აგროტექნიკის დონეზე. აუცილებელ პირობად იყო მიჩნეული, რომ ისინი რაიონის საშუალოს ტოლი უნდა ყოფილიყო.

ნიადაგების ბონიტირებას უნდა უზრუნველყო სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის ბერკეტების შექმნის, მიწების რაციონალურად გამოყენების, სავადასახადო სისტემების რეგულირების, ძირითადი აგროეკონომიკური და სხვა საკითხების გადაჭრისათვის აუცილებელი სარწმუნო მასალის მიღება.

ამ მიზნით რესპუბლიკის ტერიტორია დაიყო 10 კლიმატურ რაიონად, 800 საბონიტეტო ნიადაგურ-ეკოლოგიური ერთეულით. გამოყოფის საფუძვლად აიღეს რელიეფი, კლიმატი, აქტიურ ტემპერატურათა ჯამი და ნალექების წლიური ჯამი. ცალკე გამოყვეს 3 ქაზე დიდი და ძალიან მცირე ფართობები.

ჩეხოსლოვაკიის ფედერალური მთავრობის 1971 წლის დადგენილებით ნიადაგების ბონიტირების მასალები 1981 წლიდან დაედო საფუძვლად მე-7 ხუთწლედის გეგმების შედგენას. ამავე დადგენილებით მიწის შეფასების მანქანებლები უნდა გაკორექტურდეს საწარმოო ძალთა განვითარებისა და წარმოების ურთიერთობათა სრულყოფის შესაბამისად, რამდენადაც მათი ზემოქმედებით იცვლება ნიადაგის ნაყოფიერება.

გარდა ამისა, განსაზღვრული სამუშაოებია ჩატარებული უნგრეთისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკებში, რუმინეთისა და ვიეტნამის სოციალისტურ რესპუბლიკებში. ძირითად მეთოდოლოგიურ საფუძვლად მათ აღებული აქვთ გდრ და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის გამოცდილება.

1. კავკასიონის დასავლეთ ნაწილის მაღალმთიანეთის კრისტალური ოქჯის მთა-მდელოების პრიმატული, კარდიან-ტორფიანი და კორდიანი ნიადაგების რაიონი.
2. კავკასიონის დასავლეთ ნაწილის საშუალო მთიანი ზონის ტყის, ყომრალი და შთის ეწერი ნიადაგების რაიონი.
3. სურამის ქედის კრისტალურია მასივის ტყის ყომრალი და შთის ეწერი ნიადაგების რაიონი.
4. კავკასიონის სამხრეთ ფერდობის კარტული კირქვიანი ოქჯის ნეშომპალა-კარბონატური ნიადაგების რაიონი.
5. რაქა-ლეჩხუმის ქვაბურის ნეშომპალა-კარბონატული და ტყის ყომრალი ნიადაგების რაიონი.
6. ზემო იმერეთის მასივის ნეშომპალა-კარბონატული და ტყის ყომრალი ნიადაგების რაიონი.
7. აფხაზეთის და სამეგრელოს მთისწინების ყვითელმიწა, წითელმიწა და ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგების რაიონი.
8. ოყრიბის ქვაბურის ყვითელმიწა და ტყის ყომრალი ნიადაგების რაიონი.
9. იმერეთის მთისწინების ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგების რაიონი.
10. აჭარა-იმერეთის და შავშეთის ქედების მაღალმთიანეთის მთა-მდელოების კორდიან-ტორფიანი ნიადაგების რაიონი.
11. აჭარა-იმერეთის საშუალომთიანი ზონის ტყის ყომრალი და გაეწრებული ტყის-ყომრალი ნიადაგების რაიონი.
12. აჭარა-გურიისა და შავშეთის ქედების საშუალომთიანი ზოლის ტყის ყომრალი და გაეწრებული ტყის ყომრალი ნიადაგების რაიონი.
13. აჭარა-გურიის ქედის ბორცვებიანი მთისწინების წითელმიწა ნიადაგების რაიონი.
14. მესხეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობის მთისწინების ყვითელმიწა, ტყის ყომრალი და ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგების რაიონი.
15. კოლხეთის დაბლობის აღმოსავლეთი შემადლებული ნაწილის ეწერი და ალუვიური ნიადაგების რაიონი.
16. კოლხეთის დაბლობის დასავლეთი დადაბლებული ნაწილის კაობიანი ნიადაგების ქვერაიონი.
17. კავკასიონის აღმოსავლეთ ნაწილის მაღალმთიანეთის მთა-მდელოების პრიმატული, კარდიან-ტორფიანი და კორდიანი ნიადაგების რაიონი.
18. სურამის ქედის აღმოსავლეთ ფერდობის საშუალომთიანი და დაბალმთიანი ზოლის ტყის ყომრალი და ტყის ყავისფერი ნიადაგების რაიონი.
19. კავკასიონის ცენტრალური ნაწილის საშუალო მთიანი ზოლის ტყის ყომრალი და გაეწრებული ტყის ყომრალი ნიადაგების რაიონი.
20. ცივგომბორის ქედის საშუალო მთიანი ზოლის ტყის ყომრალი, გაეწრებული ტყის ყომრალი და ტყის ყავისფერი ნიადაგების რაიონი.
21. კახეთის კავკასიონის საშუალო მთიანი ზოლის ტყის ყომრალი და გაეწრებული ტყის ყომრალი ნიადაგების რაიონი.
22. კავკასიონის ჩრდილო ფერდობის საშუალო მთიანი ტყის ყომრალი ნიადაგების მთათუშეთის რაიონი.
23. კავკასიონის ცენტრალური ნაწილის მთისწინების ტყის ყავისფერი და შავმიწისებრი ნიადაგები.
24. ცივგომბორის ქედის მთისწინები ტყის ყავისფერი და ნეშომპალა კარბონატული

ნიადაგების რაიონი.

25. აღმოსავლეთ საქართველოს ნათელი ტყეების რუხი-ყავისფერი ნიადაგების რაიონი.
26. თრიალეთის ქედის მაღალმთიანეთის მთა-მდელოების კორდიანი და კორდიან-ტორფიანი ნიადაგების რაიონი.
27. თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობის საშუალო მთიანი ზოლის ტყის ყომრალი, გაეწრებული ტყის ყომრალი და ტყის ყავისფერი ნიადაგების რაიონი.
28. სომხეთის ქედის საშუალომთიანი და დაბალმთიანი ზოლის ტყის ყომრალი და ტყის ყავისფერი ნიადაგების რაიონი.
29. თრიალეთის ქედის ჩრდილო ფერდობის მთისწინების ტყის ყავისფერი და მდელოყავისფერი ნიადაგების რაიონი.
30. სომხეთის ქედის მთისწინების ტყის ყავისფერი და მდელოს ყავისფერი ნიადაგების რაიონი.
31. შიდა ქართლის მთათაშორისო ვაკის ალუვიური მდელოს კარბონატული და მდელოს ყავისფერი ნიადაგების რაიონი.
32. შუხრანის ვაკის ალუვიური მდელოს კარბონატული და მდელოს ყავისფერი ნიადაგების რაიონი.
33. შტკერისპირა (მდ. მტკერის შუა წელი) ვაკის მდელოს ყავისფერი ნიადაგების რაიონი.
34. გარე კახეთის (ივრის ვაკის) ალუვიური მდელოს კარბონატული ნიადაგების რაიონი.
35. კახეთის (ალაზნის) ვაკის მარჯვენა ნაპირის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის ალუვიური მდელოს კარბონატული ნიადაგები.
36. კახეთის ვაკის მარჯვენა ნაპირის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილის შევშიწისებრი მდელოს ყავისფერი და დამლაშებული ნიადაგების რაიონი.
37. კახეთის (ალაზნის) მარცხენა ნაპირის ალუვიური მდელო-ტყის უკარბონატო ნიადაგების რაიონი.
38. გარე კახეთის ველიანი ზეგანის შევშიწა ნიადაგების რაიონი.
39. გარე კახეთის ზეგანის სამხრეთ ნაწილის მშრალი ველების წაბლა; დამლაშებული და ბიციბიანი ნიადაგების რაიონი.
40. ქვემო ქართლის ვაკის წაბლა, ელტურულ-სარწყავი, დამლაშებული და ბიციბიანი ნიადაგების რაიონი.
41. ელდარის ნახევარდუდაბნოს მურა, ღია მურა და დამლაშებული ნიადაგები რაიონი.
42. აბულ სამსარის, ეჩუთის, ჩალდირის ქედების მთა-მდელოების შევშიწისებრი და კორდიანი ნიადაგების რაიონი.
43. ქაეხეთის (ახალქალაქის) მთიანი ვაკის მთის შევშიწეთის რაიონი.
44. წალკის და დმანისის მთიანი ვაკის მთის შევშიწების და მდელოს შევშიწისებრი ნიადაგების რაიონი.
45. ერუშეთის ქედის მთა-მდელოების კორდიანი ნიადაგების რაიონი.
46. ახალციხის ქვაბურის ტყის ყომრალი და ტყის ყავისფერი ნიადაგების რაიონი.
47. ახალციხის ქვაბურის მთისწინების და დაბლობი ნაწილის ტყის ყავისფერი ნიადაგების რაიონი.

1. ზომიერად თბილი და ნოტიო ჰავა ნალექების საკმაო რაოდენობით წლის ყველა სეზონში და ცხელი ზაფხულით, ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე მცენარეთა ვეგეტაცია არ წყდება ზამთარში.
 - ა) კარბად ნოტიო ქვეზონა თითქმის მთელი წლის განმავლობაში გაბატონებული ზღვის ქარებით და ნალექების მაქსიმალური რაოდენობით შემოდგომა-ზამთარში.
 - ბ) ნოტიო ქვეზონა კარგად გამოსახული მუსონური ხასიათის ქარებით და ნალექების მაქსიმალური რაოდენობით ზაფხულსა და შემოდგომაზე.
 - გ) საკმაოდ ნოტიო ქვეზონა მთელი წლის განმავლობაში კორიზონტის ჩრდილო ნახევრის ქარების სიჭარბით და ნალექების რაოდენობის მერყეობით სეზონების შორის.
 - დ) ზომიერად ნოტიო ქვეზონა შედარებით მშრალი ზაფხულით, მცენარეთა ვეგეტაცია ზამთარში წყდება.
2. ზომიერად თბილი და ნოტიო ჰავა ნალექების საკმაო რაოდენობით წლის ყველა სეზონში და ხანგრძლივი თბილი ზაფხულით.
 - ა) ქვეზონა შედარებით მშრალი ზაფხულით.
3. ცივი და ნოტიო ზამთრის (ზღვის ბორეალური) ჰავა ხანგრძლივი გრილი ზაფხულით.
 - ა) ქვეზონა განსაკუთრებით სუსხიანი და უხვთოვლიანი ზამთრით.
4. ცივი და ნოტიო ზამთრის ჰავა არახანგრძლივი ზაფხულით;
5. მალაღმთის ჰავა ნამდვილ ზაფხულს მოკლებული თოვლის ხანგრძლივი და მძლავრი საბურველით.
6. მალაღმთის მარადი უხვი თოვლის და ყინვარების ჰავა.
7. მშრალი (ტრამალუბის) ჰავა, ზომიერად ცივი ზამთარი და ცხელი ზაფხულით, ნალექების ორი მინიმუმით წელიწადში.
 - ა) ქვეზონა ცივი ზამთრით, შედარებით გრილი ზაფხულით და ნალექების მეტი რაოდენობით.
8. მშრალიდან ზომიერად ნოტიო და ზომიერად თბილზე გარდამავალი ჰავა ცხელი ზაფხულით და ნალექების ორი მინიმუმით წელიწადში. ნალექების წლიური რაოდენობა წლიურ აორთქლებაზე ნაკლებია.
9. ზომიერად ნოტიო და ზომიერად თბილიდან მშრალზე გარდამავალი ჰავა არაცხელი ზაფხულით და ნალექების ორი მინიმუმით წელიწადში. ნალექების წლიური რაოდენობა წლიურ აორთქლებაზე ნაკლებია.
10. ზომიერად ნოტიო და ზომიერად ცივი ჰავა ცხელი ზაფხულით და ნალექების ორი მინიმუმით წელიწადში.
11. ზომიერად ნოტიო და ზომიერად თბილი ჰავა არაცხელი ზაფხულით და ნალექების ორი მინიმუმით წელიწადში.
12. ზომიერად ნოტიო ჰავა, ცივი ზამთრით, ხანგრძლივი თბილი ზაფხულით და ნალექების ორი მინიმუმით წელიწადში.
13. ზომიერად ნოტიო ჰავა ცივი ზამთრით არახანგრძლივი თბილი ზაფხულით და ნალექების მინიმუმით ზაფხულის დასაწყისში და მინიმუმი იანვარში.
14. ზომიერად ნოტიო ჰავა ცივი ზამთრით, ხანგრძლივი გრილი ზაფხულით ნალექების მინიმუმით ზამთარში, უგვალვო პერიოდით.

15. ზომიერად ნოტიო ჰავა ცივი ზამთრით არახანგრძლივი გრილი ზაფხულით, ნალექების მინიმუმით ზამთარში, უგველყო პარიოდით.
16. ზომიერად ნოტიო ჰავა, მთიანეთის ჰავაზე, გარდამავალი ცივი ზამთრით, ხანგრძლივი ზაფხულით და ნალექების ორი მინიმუმით წელიწადში, ნალექების წლიური რაოდენობა თოვლითა და ხანგრძლივი აორთქლების.
17. ზომიერად ნოტიო ჰავა მშრალ მთიანეთის ჰავაზე, გარდამავალი ცივი, შედარებით მშრალი ზამთრით და ხანგრძლივი თბილი ზაფხულით, ნალექების წლიური რაოდენობა აორთქლების თანაბარია.
18. ზომიერად ნოტიო, მშრალი მთიანეთის ჰავაზე, გარდამავალი, ცივი, შედარებით მშრალი ზამთრით, გრილი ხანგრძლივი ზაფხულით, ნალექების წლიური რაოდენობა თოვლის აორთქლების თანაბარია.
19. ზომიერად ნოტიო ჰავა, მშრალი მთიანეთის ჰავაზე გარდამავალი, ცივი შედარებით მშრალი ზამთრით და ხანმოკლე ზაფხულით, ნალექების წლიური რაოდენობა, აორთქლების თოვლის თანაბარია.
20. მაღალმთის ჰავა ნამდვილ ზაფხულს მოკლებული.
21. მაღალმთის მარალი თოვლისა და მყინვარების ჰავა.

გ ა გ ო უ ე ნ ე ბ უ ლ ი ლ ი ტ ა რ ა ტ უ რ ა

1. კ. შ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, II, III.
2. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 5, 15, 16, 22, 24.
3. სკკპ პროგრამა, თბ. 1961 წ.
4. სკკპ XXVI ყრილობის მასალები თბ., 1981 წ.
5. საქ. კ. XXVI ყრილობის მასალები, თბ., 1981 წ.
6. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები 1982 წ. 22 ნოემბერი.
7. პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელო თბ., განათლება, 1980 წ.
8. ვ. ბ უ რ კ ა ძ ე, მიწის ეკონომიკური შეფასება, თბ., 1973 წ.
9. ვ. ბ უ რ კ ა ძ ე, სადოქტორო დისერტაცია, თბ., 1972 წ.
10. ვ. ბ უ რ კ ა ძ ე, მიწის კლასტრის არსი და დანიშნულება სმეოსკი, ტ. III—IV, თბ. 1970 წ.
11. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941.
12. ნ. ი ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს სსრ მიწის ფონდი, ტ. 1, 2.
13. შ. კ ო რ ძ ა ხ ი ა, საქართველოს ჰავა, თბილისი, 1961 წ.
14. ა. ლ ა ბ ა რ ტ ყ ა ვ ა, „საქართველოში საკოლმეურნეო კანონმდებლობის განვითარების საკითხისათვის“, თბ. 1981.
15. ნ. ლ ა ქ ე ე ბ ი ა ნ ი, სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკა ეკონომიკური საფუძვლებით, თბ., 1970 წ.
16. ლ. მ დ ი ნ ა რ ა ძ ე, მიწათმოწყობა საქართველოში, თბ., 1971 წ.
17. ლ. მ დ ი ნ ა რ ა ძ ე, ნ. ჰ ი ნ ჯ ა რ ა ლ ი, მიწის ფონდების რაოდენობრივი აღრიცხვა და შეფასება, თბ., 1974 წ.
18. მ. ს ა ბ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს სსრ ნიადაგები, თბ., 1965.

19. ი. ქ ა შ ი. სოციალისტური სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ორგანიზაცია, თბ., 1963 წ.
20. სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ეკონომიკა-სასწავლო წიგნი, პ. მ. ჟღენტის რედაქციით, თბ., 1963 წ.
21. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო რესპუბლიკური მიწათმოქმედების სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტი „საქსახმიწპროექტი“—მიწათმობანი საქ. სსრ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მეურნეობათაშორის მინათმოქმედების შესახებ, თბ., 1979 წ.
22. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მიწათმოქმედების სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტი „საქსახმიწპროექტი“ ინსტრუქცია კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა შავსამეურნეო მიწათმოქმედების შესახებ, თბ. 1980 წ.
23. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო მიწათმოქმედების რესპუბლიკური საპროექტო ინსტიტუტი „საქსახმიწპროექტი“—მიწათმობანი მიწის სავარგულების კონტურების ფართობების გამონაგარიშების შესახებ, თბ., 1974.
24. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო მეცნიერებისა და პროპაგანდის მთავარი სამმართველო, საქართველოს სსრ სამიწათმოქმედო ზონის ნიდაგების ხარისხობრივი შეფასების დროებითი მეთოდური მიწითმობანი, თბ., 1977.
25. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მიწათმოქმედების სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტი—რეკომენდაციები მიწის ეკონომიკური შეფასების პრაქტიკულად გამოყენების შესახებ, თბ., 1982 წ.
26. სოფლის მეურნეობის ნორმატიულ-საცნობარო მასალების კრებული, თბ., 1971 წ.
27. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რეკომენდაციები საქართველოს სოფლის მეურნეობის გაძლოლის სისტემების შესახებ, თბ. 1977.
28. Гаврилюк Ф. Я. Бонитровка почв. М., Высшая школа, 1974.
29. Гугулишвили П. В. Сельскохозяйственное и аграрное отношение. I—II, Тб., 1950 г.
30. Дектяров И. В. Земельный кадастр. М., 1979 г.
31. Додонов Н. П. и др. Основы земельного кадастра Молдавской ССР. Кишинев, 1970 г.
32. Докучаев В. В. Избр. сочин. Т. I, М., 1949 г.
33. Докучаев В. В. Избр. сочин. Т. II, М., 1949 г.
34. Докучаев В. В. Избр. сочин. Т. III, М., 1949 г.
35. Джавахишвили А. Н. Геоморфологические районы Грузинской ССР. М., 1947 г.
36. Землеустройство и рациональное использование земли. Под ред. Г. А. Кузнецова и В. П. Прошлякова. М., «Колос», 1977 г.
37. Игнатьев Г. М. Методы оценки и учета земельных фондов в зарубежных странах. В кн. учет и агропроизводственные группировки земельных ресурсов СССР. М., 1967 г.
38. Классификация и диагностика почв СССР. М., «Колос», 1977 г.
39. Магазишников Т. И. Земельный кадастр в районе. Львов, 1975 г.
40. Магазишников Т. П. Земельный кадастр в сельскохозяйственных предприятиях. Львов, 1975 г.

41. Магазишников Т. П. Земельный кадастр. Львов, 1980 г.
42. Методические указания по бонитировке почв СССР. М., 1975 г.
43. Народное хозяйство СССР в 1980. М., Статистика, 1981 г.
44. Николенко Г. С. Экономическая оценка земли. Алма-Ата, 1968 г.
45. Общесоюзная инструкция по почвенным обследованиям и составлению крупномасштабных почвенных карт землепользований. М., «Колос», 1973 г.
46. Природно-сельскохозяйственное кадастровое районирование земельного фонда СССР. М., 1978 г.
47. Применение земельного кадастра в условиях интенсивного земледелия МССР, Молдпедини, 1981 г.
48. Проблемы повышения эффективности использования земельных ресурсов СССР и защиты земель от разрушения (материалы конференции). М., 1979 г.
49. Сотников В. П., Шашко Д. Н., Розов Н. Н. Природно-сельскохозяйственное районирование земельного фонда СССР. В кн. земельные ресурсы их использование. М., 1973 г.
50. Удачин С. А. Земельный фонд СССР и его использование. М., 1960 г.
51. Черемушкин С. Д. Изучение и оценка яемли ГДР. М., 1958 г.
52. Черемушкин С. Д. Теория и практика экономической оценки земли. М., 1963 г.
53. Черемушкин С. Д., Клопотовский А. П., Маркова М. В. и др. Земельный кадастр СССР. М., 1967 г.
54. Черемушкин С. Д. О применении математических методов при экономической оценке земли журн. Плановое хозяйство, 1965 г. № 3.
55. Черемушкин С. Д. Экономическая оценка земли. М., 1961 г.
56. Общесоюзная классификация сенокосов и пастбищ по зонам страны. М., 1982 г.
57. Постановление ЦК КПСС и Совета Министров СССР, от 16 июня 1966 № 465.
«О широком развитии мелнорации земель для получения высоких и устойчивых урожаев зерновых и других сельскохозяйственных культур», М. Политиздат. 1968 г.
58. Постановление Совета Министров СССР от 10 июня № 501 «О порядке ведения государственного земельного кадастра», М., 1978 г.
59. Министерство сельского хозяйства СССР «Инструкция о порядке составления, выдачи (замены) и хранения государственных актов на право пользования землей» М., «Колос», 1978 г.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი	3
I ტ ა ვ ი	
ცნება მიწის კლასტრის შესახებ და მისი შინაარსი მიწაზე კერძო საკუთრებინ პირობებში	14
II ტ ა ვ ი	
მიწის კლასტრის ხასიათი ამოცანები და დანიშნულება სოციალიზმის პირობებში	22
III ტ ა ვ ი	
მიწის კლასტრის შემადგენელი ელემენტები, სახეები და პრინციპები	34
IV ტ ა ვ ი	
საბჭოთა მიწის კლასტრის განვითარების ისტორია	40
§ 1. საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლები	40
§ 2. სახალხო მეურნეობის აღდგენის, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციაზე გადასვლის მზადების წლები	43
§ 3. მიწის საკლასტრო ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა და სოციალიზმის გამარჯვების წლებში	48
§ 4. მიწის საკლასტრო ღონისძიებები 1939—1954 წწ.	53
§ 5. მიწის საკლასტრო ღონისძიებები 1955—1968 წწ.	55
§ 6. მიწის საკლასტრო ღონისძიებები 1969—1977 წწ.	60
V ტ ა ვ ი	
მიწის ფონდი, როგორც მიწის კლასტრის ობიექტი	62
§ 1. მიწის კლასტრის ობიექტი და მისი კლასიფიკაცია	62
§ 2. მიწის ფონდის დახასიათება კატეგორიებისა და მიწათმოსარგებლეთა მიხედვით	63
§ 3. მიწათსარგებლობა—ძირითადი მიწის საკლასტრო ერთეული	66
§ 4. სავარგული მიწის კლასტრის ძირითადი ელემენტი	67
VI ტ ა ვ ი	
მიწის საკლასტრო მონაცემების მოპოვების, დამუშავებისა და ანალიზის მეთოდები	72
§ 1. მიწის საკლასტრო მონაცემების სახეები და მათი მოპოვების ხერხები	72
§ 2. მიწის კლასტრის მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის სტატისტიკური მეთოდები	75
§ 3. მიწის კლასტრის ავტომატიზაციის საკითხები	88
VII ტ ა ვ ი	
მიწათსარგებლობის რეგისტრაცია	91